პროფ. დ. ზავრიევი

ნარკვევები საზღვარგარეთის აღმოსავლეთის ქვეყნების უახლესი ისტორიიდან

სასწავლო - პედაგოგიური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა
„ცოდნა"
თბილისი — 1960

ა ვ ტ ო რ ი ს ა გ ა ნ

ახლა, როდესაც ფართოდ გაიშალა იმ ხალხების აღორძინების დიადი პროცესი, რომლებიც კოლონიზატორთა მიერ საუკუნეების განმავლობაში ჩამოცილებული იყვნენ ადამიანთა საზოგადოების განვითარების შარაგზიდან, სავსებით გასაგებია ის ინტერესი, რასაც იჩენს საბჭოთა მკითხველი სუსტად განვითარებული და ჩაგრული ხალხების დამონების ისტორიისა და მათი განთავისუფლების პრობლემისადმი. იმყოფება რა არსებობის უკანასკნელ ეტაპზე, იმპერიალიზმი ყოველ ღონეს ხმარობს კოლონიური სისტემის შესანარჩუნებლად; იგი მიმართავს ახალ-ახალ ხრიკებს, სუსტად განვითარებული ქვეყნების ექსპლოატაციის ახალ ფორმებს. იმპერიალისტური ექსპანსიის გასამართლებლად იგონებენ ახალ მეთოდებს, ხალხთა მასების დაშინებისა და მათი შეგნების ჩახშობისათვის იყენებენ ახალ ხერხებს. ამიტომ იმპერიალისტური პოლიტიკის მხილება საბჭოთა ისტორიკოსების მნიშვნელოვანი და კეთილშობილური ამოცანაა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX და XXI ყრილობათა გადაწყვეტილებებმა ფართო გზები გაშალეს საბჭოთა ისტორიკოსების წინაშე იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის დაშლის მსოფლიო-ისტორიული პროცესის შესასწავლად და გასაშუქებლად.

საზღვარგარეთის აღმოსავლეთის ქვეყნების უახლესი ისტორია ორ პერიოდად იყოფა: დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე, და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამოცემული შრომები (I, II და III ნაკვეთი) საზღვარგარეთის აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიას აშუქებენ 1945 წლამდე (ჩათვლით). წინამდებარე ნაშრომის ავტორმა მიზნად დასახა მიაწოდოს მკითხველს ნარკვევები საზღვარგარეთის აღმოსავლეთის ქვეყნების ომისშემდგომი პერიოდის ისტორიისა, რომლის მეტად მნიშვნელოვან შინაარსს იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის დაშლა შეადგენს. „დადგა მსოფლიო ისტორიის ახალი პერიოდი, რომელიც განკვრეტა დიდმა ლენინმა, პერიოდი, როცა აღმოსავლეთის ხალხები აქტიურ მონაწილეობას იღებენ მთელი მსოფლიოს ბედის გადაწყვეტაში და საერთაშორისო ურთიერთობის ახალი მძლავრი ფაქტორები ხდებიან“ (სკკპ XX ყრილობის რეზოლუციიდან).

ნარკვევები თავდაპირველად მოიცავდნენ მოვლენებს ამ სამუშაოს დამთავრების დრომდე, ე. ი. 1957 წლის დამლევამდე. სტამბაში ხელნაწერის ჩაბარების წინ ავტორმა შემოკლებული სახით შეიტანა წიგნში ის უმნიშვნელოვანესი მოვლენები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა 1958 წელს. ცალკეულ შემთხვევებში, სურათის სრულყოფის მიზნით, თაეების დასაწყისში მოკლედ არის გადმოცემული აღმოსავლეთის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორია.

ქვეყნების მიხედვით მასალების შინაარსის თანმიმდევრულად განლაგებისას ავტორმა გეოგრაფიულ პრინციპს გვერდი აუარა და განლაგებას საფუძვლად დაუდო პოლიტიკური პრინციპი, ესე იგი, ქვეყნები განალაგა იმ ძირითადი ისტორიული პროცესის მიხედვით, რომელიც მიმდინარეობდა განსახილველ პერიოდში — იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის დაშლის პერიოდში. პირველ ნაწილში შეტანილია აღმოსავლეთის ქვეყნები, რომლებიც სოციალისტურ ბანაკში შედიან; მეორე ნაწილში — აღმოსავლეთის ის ქვეყნები, რომლებიც მსოფლიო კაპიტალისტური მეურნეობის ეკონომიურ სისტემაში იმყოფებიან, მაგრამ არ შედიან აგრესიულ ბლოკებში და ბრძოლას აწარმოებენ ეროვნულ საფუძველზე თავიანთი ეკონომიკის გადასაყვანად; აქვეა განხილული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი აფრიკის კოლონიური ხალხებიც; მესამეში — სახელმწიფოები, რომლებიც აგრესიულ ბლოკებსა და კავშირებში შედიან და იმპერიალისტურ ქვეყნებზე არიან დამოკიდებული.

ავტორი ითვალისწინებდა წიგნის ცალკეულ ნაწილებში ქვეყნების განლაგების მის მიერ მიღებული პრინციპის საწინააღმდეგო მოსაზრებათა შესაძლებლობას, ვინაიდან რიგ შემთხვევაში გეოგრაფიული სახის პრინციპები ძლევდა, მაგრამ პოლიტიკური პრინციპის მიხედვით მასალების განლაგება ავტორს ყველაზე უფრო სწორად მიაჩნია.

ავტორის აზრით, ნარკვევები, რომლებსაც საფუძვლად დაედო მის მიერ წაკითხული ლექციების კურსი საზღვარგარეთის აღმოსავლეთის ქვეყნების უახლესი ისტორიის შესახებ, დამხმარე სახელმძღვანელოდ გამოდგება უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის საზღვარგარეთის აღმოსავლეთის ქვეყნების უახლესი ისტორიის კურსის გავლისას; ამასთან, იგი ინტერესს მოკლებული არ იქნება აგრეთვე პედაგოგთათვის, პროპაგანდისტებისათვის და ყველა საბჭოთა მკითხველისათვის, ვინც საერთაშორისო პრობლემებითაა დაინტერესებული და თვითგანვითარებას ეწევა.

წინამდებარე შრომას, ცხადია, ექნება ნაკლოვანებანი, ანიტომ მკითხველთა შენიშვნებს, წიგნის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, ავტორი კმაყოფილებით მიიღებს.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის დაშლა

„სოციალიზმის ძალების უდიდესმა განვითარებამ, — ნათქვამია სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის დეკლარაციაში,— სტიმული მისცა ანტიიმპერიალისტური ეროვნული მოძრაობის სწრაფ ზრდას ომისშემდგომ პერიოდში. უკანასკნელ 12 წელიწადში, გარდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა,— შეიდას მილიონზე მეტმა კაცმა აგრეთვე მოიშორა კოლონიური უღელი და შექმნა თავისი ეროვნული სუვერენული სახელმწიფოები. კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხები, რომლებიც ჯერ კიდევ მონობაში რჩებიან, აძლიერებენ ბრძოლას თავიანთი ეროვნული განთავისუფლებისათვის. სოციალიზმისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარებამ მკვეთრად დააჩქარა იმპერიალიზმის დაშლის პროცესი...

ის ქვეყნები, რომლებმაც კოლონიალიზმის უღელი მოიშორეს, იცავენ ბოპოვებულ დამოუკიდებლობას და იბრძვიან ეკონომიური დამოუკიდებლობის მიღწევისათვის, ხალხთა შორის მშვიდობისათვის. სოციალისტური სისტემის არსებობა, დახმარება, რომელსაც ამ ქვეყნებს სოციალიზმის ქვეყნები თანასწორუფლებიანობის საწყისებზე უწევენ, და სოციალისტურ ქვეყნებსა და მათ შორის თანამშრომლობა მშვიდობისათვის, აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში უადვილებს ამ ქვეყნების ხალხებს იმის შესაძლებლობას, რომ დაიცვან თავიანთი ეროვნული თავისუფლება და წინ წავიდნენ სოციალური პროგრესის გზით"[1].

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კოლონიალიზმის უღლისაგან განთავისუფლდა 1,4 მილიარდზე მეტი ადამიანი. ყოფილი კოლონიების ტერიტორიაზე მრავალი ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფო წარმოიშვა, რომელთა უმრავლესობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრია. იმ ქვეყნებში, რომლებიც ჯერ კიდევ კოლონიურ მდგომარეობაში იმყოფებიან, 150 მილიონი ადამიანი ცხოვრობს, ამათგან აზიის კოლონიებში 16 მილიონი ადამიანია, მაგრამ ისინიც კოლონიალიზმის წინააღმდეგ, თავიანთი ეროვნული დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად იბრძვიან.

წინასწარ ვერეტდა რა კოლონიური სისტემის დაშლის გარდუვალობას, ლენინი 1922 წელს წერდა: „ხვალინდელი დღე კი მსოფლიო ისტორიაში სწორედ ისეთი დღე იქნება, როდესაც საბოლოოდ გაიღვიძებენ გამოფხიზლებუ-

---

[1] დოკუმენტები კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირისა, სახელგამი, თბილისი, 1957 წ., გვ. 5—6.

ლი, იმპერიალიზმის მიერ დაჩაგრული ხალხები და როდესაც დაიწყება გადამწყვეტი, ხანგრძლივი და მძიმე ბრძოლა მათი განთავისუფლებისათვის"[1].

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა კოლონიალიზმის ჩასახვის პერიოდიდან დაიწყო. ჯერ კიდევ ტაიპინთა მოძრაობაში ჩინეთში და სიპაელთა აჯანყებაში ინდოეთში მარქსი და ენგელსი ხედავდნენ აზიის გამოფხიზლების პირველ ნიშნებს. 1850 წელს, ტაიპინთა აჯანყების დასაწყისში, მარქსი და ენგელსი წერდნენ: „...სასიხარულოა, რომ მსოფლიოში ყველაზე ძველი და ყველაზე მტკიცე იმპერია, ინგლისელი ბურჟუების ჩითის ფუთების ზეგავლენით, რვა წლის განმავლობაში აღმოჩნდა საზოგადოებრივი გადატრიალების წინაშე, რომელსაც, ყოველ შემთხვევაში, ცივილიზაციისათვის მეტად მნიშვნელოვანი შედეგები უნდა ექნეს. როდესაც ჩვენი ევროპელი რეაქციონერები ახლო მომავალში აზიისაკენ ლტოლვისას მიაღწევენ, დაბოლოს, ჩინეთის კედლებამდე, იმ კარიბჭემდე, რომელსაც არქიკონსერვატიულ ციხე-სიმაგრემდე მივყავართ, მაშინ, ვინ იცის, ხომ არ წააწყდებიან ისინი იქ წარწერას: „Republique chinoise, Liberté, Egalité, Fraternité" („ჩინეთის რესპუბლიკა თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა")."[2]

მაგრამ ეს აჯანყებები შუასაუკუნეობრივ ხასიათს ატარებდნენ. აღმოსავლეთი მაშინ კაპიტალიზმის უნიშვნელოვანეს რეზერვს წარმოადგენდა. აზიის ნამდვილი გამოფხიზლება დაიწყო უფრო გვიან, 1905 წლის რუსეთის რევოლუციის გავლენით.

„რუსეთის რევოლუციამ,— წერდა ვ. ი. ლენინი,— გამოიწვია მოძრაობა მთელს აზიაში. რევოლუციები თურქეთში, სპარსეთში, ჩინეთში ამტკიცებდნენ, რომ 1905 წლის ძლევამოსილმა აჯანყებამ ღრმა კვალი დატოვა და რომ მისი გავლენა, რომელიც აშკარავდება მრავალი ასეული მილიონი ადამიანის წინმსწრაფ მოძრაობაში, შეუძლებელია აღმოიფხვრას"[3].

1905—1907 წწ. რუსეთის რევოლუციამ უდიდესი როლი შეასრულა მასობრივ მოძრაობასთან ეროვნულ-რევოლუციური იდეების შეერთების საქმეში. ან დროისათვის აღმოსავლეთის ქვეყნებში მუშათა კლასი ჯერ კიდევ არ იყო გამოსული შეგნებული ბრძოლის სარბიელზე, მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა თავისი თავი შეცნობილი როგორც კლასი, ამიტომ მოძრაობის ხელმძღვანელობა ჯერ კიდევ ნაციონალური ბურჟუაზიის ხელში იყო. სწორედ ამ დროს გაიშალა ბოლოდროინდელი ასეთი გამოჩენილი რევოლუციონერ-დემოკრატებისა, როგორიც იყვნენ სუნ იატ-სენი ჩინეთში, ტილაკი ინდოეთში და სხვ. აზიის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის რუსეთის 1905—1907 წწ. რევოლუციის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ მან სტიმული მისცა დაქსაქსულობიდან საერთო-ეროვნულ ბრძოლაში გადასვლის საქმეს. და XX საუკუნის დასაწყისის ბურჟუაზიულ რევოლუციებში აღმოსავლეთის მოწინავე ხალხები სულ უფრო გამოდიოდნენ როგორც ბურჟუაზიული ერები, რომლებიც იწყებენ თავიანთი ეროვნული უფლებების შეგნებულ დაცვას.

შეისწავლა რა 1906 — 1912 წწ. პერიოდის ბურჟუაზიული რევოლუციები

---

[1] ვ. ი. ლენინი, წერილი ყრილობისადმი. ეროვნებათა საკითხისათვის ანუ „ავტონომიზაციის" შესახებ, თბილისი, სახელგამი, 1956, გვ. 30.

[2] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზ., ტ. VIII, 1956, გვ. 210—211 (რუსული გამოცემა).

[3] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 23. გვ. 331.

თურქეთში, სპარსეთსა და ჩინეთში, ვ. ი. ლენინმა გააკეთა დასკვნა იმის შესახებ, თუ რა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აღმოსავლეთში რევოლუციისათვის მოწინავე ქვეყნების მუშათა და გლეხთა კავშირს ჩამორჩენილი ქვეყნების დაჩაგრულ ხალხებთან, როგორც საკუთარი დესპოტების, ისე უცხოელი იმპერიალისტების წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს კავშირი განხორციელდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ.

* * *

„ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ უძლიერესი ლახვარი ჩასცა იმპერიალიზმის კოლონიურ სისტემას, — ამბობდა ნ. ს. ხრუშჩოვი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში პარტიის XX ყრილობაზე,—დიდი ოქტომბრის გავლენით კოლონიური ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა განსაკუთრებული ძალით გაჩაღდა, გაგრძელდა მთელ მომდევნო წლებში და გამოიწვია იმპერიალიზმის მთელი კოლონიური სისტემის ღრმა კრიზისი"[1].

იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის კრიზისი კაპიტალიზმის საერთო კრიზისის შემადგენელი ნაწილია. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ დასაბამი მისცა მსოფლიოს გაყოფას ორ მოპირდაპირე სისტემად. მან მძლავრი ბიძგი მისცა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობებს, რომელთა განვითარებამ გამოიწვია იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის დაშლის პროცესი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.

„ოქტომბრის რევოლუციის ქვემეხების ზალპმა, — წერდა მაო ძე-დუნი,— მარქსიზმ-ლენინიზმს გზა გაუკვლია ჩვენამდე. ოქტომბრის რევოლუცია დაეხმარა მთელი მსოფლიოს პროგრესულ ელემენტებსა და ჩინეთს — გამოეყენებინათ პროლეტარული მსოფლმხედველობა თავიანთი ქვეყნის ბედის გასარკვევად და თავიანთი საკუთარი პრობლემების გადასაწყვეტად. რუსების გზით სიარული— ასეთი იყო დასკვნა"[2].

პირველ ხანებში კომუნისტური პარტიები სუსტნი იყვნენ, და თუმცა მუშათა კლასი აქტიურად გამოდიოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობებში, ამ მოძრაობათა ხელმძღვანელობა ჯერ კიდევ ეროვნული ბურჟუაზიის ხელში იყო. ასე, მაგალითად, თურქეთის ეროვნული ბურჟუაზიის ხელმძღვანელობით მოხდა ქემალისტური რევოლუცია, რომელმაც თურქეთს ეროვნული დამოუკიდებლობა მოუტანა. გილიანში (ირანი) მოძრაობის ხელმძღვანელობა ბურჟუაზიული ნაციონალისტების ხელში იყო. ავღანეთში დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას ლიბერალურ მემამულეთა და მემამულური ინტელიგენციის ჯგუფი ხელმძღვანელობდა, რომელიც ნაწილობრივ ავღანეთის მზარდი საკაპრო ბურჟუაზიის ინტერესებსაც გამოხატავდა.

მაგრამ ქემალისტების ან ახალავღანელების გამარჯვება შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმიტომ, რომ მეფის რუსეთის ადგილზე უკვე არსებობდა საბჭოთა სახელმწიფო, რომლისთვისაც უცხო იყო იმპერიალისტური ზრახვები და რომელიც გამოდიოდა ჩაგრულ ხალხთა დამცველის კეთილშობილურ როლში.

---

[1] ნ. ს. ხრუშჩოვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება პარტიის XX ყრილობასა, თბილისი, სახელგამი, 1956, გვ. 27.

[2] მაო ძე-დუნი, სახალხო დემოკრატიის დიქტატურის შესახებ, მოსკოვი, სახელმწიფო პოლიტგამომცემლობა, 1949, გვ. 5—6 (რუსული გამოცემა).

რამდენადაც ბურჟუაზიული ნაციონალისტები გამოდიოდნენ ჩაგრული ქვეყნების დამოუკიდებლობისათვის, საბჭოთა რუსეთი მხარს უჭერდა მათ ბრძოლას. ვ. ი. ლენინი ამბობდა: „ჩაგრული ერის ყოველ ბურჟუაზიულ ნაციონალიზმში არის საერთო-დემოკრატიული შინაარსი ჩაგვრის წინააღმდეგ, და აი ამ შინაარსს ჩვენ უპირობოდ ვუჭერთ მხარს“...[1]

მეორე მსოფლიო ომში ფაშისტური გერმანიისა და იმპერიალისტური იაპონიის განადგურება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი აღმავლობის გადამწყვეტი ფაქტორი გახდა კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში. იწყება იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის დაშლის პროცესი. ფაშისტურ ძალებზე დემოკრატიული ძალების გამარჯვებამ ჩაგრული ქვეყნების ხალხებს თავიანთი განთავისუფლების შესაძლებლობის რწმენა ჩაუნერგა.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობას ხელს უწყობდნენ აღმოსავლეთის ქვეყნებში მომხდარი სოციალურ-ეკონომიური ძვრები მეორე მსოფლიო ომის მსვლელობაში და მის შემდეგ. შეწყდა სურსათისა და ფართო მოხმარების საგნების შეტანა კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში, ამან კი ბიძგი მისცა ეროვნული მრეწველობის განვითარებას. გაიზარდა მეტროპოლიების მოთხოვნა სამხედრო-სტრატეგიულ ნედლეულზე, რამაც გამოიწვია მომპოვებელი და ნედლეულის მრეწველობის განვითარება კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში. ამასთან დაკავშირებით გაიზარდა პროლეტარიატი. გლეხობის დიფერენციაციის პროცესში გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო პროლეტარიატი. მოღონიერდა ეროვნული ბურჟუაზია.

მეორე მსოფლიო ომის დროს უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში აღმოსავლეთის ხალხთა ფართო მასების აქტიურმა მონაწილეობამ, ამამაღლა რა მასების შეგნებულობა, უძლეველ ძალად აქცია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც ანადგურებს იმპერიალიზმის კოლონიურ სისტემას. იმ ქვეყნებში, რომლებიც ფაშისტური აგრესიის მსხვერპლნი გახდნენ, საბჭოთა არმიის ისტორიულ გამარჯვებათა გავლენით წარმოიშვა ერთიანი ეროვნული ანტიიმპერიალისტური ფრონტი, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ მუშები, გლეხები, ქალაქის ღარიბი მოსახლეობა, წვრილი ბურჟუაზია, ეროვნული ბურჟუაზიის პატრიოტული ნაწილი და ინტელიგენცია. ჩინეთის, კორეისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ხალხთა ფართო მასები მონაწილეობდნენ იაპონელების წინააღმდეგ წარმოებულ განმათავისუფლებელ ომში.

იაპონიის კაპიტულაციის შემდეგ ძველი კოლონიური სახელმწიფოები შეეცადნენ ძალით აღედგინათ წინანდელი პოზიციები თავიანთ ყოფილ კოლონიებში (ჰოლანდია — ინდონეზიაში, საფრანგეთი — ინდოჩინეთში, ინგლისი — ბირმასა და მალაიაში, ამერიკის შეერთებული შტატები — ფილიპინის კუნძულებზე). მაგრამ აღმოსავლეთის ქვეყნების ხალხებს იმისათვის კი არ უწარმოებიათ ბრძოლა იაპონელ დამპყრობთა წინააღმდეგ, რომ იაპონიის დამარცხების შემდეგ საკუთარ კისერზე დაესვათ თავიანთი წინანდელი მჩაგვრელები. ხალხები ჩაებნენ ხანგრძლივ შეიარაღებულ ბრძოლაში კოლონიზატორების წინააღმდეგ.

კაპიტალიზმის საერთო კრიზისის მეორე ეტაპზე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მთავარი ნიშანი, პირველი ეტაპისაგან განსხვავებით, ის იყო, რომ ეს მოძრაობა მიმდინარეობდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საერ-

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 20, გვ. 504.

თაშორისო ასპარეზზე ძალთა თანაფარდობის ძირეული ცვლილებების პირობებში სოციალიზმის სასარგებლოდ და კაპიტალიზმის საზიანოდ. მსოფლიო სისტემად სოციალიზმის გადაქცევა აღაფრთოვანებდა დამონებულ ხალხებს კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

მთელ რიგ ქვეყნებში პროლეტარიატი და მისი კომუნისტური პარტიები სათავეში ჩაუდგნენ ბრძოლას იმპერიალიზმისა და შინაგანი რეაქციის წინააღმდეგ (ჩინეთი, კორეა, ვიეტნამი, მალაია). ეს იყო საკუსებით კანონზომიერი მოვლენა, ვინაიდან კომუნისტები იაპონელი დამპყრობლების წინააღმდეგ მებრძოლთა პირველ რიგებში იდგნენ და მათ ხალხთა მასების სიყვარული და ნდობა მოიპოვეს. ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის ერთადერთი ბოლომდე თანმიმდევრული მებრძოლის — პროლეტარიატის ხელმძღვანელობამ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას სახალხო დემოკრატიისათვის ბრძოლის ხასიათი მისცა.

სახალხო დემოკრატიისათვის ბრძოლის ბრწყინვალე მაგალითს წარმოადგენდა ბრძოლა ჩინელი ხალხისა, რომელმაც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით უსასტიკესი დამარცხება აგვმა იმპერიალიზმს. ჩინეთის ხალხის გამარჯვებამ ბიძგი მისცა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას სხვა ქვეყნებში. ეს შესაძლებელი გახდა საბჭოთა ქვეყნის მხარდაჭერისა და იაპონიაზე გამარჯვების საქმეში საბჭოთა არმიის გადამწყვეტი როლის გამო. ამ გარემოებამ, თავის მხრივ, განაპირობა კოლონიური სისტემის შემდგომი დაშლა, როგორც, მაგალითად, კორეის ხალხის გამარჯვება, ვიეტნამის ხალხის გამარჯვება. ჩინეთის ხალხის გამარჯვებამ ხელი შეუწყო საბელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განმტკიცებას ბირმაში, ინდონეზიაში, ცეილონში, ინდოეთსა და სხვა ქვეყნებში. მან გაელენა მოახდინა აგრეთვე არაბეთის ქვეყნებში ეროვნული განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობაზე.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თავისებურებას კაპიტალიზმის საერთო კრიზისის მეორე ეტაპზე წარმოადგენს ის, რომ არასოდეს წინათ ხალხთა შეგნებაში არ ყოფილა კაპიტალიზმის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლაში ერთიანი მოქმედების აუცილებლობის ისეთი რწმენა, როგორც ამას ადგილი აქვს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ასე, მაგალითად, ჩინეთის ხალხის ისტორიული ბრძოლა შინაგანი რეაქციისა და უცხოელი იმპერიალისტების წინააღმდეგ მიმდინარეობდა სხვა ხალხების მხრივ ღრმა თანაგრძნობისა და მხარდაჭერის პირობებში. აზიის სახელმწიფოთა მთავრობები, გარდა ორი-სამი მთავრობისა, არ გამოხმაურებიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (ფაქტიურად ამერიკის შეერთებული შტატების) მოწოდებას — მიეშველებინათ თავიანთი შეიარაღებული ძალები კორეელი ხალხის საწინააღმდეგოდ ამერიკელ გენერალ მაკარტურისათვის. ჩინელი მოხალისეების მხრივ კორეელებისადმი ძმური დახმარების აღმოჩენამ გადამწყვეტი როლი შეასრულა მაკარტურის არმიის განადგურებისა და კორეაში სისხლისღვრის შეწყვეტის საქმეში. აზიისა და აფრიკის ქვეყნების ხალხები, ისე როგორც ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი, ღრმა გულისწყრომით შეხვდნენ ფრანგ კოლონიზატორთა საომარ მოქმედებას ინდო-ჩინეთში და ინგლისელი კოლონიზატორებისას — მალაიაში. აზიისა და არაბეთის სახელმწიფოთა ჯგუფს არაერთხელ მიუმართავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეისა და უშიშროების საბჭოსათვის საფრანგეთის მკაცრი კოლონიზატორული პოლიტიკის წინააღმდეგ ტუნისში, მაროკოსა და ალჟირში.

აზიისა და აფრიკის ხალხების სოლიდარობა მკაფიოდ იქნა დემონსტრირებული ბანდუნგის, კაიროს და ტაშკენტის კონფერენციებზე, რომლებმაც ერთსულოვნად მიიღეს რეზოლუცია კოლონიალიზმის წინააღმდეგ და სოლიდარობა გამოუცხადეს მშვიდობიანი თანაარსებობის ხუთ პრინციპს, როგორც სახელმწიფოთა ურთიერთობის საფუძველს.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე მეტროპოლიების მშრომელებსა და კოლონიების ხალხებს შორის დამკვიდრებული კავშირი იმ ბრძოლაში, რომელსაც დამოუკიდებლობისათვის ეწევიან კოლონიის ხალხები. ვიეტნამის ხალხის მიერ ფრანგ კოლონიზატორთა წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლას მხურვალედ დაუჭირეს ხელი მარსელისა და ტულონის მეზღვაურებმა და დოკერებმა. ტულონის მეზღვაურის ანრი მარტენის სახელს, რომელმაც უარი განაცხადა ვიეტნამის ხალხის წინააღმდეგ ბრძოლაზე, და რაიმონდა დიენის სახელს, რომელიც ლიანდაგზე გაწვა ტურში, რათა ხელი შეეშალა ვიეტნამში გასაგზავნი ტანკებით დატვირთული მატარებლის გავლისათვის, ფრანგი პატრიოტები ისეთსავე პატივს სცემენ, როგორც ეროვნული გმირების სახელებს. ინგლისელი კოლონიზატორების წინააღმდეგ წარმოებულმა მალაელი ხალხის ბრძოლამ ფართო მხარდაჭერა პოვა ლონდონის ნავსადგურის მუშებს შორის.

იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის დაშლით დიდ სარგებლობას ნახულობს მეტროპოლიების მოსახლეობა როგორც ეკონომიურად, ისე პოლიტიკურად. ჯერ ერთი, ყოფილი კოლონიების ეროვნული აღორძინება დიდ შესაძლებლობებს ქმნის მეტროპოლიებისათვის სამრეწველო ნაწარმთა ექსპორტის გასადიდებლად და, მაშასადამე, ხელს უწყობს მეტროპოლიის მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის აღმავლობას. ასე, მაგალითად, ინგლისის ვაჭრობა ინდოეთსა და პაკისტანთან რამდენიმეჯერ გადიდდა მას შემდეგ, რაც განთავისუფლდნენ ეს კოლონიები. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა ემბარგოს პირობებშიც კი უფრო ფართო ვაჭრობას აწარმოებს სხვა ქვეყნებთან, ვიდრე ამას თავის დროზე აწარმოებდა მთელი გომინდანური ჩინეთი. მეორეც, იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის დაშლას თან მოაქვს გაბატონებული ერისათვის კაპიტალისტური მონობისაგან განთავისუფლების ელემენტები, ვინაიდან შეუძლებელია თავისუფალი იყოს ის ხალხი, რომელიც ჩაგრავს სხვა ხალხებს.

იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის დაშლა, რაც პოლიტიკურად დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აქცევს ყოფილ კოლონიებსა და ნახევრად კოლონიებს, ამ ქვეყნების ხალხთა წინაშე შლის დამოუკიდებელი ეროვნული ეკონომიკის შექმნის, მშრომელთა საარსებო დონის ამაღლებისა და ეროვნული კულტურის განვითარების შესაძლებლობებს.

ამჟამად, აღმოსავლეთის ქვეყნები თავიანთი ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობის მიხედვით შეიძლება დაიყოს 4 ჯგუფად:

1. სახელმწიფოები, რომლებიც სავსებით განთავისუფლდნენ როგორც კოლონიური, ისე სოციალური ჩაგვრისაგან და მტკიცედ დაადგნენ სოციალიზმის მშენებლობის გზას და სოციალიზმის ბანაკში შედიან: ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა.

2. სახელმწიფოები, რომლებმაც პოლიტიკური დამოუკიდებლობა მოიპოვეს, დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას აწარმოებენ და დამოუკიდებელი ეროვნული ეკონომიკის შესაქმნელად იბრძვიან: ინდოეთი, ინდონეზია, ბირმა, ავღანეთი, არაბეთის სახელმწიფოები, ცეილონი, ნეპალი, კამბოჯა და სხვ.

3. სახელმწიფოები, რომლებიც სუვერენული არიან, მაგრამ იმპერიალისტების მიერ ჩათრეულია აგრესიულ სამხედრო ბლოკებში და ამით დამოკიდებულნი არიან მათგან: თურქეთი, ირანი, პაკისტანი, ტაილანდი, ფილიპინები.

4. ქვეყნები და ტერიტორიები, რომლებიც ჯერ კიდევ კოლონიურ დამოკიდებულებაში რჩებიან: აფრიკის კონტინენტზე — ტანგანიკა, კენია, უგანდა, როდეზია და სხვ.; ამერიკის კონტინენტზე — პუერტორიკო, ბერმუდის, ვირგინის, ფოლკლენდისა და ბაგამის კუნძულები, გვიანა, ტრინიდადი; აზიის კონტინენტზე — ადენი, გოა და სხვ.

• • •

საბჭოთა სახელმწიფო თავისი არსებობის პირველი დღეებიდანვე მტკიცედ და თანმიმდევრულად გამოდიოდა კოლონიალიზმის წინააღმდეგ. მან გააუქმა ყველა ის არათანასწორუფლებიანი შეთანხმებანი, რომლებიც მეფის რუსეთს ჰქონდა დადებული აღმოსავლეთის ქვეყნებთან, და უარი განაცხადა მეფის რუსეთის მიერ ჩინეთსა და ირანზე თავზე მოხვეულ კონცესიებზე. საბჭოთა მთავრობამ პირველმა ცნო აღიანეთის დამოუკიდებლობა, მან დახმარება აღმოუჩინა თურქეთის ხალხს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა კავშირმა პირველმა ცნო საუდის არაბეთი როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო; მან მხარი დაუჭირა იემენის, სირიისა და ლიბანის ხალხთა ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საბჭოთა კავშირი ყოველთვის გამოდიოდა ინდოეთისა და სხვა ქვეყნების დასაცავად, როდესაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ისეთი საკითხები წყდებოდა, რაც ამ ქვეყნებში კოლონიური რეჟიმის ლიკვიდაციასთან იყო დაკავშირებული. სსრ კავშირი უშიშროების საბჭოში ინდონეზიის ხალხის დამოუკიდებლობას იცავდა. და დღემდე საბჭოთა კავშირი აწარმოებს ბრძოლას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის უფლების აღსადგენად. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან ერთად საბჭოთა კავშირმა გადამწყვეტი როლი შეასრულა კორეაში დაზავების საქმეში და ინდოჩინეთში საომარ მოქმედებათა შეწყვეტის საკითხში.

გაერთიანებულ ერების ორგანიზაციაში საბჭოთა წარმომადგენლები უცვლელად უჭერდნენ მხარს არაბეთისა და აზიის ქვეყნების მოთხოვნებს ჩრდილოეთ აფრიკის ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ.

საბჭოთა კავშირი მამაცურად გამოვიდა სუეცის არხზე ეგვიპტის სუვერენული უფლებების დასაცავად; მან მოითხოვა აგრესორთა ჯარების გაყვანა ეგვიპტიდან და გადამჭრელი როლი შეასრულა ეგვიპტის, აგრეთვე სირიის, ერაყისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წინააღმდეგ აგრესიის აღკვეთის საკითხში. საბჭოთა კავშირმა სასტიკად დაგმო იმპერიალისტთა ცდები სირიაში სახელმწიფო გადატრიალების მოხდენისა, ასევე დაგმო მან ინგლისის აგრესია ომანის წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირის მთავრობა გოას საკითხში გამოვიდა ინდოეთის ხალხთა სასარგებლოდ, როდესაც ქაშმირის საკითხი წყდებოდა — ქაშმირის სასარგებლოდ, პუშტუნისტანის პრობლემის მოწესრიგებისას საბჭოთა მთავრობა ფიქრობს, რომ ეს პრობლემა ამ ქვეყანაში მოსახლე ხალხთა სასიცოცხლო ინტერესების მხედველობაში მიღებით უნდა გადაწყდეს.

ახლო და შუა აღმოსავლეთის რაიონში მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფისა და ურთიერთნდობის ატმოსფეროს შექმნის მიზნით საბჭოთა მთავრობამ

1957 წლის თებერვალში წინადადება მისცა ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებს ეკისრათ ვალდებულება, რათა თავიანთ პოლიტიკაში ახლო და შუა აღმოსავლეთში გაატარონ შემდეგი პრინციპები: მშვიდობიანობის შენარჩუნება; საშინაო საქმეებში ჩაურევლობა; დიდ სახელმწიფოთა მონაწილეობით სამხედრო ბლოკებში ამ ქვეყნების ჩაბმის ყოველგვარი ცდისაგან ხელის აღება; ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების ტერიტორიაზე იმპერიალისტური ქვეყნების ბაზების ლიკვიდაცია და უცხო სახელმწიფოთა ჯარების გაყვანა ამ ტერიტორიებიდან; უარის თქმა ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის იარაღის მიწოდებაზე; ხელისშეწყობა ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების ეკონომიური განვითარებისათვის რაიმე პოლიტიკური, სამხედრო ან სხვა რომელიმე პირობების წაყენების გარეშე, რაც შეუთავსებელია ამ ქვეყნების ღირსებასა და სუვერენიტეტთან.

თუ საბჭოთა სახელმწიფოს შექმნის შემდეგ პირველ ხანებში აღმოსავლეთის ქვეყნებისადმი საბჭოთა კავშირის მხრივ გაწეული დახმარება პოლიტიკურ ან მორალურ ხასიათს ატარებდა, ახლა, ცხადია, მძლავრ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ მის გადაქცევასთან დაკავშირებით წარმოიშვა იმის შესაძლებლობა, რომ აღმოსავლეთის ხალხებს ძლიერი ეკონომიური დახმარებაც გაეწიოს. მარტო ერთი ხუთწლედის განმავლობაში საბჭოთა კავშირმა დახმარება აღმოუჩინა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას 156 საწარმოსა და 21 ცალკეული საამქროს მშენებლობაში, რომელთა მოწყობილობის საერთო ღირებულება 5.600 მილიონ მანეთამდე აღწევს. 1956 წლის აპრილში ახალი შეთანხმების საფუძველზე საბჭოთა კავშირმა ვალდებულება იკისრა დაეხმაროს ჩინეთს კიდევ 55 ახალი საწარმოს მშენებლობაში. 1959 წლის თებერვალში სსრ კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის ხელმოწერილ იქნა ახალი შეთანხმება ჩინეთში 78 მსხვილი საწარმოო მშენებლობისათვის ტექნიკური დახმარების აღმოჩენის შესახებ მიწოდებათა 5 მილიარდი მანეთის საერთო ღირებულებით. დიდი ეკონომიური დახმარება აღმოუჩინა საბჭოთა კავშირმა აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებსაც.

საბჭოთა კავშირის მიერ გაწეულ ეკონომიურ დახმარებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კოლონიალიზმის წინააღმდეგ აღმოსავლეთის ქვეყნების ბრძოლისათვის. წინათ, როდესაც იმპერიალიზმი ყოვლის მომცველ მსოფლიო სისტემას წარმოადგენდა, კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებს შეეძლოთ მხოლოდ იმპერიალისტური სახელმწიფოებისაგან მიეღოთ კაპიტალი ისეთ პირობებში, რაც პოლიტიკურად კაბალურ მდგომარეობაში აყენებდა ამ ქვეყნებს. კაპიტალის მიღების სხვა წყარო მათ არ გააჩნდათ. მას შემდეგ, რაც წარმოიშვნენ სოციალისტური სახელმწიფოები, აღმოსავლეთის ქვეყნებს საშუალება მიეცათ სოციალიტური ქვეყნებიდან მიეღოთ ეკონომიური, კულტურული და ტექნიკური დახმარება თანასწორობისა და ურთიერთსარგებლიანობის საფუძველზე. ამ გარემოებამ პრინციპული ცვლილებები შეიტანა აღმოსავლეთის ქვეყნების ობიექტურ მდგომარეობაში კოლონიალიზმის წინააღმდეგ მათი ბრძოლის საკითხთან დაკავშირებით. როგორც აღნიშნა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის მოხსენებაში პარტიის XXI ყრილობაზე, შვიდწლიანი გეგმა ახალ შესაძლებლობას შლის ტექნიკურად სუსტად განვითარებულ ქვეყნებთან საბჭოთა კავშირის ეკონომიური თანამშრომლობისათვის.

საბჭოთა კავშირი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და ანიჭებს სუსტად განვი-

თარეხული ქვეყნებისათვის ტექნიკური დახმარების აღმოჩენას და მათი ეროვნული კადრების მომზადების საკითხს. ამიტომ საბჭოთა კავშირმა თავის უმაღლეს და საშუალო ტექნიკურ და ეკონომიურ სასწავლებლებში 1956—1957 სასწავლო წლიდან 200 სტიპენდია დაუთმო აზიისა და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებიდან ჩამოსულ სტუდენტებს. საბჭოთა კავშირი აქტიურად მონაწილეობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალური ფონდის შექმნაში, რომელიც განკუთვნილი იქნება მრეწველობის მხრივ სუსტად განვითარებული ქვეყნების ეკონომიური გაძლიერებისათვის. ამასთან ერთად აზიისა და შორეულ აღმოსავლეთის ქვეყნების თავრობათა თხოვნით საბჭოთა კავშირი უგზავნის ამ ქვეყნებს თავის ექსპერტებს ტექნიკური დახმარების აღმოსაჩენად.

საბჭოთა კავშირის მხრივ გაღებული უანგარო დახმარება კოლონიზატორთა „დახმარების" სრულ კონტრასტს წარმოადგენს. ეს უკანასკნელი იმათთვის, ვინც მას ღებულობს, დაკავშირებულია გამაღლებულ შეიარაღებასთან, სამხედრო ბლოკებში შესვლასთან და იმპერიალისტური მონოპოლიებისათვის ისეთი წელოვათების მინიჭებასთან, რაც ანადგურებს „დახმარების" მიმღებ ქვეყნებს.

„ჩვენ არ ველაპარაკებით აზიის ხალხებს: ნუ აიღებთ იმ დახმარებას, რასაც თქვენ გთავაზობენ ამერიკისა და ინგლისის მონოპოლისტები, — ამბობდა ნ. ს. ხრუშჩოვი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიაზე.—მაგრამ ჩვენ ხშირად ვაფრთხილებთ მათ, რომ საჭიროა სიფრთხილის გამოჩენა ამგვარი „დახმარების" მიმართ, იმიტომ, რომ მონოპოლისტები უფასოდ არაფერს იძლევიან"[1].

* * *

კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ავანგარდში გამოდიან საბჭოთა კავშირის, ჩინეთისა და ინდოეთის ხალხები. ჯერ კიდევ 1923 წელს ვ. ი. ლენინი წინასწარმეტყველურად მიუთითებდა, რომ მსოფლიო ბრძოლის დასასრული, საბოლოო ანგარიშით, დამოკიდებულია იმაზე, რომ რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი და სხვა ქვეყნები, რომლებიც დედამიწის მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ, არაჩვეულებრივი სისწრაფით ებმებიან თავიანთი განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. „...ასე რომ,— დასკვნიდა ლენინი,— ამ მხრივ არავითარ ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, თუ როგორ გადაწყდება საბოლოოდ მსოფლიო ბრძოლა. ამ აზრით სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება საესებით და უცილობლად უზრუნველყოფილია"[2].

ახლა ყველასათვის ნათელია, რომ არც ერთი სერიოზული პრობლემა აზიაში, ისე როგორც მთელ მსოფლიოში, არ შეიძლება გადაჭრილ იქნეს არა თუ სსრ კავშირის მონაწილეობის გარეშე, არამედ ჩინეთისა და ინდოეთის მონაწილეობის გარეშეც.

ღრმა ცვლილებები მოხდა აღმოსავლეთში. აზიისა და აფრიკის დამოუკიდებელი ქვეყნები აშენებენ თავიანთ, უცხო სახელმწიფოებისაგან დამოუკიდებელ სახელმწიფოებს და ისწრაფვიან განავითარონ თავიანთი ძველი მდიდარი კულტურა.

---

[1] „პრავდა", 30 დეკემბერი, 1955 წ.
[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 592.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა

ჩინეთის კომუნისტური პარტია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სათავეში. პირველი და მეორე საოლქალაძო რევოლუციური ომები. ომი იაპონელ დამპყრობთა წინააღმდეგ

„დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ჩინეთის სახალხო რევოლუცია და ჩინეთის რესპუბლიკის შექმნა ყველაზე თვალსაჩინო მოვლენაა, რომელმაც უდიდესი ზემოქმედება მოახდინა აღმოსავლეთის ქვეყნების განმათავისუფლებელი ბრძოლის განვითარებაზე და მსოფლიო ისტორიის მთელ მსვლელობაზე"[1].

პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და მშრომელთა სოციალური განთავისუფლებისათვის საჭირო გახდა ჩინელი ხალხის საუკუნეობრივი ბრძოლა უცხოელ და შინაურ მჩაგვრელთა წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში მთელი სისრულით გამოვლინდა ჩინელი ხალხის ისტორიული ტრადიციები — მისწრაფება თანასწორობისა და თავისუფლებისაკენ. მაგრამ ბრძოლა გამარჯვებით მხოლოდ მაშინ დამთავრდა, როდესაც დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ უძლიერესი ლახვარი ჩასცა იმპერიალიზმის კოლონიურ სისტემას, როდესაც ჩინელი ხალხის ბრძოლა გაიშალა მარქსიზმ-ლენინიზმის დროშის ქვეშ, როდესაც ბრძოლას სათავეში ჩაუდგა ჩინეთის კომუნისტური პარტია.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდგომი პერიოდის რევოლუციური მოძრაობა ჩინეთში ორ ეტაპად იყოფა: ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ეტაპად და სოციალისტური რევოლუციის ეტაპად.

ჩინეთის რევოლუციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თავისებურება ის არის, რომ მისი პირველი, დემოკრატიული, ეტაპი წარმოადგენდა არა ჩვეულებრივ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას, როგორიც ხდებოდა მანამდე დასავლეთ ევროპაში, არამედ განსაკუთრებულ, ახალდემოკრატიულ რევოლუციას, რომელსაც თავისებური ეკონომიური და პოლიტიკური ამოცანები ჰქონდა; ეს რევოლუცია მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის ნაწილს წარმოადგენდა.

ახალდემოკრატიული რევოლუცია ჩინეთის საზოგადოების ნახევრად ფეოდალური, ნახევრად კოლონიური განვითარების მატერიალური პირობებიდან აღმოცენდა: მას თავის უშუალო ობიექტურ საფუძვლად ორი ღრმა ეკონომიური წინააღმდეგობა ედო: პირველი — წინააღმდეგობა საწარმოო ძალთა განვითარებასა და ფეოდალიზმის გადანაშთებს შორის; მეორე — ეროვნულ ეკონომიურ განვითარებასა და უცხოეთის იმპერიალიზმს შორის. ამიტომაც ჩინეთში

[1] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმებიდან ჩინეთის კომუნისტური პარტიის მერვე სრულიად ჩინეთის ყრილობისადმი.

დემოკრატიული რევოლუციის არსი გულისხმობს რევოლუციური მოძრაობის ორი ნაკადის შეერთებას: ანტიფეოდალური და ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობისა, რაც მემამულეთა წინააღმდეგ იყო მიმართული, და ანტიიმპერიალისტური ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა, რაც უცხოეთის მონოპოლიებისა და ბიუროკრატიული კაპიტალის წინააღმდეგ იყო მიმართული.

ამ ამოცანის განხორციელება შეეძლო მხოლოდ ჩინეთის პროლეტარიატს, გლეხობას, წვრილ ბურჟუაზიასა და სხვა კლასების წარმომადგენლებს, რომლებსაც უნარი ჰქონდათ ებრძოლათ იმპერიალიზმის, ფეოდალიზმისა და ბიუროკრატიული კაპიტალის წინააღმდეგ. „რევოლუციის ძირითად ძალას,— ამბობდა მაო ძე-დუნი,— მუშები და გლეხები წარმოადგენენ, ხოლო რევოლუციის ხელმძღვანელია მუშათა კლასი. რევოლუციის ამ ძირითადი ძალისა და მუშათა კლასის ხელმძღვანელობის გარეშე ანტიიმპერიალისტური და ანტიფეოდალური დემოკრატიული რევოლუციის დაგვირგვინება შეუძლებელია"[1].

რევოლუციის პირველი ეტაპის მთავარი მიზანი ის იყო, რომ იმპერიალიზმისა და ფეოდალიზმის დამხობის შემდეგ შექმნილიყო არა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული, არამედ ახალდემოკრატიული საზოგადოება, რომელიც უზრუნველყოფდა სოციალიზმისაკენ ჩინეთის განვითარების გზას.

დაბოლოს, როგორც ჩინეთის ახალდემოკრატიული რევოლუციის თავისებურება, უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ჩინეთის მეზობლად არსებობდა საბჭოთა კავშირი, რომლის რევოლუციურ გამოცდილებასა და უანგარო დახმარებაზე დაყრდნობა შეეძლოთ ჩინეთის მშრომელებს.

მუშათა კლასისა და ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ახალდემოკრატიული რევოლუცია გამარჯვებით დაგვირგვინდა 1949 წელს, და ჩინეთის რევოლუცია შეეიდა სოციალისტური რევოლუციის ეტაპში.

ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია ჩინეთში დაიწყო 1919 წლის „4 მაისის მოძრაობით" და დამთავრდა 1949 წელს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნით. იგი 4 პერიოდისაგან შედგებოდა: 1) პირველი სამოქალაქო რევოლუციური ომი (1924 — 1927 წწ.); 2) მეორე სამოქალაქო რევოლუციური ომი (1927—1937 წწ.); 3) ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომი იაპონელ დამპყრობთა წინააღმდეგ (1937—1945 წწ.) და 4) მესამე სამოქალაქო რევოლუციური ომი (1946 წლიდან სახალხო რევოლუციის გამარჯვებამდე —1949 წლამდე). რევოლუციის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი იყო ჩინეთის კომუნისტური პარტია.

ჩინეთის კომუნისტური პარტია დაარსდა 1921 წლის 1 ივლისს. პარტიის პირველ ყრილობას დაესწრო 12 დელეგატი, რომელნიც პარტიის 50 წევრს წარმოადგენდნენ. ყრილობამ მიიღო კომუნისტური პარტიის წესდება და აირჩია პარტიის ცენტრალური ორგანოები.

მეორე ყრილობა შედგა 1922 წლის მაისში. მან შეიმუშავა მანიფესტი, რომელშიც განსაზღვრული იყო პროგრამა-მაქსიმუმი და პროგრამა-მინიმუმი. პროგრამა-მინიმუმი ითვალისწინებდა სახალხო ხელისუფლების განმტკიცებას, იმპერიალისტურ სახელმწიფოთა პრივილეგიების ლიკვიდაციას, ბიუროკრატიული კაპიტალის ნაციონალიზაციას და მიწის რეფორმის განხორციელებას.

1923 წლის ივნისში შედგა ჩინეთის კომუნისტური პარტიის მესამე ყრი-

---

[1] Мао Цзэ-дун, Избр. произведения, т. 3, стр. 10—11.

ლობა, რომელმაც რევოლუციის ინტერესების თვალსაზრისით შესაძლოდ ცნო გომინდანის გარდაქმნა მუშების, გლეხების, წვრილი ბურჟუაზიისა და ეროვნული ბურჟუაზიის რევოლუციურ კოალიციად. ამ დროისათვის სუნ იატ-სენის რევოლუციურ დემოკრატიულ შეხედულებათა განვითარებამ ბაზა შექმნა კომუნისტებისა და სუნ იატ-სენის მომხრეების თანამშრომლობისათვის. ერთიანი ფრონტის შექმნამ მნიშვნელოვნად დააჩქარა რევოლუციის განვითარება ჩინეთში. შევიდა რა გომინდანთან ერთიან ფრონტში, ჩინეთის კომუნისტურმა პარტიამ შეინარჩუნა თავისი პოლიტიკური დამოუკიდებლობა და მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებისადმი ერთგულება.

1924 წელს ჩინეთის კომუნისტური პარტიის მონაწილეობით კანტონში მიმდინარეობდა გომინდანის სრულიად ჩინეთის პირველი ყრილობა, რომელმაც დასახა გომინდანის რეორგანიზაციისა და რევოლუციურ პარტიად ძისი გარდაქმნის კონკრეტული ღონისძიებები. კომუნისტური პარტიისა და გომინდანის თანამშრომლობამ გააქტიურა სუნ იატ-სენის, გომინდანის მემარცხენე ფრთისა და მთელი ჩინელი ხალხის ბრძოლა იმპერიალისტების, ფეოდალებისა და გომინდანის შიგნით მათი აგენტების — მემარჯვენე ელემენტების წინააღმდეგ. ჩინეთის კომუნისტური პარტიის ინიციატივით კანტონში შეიქმნა რევოლუციური მთავრობა. მთელ ჩინეთში გაიშალა მოძრაობა ეროვნული კრების მოსაწვევად და არათანასწორუფლებიან ხელშეკრულებათა გასაუქმებლად.

1925 წლის იანვარში შემდგარმა ჩინეთის კომუნისტური პარტიის IV ყრილობამ გადაწყვიტა ახალი რევოლუციური აღმავლობისათვის პარტიის ორგანიზაციული მომზადების საკითხები.

1925 წლის მაისში შანხაის მუშების გრანდიოზული გაფიცვით, რომელიც მთელ ქვეყანას მოედო, დაიწყო პირველი სამოქალაქო რევოლუციური ომი ჩინეთში, რომელმაც გაიარა საერთო ნაციონალური გაერთიანებული ფრონტის რევოლუციის პერიოდი და ფეხი შედგა თავისი განვითარების მეორე ეტაპში, აგრარული რევოლუციის პერიოდში. პირველ ეტაპზე რევოლუციას უღალატა ეროვნულმა ბურჟუაზიამ (გომინდანის მემარჯვენე ფრთა), მეორეზე — წვრილმა ბურჟუაზიამ (გომინდანის მემარცხენე ფრთა). ბურჟუაზიული ელემენტების წინააღმდეგობრივი პოზიცია განისაზღვრებოდა მათი შიშით ხალხის წინაშე და რევოლუციის გაღრმავების წინაშე. 1927 წლის 11 დეკემბერს გამოცხადებული კანტონის კომუნა, რომელმაც მხოლოდ სამ დღეს იარსება, განადგურებულ იქნა. დადგა რევოლუციური ბრძოლის დაცემის პერიოდი, რომელიც 1929 წლის ბოლომდე გაგრძელდა.

1927 წლის აპრილში იმპერიალისტებისა და შინაგანი რეაქციის წინააღმდეგ ღაძაბული ბრძოლის მომენტში, როდესაც გომინდანის მემარჯვენე ფრთამ უღალატა რევოლუციას, შედგა ჩინეთის კომუნისტური პარტიის V ყრილობა. ყრილობამ, მართალია, დაგმო პარტიის ხელმძღვანელობის მემარჯვენე ოპორტუნისტული ხაზი ჩენ დუ-სიუს მეთაურობით, რომელიც უკან ეიჩანჩალებდა გომინდანის ხელმძღვანელობას, მაგრამ დატოვა იგი გენერალური მდივნის პოსტზე. ყრილობამ მიიღო კომუნისტური ინტერნაციონალის VII გაფართოებული პლენუმის მითითებები რევოლუციურ ბრძოლაში გლეხობის ჩასაბმელად და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში პროლეტარიატის ჰეგემონიის უზრუნველსაყოფად რადიკალური აგრარული პროგრამის გამომუშავების შესახებ. მაგრამ ყრილობამ ვერ დაამუშავა კონკრეტული და ამომწურავი პროგრამა აგრარულ საკითხებზე.

აგრარული საკითხი კი, რომელიც ამავე დროს წარმოადგენდა საკითხს პროლეტარიატის მოკავშირის — გლეხობის შესახებ, მაშინ განსაკუთრებით აქტუალური იყო. „გლეხთა კავშირები, — წერდა მაო ძე-დუნი, — თითქმის ყველგან სოფლად ხელისუფლების ფაქტიურ ორგანოებად ხდებოდნენ. რიგ ადგილებში გლეხები შეუდგნენ მემამულეთა მიწების ხელში ჩაგდებას. ქალაქებში მუშათა მოძრაობა ჩვეულებრივი საგაფიცვო მოძრაობის ჩარჩოებს სცილდებოდა. პროფკავშირები შეიარაღებული მუშების დახმარებით აიძულებდნენ მწარმოებლებს დამორჩილებოდნენ მუშათა მოთხოვნებს"[1].

1928 წლის ივლისში შედგა ჩინეთის კომუნისტური პარტიის VI ყრილობა. რომელმაც მკაცრად და ყოველმხრივ გააკრიტიკა პარტიის ხელმძღვანელობიდან ჯერ კიდევ 1927 წლის 7 აგვისტოს საგანგებო პარტკონფერენციის მიერ გადაყენებული ჩენ დუ-სიუს შეცდომები. VI ყრილობა მიმდინარეობდა რევოლუციური ტალღის დაცემის პირობებში და ამიტომაც „...კომპარტიის VI ყრილობის ცენტრალური ხაზი, — წერდა მაო ძე-დუნი, — მდგომარეობდა იმაში, რომ მომენტის მთავარ ამოცანად აღიარებული ყოფილიყო მასებისათვის ბრძოლა და საბჭოთა ხელისუფლების კერებისა და წითელი არმიის ნაწილების — როგორც მომავალი რევოლუციური აღმავლობის დასაყრდენი პუნქტების — შენარჩუნება"[2].

ამ ამოცანის შესასრულებლად საჭირო იყო პარტიული ორგანიზაციის ნაწილის გაგზავნა სოფლად, სადაც კონტრრევოლუციის ძალები შედარებით სუსტნი იყვნენ, ხოლო რევოლუციას იქ უფრო მტკიცე ბაზა ჰქონდა; საჭირო იყო გლეხთა მიერ აგრარული რეფორმებისათვის წარმოებული ბრძოლებისა და და პარტიზანული ომების სათავეში ჩადგომა. პარტიული ორგანიზაციის ნაწილი კი, როგორც წინათ, ქალაქში უნდა დარჩენილიყო. გადასულიყო იატაკქვეშ არალეგალური მუშაობის საწარმოებლად, რითაც პარტიული კადრები და პარტიული ორგანიზაციები შენარჩუნებული იქნებოდნენ. ბოლოს, საჭირო იყო მასების რევოლუციური ძალების შენარჩუნება და დაგროვება. რათა შემდეგში ქალაქისა და სოფლის ორგანიზაციების მუშაობის შეხამებით და მტრის ბანაკში არსებული წინააღმდეგობების და მისი სუსტი მხარეების გამოყენებით მიღწეულიყო რევოლუციური მოძრაობის აღორძინება[3].

ჯერ კიდევ 1928 წლის მაისში ჩამოყალიბდა ჩინეთის წითელი არმიის მე-4 კორპუსი, რომელიც 10 ათას კაცს ითვლიდა და რომლის მეთაური იყო ჯუ დე-ხოლო პოლიტიკური კომისარი — მაო ძე-დუნი. კორპუსი შეუდგა ადგილებზე ხელისუფლების დემოკრატიული ორგანოების ჩამოყალიბებას.

1929 წლის დასასრულს დაიწყო ახალი რევოლუციური აღმავლობა. ერთი წლის განმავლობაში წითელი არმიის რიცხვმა 62 ათას კაცს მიაღწია. საბჭოთა ხელისუფლება მოქმედებდა 120-ზე მეტ მაზრაში.

1931 წლის 7 ნოემბერს ჟ. ჟუიძინში გაიხსნა ჩინეთის საბჭოების პირველი ყრილობა, რომელმაც გამოაცხადა ჩინეთის საბჭოთა რესპუბლიკის დაარსება და მიიღო კონსტიტუცია. კონსტიტუციამ გამოაცხადა „პროლეტარიატისა და გლეხობის დემოკრატიული დიქტატურის პოლიტიკური ძალაუფლება ჩინეთის საბ-

---

[1] Мао Цзэ-дун, Биографический очерк, стр. 39.

[2] იქვე, გვ. 43.

[3] Ху Цяо-му, Тридцать лет Коммунистической партии Китая, изд. иностранной литературы, М., 1952, стр. 30—31.

ჭოთა რაიონებში". პროლეტარიატისა და გლეხობის დემოკრატიული დიქტატურის ამოცანა ყრილობის მიერ იმ ეტაპზე განსაზღვრული იყო როგორც ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ამოცანა. კერძოდ, ყრილობამ მიიღო კანონი მიწის შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა ფეოდალების, მემამულეების, მილიტარისტების, მონასტრებისა და სხვათა საკუთრების ლიკვიდაციას და ღარიბ და საშუალო გლეხობას შორის მიწის განაწილებას.

საბჭოების პირველი ყრილობის შემდეგ საბჭოთა რაიონები გაძლიერდნენ. ჩინეთის კომუნისტური პარტიის რიგებში 300 ათასი წევრი ითვლებოდა. ჩინეთის წითელმა არმიამ გომინდანის ხუთი შემოტევა უკუაქცია. უკანასკნელი ლაშქრობისას წითელმა არმიამ შეასრულა დიდი გადასვლა ძიანსიდან შენსის ჩრდილო ნაწილში 13,5 ათასი კილომეტრის მანძილზე. ჩამოყალიბებულ იქნა ახალი საბჭოთა რაიონი — შენსი-განსუ-ნინსია.

ძიანსიდან შენსიში წითელი არმიის ლაშქრობა გარეშე მტრის წინააღმდეგ რევოლუციის მახვილის მიმართვის საწყის მომენტს წარმოადგენდა. წითელი არმიის უმაგალითო გმირობამ უზრუნველყო ჩინეთის საბჭოებისათვის იმის შესაძლებლობა, რომ ისინი შესდგომოდნენ სახალხო რევოლუციის პირველი რიგის ამოცანის შესრულებას — ბრძოლას იაპონიის იმპერიალიზმის აგრესიის წინააღმდეგ. ამიერიდან წითელი არმია ანტიიაპონური ეროვნული ფრონტის ავანგარდულ რაზმად იქცა.

ჩინეთში იწყებოდა ახალდემოკრატიული რევოლუციის მესამე პერიოდი — ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომი იაპონელ დამპყრობთა წინააღმდეგ.

იაპონელი იმპერიალისტების მიერ ჩინეთის ზოგიერთი ადგილის (მანჯურია, ჩინეთის ჩრდილო პროვინციები) ხელში ჩაგდებამ ძირფესვიანად შეცვალა პოლიტიკური მდგომარეობა ჩინეთში. ხელმძღვანელობდა რა კომუნისტური ინტერნაციონალის VII კონგრესის გადაწყვეტილებებით, ჩინეთის კომუნისტურმა პარტიამ თავის წინაშე დასახა ერთიანი ანტიიაპონური სახალხო ფრონტის შექმნის ამოცანა.

ახალმა პირობებმა წამოაყენეს მოთხოვნილება, რათა კომუნისტურ პარტიას ეწარმოებინა „კავშირისა და ბრძოლის" პოლიტიკა. ეს პოლიტიკა იმაში მდგომარეობდა, რომ პროლეტარიატს ბურჟუაზიასთან კავშირში იმპერიალიზმისა და ფეოდალიზმის წინააღმდეგ ებრძოლა. ხოლო ამავე დროს რევოლუციურ ძალთა ფრონტის შიგნით ებრძოლა რევოლუციის ხელმძღვანელობიდან ბურჟუაზიის ჩამოცილებისათვის, რევოლუციაში ჰეგემონიისათვის.

1936 წლის მაისში ჩინეთის კომუნისტურმა პარტიამ წინადადება მისცა გომინდანს — შეწყვეტილიყო სამოქალაქო ომი, დაწყებულიყო მოლაპარაკება ზავის ჩამოგდებაზე და ერთიანი ფრონტით გამოსულიყვნენ იაპონელ დამპყრობთა წინააღმდეგ. ეს წინადადება გომინდანმა უარყო. სამოქალაქო ომი გაგრძელდა, მაგრამ არა დიდი ხნით. მემარცხენე ფრთის ზემოქმედებით სიანის ამბების შემდეგ გომინდანის ხელმძღვანელობამ მიიღო კომუნისტური პარტიის წინადადებები.

1937 წლის 7 იულისს იაპონიის ჯარები ხელახლა შეიჭრნენ ჩინეთში. 1937 წლის აგვისტოში ლიჩუანში, ქ. იანიანის ახლოს, შედგა ჩინეთის კომუნისტური პარტიის მიერ მოწვეული თათბირი, რომელზედაც მიღებულ იქნა „იაპონიისათვის წინააღმდეგობის განვევისა და საშშობლოს ხსნის პროგრამა". პროგრამა ითვალისწინებდა მტრის ზურგში დამოუკიდებელი მძლავრი პარტიზანული

ომის გაბედულად და ფართოდ გაჩაღებას, რომელიც ამავე დროს სტრატეგიული ამოცანების შესრულებასაც შეძლებდა. ეს ამოცანები ფრონტის მოწინავე პოზიციებზე წარმოებულ შეტევითს ოპერაციებთან მტრის ზურგში პარტიზანულ მოქმედებათა კოორდინირებაში მდგომარეობდა. პროგრამა ითვალისწინებდა აგრეთვე მოწინააღმდეგის ზურგში როგორც ფრონტის, ისე დასაყრდენი ანტიიაპონური ბაზების შექმნას და, გარდა ამისა, იაპონელ დამპყრობთა წინააღმდეგ ფართოდ გაშლილ მასობრივ მოძრაობას გომინდანელთა ბატონობის ყველა რაიონში.

ჩინეთში იაპონელ დამპყრობთა ახალი შემოკრის დასაწყისიდანვე ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და გომინდანის ხელმძღვანელობამ გაცვალეს დეკლარაციები. ცენტრალურმა კომიტეტმა 23 სექტემბრის დეკლარაციით აცნობა თავისი გადაწყვეტილება სუნ-იატ-სენის სამი პრინციპის განხორციელების შესახებ — შეწყვიტოს ომი გომინდანთან, შეაჩეროს მემამულეთა მიწების კონფისკაცია, გარდაქმნას ხელისუფლების ადგილობრივი საბჭოთა ორგანოები და დაუმორჩილოს წითელი არმია ჩინეთის ყველა შეიარაღებული ძალის ერთიან სარდლობას.

თავის მხრივ, გომინდანმა მზადყოფნა გამოთქვა ეთანამშრომლა ჩინეთის კომუნისტურ პარტიასთან სუნ იატ-სენის სამი პრინციპის შესრულების საფუძველზე და განეხორციელებინა დემოკრატიული რეფორმები ჩინეთში.

გომინდანის გადაწყვეტილება — შეერთებოდა ერთიან ანტიიაპონურ სახალხო ფრონტს — არ იყო უანგარო მიზნებით ნაკარნახევი, ვინაიდან ჩან კაი-შის არავითარი სურვილი არ ქონდა ნამდვილი ომი ეწარმოებინა იაპონიის იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ის უფრო მეტს ზრუნავდა კომუნისტების წინააღმდეგ ბრძოლის გასაშლელად, ცდილობდა რა მათ გაძევებას საერთო-ჩინური მოძრაობის ხელმძღვანელობიდან. ჩან კაი-შის იმედი ჰქონდა, რომ ინგლისისა და აშშ დახმარებით ხელში ჩაიგდებდა სახალხო ბრძოლის ხელმძღვანელობას. ჩან კაი-ში ეარაუღობდა პასიური ომის წარმოების საშუალებით იაპონელთა დარტყმის ქვეშ დაეყენებინა ჩინეთის კომუნისტური პარტიის მიერ შექმნილი ჯარები. ხოლო თავისი შეიარაღებული ძალები შეენარჩუნებინა, ესარგებლა სსვისი გამარჯვების ნაყოფით და საბოლოო ანგარიშით უზრუნველეყო გომინდანისათვის გაბატონებული მდგომარეობა ჩინეთში.

1939 წელს ჩინეთის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი იაპონელების მიერ იქნა დაპყრობილი, მაგრამ იაპონიის ჯარების ზურგში სახალხო-რევოლუციური არმიის (ჩინეთის ყოფილი წითელი არმიის) ნაწილებმა და პარტიზანულმა რაზმებმა შექმნეს განთავისუფლებული რაიონების ფრონტი. 1940 წელს სახალხო-რევოლუციური არმიის რიცხვი თითქმის ნახევარ მილიონ კაცამდე გაიზარდა. სახალხო რევოლუციურმა არმიამ და პარტიზანულმა რაზმებმა ბრძოლით დაიბრუნეს 150 მაზრა თითქმის 100 მილიონი მცხოვრებით. ამ დროისათვის ჩინეთის კომუნისტური პარტიის წევრთა რიცხვი 40 ათასიდან 800 ათას კაცამდე გაიზარდა. იაპონელ დამპყრობთა წინააღმდეგ წარმოებული ომი მთელი ჩინელი ხალხის დიდ რევოლუციურ ომად გადაიქცა. იაპონიის არმია იძულებული შეიქნა შეეჩერებინა შეტევა. საომარი მოქმედება სტრატეგიული წონასწორობის ეტაპში შევიდა.

საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე საბჭოთა ჯარების წარმატებებმა ხელსაყრელი პირობები შექმნეს სახალხო-რევოლუციური არმიის კონტრშეტევაზე

გადასასვლელად. ეს, რასაკვირველია, სრულებით არ შედიოდა არც გომინდანისა და არც მის ზურგს უკან მდგომი უცხო ქვეყნების იმპერიალისტების ანგარიშში. 1944 წელს ამერიკელების მიერ გაწვრთნილი და აღჭურვილი გომინდანელთა 30 დივიზია მზად იყო დაეწყო ახალი სამოქალაქო ომი.

1945 წლის 24 აპრილს იანიანში გაიხსნა ჩინეთის კომუნისტური პარტიის VII ყრილობა. VII ყრილობამ პარტიის წინაშე ამოცანად დასახა: „გაბედულად იქნეს წამოწეული მასები, განმტკიცდეს და გამრავლდეს ხალხის ძალები, შემჭიდროვდეს ქვეყნის ყველა ძალა, რომელთა შემჭიდროებაც კი შესაძლებელია, განადგურდეს აგრესორები და აშენდეს ახალი ჩინეთი". ყრილობამ გომინდანს მიმართა მოთხოვნით — შეექმნათ მთელი ქვეყნის დემოკრატიულ ძალებთან ერთად კოალიციური მთავრობა.

იაპონიის განადგურების შემდეგ მაო ძე-დუნი პირადად გაემგზავრა ჩუნ-კინში მშვიდობიანობის შენარჩუნების შესახებ ჩან კაი-შისთან მოსალაპარაკებლად. მოლაპარაკება ერთ თვეზე მეტს გაგრძელდა. მაგრამ მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა და გომინდანის რეაქციულმა ხროვამ ამერიკის იმპერიალიზმის მხარდაჭერით გააჩაღა სამოქალაქო ომი იმ განზრახვით, რომ სავსებით პოესპო ყველა დემოკრატიული, პროგრესული ძალები და ჩინეთის კომუნისტური პარტია.

სამოქალაქო ომის ამ უკანასკნელ ფაზაში ჩინეთის მუშათა კლასის ხელმძღვანელმა როლმა სრული აღიარება პოვა ჩინეთის გლეხობის მრავალმილიონიან მასაში, აგრეთვე ჩინეთის წვრილბურჟუაზიაში და ეროვნული ბურჟუაზიის პატრიოტულ ნაწილში. მესამე სამოქალაქო რევოლუციურმა ომმა უდიდესი გაკანება მიიღო და იგი ჩინელი ხალხის ისტორიული გამარჯვებით დაგვირგვინდა.

მესამე სამოქალაქო რევოლუციური ომი ჩინეთში. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადება

ჩინელი ხალხის გამარჯვების გადამწყვეტ პირობას წარმოადგენდა საერთაშორისო ასპარეზზე სოციალიზმის სასარგებლოდ და კაპიტალიზმის საზიანოდ ძალთა თანაფარდობაში მომხდარი ის ძირეული ცვლილებები, რომლებიც ფაშისტური გერმანიისა და იმპერიალისტური იაპონიის განადგურებას მოჰყვა შედეგად.

ჩინეთის სახალხო რევოლუციის გამარჯვებაში უდიდესი როლი შეასრულა მრავალმილიონიანი გლეხთა მასის მიმართ ჩინეთის კომუნისტური პარტიის სწორმა პოლიტიკამ, იმ პოლიტიკამ, რომელმაც გადაწყვიტა გლეხობის, როგორც პროლეტარიატის მოკავშირის საკითხი.

გლეხობა მიწისათვის იბრძოდა, და სწორედ 1947 წლის 10 ოქტომბერს, იმ დღეს, როდესაც ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელმა არმიამ მოუწოდა ხალხს დაემხო ჩან კაი-შის რეჟიმი და აეშენებინა ახალი ჩინეთი, ჩინეთის კომუნისტურმა პარტიამ მიწის შესახებ კანონის ძირითადი დებულებები გამოაქვეყნა. ამ დებულებებში ფეოდალურ-ექსპლოატატორული სისტემის გაუქმება იყო გამოცხადებული. აგრარული რეფორმა ემყარებოდა პრინციპს: „მიწა იმათ, ვინც მას ამუშავებს". კანონი ითვალისწინებდა გლეხობის მთელი დავალიანების გაუქმებას. მიწის რეფორმის გამტარებელ აღმასრულებელ ორგანოებად კანონი ითვალისწინებდა გლეხთა კრებებსა და ღარიბ გლეხთა ორგანიზაციებს. გლეხთა კავშირებს გადაეცათ მემამულეთა ჯოგის მნიშვნელოვანი ნაწილი, სასოფლო-

სამეურნეო ინვენტარი, ნაგებობანი, მარცვლეული და მემამულეთა სხვა საკუთრება.

მესამე სამოქალაქო რევოლუციური ომის მსვლელობისას განთავისუფლებულ რაიონებში აგრარული რეფორმის გატარება (ინისდა მიხედვით, თუ როგორ მიიწევდა სახალხო-რევოლუციური ჯარი ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ) და მიწათმფლობელობის არსებული სისტემის დემოკრატიულად გარდაქმნის ღონისძიებები ძირს უთხრიდნენ ფეოდალიზმს. აღნიშნული ღონისძიებები ფეოდალ-მემამულეთა კლასის ლიკვიდაციისაკენ იყო მიმართული. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადებამდე აგრარული რეფორმები გატარებულ იქნა 120 მილიონი კაცით დასახლებულ ტერიტორიაზე. უმთავრესად მანჯურიაში და ჩრდილო ჩინეთში. საგრძნობლად გაიზარდა გლეხთა მასების აქტიურობა რევოლუციურ მოძრაობაში. ღარიბები და მოჯამაგირეები, რომლებიც სოფლის მოსახლეობის 60—70 პროცენტს შეადგენდნენ და თავიანთი მდგომარეობით სოფლის პროლეტარებსა და ნახევრად პროლეტარებს წარმოადგენდნენ, ადვილად ითვისებდნენ მუშათა კლასის მხრივ ხელმძღვანელობას და თვითონაც თავიანთი გლეხური ორგანიზაციების საშუალებით მონაწილეობდნენ აგრარულ ღონისძიებათა განხორციელებაში.

მუშათა და გლეხთა რევოლუციურ-დემოკრატიული კავშირის საფუძველზე ჩინეთის მუშათა კლასი მხარს უჭერდა ეროვნული ბურჟუაზიის პატრიოტულ ნაწილთან პოლიტიკურ კავშირს. როდესაც 1947 წელს ჩან კაი-შიმ ჩინეთის საბჭოთა რაიონების დედაქალაქ იანიანისაკენ (განსაკუთრებული სასაზღვრო რაიონი) თავისი ჯარები გადაისროლა, რითაც გაქრა მშვიდობიანი გზით დემოკრატიული გარდაქმნების განხორციელების ყოველგვარი იმედი, ჩინეთის პროგრესული ძალები, მათ რიცხვში ეროვნული ბურჟუაზიაც, უფრო მეტად შემჭიდროვდნენ ჩინეთის კომუნისტური პარტიის გარშემო. გომინდანის რევოლუციურმა ფრთამ, ჩინეთის დემოკრატიულმა ლიგამ და ეროვნული ბურჟუაზიის სხვა დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა საბოლოოდ ზურგი შეაქციეს გომინდანს და უარი განაცხადეს გომინდანის ეროვნულ კრებაში მონაწილეობაზე.

1949 წლის დასაწყისში დდ. იანძის შუა და ქვემო წელის ჩრდილოეთით მდებარე მთელი რაიონი ძირითადად განთავისუფლებულ იქნა. 1949 წლის 21 აპრილს ჩინეთის სახალხო-რევოლუციური საშხედრო კომიტეტის თავმჯდომარემ მაო ძე-დუნმა და სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის მთავარსარდალმა ჯუ დემ ბრძანება გასცეს გომინდანის რეაქციული ძალების სრული ლიკვიდაციის მიზნით მთელ ფრონტზე შეტევაზე გადასვლის შესახებ.

ომი იანძისათვის 21 აპრილს ღამით დაიწყო. 23 აპრილს სახალხო-განმათავისუფლებელი არმია გომინდანის სატახტო ქალაქ ნანკინში შევიდა. მაისის ბოლოსათვის განთავისუფლებულ იქნა შანხაი. ივლისის დამლევს განახლდა სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის შეტევა, რომელიც ტიბეტის გამოკლებით მთელი კონტინენტური ჩინეთის განთავისუფლებით დამთავრდა.

1949 წლის 10 მაისიდან 19 ივნისამდე პეკინში მიმდინარეობდა სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო კონფერენციის მოწვევის მოსამზადებელი კომიტეტის სესია. პოლიტიკური საკონსულტაციო კონფერენციის ამოცანაში შედიოდა ჩინეთის გამოცხადება სახალხო რესპუბლიკად. სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო კონფერენცია შედგა და მიმდინარეობდა 1949 წლის 21 სექტემბრიდან 30 სექტემბრამდე. მან მიიღო „ჩინეთის სახალხო პოლიტიკური სა-

კონსულტაციო საბჭოს პროგრამა“, რომელიც კონსტიტუციის მაგიერობას ასრულებდა 1954 წლამდე. მიიღო „კანონი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის ჩამოყალიბების შესახებ“ „ჩინეთის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს საორგანიზაციო სტატუტი“. აირჩია ცენტრალური მთავრობა მაო ძე-დუნის მეთაურობით.

„საერთო პროგრამით“ ჩინეთი გამოცხადდა სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკად. ეს უკანასკნელი დაფუძნებული იყო მუშათა და გლეხთა კავშირზე და აერთიანებდა ჩინეთის ყველა დემოკრატიულ კლასსა და ეროვნებას. გამოცხადებული იყო ბრძოლა იმპერიალიზმის, ფეოდალიზმისა და ბიუროკრატიული კაპიტალის წინააღმდეგ — დამოუკიდებლობის, მშვიდობიანობისა და ერთიანობისათვის და ძლიერი და აყვავებული ჩინეთის შექმნისათვის.

„საერთო პროგრამით“ გათვალისწინებული იყო ცენტრალური სახალხო მთავრობის მიერ უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა მიღება სამხედრო და სოციალურ-ეკონომიურ დარგებში, კულტურისა და განათლების განვითარების საქმეში და სხვადასხვა ეროვნებათათვის ადგილობრივი თვითმმართველობის უზრუნველყოფა. ყველა შეიარაღებული ძალა უნდა გარდაქმნილიყო ერთიან სახალხო-განმათავისუფლებელ არმიად. ლიკვიდირებულ იქნა იმპერიალისტური ქვეყნების ყოველგვარი განსაკუთრებული უფლებები და პრივილეგიები ჩინეთში. კონფისკაცია უყვეს ბიუროკრატიულ კაპიტალს და სახელმწიფო საკუთრებად გამოაცხადეს. ლიკვიდირებულ იქნა ნახევრადფეოდალური მიწათმფლობელობა მემამულეთა მიწების კონფისკაციისა და გლეხობისათვის მათი გადაცემის გზით. წესდებოდა ქვეყნის ეკონომიკის ხუთი წყობა; მათ შორის წამყვანად გამოცხადდა სახელმწიფო მეურნეობის სექტორი, რომელიც თავისი ხასიათით სოციალისტურს წარმოადგენდა.

„საორგანიზაციო სტატუტი“ განსაზღვრავდა სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს როგორც სრულიად ჩინეთის სახალხო კრების არჩევამდე უმაღლესი ორგანოს უფლებებს. სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს სესიებს შორის უმაღლესი ძალაუფლება სახალხო მთავრობის ცენტრალურ საბჭოს ეკუთვნოდა.

სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს სახით „საორგანიზაციო სტატუტი“ ითვალისწინებდა სახელმწიფო ადმინისტრაციულ საბჭოს შექმნას.

1949 წლის 1 ოქტომბერს გამოცხადებულ იქნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. ამ დროისათვის ჩინეთის კომუნისტური პარტიის წევრთა რიცხვმა 4 მილიონს მიაღწია.

1949 წლის 2 ოქტომბერს საბჭოთა კავშირის მთავრობამ დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობასთან. ამის შემდეგ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარეს ბულგარეთმა, რუმინეთმა, უნგრეთმა, კორეის სახალხო-დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, ჩეხოსლოვაკიამ, პოლონეთმა, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკამ, გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, ალბანეთმა, ვიეტნამის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, ინდოეთმა, შვეიცარიამ, დანიამ, ბირმამ, ინდონეზიის რესპუბლიკამ, შვეიცარიამ, ფინეთმა და პაკისტანმა. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა ცნეს ინგლისმა, ცეილონმა, ნორვეგიამ, ისრაელმა, ავღანეთმა და ჰოლანდიამ.

ამასთან ერთად ახალგაზრდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას მისი წარმოშობის პირველი დღიდანვე დაუპირისპირდა ძლიერი და საშიში მოწინააღმდეგე ამერიკის შეერთებული შტატების სახით. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაიპყრეს ჩინეთის კუთვნილი კუნძული ტაივანი და იქ მოკალათებული განადგურებული გომინდანის შეიარაღებული ძალების ნაშთები თავიანთ აგრესიულ ზრახვათა განხორციელების იარაღად გადააქციეს; მათ გაშალეს ჩინეთის ხალხის წინააღმდეგ პროვოკაციულ მოქმედებათა ფართო ქსელი. ჩინეთში სოციალისტური მშენებლობის ჩაშლის მიზნით გამოაცხადეს ემბარგო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან ვაჭრობაზე. ამერიკის შეერთებული შტატებისა და მისი პარტნიორების მფარველობით გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გომინდანელმა უკანონოდ დაიკავა ის ადგილი, რომელიც კანონიერად ჩინეთის ხალხის ნამდვილ წარმომადგენელს — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას ეკუთვნის.

სახალხო დემოკრატიის დიქტატურა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნა ნიშნავდა იმპერიალისტების, მემამულეებისა და ბიუროკრატიული კაპიტალის ძალაუფლების დამხობას და ხალხის დემოკრატიული დიქტატურის დამყარებას. სახალხო დემოკრატია პროლეტარიატის დიქტატურის ერთ-ერთი ფორმაა. პროლეტარიატის ხელმძღვანელობით ჩინეთი სოციალისტური გარდაქმნების გზას დაადგა. „ჩინეთის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს საერთო პროგრამა“ რევოლუციის მთავარ საკითხზე სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ ასე უპასუხებს: „სახალხო დემოკრატიის დიქტატურა ჩინეთში წარმოადგენს მუშათა კლასის, გლეხობის, წვრილი ბურჟუაზიის, ეროვნული ბურჟუაზიისა და სხვა პატრიოტული დემოკრატიული ელემენტების სახალხო დემოკრატიულ მუშათა და გლეხთა კავშირზე აგებულ და მუშათა კლასის ხელმძღვანელობაში მყოფი ერთიანი ფრონტის სახელმწიფო ხელისუფლებას“[1].

რაც შეეხება ეროვნულ ბურჟუაზიასთან დამოკიდებულების საკითხს, ცხადია, გარდამავალ პერიოდში ჩინეთის ეკონომიკის დიდი ჩამორჩენილობისა და მის წინაშე დასმული სახალხო მეურნეობის აღდგენის უმნიშვნელოვანესი ამოცანების გამო სახელმწიფოს ესაჭიროებოდა კერძო კაპიტალისა და კერძო ინიციატივის დაშვება. სწორედ ამით განისაზღვრებოდა ჩინეთის კომუნისტური პარტიის პოლიტიკა ეროვნული ბურჟუაზიის მიმართ.

ეროვნულ ბურჟუაზიასთან მუშათა კლასის პოლიტიკური კავშირი ჩინეთში ჯერ კიდევ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ეტაპზე დამყარდა. ეროვნულმა ბურჟუაზიამ თავისი ადგილი სახალხო-დემოკრატიულ ერთიან ფრონტში იმიტომ ჰპოვა, რომ იმპერიალისტთა ბატონობა ბღალავდა მის ინტერესებს, და იგი იყო მკირერიცხოვანი და ამასთან პოლიტიკურად და ეკონომიურად სუსტი. წარმატებით დამთავრებულმა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ გადაწყვიტა ძველი ჩინეთის მთავარი წინააღმდეგობა — წინააღმდეგობა ჩინეთის ხალხსა და იმპერიალიზმის, ფეოდალიზმისა და ბიუროკრატიული კაპიტალის ბატონობას შორის. მას შემდეგ, რაც ამ ბატონობას ბოლო მოეღო, ქვეყნის შიგნით მთავარ წინააღმდეგობად რჩებოდა,— როგორც ეს

[1] Общая программа народного политического Консультативного Совета Китая. Москва, Госполитиздат, 1950, стр. 8.

ჩინეთის კომუნისტური პარტიის მერეე სრულიად ჩინეთის ყრილობის მიერ პოლიტიკური ანგარიშის გამო მიღებულ რეზოლუციაშია აღნიშნული,— წინააღმდეგობა პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის. ეს წინააღმდეგობა სოციალისტურ რევოლუციას უნდა გადაეწყვიტა.

მაშასადამე, საკითხის არსი იმაში მდგომარეობდა, თუ რანაირ პოზიციას დაიკავებდა ეროვნული ბურჟუაზია სოციალისტური გარდაქმნების მიმართ, რომელიც უფრო გვიანდელ ეტაპზე მისი (ბურჟუაზიის) განადგურებისაკენაა მიმართული,— წავიდოდა იგი შეჯახებისაკენ თუ მიიღებდა სოციალისტურ გარდაქმნებს.

ჩინეთის რევოლუციის გამარჯვებისა და დემოკრატიული დიქტატურის დამყარების შემდეგ ჩინეთის ეროვნული ბურჟუაზიის დიდმა უმრავლესობამ, გაითვალისწინა რა აღმოსავლეთ ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მაგალითი, არჩია სოციალისტური გარდაქმნების მიღება. ამას დიდად შეუწყო ხელი ჩინეთის კომუნისტური პარტიის ბრძნულმა და მოქნილმა პოლიტიკამ კაპიტალიზმიდან სოციალიზმში მშვიდობიანი გადასვლის უზრუნველყოფისა და ექსპლოატატორული ელემენტების გარდაქმნის საკითხში. ამგვარად, ბოლო ბოლო კლასობრივი ექსპლოატაციის სისტემას, შეიქმნა სოციალისტური საზოგადოებრივი წყობა და შენარჩუნებულ იქნა მუშათა კლასისა და ეროვნული ბურჟუაზიის კავშირი კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლის პერიოდში, რაც მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის საფუძველზე კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ხორციელდება.

ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲘᲗᲘ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ-ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲔᲑᲘ ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ

სახალხო ხელისუფლების პირველი ნაბიჯი იყო მსხვილი ბანკების, რკინიგზების, კავშირგაბმულობის და საჰაერო მიმოსვლის საშუალებების, საავტომობილო და წყლის ტრანსპორტის ძირითადი ნაწილების, მსხვილი მრეწველობის საწარმოთა უდიდესი უმრავლესობისა და მსუბუქი მრეწველობის ზოგიერთი მნიშვნელოვანი დარგის ნაციონალიზაცია, რომლებიც ბიუროკრატიული კაპიტალის საკუთრებას შეადგენდნენ და ქვეყნის ეკონომიკაში იყვნენ გაბატონებული. კონფისკაცია გაუკეთეს სამხედრო დამნაშავეთა საკუთრებას. სახელმწიფო კონტროლს დაუქვემდებარეს უცხოელთა ის საწარმოები, რომელთა საქმიანობას ზიანი მოჰქონდა ქვეყნის ეკონომიკისათვის. სახელმწიფო საკუთრებად იქნა გამოცხადებული ჩინეთის მთელი წიაღისეული, მიწა, ტყე და წყალი. ამ გზით შეიქმნა სახალხო მეურნეობის სახელმწიფო სექტორი, რომელიც ქვეყნის სოციალისტურად გარდაქმნების მატერიალურ ბაზად იქცა.

უკვე 1949 წელს სახელმწიფო მრეწველობის საერთო პროდუქციამ ქვეყნის მთელი საერთო მრეწველობის პროდუქციის 26,3 პროცენტი შეადგინა. 1950 წელს სახელმწიფო სექტორზე მოდიოდა ნახშირის მოპოვების 73,1%, ნავთობის მრეწველობის 100%, ელექტროენერგიის გამომუშავების 75%, ფოლადის ნაწარმის 97%, მანქანათმშენებლობის პროდუქციის 45%, ბამბეულის 44%, მატყლის 43,6%. საფქვავი მრეწველობის 37% და ქაღალდის მრეწველობის 45%[1]. სახელმწიფოს ხელში იყო მთელი სარკინიგზო და საჰაერო ტრანსპორტი,

[1] А. И. Гуздеватый, Китайская народная Республика, М., 1956, стр. 50—51.

წყლის ტრანსპორტის 60%, საგარეო ვაჭრობის თითქმის მთელი ბრუნვა, საბანკო, საკრედიტო და სადაზღვევო სისტემები, ოპერაციები ოქროთი, ვერცხლითა და უცხოეთის ვალუტით.

მომდევნო წლებში სახელმწიფო სექტორის ხვედრითი წონა იზრდებოდა ახალ სახელმწიფო საწარმოთა — სამრეწველო, სატრანსპორტო და სხვა მშენებლობისა და არსებულის რეკონსტრუქციის ხარჯზე. სახელმწიფო მრეწველობის საერთო პროდუქცია 1952 წელს ქვეყნის მთელი მრეწველობის საერთო პროდუქციის 45% შეადგენდა, ხოლო 1955 წელს —51,3%.

ქვეყნის ეკონომიკაში მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა კოოპერაციული სექტორი, რომლის შიგნით მომდევნო წლებში ერთპიროვნული სოფლის მეურნეობისა და შინამრეწველობის სოციალისტური გარდაქმნის მნიშვნელოვანი და მეტად თავისებური პროცესები მიმდინარეობდა. ამ გარდაქმნათა შედეგად სოფლის მეურნეობა და შინამრეწველობა 1956 წლის დასასრულისათვის ძირითადად კოოპერირებულ იქნა. ჩინეთის სახალხო მეურნეობის სისტემაში პირველ ხანებში შექმნილი წერილი საქონლური სექტორი, რომელიც ბოლო დრომდე ერთპიროვნული მეურნეობის მქონე გლეხურ და შინამრეწველურ წერილ საქონელმწარმოებელთა მასას აერთიანებდა, გარდამავალი პერიოდის ერთ-ერთ განცალკევებულ ეტაპად იქცა. სახელმწიფო და კოოპერატიულმა სექტორებმა ჩინეთის სახალხო მეურნეობის სოციალისტური სექტორი შეადგინეს.

კერძოკაპიტალისტურ სექტორში 1955 წლის ბოლომდე შედიოდნენ წვრილი და საშუალო სამრეწველო და სავაჭრო საწარმოები და კულაკური მეურნეობები. აღდგენით პერიოდში (1949—1952 წწ.) არ დასმულა კერძო კაპიტალისტური სექტორის ლიკვიდაციის ამოცანა. ეკონომიური მდგომარეობა ქვეყანაში ძნიმე იყო. აუცილებელი იყო კერძო კაპიტალის გამოყენება სახალხო მეურნეობის რაც შეიძლება ჩქარი აღდგენის მიზნით. მაგრამ, მეორე მხრივ, საჭირო იყო სახალხო სახელმწიფოს ეკონომიური როლის განმტკიცება, ეკონომიკის მბრძანებელი სიმაღლეების ხელში ჩაგდება, ალაგმვა კაპიტალისტური სექტორისა, რომელიც წინ ეღობებოდა იმ შეზღუდვების განხორციელებას, რასაც სახელმწიფო ატარებდა. დიდი შრომა დასჭირდა ჩინეთის მთავრობას, რომ 1950 წლისათვის დაებალანსებინა ბიუჯეტი, შეეწყვიტა ინფლიაცია და დაეწესებინა კონტროლი ფასებზე. მაგრამ ბურჟუაზიის ნაწილი ეწინააღმდეგებოდა ამ ღონისძიებებს, გაურბოდა გადასახადებს, არღვევდა ხელშეკრულების საფუძველზე დაწყებულ ცენტრალიზებული შესყიდვისა და გასაღების წესებს, არღვევდა საბაზრო ფასებს, ფართოდ ეწეოდა მოსყიდვას და სხვ. ბურჟუაზიის განსაზღვრული ნაწილის ამ უკანონო საქციელს დიდი ზიანი მოჰქონდა სახალხო მეურნეობისათვის და საჭირო იყო მისი აღკვეთა.

1950 წლის გაზაფხულზე მთავრობამ დაიწყო ბრძოლა ფასების სტაბილიზაციისათვის და სპეკულაციის წინააღმდეგ, ხოლო 1952 წელს მთელს ჩინეთში გაიშალა ფართო საზოგადოებრივი მოძრაობა „ხუთი ბოროტმოქმედების“ (უ ფანი)— მოსყიდვის, გადასახადთა გადახდისაგან თავის არიდების, სახელმწიფო სახსრების ძარცვის, სახელმწიფო დაკვეთების არაკეთილსინდისიერად შესრულებისა და სახელმწიფო ეკონომიური ინფორმაციის გატაცების წინააღმდეგ. ამ მოძრაობის ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ ბოლო მოღებოდა ძველი საზოგადოების სამარცხვინო მემკვიდრეობას, დამყარებულიყო რევოლუციური კანონიერება, იზოლირებული ყოფილიყო ხალხთა მტრებისაგან და ლეთ

ბურჟუაზიისაგან ეს ბოროტმოქმედი ელემენტები და შეკავშირებულიყო ბურ-ჟუაზიის ის უმრავლესობა. რომელიც სახელმწიფო კანონების დაცვის სურვილს გამოთქვამდა. კერძო კაპიტალის გამოყენებისა და შეზღუდვის პოლიტიკა ტარდებოდა კაპიტალისტური მრეწველობისა და ვაჭრობის სოციალისტურად გარდაქმნის მიზნით.

სახელმწიფო კაპიტალიზმის სექტორი წარმოდგენილი იყო სახელმწიფოსა და კერძო კაპიტალის საერთო მმართველობაში სახელმწიფოს ბრძანებლობაში მყოფი სამრეწველო და სავაჭრო საწარმოებით, ბანკებითა და საკრედიტო ამხანაგობებით. ეს იყო გარდამავალი ფორმა კაპიტალისტური საკუთრების სოციალისტურ საკუთრებად გარდაქმნის პროცესში.

ახალი ჩინეთის ცხოვრებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდათ იმ გარდაქმნებს, რომლებიც სოფლის მეურნეობაში გატარდა. როგორც აღნიშნული იყო, ჯერ კიდევ სამოქალაქო ომის დროს გომინდანის ბატონობისაგან განთავისუფლებულ ტერიტორიებზე განხორციელებულ იქნა ღონისძიებები მიწათმოქმედების არსებული სისტემის დემოკრატიული გარდაქმნისათვის. ამ ღონისძიებებმა მოიცვეს ტერიტორია, რომლის მოსახლეობა 120 მილიონ ადამიანამდე აღწევდა.

1950 წლის 28 ივნისს კომუნისტური პარტიის ინიციატივით ჩინეთში მიღებულ იქნა კანონი მიწის რეფორმის შესახებ; ამ რეფორმით მოისპო ფეოდალური მიწათმფლობელობა და ფეოდალური ექსპლოატაცია და შემოღებულ იქნა გლეხური მიწათმფლობელობის სისტემა. მემამულეთა მიწები, ისევე როგორც მათი კუთვნილი მუშასაქონელი, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, ზედმეტი სურსათ-სანოვაგე და ნაგებობანი, უსასყიდლოდ უნდა ყოფილიყო კონფისკაციაქმნილი. სასოფლო ადგილებში განსაზღვრულ პირობებში ხდებოდა რეკვიზიცია იმ სამფლობელოებისა, რომლებიც მონასტრების, ტაძრების, ეკლესიების, საგვარეულო საკურთხევლების, სკოლებისა და სხვათა კუთვნილებას შეადგენდა. კულაკებს შეუნარჩუნეს ის მიწები, რასაც თვითონ დამუშავებდნენ დაქირავებული მუშაძალის გამოუყენებლად. მიწები მოუზომეს გლეხების თანაბრად იმ მემამულეებსაც, რომლებმაც განაცხადეს სურვილი, რომ საკუთარი ძალებით დამუშავებდნენ მას.

კომუნისტების ხელმძღვანელობით სოფლად ჩამოყალიბდა სახალხო ტრიბუნალები და გლეხთა კავშირები, რომელთა $^2/_3$-ს ღარიბები და მოჯამაგირეები შეადგენდნენ, ხოლო $^1/_3$-ს — საშუალო გლეხობის წარმომადგენელნი. სახალხო ტრიბუნალები და გლეხთა კავშირები წარმოადგენდნენ ორგანოს, რომელსაც მიწის რეფორმა უნდა გაეტარებინა და მემამულეთა წინააღმდეგობისათვის ბრძოლა გაეწია. ამგვარად, აგრარულ ღონისძიებათა გატარებისას კომუნისტური პარტია ეყრდნობოდა ღარიბებსა და მოჯამაგირეებს, საშუალო გლეხობასან კავშირს, კულაკობის ნეიტრალიზაციის პირობებში.

მიწის რეფორმამ დიდი სარგებლობა მოუტანა პირველ რიგში სოფლის ხელმოკლეთა ფენებს, ვინაიდან მიწას და მემამულეთაგან ჩამორთმეულ სხვა ქონებას ღებულობდნენ პირველ რიგში მოჯამაგირეები და სოფლის ღატაკები. მაგრამ მემამულეთაგან ჩამორთმეული მიწისა და სხვა ქონების განაწილებისას მოგებაში რჩებოდნენ საშუალო მეურნეობებიც. იმ შემთხვევაში, როდესაც საშუალო მეურნეებს იმაზე ნაკლები მიწა ჰქონდათ, ვიდრე მათ ეკუთვნოდათ ადგილობრივად დაწესებული სულადობრივი ნორმით, ისინი დამატებით ნაკვეთებს

ღებულობდნენ. გარდა ამისა, საშუალო მეურნეობები თავს აღწევდნენ მემამულეთაგან დამოკიდებულებას იმ შემთხვევებშიც, როდესაც მემამულეებს ჩამოართმევდნენ საირიგაციო ნაგებობებს.

აგრარული რეფორმები ტარდებოდა კლასობრივი ბრძოლის გამწვავების პირობებში. ბევრი მემამულეთაგანი ედილობდა ჩაეშალა რეფორმების გატარება, ადგენდა ბანდებს, აწყობდა ტერორს გლეხების მიმართ, ხოცავდა სოფლის აქტივისტებს და ანადგურებდა პირუტყვს.

აგრარული გარდაქმნები ჩინეთის სხვადასხვა რაიონებში სხვადასხვა დროს ტარდებოდა. უმრავლეს რაიონებში ეს რეფორმები დამთავრდა 1952 წლისათვის. ეს რეფორმა არ გატარებულა უმთავრესად სინძიანის მესაქონლეობის რაიონებში, სადაც მეტწილად არაჩინური მოსახლეობა ცხოვრობდა (უიგურები. ყაზახები, ყირგიზები და სხვ.), აგრეთვე ეროვნული უმცირესობით დასახლებულ მთელ რიგ პროვინციებში, როგორიცაა განსუ, იუნიანი, გუანჭოუ, გუანდა, გუანსი და სხვ. ამ პროვინციებში საჭირო იყო განსაკუთრებული მიდგომა და უფრო ხანგრძლივი დრო.

1952 წლის ოქტომბრისათვის დამთავრდა აგრარული რეფორმა ჩინეთის ტერიტორიაზე, სადაც სოფლის მოსახლეობის 90 პროცენტი ცხოვრობდა. 1953 წელს რეფორმა ტარდებოდა ეროვნული უმცირესობით დასახლებულ რაიონებში და იგი წლის დამლევისათვის მთელ ჩინეთში დამთავრდა გარდა ტიბეტისა.

აგრარული რეფორმის გატარების შედეგად 1952 წლის ოქტომბრისათვის მემამულეებს ჩამოერთვათ 700 მილიონამდე მუ[1] მიწა. ეს მიწა განაწილდა უმიწაწყლო და მცირე მიწის მქონე გლეხებს შორის, რომლებიც მოსახლეობის 70 პროცენტს შეადგენდნენ. აგრარული რეფორმისაგან ამა თუ იმ სახით ისარგებლა 300 მილიონმა გლეხმა. მათ მიიღეს 47 მილიონი ჰექტარი მიწა, საცხოვრებელი ბინები, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, მუშა საქონელი, სამეურნეო ნაგებობანი, მარცვლეული და სხვ. ჩინეთის სოფლის სახე არსებითად შეიცვალა.

აგრარული რეფორმის გატარების პროცესში დაიწყო გლეხებს შორის ურთიერთდამხმარე სასოფლო-სამეურნეო საწარმოო ჯგუფების ჩამოყალიბება; ეს ჯგუფები კოლექტიური შრომის საფუძველზე იყვნენ შექმნილი და ისინი სოციალიზმის ჩანასახს წარმოადგენდნენ. კოლექტიური შრომის უპირატესობის გამო 1952 წლისათვის გლეხთა ოჯახების 40 პროცენტმა მიიღო მონაწილეობა ურთიერთდამხმარე ორგანიზაციებში. 1954 წელს ამ ოჯახების რაოდენობა 58 პროცენტამდე გაიზარდა.

1951 წლიდან წარმოიშვნენ ნახევრად სოციალისტური ხასიათის მქონე სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივები (დაბალი ტიპის კოოპერატივები). ამ კოოპერატივებში მიწა შეპქონდათ პაის სახით და ხორციელდებოდა მეურნეობის ერთიანი მართვა. მაგრამ მიწაზე და ძირითად საწარმოო საშუალებებზე მაინც რჩებოდა კერძო საკუთრება. ასეთი კოოპერატივების რაოდენობა 1951 წელს 300-ს აღემატებოდა.

სოფლის მეურნეობის კოოპერირების პროცესში პარტიის კლასობრივი პოლიტიკა იმაში მდგომარეობდა, რომ ღარიბებისა და საშუალო გლეხების დაბალი ფენებისათვის უპირატესი მდგომარეობა მიეცათ კოოპერატივების ხელმძღვანელობაში და ამასთან განემტკიცებინათ კავშირი საშუალო გლეხობასთან.

---

[1] მუ—0,6 ჰექტარს უდრის.

საშუალო გლეხობასთან კავშირის განმტკიცებას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ კოოპერირების დროს განუხრელად იყო დაცული ნებაყოფლობითი პრინციპი. კოოპერირებისათვის მოძრაობა ექსპლოატატორული კლასების მხრივ წინააღმდეგობისა და ძირგამომთხრელი საქმიანობის პირობებში მიმდინარეობდა. ამიტომ მოძრაობის პირველ ეტაპზე მემამულეებს, კულაკებსა და შეძლებულ გლეხებს, როგორც წესი, აკრძალული ჰქონდათ კოოპერატივებში შესვლა. კოოპერატიულ მოძრაობაში წარმატებების მიღწევის შემდეგ შეშოლებულ იქნა დიფერენცირებული მიდგომა კონკრეტული პირობებისა და სოციალურ მდგომარეობაში განსხვავების გათვალისწინებით. ამან ყოფილ მემამულეებსა და კულაკებს საშუალება მისცა ემუშავათ კოოპერატივებში. თანაბარი შრომისათვის თანაბარი ანაზღაურების გზით ხდებოდა მათი ხელახალი აღზრდა.

ნახევრად სოციალისტური ტიპის კოოპერატივების წარმატებებმა პირობები შექმნეს იმისათვის, რომ შემდგომში მასობრივად მომხდარიყო დაბალი ტიპის კოოპერატივების მაღალი ტიპის კოოპერატივებად გარდაქმნა. ასეთ კოოპერატივებში მიწა და წარმოების სხვა ძირითადი საშუალებები კერძო საკუთრებიდან კოლექტიურ საკუთრებაში გადავიდა.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საერთაშორისო მდგომარეობა. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და საბჭოთა კავშირი

ჩინეთში სახალხო-დემოკრატიული გარდაქმნების წარმატებები განპირობებული იყო ქვეყნის ხელსაყრელი საერთაშორისო მდგომარეობით. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სოციალიზმის, დემოკრატიისა და მშვიდობის ძალებმა უდიდესი განვითარება ჰპოვეს. სოციალისტურ ქვეყნებს შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების განმტკიცება გადამწყვეტი იმპულსი იყო ახალი ჩინეთის ცხოვრებაში.

1950 წლის 14 თებერვალს მოსკოვში საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება მეგობრობის, კავშირისა და ურთიერთდახმარების შესახებ. ამ ხელშეკრულებას საფუძვლად ედო საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის ხალხების გულწრფელი მისწრაფება გაეწიათ ერთმანეთისათვის ურთიერთდახმარება, ხელი შეეწყოთ ორივე ქვეყნის ეკონომიური და კულტურული პროგრესისათვის, მათ შორის ძმური მეგობრობის შემდგომი განმტკიცებისა და გაფართოებისათვის, და თავიანთი წვლილი შეეტანათ შორეულ აღმოსავლეთსა და მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებისათვის — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებისა და პრინციპების შესაბამისად.

სსრ კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის ხელმოწერილ იქნა აგრეთვე შეთანხმება ჩინეთის ჩანჩუნის რკინიგზის ერთობლივ მართვაზე. საბჭოთა კავშირის ყველა უფლებისა და გზის მთელი ქონების ჩინეთისათვის უსასყიდლოდ გადაცემაზე იაპონიასთან საზავო ხელშეკრულების დადებისთანავე, მაგრამ არა უგვიანეს 1952 წლის დამლევისა.

საბჭოთა კავშირი უსასყიდლოდ გადასცემდა ჩინეთს სრულ საკუთრებად მთელ ქონებას, რომელიც საბჭოთა სამეურნეო ორგანიზაციების მიერ 1945 წელს იაპონელ მესაკუთრეთაგან იყო შეძენილი მანჯურიაში, აგრეთვე საბჭოთა კავშირის კუთვნილ შენობებსაც პეკინის ყოფილ სამხედრო უბანში.

საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის დადებული

შეთანხმება ითვალისწინებდა აგრეთვე იაპონიასთან საზავო ხელშეკრულების დადებისთანავე, მაგრამ არა უგვიანეს 1952 წლის დამლევისა, პორტ-არტურიდან საბჭოთა ჯარების გამოყვანას და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისათვის ყველა იმ ნაგებობის გადაცემას, რომლებიც საბჭოთა კავშირის მიერ პორტ-არტურის რაიონში იყო აშენებული[1].

1950 წლის 10 თებერვლის შეთანხმებით საბჭოთა მთავრობა აძლევდა ჩინეთს გრძელვადიან ეკონომიურ კრედიტს. 1950 წლის მარტში კი ხელმოწერილ იქნა ახალი შეთანხმება საბჭოთა კავშირ-ჩინეთის შერეული საზოგადოებების შექმნის შესახებ დასავლეთ ჩინეთის ტერიტორიაზე (სინძიანში) ნავთობისა და ფერადი და იშვიათი ლითონების დასამუშავებლად.

1950 წლის ივნისში, როდესაც ჩინელი ხალხი მთელი ძალებით აწარმოებდა მშვიდობიან მშენებლობას და დემობილიზაციას ატარებდა სახალხო მეურნეობაში სამხედრო პირთა გაგზავნის მიზნით, დაიწყო ომი კორეაში. მიუხედავად ჩინეთის მთავრობის მიერ სერიოზული გაფრთხილებისა, ამერიკელმა იმპერიალისტებმა თხუთმეტ სხვა სახელმწიფოსთან ერთად 1950 წლის 15—16 სექტემბერს ნავსადგურ ინჩონში (ჩემულპო) გადასხეს საზღვაო დესანტი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ცისფერი დროშის ქვეშ. ამის შემდეგ გადალახეს 38-ე პარალელი, წინ წაწიეს მდ. იალუძიანისაკენ ჩინეთ-კორეის საზღვარზე და დაიწყეს ჩინეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილის დაბომბვა. სამშობლოს დაცვის მიზნით ჩინელი მოხალისენი გამოეიდნენ კორეელი ხალხის დასახმარებლად და კორეის სახალხო არმიასთან ერთობლივად უკუაქციეს აგრესორები 38-ე პარალელს მიღმა. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ გაათრია გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში უკანონო რეზოლუცია, რომელიც სახალხო ჩინეთს აგრესიაში სდებდა ბრალს, გამოცხადებულ იქნა აგრეთვე ემბარგო ჩინეთთან ვაჭრობაზე.

დამარცხებამ აიძულა იმპერიალისტები დათანხმებულიყვნენ დაზავების შესახებ მოლაპარაკებაზე, მაგრამ თვით იმპერიალისტების მიზეზით ეს მოლაპარაკება ჩიხში მოექცა. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ინიციატივამ, რომელსაც საბჭოთა მთავრობამ დაუჭირა მხარი, საქმე იქამდე მიიყვანა, რომ 1953 წლის 27 ივლისს ხელმოწერილ იქნა შეთანხმება კორეაში დაზავების შესახებ.

1952 წლის დამლეესათვის ჩინეთის ხალხმა საბჭოთა კავშირისა და ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნების უანგარო დახმარებით წარმატებით აღადგინა ქვეყნის მეურნეობა. პროდუქციის გამომუშავებამ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა დარგში 1949 წლამდე არსებულ ყველაზე მაღალ დონეს გადააჭარბა. 1949—1952 წლების აღდგენითი პერიოდი სახალხო-დემოკრატიული გარდაქმნების განხორციელებით დაგვირგვინდა. ამავე დროს დაიწყო სოციალისტური გარდაქმნების მომზადება და მათი გატარება.

---

[1] 1952 წელს სსრ კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის ხელმოწერილ იქნა ახალი შეთანხმება პორტ-არტურში საბჭოთა ჯარების რამდენიმე ხნით დატოვების შესახებ.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუცია. სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების პირველი სესია

ეხებოდა რა ჩინეთში გარდამავალი პერიოდის ძირითად თავისებურებებს, ლიუ შაო-ცი ჩინეთის კომუნისტური პარტიის მერვე სრულიად ჩინეთის ყრილობაზე ამბობდა:

„ჯერ ერთი, ჩვენი ქვეყანა მრეწველობის მხრივ ჩამორჩენილია, სოციალიზმის ასაშენებლად კი სოციალისტური ინდუსტრიისა და პირველ რიგში მძიმე მრეწველობის განვითარებაა საჭირო, რათა ჩვენი ქვეყანა ჩამორჩენილი აგრარული ქვეყნიდან მოწინავე ინდუსტრიულ ქვეყნად გადავაქციოთ. მაგრამ ამისათვის საკმაოდ ხანგრძლივი დროა საჭირო.

მეორეც, ჩვენს ქვეყანაში მუშათა კლასის მოკავშირეა არა მარტო გლეხობა და ქალაქის წვრილი ბურჟუაზია, არამედ ეროვნული ბურჟუაზიაც. ამიტომ ძველი ეკონომიკის გარდაქმნისათვის უნდა გამოვიყენოთ მშვიდობიანი გარდაქმნის მეთოდი არა მარტო სოფლის მეურნეობისა და შინამრეწველობის მიმართ, არამედ კაპიტალისტური მრეწველობისა და ვაჭრობის მიმართაც. მაგრამ ყოველივე ეს თანმიმდევრობასა და დროს მოითხოვს".

„გამოდიოდა რა ჩვენი ქვეყნის კონკრეტული პირობებიდან,— განაგრძობდა ლიუ შაო-ცი,— ცენტრალურმა კომიტეტმა ასე განსაზღვრა ჩვენი პარტიის გენერალური ხაზი გარდამავალ პერიოდში: საკმაოდ დიდი პერიოდის განმავლობაში თანდათანობით იქნეს განხორციელებული ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია და თანდათანობით გატარდეს სოფლის მეურნეობის, შინამრეწველობის, კაპიტალისტური მრეწველობისა და ვაჭრობის სოციალისტური გარდაქმნები. პარტიის ეს გენერალური ხაზი წამოყენებულ იქნა 1952 წელს — სახალხო მეურნეობის აღდგენითი პერიოდის დამლევს, ხოლო 1954 წელს მიღებულ იქნა სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მიერ და ჩაწერილია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციაში, როგორც ქვეყნის ძირითადი ამოცანა გარდამავალ პერიოდში"[1].

ამგვარად, 1949—1952 წწ. ეტაპი, როდესაც ჩინეთის ხალხი დასაქმებული იყო სახალხო მეურნეობის აღდგენით, აგრარული რეფორმებისა და სხვა სოციალურ-ეკონომიურ ღონისძიებათა გატარებით, უკვე განვლილი იყო. ამ პერიოდში ლიკვიდირებულ იქნა მემამულეთა კლასი, დაძლეულ იქნა კონტრრევოლუციის წინააღმდეგობა, განმტკიცდა სახალხო-დემოკრატიული წყობილება და მისი საფუძველი — მუშებისა და გლეხების კავშირი. სახალხო მეურნეობაში შეიქმნა სოციალისტური სექტორი მსხვილი კომპრადორული ბურჟუაზიის საკუთრებისა და უცხოეთის კაპიტალის ნაციონალიზაციის გზით. ჩინეთი სოციალიზმის აშენების უშუალო ამოცანის წინაშე იდგა, ხოლო სოციალიზმის აშენების პროგრამად იქცა კონსტიტუცია, რომელიც მიღებულ იქნა სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების პირველ სესიაზე პეკინში 1954 წლის 20 სექტემბერს. იგი „საერთო პროგრამის" განვითარებას წარმოადგენდა და მან ხორცი შეასხა ჩინეთის კომუნისტური პარტიის გენერალური ხაზის მოთხოვნებს გარდამავალი პერიოდისათვის. მან მკაფიოდ განსაზღვრა სოციალისტური გარდაქმნებისა და სოციალისტური მშენებლობის მეთოდები და თანმიმდევრობა.

---

[1] Доклад Лю Шао-ци Восьмому Всекитайскому съезду КПК, „Правда", 17 сентября 1957 года.

კონსტიტუციაში განმარტებულია ჩინეთის სახელმწიფო ძალაუფლების ხასიათი, როგორც დემოკრატიული დიქტატურა ხალხისა, რომელსაც მუშათა კლასი ხელმძღვანელობს. დაბოლოს, კონსტიტუცია აცხადებდა მშვიდობიან პოლიტიკას ქვეყნის საგარეო ურთიერთობათა დარგში. „...მთელს მსოფლიოში მშვიდობის ყეთილშობილური მიზნებისა და კაცობრიობის პროგრესისათვის ბრძოლა,— ნათქვამია კონსტიტუციაში,— ჩვენი ქვეყნის უცვლელი კურსია საერთაშორისო საქმეებში".

1953 წლის დამლეესა და 1954 წლის დასაწყისში საყოველთაო არჩევნების ჩატარების გზით შედგა სახალხო წარმომადგენელთა კრებები ადგილებზე. 1954 წლის 15 სექტემბერს გაიხსნა სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების პირველი სესია, რომელმაც, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუცია მიიღო.

საბჭოთა კავშირი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა—მშვიდობის ბურჯი შორეულ აღმოსავლეთსა და მთელ მსოფლიოში. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკა

ქვეყნის შინაგანი ძალების შემჭიდროებით და მშვიდობისა და კოლექტიური უშიშროების დასაცავად გამოსვლით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ მნიშვნელოვნად აამაღლა თავისი ავტორიტეტი საერთაშორისო სარბიელზე. 1954 წლის ივლისში ინდო-ჩინეთის საკითხის გამო გამართულ ჟენევის თათბირზე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციამ საბჭოთა კავშირის დელეგაციასთან ერთად უდიდესი როლი შეასრულა ინდო-ჩინეთში მშვიდობის აღდგენაში ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობისათვის პატივისცემის საფუძველზე. დამოუკიდებლობისათვის გმირული ბრძოლით ვიეტნამის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ მთელ მსოფლიოს დაუმტკიცა, რომ ღირსია ჰქონდეს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობის უფლება.

იმავე წელს ჯოუ ენ-ლაისა და ნერუს მიერ ხელმოწერილ იქნა დეკლარაცია, რომლითაც საერთაშორისო ურთიერთობებში სახელმძღვანელო დებულებების სახით მშვიდობიანი თანაარსებობის ხუთი პრინციპი იყო აღიარებული, „აც „პანჩა შილას" სახელწოდებითაა ცნობილი. ეს პრინციპები მომავალში საფუძვლად დაედო აზიისა და აფრიკის ქვეყნების უმრავლესობის საერთაშორისო ურთიერთობას.

1954 წლის 29 სექტემბრიდან 12 ოქტომბრამდე ჩინეთის მთავრობის მიწვევით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის 5 წლისთავის დღესასწაულთან დაკავშირებით ჩინეთში იმყოფებოდა საბჭოთა კავშირის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით. საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია მოლაპარაკებას აწარმოებდა ჩინეთის სახელმწიფოს ხელმძღვანელებთან ჩინეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობისა და საერთაშორისო მდგომარეობის საკითხების შესახებ. ამ მოლაპარაკებათა შედეგად ხელმოწერილ იქნა მნიშვნელოვანი დოკუმენტები, რომლებიც მოწმობდნენ აზრთა ერთიანობას ორივე სახელმწიფოს შორის და საერთაშორისო საკითხების ირგვლივ.

ერთობლივ დეკლარაციაში ორივე მხარემ აღიარა, რომ საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის დამყარებული თანამშრომლობა შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობისა და უშიშროების საიმედო ბურჯს და საერ-

თაშორისო მშვიდობის დაცვის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. ამასთან დეკლარაცია აღიარებდა, რომ სსრ კავშირსა და ჩინეთს შორის დამყარებული მეგობრული ურთიერთობა ორივე სახელმწიფოს შორის შემდგომი მშვიდრო თანამშრომლობის საფუძველია — თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთსარგებლიანობის, აგრეთვე სახელმწიფო სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი ურთიერთპატივისცემის პრინციპების შესაბამისად.

ორივე მთავრობამ ერთსულოვნად გამოთქვა თავიანთი მისწრაფება — ზომავალშიც მიიღონ მონაწილეობა მშვიდობის განსამტკიცებლად მიმართულ ყველა საერთაშორისო ღონისძიებაში და განაცხადა, რომ კონსულტაცია ექნებათ ერთმანეთთან ყოველთვის, როგორც კი წამოიჭრება საკითხები, რომლებიც შეეხება ორივე მხარის ინტერესებს იმ მიზნით, რათა შეათანხმონ უშიშროების უზრუნველყოფისა და მშვიდობის შესანარჩუნებლად მიმართული მოქმედებანი.

ორივე მთავრობამ დაგმო ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ჩინეთის კუნძულ ტაივანის ოკუპაცია, ამერიკის მხრივ სამხედრო და ეკონომიური მხარდაჭერა ჩან კაი-შის ხროვისათვის, აგრესიული სამხედრო ბლოკი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში — სეატო და საჭიროდ ცნეს ახლო მომავალში კორეის საკითხის ირგვლივ კონფერენციის მოწვევა დაინტერესებული სახელმწიფოების მონაწილეობით.

ორივე სახელმწიფომ განაცხადა, რომ თავიანთ ურთიერთობებს აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნებთან ისინი ააგებენ მშვიდობიანი თანაარსებობის ხუთი პრინციპის მტკიცედ დაცვის საფუძველზე და ყველა ღონეს იხმარენ იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ იმ გადაუჭრელი საერთაშორისო პრობლემების მოწესრიგებას, რაც აზიის ქვეყნებს შეეხება. მათ ღრმა თანაგრძნობა გაუწიეს იაპონელ ხალხს, რომელიც თავს მოხვეული სანფრანცისკოს „საზავო ხელშეკრულებისა" და პოტსდამის გადაწყვეტილებათა საწინააღმდეგო სხვა შეთანხმებათა შედეგად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ორივე მთავრობამ განაცხადა, რომ იაპონიასთან დამოკიდებულების პოლიტიკაში ამოსავალი წერტილი იქნება სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი მათი საზოგადოებრივი წყობის მიუხედავად და მზადყოფნა გამოსთქვეს გადაღგან ნაბიჯი იაპონიასთან ურთიერთობის ნორმალიზაციის მიზნით.

საბჭოთა კავშირმა გადასცა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შერეულ საზოგადოებებში მონაწილეობის საბჭოთა წილი.

გამოქვეყნებული იყო აგრეთვე საბჭოთა კავშირ-ჩინეთის კომუნიკე სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ, ლანჯოუ-ურუმჩი — ალმა-ატას რკინიგზის მშენებლობისა და პირდაპირი მიმოსვლის მოწყობის შესახებ; აგრეთვე გამოქვეყნებული იყო სსრ კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ერთობლივი კომუნიკე ძინინიდან (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორია) ულან-ბატორამდე (მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა) რკინიგზის მშენებლობისა და 1955 წლისათვის პირდაპირი მიმოსვლის მოწყობის შესახებ.

საბჭოთა კავშირმა დამატებით იკისრა ვალდებულება ჩინეთის 141 საწარმოსათვის მოწყობილობათა მიწოდების შესახებ. ამით საბჭოთა კავშირი კისრულობდა დახმარება გაეწია ჩინეთისათვის დამატებითი 15 სამრეწველო საწარმოს მშენებლობის საქმეში და გაედიდებინა მოწყობილობათა მიწოდება 141 საწარმოსათვის. საბჭოთა კავშირიდან დამატებით მისაწოდებელ მოწყობილობათა ღირებულება აღემატებოდა 400 მილიონ მანეთს. გარდა ამისა, საბჭოთა კავშირ-

მა მისცა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას 520 მილიონი მანეთის გრძელვადიანი კრედიტი.

ძნელია ამ შეთანხმებათა მნიშვნელობის გადაჭარბებით შეფასება ჩინეთის სახალხო მეურნეობის აღმავლობის საქმისათვის, პირველ რიგში სოციალისტური ინდუსტრიისა და ჩინეთის საერთაშორისო მდგომარეობის ვანმტკიცებისათვის. ამ შეთანხმებათა მნიშვნელობა ორი სახელმწიფოს ურთიერთობის ჩარჩოებს სცილდებოდა, რადგან ისინი მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების ამოცანას უპასუხებდნენ.

1955 წლის 18-დან 24 აპრილამდე ბანდუნგში მიმდინარეობდა აზიისა და აფრიკის ქვეყნების კონფერენცია, რომელშიც აზიისა და აფრიკის 29 სახელმწიფო მონაწილეობდა; მათ შორის ჩინეთიც.

იმპერიალისტურმა ქვეყნებმა დიდი შრომა გასწიეს იმისათვის, რომ ჩაეშალათ კონფერენცია ბანდუნგში ან ხელი შეეშალათ მისი წარმატებებისათვის; მათ განსაკუთრებით ეშინოდათ კონფერენციაში ჩინეთის მონაწილეობისა: ჩინეთის დელეგატების წინააღმდეგ მოწყობილ იქნა ბოროტმოქმედი დიეერსია, რომელშაც დაღუპვამდე მიიყვანა თვითმფრინავი „ქაშმირის პრინცესა“, რომელშიც ჩინელი მოქალაქენი ისხდნენ. ჯოუ ენ-ლაის განსაკუთრებით ტაქტიანმა და თავდაჭერილმა სტუდიამ, რომელშიც გამონახული იყო ის ძირითადი, რასაც უნდა გაეერთიანებინა ყველა აზიური და აფრიკული ქვეყანა (მათი პოლიტიკური წყობის მიუხედავად), უდიდესი როლი შეასრულა კონფერენციის მუშაობის წარმატებით მსვლელობაში და მის გადაწყვეტილებათა გამოტანაში. კონფერენციის მონაწილენი დარწმუნდნენ, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა მართლაც დაინტერესებულია მშვიდობით და რომ იგი მშვიდობისმოყვარე ქვეყანაა.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნის შემდეგ არმიიდან დემობილიზებულთა რიცხვმა 1955 წელს 4,5 მილიონ ადამიანს გადააჭარბა. შემდეგში დემობილიზებულთა რაოდენობა იზრდებოდა და 1956 წლის სექტემბრისათვის 5 მილიონ ადამიანს მიაღწია. თავდაცვისათვის გაწეული ხარჯები 1955 წ. ბიუჯეტის გასავალი ნაწილის მხოლოდ 24 პროცენტს შეადგენდა.

მაგრამ, ანგარიშს უწევდა რა მოსალოდნელი თავდასხმის მუქარას, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა განამტკიცებდა ქვეყნის თავდაცვისათვის საჭირო შეიარაღებულ ძალებს, რომ ამ გზით დაეცვა სოციალისტური მშენებლობის მონაპოვრები, ქვეყნის სუვერენიტეტი, ტერიტორიული მთლიანობა და უშიშროება.

1954 წლის ოქტომბერში ჩინეთის მთავრობამ გადადგა რიგი ნაბიჯები ჩინეთ-იაპონიის ურთიერთობის ნორმალიზაციის მიზნით, მაგრამ, სამწუხაროდ, ამას წარმატება არ მოჰყოლია, როდესაც აზიის ბევრმა ქვეყანამ წინადადება წამოაყენა შორეული აღმოსავლეთის კონფერენციის მოწვევის შესახებ, რომელზედაც დაინტერესებულ მხარეებს შეეძლოთ ემსჯელათ და გადაეწყვიტათ შორეულ აღმოსავლეთში დაძაბული მდგომარეობის შენელების საკითხი, ჩინეთის მთავრობამ მხარი დაუჭირა ამ წინადადებას. თავის მხრივ პრემიერმა ჯოუ ენ-ლაიმ 1955 წლის აგვისტოში წინადადება შეიტანა აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნებს შორის — ამერიკის შეერთებული შტატების ჩათვლით — კოლექტიური მშვიდობის პაქტის დადების შესახებ.

საერთაშორისო საკითხებში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა განუხრელად გამოდიოდა კოლონიალიზმის წინააღმდეგ, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. ასე იყო ინდოეთისათვის გოას დაბრუნების საკითხში, ინდონეზიისათვის

დასავლეთ ირიანის დაბრუნების საკითხში, სუეცის არხის ნაციონალიზაციაზე ეგვიპტის უფლების საკითხში და სხვ.

ბანდუნგის კონფერენციის დროს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ წინადადება შეიტანა იმის შესახებ, რომ ჩინეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დაწყებულიყო მოლაპარაკება ტაივანის რაიონში არსებული დაძაბულობის შენელებისა და მისი ლიკვიდაციის მიზნით. დაძაბული მდგომარეობა წარმოიშვა ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ჩინეთის კუნძულ ტაივანის ოკუპაციის შედეგად და ამიტომ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის აზრით, ეს საკითხი საერთაშორისო საკითხია, რომელიც ჩინეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობას ეხება. ხოლო ჩინეთის ხალხის მიერ ტაივანის განთავისუფლების საქმეში თავისი სუვერენიტეტის განხორციელებას ჩინეთის მთავრობა საშინაო პოლიტიკის საკითხად თვლის.

ამავე დროს ამერიკის შეერთებულ შტატებს სურდათ ტაივანის რაიონში ჩინეთსა და აშშ შორის არსებული საერთაშორისო დავა განეხილათ როგორც საშინაო საკითხი, რომელიც ჩინეთის მთავრობასა და ჩან კაი-შის ხროვას შორის არსებობდა. ამერიკის შეერთებული შტატები მოითხოვდნენ, რომ ჩინეთი დათანხმებოდა ტაივანის ოკუპაციას და უარი განეცხადებინა თავის სუვერენულ უფლებაზე — გაეთავისუფლებინა ტაივანი. მოკლედ, აშშ მოითხოვდნენ პარალელურად „ორი ჩინეთის" არსებობას: ერთი იქნებოდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, მეორე — ჩან კაი-შის მეთაურობით ტაივანის ტერიტორია.

მიუხედავად ჩინეთის მთავრობის წინადადებისა ჩატარებულიყო ჩინეთ-ამერიკის მოლაპარაკება მაღალ დონეზე, ამერიკა დათანხმდა მოლაპარაკებაზე მხოლოდ კონსულის დონეზე. მოლაპარაკება დაიწყო 1954 წელს ჟენევაში და უშედეგოდ ჭიანურდებოდა წლების განმავლობაში.

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკამ ემბარგო დაადო ჩინეთთან ვაჭრობას, ჩინეთი მაინც წარმატებით ავითარებდა თავის ეკონომიურ კავშირს ისეთ ქვეყნებთანაც კი, რომლებიც სოციალისტურ ბანაკში არ შედიოდნენ. როგორც ჯოუ ენ-ლაიმ განაცხადა სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მესამე სესიაზე, 1954 წელს ჩინეთი 47 სახელმწიფოსთან აწარმოებდა ვაჭრობას, 1955 წელს კი 62 სახელმწიფოსთან. 1955 წელს ვაჭრობა ჩინეთსა და კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის გადიდდა 1954 წელთან შედარებით 28,7 პროცენტით. ემბარგოს პოლიტიკა მარცხს განიცდიდა.

იზრდებოდა კულტურული კავშირიც ჩინეთსა და სხვა სახელმწიფოებს შორის. როგორც გაზეთი „ჟენმინჟიბაო" იტყობინებოდა, 1955 წელს ჩინეთმა თავის ქვეყანაში მიიღო 75 სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული დელეგაცია, რომელთა წევრების საერთო რაოდენობა 5.200 კაცს აღემატებოდა. ამ დელეგაციათა შემადგენლობაში შედიოდნენ მთავრობათა მეთაურები, პარლამენტებისა და პოლიტიკური პარტიების გამოჩენილი წევრები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, მუშების, ახალგაზრდობის, ქალებისა და სხვათა წარმომადგენლები. აგავე ხნის განმავლობაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციების 5.400 წევრი მეგობრული ვიზიტით ეწვია 49 ქვეყანას.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმა (1953 - 1957 წწ.). სოციალიზმის მშენებლობის გზაზე გადამწყვეტი გამარჯვებები ჩინეთში

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმა (1953—1957 წწ.) განხილული და ძირითადად მოწონებული იყო 1955 წლის მარტში ჩინეთის კომუნისტური პარტიის სრულიად ჩინეთის კონფერენციაზე. იგი დამტკიცებულ იქნა სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მეორე სესიაზე, რომელიც 1955 წლის ივლისში შედგა. ფაქტიურად კი ჩინეთი ამ გეგმის განხორციელებას 1953 წლიდანვე შეუდგა.

პირველი ხუთწლიანი გეგმა ასახავდა გარდამავალი პერიოდის ჩინეთის სახალხო დემოკრატიული სახელმწიფოს ძირითად ამოცანას, რომელიც მდგომარეობდა სოციალისტურ ინდუსტრიალიზაციაში მძიმე მრეწველობის უპირატესი განვითარებით. მხოლოდ მძიმე მრეწველობის განვითარების საფუძველზე ჩინეთს შეეძლო საწარმოო ტექნიკის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, შრომის პროდუქტიულობის გადიდება, მოსახლეობის საარსებო დონის განუწყვეტელი ზრდის უზრუნველყოფა.

ამ დროისათვის ჩინეთი ჩამორჩენილ აგრარულ ქვეყანას წარმოადგენდა, რომელიც ჯერ კიდევ კოლონიური წარსულის მძიმე ტვირთის ქვეშ იმყოფებოდა. საკმარისია მივუთითოთ იმაზე, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაარსების მომენტისათვის საერთო სამრეწველო პროდუქცია ქვეყნის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მთელი პროდუქციის მხოლოდ 17 პროცენტს შეადგენდა.

პირველი ხუთწლიანი გეგმით თავდაპირველად შემდეგი ამოცანები იყო დასმული: ა)ჩინეთის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ბაზის შექმნა, მთავარი ძალებისა და სახსრების გამოყენება 694 ზელიმიტური ობიექტის მშენებლობისათვის, რომელთა საფუძველი უნდა ყოფილიყო საბჭოთა კავშირის დახმარებით დაპროექტებული 156 სამრეწველო ობიექტი; ბ) სოფლის მეურნეობისა და შინამრეწველობის სოციალისტურად გარდაქმნისათვის ბაზის შექმნა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების გზით, რომლებიც ნაწილობრივ კოლექტიურ საკუთრებასა და შინამრეწველურ საწარმოო კოოპერატივებზე იქნებოდა აგებული; ვ) ბაზის შექმნა კერძო მრეწველობისა და ვაჭრობის სოციალისტურად გარდაქმნისათვის ძირითადად მთელი კაპიტალისტური მრეწველობისა და ვაჭრობის თავისი ფორმით განსხვავებული სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმის რელსებზე გადაყვანით[1].

პირველი ხუთწლიანი გეგმის განხორციელების პირველსავე წლებში დიდი წარმატებები იქნა მიღწეული. ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში გაფართოვდა შავი მეტალურგიის ბაზა, წამოწყებულ იქნა შავი მეტალურგიის ორი ახალი ბაზის მშენებლობა შიდა მონღოლეთსა და ცენტრალურ ჩინეთში; დაწყებულ იქნა მთელი რიგი ახალი ელექტროსადგურების, ქვანახშირის შახტების, ნავთობის სარეწავების, ფერადი მეტალურგიის საწარმოების, ფერადი ლითონების მაღაროების, ქიმიური მრეწველობის საწარმოთა და სხვ. მშენებლობა და არსებულის გაფართოება.

---

[1] Материалы второй сессии Всекитайского собрания Народных представителей (15—30 июня 1955 г.), стр. 17.

განუწყვეტლივ იზრდებოდა საერთო პროდუქციაში წილი იმ მრეწველობისა, რომელიც საწარმოო საშუალებებს უშვებდა. 1949 წლისათვის ეს უკანასკნელი 26,6 პროცენტს შეადგენდა, 1952 წ.—35,6 პროცენტს, 1955 წელ კი 46 პროცენტს. იმ დროს, როდესაც პირველი ხუთწლედის სამი წლის განმავლობაში მრეწველობის საერთო პროდუქციის ღირებულება 65,6 პროცენტით გადიდდა, საწარმოო საშუალებათა წარმოება 91,8 პროცენტით გაიზარდა, მოხმარების საგანთა წარმოება კი —48,4 პროცენტით. ჩინეთის კომუნისტური პარტია მტკიცედ იცავდა საწარმოო საშუალებათა წარმოების უპირატესად განვითარების ლენინურ პრინციპს.

სოციალისტური მშენებლობის პირველ ხანებშივე ჩინელმა ხალხმა გამოავლინა უდიდესი შემოქმედებითი შესაძლებლობანი, რაც სრულებით წარმოუდგენელია კაპიტალისტური წყობილების დროს. ასე, მაგალითად, თუჯის წარმოების ტემპების ზრდა ჩინეთში 1952-დან 1955 წლამდე 90,5 პროცენტს შეადგენდა, მაშინ როდესაც კაპიტალისტურ ქვეყნებში ზრდა საშუალოდ 20,3 პროცენტს უდრიდა. ფოლადის წარმოების ზრდის ტემპები შესაბამისად იყო 111,2 და 21,7, ელექტროენერგიისა — 67,2 და 30,5 და ა. შ.

ჩინეთის სახალხო მეურნეობამ განსაკუთრებით დიდ წარმატებებს მიაღწია 1956 წელს. ეს წარმატებები მომზადებულ იქნა ჩინეთის კომუნისტური პარტიის მიერ მთელი რიგი ღონისძიებების გატარებით.

ჯერ კიდევ 1949 წლის მარტში ჩინეთის კომუნისტური პარტიის VII მოწვევის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებაში ნათქვამი იყო, რომ კომუნისტური პარტიის მხრივ სწორი ხელმძღვანელობისა და მთელი მსოფლიოს პროლეტარიატის, მათ შორის და პირველ რიგში საბჭოთა კავშირის მხარდაჭერის პირობებში, ჩინეთმა შეიძლება აყვავება-გაფურჩქვნას მიაღწიოს სულ მოკლე ვადაში. 1955 წლის დამლევისათვის აშკარა გახდა, რომ სოციალისტური რევოლუცია საწარმოო საშუალებებზე საკუთრების დარგში მოკლე ვადაში მიაღწევს გადამწყვეტ გამარჯვებას. იმასთან დაკავშირებით, რომ წარმოებასა და მშენებლობაში მასობრივი გმირობა გამოვლინდა, საჭირო შეიქმნა პირველი ხუთწლიანი გეგმის „ძველი ჩარჩოების“ გარღვევა. ამ საკითხთან დაკავშირებით მაო ძე-დუნი თავისი კრებულის —„სოციალისტური აღმავლობა ჩინეთის სოფელში“ — წინასიტყვაობაში 1955 წლის დეკემბერში მოუწოდებდა შეცვლილიყო პირველი ხუთწლიანი გეგმით დაწესებული პირვანდელი ტემპები უფრო მაღალი ტემპებით.

„საკითხი იმაში მდგომარეობს, — წერდა მაო ძე-დუნი, — რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგში, მრეწველობისა (სახელმწიფო, სახელმწიფო-კერძო, კოოპერაციული სექტორი) და შინამრეწველური წარმოების დარგში, მრეწველობაში და ტრანსპორტზე კაპიტალურ მშენებლობათა მასშტაბებისა და ტემპების დარგში, მეურნეობის სხვა დარგებთან ვაჭრობის კოოპერირების სფეროში, ეკონომიკის სხვადასხვა დარგებთან მეცნიერების, კულტურის, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის საქმის კოორდინირებისა და მთელ რიგ სხვა დარგებში ჯერ კიდევ არსებობს შექმნილი პირობების შესაძლებლობათა შეუფასებლობა. ეს მანკი უნდა დავგმოთ და დავძლიოთ ისე, რომ განვითარება ყველა ამ დარგებში ფეხდაფეხ მიპყვებოდეს მთლიანად პირობების შეცვლას“.

განაზოგადა რა წინასიტყვაობაში გამოთქმული აზრი, მაო ძე-დუნმა ჩამოაყალიბა ლოზუნგი: სოციალისტური მშენებლობა გაიშალოს უფრო მეტად, იგი

წარმოებდეს უფრო ჩქარა, უფრო უკეთესად და ეკონომიურად. მან მიუთითა, რომ პარტიის წინაშე დგას აქტუალური ამოცანა — დაძლეულ იქნას მემარჯვენე გადახრის მატარებელი კონსერვატიული შეხედულებები, რომლებიც მართლაც არსებობენ. ამრიგად, სოციალისტური მშენებლობის კურსის აღება პრინციპის მიხედვით — უფრო მეტი, უფრო ჩქარა, უკეთესად და ეკონომიურად—პარტიის გენერალურ ხაზად იქცა. პარტიის გენერალურმა ხაზმა პრაქტიკით დაამტკიცა თავისი სისწორე. 1956 წელს უდიდესი ნახტომი იქნა გაკეთებული ქვეყნის ეკონომიურ და კულტურულ მშენებლობაში. სამრეწველო წარმოების პროდუქცია 31 პროცენტით გაიზარდა; სოფლის კეურნეობის პროდუქცია, მიუხედავად სერიოზული სტიქიური უბედურებებისა, 5 პროცენტით გადიდდა. პირველი ხუთწლიანი გეგმა მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვების, მარცეულეულის საერთო მოსავლის აღებისა და ტრანსპორტის დარგში და ა. შ. 4 წელში იქნა შესრულებული. გაუმჯობესდა საწარმოთა ტექნიკური აღჭურვილობა. 1956 წელს შრომის ნაყოფიერება 20 პროცენტით გადიდდა, გამოსაშვები პროდუქციის თვითღირებულება კი 7,3 პროცენტით შემცირდა. სამუშაოთა არნახულმა გაქანებამ საქმე იქამდე მიიყვანა, რომ 1956 წლისათვის მუშათა და მოსამსახურეთა რიცხვი გაიზარდა არა 840 ათასი კაცით, როგორც ეს ხუთწლიანი გეგმით იყო გათვალისწინებული, არამედ 2.240 ათასი კაცით. ჩინეთის განთავისუფლებიდან გასული დროის განმავლობაში მუშათა და მოსამსახურეთა რაოდენობა 13 მილიონი ადამიანით გაიზარდა, და უმუშევრობა, რომელიც ძველი საზოგადოებიდან მემკვიდრეობით იყო გადმოსული, ძირითადად ლიკვიდირებულ იქნა. მაგრამ, იმასთან დაკავშირებით, რომ მოსახლეობის რაოდენობა მეტად გაიზარდა და მრეწველობაც შედარებით ჩამორჩენილია, შრომის საკითხების მოწესრიგების დარგში მთავრობის ძირითად კურსად ისევ რჩება საოფლო-სამეურნეო სამუშაოებში მონაწილეობა, შინამრეწველობა კი დამხმარე საშუალებას წარმოადგენს.

მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასი 1956 წელს 14 პროცენტით გაიზარდა. ხელფასის საერთო ფონდი 8,3 მილიარდიდან 10,7 მილიარდ იუანამდე გადიდდა. მართალია, მუშათა საარსებო დონესა და გლეხთა საარსებო დონეს შორის განსხვავება არსებობდა, მაგრამ, ჩინეთის მთავრობის აზრით, იგი არ იყო მნიშვნელოვანი და კანონზომიერ მოვლენას წარმოადგენდა. იმ მიზნით, რომ შეემცირებინა სხვაობა მაღალი და დაბალი კვალიფიკაციის მუშაკთა ხელფასს შორის, ჩინეთის მთავრობამ, გათანაბრების აკილებით, 1956 წელს გაატარა საწარმოთა ხელმძღვანელი მუშაკებისა და სახელმწიფო დაწესებულებათა მაღალი კვალიფიკაციის მუშაკების ხელფასის შეზღუდვის ან შემცირების ღონისძიებები. 1956 წელს დიდი განვითარება მიიღო სასოფლო-სამეურნეო მშენებლობამ, მაგალითად, საირიგაციო ნაგებობათა მშენებლობა მდ. ხუანხეს აუზზე, მდ. იანძის შუა წელში და სხვა მდინარეებზე. ხუთწლედის პირველი სამი წლის განმავლობაში გატეხილ იქნა 36 მილიონი მუ ყამირი მიწა, ხოლო მარტო 1956 წლის განმავლობაში გატეხილ იქნა 29 მილიონი მუ. სარწყავი ფართობი პირველი სამი წლის განმავლობაში 41 მილიონი მუთი გადიდდა, 1956 წელს კი 100 მილიონი მუზე მეტით.

დიდი წარმატებები იქნა მიღწეული ტრანსპორტის დარგში. პირველი ხუთწლედის განმავლობაში გაყვანილ იქნა 8.500 კილომეტრი ახალი რკინიგზა (ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 4.084 კილომეტრისა). მაშინ როდესაც გომინდანის 22 წლის მმართველობის პერიოდში გაყვანილ იქნა მხოლოდ 2.600

კილომეტრზე ცოტათი მეტი. დამთავრდა იმ რკინიგზის მშენებლობა, რომელიც აერთიანებს ჩინეთს, მონღოლეთსა და საბჭოთა კავშირს, აგრეთვე რიგი სხვა გზებისაც.

დიდი ნახტომი გაკეთა კულტურისა და განათლების საქმემ. პირველი ხუთწლედის განმავლობაში უმაღლესი სასწავლებლებიდან გამოშვებულთა საერთო რაოდენობა 280 ათას კაცს შეადგენს, მაშინ როდესაც ძველ ჩინეთში 36 წლის განმავლობაში (1912-დან 1947 წლამდე) იგი შეადგენდა 210 ათასს. საშუალო სკოლების მოსწავლეთა რიცხვი 1949-დან 1955 წლამდე 1.288 ათასიდან 5.860 ათასამდე გაიზარდა, დაწყებითი სკოლების მოსწავლეთა რაოდენობა კი — 24 მილიონიდან 63 მილიონამდე. 1949 წლიდან 1956 წლამდე 22 მილიონზე მეტმა მოზრდილმა ადამიანმა შეისწავლა წერა-კითხვა. 1949-დან 1957 წლამდე სახელმწიფომ საყოველთაო განათლების საქმეს მოახმარა 4.900 მილიონი იუანი, რაც კულტურისა და განათლებისათვის გაწეული საერთო ხარჯების 24 პროცენტსა და საერთო განათლებისათვის დახარჯულის 54 პროცენტზე მეტს შეადგენს.

1956 წელს გამოცემული წიგნების საერთო ტირაჟმა 1.600 მილიონი ეგზემპლიარი შეადგინა, მაშინ როდესაც განთავისუფლების პირველ პერიოდში წლიურად 100 მილიონზე ცოტათი მეტი გამოდიოდა. სამკურნალო დაწესებულებებში საწოლთა რიცხვი 106 ათასიდან 339 ათასამდე გაიზარდა.

დიდი ისტორიული მნიშვნელობა მოიპოვეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმატებებმა 1956 წელს საწარმოო საშუალებათა განსაზოგადოების დარგში. ეს წარმატებები, არსებითად, მოასწავებდნენ სოციალისტური რევოლუციის ძირითად დამთავრებას ეკონომიურ ფრონტზე (საწარმოო საშუალებებზე საკუთრების მხრივ) 1955—1956 წლებში.

არასრული მონაცემების მიხედვით 1953 წლისათვის ჩინეთში ითვლებოდა 200 ათასზე მეტი კერძოკაპიტალისტური და შინაპრეწველური საწარმო, რომლებშიც 2.750 ათასზე მეტი მუშა და მოსამსახურე მუშაობდა და რომლებიც მთელი ქვეყნის სამრეწველო პროდუქციის ღირებულების 38 პროცენტს იძლეოდნენ. კერძო ვაჭრობაში 4.500 ათასამდე საწარმო ითვლებოდა, სადაც 6.800 ათასამდე კაცი მუშაობდა, ამათგან საბითუმო სავაჭროში — 197 ათასზე მეტი. საჭირო იყო კერძო კაპიტალისტურ საწარმოთა ამ ეტაპებერთელა სისტემის გადაყვანა სახელმწიფო კაპიტალიზმის რელსებზე.

როგორც ლიუ შაო-ციმ[1] თავის მოხსენებაში ჩინეთის კომუნისტური პარტიის მერვე სრულიად ჩინეთის ყრილობაზე აღნიშნა, სოციალისტური გარდაქმნები ჩინეთში ორ ეტაპად ხორციელდება: პირველი — კაპიტალისტური სექტორის გადაქცევა სახელმწიფო-კაპიტალისტურ სექტორად, მეორე — სახელმწიფო-კაპიტალისტური სექტორის გადაქცევა სოციალისტურ სექტორად.

„რას წარმოადგენს სახელმწიფო კაპიტალიზმი, რომელიც არსებობს სახელმწიფოს ხელმძღვანელობის ქვეშ იმ ქვეყანაში, სადაც ხელისუფლებას პროლეტარიატი უდგას სათავეში?“ — კითხვას აყენებდა ლიუ შაო-ცი და უპასუხებდა ლენინის სიტყვებით: „ეს ის კაპიტალიზმია, რომლის შეზღუდვასაც ჩვენ შეგვძლებთ. რომლის ფარგლების დაწესებასაც ჩვენ მოვახერხებთ...“[2].

ჩინეთში ისეთი გარდამავალი ფორმის საშუალებით, როგორიცაა სახელ-

---

[1] „Правда“, 17 სექტემბერი, 1956 წ.
[2] ვ. ი. ლენინი, თხს. ტ. 33, გვ. 324.

ნწიფო კაპიტალიზმი, ეროვნულ ბურჟუაზიას ეძლევა საკმაო დრო იმისათვის, რომ მან სახელმწიფოს ხელმძღვანელობით თანდათანობით მიიღოს გარდაქმნები. ამასთან ჩინეთის მრეწველობაში კაპიტალიზმს აქვს სამი ფორმა: დაბალი, საშუალო და მაღალი.

დაბალი ფორმა არსებობდა განთავისუფლების შემდეგ პირველ ხანებში და იგი იმაში მდგომარეობდა, რომ სახელმწიფო აწარმოებდა კერძო მწარმოებელთა პროდუქციის შესყიდვას. 1950 წლიდან თანდათანობით ვითარდებოდა სახელმწიფო კაპიტალიზმის საშუალო ფორმა, როდესაც სახელმწიფომ სამრეწველო ნედლეულის დიდი ნაწილი აიღო თავის ხელში და დაიწყო კერძო მრეწველობის მომარაგება ამ ნედლეულით; სახელმწიფო დაკვეთებს აძლევდა კერძო მწარმოებლებს ამ ნედლეულის გადამუშავებაზე; მიღებულ პროდუქციას იძენდა ცენტრალიზებული წესით და ამ წესითვე ასაღებდა მას.

ჩინეთში სახელმწიფო კაპიტალიზმის უმაღლეს ფორმას წარმოადგენს წარმოებათა შერეული სახელმწიფო-კერძო ექსპლოატაცია. 1954 წლიდან ჩინეთში დაიწყო შერეული სახელმწიფო-კერძო საწარმოების შექმნა, რომლებშიც სახელმწიფო თავის კაპიტალს აბანდებდა, გზავნიდა იქ თავის წარმომადგენლებს ერთობლივი მართვისათვის. ამ საწარმოებში სახელმწიფოს ხელმძღვანელი ადგილი ეკავა, ხელმძღვანელ პოსტებზე კი მოწინავე მუშები იყვნენ წამოყენებული. კაპიტალისტები და მათი ნდობით აღჭურვილი პირები იქ გამოდიოდნენ არა როგორც წარმოების უფროსნი, არამედ როგორც ხელქვეითნი. 1956 წელს საერთო პროდუქციის მოცულობაში სახელმწიფო საწარმოებმა 54,5 პროცენტი დაიკავეს, შერეულმა საწარმოებმა — 27,1 პროცენტი, კოოპერაციულმა — 17,1 პროცენტი და 1.3 პროცენტი კი მოდის კაპიტალისტურ საწარმოებსა და ერთპიროვნულ შინამრეწველებზე.

ახორციელებდა რა მშვიდობიანი გზით სოციალისტურ გარდაქმნებს, ჩინეთის მთავრობა ბურჟუაზიის კერძო მფლობელობაში მყოფ საწარმოო საშუალებათა ნაციონალიზაციას გატარებისას აწარმოებდა თანდათანობითი გამოსყიდვის პოლიტიკას მოგებათა განაწილების სისტემის გზით. ეს უკანასკნელი თავიდანვე ტარდებოდა შემდეგი პრინციპის მიხედვით — „ყველა ოთხივე ცხენს — თანაბარი საწყაო ქერისა“, ესე იგი თანაბარი ნაწილი მიდიოდა სახელმწიფოსათვის გადასახადის დასაფარავად, საწარმოს გასაფართოებლად, მუშათა კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად და კაპიტალისტისაგან საწარმოს გამოსასყიდად.

მოგებათა განაწილების ასეთი სისტემა ჯერ კიდევ ტოვებდა ადგილს ბურჟუაზიის მიერ მუშების ექსპლოატაციისათვის ზედმეტი ღირებულების მიღების მიზნით, მაგრამ ექსპლოატაცია მტკიცე ჩარჩოებში იყო მოქცეული. სამაგიეროდ დიდი შესაძლებლობა იქმნებოდა სახსრების დასაგროვებლად, საწარმოო მოწყობილობათა გასაუმჯობესებლად, წარმოების მოცულობის გასაღიდებლად, მართვის სისტემის გასაუმჯობესებლად, სახელმწიფო გეგმის უკეთ დასანერგად. მუშათა და მოსამსახურეთა შეგნებულობისა და დარაზმვის ასამაღლებლად. ყოველივე ამას უნდა მოემზადებინა პირობები ამ საწარმოთა მომავალი ნაციონალიზაციისათვის.

ცალკეული დარგების კერძო საწარმოთა გარდაქმნის შემდეგ გამოსყიდვამ დადგენილი პროცენტის გადახდის ფორმა მიიღო: განსაზღვრული დროის განმავლობაში დარგობრივი კომპანიის მეშვეობით სახელმწიფო უხდის კაპიტა-

ლისტს განსაზღვრულ პროცენტს (1-დან 6 პროცენტამდე) მოგების სიდიდის მიუხედავად. ამასთან ერთად სახელმწიფომ მიიღო ზომები კაპიტალის ყველა შრომისუნარიანი წარმომადგენლის სამუშაოზე მოწყობისათვის და შრომისუნარმოკლებულ პირთა არსებობის უზრუნველსაყოფად.

1956 წლის დასასრულისათვის ჩინეთის ყველა კაპიტალისტური საწარმო ძირითადად გარდაქმნილი იყო შერეულ სახელმწიფო-კერძო საწარმოდ და საწარმოო საშუალებებზე კერძო საკუთრების სოციალისტურ საკუთრებად გადაქცევის პროცესი ძირითადად დამთავრებული იყო. ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ მომავალში შესაფერის მომენტში შერეული სახელმწიფო-კერძო საწარმოები გარდაიქმნან მთლიანად და სავსებით სოციალისტურ სახელმწიფო საწარმოებად.

ვაჭრობის დარგში სახელმწიფო კაპიტალიზმის ფორმები რამდენადმე სხვანაირი იყო. სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში სახელმწიფო და კოოპერაციულმა ვაჭრობამ მოაწყო კერძო სავაჭრო საწარმოთა მომარაგება უმნიშვნელოვანესი სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საქონლით მის მიერ დაწესებულ პირობებში. კერძო სავაჭრო საწარმოებს უნდა ემუშავათ საკომისიო საწყისებზე. ეს იყო ვაჭრობაში სახელმწიფო კაპიტალიზმის დაწყებითი ფორმა, რომელმაც უკვე 1954 წელს დიდი განვითარება ჰპოვა.

შერეული სახელმწიფო-კერძო სავაჭრო საწარმოთა მოწყობა ცალკეული დარგების მიხედვით სახელმწიფო კაპიტალიზმის უმაღლეს ფორმას წარმოადგენს ვაჭრობაში. 1956 წელს კერძო სავაჭრო საწარმოთა მთლიანი გარდაქმნა შერეულ სახელმწიფო-კერძო საწარმოებად ძირითადად განხორციელებულ იქნა.

ახალი ჩინეთის ცხოვრებაში უდიდესი მოვლენა იყო აგრეთვე სოფლის მეურნეობასა და შინამრეწველობაში კოოპერაციული მოძრაობის დიდი გამარჯვება, რომელიც 1955 წლის მეორე ნახევარში დაიწყო. ამ პროცესის ორგანიზაციაში ისტორიული როლი შეასრულა მაო ძე-დუნის მიერ 1955 წლის 31 იულისს სოფლის მეურნეობის კოოპერირების საკითხების შესახებ გაკეთებულმა მოხსენებამ და მის საფუძველზე იმავე წლის 11 ოქტომბერს ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებულმა დადგენილებებმა.

როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, აგრარული გარდაქმნების შედეგად, ჩინეთის სოფლებში წარმოიშვნენ ურთიერთდამხმარე სასოფლო-სამეურნეო საწარმოო ჯგუფები. 1951 წლიდან ჩნდება ნახევრად სოციალისტური ხასიათის მქონე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები, რომლებშიც მიწა პაის სახით შეჰქონდათ, მაგრამ მიწაზე და საწარმოო საშუალებებზე კერძო საკუთრება იყო შენარჩუნებული. იმის გამო, რომ წარმოების ასეთ ფორმას უპირატესობა ჰქონდა, ნახევრად სოციალისტური ტიპის საწარმოო კოოპერატივების რაოდენობამ 1955 წლის პირველი ნახევრისათვის 670 ათასს მიაღწია და მათ 17 მილიონამდე გლეხთა ოჯახები მოიცვეს.

1955 წლის მეორე ნახევრიდან დაბალი ტიპის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებმა წარმოების უფრო ეფექტური ორგანიზაციის ფორმა მიიღეს, — ესაა ფორმა უმაღლესი ტიპის კოოპერატივებისა, რომლებშიც მიწა, გამწევი ცოცხალი პირუტყვი და სხვა ძირითადი საწარმოო საშუალებები კერძო საკუთრებიდან კოლექტიურ საკუთრებაში გადავიდა.

ამ მოძრაობამ თავისი ტემპებით ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. სა-

ეუთარი გამოცდილების საფუძველზე გლეხები დარწმუნდნენ კოლექტიური საკუთრებისა და კოლექტიური შრომის უპირატესობაში. თუ გეგმით გათვალისწინებული იყო, რომ პირველი ხუთწლედის ბოლოსათვის (ე. ი. 1957 წლისათვის) კოოპერირება მოიცავდა გლეხთა კომლების ორ მესამედს, სინამდვილეში კი 1956 წლის დამლევისათვის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში უკვე გაერთიანებული იყო 120 მილიონი ანუ გლეხთა კომლების საერთო რიცხვის 96 პროცენტი. ამასთან უმაღლესი ტიპის კოოპერატივებში გაერთიანდა მთელი გლეხთა კომლების 88 პროცენტი. 1957 წლის პირველ ნახევარში ასეთი კომლების რაოდენობა 93 პროცენტამდე ავიდა. ამრიგად, სოფლის მეურნეობის კოოპერირება ჩინეთში ძირითადად უკვე 1956 წელს დამთავრდა. ეს იყო უდიდესი გადატრიალება ასეულმილიონიანი ჩინელი გლეხების ცხოვრებაში, რამაც საბოლოოდ დაუხშო კარები კაპიტალიზმის განვითარებას სოფლად.

როგორც სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მეოთხე სესიის მასალებიდან ჩანს, ამჟამად გლეხთა მატერიალური მდგომარეობა შემდეგ სურათს იძლევა: გლეხთა 20—30 პროცენტს მცირე რაოდენობის ნამატი რჩება, გლეხთა დაახლოებით 60 პროცენტი გაჭირვებას არ განიცდის, გლეხთა 10—15 პროცენტი კი გაჭირვებაში ცხოვრობს და მათთვის კიდევ საჭიროა სახელმწიფოსა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხრივ დახმარება. საერთოდ მთელ ჩინეთში სასოფლო-სამეურნეო წარმოებიდან წმინდა-საშუალო წლიური შემოსავალი ერთ გლეხზე 70 იუანს შეადგენს, საარსებო მინიმუმი კი სოფლად ერთ კაცზე — საშუალოდ 5 იუანს თვეში. ძველ ჩინეთში კი გლეხთა ფართო მასები ნახევრად ტიტველ და ნახევრად მშიერ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ და თითქმის ნახევარი წლის განმავლობაში მხოლოდ ბზითა და გარეული ბოსტნეულით იკვებებოდნენ.

შინამრეწველობის კოოპერირებამ განვითარება ჯერ კიდევ 1955 წლიდან დაიწყო. 1956 წლის დამლევისათვის კოოპერატივებში გაერთიანებული იყო 5 მილიონზე მეტი შინამრეწველი, რაც მათი საერთო რაოდენობის 90 პროცენტს შეადგენს. 100 ათასი შინამრეწველური საწარმოო კოოპერაციული პრინციპების საფუძველზე მუშაობდა. შინამრეწველთა შემოსავალი კოოპერაციულ შრომაზე გადასვლასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად გაიზარდა.

შინამრეწველობის შემდგომი გარდაქმნისას ნავარაუდევია, რომ კოოპერირებულ ორგანიზაციათა ნაწილი გადაიზრდება სახელმწიფო საწარმოებში ან გაითქვიფება მათში, მეორე ნაწილი დიდი ხნით შეინარჩუნებს საწარმოო საშუალებებზე კოლექტიურ საკუთრებას, მესამე ნაწილი ისეთ ფორმას მიიღებს, რომლის დროსაც კოოპერატივის წევრები პირადად პასუხისმგებელი იქნებიან თავიანთი საქმიანობისათვის, კოოპერატივები კი სოციალისტურ საწარმოთა კონტროლში იქნებიან.

მუშაობის სტილის მოწესრიგება და ბრძოლა მემარჯვენე ელემენტების წინააღმდეგ

მას შემდეგ, რაც საწარმოო საშუალებებზე საკუთრების დარგში სოციალისტურმა რევოლუციამ ძირითადად გაიმარჯვა, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა წამოაყენა სოციალისტური რევოლუციის ამოცანები იდეოლოგიურ და პოლიტიკურ ფრონტებზე. სინამდვილეში ეს გადაიქცა ეჭვქვეშ მოძრაობად მუშაობის სტილის მოწესრიგებისა და მემარჯვენე ელემენ-

ტების წინააღმდეგ ბრძოლის სახით. ეს მოძრაობა 1957 წლის მაისში დაიწყო. მისი მიზანი იმაში მდგომარეობდა, რომ კრიტიკისა და თვითკრიტიკის მეთოდებით ამაღლებულიყო მასების კომუნისტური შეგნების დონე, სწორად გადაჭრილიყო წინააღმდეგობა ხალხის შიგნით, სისტემატურად მოწესრიგებულიყო ურთიერთობა ხალხის შიგნით იმ ვარაუდით, რომ ეს ურთიერთობა სოციალისტური სისტემის განმტკიცებისა და საზოგადოების საწარმოო ძალთა შემდგომი განვითარების მოთხოვნილებათა შესაფერისი ყოფილიყო.

კრიტიკასა და თვითკრიტიკას უნდა დაეთრგუნა ბიუროკრატიზმი, სექტანტობა და სუბიექტივიზმი, ჩინოვნიკური სულისკვეთება, პასიურობა, გარეგნული მოჩვენებითი ფუფუნება, გაამპარტავნება და პირმოთნეობა, მფლანგველობა და კონსერვატიზმის გამოვლინება მშენებლობის საქმეში; მას უნდა მოესპო არარაციონალური მოვლენები შრომის ორგანიზაციასა და შრომის მმართველობის დარგში, შეეცვალა ზოგიერთი წესი და წესრიგი, რომლებიც ზღუდავდნენ საწარმოო ძალთა განვითარებასა და მასების აქტივობას.

ჩინეთში ექსპლოატატორული კლასების არსებობამ და გარდამავალ პერიოდში ორ გზას შორის — სოციალისტურსა და კაპიტალისტურ გზას შორის— ბრძოლამ რეაქციის შეტევა გამოიწვია 1957 წელს. იმპერიალისტების აგენტებისა და ფეოდალურ-კომპრადორულ ძალთა ნაშთების, აგრეთვე ჩანკაიშისტური გომინდანის როლში გამოდიოდნენ მემარჯვენე ბურჟუაზიული ელემენტები.

იყენებდნენ რა ჩინეთში არსებულ ნაკლოვანებებს, როგორც ადგილობრივ, ერთგვარ დაძაბულობას ბაზრის მომარაგების საკითხში და სხვ., მემარჯვენე ბურჟუაზიული ელემენტები ბოროტად აზვიადებდნენ ამგვარ ნაკლოვანებებს. ლანაბაულს სდებდნენ პარტიას „აჩქარებაში", ცილს სწამებდნენ არსებულ სახელმწიფო წყობილებას, ხალხის დემოკრატიულ დიქტატურას. ისინი წინადადებას იძლეოდნენ — ჩინეთში არსებული ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს — სახალხო წარმომადგენელთა სრულიად ჩინეთის კრების გარეშე შექმნილიყო სახელმწიფო ხელისუფლების კიდევ რაღაც სხვა ორგანოები იმ მიზნით, რათა ჩამოეშორებინათ სახელმწიფო ხელისუფლება მუშათა კლასისა და მისი ავანგარდის — კომუნისტური პარტიის კონტროლისაგან. მემარჯვენე ელემენტები აცხადებდნენ, რომ მას შემდეგ, რაც სოციალისტურმა რევოლუციამ გადამწყვეტი გამარჯვება მოიპოვა, სახელმწიფოს თითქოს მეტი ამოცანა არ უნდა ჰქონდეს დიქტატურის დარგში მემარჯვენე ელემენტების მიზანი იმაში მდგომარეობდა, რომ აეცილებინათ ჩინეთი სოციალისტური გზისაგან და გადაეგდოთ იგი კაპიტალისტურ გზაზე; ამ მიმართულებით ისინი ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწეოდნენ.

პარტიაში მუშაობის სტილის მოსაწესრიგებლად წარმართული მოძრაობა და მემარჯვენე ელემენტების წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლა საყოველთაოსახალხო მოძრაობად გადაიქცა და სრული გამარჯვებით დაგვირგვინდა. ამ მოძრაობამ ძალთა თანაფარდობის მკვეთრი ცვლილება გამოიწვია. ანტიკომუნისტური, ანტიხალხური მემარჯვენე ელემენტები საბოლოოდ იქნენ იზოლირებული და დამლილი. მემარჯვენე ელემენტებთან ბრძოლაში გამარჯვების მოპოვებას თან მოჰყვა სერიოზული დარტყმა კონტრრევოლუციის ნაშთების და საზოგადოების სხვადასხვა მავნე ელემენტების მიმართ, რომლებიც ზიანს აყენებ-

ლნენ სოციალიზმის საქმეს. მნიშვნელოვნად განმტკიცდა სოციალისტური საზოგადოებრივი წესრიგი.

პარტია გაიწმინდა მის რიგებში მყოფი მემარჯვენე ელემენტების ჯგუფისაგან, რომლებიც სოციალიზმის საქმის გამცემლები იყვნენ.

ეროვნული ბურჟუაზიის წარმომადგენლებმა, ბურჟუაზიულმა ინტელიგენციამ და დემოკრატიული პარტიის წევრებმა, რომლებიც შუალედურ პოზიციაზე იდგნენ და მთლიანად არ ახმარდნენ თავიანთ თავს სოციალიზმის საქმეს, თანდათანობით შეიცვალეს ან იცვლიან თავიანთ უწინდელ პოლიტიკურ სახეს მემარჯვენე ელემენტებთან ბრძოლის მსვლელობაში, აგრეთვე იმ დიდ ნახტომებთან დაკავშირებით, რაც გაკეთდა წარმოებაში, მშენებლობაში და სოციალიზმის საქმის ყოველ დარგში. მათგან უმრავლესობამ იგრძნო, რომ „გარეშოება აიძულებს ადამიანებს", და აღიარა თავისი მცდარი შეხედულებები: ამათგან ბევრი აქტიურად ჩაება მუშაობის სტილის მოსაწესრიგებლად წარმოებულ მოძრაობაში და შეუერთდა მშრომელ ხალხს.

თუმცა მემარჯვენე ელემენტების შემოტევა 1957 წელს მოგერიებულ იქნა, მაგრამ, ჩინეთის კომუნისტური პარტიის აზრით, მათ ჯერ კიდევ შეუძლიათ „ატეხონ ქარი და გამოიწვიონ ტალღები". ამიტომ ჩინეთის კომუნისტური პარტია მზადაა შემდეგშიაც დათრგუნოს საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევი კონტრრევოლუციური ელემენტები. მუშაობის სტილის მოწესრიგებისათვის მოძრაობა გრძელდება იმ მიზნით, რომ მთლიანად ლიკვიდირებულ იქნეს წინააღმდეგობა ხალხის შიგნით, როგორც წინააღმდეგობა ეროვნულ ბურჟუაზიასა და წვრილ ბურჟუაზიას შორის, ერთი მხრივ, და როგორც წინააღმდეგობა პროლეტარიატის შიგნით, რაც გამოწვეულია იმით, რომ მისი ნაწილი შესაძლებელია მოექცეს ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული გავლენის ქვეშ.

იმ წარმატებებმა, რაც მოპოვებულ იქნა მუშაობის სტილის მოწესრიგებისათვის მოძრაობაში და მემარჯვენე ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლაში, ახალი აღმავლობა გამოიწვიეს ჩინეთის სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე. სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობა 1957 წელს 17,3 პროცენტით მეტი იყო, ვიდრე თავდაპირველად იყო პირველი ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული, ე. ი. სამრეწველო პროდუქცია 132,5 პროცენტით გაიზარდა 1952 წელთან შედარებით და 7 პროცენტით — 1956 წელთან შედარებით. ფოლადის გამოდნობა 1952 წელთან შედარებით 4-ჯერ გაიზარდა, ქვანახშირის მოპოვება — 2-ჯერ, ელექტროენერგიის წარმოება გაიზარდა 2-ჯერ და უფრო მეტად და ა. შ. მარცელეულის შოსავალი, მიუხედავად სტიქიური უბედურებისა, 1952 წელთან შედარებით 30 მილიონი ტონით გაიზარდა და მან 185 მილიონი ტონა შეადგინა. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საერთო ღირებულება 1956 წელთან შედარებით 3,5 პროცენტით გაიზარდა.

1957 წელს გრძელდებოდა ან დაწყებულ იქნა 642 ზელიმიტური სამრეწველო საწარმოს მშენებლობა, დამთავრდა 178 ზელიმიტური საწარმოს მშენებლობა, ე. ი. 1957 წლის მანძილზე თითქმის ყოველ მეორე დღეს მწყობრში დგებოდა ახალი მსხვილი საწარმო.

ჩინეთის ხალხურ რესპუბლიკის ეროვნული რაიონები

კომუნისტური პარტია და მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობენ ეროვნული რაიონების სამეურნეო და კულტურული განვითარების საქმეს. ჩინეთის

ჩახალხო რესპუბლიკაში შემავალ ეროვნულ რაიონებში 35 მილიონზე მეტი ადამიანი ცხოვრობს. მათ ეკუთვნიან: ჯუანელები, უიგურები, ტიბეტელები, მიაოელები. მანჯურები, მონღოლები, ბუიელები, კორეელები და სხვ. სამშობლოს ერთიანობის, ეროვნული თანასწორუფლებიანობის, ეროვნული შემჭიდროებისა და ეროვნულ უმცირესობათა განვითარების ინტერესებისათვის ჩინეთის მთავრობამ თავის ეროვნულ პოლიტიკას საფუძვლად დაუდო ეროვნულ-რაიონული ავტონომიების ჩამოყალიბება, ე. ი. ეროვნული რაიონებისათვის თავისი შინაგანი საქმეების მართვის უფლებების მინიჭება.

ჩინეთში უკლებლივ ყველა ეროვნება ეროვნული თანასწორუფლებიანობით სარგებლობს. ამჟამად ჩინეთში გუანსის პროვინციაში, დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ ჩინეთის სანაპირო რაიონებში, ტიბეტში, კუნძულ ხაინანზე და სხვ.. ჩამოყალიბებულია ორი ავტონომიური რაიონი, 27 ავტონომიური ოლქი და 43 ავტონომიური მაზრა. გარდა ამისა, დაარსებულია მოსამზადებელი კომიტეტები ტიბეტის ავტონომიურ რაიონსა და იუნანის პროვინციაში შემავალ ბუის ეროვნების ხალხის ავტონომიური ოლქის შესაქმნელად.

სამეურნეო მშენებლობა და დემოკრატიული გარდაქმნები ეროვნულ რაიონებში დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. რიგ რაიონებში ასეთი სამუშაოების გასატარებლად პირობები არაა მომწიფებული. იქ არსებობს სხვადასხვა ეროვნული თავისებურება და სპეციფიკური პირობები. საგრძნობლად დიდი ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენილობის პირობებში ეროვნულ უმცირესობათა შორის მაგრად აქვს ფესვები გადგმული ძველ კლასობრივ ურთიერთობებს, ექსპლოატაციის სისტემას, ცრურწმენას. საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე არსებულმა ეროვნული ჩაგვრის სისტემამ ურთიერთშუღლი და უნდობლობა გამოიწვია ზოგიერთ ეროვნებას შორის; ამით იწყებოდა ეროვნული განხეთქილების მოვლენები.

ეროვნული რაიონების კონკრეტულ თავისებურებათა გათვალისწინებით, ხანგრძლივი და ფრთხილი ღონისძიებების გატარებით და თანმიმდევრული აღმშრდელობითი მუშაობის გატარებით, ჩინეთის კომუნისტური პარტია შეუდგა ეროვნულ უმცირესობათა ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ჩამორჩენილობის ლიკვიდაციას. ასე, მაგალითად, გადაწყვეტილ იქნა არ გატარებულიყო დემოკრატიული გარდაქმნები მეორე ხუთწლედის პერიოდში ისეთ ჩამორჩენილ რაიონში, როგორიცაა ტიბეტი. აქ საჭირო იყო ჯერ სათანადო პირობების მომზადება ამგვარი გარდაქმნებისათვის, კერძოდ, იმპერიალისტების ძირგამომთხრელი საქმიანობის ლიკვიდაცია, ადგილობრივი ნაციონალური გადახრის დაძლევა, სოლიდარობის გაძლიერება ჩინეთის მოძმე ეროვნებებთან და ტიბეტის შიგნით.

მაგრამ, მიუხედავად დიდი სიძნელეებისა და შენელებული ტემპებისა, ეროვნულ უმცირესობათა რაიონების სამეურნეო მშენებლობაში განსაზღვრული მიღწევებია მოპოვებული. სოფლის მეურნეობის პროდუქცია საშუალოდ ერთ ნახევარჯერ გაიზარდა 1949 წლამდე არსებულ ყველაზე მაღალ დონესთან შედარებით. მესაქონლეობის რაიონებში პირუტყვის სულადობა ორჯერ გაიზარდა; აგებულია 423 თანამედროვე სამრეწველო საწარმო.

ისეთ ჩამორჩენილ რაიონშიც კი, როგორიცაა სინძიან-უიღურის ავტონომიური რაიონი, ტიან-შანის ქედის სამხრეთით და ჩრდილოეთით აგებულია

ასზე მეტი დიდი თანამედროვე სამრეწველო საწარმო, მათ შორის მანქანათ-მშენებელი ქარხნები, საფეიქრო, აბრეშუმსართავი, აბრეშუმსაქსოვი და სხვა ფაბრიკები, ტრაქტორების შემკეთებელი სახელოსნოები, ტყავეულის საწარ-მოები და სხვ. სინძიან-უიღურის რაიონში ლიუდაოვანის ქვანახშირის აუზი ერთ-ერთი უდიდესთაგანია მთელ ჩინეთში. გაშლილია მუშაობა ფერადი ლი-თონების მოსაპოვებლად. უდაბნო გობში იქმნება ნავთობის მრეწველობის ახა-ლი ცენტრი. მრეწველობის საერთო პროდუქცია სინძიან-უიღურის რაიონში 1949 წელთან შედარებით 20-ჯერ გაიზარდა (ფასებში გამოხატვით.).

ეროვნულ რაიონებში, სადაც არ იყო სკოლები და არც საავადმყოფოები, უკანასკნელ წლებში გაიხსნა სკოლები, საავადმყოფოები, სასწავლებლები, სა-ვაჭრო საწარმოები. ძნელადმისასვლელ ტიბეტის ზეგანზე გაყვანილია გზატკე-ცილები და გახსნილია საჰაერო ბიმოსვლის ხაზები.

ჩინეთის იმ ეროვნულ უმცირესობათათვის, რომლებსაც წინათ საკუთარი დამწერლობა არ ჰქონდათ (ასეთ ეროვნებებს 11 მილიონამდე კაცი ეკუთვნის), ახლა იქმნება ის.

ეროვნული უმცირესობით დასახლებულ რაიონებში თანდათანობით წარ-მატებით მიმდინარეობს დემოკრატიული და სოციალისტური გარდაქმნები. თუმცა ნაციონალური რაიონების მცხოვრებნი მთელი ჩინეთის მოსახლეობის მხოლოდ 6 პროცენტსღა შეადგენენ, მათ მიერ დაკავებული ტერიტორია მთე-ლი ქვეყნის ტერიტორიის 60 პროცენტს უდრის. „საკვლევით ცხადია, — ამბობ-და ლიუ შაო-ცი,—რომ მეტად დიდი შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს შე-საძლებელი იყოს ჩვენი ქვეყნის გადაქცევა დიდ სოციალისტურ სახელმწიფოდ მხოლოდ ხანის ეროვნების ღონისძიებების შედეგად, ეროვნულ უმცირესობათა აქტიური მონაწილეობის გარეშე"[1].

როგორც ჩინეთის კომუნისტური პარტიის სრულიად ჩინეთის მერვე ყრი-ლობაზე ულან ფუმ განაცხადა, ამჟამად ეროვნული უმცირესობებით დასახლე-ბულ იმ რაიონებში, რომელთა მოსახლეობა დაახლოებით 28 მილიონ კაცს შე-ადგენს, სოციალისტური გარდაქმნები ძირითადად დამთავრებულია; რაიონებ-ში, სადაც მოსახლეობა დაახლოებით 2,2 მილიონი კაცია, ტარდება სოციალის-ტური გარდაქმნები; დემოკრატიული გარდაქმნები ტარდება რაიონებში, რომ-ლებშიც დაახლოებით 2 მილიონი კაცი ცხოვრობს, და მხოლოდ იმ რაიონებში, სადაც სამ მილიონამდე და მეტი მოსახლეობაა, ჯერ არ არის დაწყებული დემო-კრატიული გარდაქმნები.

ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რაიონებში დემოკრატიული და სოციალისტური გარდაქმნების გატარებისას ჩინეთის კომუნისტური პარტია იბრძვის დიდხანური შოვინიზმის წინააღმდეგ, რაც იმაში გამოიხატება, რომ ამ შოვინიზმით შეპყრობილნი, ხანის ეროვნებიდან, უგულებელყოფენ ეროვნულ უმცირესობათა თავისებურებებს და მათს ინტერესებს, ვერ აფასებენ მათ როლს სოციალისტურ მშენებლობაში, პატივს არ სცემენ თვითგამორკვევაზე მათს უფლებებს და სხვ. ეს გადახრა დღევანდელ ეტაპზე განსაკუთრებით საშიშად ითვლება. ამავე დროს პარტია ებრძვის ადგილობრივ ნაციონალიზმსაც, რაც თავისი ეროვნების თავისებურებათა გადაჭარბებით განდიდებაში, სახელმწი-ფოს ინტერესების შეუფასებლობაში და მსგავს მოვლენებში გამოიხატება.

ეროვნულ უმცირესობებით დასახლებული რაიონების სოციალისტური

---

[1] „პრავდა", 17 სექტემბერი, 1956 წელი.

გარდაქმნების საქმეში უდიდესი. მნიშვნელობა ენიჭება ამ რაიონების პოლიტიკურ და კულტურულ აღმავლობას, ეროვნულ უმცირესობათა ხარჯზე პარტიის რიგების გაფართოებას და ადგილობრივი კადრების მომზადებას. პარტიის რიგებში ეროვნული რაიონებიდან 300 ათასი წევრი იქნა მიღებული და მომზადდა 210 ათასი კადრის მუშაკი.

გონიერული ეროვნული პოლიტიკა, რომელსაც ჩინეთის კომუნისტური პარტია ეროვნულ უმცირესობათა რაიონებში ატარებს, ამ რაიონების შემდგომი პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული განვითარებისა და სოციალისტური გარდაქმნების წარმატებათა საწინდარია.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების მეორე ხუთწლიანი გეგმა (1958—1962 წწ.)

ჩინეთის კომუნისტური პარტიის მერვე ყრილობამ მოისმინა ჯოუ ენ-ლაის მოხსენება ჩინეთის სახალხო მეურნეობის განვითარების მეორე ხუთწლიანი გეგმის (1958—1962 წწ.) შესახებ.

ყრილობამ განსაზღვრა, რომ პარტიისა და მთელი ჩინელი ხალხის ძირითადი ამოცანა მეორე ხუთწლედში ის არის, რომ რაც შეიძლება სწრაფად გარდაიქმნას ჩინეთი მოწინავე ინდუსტრიულ ქვეყნად.

ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დასახა მეორე ხუთწლიანი გეგმის შემდეგი ამოცანები: მძიმე მრეწველობის ყველაზე უმნიშვნელოვანესი დარგების უპირატესი განვითარება,— პირველ რიგში მანქანათმშენებლობისა და მეტალურგიული დარგებისა, მასთან ერთად მსუბუქი მრეწველობის აქტიური განვითარება; სოციალისტური გარდაქმნების თანმიმდევრული დასრულება და კოლექტიური და საზოგადოებრივი საკუთრების განმტკიცება და დაცვა; სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და შინამრეწველური წარმოების დონის ამაღლება, სოციალისტური მშენებლობისა და სოციალისტური გარდაქმნების საფუძველზე ტრანსპორტისა და ვაჭრობის განვითარება, მრეწველობისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების საფუძველზე ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება, ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლების უზრუნველყოფა.

მრეწველობის დარგში მეორე ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია: წარმოების პოტენციალურ შესაძლებლობათა გამოვლინება სამრეწველო საწარმოებში; სპეციალიზაციისა და კოოპერაციის განვითარება მრეწველობაში; მრეწველობის სწორად განლაგება იმ გაგებით, რომ ჩინეთის სანაპირო და შიგა რაიონებში კოორდინირებულ იქნეს მსხვილი საწარმოები საშუალო და წვრილ საწარმოებთან ერთად, აგრეთვე ცენტრალური დაქვემდებარების სახელმწიფო საწარმოები და ადგილობრივი დაქვემდებარების სახელმწიფო საწარმოები. მხედველობაშია მიღებული მრეწველობის საერთო პროდუქციის მოცულობის გადიდება 1962 წლისათვის დაახლოებით ორჯერ იმ მოცულობასთან შედარებით, რაც პირველი გეგმით 1957 წლისათვის იყო დასახული.

სოფლის მეურნეობის დარგში მეორე ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს 1962 წლისათვის საერთო პროდუქციის დაახლოებით 35 პროცენტით გადიდებას 1957 წელთან შედარებით. ცალკეული რაიონების გამოკლებით დამთავრებული იქნება უმაღლესი ტიპის კოოპერირება. იზრდება სარწყავი და სახნავი მიწების ფართობი, უმჯობესდება საწარმოო იარაღები და მიწის დამუშავების ტექნიკა. გათვალისწინებულია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლია-

ნობის გადიდების ღონისძიებათა გატარება, ახალ ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მშენებლობა, მოწინავე გამოცდილების განზოგადება და გავრცელება, მრავალდარგიანი სოფლის მეურნეობის განვითარება, რაციონალური შესასყიდი ფასების დაწესება, სოფლად ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის გადამუშავებელი მრეწველობის აღდგენა და ა. შ. წარმოების განვითარების ბაზაზე გათვალისწინებულია კოოპერატივების ყველა წევრის შემოსავლის ყოველწლიური ზრდა. ამასთან, სწორად უნდა იყოს დადგენილი თანაფარდობა საზოგადოებრივ დაგროვებასა და კოოპერატივის წევრთა პირად შემოსავალს შორის.

მეორე ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განვითარებას, ერთიანი სახელმწიფო ბაზრის ხელმძღვანელი მდგომარეობის განმტკიცებას. აგრეთვე მსხვილ, საშუალო და წვრილ შინამრეწველურ-საარეწაო კოოპერაციულ ორგანიზაციათა ერთდროულ თანაარსებობას. ყოველივე ამას საფუძვლად უნდა ედოს წარმოების გაფართოება, საზოგადოების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება და კოოპერატივის წევრთა შემოსავლის გადიდება.

გეგმა გულისხმობს, რომ შერეულ სახელმწიფო-კერძო საწარმოებში საჭიროა ხელმძღვანელ სამუშაოებზე საუკეთესო მუშებისა და მოსამსახურეების დაწინაურება, რომ საჭიროა ამ საწარმოებში სახელმწიფო პაის წარმომადგენელთა თანამშრომლობა კერძო კაპიტალის წარმომადგენლებთან და ამ უკანასკნელთა შემდგომი შეზღუდვა და ხელახალი აღზრდა.

გეგმა ითვალისწინებს სახელმწიფოს ადმინისტრაციული სისტემის სრულქმნას და ადგილობრივ ორგანოთა აქტივობის განვითარებას, მშენებელთა კადრების მომზადებას და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაძლიერებას, უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა რიცხვის გადიდებას დაახლოებით ორჯერ და უახლოესი 12 წლის განმავლობაში საყოველთაო-სავალდებულო დაწყებითი სწავლების განხორციელებას.

გეგმა ითვალისწინებს აგრეთვე მუშების, მოსამსახურეებისა და გლეხების მატერიალური ცხოვრების დონის შემდგომი გაუმჯობესების, აგრეთვე ხალხის კულტურული ცხოვრების დონის ამაღლებისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესებისაკენ მიმართულ ღონისძიებებს.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სოციალისტური ბანაკის ხუთა ძვეყნების მართიანობის შემდგომი განმტკიცება

1956 წლის 18 ნოემბრიდან 1957 წლის 5 თებერვალამდე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია ჯოუ ენ-ლაის მეთაურობით ეწვია 11 ქვეყანას, რომელთაგან ოთხი — საბჭოთა კავშირი, პოლონეთი, უნგრეთი და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა — სოციალისტური ქვეყანაა.

საბჭოთა კავშირში დელეგაცია იმყოფებოდა 7-დან 11 და 17-დან 19 იანვრამდე. ეს ის დრო იყო, როდესაც სოციალისტური სახელმწიფოებისა და ხალხთა მშვიდობისმოყვარე ქვეყნების მხარდაჭერით ეგვიპტისა და უნგრეთის ხალხებმა გამარჯვებას მიაღწიეს. იმპერიალისტური აგრესიული წრეების შეთქმულებამ სასტიკი დამარცხება განიცადეს. მაგრამ იმპერიალისტები აგრესიულ ძირგამომთხრელ საქმიანობას კვლავ განაგრძობდნენ.

სოციალიზმის საქმის დაცვისა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების საიმედო გარანტიას სოციალისტური ქვეყნების მტკიცე ერთიანობა და მეგობრული თანამშრომლობა წარმოადგენდა. სწორედ ამ ამოცანის განხორციე-

ლებას მიეძღვნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის მეგობრული ვიზიტით გამგზავრებაც საბჭოთა კავშირში, პოლონეთში, უნგრეთსა და ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

მოლაპარაკების დროს საბჭოთა კავშირმა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ თავიანთ უმაღლეს ინტერნაციონალურ მოვალეობად გამოაცხადეს სოციალისტური ქვეყნების ერთიანობის განმტკიცება და გაძლიერება სრული თანასწორუფლებიანობის, ტერიტორიული მთლიანობის, სახელმწიფო დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის პატივისცემის და საშინაო საქმეებში ურთიერთჩაურევლობის საფუძველზე.

ამის მკაფიო დადასტურებაა ის მოლაპარაკებანი, რომლებიც ჩაატარა საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციამ პოლონეთის, რუმინეთისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციებთან, აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის მოლაპარაკებანი ვარშავასა და ბუდაპეშტში. ამ მოლაპარაკებათა შედეგად კიდევ უფრო განმტკიცდა სოციალისტურ სახელმწიფოთა ერთიანობა და მათი მისწრაფება — იმოქმედონ შემდეგი პრინციპის მიხედვით: „ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის“.

უნგრეთში მოწყობილი კონტრრევოლუციური ამბოხების მიმართ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გარკვეული და მტკიცე პოზიცია მთლიანად დაემთხვა საბჭოთა კავშირის პოზიციას. ხოლო ახლო და შუა აღმოსავლეთში აშშ-ის კოლონიური პოლიტიკის გაძლიერებასთან და ეგრეთწოდებული „ეიზენჰაუერის დოქტრინის“ გამოცხადებასთან დაკავშირებით, საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობებმა ერთობლივ დეკლარაციაში გამოთქვეს მზადყოფნა „კელავ გაუწიონ საჭირო მხარდაჭერა შუა და ახლო აღმოსავლეთის ხალხებს, რათა თავიდან აცილებულ იქნეს აგრესია და ამ რაიონის ქვეყნების საქმეებში ჩარევა“. ამასთან ერთად სსრ კავშირმა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ კელავ დაადასტურეს, რომ სხვადასხვა სოციალური სისტემის მქონე სახელმწიფოების მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპის ცხოვრებაში გატარება მათი საგარეო პოლიტიკის ურყევი საფუძველია.

ორივე მხარე მიესალმა საბჭოთა კავშირსა და იაპონიას შორის დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენას და ამასთან აღნიშნა, რომ დღის წესრიგში უნდა დაისვას შემდგომი ხელშეწყობა ჩინეთ-იაპონიის ურთიერთობის ნორმალიზაციისათვის. ჩინეთის მთავრობამ აგრეთვე მხარი დაუჭირა საბჭოთა მთავრობის წინადადებებს განიარაღების შესახებ.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დამოკიდებულება სხვა ქვეყნებთან

თავისი არსებობის მანძილზე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ თანასწორობისა და ურთიერთსარგებლიანობის პრინციპებზე დაყრდნობით მჭიდრო ეკონომიური კავშირი დაამყარა ბევრ სახელმწიფოსთან. თავისი მშვიდობისმოყვარული პოლიტიკით ჩინეთმა ხალხთა შორის აუტორიტეტი და პატივისცემა მოიხვეჭა. მიუხედავად ამერიკის შეერთებული შტატების მხრივ ხელის შეშლისა და წინააღმდეგობის გაწევისა, მხოლოდ უკანასკნელი წლების განმავლობაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარეს აღმოსავლეთმა, ნეპალმა, ეგვიპტემ, სირიამ, ლიბანმა, საუდის არაბეთმა, სუდანმა, კამბოჯამ, ლაოსმა, ცეილონმა, იემენმა, ერაყის რესპუბლიკამ და სხვა სახელმწიფოებმა, სულ 30-მდე, რომელთა მოსახლეობა ერთ მილიარდ ადამიანს აღწევს.

ჯოუ ენ-ლაის მეთაურობით ჩინეთის მთავრობის დელეგაციის მიერ 1956 წლის დამლევსა და 1957 წლის დასაწყისში კამბოჯის, ინდოეთის, ბირმის, პაკისტანის, ავღანეთის, ნეპალისა და ცეილონის შემოვლამ — ხსენებული ქვეყნების მთავრობათა მიწვევით — დიდად შეუწყო ხელი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და ამ ქვეყნებს შორის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებას.

1956 წლის ნოემბერში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიწვევით პეკინს ჩავიდა ბირმის ხალხის თავისუფლების ანტიფაშისტური ლიგის თავმჯდომარე უ ნუ ჩინეთ-ბირმის საზღვრის საკითხების შესახებ მოლაპარაკების საწარმოებლად, ვინაიდან წარსულში ინგლისის მიერ მოწყობილი ინტრიგების შედეგად ეს საზღვარი არ იყო მთლიანად დაზუსტებული და დადგენილი. ჩინეთის მთავრობასა და უ ნუს შორის წარმოებულ მოლაპარაკებათა შედეგად ჩინეთ-ბირმის საზღვრის დიდი ნაწილი დადგენილ იქნა. ხოლო მოლაპარაკება გადაუჭრელი საკითხების შესახებ, რომლებიც კიდევ საზღვრის სამ უბანს ეხება, ურთიერთვიგების პირობებში ვითარდება.

უკიდურესად მტრული და აგრესიული პოზიცია უკავია ჩინეთის მიმართ ამერიკის შეერთებულ შტატებს. დღემდე ისინი უარს ამბობენ მოხსნან ემბარგო ჩინეთთან ვაჭრობაზე. ამასთან ერთად, აშშ-ი, მიუხედავად საბჭოთა კავშირისა და სხვა მშვიდობისმოყვარე ქვეყნების მოთხოვნისა, ხელს უშლიან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას დაიკავოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში თავისი კანონიერი ადგილი; ისინი განაგრძობენ ჩინეთის კუნძულ ტაივანის ოკუპირებას, ხელოფენ სანაპირო კუნძულებს და არქიპელაგ ნანშას მიმართ ჩინეთის სუვერენულ უფლებებს, არღვევენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საჰაერო სივრცეს, აწყობენ ჩანკაიშელთა პროვოკაციულ თავდასხმებს კონტინენტურ ჩინეთზე და სხვ.

„შაეი პარასკევი" ტაივანზე

1957 წლის 24 მაისს ტაიბეიში იფეთქა ანტიამერიკულმა ამბოხებამ, რაც ამერიკული პრესის მიერ ერთსულოვნად მონათლულ იქნა „შაეი პარასკევის" სახელით. ამერიკის მმართველთა და ჩან კაი-შის დამქაშების აღვირახსნილობამ ტაივანის მოსახლეობის მოთმინების ფიალა აავსო. აღელვებულთა აფეთქების გამომწვეევი ნაპერწკლის როლი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე რეინოლდის მიერ ჩინელი მუშის ლიუ ძე-ყანის დაუსჯელმა მკვლელობამ შეასრულა. მოსახლეობამ დაანგრია ამერიკის საელჩოს შენობა ტაიბეიში და მოითხოვა ამერიკელ ოკუპანტთა მიერ ტაივანის დაუყოვნებლივ დატოვება. ამერიკული გაზეთის „ნიუიორკ ჰერალდ ტრიბუნის" ცნობით ჩანკაიშელთა ხროვის წარმომადგენლებმა საკმაო სიმარჯვე ვერ გამოიჩინეს — ანტიამერიკული ამბოხების ჩასაქრობად.

მაო ძე-დუნის ჩამოსვლა საბჭოთა კავშირში

საბჭოთა კავშირში მაო ძე-დუნი ჩამოვიდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავის დღესასწაულის დღეებში და იგი შეიქმნა იმ ღრმა მეგობრობის ახალ დემონსტრაციად, რომელიც ორი დიდი ხალხის შემაკავშირებელია. ამ ისტორიულ დღეებში —14-დან 16 ნოემბრამდე — მოსკოვში შედგა კომუნისტურ და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირი, რომელზედაც ერთხმად იქნა მიღებული დეკლარაცია. ამ დეკლარაციაში თათბირის

მონაწილეებმა ერთხმად გამოაცხადეს თავიანთი გადაწყვეტილების შესახებ — დაუღალავად განამტკიცონ ერთიანობა და ამხანაგური თანამშრომლობა სოციალისტური სახელმწიფოების თანამეგობრობის შემდგომი შემჭიდროების ინტერესებისათვის, საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ინტერესებისათვის, მშვიდობისა და სოციალიზმის ინტერესებისათვის. დეკლარაციაში ნათქვამი იყო, რომ კომუნისტებმა თავიანთი საქმეებით მსოფლიო მასშტაბით დაუმტკიცეს მშრომელებს მარქსისტულ-ლენინური თეორიის ცხოველმყოფელობა და თავიანთი უნარი — არა მარტო გასწიონ პროპაგანდა, არამედ პრაქტიკულად, მძიმე პირობებში განახორციელონ სოციალიზმის დიადი იდეალები.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა 1958 წელს

1958 წელი ახალი საყოველთაო ნახტომით აღინიშნა ჩინეთის სოციალისტურ მშენებლობაში. მრეწველობის საერთო პროდუქცია იანვრიდან აპრილამდე 26 პროცენტით გაიზარდა წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით, ხოლო აპრილში ნამატმა 42 პროცენტი შეადგინა. ფოლადის გამოდნობამ 1958 წელს შეადგინა 11 მილიონი ტონა, ქვანახშირის მოპოვებამ —270 მილიონი, ლითონმჭრელი ჩარხების გამოშვებამ მიაღწია 50 ათას ცალს და ა. შ. შრომის ნაყოფიერების ამაღლებისა და ნედლეულისა და მასალების ეკონომიის შედეგად შესაძლებელი გახდა თვითღირებულების შემცირება წინა წელთან შედარებით 10 პროცენტამდე, და 1.4 მილიარდი იუანის ეკონომია მისცა სახელმწიფოს.

დაიწყო ახალი აღმავლობა სამრეწველო კაპიტალურ მშენებლობაში. შენდება ათასამდე ზელიმიტიური ობიექტი, ქვანახშირის ათეული ათასი საშუალო და მცირე შახტი, ელექტროსადგურები, თხევადი სათბობის ქარხანა, შავი მეტალურგიის საწარმო, ფერადი ლითონების საბადოები, ქიმიური სასუქების ქარხნები, სასოფლო-სამეურნეო და მეცხოველეობის პროდუქტების გადამამუშავებელი ფაბრიკები და სხვ.

1957 წლის ოქტომბრიდან 1958 წლის აპრილამდე სარწყავი ფართობი გადიდდა 350 მუთი მეტად, ვიდრე 8 წლის განმავლობაში განთავისუფლების დღიდან, და 110 მილიონი მუთი უფრო მეტად, ვიდრე რამდენიმე ათასი წლის მანძილზე განთავისუფლებამდე. მიმდინარე წლის 4 თვის განმავლობაში ტყე გაშენდა 290 მილიონ მუზე.

საზაფხულო მარცვლეულის საერთო მოსავალმა 1958 წელს 50 მილიონ ტონას გადააჭარბა, მაშინ როდესაც 1957 წელს აღებულ იქნა 30 მილიონი ტონა, და, ამგვარად, ნამატმა შეადგინა 70-მდე პროცენტი. იმ დროს, როდესაც კანადასა და იტალიაში, რომლებიც ხორბლის დიდ მწარმოებლებად ითვლებიან, ამ კულტურის წლიურმა საშუალო ნამატმა უკანასკნელი 6 წლის მანძილზე შესაბამისად შეადგინა 5,7 და 2,9 პროცენტი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში მარცვლეულის საერთო მოსავლის ნამატმა 11,1 პროცენტს მიაღწია, ხოლო საზაფხულო მარცვლეულის კულტურების საერთო ნამატმა 1958 წელს 17-ჯერ გადააჭარბა მარცვლის წარმოების იმ საშუალო წლიურ ნამატს, რაც მიღწეულია კაპიტალისტური ქვეყნების მიერ უკანასკნელი საუკუნის მანძილზე.

1958 წლის მაისში შედგა ჩინეთის კომუნისტური პარტიის VIII სრულიად ჩინეთის ყრილობის მეორე სესია. ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენების გამო მიღებულ რეზოლუციაში ერთსულოვნად მოწო-

ნებულია ცენტრალური კომიტეტის მიერ წამოყენებული პარტიის გენერალური ხაზი: დაჩქარებულ იქნეს მთელი ძალები, ვაშენოთ სოციალიზმი უფრო ფართოდ, უფრო ჩქარა, უფრო უკეთ და ეკონომიურად. სესიამ მოუწოდა ყველა ამხანაგს — პარტიის წევრებს იხელმძღვანელონ საერთო მისწრაფებით, შეამჭიდროონ მთელი ჩინეთის ხალხი და მუშაობის სტილის მოწესრიგებისათვის გაშლილი მოძრაობის შემდგომი გაღრმავებით თანმიმდევრულად გაატარონ ცხოვრებაში პარტიის გენერალური ხაზი სოციალიზმის მშენებლობაში; განაგრძონ სოციალისტური მშენებლობა ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ ფრონტებზე, აქტიურად განახორციელონ ტექნიკური და კულტურული რევოლუცია, 15 წლის ან უფრო ნაკლები დროის განმავლობაში დაეწიონ და გაუსწრონ ინგლისს სამრეწველო პროდუქციის უმთავრეს სახეობათა წარმოებაში; მიაღწიონ იმას, რომ ვადამდე იქნეს შესრულებული ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითადი მაჩვენებლები. იბრძოლონ იმისათვის, რათა რაც შეიძლება მალე გადაიქცეს ჩინეთი დიდ სოციალისტურ სახელმწიფოდ თანამედროვე მრეწველობით, თანამედროვე სოფლის მეურნეობით და თანამედროვე მეცნიერებითა და კულტურით.

1958 წლის 31 ივლისიდან 3 აგვისტომდე პეკინში ერთმანეთს შეხვდნენ ნ. ს. ხრუშჩოვი და მაო ძე-დუნი. პეკინის კომუნიკეში სასტიკად იყო დაგმობილი აშშ-ისა და ინგლისის უხეში აგრესიული მოქმედებები ახლო და შუა აღმოსავლეთის რაიონებში და წამოყენებული იყო სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოთხოვნა ლიბანიდან და იორდანიიდან ამერიკისა და ინგლისის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანის შესახებ. სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ თუ ომის მანიით შეპყრობილი იმპერიალისტები გაბედავენ ომი მოახვიონ ხალხებს, მაშინ ყველა მშვიდობისმოყვარე და თავისუფლებისმოყვარე სახელმწიფო და ხალხები, ერთად შემჭიდროვებულნი, სამუდამოდ გაუსწორდებიან იმპერიალისტ აგრესორებს და მარადიულ მშვიდობას დამყარებენ მთელ მსოფლიოში.

ნ. ს. ხრუშჩოვისა და მაო ძე-დუნის შეხვედრამ შეშფოთება და ალიაქოთი შეიტანა მშვიდობის მოწინააღმდეგეთა ბანაკში და თავისი როლი შეასრულა ერაყის რესპუბლიკისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წინააღმდეგ მოპზადებული აგრესიის ჩაქრობაში. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ მთლიანად მხარი დაუჭირა საბჭოთა კავშირის მთავრობის წინადადებას ლიბანიდან და იორდანიიდან აშშ-ისა და ინგლისის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანის საკითხის განსახილველად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სესიის მოწვევის შესახებ.

ახლო და შუა აღმოსავლეთში იმპერიალისტური აგრესიით გამოწვეულმა საერთაშორისო დაძაბულობამ გამამხნევებლად იმოქმედა ტაივანზე მოკალათებულ იმპერიალისტურ საძირკლებზე. იმ მიზნით, რომ ჩამოეშორებინათ მთელი მსოფლიოს ხალხთა ყურადღება შუა და ახლო აღმოსავლეთში აგრესიული პოლიტიკის გაგრძელებისა და ლიბანიდან ჯარების გაყვანის გაპიანურებისაგან, ამერიკელმა იმპერიალისტებმა უბრძანეს ჩინეთის სანაპირო კუნძულებზე მოკალათებულ ჩანკაიშელებს კანიახლებინათ ივლის-აგვისტოში პროვოკაციული თავდასხმები სახალხო ჩინეთის სანაპირო ტერიტორიაზე. თავის მხრივ აშშ მთავრობამ მობილიზაცია გაუკეთა და ტაივანის სრუტის რაიონში გაგზავნა მეშვიდე სამხედრო-საზღვაო ფლოტი, რომელიც სასწრაფოდ იქნა გაძლიერებული. კუნძულ ტაივანზე გადასხმულ იქნა საზღვაო ქვეითი ჯარი.

4 სექტემბერს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ გამოაქვეყნა დეკლარაცია ჩინეთის ტერიტორიული წყლების შესახებ. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიული წყლების სიგანედ დაწესებულ იქნა 12 მილი. ეს დებულება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთელ ტერიტორიას ეხებოდა კონტინენტალური ჩინეთისა და მის გვერდით მდებარე კუნძულების, კუნძულ პენხუ-ლედაოს და სხვათა ჩათვლით, რომლებიც განცალკევებული არიან მატერიკისა და მისი სანაპირო კუნძულებისაგან ღია ზღვით.

აშშ-ისა და ინგლისის მთავრობებმა უარი განაცხადეს ეცნოთ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სუვერენული უფლებები ტერიტორიულ წყლებზე, ხოლო ამერიკის აგრესიული წრეებისა და დიპლომატიის მხარდაჭერით წაქეზებულმა ჩანკაიშელებმა სანაპირო კუნძულებიდან პროვოკაციული მოქმედებები წამოიწყეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ. თავის მხრივ ამერიკის სამხედრო გემები არა ერთხელ შეიჭრნენ ჩინეთის ტერიტორიულ წყლებში ციანმინდაოსა და მატუდაოს რაიონებში, რომლებიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიული წყლების 12 მილიანი ზონის ფარგლებში მდებარეობენ. აშშ-ის მთავრობა, რომელმაც ხელში ჩაიგდო ტაივანი, იმუქრებოდა, რომ გააფართოებდა აგრესიას ჩინეთის სანაპირო კუნძულებზე, რომლებიც კონტინენტური ჩინეთის ნაპირიდან რამდენიმე კილომეტრით მდებარეობენ.

შორეულ აღმოსავლეთში ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიულმა მოქმედებებმა ჩინელი ხალხის დიდი აღშფოთება გამოიწვია. მთელ ჩინეთში გაიშალა ზურგის ლაშქრის პოლკების მასობრივი ფორმირება, რათა ყოველ წუთს მზად ყოფილიყვნენ შემმუსვრელი დარტყმა ეგემებინათ მტრისათვის, წინააღმდეგობა გაეწიათ ამერიკის იმპერიალისტებისა და მათი გომინდანელი ლაქიებისათვის. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერმა ჯოუ ენ-ლაიმ თავის განცხადებაში ხაზი გაუსვა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სუვერენულ უფლებას დროულად მიიღოს სათანადო ზომები თავისი ტერიტორიის განთავისუფლებისათვის, არ დაუშვას არავითარი ჩარევა უცხო სახელმწიფოების მხრივ. რაც შეეხება საერთაშორისო დავას, რასაც ადგილი აქვს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და აშშ შორის ტაივანის სრუტის რაიონში, ჯოუ ენ-ლაიმ წინადადება შეიტანა ეს საკითხი გადაწყდეს მოლაპარაკების გზით ელჩების დონეზე.

მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის დაწოლით ამერიკის შეერთებული შტატები დათანხმდნენ მოლაპარაკებაზე, რომელიც დაიწყო ვარშავაში. მაგრამ, ლებულობენ რა მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მოქმედება ხშირად სცილდება მის სიტყვებს, რომ იგი ხშირად იყენებს მოლაპარაკებას თავისი აგრესიული მოქმედებების შესანიღბავად, ჩინეთის მთელი ხალხი და მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხები ოდნავადაც არ ასუსტებენ თავიანთ ბრძოლას ჩინეთის საშინაო საქმეებში ამერიკის შეერთებული შტატების ჩარევისა და შორეულ აღმოსავლეთსა და მთელ მსოფლიოში მშვიდობისადმი მათი მუქარის წინააღმდეგ. და ეს მით უმეტეს, რომ აშშ, აწარმოებენ რა მოლაპარაკებას ვარშავაში, განაგრძობენ თავიანთ აგრესიულ მოქმედებას კონტინენტური ჩინეთის წინააღმდეგ.

ჩინელი ხალხი თავის უაღრესად სამართლიან ბრძოლაში არ არის მარტოდმარტო. მას ჰყავს ერთგული მოკავშირეები, რომლებიც მზად არიან დაეხმარონ მას როგორც კი ეს შეიქმნება საჭირო, რათა საერთო ძალღონით ჩაფუშონ აგრე-

სორის ბნელი ზრახვები; ამ მოკავშირეთა შორისაა საბჭოთა კავშირი. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი თავის წერილში აშშ პრეზიდენტ ეიზენჰაუერისადმი აღნიშნავდა: „...საჭიროა შეეიტანოთ საკითხში სრული გარკვეულობა, რადგან უთქმელობა და გაუგებრობა ასეთ საკითხებში ყველაზე საშიშია.

თავდასხმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაზე, რომელიც ჩვენი ქვეყნის დიდი მეგობარი, მოკავშირე და მეზობელია, — ეს იგივეა, რაც საბჭოთა კავშირზე თავდასხმა. თავისი მოვალეობის ერთგული, ჩვენი ქვეყანა გააკეთებს ყოველივეს, რათა სახალხო ჩინეთთან ერთად დაიცვას ორივე სახელმწიფოს უშიშროება, მშვიდობის ინტერესები შორეულ აღმოსავლეთში, მშვიდობის ინტერესები მთელ მსოფლიოში“.

იგერიებს რა მტრის შემოტევას. ჩინეთის კომუნისტური პარტია შეუნელებლივ ახორციელებს ამოცანებს, რომლებიც მიმართულია სოციალისტური მშენებლობის დაჩქარებისა და თანდათანობით კომუნიზმზე გადასვლისაკენ. 1958 წლის 29 აგვისტოს ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება სოფლად სახალხო კომუნების შექმნის შესახებ.

გადაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ თანამედროვე პირობებში სახალხო კომუნების შექმნა, რომლებშიც ყოველმხრივ განვითარებას მიიღებს სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა, მესაქონლეობა, დამხმარე მეურნეობა, მეთევზეობა, რომლებშიც ერთმანეთთან იქნება შეხამებული მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, განათლება და სამხედრო საქმე, — წარმოადგენს აუცილებელ, ძირითად კურსს; ეს კურსი მიმართულია გლეხობისათვის ხელმძღვანელობის გაწევისაკენ, სოციალისტური მშენებლობის დაჩქარებისა და კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლისაკენ.

ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში გათვალისწინებულია, რომ კომუნის გაფართოების შემდეგ სოფლის მეურნეობის, მეტყევეობის, მესაქონლეობისა და მეთევზეობის, აგრეთვე მრეწველობის, ვაჭრობის, განათლებისა და სამხედრო საქმის კომპლექსური განვითარების შედეგად კომუნის სამმართველო აპარატში ჩატარდება შრომის სათანადო განაწილება სამუშაოს სხვადასხვა დარგების მიხედვით რამოდენიმე განყოფილების შექმნის გზით. გათვალისწინებულია აგრეთვე ხელისუფლების ორგანოს გაერთიანება კომუნასთან. პარტიის სათემო კომიტეტი — ეს იქნება კომუნის პარტიული კომიტეტი, სათემო სახალხო კომიტეტი კი — კომუნის სახალხო კომიტეტი.

„როგორც ეტყობა, — ნათქვამია ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში, — ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის განხორციელება უკვე აღარ არის რაღაც შორეული რამ. ჩვენ აქტიურად უნდა გამოვიყენოთ სახალხო კომუნის ფორმები და მათი მეშვეობით გამოვნახოთ კონკრეტული გზები კომუნიზმზე გადასასვლელად“.

* * *

ჩინელი ხალხის მსოფლიო ისტორიული გამარჯვება უდიდესი ლახვარია იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის მიმართ; იგი ამ სისტემის დაშლისა და მისი მოახლოებული აღსასრულის მკაფიო დადასტურებაა. მშვიდობის. დემოკრატიისა და სოციალიზმის ძალებმა ჩინელი ხალხის სახით შეიძინეს უძლიერესი მოკავშირე, რომელიც თავისი ისტორიული პედიო მშვიდობის, თავისუფლების, დემოკრატიისა და სოციალიზმისაკენ მიმავალ გზას უჩვენებს კოლონიურ, დამოკიდებულ და სუსტად განვითარებულ ქვეყნებს; ამ გზაზე დიდი ხალხის სიბრძნისა და მრავალსაუკუნოვანი კულტურის კვალია აღბეჭდილი.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა

მძიმე ბედი არგუნა ისტორიამ კორეელ ხალხს. ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში — მძიმე უღელი გაფეოდალების გზაზე დამდგარი კორეელი დიდკაცობისა და ბუდისტური ეკლესიის მხრივ, XIII საუკუნეში — საშინელი უღელი მონღოლებისა; XVI საუკუნეში კორეაში შეიჭრნენ იაპონელები, 1627 წელს მანჯურიის სამხედრო-ფეოდალური სახელმწიფოს ჯარები, რამაც დიდი ხნით გაყინა კორეის განვითარება. XIX საუკუნის შუა წლებიდან იწყება დასავლეთის კაპიტალისტური სახელმწიფოების შეღწევა კორეაში, 1895 წელს იაპონიამ საოკუპაციო რეჟიმი დაამყარა კორეაში, 1905 წელს კორეა იაპონიის პროტექტორატშია, ხოლო 1910 წელს იგი ანექსირებულ იქნა იაპონიის მიერ.

კორეელი ხალხი იბრძოდა უცხოელ დამპყრობთა მონობის უღლის წინააღმდეგ და ამ ბრძოლაში მტკიცდებოდა კორეელი და ჩინელი ხალხების მეგობრობა. ჩვენი წელთაღრიცხვის უკვე პირველ საუკუნეში კორეაში ჩინეთიდან შემოვიდა კონფუცის მოძღვრება და დამწერლობა. ჩინელი ხალხის მიერ 1363 წელს მონღოლ დამპყრობთა განდევნამ უდიდესი როლი შეასრულა მონღოლთა წინააღმდეგ კორეელი ხალხის ბრძოლის წარმატებით დამთავრებაში. 1369 წელს კორეა ჩინეთის მინის დინასტიის მფარველობის ქვეშ გადავიდა. ჩინელი ჯარების დახმარებით კორეის ხალხმა 1592 წელს იაპონელი დამპყრობლებისაგან გაათავისუფლა ჩრდილოეთი კორეა.

მანჯურიელთა ბატონობის ხანაში კორეაში ხალხთა დიდ აჯანყებებს ჰქონდა ადგილი. ამერიკის შეერთებული შტატების ცდას — აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში თავის სამხედრო სტრატეგიულ პლაცდარმად გადაექცია კორეა— კორეელმა ხალხმა სტიქიური გამოსვლებით და სეულში ამერიკის მისიაზე თავდასხმით უპასუხა. 1893—1894 წლების გლეხთა აჯანყებების მძლავრი გაქანება გამოხატავდა ხალხთა მასების სტიქიურ პროტესტს, მიმართულს უცხოელ კაპიტალისტთა ბატონობის წინააღმდეგ.

კორეაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობაზე უდიდესი გავლენა იქონია რუსეთის 1905—1907 წლების რევოლუციამ. იაპონელ დამპყრობთა წინააღმდეგ გამოვიდნენ შეიარაღებული რაზმები იიბიონის (სამართლიანობის არმია) სახელწოდებით, რომლებიც სახალხო შურისმგებლებს წარმოადგენდნენ და კიდევაც ულმობლად უსწორდებოდნენ იაპონელ ოკუპანტებსა და მათ კორეელ დამქაშებს.

„რუსეთში ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებამ აამოძრავა და აღაფრთოვანა კორეელი ხალხი, უჩვენა მას გზა საკუთარი განთავისუფლებისაკენ“ (კიმ ირ სენი)[1]. 1919 წლის მარტში კორეაში დაიწყო საყოველთაო აჯანყება იაპონელ

[1] Ким Ир Сен, Великая Октябрьская социалистическая революция.., За прочный мир, За народную демократию, 2 ноября 1951 года.

იმპერიალისტთა წინააღმდეგ, რომელშიც 2 მილიონზე მეტი კაცი იღებდა მონაწილეობას. აჯანყებაში აქტიურად მონაწილეობდა კორეის იმ დროისათვის მცირერიცხოვანი პროლეტარიატი, რომელმაც გარდა ეკონომიური მოთხოვნებისა, პოლიტიკური მოთხოვნებიც წამოაყენა. აჯანყებაში მონაწილე გლეხთა ფართო მასები ეწეოდნენ არა მარტო ანტიიმპერიალისტურ, არამედ ანტიფეოდალურ ბრძოლასაც: ისინი თავს ესხმოდნენ იაპონიის მიწის კომპანიებსა და მემამულეთა სამფლობელოებს, წვავდნენ საიჯარო ხელშეკრულებებსა და სესხის თამასუქებს.

აჯანყება ჩაქრობილ იქნა იაპონიის იმპერიალისტების მიერ, რადგან კორეის რევოლუციური ძალები არ იყო ჯერ კიდევ სათანადოდ დარაზმული და ახალგაზრდა მუშათა კლასი პოლიტიკურად მომწიფებული. აჯანყების ჩაქრობაში გარკვეული როლი შეასრულა გამცემლობამაც ბურჟუაზიული ნაციონალისტების მხრივ, რომლებიც დააშინა რევოლუციურმა გაქანებამ. მაგრამ, მიუხედავად ღამარცხებისა, აჯანყებამ უდიდესი რევოლუციური ძალა გამოავლინა, რაც მანამდე ხალხში იყო დაგროვილი.

აჯანყების შემდეგ კორეის მუშების მოწინავე ფენები, გლეხთა ფართო მასები და კორეის ინტელიგენცია უფრო ღრმად გაიმსჭვალნენ დიდი ოქტომბრის იდეით. კორეის სამრეწველო ცენტრებში უკვე იქმნება პირველი მარქსისტულ-ლენინური წრეები და პირველი მუშათა ორგანიზაციები.

სოფლად გლეხთა კავშირები ყალიბდება. 1925 წლის აპრილში იატაკქვეშეთის პირობებში ჩამოყალიბდა კორეის კომუნისტური პარტია.

კორეის კომუნისტურმა პარტიამ თავის ამოცანად დასახა ერთიანი ეროვნული ანტიიმპერიალისტური ფრონტის შექმნა. 1926 წელს სეულში ჩინეთის რევოლუციის გაელვნით მომხდარი რევოლუციური მოვლენები პირველ ორგანიზებულ მასობრივ გამოსვლებს წარმოადგენდნენ. მაგრამ კორეელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელმა ბრძოლამ განსაკუთრებულ გაქანებას მეორე მსოფლიო ომის წლებში მიაღწია. კორეელი პატრიოტები კომუნისტების ხელმძღვანელობით იბრძოდნენ იაპონელ დამპყრობთა წინააღმდეგ ჩრდილო ჩინეთშიც და თავიანთ საკუთარ ტერიტორიაზეც. ისინი აწყობდნენ ანტიიაპონურ გამოსვლებს, ცეცხლს უკიდებდნენ იაპონიის სამხედრო ობიექტებს, მოქმედებდნენ პარტიზანულ რაზმებში და თავიანთი გმირული ბრძოლით ხელს უწყობდნენ იაპონიის იმპერიალისტთა დამარცხებას.

იაპონიასთან ომში საბჭოთა კავშირის ჩაბმამ და საბჭოთა ჯარებისა და კორეელ პარტიზანთა ერთობლივმა მოქმედებამ განთავისუფლება მოუტანა კორეელ ხალხს, რომლის წინაშე ახალი ცხოვრების აშენების ფართო პერსპექტივები გადაიშალა ხელსაყრელ გარემოებათა პირობებში, რაც საერთაშორისო ასპარეზზე სოციალიზმის პოზიციის განმტკიცების სასარგებლოდ მომხდარი ღრმა ისტორიული ცვლილებებითაა აღნიშნული.

კორეის საკითხის შესახებ მოსკოვის გადაწყვეტილებები. გადაწყვეტილებათა საბოტაჟი აშშ მხრივ

ჯერ კიდევ 1943 წელს აშშ პრეზიდენტმა რუზველტმა და ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ჩერჩილმა ხელი მოაწერეს ეგრეთწოდებულ „კაიროს დეკლარაციას", რომელიც კორეისათვის დამოუკიდებლობის მინიჭებას ითვალისწინებდა. 1945 წლის პოტსდამის კონფერენციამ დამტკიცა ეს გადაწყვეტილება.

1945 წლის აგვისტოში საბჭოთა არმიამ გაათავისუფლა კორეა. მოკავშირეთა შეთანხმების საფუძველზე კორეა დროებით გაყოფილ იქნა ორ ზონად 38-ე პარალელის გაყოლებით: ჩრდილოეთით დაწესებულ იქნა საბჭოთა კავშირის პასუხისმგებლობის ზონა, სამხრეთით — ამერიკის შეერთებული შტატების პასუხისმგებლობის ზონა.

კორეის განთავისუფლების შემდეგ, როგორც ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში, სადაც საბჭოთა ჯარები იმყოფებოდნენ, ისე მის სამხრეთ ნაწილშიც ამერიკის ჯარების იქ შესვლამდე (ამერიკის ჯარები კორეაში შევიდნენ 1945 წლის 8 სექტემბერს) დაიწყო დემოკრატიული პარტიების, პროფკავშირებისა და სხვა მასობრივი ორგანიზაციების ჩამოყალიბება. ხალხთა მასების ინიციატივით მთელს ქვეყანაში იქმნებოდა სახალხო ხელისუფლების ორგანოები — სახალხო კომიტეტები. სახალხო კომიტეტები ჩამოყალიბდნენ ერთიანი ეროვნული ანტიიმპერიალისტური ფრონტის საფუძველზე, რომელშიც ქვეყნის დემოკრატიული ძალები შედიოდნენ და რომლის საძირკველს მუშათა კლასის ხელმძღვანელობით მუშებისა და გლეხების კავშირი წარმოადგენდა.

ამერიკის სარდლობამ ხელუხლებლად დატოვა ქვეყნის სამხრეთ ნაწილში იაპონიის კოლონიური აპარატი, რომელთანაც კორეის ბურჟუაზიისა და მემამულეთა ზედაფენა თანამშრომლობდა. ამერიკის ჯარების შემოსვლამდე ჩამოყალიბებული სახალხო კომიტეტები გარეკეს. სასწრაფოდ იქმნებოდა რეაქციული პოლიტიკური ჯგუფები. 16 სექტემბერს ამერიკის სამხედრო თვითმფრინავით ამერიკიდან სეულში ჩამოიყვანეს კორეელი ხალხის უბოროტესი მტერი — ლი სინ მანი.

სამხრეთ კორეაში შეიქმნა ამერიკული სამხედრო ადმინისტრაცია სამხედრო გუბერნატორის მეთაურობით. პოლიციური აპარატი გაძლიერებულ იქნა და იგი ამერიკული ადმინისტრაციის ხელმძღვანელობით მუშაობდა. ქვეყნად ტერორი გამეფდა. აღდგენილ იქნა იაპონური წესით სამართლის წარმოება.

რეაქციის თავაშვებულობასთან ერთად, რასაც ადგილი ჰქონდა ქვეყნის სამხრეთ ნაწილში, დემოკრატიული ძალების კონსოლიდაციაც მიმდინარეობდა. 1946 წლის თებერვალში ჩამოყალიბდა სამხრეთ კორეის დემოკრატიული ეროვნული ფრონტი, რომელსაც სამხრეთ კორეის კომუნისტური პარტია ედგა სათავეში; ეროვნული ფრონტი ამოცანად ისახავდა კორეის ერთიანი დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნას.

1945 წლის დეკემბერში მოსკოვში მოწვეულ საბჭოთა კავშირის, აშშ-ის და ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირზე განსახილველად იდგა კორეის საკითხი. ამ თათბირზე გამოვლინდა ორი ხაზი კორეის საკითხის გადაწყვეტისადმი, რამაც თავისი გამოხატულება პოვა ორ პროექტში — საბჭოთა კავშირისა და ამერიკის პროექტში.

საბჭოთა პროექტი გამომდინარეობდა ლენინური ეროვნული პოლიტიკის ძირითადი პრინციპიდან — ერის უფლება თვითგამორკვევაზე. საბჭოთა პროექტი „კაიროს დეკლარაციისა“ და პოტსდამის შეთანხმების დებულებათა სრული შესაბამისობით კორეაში დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას ითვალისწინებდა. საბჭოთა პროექტს კორეის დროებითი დემოკრატიული მთავრობის შექმნა გადაუდებელ ამოცანად მიაჩნდა. ამ ამოცანის განხორციელებისათვის ხელის შესაწყობად საბჭოთა პროექტი წინადადებას იძლეოდა შექმნილიყო შერეული საბჭოთა კავშირ-ამერიკის კომისია.

ამერიკის მხარე წინადადებას იძლეოდა, რათა კორეას, სანამ იგი დამოუკი-

ლებლობას მიიღებდა, ჯერ გაეცლო საზღვარგარეთული მმართველობის ორი სტადია. პირველი სტადიის მიხედვით კორეა იქ მყოფი ამერიკისა და საბჭოთა ჯარების მთავარსარდლობის ერთობლივი მმართველობის ქვეშ უნდა ყოფილიყო. მეორე ეტაპზე გათვალისწინებული იყო ოთხი სახელმწიფოს მეურვეობის დაწესება კორეაზე. ამერიკული პროექტის მიხედვით დამოუკიდებელი კორეის შექმნა ათი წლით და კიდევ მეტი ხნითაც იყო გადადებული.

გაიმარჯვა საბჭოთა თვალსაზრისმა, რამაც მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის მოწონება ჰპოვა. მიღწეული შეთანხმება ითვალისწინებდა შერეული ერთობლივი საბჭოთა კავშირ-ამერიკის კომისიის შექმნას, რომელსაც კონსულტაცია უნდა ჩაეტარებინა კორეის როგორც ჩრდილოეთ, ისე სამხრეთ ნაწილის დემოკრატიულ პარტიებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან კორეის დროებითი დემოკრატიული მთავრობის შექმნის საკითხების შესახებ. ქვეყნის ეკონომიური, პოლიტიკური და სოციალური პროგრესისათვის ხელისშეწყობის მიზნით შეთანხმება კორეაზე ოთხი სახელმწიფოს (სსრ კავშირი, აშშ, ინგლისი და ჩინეთი) მეურვეობის შექმნას ითვალისწინებდა ხუთი წლის ვადით.

კორეის ხალხი დიდი მოწონებით შეხვდა მოსკოვის თათბირის გადაწყვეტილებებს. იმპერიალისტები კი მოსკოვის შეთანხმებას ისე იხილავდნენ, როგორც კვამლის საბურველს თავიანთი აგრესიული ზრახვების დასაფარავად. ამიტომაც საბჭოთა კავშირ-ამერიკის კომისიის სხდომაზე კონსულტაციების ჩატარების საკითხის განხილვისას ამერიკის მხარემ წინადადება წამოაყენა შეტანილი ყოფილიყო იმ ორგანიზაციათა სიაში, ვისთანაც საჭირო იყო კონსულტაციები, აშკარად რეაქციული პარტიები ან მცირერიცხოვანი ჯგუფები, რომლებიც ხელოვნურად იყენენ ჩამოყალიბებული და მტრულად განწყობილი მოსკოვის გადაწყვეტილებების მიმართ. იმავე დროს ამერიკის მხარემ უარი განაცხადა კონსულტაციების ჩატარებაზე ისეთ ნამდვილად დემოკრატიულ მასობრივ ორგანიზაციებთან, როგორიც არიან, მაგალითად, პროფესიული კავშირები და სხვ.

კორეის სამხრეთ და ჩრდილოეთ ნაწილებს შორის ეკონომიური ურთიერთობის დამყარების საკითხის შესახებ საბჭოთა სარდლობის წინადადება — შექმნილიყო ექვივალენტური თანხის მიხედვით საქონლის გაცვლა-გამოცვლა — აგრეთვე წინააღმდეგობას წააწყდა ამერიკის მხრივ, რომლის ამოცანაში შედიოდა არა კორეის ეკონომიკის აღორძინება, არამედ მისი ბუნებრივ სიმდიდრეთა გაძარცვა. უარს აცხადებდა რა ჩრდილო-კორეისათვის ბრინჯის მიწოდებაზე, ამერიკის მხარე იმედოვნებდა გამოეწვია იქ შიმშილი. თანხმობა გამოაცხადა რა ჩრდილოეთ კორეიდან სამხრეთ კორეის საჭიროებისათვის 90 მილიონი იენის ღირებულების საქონლის მიღებაზე, ამერიკულმა მხარემ ჩრდილოეთ კორეისთვის გაიღო მხოლოდ 10 მილიონი იენის ღირებულების საქონელი, ვინაიდან მას სურვილი ჰქონდა ჩრდილოეთ კორეის ანგარიშში 80 მილიონი იენის ღირებულების საქონელი მიეღო ნისიად.

ამერიკის შეერთებული შტატების მიერ შეურიგებელი პოზიციის დაკავების გამო საბჭოთა კავშირ-ამერიკის კომისიის მუშაობას დადებითი შედეგი არ მოუტანია. აშშ სამხრეთ კორეას ისე უყურებდნენ, როგორც ბაზას ჩრდილოეთ კორეის ხელში ჩასაგდებად, ხოლო მთელ კორეას, როგორც სამხედრო-სტრატეგიულ პლაცდარმს საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის წინააღმდეგ. გასაგებია, რომ ამერიკელები სრულებით არ იყვნენ დაინტერესებული კორეაში დემოკრატიული მთავრობის შექმნით.

სეპარატული არჩევნები სამხრეთ კორეაში. სამხრეთ კორეის რესპუბლიკის შექმნა

იმ მიზნით, რათა ქვეყნის სამხრეთით შეექმნათ სეპარატული მთავრობა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უკანონოდ შეიტანეს კორეის საკითხი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაზე. როგორც ცნობილია, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 107-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ მეორე მსოფლიო ომთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგება არ შედის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომპეტენციაში. მაგრამ, აშშ-ის საბჭოთა დელეგაციის პროტესტის მიუხედავად კორეის საკითხი გენერალური ასამბლეის მეორე სესიის მსჯელობის საგნად გახადეს. დაეყრდნენ რა მორჩილ უმრავლესობას, მათ იმას მიაღწიეს, რომ 1947 წლის 14 ნოემბერს გენერალურ ასამბლეას მიაღებინეს რეზოლუცია, რომლითაც, ჯერ ერთი, უარყოფილი იქნა საბჭოთა დელეგაციის წინადადება კორეის საკითხებზე მსჯელობაში მონაწილეობის მისაღებად გენერალურ ასამბლეაზე კორეის ხალხის წარმომადგენლების მოწვევის შესახებ და, მეორე, უარყოფილი იქნა საბჭოთა დელეგაციის წინადადება კორეიდან საბჭოთა და ამერიკის ჯარების ერთდროულად გაყვანისა და კორეელი ხალხისათვის იმის საშუალების მიცემის შესახებ, რომ მან თვითონ გადაწყვიტოს თავისი ბედი. გენერალურმა ასამბლეამ დადგენილება გამოიტანა გაეგზავნა კორეაში კომისია, რომელსაც მინდობილი ჰქონდა სეპარატული არჩევნების ჩატარება სამხრეთ კორეაში.

ეროვნული კრების არჩევნები სამხრეთ კორეაში 1948 წლის 10 მაისს ჩატარდა. ეს არჩევნები, თვით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დროებითი კომისიის აღიარებით, ტერორისა და პოლიციური თვითნებობის პირობებში მიმდინარეობდა. ამ არჩევნებში საარჩევნო უფლების მქონე პირთა ერთ მესამედზე ნაკლებმა მიიღო მონაწილეობა. გამოცხადებულ იქნა „კორეის რესპუბლიკა", რომლის პრეზიდენტად ლი სინ მანი იქნა არჩეული. ლი სინ მანის მთავრობამ „თხოვნით" მიმართა აშშ-ის მთავრობას არ გაიყვანოს სამხრეთ კორეიდან საოკუპაციო ჯარები.

დემოკრატიული გარდაქმნები ჩრდილო კორეაში

სამხრეთ კორეაში ამერიკის ჯარის შესვლის შემდეგ კორეის კომუნისტური პარტია იძულებული შეიქმნა გაყოფილიყო ორ ნაწილად: ჩრდილოეთ კორეის კომუნისტურ პარტიად და სამხრეთ კორეის კომუნისტურ პარტიად. 1945 წლის ოქტომბერში შეიქმნა ჩრდილოეთ კორეის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო ბიურო კიმ ირ სენის მეთაურობით.

1946 წლის 9 თებერვალს ფხენიანში გაიხსნა ჩრდილოეთ კორეის დემოკრატიული ორგანიზაციების გაფართოებული თათბირი, რომელზეც ერთსულოვნად მიღებულ იქნა დადგენილება შექმნილიყო ჩრდილოეთ კორეის დროებითი სახალხო კომიტეტი კიმ ირ სენის მეთაურობით. კომიტეტის პირველი რიგის ამოცანებად გათვალისწინებული იყო: თვითმმართველობის ყველა დგილობრივი ორგანოს განმტკიცება, უახლოეს დროში აგრარული რეფორმების გატარება, სამრეწველო საწარმოთა და ტრანსპორტის აღდგენა, ეკონომიკის განვითარება. შინამრეწველობისა და ხელოსნობის განვითარება, საწარმოებში და ტრანსპორტზე საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების ჩამოყალიბება, სახალხო განათლების რეორგანიზაცია დემოკრატიულ გარდაქმნებთან დაკავ-

შირებით. კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის გაშლა და ახსნა-განმარტებითი მუშაობის ჩატარება მთელ მოსახლეობაში მოსკოვის თათბირზე მიღებულ დადგენილებათა ნამდვილი აზრის შესახებ, რომლებიც კორეელი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს შეესაბამება[1].

კანონი აგრარული რეფორმების შესახებ მიღებულ იქნა დროებითი სახალხო კომიტეტის მიერ 1946 წლის 5 მარტს. იგი ითვალისწინებდა ფეოდალურ ურთიერთობათა და მსხვილი მიწათმფლობელობის ლიკვიდაციას, რომელიც იაპონელ ოკუპანტებს, კორეელ მემამულეებსა და რელიგიურ ორგანიზაციებს ეკუთვნოდა, და აგრეთვე საიჯარო სისტემის მოსპობას. აგრარული რეფორმა ტარდებოდა 1946 წლის 7 მარტიდან 1 აპრილამდე. მთელი კონფისკაციაქმნილი მიწა, რომლის ოდენობა 1 მილიონ ჰექტარს აღემატებოდა, უსასყიდლოდ გადაეცა საკუთრებად უმიწაწყლო და მცირე მიწის მქონე გლეხებს. გაუქმებულ იქნა გლეხებისა და მოჯამაგირეთა ვალი იმ მემამულეების მიმართ, რომელთა მიწა კონფისკაციაქმნილ იქნა. კატეგორიულად აიკრძალა გლეხობისათვის საკუთრებად გადაცემული მიწის გაყიდვა, იჯარით გაცემა და დაგირავება.

მოჯამაგირეებსა და მცირე მიწაწყლის მქონე გლეხებს შორის განაწილებულ იქნა მემამულეთა კონფისკაციაქმნილი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, გამწევი ძალა, ნაგებობანი და საკარმიდამო ნაკვეთები.

აგრარულმა რეფორმამ, რომელმაც სოფლად ფეოდალიზმის ღრმა ფესვები მოსპო, გლეხთა სანუკვარ ოცნებას ხორცი შეასხა. მან ხელი შეუწყო სოფლის მეურნეობის აღმავლობას და გლეხთა მატერიალური და კულტურული დონის აწევას, განამტკიცა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი და ნიადაგი მოამზადა სოფლად სოციალისტური გარდაქმნების განსახორციელებლად. კომუნისტური პარტია გაერთიანდა სახალხო პარტიასთან, რომელშიც მშრომელი გლეხობა და აგრეთვე ქალაქის წვრილი ბურჟუაზია შედიოდნენ. ეს გაერთიანება 1946 წლის აგვისტოში ჩატარდა; გაერთიანებულმა პარტიამ „შრომის პარტიის" სახელწოდება მიიღო.

1946 წლის 24 ივნისს დროებითმა სახალხო კომიტეტმა მიიღო კანონი შრომის შესახებ, რომლითაც დადგენილ იქნა რვასაათიანი სამუშაო დღე მოზრდილთათვის, ექვსსათიანი — მოზარდთათვის და აიკრძალა ბავშვთა შრომის გამოყენება. კანონმა დააწესა სამართლიანი ხელფასი, ქალის შრომის გათანაბრება მამაკაცის შრომასთან, მშრომელთა უფლება დასვენებაზე და სოციალურ დაზღვევაზე, ორსულობის გამო შვებულების მიცემა, მოხუცებულობის უზრუნველყოფა და სხვ.[2].

აგრარული ურთიერთობისა და შრომის დარგში გატარებულმა დემოკრატიულმა გარდაქმნებმა განამტკიცა შრომის პარტიის ავტორიტეტი და შეამჭიდროვა მის ირგვლივ ქვეყნის მთელი პატრიოტული ძალები. 1946 წლის აგვისტოში შეიქმნა ჩრდილოეთ კორეის ერთიანი დემოკრატიული ეროვნული ფრონტი, რომელიც ქვეყნის მშვიდობიანი გაერთიანებისა და სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის ლოზუნგით გამოვიდა.

---

[1] Щетинин Б. В. Демократические преобразования в Северной Корее и образование Корейской Народно-Демократической Республики. Сборник „Корейская Народно-Демократическая Республика", АН СССР, 1954, стр. 250.

[2] ი ბ ი დ. გვ. 226, 227, 230.

1946 წლის აგვისტოშივე დროებითმა სახალხო კომიტეტმა მიიღო კანონი მრეწველობის, ბანკების, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საშუალებათა ნაციონალიზაციის შესახებ. ნაციონალიზაციას ექვემდებარებოდა ის საწარმოები, რომლებიც წინათ იაპონელ მფლობელთ და სამშობლოს მოღალატე კორეელებს ეკუთვნოდათ. ჩატარებული ნაციონალიზაციის შედეგად ჩრდილო კორეის სახალხო მეურნეობაში ჩამოყალიბდა სახელმწიფო სექტორი. მის გვერდით არსებობდა კერძოკაპიტალისტური სექტორი კერძო მესაკუთრეობის უფლებათა სათანადო შეზღუდვებით, მაგრამ მბრძანებელი პოზიციები ქვეყნის ეკონომიკაში უკვე სახელმწიფოს ხელში იყო მოქცეული.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა

1946 წლის ნოემბერში ჩრდილოეთ კორეაში ჩატარდა ადგილობრივი სახალხო კომიტეტების არჩევნები. 1947 წლის თებერვალში შედგა სახალხო კომიტეტების ყრილობა, რომელზედაც ჩრდილოეთ კორეის სახალხო კრება შეიქმნა. ამ უკანასკნელს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს ფუნქციები უნდა შეესრულებინა კორეის ერთიანი მთავრობის შექმნამდე.

სამხრეთ კორეის რესპუბლიკის დაარსებამ და კორეის გათიშვამ ხალხთა მასებში საპროტესტო მოძრაობა გამოიწვია. სამხრეთ კორეაში ხშირად ჰქონდა ადგილი გაფიცვებს და გლეხთა ამბოხებებს, რომლებიც 1946 წლის ოქტომბერში შეიარაღებულ გამოსვლებში გადაიზარდნენ. გლეხები თავს ესხმოდნენ მემამულეთა საკარმიდამოებს და იტაცებდნენ მემამულეთა მიწებს. ქალაქად და სოფლად შეიარაღებულ გამოსვლებში მონაწილეთა რიცხვმა ორ მილიონს გადააჭარბა. რეაქციის ძალთა წინააღმდეგ ხალხის მასების ბრძოლის პროცესში 1945 წლის 6 ნოემბერს მოხდა სამხრეთ კორეის კომუნისტური პარტიის გაერთიანება სახალხო და ახალ სახალხო პარტიებთან. გაერთიანებულმა პარტიამ სამხრეთ კორეის ერთიანი შრომის პარტიის სახელწოდება მიიღო.

თუნცა ოქტომბრის გამოსვლა სასტიკად იქნა ჩახშობილი, მაგრამ სამხრეთ კორეის ხალხთა მასები განაგრძობდნენ ბრძოლას მოსკოვის დადგენილებათა განსახორციელებლად. 1948 წლის აპრილში შედგა ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის დემოკრატიული პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა პირველი ერთობლივი თათბირი, რომელზედაც მიღებულ იქნა დადგენილება — ბოიკოტი გამოეცხადოს სამხრეთ კორეაში სეპარატულ არჩევნებს.

ჩრდილოეთისა და სამხრეთის წარმომადგენელთა მეორე ერთობლივი თათბირი 1948 წლის ივნის-ივლისში შედგა. თათბირზე მიღებულ იქნა დადგენილება კორეის მთელ ტერიტორიაზე უმაღლესი სახალხო კრების საყოველთაო დემოკრატიული არჩევნების ჩატარების შესახებ.

არჩევნები შედგა 1948 წლის 25 აგვისტოს. ჩრდილოეთ კორეაში არჩევნები ჩატარდა ჩრდილოეთ კორეის სახალხო კრების მიერ მომზადებული საერთოკორეული კონსტიტუციის პროექტის შესაბამისად. სამხრეთ კორეაში კი არჩევნების ჩატარება აკრძალულ იქნა ადგილობრივი და მაოკუპირებელი ხელისუფლების მიერ. ამიტომ აქ არჩევნები ჩატარდა არალეგალურად და ორსაფეხურიანი წესით: ჯერ არჩეულ იქნენ სამხრეთ კორეის სახალხო წარმომადგენელთა

ყრილობის დელეგატები, შემდეგ კი ყრილობა ირჩევდა უმაღლესი სახალხო კრების დეპუტატებს.

ჩრდილოეთ კორეაში ჩატარებულ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ყველა ამომრჩეველის 99,97 პროცენტმა, რომელთა მიერ არჩეულ იქნა 212 დეპუტატი. სამხრეთ კორეაში არჩეულ იქნა 360 დეპუტატი. არჩეულ იქნენ მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის წარმომადგენლები.

თავის პირველ სესიაზე, რომელიც 1948 წლის სექტემბერში შედგა, უმაღლესმა სახალხო კრებამ მიიღო კონსტიტუცია, რომლის შესაბამისად გამოცხადებულ იქნა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა. კონსტიტუციაში მითითებული იყო, რომ ძალაუფლება ქვეყანაში ხალხს ეკუთვნის და იგი ხორციელდება ხალხის უმაღლესი ორგანოს საშუალებით, როგორიცაა უმაღლესი სახალხო კრება. მიწის წიაღი, ტყე, წყალი, მსხვილი მრეწველობა, ენერგიის წყაროები, კავშირგაბმულობის საშუალებები, იაპონელთა საკუთრება და საკუთრება კორეელი ხალხის გამცემლებისა, სახელმწიფო საკუთრებად იქნა გამოცხადებული.

უმაღლესი სახალხო კრების პირველმა სესიამ შეადგინა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა კიმ ირ სენის მეთაურობით. უმაღლესმა სახალხო კრებამ თხოვნით მიმართა საბჭოთა კავშირსა და აშშ-ის მთავრობებს გაიყვანონ კორეიდან თავიანთი ჯარები. საბჭოთა მთავრობამ დააკმაყოფილა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი ორგანოს ეს თხოვნა და საბჭოთა ჯარები, რომლებმაც განთავისუფლება მოუტანეს კორეელ ხალხს და დახმარება აღმოუჩინეს მას ქვეყნის მეურნეობის აღდგენის საქმეში, 1948 წლის ბოლოს გაყვანილ იქნენ ჩრდილოეთ კორეიდან.

საბჭოთა კავშირმა პირველმა სცნო კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა და დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა მასთან. საბჭოთა მთავრობის შემდეგ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა სცნეს სახალხო დემოკრატიის ქვეყნებმა.

1949 წლის 17 მარტს საბჭოთა კავშირსა და კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის ხელმოწერილ იქნა შეთანხმება ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობის შესახებ. ეს იყო კორეის ხალხის ისტორიაში დიდ სახელმწიფოსთან დადებული პირველი თანასწორუფლებიანი ხელშეკრულება. რომელიც გამოხატავდა პრინციპულად ახალ ურთიერთობებს, რომლებიც სოციალისტური ბანაკის ქვეყნებს შორის მყარდებოდა.

ამ შეთანხმების საფუძველზე საბჭოთა კავშირმა დიდი დახმარება აღმოუჩინა კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას ეროვნული ეკონომიკის მტკიცე საძირკვლის შექმნის საქმეში. უკვე 1949 წელს კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის სამრეწველო წარმოება 1946 წელთან შედარებით 4-ჯერ გადიდდა. გარდა ეკონომიურ და კულტურულ თანამშრომლობაზე შეთანხმებისა, ხელმოწერილ იქნა შეთანხმება საქონელბრუნვასა და გადასახდელებზე. კორეის სახელმწიფოსათვის საქონლის ღირებულების გადასახდელად სესხის მიწოდებაზე და ტექნიკური დახმარების აღმოჩენის შესახებ.

აშშ და სამხრეთ კორეა

სსრ კავშირსა და კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის დადებული შეთანხმებები ძირეულად განსხვავდებოდნენ იმ შეთანხმებებისაგან,

რომელიც ხელმოწერილ იქნა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ლისინ-ჰანელ ხელისუფალთა მიერ. 1948 წლის აგვისტოში აშშ-სა და სამხრეთ კორეას შორის ხელმოწერილ იქნა შეთანხმება სამხრეთ კორეის არმიის შექმნისა და ამერიკის სოკუპაციო ხელისუფალთათვის სამხრეთ კორეის შეიარაღებულ ძალებზე ხელმძღვანელობის გადაცემის შესახებ, ამერიკის შეერთებული შტატებისათვის სამხრეთ კორეის ტერიტორიისა და სხვადასხვა ნაგებობათა და სამხედრო ბაზების განუსაზღვრელად გამოყენების უფლების მინიჭების შესახებ.

1948 წლის სექტემბერში აშშ-სა და ლი სინ მანის მარიონეტულ მთავრობას შორის ხელმოწერილ იქნა შეთანხმება „საკუთრებისა და ფინანსთა საკითხების მოწესრიგების შესახებ". ამ შეთანხმებამ განუმტკიცა ამერიკის შეერთებულ შტატებს სამხრეთ კორეაზე პოლიტიკური, ეკონომიური და სამხედრო კონტროლის უფლებები და ქვეყნის სამხრეთ ნაწილის ბუნებრივ სიმდიდრეთა ექსპლოატაციის უფლება.

1948 წლის დეკემბერში ხელმოწერილ იქნა შეთანხმება ამერიკის შეერთებული შტატების მიერ სამხრეთ კორეისათვის „დახმარების" აღმოჩენის შესახებ. ამ შეთანხმებით ლი სინ მანის მთავრობა ვალდებულებას კისრულობდა შეექმნა ამერიკის მონოპოლიების სავაჭრო და სამრეწველო მოქმედებისათვის ხელსაყრელი პირობები და შეეთანხმებინა შეერთებულ შტატებთან ყველა პოლიტიკური და ეკონომიური ღონისძიება.

1950 წლის დასაწყისში ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სამხრეთ კორეას შორის ხელმოწერილ იქნა პაქტი „ურთიერთ დახმარებაზე" და შეთანხმება სამხედრო მრჩეველების შესახებ. ეს დოკუმენტები ითვალისწინებდნენ ამერიკული იარაღის მიწოდებას სამხრეთ კორეისათვის და ამერიკული ხელმძღვანელობის გაწევას სამხრეთ კორეის შეიარაღებულ ძალთა მომზადებისა და მათი სამომარი მოქმედებისადმი.

1950 წლის 14 თებერვალს ამერიკის კონგრესმა მიიღო კანონი, რომელიც „დახმარების" შეწყვეტით ემუქრებოდა ლი სინ მანის რესპუბლიკას, თუკი იგი დაეთანხმებოდა ჩრდილოეთ კორეასთან გაერთიანებას.

კორეის ერთიანი დემოკრატიული სამამულო ფრონტის შექმნა

ლი სინ მანის მთავრობის ანტიხალხური პოლიტიკით დიდად აღშფოთებული ქვეყნის ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილების ხალხთა მასები თანდათან უახლოვდებოდნენ ერთმანეთს კორეის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. 1949 წლის ზაფხულში ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის შრომის პარტიები გაერთიანდნენ კორეის ერთიან შრომის პარტიად. ამას თან მოჰყვა კორეის შრომის პარტიის ინიციატიეით ჩრდილოეთ კორეის ერთიანი დემოკრატიული ეროვნული ფრონტისა და სამხრეთ კორეის დემოკრატიული ეროვნული ფრონტის გაერთიანება კორეის ერთიან დემოკრატიულ სამამულო ფრონტად.

ერთიანი დემოკრატიული სამამულო ფრონტის პროგრამაში ძირითადი ადგილი სამხრეთ კორეიდან ამერიკის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უკანონო „კორეის კომისიის" განდევნის მოთხოვნას ეკავა. პროგრამა ითვალისწინებდა: ხალხის მთელი ძალების მობი-

ლიზაციას ქვეყნის დაუყოვნებლივ გაერთიანებისათვის. ჩრდილოეთ კორეაში გატარებულ დემოკრატიულ გარდაქმნათა განმტკიცებისათვის. ფეოდალიზმის ეადანაშთების ლიკვიდაციისათვის ეროვნული ეკონომიკის განვითარებისათვის. ხალხის მატერიალური კეთილდღეობის აღმავლობისათვის.

ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ აგრესიის მოამზადება

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა იძულებული გახდა გაეკეთებია განცხადება 1949 წლის დასასრულს კორეიდან თავისი ჯარების გაყვანის შესახებ. ამ დროისათვის ამერიკულმა სარდლობამ უკვე დაამთავრა ასიათასიანი ლისინმანური არმიის ფორმირება, რომლის მიზანს შეადგენდა აგრესიის დაწყება ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ. სამხრეთ კორეის ჯარებისადმი ხელმძღვანელობის გასაწევად დატოვებული იყო ამერიკის სამხედრო მისია 500 კაცის შემადგენლობით.

თავდასხმის მომზადების პროცესში ლი სინ მანის სამფლობელოდან გზავნიდნენ ჯაშუშებსა და დივერსანტებს ჩრდილოეთ კორეაში, რომელთაც ევალებოდათ ფაბრიკების, ქარხნების, მაღაროებისა და ელექტროსადგურების მოსპობა, ტრანსპორტის მუშაობის დეზორგანიზაცია, ცეცხლის წაკიდება, გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეთა მკვლელობის ორგანიზაცია და სხვ.

1950 წლის მაისში თავისი პოზიციების განმტკიცების მიზნით ლი სინ მანის მთავრობამ ჩაატარა ეროვნული კრების არჩევნები, რაც საგანგებო მდგომარეობის პირობებში მიმდინარეობდა. ვინც არჩევნებში მონაწილეობისაგან თავის დაღწევას შეეცდებოდა, მას დახვრეტა მოელოდა, ხოლო იმას კი, ვინც ლისინმანური კანდიდატებისათვის ხმის მიცემაზე უარს იტყოდა, — დასტიმრება.

მაგრამ არჩევნებმა ვერ მოუტანეს ლისინმანურ ხროვას მათთვის სასურველ შედეგები. თუმცა დემოკრატიულად განწყობილ პირთათვის ეროვნული კრების კარები დახშული იყო, მაგრამ დეპუტატთა წინანდელი შემადგენლობიდან ხელახლა არჩეულ იქნა სულ რაღაც სამიოდე ათეული კაცი.

ლისინმანური რეჟიმი სამხრეთ კორეაში აშკარად იხრწნებოდა. ქვეყნის ჩრდილოეთი წარმოადგენდა სამხრეთის პარტიზანთა ძალების მიმზიდველ ცენტრს. იქ დემოკრატიული წესები ტარდებოდა და დიდი შემოქმედებითი მუშაობა მიმდინარეობდა სახალხო მეურნეობის აღსადგენად და მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის ასამაღლებლად.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის აღდგენა და განვითარება

ჯერ კიდევ 1947 წელს კორეის სახალხო კრებამ მიიღო სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ერთწლიანი გეგმა ამით საფუძველი ჩაეყარა ჩრდილოეთ კორეის სახალხო მეურნეობის განვითარების დაგეგმვას. 1949 წელს ჩრდილოეთ კორეა ერთწლიანი გეგმიდან ორწლიანზე გადავიდა, 1953 წელს კი მიღებულ იქნა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების სამწლიანი გეგმა. უპირველესი ყურადღება ექცეოდა მძიმე ინდუსტრიას, რომლის წილად საერთო სამრეწველო პროდუქციაში 74 პროცენტი მოდიოდა. მანქანათმშენებლობის ხვედრითი წონა 1946-დან 1949 წლამდე თითქმის 4-ჯერ გადიდდა. სახელმწიფო

სექტორმა მთელი სამრეწველო პროდუქციის 84 პროცენტი მისცა ქვეყანას, კოოპერაციულმა — 3 პროცენტი, კერძო სექტორის წილზე კი 9 პროცენტი მოდიოდა.

კიმ ირ სენის მთავრობა სოფლის მეურნეობაში სახელმწიფო სექტორის ჩამოყალიბებას შეუდგა. 1949 წელს შეიქმნა 12 სახელმწიფო სამიწათმოქმედო მეურნეობა და 10 სახელმწიფო სათესლე სადგური. წარმოიშვა პირველი მანქანათგასაქირავებელი სადგურები, რომელთა განკარგულებაში საბჭოთა კავშირიდან 1949 წლის ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული ასი ტრაქტორი იქნა გადაცემული. მთავრობამ განახორციელა ირიგაციულ ნაგებობათა მნიშვნელოვანი მშენებლობა, უზრუნველყო მინერალური სასუქებით მომარაგება და დანერგა მიწის დამუშავების მოწინავე მეთოდები[1].

მოკლე ხნის განმავლობაში ჩრდილოეთ კორეამ დიდი წარმატებები მოიპოვა აგრეთვე კულტურისა და მეცნიერების განვითარებაში. მაგრამ მოულოდნელმა ინტერვენციამ სამი წლით შეწყვიტა ქვეყნის მშვიდობიანი მშენებლობა.

ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲐ ᲙᲝᲠᲔᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ-ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲓᲔᲒ

1949 წლის 28 მაისიდან 1950 წლის 19 ივნისამდე კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ სამჯერ წამოაყენა სამხრეთ კორეის მთავრობის წინაშე საკითხი ქვეყნის მშვიდობიანი გაერთიანების შესახებ და სამჯერვე ლი სინ მანის მთავრობამ უპასუხოდ დატოვა ეს წინადადება. ასეთივე ბედი ეწია კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების მიერ სამხრეთ კორეის ეროვნული კრებისადმი მიცემულ წინადადებასაც, რომლითაც ქვეყნის გაერთიანების მიზნით მოთხოვნილი იყო ორივე წარმომადგენლობითი დაწესებულების შეერთება. პირიქით, ანტიიმპერიალისტური მოძრაობის ზრდით დაშინებული ლისინმანური ხროვა აჩქარებდა ამერიკელთა სარდლობას — მალე შესდგომოდა ჩრდილოეთში გალაშქრებას.

1950 წლის მაისისათვის სამხედრო აგრესიისათვის მზადება დამთავრდა. ჩრდილოეთში გალაშქრების წინ ამერიკის სახელმწიფო მდივანმა დალესმა საინსპექციო მგზავრობა მოაწყო სამხრეთ კორეაში. 17 ივნისს მან დაათვალიერა 38-ე პარალელის რაიონი, ხოლო 19 ივნისს კი დაარწმუნა სამხრეთ კორეის ეროვნული კრება, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მორალურ და მატერიალურ დახმარებას აღმოუჩენენ მას „კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში". 1950 წლის 25 ივნისს ამერიკელ გენერალ მაკარტურის ბრძანებით ლისინმანურმა ჯარებმა გადალახეს 38-ე პარალელი და შეიჭრნენ ჩრდილოეთ კორეაში 2 კილომეტრის სიღრმით.

ჩრდილოეთ კორეის სახალხო არმიამ, რომელიც მხოლოდ 1948 წლის თებერვალში იქნა ჩამოყალიბებული, უკუაქცია ლისინმანელთა ჯარების შემოტევა და კონტრშეტევები დაიწყო. სამხრეთ კორეის მოსახლეობა სიხარულით ეგებებოდა სახალხო არმიას, რომელიც წარმატებით მიიწევდა წინ — სამხრეთისაკენ. 28 ივნისს იგი შევიდა ლისინმანური რესპუბლიკის სატახტო ქალაქ სეულში.

ლისინმანური ჯარის კატასტროფული მდგომარეობის გამო, ამერიკის მთავრობამ გადაწყვიტა აშკარა ინტერვენცია დაეწყო. აშშ-ის პრეზიდენტმა ტრუ-

[1] Щетинин, Б. В. стр. 250.

მენმა 27 ივნისს ბრძანება მისცა მაკარტურს სამხედრო დახმარება აღმოეჩინა სამხრეთკორეელი დემორალიზებული არმიისათვის. ამერიკის ავიაციამ ბარბა-როსულად დაბომბა ჩრდილოეთ კორეის ქალაქები და სოფლები. კორეაში გადმოსხმულმა ამერიკულმა დივიზიებმა სამხედრო მოქმედება დაიწყეს სახალხო არმიის წინააღმდეგ.

წამოიწყეს რა ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ შეიარაღებული აგრესია, ამერიკის შეერთებული შტატები შეეცადნენ დაეფარათ იგი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ავტორიტეტით. წარუდგინა რა 25 ივნისს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ტრიუგვე ლის „დოკუმენტი", რომელშიც ლაპარაკი იყო, თითქოს ჩრდილო კორეელთა ჯარები შეიჭრნენ სამხრეთ კორეის ტერიტორიაზე, აშშ წარმომადგენელმა მოითხოვა უშიშროების საბჭოს სასწრაფო სხდომის მოწვევა კორეის საკითხის განსახილველად. 27 ივნისს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დარღვევით, ორი მუდმივი წევრის — საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის — გამოკლებით, ექვსი ხმით აშშ-მა უშიშროების საბჭოში გაათრიეს უკანონო რეზოლუცია, რომელიც ცილისმწამებლურად ბრალს სდებდა კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას აგრესიაში

ამერიკისა და ლისინმანელთა ჯარების შემდგომი წარუმატებლობის გამო აშშ გაატარა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში 7 ივლისს მეორე უკანონო რეზოლუცია, რომელიც წინადადებას აძლევდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებს დახმარება აღმოეჩინათ სამხრეთ კორეის მთავრობისათვის. რეზოლუცია „თხოვნით" მიმართავდა აშშ-ის მთავრობას დაენიშნა „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებული ძალების სარდალი".

ამგვარად, უშიშროების საბჭო ამერიკას რწმუნებებს აძლევდა იმ თავისუფალ მოქმედებებზე, რაც მან ფაქტიურად მიიღო ჯერ კიდევ 25 ივნისს, როდესაც ლი სინ მანის ჯარები შეიჭრნენ ჩრდილოეთ კორეაში, და 27 ივნისს, როდესაც სამხედრო ინტერვენცია დაიწყო კორეაში. ამ შემთხვევაში კი აშშ-ის ინტერვენციული მოქმედება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ავტორიტეტითა და ცისფერი დროშით იყო დაფარული.

უშიშროების საბჭოს მიერ 25 ივნისსა და 7 ივლისს მიღებული რეზოლუციების შესახებ საბჭოთა მთავრობა ტრიუგვე ლისადმი გაგზავნილ წერილებში მიუთითებდა ამ რეზოლუციათა უკანონო და აგრესიულ ხასიათზე.

უშიშროების საბჭოს მოწოდებას კორეელი ხალხის წინააღმდეგ აგრესიაში მონაწილეობის მიღებაზე გამოეხმაურა 16 სახელმწიფო: აშშ, ინგლისი, საფრანგეთი, ავსტრალია, ბელგია, კანადა, კოლუმბია, ეთიოპია, საბერძნეთი, ჰოლანდია, ახალი ზელანდია, ფილიპინები, ტაილანდი, თურქეთი, ლუქსემბურგი, სამხრეთ-აფრიკის კავშირი. „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებულ ძალთა" ცხრა მეათედს ამერიკელთა ჯარები შეადგენდნენ. მთელი რიგი სახელმწიფოებისა კორეაში სიმბოლურ შეიარაღებულ ძალთა გაგზავნას დასჯერდა. აზიის ქვეყნების უმრავლესობამ, სამი სახელმწიფოს გამოკლებით, უარი განაცხადა კორეის წინააღმდეგ ინტერვენციაში მონაწილეობაზე.

ამასთან ერთად ჩრდილოეთ კორეის ჯარები, წინ მიიწევდნენ რა სეულის სამხრეთით, სძლევდნენ თავდაცვითს ზღუდეებსა და წყლის დაბრკოლებებს. გა-

ნადგურებული ამერიკული დივიზიებისა და ლი სინ მანის ჯარების ნაშთები აგვისტოში მიმწყვდეულ იქნენ პუსანის პლაცდარმზე.

საბჭოთა კორეის განთავისუფლებულ რაიონებში დემოკრატიული წესები შეყარდებოდა, იქ აღდგენილ იქნა სახალხო კომიტეტის ადგილობრივი ხელისუფლება, გატარდა მიწის რეფორმა. დამარცხებებისაგან გონებადაკარგულმა ინტერვენტებმა კორეის ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების ბარბაროსულ დაბომბვას მიმართეს. ისინი ანგრევდნენ ქარხნებსა და ფაბრიკებს, სპობდნენ ქალაქებსა და სოფლებს, ყლეტდნენ მშვიდობიან მცხოვრებთ. „გადამწყვარი მიწის" ტაქტიკით ოკუპანტები ძმედოვნებდნენ გაეტეხათ კორეელი ხალხის წინააღმდეგობა.

15 — 16 სექტემბერს ნავსადგურ ინჩონში (ჩემულპო) 500 ამერიკული თეითმფრინავისა და 300 სამხედრო ხომალდის საფარქვეშ გადმოსხმულ იქნა დესანტი 50 ათასი კაცის შემადგენლობით. დესანტში, გარდა ამერიკელთა ჯარებისა, რომლებიც დესანტის ბირთვს შეადგენდნენ, მონაწილეობდნენ ინგლისის, ავსტრალიის, თურქეთის და სხვათა ჯარები. დესანტის ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ გზა გადაეკრა და შემდეგ გაენადგურებია პუსანის პლაცდარმზე მოქმედი სახალხო არმიის ნაწილები. ეს განზრახვა დროულად გამოცნობილ იქნა და სახალხო არმიის ნაწილებმა უკან დაიხიეს 38-ე პარალელისაკენ.

დიდი დანაკარგის ფასად ინტერვენტებმა 1950 წლის ოქტომბერში დაიპყრეს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქი ფხენიანი, წინ წაიწიეს ჩრდილოეთისაკენ და მთელ რიგ პუნქტებში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საზღვრებამდე მივიდნენ. ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის საზღვრებზე ინტერვენტთა ჯარების გამოჩენამ უშუალო საშიშროება შეუქმნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას და ჩინელი ხალხის უდიდესი პატრიოტული მოძრაობა გამოიწვია. ჩინელი მოხალისეები კორეელი ხალხის დასახმარებლად გამოვიდნენ.

მშვიდობისმოყვარე ხალხთა ბრძოლა კორეაში აგრესიის შესაწყვეტად

მშვიდობისმოყვარე ქვეყნებმა ზომები მიიღეს კორეის საკითხის მშვიდობიანი გზით მოწესრიგებისათვის. მშვიდობიანი ინიციატივით გამოვიდა ინდოეთის პრემიერმინისტრი ნერუ, რომელმაც წერილით მიმართა ი. ბ. სტალინს და წინადადება შეიტანა საბჭოთა კავშირის, აშშ-ის და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის არაოფიციალური კონტაქტის დამყარების შესახებ იმისათვის, რომ სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა დახმარებით ან თანამშრომლობით საფუძველი ყოფილიყო გამონახული კონფლიქტის შესაწყვეტად და პრობლემის საბოლოოდ მოსაგვარებლად. ნერუს წინადადებას მხარი დაუჭირა ი. ბ. სტალინმა. მაგრამ ნერუს წინადადებამ ვერ პოვა მხარდაჭერა აშშ-ში.

1950 წ. აგვისტოში საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა უშიშროების საბჭოში შეიტანა რეზოლუციის პროექტი, რომლითაც წინადადებას იძლეოდა კორეის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგების მიზნით მოსმენილი ყოფილიყო კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლის მოხსენება, შეწყვეტილიყო სამარი მოქმედება კორეაში და გამოყვანილი ყოფილიყო იქიდან უცხოელთა ჯარები ერთდროულად.

იმის შიშით, რომ საბჭოთა წარმომადგენლის მიერ შეტანილი მშვიდობისმოყვარული რეზოლუციის პროექტის წინააღმდეგ აშკარა გამოსვლით მსოფლიო

საზოგადოებრივი აზრის სამართლიანი გაკიცხვა არ გამოუწვია, ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა უარყო საბჭოთა წინადადება კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლის მოწვევის შესახებ და წამოაყენა კონტრწინადადება უშიშროების საბჭოში ლი სინ მანის მთავრობის წარმომადგენლის მოწვევაზე. საბჭოთა წარმომადგენლის წინადადება კორეის საკითხზე მსჯელობისას ორივე მხარის მოწვევის შესახებ აგრეთვე უარყოფილ იქნა. ამერიკა-ინგლისის ბლოკი ასეთსავე ტაქტიკას იცავდა შემდეგშიც საბჭოთა კავშირის წინადადებათა მიმართ, რომლებიც კორეაში საომარ მოქმედებათა შეწყვეტისაკენ იყო მიმართული.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დაცვაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ჩინელმა მოხალისეებმა. ჩინელ მოხალისეთა გამოსვლამ გარდატეხა მოახდინა კორეაში საომარი მოქმედების მსვლელობაში. ჩინელ მოხალისეთა და კორეის სახალხო არმიის ერთობლივი ღონისძიებებით სულ მოკლე ხნის განმავლობაში ინტერვენტების ჯარი უკუგდებულ იქნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საზღვრებიდან 38-ე პარალელისაკენ. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა არ დააყოვნეს 1951 წლის თებერვალში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესიაზე გაეტარებინათ რეზოლუცია, რომელიც ყალბად სდებდა ბრალს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას აგრესიაში, ხოლო იმავე წლის მაისში გაატარეს რეზოლუცია ჩინეთთან ეაპრობაზე ემბარგოს დაწესების შესახებ.

ამერიკის სარდლობის ცდა — აღედგინა მდგომარეობა და წაწეულიყო ჩრდილოეთისაკენ — უშედეგოდ დამთავრდა. ეს ამბავი მაკარტურს დაუჯდა თავისი პოსტის დაკარგვის ფასად. 1951 წლის 11 აპრილს ტრუმენის ბრძანებით მაკარტური გადაყენებულ იქნა ყველა თანამდებობიდან კორეასა და იაპონიაში და მის ადგილზე დაინიშნა გენერალი რიჯუეი. ამ უკანასკნელს ბედმა არ გაუღიმა. ამერიკის ჯარმა ასიათასზე მეტი კაცი დაკარგა ამერიკის შეერთებულ შტატებში გაძლიერდა საპროტესტო მოძრაობა კორეაში ინტერვენციის წინააღმდეგ. ეს გარემოება დამარცხებას უქადდა ტრუმენს მომავალ 1952 წლის არჩევნებში. ამ მდგომარეობისათვის არ შეიძლებოდა ყურადღება არ მიექცია დემოკრატიულ პარტიას.

ბოლაპარაკება დაზავებაზე. ამერიკის შეერთებული შტატების ოკუპაცია

1951 წლის 23 ივნისს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ი. ა. მალიკმა საბჭოთა მთავრობის დავალებით წამოაყენა წინადადება დაზავებისათვის მოლაპარაკების დაწყებისა და 38-ე პარალელიდან თავიანთი ჯარების გაყვანის შესახებ. გენერალმა რიჯუეიმ 30 ივნისს თანხმობა განაცხადა მოლაპარაკებაში მონაწილეობაზე; მოლაპარაკება დაიწყო 1951 წლის 10 ივლისს ქ. კესონში. მაგრამ ეს მოლაპარაკება მალე ჩიხში მოექცა ამერიკის მიზეზით, რომელმაც საომარი მოქმედების შეწყვეტისათვის კომპენსაციის სახით მოითხოვა სადემარკაციო ხაზის გატარება 38-ე პარალელის ჩრდილოეთით; ასეთი წინადადების წამოყენებისას ამერიკას მხედველობაში ჰქონდა ჩრდილოეთ კორეიდან ჩამოეჭრა ალმასის მთების რაიონი 13 ათასი კვ. კილომეტრის ფართობით, რომელიც მდიდარია ვოლფრამითა და სხვა სტრატეგიული ნედლეულით.

დაზავების შესახებ ლაპარაკით შენიღბული ამერიკა ემზადებოდა ახალი შეტევისათვის. 18 აგვისტოს ეს შეტევა კიდევაც დაიწყო, რომელშიც მონაწილეობას იღებდა 150-ათასიანი არმია სამხედრო-საზღვაო ფლოტისა და ავიაციის დახმარებით. აგვისტოს შეტევები, ისე, როგორც სექტემბერსა და ოქტომბერში წამოწყებული განმეორებითი ცდები, მარცხით დამთავრდა.

საომარმა წარუმატებლობამ ომის ხალისი დაუკარგა ამერიკელ აგრესორებს. გენერალ რიჯუეის დაჟინებითი მოთხოვნის მიუხედავად ინტერვენციის მონაწილეებმა თავი აარიდეს დამხმარე ძალის გაგზავნას. 1951 წლის ოქტომბერში ამერიკის სარდლობა იძულებული გახდა დათანხმებოდა დაზავებაზე მოლაპარაკების განახლებას, მაგრამ, ამ შემთხვევაში, პანმინჯონში.

მოლაპარაკების მსვლელობისას, იმის გამო, რომ კორეამ და ჩინეთმა მშვიდობიანობისმოყვარული პოზიცია დაიკავეს, მიღწეულ იქნა შეთანხმება მეტწილ საკითხებზე. მაგრამ საომარ მოქმედებათა ნამდვილი შეწყვეტა მხედველობაში არ ჰქონდა ამერიკის შეერთებულ შტატებს. ამიტომ მოლაპარაკების დროს ამერიკა სისტემატურად არღვევდა სადემარკაციო ხაზის შესახებ შეთანხმებას, ხოლო სამხედრო ტყვეთა რეპატრიაციის საკითხში მან შეურიგებელი პოზიცია დაიკავა.

საქმე ის იყო, რომ „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების" ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ იძულებითი უკან დახევისას, სარდლობამ თან გაიტაცა ასეული ათასი მშვიდობიანი მცხოვრები და სამხედრო ტყვეთა რიგებში ჩარიცხა ისინი. ვინაიდან ამერიკის სარდლობას მხედველობაში ჰქონდა მომავალში სამხედრო ტყვეთა გამოყენება ლი სინ მანის ჯარების შესავსებად, მას სრულებით არ ჰქონია იმის ხალისი, რომ წესიერად და პატიოსნად გაეტარებინა რეპატრიაცია და წამოაყენა ომიანობისა და საერთაშორისო ურთიერთობათა ისტორიაში სამხედრო ტყვეთა გაცვლის უპრეცედენტო წესი — ერთის ერთზე გაცვლის პრინციპის მიხედვით.

როდესაც ეს წინადადება უარყოფილ იქნა, გენერალმა რიჯუეიმ, წამოაყენა ეს ვერსია იმის შესახებ, რომ თითქოს კორეელ და ჩინელ სამხედრო ტყვეებს არ სურდეთ სამშობლოში დაბრუნება, წინადადება შემოიტანა ჩატარებულიყო ეგრეთწოდებული „ნებაყოფლობითი" რეპატრიაცია. ამ ვერსიის სიყალბე გამომჟღავნებულ იქნა იმ სისხლიანი ამბებით, რომლებსაც კუნძულ კოჯედოზე ჰქონდა ადგილი.

1952 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში პრეზიდენტის არჩევნების ჩატარებისას გაიმარჯვა რესპუბლიკურმა პარტიამ, რომელიც დაპირდა ამომრჩეველს კორეაში საომარი მოქმედების შეწყვეტას. თუმცა რესპუბლიკური პარტია არ ჩქარობდა თავისი დაპირების შესრულებას, მაგრამ ამერიკელმა გენერალმა კლარკმა, რომელმაც რიჯუეი შეცვალა, პირველი ნაბიჯის სახით წინადადება შემოიტანა მოეხდინათ ავადმყოფ და დაჭრილ სამხედრო ტყვეთა გაცვლა. მისცეს რა ამაზე თანხმობა, კორეამ და ჩინეთმა წინადადება შეიტანეს ჩატარებულიყო რეპატრიაცია ყველა იმ სამხედრო ტყვეებისა, რომლებიც რეპატრიაციის სურვილს განაცხადებდნენ, დანარჩენების საკითხი კი გადასცეოდა ნეიტრალურ სახელმწიფოს მათი რეპატრიაციის საკითხის სამართლიანად გადასაწყვეტად.

მოლაპარაკება 1953 წლის 26 აპრილს განახლდა და იმავე წლის 8 ივნისს დამთავრდა რეპატრიაციაზე შეთანხმების მიღწევით. შეთანხმება იმას ითვალის-

წინებდა, რომ ის სამხედრო ტყვეები, რომლებმაც დაზავების შემდეგ ვერ ისარგებლეს რეპატრიაციაზე თავიანთი უფლებით, გადაეცემოდათ სარეპატრიაციო კომისიას ნეიტრალურ სახელმწიფოთა შემადგენლობით. კომისიისათვის დახმარების აღმოსაჩენად შეიარაღებული ძალები და პერსონალი უნდა წარმოედგინა ინდოეთს.

ამ დროს, როდესაც უკვე დადასტურდა, რომ ორ წელს გაგრძელებული მოლაპარაკება სასურველ დასასრულს უახლოვდებოდა, ლი სინ მანმა ამერიკელთა სარდლობის წაყრუებით დაზავების ჩაფუშვის მიზნით გაუგონარი პროვოკაცია მოაწყო. 17 ივნისს სამხრეთ კორეაში განლაგებულ სამხედრო ტყვეთა ბანაკებიდან „გაიქცა" 27 ათასი სამხედრო ტყვე, რომლებიც კორეა-ჩინეთის მხარეს უნდა გადასცემოდათ. „გაქცეული" ტყვეები ფაქტიურად ძალდატანებით იყვნენ დაკავებული სამხრეთ კორეის ხელისუფალთა მიერ ლი სინ მანისა და ჩან კაი-შის ჯარების შესავსებად.

კორეაში წარმოებული ომის უპერსპექტივობამ და ომის შეწყვეტაზე მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის მოთხოვნებმა საქმე იქამდე მიიყვანეს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს ხელი უნდა მოეწერათ დაზავების შესახებ შეთანხმებაზე. ეს უკანასკნელი ითვალისწინებდა კორეის საკითხის მშვიდობიანი გზით გადასაჭრელად პოლიტიკური კონფერენციის მოწვევას. დაზავების დროს ორივე მხარისათვის აკრძალული იყო ჯარის ახალი კონტინგენტების გადასხმა (ნებადართული იყო მხოლოდ სანაცვლო ნაწილების გადაყვანა) და საომარ აღჭურვილობათა შეზიდვა. დაზავებისათვის მეთვალყურეობის გასაწევად დანიშნული იყო ნეიტრალური სამეთვალყურეო კომისია, რომელიც შედგებოდა ნეიტრალურ სახელმწიფოთა — პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, შვეიცარიისა და შვეციის წარმომადგენლებისაგან ინდოეთის წარმომადგენლის თავმჯდომარეობით. ორივე მეომარი მხარის წარმომადგენელთაგან შეიქმნა სამხედრო კომისია. ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეაში გადმოსატვირთ და ჯარის გადმოსასხმელ პუნქტებზე სამეთვალყურეოდ შეიქმნა ნეიტრალური საინსპექციო ჯგუფები.

დაზავების შესახებ შეთანხმებას 1953 წლის 27 ივნისს პანმინჯონში ხელი მოაწერეს კორეა-ჩინეთის დელეგაციის მეთაურმა ნამ ირმა და „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების" დელეგაციის მეთაურმა ჰარისონმა. ამით ბოლო მოეღო სამწლიან ომს, რომელმაც მისი ორგანიზატორების იმედები ვერ გაამართლა.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმა (1953—1956 წწ.)

აგრესიულმა ომმა სამი წლით შეწყვიტა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მშვიდობიანი განვითარება და უდიდესი ზიანი მიაყენა ქვეყანას. დანგრეულ იქნა ათასობით სამრეწველო საწარმო, საცხოვრებელი სახლები 28 მილიონი კვ. მეტრი ფართობით, 5 ათასზე მეტი სასწავლებელი, ათასზე მეტი საავადმყოფო და ამბულატორია. სოფლის მეურნეობისადმი მიყენებული ზარალის შედეგად მარცვლეულის წარმოება 1953 წელს 1949 წლის დონის 86 პროცენტს შეადგენდა. მაგრამ სოციალიზმის ბანაკის ქვეყნების ძმური დახმარებით კორეა ნანგრევებიდან აღდგა, ომის ჭრილობები მოიშუშა, ააღორძინა თავისი მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, კულტურა.

1953 წელს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა შეუდგა სახალ-

ხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების სამწლიანი გეგმის (1953—1956) განხორციელებას, რომელიც ითვალისწინებდა მძიმე მრეწველობის იმ დარგების უპირატეს განვითარებას, რომლებიც საწარმოო საშუალებებს აწარმოებენ. 1955 წელს საწარმოო საშუალებათა წარმოება 1954 წელთან შედარებით 62 პროცენტით გაიზარდა. ქვეყნის ერთ-ერთ წამყვან დარგად იქცა — მანქანათმშენებელი მრეწველობა, რომელიც საბჭოთა კავშირისა და სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების მიერ მიწოდებულ მოწყობილობებითაა აღჭურვილი. კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მანქანათმშენებელმა ქარხნებმა ითვისეს იმ პროდუქციის წარმოება, რომელიც ომამდე რესპუბლიკაში არ მზადდებოდა.

კორეელმა ხალხმა დიდი წარმატებები მოიპოვა მრეწველობის აღდგენისა და განვითარების საქმეში. უკვე 1954 წელს აშენებულ იქნა 40-ზე მეტი და აღდგენილ იქნა სავსებით ან ნაწილობრივ 120 მსხვილი და საშუალო სამრეწველო საწარმო. სამწლიანი გეგმის უკანასკნელი წლის (1956) დასასრულს აღდგენილი ან გაფართოებული და ახალი ტექნიკით აღჭურვილ იქნა 240 მსხვილი და საშუალო სამრეწველო საწარმო, მათ რიცხვში სუპხუნის ჰესი, ანჯუს შახტები, სონხინის მაღარო, ხვანხეს და კიმ ჩაკის სახელობის მეტალურგიული ქარხნები, სონჯინის ფოლადსასხმელი ქარხანა და სხვ. ხელახლა აშენდა 80-ზე მეტი საწარმო, მათ შორის — ხინჩხონის დაზგათმშენებელი ქარხანა, კუსონის სამთო მანქანათმშენებელი ქარხანა, ფხენიანის საფეიქრო კომბინატი, ხენსონის ხორცის კომბინატი და სხვ. 1953 წელთან შედარებით სამრეწველო პროდუქციის მოცულობა 2,8-ჯერ გაიზარდა და 1949 წლის დონეს ორჯერ გადააჭარბა.

სოფლის მეურნეობის განვითარებაში წარმატებები ისეთი ღონისძიებებით იქნა უზრუნველყოფილი, როგორიცაა საირიგაციო სისტემის გაფართოება (1953—1956 წლების განმავლობაში მოსარწყავი ფართობი 125 ათასზე მეტ ჰექტარით გადიდდა), ყამირი და ნასვენი მიწების ათვისება, მანქანათგამჭირავებელი სადგურების მშენებლობა, სამრეწველო ნედლეულისა და საკვები პროდუქტების წარმოების ჩამორჩენილობის სალიკვიდაციოდ ზომების მიღება, სასოფლო-სამეურნეო ნატურგადასახადის დაწესება, სოფლის მეურნეობის პროდუქტების თავისუფლად გაყიდვის ნებართვა, სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივების და გლეხობისადმი დახმარების აღმოჩენა მიწის დამუშავებაში. პირუტყვის, თესლის, სასუქისა და ინვენტარის შეძენაში.

კორეელი გლეხობის ცხოვრებაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ინდივიდუალურ მეურნეობათა კოოპერირებას. მიუხედავად კულაკური ელემენტების წინააღმდეგობისა, რომლებიც აგიტაციას ეწეოდნენ კოოპერირების წინააღმდეგ და მავნებლობის აქტებს მიმართავდნენ, 1956 წლის დასასრულისათვის ინდივიდუალურ გლეხთა მეურნეობების კოოპერირება ძირითადად დამთავრებულ იქნა (სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების წილზე სახნავი მიწის 80 პროცენტამდე მოდიოდა). 1956 წელს მარცვლეულის საერთო მოსავალი 1949 წელთან შედარებით 8 პროცენტით გაიზარდა. სახელმწიფო ორგანიზაციულ და ტექნიკურ დახმარებას უწევდა კოოპერატივებს პირველ რიგში მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მეშვეობით.

სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების საქმეში წარმატებებმა გამოიწვიეს მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის ამაღლება. 1956 წელს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ნა-

ციონალური შემოსავალი 1953 წელთან შედარებით 2,1-ჯერ გადიდდა: ამასთან. ნაციონალურ შემოსავალში სოციალისტური სექტორის ხვედრითმა წონამ 62 პროცენტს მიაღწია. სახალხო მოხმარების საქონელზე ხუთჯერ ჩატარდა ფასების დაკლება. საქონელზე ფასების დონე სახელმწიფო და კოოპერაციულ მაღაზიებში 1953 წელთან შედარებით 45 პროცენტით შემცირდა, ხოლო მშრომელთა ხელფასი ამავე ხნის განმავლობაში 58 პროცენტით გაიზარდა. სამი წლის განმავლობაში აშენდა საცხოვრებელი სახლები 13,4 მილიონი კვ. მეტრი საერთო ფართობით. მოისპო უმუშევრობა.

მთლიანად იქნა აღდგენილი სახალხო განათლების ქსელი. სამწლიანი გეგმის ბოლო დროისათვის აშენდა, აღდგენილ იქნა და გაფართოვდა 5.455 სასწავლებელი. ახლა ჩრდილოეთ კორეაში 16 უმაღლესი სასწავლებელია. მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, 43 სექტორი და საგამომცემლო განყოფილება შედის. გაუმჯობესდა მოსახლეობის კულტურული და სამედიცინო მომსახურება. გადიდდა სანატორიუმების და დასასვენებელი სახლების რიცხვი.

სამწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებამ ხელსაყრელი პირობები შექმნა პირველი ხუთწლიანი გეგმის (1957—1961 წწ.) მისაღებად. ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანაა სოციალისტური ინდუსტრიის საძირკვლის აშენება, სოფლის მეურნეობის კოოპერირების დამთავრება, სოციალიზმის ეკონომიური საფუძვლის განმტკიცება.

. კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მრეწველობამ 1958 წელს 13,6-ჯერ მეტი პროდუქცია მისცა სამშობლოს, ხოლო სოფლის მეურნეობამ დაახლოებით ორჯერ მეტი 1946 წელთან შედარებით. კორეაში უკვე განხორციელებულია სოფლის მეურნეობის კოოპერირება. რესპუბლიკის მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს შეასრულონ ხუთწლიანი გეგმა ვადაზე ორი წლით ადრე, ე. ი. 1959 წლისათვის.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საერთაშორისო ურთიერთობა

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიკის წარმატებით აღდგენა და განვითარება რესპუბლიკის საგარეო ეკონომიური კავშირების ზრდასთან იყო დაკავშირებული; აქ პირველ რიგში საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულება უნდა ვიქონიოთ მხედველობაში. 1954 და 1955 წლების განმავლობაში საბჭოთა კავშირის მიერ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისადმი გაწეული უსასყიდლო დახმარება 700 მილიონ მანეთს შეადგენდა. საბჭოთა კავშირის მიერ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისათვის მიწოდებულ საქონელში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ჩარხებს, მანქანებსა და მოწყობილობას, ლითონებს, ორთქლმავლებს და ვაგონებს, მინერალურ სასუქებს, სასოფლო-სამეურნეო მანქანებს და სხვ. საბჭოთა კავშირმა უსასყიდლო დახმარების შესახებ შეთანხმების შესაბამისად დიდი მატერიალური და ტექნიკური დახმარება აღმოუჩინა კორეას ფხენიანის საფეიერო კომბინატისა და ბრძმედების აღდგენაში, ხინამის ქიმიური კომბინატისა და სხვ. გაფართოებაში.

1955 წელს სსრ კავშირსა და კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის საქონელბრუნვის მოცულობა წინა წელთან შედარებით 54 პროცენტით გადიდდა. 1956 წლისათვის ურთიერთმიწოდების შესახებ მოსკოვში

1956 წლის 26 იანვარს ხელმოწერილი ოქმი საქონელბრუნვის შემდგომ მნიშვნელოვან გადიდებას ითვალისწინებდა.

1955 წელს სსრ კავშირსა და კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე გადაწყვეტილ იქნა გადაეცეს კორეას შერეულ საზოგადოებაში მონაწილეობის საბჭოთა კავშირის წილი. 1956 წლის დასაწყისში საბჭოთა კავშირმა იკისრა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ გადაეცა მთელ რიგ ახალ საწარმოთა მშენებლობის საპროექტო დოკუმენტაცია და სამუშაო ნახაზები, ასეთივე მასალები მანქანებისა და მოწყობილობათა დასამზადებლად, ქიმიური და ზოგიერთი მეტალურგიული წარმოების ტექნოლოგიის აღწერილობა და სხვ. საბჭოთა ორგანიზაციებმა იკისრეს გააცნონ კორეელი სპეციალისტები საწარმოო გამოცდილებას და სამეცნიერო-ტექნიკურ მიღწევებს ელექტროსადგურების მშენებლობის, შავი და ფერადი მეტალურგიის, ელექტროტექნიკური და მსუბუქი მრეწველობის, ჰიდროგეოლოგიურ გამოკვლევათა საქმეში, და აგრეთვე მიაღლინონ თავიანთი სპეციალისტები კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში კონსულტაციისა და ტექნიკური დახმარების აღმოსაჩენად ადგილებზე. თავის მხრივ კორეის სახალხო-დემოკრატიულმა რესპუბლიკამ იკისრა მთელი რიგი ქიმიური საწარმოებისა და მოწყობილობათა ცალკეული სახეობის ტექნიკური დოკუმენტაციის უსასყიდლოდ გადაცემა საბჭოთა კავშირისათვის. გაფართოდა თანამშრომლობა სსრ კავშირსა და კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის კულტურისა და ხელოვნების დარგში.

საბჭოთა კავშირის და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხებს შორის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში თანამშრომლობის შემდგომი გაფართოებისა და განმტკიცებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმ მოლაპარაკებას, რომელიც მოსკოვში მიმდინარეობდა საბჭოთა მთავრობასა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციას შორის 1956 წლის 6-დან 12 ივნისამდე.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ მნიშვნელოვანი დახმარება აღმოუჩინა კორეელ ხალხს სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების საქმეში. ჩინეთის მიერ გაწეულ უსასყიდლო მატერიალური, ტექნიკური და ფინანსური დახმარება 1954 და 1955 წლების განმავლობაში 520 მილიონ იუანს შეადგენს[1].

გაფართოდა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიური კავშირები ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან, აგრეთვე მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკასთან. გარდა საქონლის გაცვლა-გამოცვლის ოპერაციებისა, მოძმე ხალხებმა უსასყიდლო დახმარება აღმოუჩინეს კორეელ ხალხს სამწლიანი ომით მიყენებული ჭრილობების მოშუშებაში.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა არ დაკმაყოფილებულა მხოლოდ სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან ეკონომიური კავშირების გაფართოებით. იგი გაჩოვიდა კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან ურთიერთსარგებლიანობის საფუძველზე ეკონომიური ურთიერთობის დამყარების სურვილით. 1954 წლის 15 ოქტომბერს ხელმოწერილ იქნა შეთანხმება კორეის სახალხო-

---

[1] Развитие экономики стран народной демократии Азии, Научно-исследовательский конъюнктурный институт МВТ СССР, Внешторгиздат, 1956, зз. 191—192.

დემოკრატიულ რესპუბლიკასა და იაპონიის საქციონერო საზოგადოების „ტოე ბუსანს“ შორის საქონლის გაცვლა-გამოცვლის შესახებ 5 მილიონი გირვანქა სტერლინგის ფარგლებში[1].

კორეელი ხალხისა და მშვიდობისმოყვარე ძვეყნების ბრძოლა კორეის დემოკრატიულ ხალხებზე მაერთიანებისათვის. აშშ-ისა და სამხრეთ კორეის ხაზი დაზავების ჩახშლელად

ბულწრფელად მოისწრაფოდნენ რა მშვიდობისაკენ, კორეის სახალხო-დემოკრატიულმა რესპუბლიკამ და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ ზუსტად შეასრულეს დაზავების შესახებ შეთანხმების პირობები. სხვაგვარად მოქმედებდნენ ამერიკის შშ. 1953 წლის 27 ივლისს კორეის წინააღმდეგ ინტერვენციის მონაწილეებმა ხელი მოაწერეს დეკლარაციას იმის შესახებ, რომ 16 სახელმწიფო, „იმ შემთხვევაში, თუ განახლებული იქნება შეიარაღებული თავდასხმა“ სამხრეთ კორეის რესპუბლიკაზე, ხელახლა დაიწყებს ომს კორეელი ხალხის წინააღმდეგ. ეს დოკუმენტის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ ლი სინ მანის მხრივ ყოველგვარ პროვოკაციას შეეძლო ომის განახლების გამოწვევა კორეელი ხალხის წინააღმდეგ.

1953 წლის 7 აგვისტოს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ლი სინ მანს მთავრობას შორის პარაფირებულ იქნა ხელშეკრულება „ურთიერთ თავდაცვაზე“. ამ ხელშეკრულებით სამხრეთ კორეა აგრესიულ სეატოს ბლოკის მოქმედების სფეროში იყო შესული. ხელშეკრულება ითვალისწინებდა ამერიკის ჯარების მიერ სამხრეთ კორეის ხანგრძლივ ოკუპაციას და აშშ-ის სამხედრო პლაცდარმად მის გადაქცევას.

კორეაში მშვიდობის უზრუნველყოფისათვის დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა პოლიტიკური კონფერენციის მოწვევას, როგორც ეს დაზავების შესახებ შეთანხმებით იყო გათვალისწინებული. ეს საკითხი განსახილველად იდგა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეშვიდე სესიაზე. თავისთავად ცხადია, პოლიტიკური კონფერენციის მუშაობა მხოლოდ მაშინ იქნებოდა წარმატების მქონე, თუკი მას „მრგვალი მაგიდის“ კონფერენციის ხასიათი ექნებოდა და მის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებდნენ არა მარტო მეომარი მხარეები, არამედ სხვა ქვეყნების წარმომადგენლებიც, რომლებიც დაინტერესებული არიან კორეის საკითხის მშვიდობიანი გზით მოწესრიგებით. ამ თვალსაზრისზე იდგა საბჭოთა კავშირი, რომელმაც წინადადება შეიტანა მოწვეულ იქნეს პოლიტიკური კონფერენცია ხუთი დიდი სახელმწიფოს შემადგენლობით, ჩრდილო და სამხრეთ კორეის და აგრეთვე ინდოეთის, პოლონეთის, შვეიცარიისა და ბირმის მონაწილეობით. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატები და ზოგიერთი სხვა სახელმწიფო იმ თვალსაზრისზე იდგნენ, რომ პოლიტიკურ კონფერენციაში მხოლოდ ორმა მეომარმა მხარემ უნდა მიიღოს მონაწილეობა.

იმ გარემოებამ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არ იყვნენ დაინტერესებული კორეის საკითხის მშვიდობიანი გზით მოწესრიგებით და არც პოლიტიკური კონფერენციის მოწვევით, იმთავითვე იჩინა თავი სამხრეთ კორეის ხელისუფალთა ქცევაში. დაზავების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული სამხე-

[1] Развитие экономики стран народной демократии Азии, Научно-исследовательский конъюнктурный институт МВТ СССР, Внешторгиздат, 1956, ق. 196.

დრო ტყვეებს შორის ახსნა-განმარტებითი მუშაობის ჩატარება სისტემატურად ეწარმოებოდა სამხრეთ კორეის ხელისუფალთა მიერ. სამხრეთ კორეელი ხელისუფალნი პროვოკაციულ თავდასხმებს აწყობდნენ კორეა-ჩინეთის მხარის წარმომადგენლებზე, სდევნიდნენ და სასტიკად უსწორდებოდნენ იმ სამხედრო ტყვეებს, ვინც რეპატრიაციის სურვილს განაცხადებდა, და ყოველმხრივ ხელს უშლიდნენ დაზავების მეთვალყურე ნეიტრალური კომისიისა და მისი საინსპექციო ჯგუფების მუშაობას. ადგილი ჰქონდა აგრეთვე ნეიტრალური მხარის წარმომადგენლებზე პროვოკაციული თავდასხმების შემთხვევებსაც.

7 აგვისტოს ლი სინ მანმა პროვოკაციული განცხადება გააკეთა იმის შესახებ, რომ თუ დადგენილი ვადის განმავლობაში, მხოლოდ არა უმეტეს 90 დღისა, არ იქნება მიღწეული შეთანხმება პოლიტიკური კონფერენციის მოწვევაზე, ნაშინ იგი, ლი სინ-მანი, ცალმხრივ ნაბიჯებს გადადგამს „სამხედრო საშუალებებით კორეის გასაერთიანებლად". თუ ვინ იყო ამ განცხადების ნამდვილი ავტორი, ეს ნათელი გახდა იმით, რომ 12 დეკემბერს ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებმა შეწყვიტეს მოლაპარაკება პოლიტიკური კონფერენციის მოწვევის შესახებ.

მხოლოდ იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირმა იხმარა ყოველგვარი ღონისძიება.. 1954 წლის იანვარ-თებერვალში ბერლინში შემდგარ საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირზე სსრ კავშირის, აშშ-ის, ინგლისისა და საფრანგეთის მონაწილეობით მიღებულ იქნა დადგენილება კორეის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის ჟენევაში თათბირის მოწვევის შესახებ. თათბირში მონაწილეობა უნდა მიეღოთ სსრ კავშირს, აშშ-ს, ინგლისს, საფრანგეთს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას, სამხრეთ კორეას, კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკასა და იმ ქვეყნებს, რომელთა შეიარაღებული ძალები მონაწილეობდნენ კორეაში წარმოებულ ომში.

1954 წელს ჟენევაში შემდგარ თათბირზე ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი სხვადასხვა ხაზი კორეის საკითხის მშვიდობიანი გზით მოწესრიგების საქმეში. პირველი ხაზი ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპიდან გამომდინარეობდა. ამ პოზიციაზე იდგნენ საბჭოთა კავშირი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა. კორეის სახალხო-დემოკრატიულმა რესპუბლიკამ წინადადება შეიტანა შექმნილიყო საერთო კორეული კომისია ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის წარმომადგენლებისაგან, რომლებიც არჩეული იქნებოდნენ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების მიერ და სამხრეთ კორეის ეროვნული კრების მიერ. ამ კომისიას, რომელშიც მონაწილეობას მიიღებდნენ ყველაზე დიდი დემოკრატიული საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, დაევალებოდა ეროვნული კრების თავისუფალი არჩევნების მომზადება და ჩატარება; ეროვნული კრების მოვალეობაში კი შეეიდოდა კორეის ერთიანი მთავრობის შექმნა. არჩევნების თავისუფლად ჩატარების უზრუნველყოფისათვის უცხო სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალები ექვსი თვის ვადაში გაეყვანილი უნდა ყოფილიყვნენ კორეის ტერიტორიიდან. ამ წინადადებას მხარი დაუჭირეს საბჭოთა კავშირმა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ.

სამხრეთ კორეის წინადადება კი შეიცავდა მოთხოვნას — გაეყვანილი ყოფილიყვნენ ჩრდილოეთ კორეიდან ჩინელ მოხალისეთა რაზმები, სამხრეთ კორეაში კი დაეტოვებინათ „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარები", და ჩატა-

რებულიყო არჩევნები მხოლოდ ჩრდილოეთ კორეაში იმ ანგარიშით, რომ ამორჩეული დეპუტატებით შეესებულიყო ლისინმანური ეროვნული კრების შემადგენლობა.

ქენეფის თათბირმა ვერ გადაწყვიტა კორეის საკითხი. ამერიკა-ინგლისის მხარემ უარიც კი განაცხადა დეკლარაციის საბჭოთა პროექტის მიღებაზე, რომელშიც ლაპარაკი იყო იმაზე, რომ თათბირის მონაწილენი კორეის საკითხის საბოლოოდ მოწესრიგებამდე არ დაუშვებდნენ არავითარ ისეთ მოქმედებას, რომელიც საფრთხეს შეუქმნიდა მშვიდობის შენარჩუნებას კორეაში.

იმავე 1954 წელს აშშ-ის, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებმა უარყვეს საბჭოთა მთავრობის წინადადება იმის შესახებ, რომ კორეის საკითხი განხილულიყო ოთხ სახელმწიფოთა მეთაურების ქენეფის თათბირზე. ამერიკის შეერთებული შტატები აშკარად ისეთ ნაბიჯებს დგამდნენ, რომ ჩაეშალათ შეთანხმება დაზავების შესახებ.

ამისათვის მრავალი მიზეზი არსებობდა. ჯერ ერთი, კორეის საკითხის მშვიდობიანი მოგვარება ხელს შეუწყობდა დაძაბულობის შენელებას შორეულ აღმოსავლეთში, რაც ვაშინგტონის ანგარიშში სრულებით არ შედიოდა.

მეორეც, ქვეყნის გაერთიანების მიზნით კორეაში თავისუფალი არჩევნების ჩატარება კარგს არაფერს უქადდა არც ლი სინ მანსა და არც მის ამერიკელ ბეურვეებს. სამხრეთ კორეაში ქაოსი იყო გავრცელებული, იგრძნობოდა სურსათის დიდი ნაკლებობა, იზრდებოდა ინფლაცია. საშუალო ხელფასი საარსებო მინიმუმის ერთ მეათედ ნაწილს შეადგენდა. უმუშევართა რაოდენობამ, ოფიციალური მონაცემების მიხედვით, ერთ მილიონ ადამიანს გადააჭარბა. პოლიციისა და არმიის შესანახ ხარჯებს ბიუჯეტის გასავალი ნაწილის 70 პროცენტი მიქონდა. მოსახლეობას ახდევინებდნენ 280 სხვადასხვა სახეობის გადასახადს. მილიონობით მეტი ბლები იძულებული შეიქმნა მიეტოვებინა თავისი საკარმიდამო ნაკვეთები[1].

ქვეყნის სამხრეთი ნაწილის პოლიტიკური მდგომარეობის შესაფასებლად ფრიად დამახასიათებელ მოვლენას წარმოადგენდა 1956 წლის მაისში ჩატარებული პრეზიდენტის არჩევნები, რომელიც ლი სინ მანის მეტად სავეკვო გამარჯვებით დამთავრდა. დიდი გაჭირვებით გავიდა იგი ამ პოსტზე. ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე კი ლისინმანელების კანდიდატურა დამარცხდა. ამ პოსტზე არჩეულ იქნა ოპოზიციური დემოკრატიული პარტიის ლიდერი ტიან მენი. ცნობამ ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე კანდიდატურის დამარცხების შესახებ დიდი ალიაქოთი გამოიწვია ლისინმანელებში. რადგან ლი სინ მანი უკვე 80 წლისა იყო, და მისი სიკვდილის შემთხვევაში პრეზიდენტის ადგილი ავტომატურად ვიცე-პრეზიდენტს უნდა დაეკავებინა[2].

იმ პირობებში, რომლებიც მაშინ გაბატონებული იყო სამხრეთ-კორეის რესპუბლიკაში, თანხმობა კორეაში თავისუფალი არჩევნების ჩატარებაზე — ეს იქნებოდა ლისინმანელებისა და მათი ამერიკელი მფარველების აშკარა მარცხი, ამიტომ ერთნიც და მეორენიც დაზავების ჩაშლისაკენ იღებდნენ გეზს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეათე სესიამ ერთხელ კიდევ დაანახა მთელ მსოფლიოს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არ დაუშვებდნენ მშვიდობიანი გზით კორეის საკითხის მოგვარებას.

1956 წლის 9 აპრილს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ კორეის სახალხო დე-

---

[1] „Международная жизнь", 1955, № 4, გვ. 131; 1956, № 9, გვ. 126.
[2] Там же, 1956, № 9, გვ. 125.

ბოკრატიული რესპუბლიკის თხოვნით წინადადება მისცა ინგლისის მთავრობას და მისი სახით იმ ქვეყნების მთავრობებს, რომლებიც კორეის წინააღმდეგ ინტერვენციაში ღებულობდნენ მონაწილეობას, მოეწვიათ დაინტერესებულ სახელმწიფოთა თათბირი კორეიდან ყველა უცხო ქვეყნის ჯარების გაყვანისა და ქვეყნის მშვიდობიანი გზით გაერთიანების შესახებ. 1956 წლის 28 მაისს ინგლისამერიკის ბლოკის მიერ ეს წინადადება უარყოფილ იქნა.

31 მაისს, იმ დღეს, როდესაც კორეის სახალხო-დემოკრატიულმა რესპუბლიკამ განაცხადა თავისი გადაწყვეტილების შესახებ 1956 წლის 31 აგვისტოსათვის 80 ათასი კაცით შეემცირებინა კორეის სახალხო არმიის შეიარაღებული ძალები და მის შესაბამისად შეიარაღება და საომარი ტექნიკა, — რაც შესრულებულ იქნა ნაჩქარევად ვადაში, — „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების“ ამერიკულმა სარდლობამ ცალმხრივად განაცხადა, რომ მის მიერ დროებით შეწყვეტილია მთელი რიგი იმ მუხლების შესრულება, რაც მიღწეული იყო დაზავების შესახებ მიღებული შეთანხმებით. ეს მუხლები დაზავებაზე მეთვალყურეობის გამწევი ნეიტრალური კომისიისა და ნეიტრალური საინსპექციო ჯგუფების ვალდებულებებს შეეხებოდნენ იმ რაიონებში, რომლებიც „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებული ძალების“ კონტროლში იმყოფებოდნენ. ამერიკის სარდლობამ მოითხოვა, რათა სამხრეთ კორეის გადმოსატვირთ პუნქტებში მყოფ ნეიტრალურ საინსპექციო ჯგუფებს ერთი კვირის ვადაში დაეცალათ „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებული ძალების“ კონტროლში მყოფი რაიონები. ასეთი მოთხოვნა დაზავებაზე მიღწეული შეთანხმების პირობების აღმაშფოთებელ დარღვევას წარმოადგენდა.

ამას მოჰყვა დაზავებაზე დადებული შეთანხმების ახალი დარღვევა, კერძოდ მე-13 მუხლის „დ“ პუნქტის დარღვევა, რომელიც კრძალავდა კორეაში შეირაღების ახალი სახეობის შემოტანას, სამხრეთ კორეის არმია 16-დან 21 საბრძოლო და 10 სარეზერვო დივიზიამდე გადიდდა, რომლებიც თანამედროვე იარაღით იყვნენ აღჭურვილი.

განაგრძობდა რა პროვოკაციული აქტების განხორციელებას, ამერიკის მხარემ განაცხადა თავისი გადაწყვეტილების შესახებ — შეეტანა სამხრეთ კორეაში ატომური აღჭურვილობა და გაეძლიერებინა კორეაში მყოფი ამერიკის ჯარები და სამხრეთ კორეის არმია. 1957 წლის 1 იულისიდან ამერიკის შეერთებულმა შტატებმა „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების“ სარდლობის შტაბი ტოკიოდან სეულში გადაიტანეს.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის აზრით, ყველაზე სასწრაფო და პირველხარისხოვანი ამოცანაა კორეის ტერიტორიიდან უცხოეთის ჯარების გაყვანა, დაზავების მტკიცე ზაეად გადაქცევა, კორეის ორივე ნაწილის შეიარაღებულ ძალთა მაქსიმალურად შემცირება და კორეაში დაძაბული მდგომარეობის შენელება და, რამდენადაც შესაძლებელია, ისეთი პირობების შექმნა, რომ თვით კორეელმა ხალხმა დემოკრატიულ საფუძვლებზე, მშვიდობიანი გზით შეძლოს თავისი გაყოფილი სამშობლოს გაერთიანება.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ქვეყნის მშვიდობიანი გაერთიანების მიზნით განაგრძობს ყოველგვარი ზომების მიღებას ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეას შორის ეკონომიური და კულტურული კონტაქტების დასამყარებლად.

1956 წლის 5 თებერვალს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის

მთავრობამ ხელახლა წამოაყენა წინადადება სამხრეთ და ჩრდილოეთ კორეიდან უცხოეთის ჯარების ერთდროულად გაყვანის შესახებ, მთელ კორეაში თავისუფალი არჩევნების ჩატარების შესახებ ნეიტრალური სახელმწიფოების ორგანოთა კონტროლით. გარკვეული პერიოდის განმავლობაში ჯარების გაყვანის შემდეგ. სამხრეთ და ჩრდილოეთ კორეას შორის თანასწორუფლებიანობის საფუძველზე კონსულტაციების ჩატარების შესახებ კორეის ორივე ნაწილს შორის ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის საკითხების განსახილველად და კორეაში არჩევნების ჩასატარებლად, აგრეთვე უახლოეს დროში სამხრეთ და ჩრდილოეთ კორეის ჯარების სათანადო შემცირების შესახებ შესაძლებელ მინიმუმამდე დაყვანით.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ მთლიანად დაუჭირა მხარი კიმ ირ სენის მთავრობის ყველა წინადადებას და ჩინელი მოხალისეები გაიწვია კორეიდან. 1958 წლის დამლევს ჩინეთის მოხალისეებმა დატოვეს კორეა.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა 1940 წლამდე

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა, როგორც დამოუკიდებელი სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფო, წარმოიშვა 1921 წლის ანტიფეოდალური, ანტიიმპერიალისტური სახალხო რევოლუციის შედეგად.

1921 წლის სახალხო რევოლუცია ისტორიულ მოვლენას წარმოადგენდა მონღოლი ხალხის ცხოვრებაში. ჩამორჩენილმა ფეოდალურ-თეოკრატიულმა სახელმწიფომ, რომელიც ნომინალურად ჩინეთის სუვერენიტეტის ქვეშ იმყოფებოდა, ხოლო ფაქტიურად მეფის რუსეთისაგან იყო დამოკიდებული, ფეხი შედგა ახალ ცხოვრებაში, ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობაში.

მონღოლეთში ეროვნულ-განმათავისუფლებელმა ბრძოლამ ფართო გასაქანი მიიღო ჯერ კიდევ 1905 — 1907 წლების რუსეთის რევოლუციის გავლენით. არატების აჯანყებამ აიუშის მეთაურობით ქვეყნის მნიშვნელოვანი ნაწილი მოიცვა. ეს აჯანყება აუტანელი ფეოდალური ბეგარა-ხარკისა და უცხოელ ვაჭართა ვალების წინააღმდეგ იყო მიმართული.

1911—1913 წლების ჩინეთის რევოლუციის დროს მონღოლმა ფეოდალებმა მეფის რუსეთის დახმარებით გარე მონღოლეთის ავტონომია და, ამრიგად, მანჯურელთა ბატონობა ცარიზმის ბატონობით შეიცვალა.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ საბჭოთა მთავრობამ გააუქმა ყველა ის არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულება, რაც მეფის რუსეთმა მონღოლეთს მოახვია თავს, გააუქმა მონღოლეთის ვალები (სესხად აღებული) და მონღოლეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ სცნო. ამ გარემოებამ მონღოლეთში ანტიიმპერიალისტური მოძრაობის დიდი აღმავლობა გამოიწვია. რევოლუციის შიშით მონღოლეთის ხანებმა უარი განაცხადეს ავტონომიაზე 1919 წელს და ალიარეს იაპონიის აგენტის სიუი ში-ჯენის დიქტატორული ხელისუფლება.

მონღოლ რევოლუციონერთა პირველი წრეები ჩამოყალიბდა ურგში 1919 წელს. ამ წრეებს სუხე-ბატორი და ჩოიბალსანი ედგნენ სათავეში. 1921 წლის მარტში რევოლუციური წრეები მონღოლეთის სახალხო-რევოლუციურ პარტიად

ერთიანდნენ[1]. პარტიის პირველი ყრილობა შედგა 1921 წლის 1—3 მარტს. ყრილობამ მიიღო დადგენილება რევოლუციური აჯანყების მომზადების, რევოლუციური მთავრობის შექმნის, უცხო ქვეყნების მონობისაგან ქვეყნის განთავისუფლების, ჩინეთის, რუსეთისა და სხვა ქვეყნების იმ რევოლუციურ ორგანიზაციებთან მეგობრული ურთიერთობისა და კონტაქტის დამყარების შესახებ, „რომლებიც ჩვენი პარტიისამებრ მიიღტვიან დესპოტიზმის მოსპობისაკენ". ყრილობამ განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა საბჭოთა რუსეთთან მეგობრული ურთიერთობის დამყარების საკითხს, ვინაიდან საბჭოთა რუსეთი ერთადერთი ქვეყანა იყო, რომლისაგან დახმარების მიღების იმედი უნდა ჰქონოდა მონღოლეთის ხალხს.

1921 წელს მონღოლმა ხალხმა მონღოლეთის სახალხო რევოლუციური პარტიის ხელმძღვანელობით დაამხო უცხო დამპყრობელთა და ფეოდალთა ხელისუფლება. გაითვალისწინა რა ის უდიდესი გავლენა, რომლითაც სარგებლობს ლამაისტური ეკლესია ხალხის ჩამორჩენილ ფენებში, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციურმა პარტიამ არ მოსპო მაშინვე მონარქიული წყობა და დასტოვა ბოგდო-გეგენი[2] მონარქად მისი ძალაუფლების საკმაოდ შეზღუდვით. „ფიცით განმტკიცებული ხელშეკრულების" ძალით ბოგდო-გეგენს არ შეეძლო არც უარყოფა, არც გაუქმება მთავრობის საკანონმდებლო აქტებისა. ფაქტიურად ბოგდო-გეგენის ხელში სასულიერო ძალაუფლება რჩებოდა. სახელმწიფო სრულუფლებიანობა სახალხო მთავრობის ხელში იყო.

1921 წლის ნოემბრის დასაწყისში მოსკოვში საბჭოთა რუსეთთან მოლაპარაკების მიზნით ჩამოვიდა მონღოლეთის მთავრობის დელეგაცია სუხე-ბატორის მეთაურობით. 1921 წლის 5 ნოემბერს საბჭოთა მთავრობისა და მონღოლეთის მთავრობის დელეგაციების მიერ ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება ორ სახელმწიფოს შორის მეგობრული ურთიერთობის დამყარების შესახებ. ეს იყო პირველი თანასწორუფლებიანი ხელშეკრულება მონღოლი ხალხის ისტორიაში. შეთანხმებამ დაადასტურა საბჭოთა მთავრობის უარის თქმა მეფის რუსეთის განსაკუთრებულ უფლებებსა და პრივილეგიებზე მონღოლეთში, გააუქმა ყველა ადრინდელი არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულება და შეთანხმება, რომლებიც მეფის მთავრობამ გარე მონღოლეთს მოახვია თავს, განამტკიცა ძმური ურთიერთობა ორივე ქვეყანას შორის. ამ შეთანხმებამ განსაზღვრა ახალი მთავრობის საერთაშორისო მდგომარეობა და პირობები შექმნა ქვეყნის დემოკრატიული გარდაქმნისათვის.

შეთანხმებაზე ხელის მოწერის შემდეგ მონღოლეთის მთავრობის დელეგაცია მიღებულ იქნა ვ. ი. ლენინის მიერ. ლენინმა მიუთითა მონღოლეთის დელეგაციას იმის საჭიროებაზე, რომ სახალხო-დემოკრატიული პარტია უნდა გადაიქცეს მასობრივ პარტიად და არ დაანაგვიანოს თავისი რიგები უცხო ელემენტებით. ლენინმა განუმარტა დელეგაციას, რომ სახელმწიფო, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობათა დარგში ხანგრძლივი და შეუპოვარი მუშაობის შედეგად მონღოლეთში გაიზრდება საკუთარი, მონღოლეთის, ეროვნული მუშათა კლასი,

---

[1] 1924 წლამდე—III ყრილობამდე—პარტია სახალხო პარტიის სახელწოდებით იყო ცნობილი. III ყრილობის დადგენილებით პარტიამ მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის სახელწოდება მიიღო.

[2] ბოგდო-გეგენი ერთდროულად იყო ლამაისტური ეკლესიისა და საერობო მთავრობის მეთაური.

რომ მონღოლეთის მშრომელები შეძლებენ თავიანთი სახელმწიფოებრივი და სამეურნეო დამოუკიდებლობის დაცვას მხოლოდ საბჭოთა რუსეთის მუშებსა და გლეხებთან მტკიცე კავშირის პირობებში. ლენინმა უჩვენა მონღოლეთის დელეგაციას იმ დროს ჩამორჩენილი მონღოლეთის სახელმწიფოს სოციალისტური განვითარების პერსპექტივები. განვითარების კაპიტალისტური სტადიის გაუელელად.

1921 — 1922 წლების განმავლობაში მონღოლეთის სახალხო რევოლუციურმა არმიამ საბჭოთა არმიის ნაწილების დახმარებით ინტერვენტებისაგან გაწმინდა მთელი ქვეყანა და მონღოლეთმა პოლიტიკური დამოუკიდებლობა მოიპოვა.

მონღოლეთის სახალხო მთავრობამ მიიღო რიგი ზომები ფეოდალური პრივილეგიების სალიკვიდაციოდ და ფეოდალური ექსპლოატაციის შესაზღუდავად. 1921 წლის მარტში მიწაზე კერძო საკუთრების მოსპობის შემდეგ, 1921 წლის დეკემბერში გაუქმებულ იქნა ბატონყმობა და რიგი ფეოდალური ბეგარა. 1922 წლის დეკემბერში დაწესდა. ყველა მოქალაქის თანასწორუფლებიანობა კანონის წინაშე. მშრომელი არატობა განთავისუფლებულ იქნა საერო და სასულიერო ფეოდალთა სასარგებლო ნატურალური ხარკისაგან და მევახშეებისადმი რევოლუციამდელი ვალის გადახდისაგან. უცხოეთის სავაჭრო-ჩარჩული კაპიტალის გამოსაძევებლად და დამოუკიდებელი ეროვნული ეკონომიკის საფუძვლებისშესაქმნელად 1921 წლის 18 დეკემბერს დაარსდა მონღოლეთის ცენტრალური სახალხო კოოპერატივი, რომელსაც მთავრობამ მისცა სესხი 4 მილიონი ტუგრიკის[1] რაოდენობით. დემოკრატიული რეფორმების გატარებისას და ხელისუფლების ორგანოებიდან ფეოდალების განდევნისას კონტრრევოლუციური ძალები გააქტიურდნენ და დაჯგუფდნენ ბოგდო-გეგენის გარშემო. კონტრრევოლუციამ შეთქმულება მოაწყო. ამ შეთქმულებაში მთავარ როლს ასრულებდა ლამაისტური ეკლესია, რომელსაც დიდი რელიგიური ავტორიტეტი ჰქონდა მოსახლეობაში. ათასობით ლამა გამოდიოდა ახალი ხელისუფლების წინააღმდეგ პროპაგანდით. ხალხის აშკარა მტრები ცდილობდნენ მოტყუებით გამძვრალიყვნენ პარტიისა და მთავრობის რიგებში. ასეთი წესით მთავრობის თავმჯდომარის მოადგილისა და არმიის მთავარსარდლის პოსტზე გაძვრა მონღოლეთის ხალხის დაუძინებელი მტერი დანზანი, რომელმაც სცადა ურგის გარნიზონში კონტრრევოლუციური აჯანყების დაწყება. დანზანი გამომჟღავნებულ და დახვრეტილ იქნა 1924 წლის აგვისტოში.

1924 წლის 20 მაისს ბოგდო-გეგენი გარდაიცვალა. 13 ივნისს მთავრობამ გამოაქვეყნა ცნობა მონარქიის ლიკვიდაციის შესახებ. 1924 წ. აგვისტოში მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის III ყრილობამ მიიღო დადგენილება ფეოდალიზმის ლიკვიდაციისა და არაკაპიტალისტური გზით განვითარებისათვის.

1924 წლის 26 ნოემბერს დიდმა ხურალმა — სრულიად მონღოლეთის სახალხო წარმომადგენელთა კრებამ — მიიღო მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პირველი კონსტიტუცია, რომელშიაც აღნიშნული იყო, რომ რესპუბლიკაში ხელისუფლება მშრომელ ხალხს ეკუთვნის, რომ მიწა, მისი წიაღისეული, ტყე და წყალსატევები საერთო-სახალხო საკუთრებას წარმოადგენს, რომ რევოლუციამდელი არათანასწორუფლებიანი საერთაშორისო ხელშეკრულებები და სეს-

[1] ტუგრიკი უდრის ერთ მანეთს.

ხის ვალდებულებები გაუქმებულია, რომ თანდათანობით შემოღებულ იქნება საგარეო ვაჭრობის მონოპოლია. კონსტიტუციამ მიანიჭა მშრომელებს ფართო დემოკრატიული უფლებები და თავისუფლება, ფეოდალებს კი კონსტიტუციით საარჩევნო უფლება ერთმეოდათ.

მონღოლმა ხალხმა სახალხო-რევოლუციური პარტიის ხელმძღვანელობით ახალ ცხოვრებაში შედგა ფეხი.

• • •

განვითარების არაკაპიტალისტური გზა მონღოლეთის მშრომელთათვის დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. მონღოლეთი იყო პრიმიტიული მესაქონლეობის ქვეყანა, სადაც ფეოდალებსა და მონასტრებს მთელი პირუტყვის ნახევარზე მეტი ეკუთვნოდა, სადაც არატობის ძირითად მასას საარსებო საშუალება არ გააჩნდა, სადაც სრულებით არ არსებობდა თანამედროვე მრეწველობა და ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მხოლოდ ყველაზე პრიმიტიული საშუალებები იყო. ფეოდალები და ეკლესია-მონასტრები, რომლებიც ქვეყნის მთელი სიმდიდრის — პირუტყვის—მფლობელებად კვლავ რჩებოდნენ, განაგრძობდნენ მშრომელი ხალხის ექსპლოატაციას და თავიანთი აგენტურის საშუალებით, რომლებიც გაძვრნენ სახალხო-რევოლუციურ პარტიაში, ცდილობდნენ აეძულებინათ სახალხო მთავრობა უარი ეთქვა დემოკრატიულ გარდაქმნებზე და ჩამოეშორებინათ ახალგაზრდა რესპუბლიკა საბჭოთა კავშირისაგან.

იმისათვის, რომ დამდგარიყო განვითარების არაკაპიტალისტურ გზაზე, სახალხო მთავრობას პირველ რიგში უნდა მოესპო ფეოდალური ურთიერთობა და გაეძევებინა უცხო ქვეყნების სავაჭრო-სავაჭრო კაპიტალი. უცხო ქვეყნების კაპიტალის გაძევება მთავრობამ ძირითადად შეძლო 1930 წელს, ხოლო ფეოდალური საკუთრების ლიკვიდაცია — 1940 წელს. ამის შემდეგ 1940 წლის მარტში შემდგარმა მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის X ყრილობამ პარტიის წინაშე ძირითად ამოცანად დასახა ქვეყნის ეკონომიკაში ფეოდალიზმის ნაშთების საბოლოოდ ამოძირკვა და ადამიანთა შეგნებაში ფეოდალიზმის გადანაშთებთან ბრძოლა; ყოველივე ეს საჭირო იყო არაკაპიტალისტური განვითარების უზრუნველსაყოფად და შემდგომ სოციალიზმში გადასელისათვის მოსამზადებელი მუშაობის საწარმოებლად.

მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მოპოვებული სახელმწიფო მრეწველობის შექმნის დარგში. რევოლუციამდე მონღოლეთში სრულებით არ იყო ეროვნული მრეწველობა. საოჯახო ნივთები და ტანისამოსი პრიმიტიული წესით მზადდებოდა თვითონ არატების, ან ლამა-შინამრეწველების მიერ. მატყლი და ტყავი საზღვარგარეთ გაჰქონდათ. ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრე ხელუხლებლად რჩებოდა. მისდევდნენ მხოლოდ ოქროსა და მცირე რაოდენობით ნახშირის მოპოვებას.

1922 წელს ალტან-ბულაკში აშენებულ იქნა პირველი სახელმწიფო ტყავის ქარხანა. იმავე წელს მუშაობა დაიწყეს სარემონტო სახელოსნოებმა ულან-ბატორში და სახერხმა ქარხანამ მდ. ირიზე. 1933 წელს გაიხსნა პირველი მატყლსარეცხი ქარხანა ხადხილში. 1934 წელს საბჭოთა კავშირის დახმარებით ექსპლოატაციაში შევიდა უდიდესი ნაციონალური საწარმო — ულან-ბატორის სამრეწველო კომბინატი, რომელიც ნაბდის მოსათელი, ფეხსაცმლის, საუნაგირე

აღკაზმულობის, ტყავის, ქრომისა და ცხვრის ტყავის ქარხნებისაგან შედგებოდა. 1939 წელს დაიწყო ქვანახშირის მაღაროების მშენებლობა.

შენდებოდა კვების მრეწველობის საწარმოები, ვითარდებოდა შინაგრეწველური სარეწაო კოოპერაცია.

1939 წელს მონღოლეთში გაყვანილ იქნა პირველი ეიწროლიანდაგიანი რკინიგზა (სიგრძით 43 კილომეტრი), რომელიც ნალაიხის აუზს ულან-ბატორთან აკავშირებდა. ერთი წლის შემდეგ გაყვანილ იქნა მეორე რკინიგზაც, რომელიც ქალაქ ჩოიბალსანს ციმბირის რკინიგზის მაგისტრალთან აკავშირებდა.

ეროვნული მრეწველობისა და ტრანსპორტის განვითარებასთან ერთად დაიწყო ეროვნული მუშათა კლასის ჩამოყალიბებაც. 1940 წლისათვის მონღოლეთში 13 ათასი მუშა ითვლებოდა, რაც უკვე სერიოზულ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდა. ამ კლასს უკვე ჰქონდა იმის უნარი, რომ ხელში აეღო ქვეყნის სოციალისტური მშენებლობის ხელმძღვანელობა.

კონსტიტუციის მიღება. პირველი და მეორე ხუთწლიანი გეგმები

1940 წელი გარდატეხის წელი იყო მონღოლი ხალხის ბრძოლაში არაკაპიტალისტური გზისათვის. მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდმა ხურალმა 1940 წლის 30 ივნისს მიიღო ახალი კონსტიტუცია, რომელშიც ნათქვამი იყო: „მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა დამოუკიდებელი სახელმწიფოა მშრომელებისა (მეჯოგე-არატების, მუშებისა და ინტელიგენციისა), რომლებმაც იმპერიალისტური და ფეოდალური ჩაგვრა მოსპეს და უზრუნველყვეს ქვეყნის არაკაპიტალისტური გზით განვითარება შემდგომში სოციალიზმში გადასასვლელად“.

კონსტიტუციამ გამოაცხადა მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობა, მიუხედავად რასისა, ეროვნებისა და სქესისა, ქონებრივი მდგომარეობისა და წარმოშობისა, სარწმუნოებისა და განათლებისა. კონსტიტუცია უზრუნველყოფდა მოქალაქეთა უფლებების გარანტიას. პოლიტიკური ხელისუფლების საფუძველად კონსტიტუციით მიჩნეულია მშრომელ არატთა დეპუტატების ხურალები, რომლებიც სახალხო რევოლუციის შედეგად წარმოიშვნენ. მოქალაქეებს უზრუნველყოფილი ჰქონდათ საძოვრებით უფასოდ სარგებლობის უფლება, უფლება შრომისა, განათლებისა და მოხუცებულობის დროს მატერიალური დახმარების მიღებისა. კონსტიტუცია განამტკიცებდა მონღოლეთის ხალხის მიღწევებს, ქმნიდა პირობებს მონღოლეთის საუკუნეობრივი ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენილობის აღმოსაფხვრელად და გზას ხსნიდა სოციალიზმის საფუძვლების შესაქმნელად.

1944 წელს მთავრობა შეუდგა სახალხო მეურნეობის განვითარების დაგეგმვას წლიური გეგმების შედგენის საფუძველზე. იაპონიის იმპერიალიზმის განადგურებამ და იმპერიალისტური იაპონიის წინააღმდეგ ომში მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მონაწილეობამ განამტკიცეს ქვეყნის საერთაშორისო და საშინაო მღგომარეობა. 1947 წელს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა გადავიდა პერსპექტიული ხუთწლიანი გეგმების შედგენაზე. პირველი ხუთწლიანი გეგმა განხორციელებულ იქნა 1952 წელს. სათესი ფართობი ხუთწლედის განმავლობაში 72 პროცენტით გაიზარდა.

1953 წელს დაიწყო მეორე ხუთწლიანი გეგმის განხორციელება, რომლის უმნიშვნელოვანეს სახალხო-სამეურნეო ამოცანას შეადგენდა მეცხოველეობის

განვითარება, მშრომელ არატთა მეურნეობისათვის ყოველმხრივი მხარდაჭერის გზით. ეროდროულად სოფლის მეურნეობის სოციალისტური სექტორის განვითარებისა და განმტკიცების პირობებში. მეორე ხუთწლიანი გეგმით სოფლის მეურნეობაში კაპიტალდაბანდებანი გათვალისწინებული იყო 7-ჯერ მეტი რაოდენობით, ვიდრე პირველით.

1955 წლის მარტში შედგა გაერთიანებათა მოწინავეების პირველი რესპუბლიკური ყრილობა, რომელმაც სასოფლო-სამეურნეო გაერთიანების სანიმუშო წესდება მიიღო. წესდება თავის უმნიშვნელოვანეს პრინციპად ითვალისწინებდა გაერთიანებაში არატთა ნებაყოფლობით შესვლას. მამაკაცებსა და ქალებს, რომლებმაც 16 წლის ასაკს მიაღწიეს, თანაბარი უფლებები ენიჭებოდათ. გაერთიანების საფუძვლად წესდება თვლიდა საწარმოო საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრების დამყარებას, პირველ ხანებში პირუტყვისა და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის განსაზოგადებას.

სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებაში წევრად შემსვლელთ უნდა შეეტანათ ფულადი შესატანი 10—50 ტუგრიკის რაოდენობით მეურნეობის სიმძლავრის მიხედვით. შესასვლელი თანხა განუყოფელ ფონდში გადადიოდა. ამავე ფონდში ხდებოდა აგრეთვე გაერთიანების წევრთა განსაზოგადოებული ქონების ღირებულების 25-დან 50 პროცენტამდე გადარიცხვაც.

გაერთიანების თითოეული წევრის პასუხისმგებლობისა და საზოგადოებრივ შრომაში მისი პირადი მონაწილეობის დაინტერესების ასამაღლებლად წესდება ითვალისწინებდა შრომის ორგანიზაციის ბრიგადულ ფორმასა და შრომის ანაზღაურების სანარდო სისტემას[1].

მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტია, როგორც ეს ამ პარტიის XII ყრილობის რეზოლუციებშია აღნიშნული, ჯერ კიდევ არ აყენებდა არატობის მასობრივი კოოპერირების ამოცანას; მაგრამ არატებმა, რაკი დარწმუნდნენ კოლექტიური შრომის უპირატესობაში, ხალისით განაგრძეს გაერთიანებული მეურნეობების ჩამოყალიბება. გაერთიანებული მეურნეობები მთავრობისაგან ყოველმხრივ მხარდაჭერას პოულობდნენ გრძელვადიანი სესხების მიღებით და მანქანებითა და კვალიფიციური კადრებით მომსახურების საშუალებით. 1955 წელს მონღოლეთში ითვლებოდა 250-ზე მეტი საწარმოო გაერთიანება, ე. ი. 25 პროცენტით მეტი, ვიდრე 1954 წელს. 1956 წელს გაერთიანებათა რაოდენობა გადიდდა და 600-ს მიაღწია, ამასთან გაერთიანდა 31 ათასზე მეტი მეურნეობა და განსაზოგადოდა 3 მილიონი სული საქონელი. განსაზოგადოებული საქონლის სულადობის სახელმწიფო გეგმა შესრულდა 102,6 პროცენტით. ბევრი გაერთიანება მსხვილ მაღალკვალიფიციურ სოციალისტურ მეურნეობად გადაიქცა, რომლებიც წარმოების საშუალებების საზოგადოებრივ საკუთრებაზე იყვნენ დამყარებული: მიწა სახელმწიფოს ეკუთვნის, პირუტყვი და საწარმოო ნაგებობანი კი გაერთიანებას.

მთავრობა დიდ დახმარებას უწევდა არატებს ცხენიანი სათიბი მანქანების მიწოდებით.

მთავრობამ დიდი ყურადღება მიაქცია სახელმწიფო მეურნეობების შექმნას. პირველი სახალხო მეურნეობა 1922 წელს შეიქმნა, ხოლო 1955 წელს რესპუბლიკაში 21 ასეთი მეურნეობა იყო. უმეტესად ეს მეურნეობები მესაქონლეობას

---

[1] Развитие экономики стран народной демократии Азии, Научно-исследовательский конъюнктурный институт МВТ СССР, Внешторгиздат, 1956, зд. 205—208.

ბისდევენ და დიდ მუშაობას აწარმოებენ საქონლის ჯიშის გაუმჯობესების საქმეში. მოწინავე ტექნიკით აღჭურვილი სახალხო მეურნეობები სოფლის მეურნეობაში სოციალისტური გარდაქმნების საყრდენ პუნქტს წარმოადგენენ.

სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის შედეგად და პირუტყვის თბილი ბინებით, წყლით, ვეტერინარული მომსახურებითა და მტკიცე საკვები ბაზებით უზრუნველსაყოფად მთავრობის მიერ მიღებული ზომების შედეგად 1956 წელს რესპუბლიკაში პირუტყვის სულადობა გადიდდა წინა წლებთან შედარებით 1,3 მილიონზე მეტით (6 პროცენტი) და 24,5 მილიონს მიაღწია, რაც ორ-ნახევარჯერ მეტია, ვიდრე 1921 წელს იყო. მონღოლეთში მოსახლეობის ერთ სულზე მეტი პირუტყვი მოდის, ვიდრე სხვა რომელიმე ქვეყანაში. მონღოლეთის არატობის ცენტრალურ ფიგურად საშუალო გლეხი გახდა.

მნიშვნელოვნად განვითარდა მრეწველობა, რომელიც მთლიანად სახელმწიფოსა და კოოპერაციის ხელშია. მეორე ხუთწლედის პირველ წლებში მწყობრში ჩადგნენ ულან-ბატორის ფაიფურის ნაწარმთა ფაბრიკა, სუხე-ბატორის ასანთის ფაბრიკა და სხვ. საბჭოთა კავშირის დახმარებით მიმდინარეობს დიდი ქვანახშირის შახტის—„ნალაიხა-კაპიტალურის" — საშენებლო სამუშაოები, რომელიც წლიურად 600 ათას ტონა ქვანახშირს მისცემს ქვეყანას. 1955 წელს საბელმწიფო სამრეწველო საწარმოებმა ქვეყნის მთელი სამრეწველო პროდუქციის ოთხი მეხუთედი გამოუშვეს, კოოპერაციამ კი — ერთი მეხუთედი. 1955 წელს მრეწველობის საერთო პროდუქცია 1940 წელთან შედარებით 4-ჯერ გადიდდა. მრეწველობის საშუალო წლიურმა ნამატმა მეორე ხუთწლედის 4 წლის განმავლობაში 10 პროცენტი შეადგინა.

მნიშვნელოვნად განვითარდა შინამრეწველური-სარეწაო კოოპერაცია, რომელიც 150-ზე მეტ არტელს აერთიანებს. გაერთიანების გზით შინამრეწველებმა მოიპოვეს მანქანებისა და დაზგების შეძენისა და წარმოების გადიდების შესაძლებლობა.

მეორე ხუთწლედის პირველი ოთხი წლის განმავლობაში რესპუბლიკაში განხორციელდა მნიშვნელოვანი სარკინიგზო მშენებლობა, რის შედეგადაც რკინიგზის მაგისტრალმა დასერა მთელი ქვეყანა ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ და მოიცვა ჩრდილოეთის ნოყიერი რაიონები — განვითარებული მესაქონლეობით, ცენტრის სამრეწველო რაიონი და სამხრეთის ნავთობის რაიონი. ჯერ კიდევ 1949 წელს საექსპლოატაციოდ იქნა გადაცემული ახალი — ულან-ბატორის რკინიგზა 400 კილომეტრი სიგრძით, რომელმაც უზრუნველყო პირდაპირმ მოძრაობა — ულან-ბატორი — მოსკოვი. 1956 წლის 1 იანვარს საექსპლოატაციოდ იქნა გადაცემული სამი მოძმე რესპუბლიკის—სსრ კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის — ძალებითა და სახსრებით აგებული ულან-ბატორ — ძამინ-უდეს რკინიგზა 710 კილომეტრი სიგრძით. ამ გზით გაიხსნა მატარებელთა რეგულარული მიმოსვლა მოსკოვსა, ულან-ბატორსა და პეკინს შორის. რკინიგზების საერთო სიგრძე 1956 წლისათვის 1940 წელთან შედარებით 6-ჯერ გადიდდა. რკინიგზის ტრანსპორტის ტვირთბრუნვა 1956 წლისათვის თითქმის 7,5-ჯერ გაიზარდა.

მნიშვნელოვნად გაიზარდა მუშათა რიცხვი. მოსახლეობის ერთ მესამედს შეადგენენ მუშები, მოსამსახურეები, კოოპერაციაში გაერთიანებული შინამრეწველნი და მათი ოჯახის წევრები. სამრეწველო მუშების 40 პროცენტს ქალები შეადგენენ.

ფართოდ განვითარდა ტელეგრაფი, ტელეფონი, რადიო, 1947 წლიდან 1956 წლამდე აგებულია ახალი სატელეგრაფო და სატელეფონო ხაზები 2500 კილომეტრი საერთო სიგრძით.

დიდ წარმატებებს მიაღწია მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკამ განათლებისა და კულტურის დარგში. თუ 1940 წელს მოზრდილი მოსახლეობის მხოლოდ 60 პროცენტი იყო წერა-კითხვის მცოდნე, 1956 წელს მოზრდილი მოსახლეობის 90 პროცენტი წერა-კითხვას დაეუფლა. მონღოლეთში 4 უმაღლესი სასწავლებელია, მათ შორის სახელმწიფო უნივერსიტეტი სამი ფაკულტეტით (პედაგოგიური, სამედიცინო, ზოოვეტერინარული) და 32 კათედრით; იქ 2000 სტუდენტი სწავლობს. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში უმაღლესმა სკოლებმა ათასამდე სპეციალისტი მისცეს სამშობლოს.

გარდა უმაღლესი სასწავლებლებისა, 1956 წლისათვის რესპუბლიკაში იყო 349 დაწყებითი სკოლა, 56 შვიდწლიანი სკოლა, 31 საშუალო სკოლა და 16 ტექნიკუმი. მონღოლეთში შემოღებულია საყოველთაო-სავალდებულო დაწყებითი სწავლება.

ამაღლდა მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის დონე. პირველი ხუთწლედის განმავლობაში რეალური ხელფასი 46 პროცენტით გაიზარდა.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა და საბჭოთა კავშირი

მონღოლი ხალხის წარმატებები საბჭოთა კავშირის მიერ გაწეულ მუდმივ და მრავალმხრივ დახმარებასთანაა დაკავშირებული. 1921 წელს ხელმოწერილ იქნა მონღოლი ხალხის ისტორიაში პირველი თანასწორუფლებიანი ხელშეკრულება მონღოლეთსა და საბჭოთა რუსეთს შორის მეგობრობის შესახებ. 1922 წელს საბჭოთა არმიისა და მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური არმიის ერთობლივი მოქმედებით დამთავრებულ იქნა მონღოლეთიდან თეთრგვარდიელთა ბანდეულისა და იაპონელი ოკუპანტების განდევნა. 1936 წლის მარტში ხელმოწერილ იქნა ოქმი სსრ კავშირსა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკას შორის ურთიერთდახმარების შესახებ 10 წლის ვადით, რომელმაც 1934 წლის სიტყვიერი შეთანხმება შეცვალა. 1939 წელს საბჭოთა არმიის ნაწილებმა მონღოლეთის ჯარებთან ერთად გაანადგურეს იაპონელი აგრესორები, რომლებმაც თავდასხმა მოახდინეს მონღოლეთის ტერიტორიაზე ხალხინ-გოლის რაიონში.

საბჭოთა მთავრობამ დიდი დახმარება აღმოუჩინა მონღოლეთს მშვიდობიანი შენებლობაში. საბჭოთა კავშირი მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის თხოვნით დაეხმარა ამ უკანასკნელს ნაციონალური ვალუტის შექმნაში. საბჭოთა კავშირის დახმარებით მონღოლეთმა შექმნა სახელმწიფო მრეწველობის კერები და ამით ხელი შეუწყო ეროვნული პროლეტარიატის წარმოშობასა და ფეოდალური კლასების ლიკვიდაციას. საბჭოთა კავშირი დაეხმარა მონღოლეთს სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნაში, ულან-ბატორში სამრეწველო კომბინატის მშენებლობაში, ხორცის უდიდესი კომბინატის მშენებლობის დაწყებასა და ფეოდალი ლიათონებისა და ნავთობის მოპოვების საწარმოთა მშენებლობაში. რკინიგზების მშენებლობაში დიდი დახმარება გაუწია საბჭოთა კავშირმა მონღოლ ხალხს.

თავის მხრივ მონღოლმა ხალხმა სამამულო ომის მძიმე წლებში დიდი დახმარება აღმოუჩინა სსრ კავშირს ნედლეულისა და სურსათის მოწოდებით. საბჭო-

თა არმიასთან მხარდამხარ ბრძოლით მონღოლეთის სახალხო-რევოლუციურმა არმიამ მონაწილეობა მიიღო იაპონელთა ჯარების განადგურებაში.

იაპონიის დამარცხების შემდეგ საბჭოთა კავშირსა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკას შორის 1946 წელს ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება მეგობრობასა და ურთიერთდახმარებაზე და შეთანხმება ეკონომიურ და კულტურულ თანამშრომლობაზე. დიდი მნიშვნელობისა იყო ის მოლაპარაკება, რომელიც გაიმართა 1956 წელს მონღოლეთის და სსრ კავშირის მთავრობებს შორის. ამ მოლაპარაკებათა შედეგად მიღწეულ იქნა შეთანხმება საბჭოთა კავშირის მიერ 1956—1960 წლებში მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ საცხოვრებელი ბინების მშენებლობაში 40 ათასი კვ. მეტრი ფართობით. აღნიშნული შეთანხმების საფუძველზე საბჭოთა კავშირმა დაუთმო საბჭოთა კავშირ-მონღოლეთის სააქციონერო საზოგადოებას — „ულან-ბატორის რკინიგზა" — საბჭოთა რკინიგზის ხაზები, რომლებიც მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზეა გაყვანილი და სხვ.

1956 წლის აპრილში ხელმოწერილ იქნა შეთანხმება მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკასა და სსრ კავშირს შორის კულტურული თანამშრომლობის შესახებ. დამყარდა მჭიდრო კონტაქტი ორი მეგობრული ხალხის მეცნიერებისა და ტექნიკის, კინოსა და ბეჭდვითი სიტყვის მოღვაწეებს შორის. მონღოლი ხალხი დიდ ყურადღებას აქცევს საბჭოთა გამოცდილების გამოყენებას მშენებლობაში, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, შრომის ნაყოფიერების, მესაქონლეობის პროდუქტიულობის გადიდებისა და სხვ. დარგებში.

1957 წლის 10-დან 15 მაისამდე სსრ კავშირის მთავრობის მოწვევით მოსკოვში იმყოფებოდა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია. მოლაპარაკების მსვლელობაში მხარეებმა თავიანთი აზრი გაუზიარეს ერთმანეთს საერთაშორისო პრობლემების შესახებ, რომლებიც სსრ კავშირისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ინტერესებს ეხებიან, და აგრეთვე ორივე ქვეყნის ხალხებს შორის თანამშრომლობისა და ძმური მეგობრობის შემდგომი განმტკიცებისა და განვითარების საკითხების შესახებ. მოლაპარაკებამ დაადასტურა, რომ არსებობს შეხედულებათა სრული ერთიანობა საერთაშორისო მდგომარეობის შეფასების საკითხში და აგრეთვე ერთსულოვანი მისწრაფება ძმური მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების საკითხში.

დელეგაციებმა იმსჯელეს ეკონომიური ურთიერთობის საკითხების შესახებ და კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ ეკონომიური თანამშრომლობა წარმატებით ვითარდება სრული თანასწორუფლებიანობის პრინციპისა და სოციალისტური ურთიერთდახმარების საფუძველზე.

როგორც საბჭოთა კავშირ-მონღოლეთის ერთობლივ კომუნიკეში იყო ნათქვამი, მონღოლეთის სახალხო-რესპუბლიკის მთავრობამ აღნიშნა, რომ უკანასკნელი 10 წლის მანძილზე საბჭოთა კავშირმა შეღავათიან პირობებში მისცა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკას გრძელვადიანი სესხი 900 მილიონი მანეთის რაოდენობით და მასვე უსასყიდლოდ გადასცა 100 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების საბჭოთა ქონება.

გარდა ამისა, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის თხოვნით საბჭოთა კავშირმა, მიისწრაფოდა რა შეექმნა მონღოლეთში ნავთობის მრეწველობა, აწარმოა გეოლოგიურ-კვლევითი სამუშაოები, ააშენა ნავთობმომპოვებელი და ნავთობ-

გადამბუშავებელი საწარმოები, რომლებზედაც დაიხარჯა 300 მილიონი მანეთი. გატარებულ ღონისძიებათა შედეგად მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა ნავთობის პროდუქტებზე თავისი მოთხოვნილებების მნიშვნელოვან ნაწილს საკუთარი რესურსებით აკმაყოფილებს. საბჭოთა მთავრობამ გადაწყვიტა უსასყიდლოდ გადასცეს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკას ტრესტ „მონღოლნავთობის" საწარმოები.

სამთამადნო მრეწველობის შექმნისა და გეოლოგიურ-კვლევით სამუშაოების მოწყობის მიზნით, აგრეთვე წიაღისეულის მოპოვების მიზნით, მონღოლეთის მთავრობის თხოვნით. მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეიქმნა საბჭოთა კავშირ-მონღოლეთის საერთო საზოგადოება „საბჭოთა კავშირ-მონღოლეთონი". ამ საზოგადოების საქმიანობის შედეგად საფუძველი ჩაეყარა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში სამთამადნო მრეწველობის განვითარებას და მომზადდა ეროვნული კადრები. მოსკოვში წარმოებული მოლაპარაკების დროს მხარეები შეთანხმდნენ შეღავათიან პირობებში საერთო საზოგადოების „საბჭოთა კავშირ-მონღოლეთის" მონაწილეობის საბჭოთა წილის მონღოლეთისათვის გადაცემის შესახებ მონღოლეთის მთავრობის მიერ ამ წილის ღირებულების შემდგომი ანაზღაურებით 30 წლის განმავლობაში.

ამჟამად სსრ კავშირის მატერიალურ-ტექნიკური დახმარებით მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში შენდება სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების 18 ობიექტი. მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისათვის ხელის შეწყობის მიზნით საბჭოთა მთავრობამ გადაწყვიტა მონღოლ ხალხს გაუწიოს დამატებითი დახმარება გაშიზნული პროგრამის განხორციელების საქმეში, რომელიც სახალხო მეურნეობის შემდგომ განვითარებას შეეხება, და დათანხმდა იმაზე, რომ 1958—1960 წწ. მიაწოდოს მას: 2500 ტრაქტორი, 550 მარცვლეულის კომბაინი, 200 დიზელისა და ლოკომობილის ელექტროსადგური, 80 სახერხი დაზგა, 3000 საბარგო მანქანა, სამშენებლო მასალები და აგრეთვე 10 ათას სულზე მეტი საჯიშე საქონელი. საბჭოთა მთავრობა დათანხმდა დახმარება გაუწიოს მონღოლეთს 1958 — 1960 წწ. კომპლექსურ გეოლოგიურ-კვლევითი სამუშაოების ჩატარებაში და ამ მიზნით მიაწოდოს მას მოწყობილობანი და მიავლინოს სპეციალისტები.

საბჭოთა კავშირი დათანხმდა ყოველმხრივი დახმარება გაუწიოს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკას სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საქმეში და გაგზავნოს იქ ამ მიზნით კომპლექსური სასოფლო-სამეურნეო ექსპედიცია. სსრ კავშირიდან მიწოდებული მოწყობილობების, მანქანებისა და მასალების, აგრეთვე სხვა ტექნიკური დახმარების ღირებულების ანაზღაურებლად საბჭოთა კავშირმა 200 მილიონი მანეთის სესხი მისცა მონღოლეთს შეღავათიან პირობებში.

საბჭოთა მთავრობამ გამოთქვა მზადყოფნა დახმარება აღმოუჩინოს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკას ჯანმრთელობის დაცვის დარგში გამიზნულ ღონისძიებათა განხორციელების საქმეში და დათანხმდა იკისროს ამ ღონისძიებათა განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების 50 პროცენტის გაღება დამატებითი დახმარების გაწევის სახით 1958—1960 წლებისათვის.

თავის მხრივ, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკამ სურვილი გამოთქვა მიაწოდოს საბჭოთა კავშირს მეცხოველეობის პროდუქცია და აგრეთვე მონღოლური წარმოების სხვა საქონელი.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საერთაშორისო უფლებამოსილება

ფართო ეკონომიური კავშირი დამყარდა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის. ჩინელი ხალხი ძმურ დახმარებას უწევს მონღოლ ხალხს ეკონომიურ და კულტურულ მშენებლობაში.

მტკიცდება მეგობრობა მონღოლ და კორეელ ხალხებს შორის. მონღოლმა ხალხმა 1954 წელს კორეელ ხალხს უსასყიდლო დახმარების სახით გაუგზავნა 6 ათასზე მეტი ცხენი, 16 ათასზე მეტი წვრილი რქოსანი საქონელი, 427 მეწველი ძროხა; 1955 წელს — 23 ათასზე მეტი წვრილფეხა რქოსანი საქონელი. მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ 1956 წლის თებერვალში გადაწყვიტა კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას უსასყიდლოდ გაუგზავნოს ერთი წლის განმავლობაში 12 ათასი სული პირუტყვი.

მტკიცდება პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული კავშირები მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკასა და სხვა სახელმწიფოთა შორის.

1955 წელს დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობა ინდოეთსა და მონღოლეთის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის. 1957 წლისათვის მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკას უკვე დამყარებული ჰქონდა დიპლომატიური ურთიერთობა ისეთ დიდ სახელმწიფოებთან, როგორიცაა საბჭოთა კავშირი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, ინდოეთი, აგრეთვე — ჩეხოსლოვაკია, ბულგარეთი, პოლონეთი, რუმინეთი, იუგოსლავია, ინდონეზია, ბირმა და ევროპისა და აზიის სხვა ქვეყნები, რომელთა მოსახლეობა მთელი კაცობრიობის ნახევარზე მეტს შეადგენს.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა მთლიანად უჭერს მხარს ჩინეთისა და ინდოეთის მიერ წამოყენებულ და ბანდუნგის კონფერენციის მიერ ოდადასტურებულ მშვიდობიანი თანაარსებობის ხუთ პრინციპს. მონღოლეთის ხალხი მხურვალედ მიესალმა კოლონიალიზმის უღლისაგან ინდონეზიის, ეგვიპტის, სუდანის, მაროკოს, ტუნისისა და სხვა ქვეყნების განთავისუფლებას და სასტიკად დაგმო ეგვიპტის წინააღმდეგ წარმოებული აგრესია.

1957 წლის ზაფხულის ბოლოს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია ცედენბალს მეთაურობით ესტუმრა აღმოსავლეთ ევროპის რიგ ქვეყნებს. მეგობრულ მოლაპარაკებათა შედეგად დადებულ იქნა საერთაშორისო შეთანხმებები ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობის გაფართოების შესახებ. მიღწეულ იქნა აგრეთვე ურთიერთგაგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მიღების საკითხის შესახებ.

თავისი არსებობის პირველი დღიდანვე მონღოლეთი მშვიდობის მოყვარულ საგარეო პოლიტიკას ატარებდა. 1951 წლის 27 თებერვალს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმმა მიიღო კანონი მშვიდობის დაცვის შესახებ. ამ კანონით პასუხისგებაში მიეცემიან ის პირები, რომლებიც ომის პროპაგანდას გასწევენ.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა მთლიანად აკმაყოფილებს გაერთიანე-

ბული ერების ორგანიზაციის წესდების მოთხოვნებს და მას უფლება აქვს იყოს ამ ორგანიზაციის წევრი.

ჯერ კიდევ 1946 წელს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკამ საკითხი დააყენა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად მისი მიღების შესახებ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეათე სესიაზე 52 სახელმწიფომ ხმა მისცა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მიღების სასარგებლოდ. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების მითითებით გომინდანელმა გამოიყენა ვეტოს უფლება უშიშროების საბჭოში და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკას უკანონოდ უარი უთხრეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში წევრად მიღებაზე. იგივე სურათი განმეორდა 1956 წელს. 1957 წელს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკამ მეოთხეჯერ აღძრა საკითხი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში წევრად მიღების შესახებ, მაგრამ უშიშროების საბჭომ 9 სექტემბერს იმის გამო, რომ აშშ-ის მეთაურობით მცირერიცხოვანმა ჯგუფმა უარყოფითი პოზიცია დაიკავა, უარყო მონღოლეთის თხოვნა.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის განვითარების წარმატებები საუბნებით ადასტურებენ ლენინის წინასწარმეტყველებას იმის შესახებ, რომ „...მოწინავე ქვეყნების პროლეტარიატის დახმარებით ჩამორჩენილ ქვეყნებს შეუძლიათ გადავიდნენ საბჭოთა წყობილებაზე და განვითარების განსაზღვრული საფეხურების შემდეგ —კომუნიზმზე, ისე რომ არ გაიარონ განვითარების კაპიტალისტური სტადია"[1].

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა

ინდო-ჩინეთი მეორე მსოფლიო ომამდე

ფრანგების მიერ ინდო-ჩინეთის დაპყრობა გასული საუკუნის ორმოცდათიან წლებში დაიწყო. 1887 წელს ანამი, ტონკინი, კამბოჯა და კოხინხინი გაერთიანებულ იქნა ინდო-ჩინეთის კავშირში. ეს იყო საფრანგეთის კოლონია, რომელსაც გენერალ-გუბერნატორი ედგა სათავეში. მისი რეზიდენცია საიგონში იყო.

ინდო-ჩინეთში საფრანგეთის კაპიტალის შეჭრამ მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია მის ეკონომიკაში. 1896 წელს საფრანგეთის კაპიტალდაბანდებანი 200 მილიონ პიასტრს შეადგენდა. ირღვეოდა კარჩაკეტილი ნატურალური მეურნეობა, შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა დამმუშავებელი სამრეწველო საწარმოები, ვითარდებოდა ვაჭრობა. ყოველივე ამას თან სდევდა მშრომელთა სასტიკი ექსპლოატაცია. გლეხობა წელში წყდებოდა აუტანელი საიჯარო ქირის, გადასახადებისა და ფეოდალური ბეგარის გამო. მუშები ორმაგ ექსპლოატაციას განიცდიდნენ თავისი ქვეყნისა და უცხოელი ბურჟუაზიისაგან.

კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებასთან ერთად წარმოიშვა ვიეტნამის ბურჟუაზია, რომელიც დიდ სიძნელეებს განიცდიდა საფრანგეთის მონოპოლისტური კაპიტალისაგან კონკურენციის გამო. საშინელი კოლონიური ექსპლოატაციის პირობებში იღვიძებდა ვიეტნამის ხალხის ეროვნული თვითშეგნება.

ინდო-ჩინეთში ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის განვითარებაზე

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 291.

ლიდი გავლენა მოახდინა 1905—1907 წწ. რუსეთის რევოლუციამ და სუნ იატ-სენის რევოლუციურმა მოღვაწეობამ ტონკინის ტერიტორიაზე. ინდო-ჩინეთში გამოჩნდნენ პირველი ნაციონალისტური ჯგუფები, რომლებიც ინდო-ჩინეთის ეროვნული გაერთიანებისა და კოლონიური ტანჯვისაგან განთავისუფლების მოთხოვნით გამოდიოდნენ.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძლიერი აღმავლობა გამოიწვია აღმოსავლეთში. ამ დროისათვის ვიეტნამში უკვე არსებობდა პროლეტარიატის საკმაოდ მნიშვნელოვანი ფენა (15 ათას კაცამდე). ქმნიან თავიანთ პირველ კლასობრივ ორგანიზაციებს. მუშათა მოძრაობას შეუერთდნენ რევოლუციური ინტელიგენციის წარმომადგენლები, რომლებიც მშრომელ მასებში მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების პროპაგანდას ეწეოდნენ. ამის საფუძველზე ჩამოყალიბდა მთელი რიგი მარქსისტული წრეები.

1924 წლიდან ინდო-ჩინეთში წარმოიშვნენ პირველი კომუნისტური ორგანიზაციები: ინდო-ჩინეთის კომუნისტური პარტია ბაკბოში, ანამის კომუნისტური პარტია — ნამბოში და ინდო-ჩინეთის კომუნისტური კავშირი — ჩუმბოში. 1930 წლის დასაწყისში ეს სამი კომუნისტური ორგანიზაცია ნგუიენ ან კუიას (ხო ში მინი) ხელმძღვანელობით ინდო-ჩინეთის კომუნისტურ პარტიად გაერთიანდა.

თავისი წარმოშობისთანავე ინდო-ჩინეთის კომუნისტურმა პარტიამ ბრძოლა გაშალა სახალხო მოძრაობის ხელმძღვანელობისათვის. მან შეაკავშირა მუშები, გლეხები, მშრომელები და ქვეყნის ყველა პატრიოტული ელემენტი იმპერიალიზმისა და ფეოდალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად — ერთიანობის, დამოუკიდებლობისა და დემოკრატიული უფლებების მოსაპოვებლად.

ვიეტნამის ხალხის ბრძოლა იაპონელ მტაცებელთა წინააღმდეგ. ვიეტ-მინის შექმნა

რევოლუციურ მოძრაობაში ვიეტნამის პროლეტარიატის წამყვანი როლი განსაკუთრებული ძალით გამოელინდა მეორე მსოფლიო ომის წლებში, როდესაც 1940 წელს საფრანგეთის მთავრობის (პეტენის შეთაურობით) გამცემლობის შედეგად ინდო-ჩინეთი იაპონიის მიერ იქნა დაპყრობილი. საფრანგეთის კოლონიური ადმინისტრაცია ინდო-ჩინეთში იაპონიის სამსახურში იქნა ჩაყენებული. ვიეტნამის კომუნისტურმა პარტიამ მოუწოდა მთელ ხალხს, თითოეულ ადამიანს, რომელსაც კი შეეძლო ებრძოლა, მიუხედავად წლოვანებისა და სქესისა, გამოსულიყო იაპონელ დამპყრობთა წინააღმდეგ საბრძოლველად. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით შეიქმნა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტი, რომელიც 1941 წლის დასაწყისიდან ქვეყნის მთელ პატრიოტულ ძალთა ფართო ფრონტად — ვიეტ-მინად — გადაიქცა. ვიეტ-მინში გაერთიანდნენ მუშები, გლეხთა ფართო მასები, წვრილი ბურჟუაზია, ინტელიგენცია, ეროვნული უმცირესობანი და ეროვნული ბურჟუაზია თავიანთი პოლიტიკური, კულტურული, პროფესიული და სხვა ორგანიზაციების სახით. ვიეტ-მინში ხელმძღვანელ როლს კომუნისტური პარტია თამაშობდა.

ვიეტ-მინმა პირველ რიგში საფრანგეთის კოლონიურ ხელისუფლებას მიმართა წინადადებით იაპონელ დამპყრობთა წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის წარმოების შესახებ, მაგრამ უარი მიიღო. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მო-

ერაობის წინააღმდეგ უცხოელ კოლონიზატორებთან ერთად გამოდიოდნენ ფეოდალები, მემამულეები და კომპრადორული ბურჟუაზია. იაპონელი და ფრანგი იმპერიალისტების წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლის მსელელობაში ვიეტნამის პარტიზანულმა რაზმებმა, რომლებიც 1944 წელს ვო ნგუენ ზიაპის სარდლობით სახალხო-განმათავისუფლებელ არმიაში გაერთიანდნენ, ჩრდილოეთ ვიეტნამის შვიდი პროვინცია გაათავისუფლეს. სახალხო განმათავისუფლებელ მოძრაობაში გლეხთა ფართო მასების მონაწილეობას განაპირობებდა აგრარული რეფორმა, რომელიც ცალკეული რაიონების განთავისუფლების მიხედვით ტარდებოდა ვიეტნამში.

განთავისუფლებულ რაიონებში მცირდებოდა საიჯარო ქირა, უქმდებოდა სულადობის მიხედვით არსებული გადასახადი, იკრძალებოდა ჩარჩობა. ამ ღონისძიებებმა, სახელმწიფო აპარატის დემოკრატიზაციასთან ერთად (არჩევითი სახალხო კომიტეტების შექმნა, რომლებიც დემოკრატიული ხელისუფლების საფუძველს წარმოადგენდნენ), დიდად შეამჭიდროვეს ვიეტ-მინის გაერთიანებული ფრონტი და განამტკიცეს მუშებისა და გლეხების კავშირი.

საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე საბჭოთა ჯარების წარმატებებმა შეაბოჭეს იაპონელ დამპყრობთა ძალები აზიაში და შეამსუბუქეს ფრანგ და იაპონელ კოლონიზატორთა წინააღმდეგ მიმართული ვიეტნამის ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლა. საფრანგეთის კოლონიური ხელისუფალნი უძლური აღმოჩნდნენ თავი გაერთმიათ შექმნილი მდგომარეობისათვის. ამიტომ 1945 წლის 9 მარტს იაპონელებმა ლიკვიდაცია უყვეს საფრანგეთის კოლონიურ აპარატს და დაიწყეს „ნაციონალური“ მარიონეტული მთავრობების ჩამოყალიბება.

მაგრამ ვერც იაპონიის ხელისუფლებამ გაართვეს თავი სახალხო მოძრაობას. 12 მარტს ინდო-ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ დადგენილება გამოიტანა საყოველთაო შეიარაღებული აჯანყების მოშადების შესახებ და მოუწოდა ხალხს—გააძლიერეს წინააღმდეგობის მოძრაობა. 4 ივნისს ვიეტნამის ყველა განთავისუფლებული რაიონი გაერთიანებულ იქნა ერთ მთლიან რაიონად. და ვიეტ-მინმა მოუწოდა ხალხს შექმნილიყო სახალხო რევოლუციური მთავრობა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა.

გამოქვეყნებულ პროგრამაში ვიეტ-მინმა ჩამოაყალიბა სახელმწიფო ძალაუფლების შექმნის დემოკრატიული პრინციპი, საყოველთაო საარჩევნო უფლების შემოღება, დემოკრატიულ თავისუფლებათა დაწესება, რესპუბლიკური არმიის შექმნა, პოლიტიკურ პატიმართა ამნისტია, გამცემლებისა და მოღალატეების გადაცემა სასამართლოზე, საფრანგეთთან არათანასწორუფლებიან ხელშეკრულებათა გაუქმება, დემოკრატიულ სახელმწიფოებთან მეგობრული ურთიერთობის დაწესება და ვიეტნამის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გაგრძელება.

პროგრამა ითვალისწინებდა აგრეთვე სოციალურ-ეკონომიური ხასიათის ღონისძიებებს, რომლებიც ქვეყნის კოლონიური ეკონომიკისა და ფეოდალური წყობის მოსპობისაკენ იყო მიმართული. ასე, მაგალითად, პროგრამა ითვალისწინებდა ფეოდალურ გადასახადთა და ბეგარის გაუქმებას და პროგრესული საშემოსავლო გადასახადების შემოღებას, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას დამოუკიდებელი ეროვნული ეკონომიკის შემოსაღებად, აგრარული რეფორმის გატარებას, თემური მიწების სამართლიან განაწილებას, საიჯარო ქირის შემცირებას, სარწყავი სისტემის განვითარებას, უამირი მიწების დამუშავებას, მეკანაურეების აკრძალვას, გლეხთათვის სახელმწიფო დახმარების აღმოჩენას, 8-საათიანი

სამუშაო დღისა და სოციალური დაზღვევის შემოღებას, საავადმყოფოებისა და საშობიარო სახლების რაოდენობის გადიდებას, საბავშვო ბაღებისა და ბაღების შექმნას, მრავალშვილიანი ოჯახებისათვის, მოხუცებისა და ინვალიდებისათვის დახმარების აღმოჩენას.

პროგრამა ითვალისწინებდა ფაშისტური იდეოლოგიის აღმოფხვრას, ეროვნულ უმცირესობისათვის თავიანთ მშობლიურ ენაზე სწავლის შემოღებას, დაწყებითი უფასო საყოველთაო-საავალდებულო სწავლების შემოღებას, სკოლების რიცხვის გადიდებას და სხვ.

1945 წლის აგვისტოს რევოლუცია. ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა

1945 წლის 19 აგვისტოს რევოლუციამ ბოლო მოუღო საუკუნოებრივ კოლონიურ ჩაგვრას და დემოკრატიული ძალაუფლება დაამყარა. შეიქმნა დროებითი რესპუბლიკური მთავრობა ხო ში მინის მეთაურობით. ყოფილმა იმპერატორმა ბაო დაიმ, რომელიც იაპონელ ოკუპანტებთან თანამშრომლობდა, ხელი აიღო ტახტზე და გაემგზავრა საზღვარგარეთ. 26 აგვისტოს სახალხო-განმათავისუფლებელი არმია საიგონში შევიდა.

2 სექტემბერს ხანოიში 23-მილიონიანი ვიეტნამის ხალხის სურვილით გამოცხადდა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა და მიღებულ იქნა ვიეტნამის დამოუკიდებლობის დეკლარაცია. კოხინხინა, რომელიც ფრანგ კოლონიზატორთა მიერ ხელოვნურად იყო მოწყვეტილი ქვეყნისაგან, შეუერთდა ვიეტნამს. 8 სექტემბერს გამოქვეყნდა დეკრეტი ეროვნული კრების საყოველთაო არჩევნების შესახებ.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა იმისათვის, რომ მოესპოთ ახალგაზრდა რესპუბლიკა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ჩაეხშოთ კამბოჯასა და ლაოსში, მაშინვე, როგორც კი კაპიტულაცია გამოაცხადეს იაპონიის ჯარებმა, ორ ნაწილად გაყვეს ინდო-ჩინეთი მე-16 პარალელზე. მე-16 პარალელის ჩრდილოეთით მათ ჩანკაიშელთა ჯარები გაგზავნეს; მე-16 პარალელის სამხრეთით კი — საფრანგეთის ჯარები. ამ უკანასკნელთ ინგლის-ინდოეთის ჯარებიც შეუერთდნენ, რომლებიც აქ იმ საბაბით განლაგდნენ, თითქოს მათ იაპონიის ჯარების განიარაღება უნდოდათ. პირიქით, მთელი ეს ხროვა იაპონიის განუიარაღებელ ჯარებთან გაერთიანდა და საერთო ძალით 23 სექტემბერს მათ დიაღვეს ყველა საზოგადოებრივი შენობა საიგონში და იქ თავიანთი ძალაუფლება დაამყარეს.

1946 წლის 6 იანვარს ჩატარდა ეროვნული კრების საყოველთაო არჩევნები, რომელშიც ამომრჩევლის 90 პროცენტმა მიიღო მონაწილეობა. არჩევნებში გაიმარჯვეს ვიეტ-მინის ფრონტის კანდიდატებმა.

ეროვნული კრების პირველი სესია გაიხსნა 1946 წლის 2 მარტს. ჩამოყალიბებულ იქნა: ეროვნული ერთიანობის კაბინეტი (ხო ში მინის თავმჯდომარეობით, რომელიც იმავე დროს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტად იქნა არჩეული), ეროვნული თავდაცვის საბჭო, მუდმივი კომიტეტი უმაღლესი ძალაუფლების ფუნქციების შემსრულებლად სესიებს შორის და კომისია, რომელსაც დაეკისრა კონსტიტუციის შემუშავება.

ხანოის შეთანხმება

6 მარტს საფრანგეთის მთავრობამ ხელი მოაწერა ხო ში მინის მთავრობასთან შეთანხმებას, რომლითაც საფრანგეთი ცნობდა ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას, როგორც თავისუფალ სახელმწიფოს, შემავალს ინდო-ჩინეთის ფედერაციაში, ხოლო ამ უკანასკნელის საშუალებით — საფრანგეთის კავშირში. თავის მხრივ ვიეტნამი თანხმობას აცხადებდა მეგობრულად მიეღო საფრანგეთის არმია, როდესაც იგი, საერთაშორისო შეთანხმებათა შესაბამისად, შეცელიდა ჩინეთის ჯარს. ორივე ეს პუნქტი ძალაში უნდა შესულიყო დაუყოვნებლივ. სხვა გადაუწყვეტელი საკითხები კი (ფრანგების მიერ ოკუპირებული საიგონისა და მასთან მდებარე ტერიტორიის (პროვინცია ნამბო) ვიეტნამის დანარჩენ ტერიტორიასთან შემოერთების შესახებ, სხვა სახელმწიფოებთან ვიეტნამის დიპლომატიური დამოკიდებულების შესახებ, ინდო-ჩინეთის სტატუტის შესახებ და სხვა) შემდგომ მოლაპარაკებათა საგანი უნდა ყოფილიყო.

ამ მოლაპარაკებებმა, რომლებიც ზემოხსენებულ შეთანხმებას მოჰყვა (მაგალითად, 1946 წლის 6 აპრილის მოლაპარაკება დალატაში, შემდეგ, ივნისში ფონტენბლოში დაწყებულმა მოლაპარაკებამ), აშკარა გახადეს ის ფაქტი, რომ თურმე საფრანგეთს, როდესაც იგი 6 მარტის შეთანხმებას აწერდა ხელს, მხედველობაში ჰქონდა ვიეტნამის ხალხის სიფხიზლის მოდუნება და ამის შედეგად ვიეტნამის ჩრდილოეთი ნაწილის დაკავება და სამხედრო მოქმედებების მომზადება სამხრეთში. ასე, მაგალითად, ვიეტნამიდან კოხინხინის მოწყვეტის მიზნით საფრანგეთის მთავრობამ 6 მარტის შეთანხმების საწინააღმდეგოდ „თავისუფალ სახელმწიფოდ" სცნო იგი. საფრანგეთის ჯარები განაგრძნობდნენ საიგონისა და ნამბოს მთელი პროვინციის ოკუპაციას, მათ მოახდინეს აგრეთვე სამხრეთ ანამის მთიანი ტაფობის ოკუპაციაც. როდესაც ფონტენბლოში მიმდინარეობდა მოლაპარაკება. ფრანგებმა დალატაში სეპარატიული კონფერენცია მოიწვიეს, რომელშიც მონაწილეობდნენ კამბოჯა, ლაოსი, კოხინხინი და მარიონეტული „სახელმწიფო მოა". მაგრამ, ვინაიდან საფრანგეთს მაშინ ძალა არ შესწევდა საომარი მოქმედება დაეწყო ვიეტნამის წინააღმდეგ, იგი კვლავ შეინიღბა და 1946 წლის 14 სექტემბერს დაადასტურა მის მიერ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის თავისუფალ და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარება.

კონსტიტუციის მიღება. პირველი დემოკრატიული გარდაქმნები

8 სექტემბერს ეროვნული კრების მეორე სესიაზე დამტკიცებულ იქნა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია. კონსტიტუციამ დაადგინა, რომ სახელმწიფოებრივი წყობილების საფუძველს წარმოადგენენ სახალხო საბჭოები, რომლებსაც ირჩევენ თანასწორი, საყოველთაო და პირდაპირი საარჩევნო უფლებით, ფარული წესით. დაწესდა ქალთა და მამაკაცთა თანასწორუფლებიანობა. რესპუბლიკის უმაღლეს ორგანოდ კონსტიტუციამ გამოაცხადა ეროვნული კრება, რომელიც სამი წლის ვადით ირჩევა.

კონსტიტუციამ უზრუნველყო მოქალაქეთათვის სიტყვის, ბეჭდვის, კრებისა და სარწმუნოების აღიარების თავისუფლება, რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა ეროვნების თანასწორუფლებიანობა. კონსტიტუცია ითვალისწინებს უფასო სავალდებულო დაწყებით სწავლებას მშობლიურ ენაზე. კონსტიტუცია ითვალისწინებდა ყველა მოქალაქის უფლებას შრომასა და სოციალურ უზრუნველყოფაზე.

ხო ში მინის მთავრობამ გაატარა რიგი გარდაქმნები აგრარულ ურთიერთობათა სფეროში: 1945 წელს გამოქვეყნდა კანონი საიჯარო ქირის 25 პროცენტით შემცირების შესახებ. აიკრძალა მევახშეობა, გაუქმდა სულადობის მიხედვით გადასახადი, შემცირდა სასოფლო-სამეურნეო გადასახადი. ხელმოკლე გლეხთა-თვის მთავრობამ მოაწყო სახელმწიფო სესხის გაცემა. თემური მიწა გლეხებს შორის ნაწილდებოდა. მაგრამ ამ დეკრეტის შემდგომ გატარებას ხელი შეუშალეს დაწყებულმა სამხედრო მოქმედებამ და რეაქციის მხრივ გაწეულმა წინააღმდეგობამ.

სათესი ფართობის გადიდების მიზნით მთავრობამ წასახალისებელი ზომები შემოიღო. დაიწყო სარწყავი სისტემის აღდგენა. 1947 წლის კანონით ყოველ ვიეტნამელ მოქალაქეს, რომელმაც 18 წლის ასაკს მიაღწია, უფლება ენიჭებოდა 3 ჰექტარი მიწის მიღებისა მხოლოდ მისი სავალდებულო დამუშავების პირობით.

სამრეწველო წარმოების გასაადიდებლად მთავრობა ყოველმხრივ ხელს უწყობდა კერძო და კოოპერაციულ სამრეწველო საწარმოებისა და შინამრეწველთა საქმიანობას. მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით 1947 წლის მარტში შემოღებულ იქნა შრომის კანონი, რომელიც ითვალისწინებდა 48-საათიანი სამუშაო კვირისა და ხელფასის. მინიმუმის დაწესებას, ფეხმძიმე ქალთა-თვის ფასიან შვებულებას, მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებას, საწარმოებში მუშათა კოოპერატივების. მოწყობას და სხვ.

მთავრობამ გაადიდა დაწყებითი სკოლების რაოდენობა, მიიღო ზომები წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოდ.

საფრანგეთის ჯარების მერაგული თავდასხმა ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაზე

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მშვიდობიანი მშენებლობა შეწყდა 1946 წლის 19 დეკემბერს, როდესაც საფრანგეთის ჯარები ვერაგულად თავს დაესხნენ მას. ეს მოხდა მაშინ, როდესაც ფონტენბლოში მოლაპარაკება ჯერ კიდევ გრძელდებოდა. 1947 წლის დასაწყისში საფრანგეთის ჯარებმა დაიპყრეს რესპუბლიკის სატახტო ქალაქი ხანოი.

იმ დროისათვის ვიეტ-მინი მტრისათვის მეტად სამიშ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდა ეს იყო სახალხო-დემოკრატიული ერთიანი ფრონტი, რომელიც მუშათა და გლეხთა კავშირზე იყო დაფუძნებული მუშათა კლასის ხელმძღვანელობით. მასში შედიოდნენ მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც 5 მილიონამდე წევრს ითვლიდნენ. მათ შორის იყვნენ: ვიეტნამის შრომის კონფედერაცია —300 ათასი წევრისაგან შემდგარი, გლეხთა კავშირი, რომელიც მილიონ წევრს ითვლიდა, დემოკრატიულ ქალთა ორგანიზაცია — ორი მილიონი წევრისაგან შემდგარი, ახალგაზრდობის კავშირი, სტუდენტობის კავშირი და სხვ. ერთიან სახალხო-დემოკრატიულ ფრონტში მონაწილეობდნენ მუშები, გლეხები, წვრილი ბურჟუაზია, ეროვნული უმცირესობები, ინტელიგენცია, ეროვნული ბურჟუაზია და მემამულეთა ლიბერალური ნაწილი.

ვიეტნამის სახალხო -განმათავისუფლებელი არმიის პირველმა წარმატებებმა დიდი არეულობა შეიტანა საფრანგეთისა და ამერიკის იმპერიალისტთა ბანაკში. ეს არეულობა მით უფრო იზრდებოდა, რამდენადაც იმ დროს გომინდანის ჯარები მარცხზე მარცხს განიცდიდნენ ჩინეთში.

ბაო დაიხ „იმპერია“

ამერიკის ზეგავლენით 1948 წლის 8 მარტს საფრანგეთსა და ბაო დაის შორის დადებულ იქნა ხელშეკრულება, რომელსაც ხელი მოაწერეს „იმპერატორმა“ ბაო დაიმ და საფრანგეთის პრეზიდენტმა. ეს ხელშეკრულება ცნობდა „დამოუკიდებელ ვიეტნამს“ საფრანგეთის კავშირის ჩარჩოებში. ბაო დაის საფრანგეთის პრეზიდენტის თანხმობით უშუალო დიპლომატიური ურთიერთობის „უფლება“ ეძლეოდა, მას ეძლეოდა აგრეთვე „ნაციონალური“ არმიის შექმნის უფლება, მაგრამ ფრანგი ინსტრუქტორებისა და სპეციალისტების ხელმძღვანელობით და ვიეტნამის გენერალური შტაბის სათავეში ფრანგი უფროსის ყოფნით. ბაო დაი საფრანგეთის მონოპოლიების ინტერესების დაცვას კისრულობდა, იგი კისრულობდა აგრეთვე ვალდებულებას მოეწვია საფრანგეთიდან სპეციალისტები, მონაწილეობა მიეღო საფრანგეთის კავშირის თავდაცვაში და დაეთმო საფრანგეთისათვის სამხედრო ბაზები.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, თავის მხრივ, ამ დროს შეუფარდეს ვიეტნამის სამხრეთ ნაპირებზე სამხედრო დემონსტრაციის ჩატარება; ეს მოეწყო ბაო დაის „მთავრობისათვის“ მხარდაჭერის ნიშნად, ამასთან ამერიკელები გაძლიერებით ამარაგებდნენ იარაღით ბაო დაის არმიას.

ხო ში მინის მთავრობამ მთელი რიგი თავდაცვითი ღონისძიებანი ჩაატარა: შექმნა ეროვნული თავდაცვის უმაღლესი საბჭო. ტროპიკულ ტყეებში აამუშავა საფეიქრო, მეტალურგიული, ფარმაცევტული და სხვა საწარმოები, რომლებიც რესპუბლიკის თავდაცვისათვის საჭირო საგნებს ამზადებდნენ.

იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში გლეხთა ფართო მასების მონაწილეობა და, მაშასადამე, ბრძოლის წარმატებაც დამოკიდებული იყო იმ აგრარულ პოლიტიკაზე, რომელსაც ხო ში მინის მთავრობა ატარებდა დემოკრატიული რევოლუციის განსაზღვრულ ეტაპებზე. გლეხობასთან მუშათა კლასის კავშირი სახალხო-დემოკრატიული რევოლუციის საფუძველს შეადგენდა. ცხადია, ომში გლეხობის მაქსიმალურად ჩათრევის მიზნით საჭირო იყო მათი ძირითადი მოთხოვნილებისა და ინტერესების დაკმაყოფილება.

გლეხობა ქვეყნის მთელი მოსახლეობის 90 პროცენტს შეადგენდა და მას ხელთ ჰქონდა მთელი სახნავი მიწების მხოლოდ 25 პროცენტი, ხოლო მემამულეების, სასულიერო წოდებისა და ფრანგ კოლონიზატორთა ხელში მთელი სახნავი მიწების 75 პროცენტი იყო მოქცეული; ეს მაშინ, როდესაც ისინი ქვეყნის მთელი მოსახლეობის მხოლოდ 5 პროცენტს შეადგენდნენ. გლეხთა ოჯახების 2,5 მილიონს სრულებით არ ჰქონდა მიწა. საიჯარო გადასახადი მოსაელის 50—75 პროცენტამდე აღწევდა.

1949 წელს ხო ში მინის მთავრობამ გამოაქვეყნა დეკრეტი, რომელიც საიჯარო ქირას 25 პროცენტით ამცირებდა. დეკრეტი აუქმებდა გლეხთა ყველა დამატებით ბეგარას, როგორც, მაგალითად, ღალას და სხვ. 1949 წლის დეკემბრის დეკრეტი ითვალისწინებდა სამშობლოს მოღალატეთა და ფრანგ კოლონიზატორთა მიწის საკუთრების კონფისკაციას, რომელიც უმიწაწყლო და მცირემიწიან გლეხობას უნდა გადასცემოდა დროებით სარგებლობაში.

1950 წელს ხო ში მინის მთავრობამ დეკრეტი გამოაქვეყნა ჩარჩული სესხის პროცენტის შემცირების შესახებ. 1951 წელს დაიწყო ღონისძიებების გატარება თემურ სარგებლობაში მყოფი მიწების ხელახლა გასანაწილებლად და ამ მიწების ჩამოსართმევად იმ პირთათვის, ვინც იგი უკანონოდ მიიტაცა. კონ-

ფისკაციაქნილი და ჩამორთმეული მიწები ურიგდებოდა მცირემიწიან და უმიწაწყლო გლეხებს დროებით გამოსაყენებლად. შემოღებულ იქნა აგრეთვე ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი, რომლის გამოანგარიშება ხდებოდა არა მარტო მოსავლისა და ოჯახში სულადობის რაოდენობის მიხედვით, არამედ გადასახადის გადამხდელის სოციალური მდგომარეობის მხედველობაში მიღებითაც[1].

მთავრობის აგრარულმა ღონისძიებებმა, რომლებიც გლეხთა ფართო მასებს აქტიური მონაწილეობით ტარდებოდა, მნიშვნელოვნად განამტკიცეს სახალხო დემოკრატიული ფრონტი. განმტკიცდა კავშირი მუშათა კლასსა და მშრომელ გლეხობას შორის მუშათა კლასის ხელმძღვანელობით. 1951 წელს ვიეტნამის კომუნისტურ პარტიას სახელი გამოეცვალა და ეწოდა მშრომელთა პარტია. უფრო ფართო საფუძველზე შეიქმნა ვიეტნამის ეროვნული კავშირი — ლიონ-ვიეტი.

ფრონტზე მოპოვებულმა წარმატებებმა და ქვეყნის შიგნით გატარებულმა გარდაქმნებმა აამაღლეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საერთაშორისო აუტორიტეტი. ამას დიდად შეუწყო ხელი 1950 წელს საბჭოთა კავშირისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ცნობამ. ამას მოჰყვა სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მიერ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ცნობაც.

ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲘᲡ. ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲝ ᲓᲐᲘᲡ ᲯᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲠᲪᲮᲘ ᲤᲠᲝᲜᲢᲖᲔ

იმპერიალისტებზე დაყრდნობით ფეოდალებმა და კომპრადორებმა ქვეყნის სამხრეთ ნაწილში დაამყარეს უსასტიკესი ტერორისტული რეჟიმი. ლიკვიდირებულ იქნა დემოკრატიული უფლებები; ეროვნული თვითშეგნების ოდნავი გამოვლინებაც კი მკაცრი რეპრესიებით იდევნებოდა.

მნიშვნელოვანი ეკონომიური პოზიციები უცხოელ მონოპოლისტთა ხელში იყო მოქცეული. იძარცვებოდა სამხრეთ ვიეტნამის ბუნებრივი სიმდიდრეები. ალვირახსნილმა სპეკულაციამ, განსაკუთრებით ინდო-ჩინეთის პიასტრებით სპეკულაციამ, ისეთი ზღაპრული შემოსავალი მისცა ფრანგ საქმოსნებს, რომ ეს საკითხი საფრანგეთის პარლამენტში სპეციალური მსჯელობის საგანიც კი გახდა. ხალხი პოლიტიკურ უუფლებობასა და სიღარიბეში ღაფავდა სულს. ბრინჯის ყანები დაუმუშავებლად რჩებოდა, შაქრის ლერწმის პლანტაციები მიტოვებულ იქნა, დაეცა მრეწველობა, გაიზარდა უმუშევრობა.

სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის წინააღმდეგ ბრძოლა უდიდეს მსხვერპლსა და სახსრებს მოითხოვდა. სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის წარმატებებს არ შეეძლო გაელენა არ მოეხდინა ბაო დაის არმიასა და ადგილობრივი მოსახლეობის მორალურ სულისკვეთებაზე.

1946 წლის დეკემბრიდან 1953 წლის ივლისამდე ვიეტნამის სახალხო-განმათავისუფლებელმა არმიამ მწყობრიდან გამოიყვანა საფრანგეთისა და ბაო დაის არმიების 281.341 ჯარისკაცი და ოფიცერი. საფრანგეთის საექსპედიციო კორპუსმა 1953 წელს თავისი შეტევის 10 თვის განმავლობაში დაკარგა 55.988 კაცი, მათგან მოკლულ იქნა 40.386, ტყვედ ჩავარდა 15.620 კაცი.

ფინანსური მხრივ ეს ომი სრულებით აუტანელი შეიქნა საფრანგეთისათვის,

---

[1] С. Мхитарян. Десять лет Демократической Республики Вьетнам, „Вопросы экономики" № 9, 1955, эз. 74.

რომელსაც იგი დაუჯდა 3.000 მილიარდ ფრანკად. ინფლიაციამ, სახელმწიფო ბიუჯეტის დიდმა დეფიციტმა, ახალი გადასახადების შემოღებამ, ხელფასის გაყინვამ და სხვა ამგვარმა მოვლენებმა გამოიწვიეს მთავრობის კრიზისების მთელი სერია.

ვიეტნამის ომმა საფრანგეთში „ბინძური ომის" სამარცხვინო სახელი დაიმსახურა. ტულონისა და მარსელის დოკერებმა უარი განაცხადეს ვიეტნამში გასაგზავნი გემების დატვირთვაზე. ტულონის მეზღვაური ანრი მარტენი დაპატიმრებულ იქნა იმისათვის, რომ უარი განაცხადა ვიეტნამის ხალხის წინააღმდეგ ბრძოლაზე. ტურში რაიმონდა დიენი გაწვა რელსებზე, რათა ხელი შეეშალა მატარებლის გავლისათვის, რომელიც ვიეტნამის ფრონტზე გასაგზავნი ტანკებით იყო დატვირთული. იგი დააპატიმრეს და დასაჯეს. მაგრამ ხალხი მის სახელს პატივს სცემს, როგორც ეროვნული გმირის სახელს.

ვიეტნამში წარმოებული „ბინძური ომის" წინააღმდეგ დაირაზმა მთელი მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრი. პროფკავშირთა მსოფლიო კონგრესმა 19 დეკემბერი — ვიეტნამის ხალხის ეროვნული წინააღმდეგობის დღე — გამოაცხადა ვიეტნამელ ხალხთა აქტიური სოლიდარობის საერთაშორისო დღედ, ვიეტნამში ომის შეწყვეტისათვის ბრძოლის დღედ.

1953 წელს ხო ში მინმა განაცხადა, რომ მისი მთავრობა მზადაა აწარმოოს მოლაპარაკება საომარ მოქმედებათა შეწყვეტის შესახებ. ამ განცხადებამ გამოძახილი ჰპოვა საფრანგეთის ბურჟუაზიის განსაზღვრულ ნაწილში, რომლისთვისაც თვალსაჩინოდ ცხადი გახდა, რომ საფრანგეთის კორპუსი მეტად უძლური იყო გამარჯვება მოეპოვებინა ვიეტნამის სახალხო-განმათავისუფლებელ არმიაზე. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბიდომ მზადყოფნა გამოთქვა ჟენევაში თათბირის მოწვევაზე ინდო-ჩინეთის საკითხის გამო. დალესის ცდები — არ დაეშვა ჟენევის თათბირის მოწვევა — ჩაიფუშა.

ამერიკის სარდლობის მიერ ნაკარნახევი ნავარის სამხედრო გეგმის ჩაფუშვამ და დიენ-ბიენ ფუში საფრანგეთის ჯარების კატასტროფამ საბოლოოდ განსაზღვრეს საფრანგეთის პოზიციები და ახალმა პრემიერმა მენდეს-ფრანსმა აზრი გამოთქვა ინდო-ჩინეთში მშვიდობის აღდგენის სასარგებლოდ. ეს ამოცანა უნდა გადაეწყვიტა 1954 წელს მოწვეულ ჟენევის თათბირს, რომელზედაც ორი საკითხი იდგა — კორეისა და ინდო-ჩინეთისა. ამერიკის შეერთებული შტატების მიზეზით კორეის საკითხი ვერ იქნა მოწესრიგებული, ხოლო ინდო-ჩინეთის საკითხის შესახებ მოლაპარაკება, რომელიც 8 მაისიდან 21 ივლისამდე გრძელდებოდა, დაზავებაზე შეთანხმებით დამთავრდა, მიუხედავად ამერიკის შეერთებული შტატების მხრივ გაშმაგებული წინააღმდეგობის გაწევისა.

ჟენევის თათბირი ინდო-ჩინეთის საკითხის შესახებ და მისი გადაწყვეტილებები

ინდო-ჩინეთის საკითხის შესახებ მოწვეულ ჟენევის თათბირში მონაწილეობას ღებულობდა ხუთი დიდი სახელმწიფო — საბჭოთა კავშირი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, აშშ, ინგლისი და საფრანგეთი, აგრეთვე ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელი და სამი ეგრეთ წოდებული მიერთებული სახელმწიფოს ბაო დაის ვიეტნამის, ლაოსისა და კამბოჯის წარმომადგენლები. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სცადეს საბოტაჟის გამოცხადება ჟენევის თათბირისათვის და სახელმწიფო დეპარტამენტი კიდეც იმუქრებოდა, რომ ვერც დალესი და ვერც მისი მოადგილე სმიტი მონაწილეობას

ვერ მიიღებენ თათბირზეო. მაგრამ, როდესაც აშკარა გახდა, რომ თეიო ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის დაუსწრებლადაც ინგლისი და საფრანგეთი დაიწყებენ ჟენევაში მოლაპარაკებას, დალესი სასწრაფოდ გაფრინდა პარიზს მენდეს-ფრანსთან და იდენთან სეპარატიული მოლაპარაკების საწარმოებლად, სმიტი კი ჩავიდა ჟენევაში. საბჭოთა კავშირის მიერ შეიღებულმა ზომებმა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ დაკავებულმა პოზიციამ ჟენევის კონფერენცია კეთილსასურველ დაბოლოებამდე მიიყვანეს.

ჟენევის თათბირზე ხელმოწერილ იქნა შეთანხმება ვიეტნამის სახალხო არმიის სარდლობასა და ინდო-ჩინეთში საფრანგეთის კავშირის შეიარაღებული ძალების სარდლობას შორის. შეთანხმება ითვალისწინებდა ვიეტნამში საომარი მოქმედების შეწყვეტას და ჩრდილოეთ და სამხრეთ ვიეტნამს შორის დროებითი სადემარკაციო ხაზის დაწესებას, რომელიც მე-17 პარალელის . რამდენადმე სამხრეთით უნდა გავლებულიყო. ამის შესაბამისად გათვალისწინებული იყო როგორც ერთი, ისე მეორე მხარის შეიარაღებულ ძალთა გადაჯგუფება. შეთანხმება ითვალისწინებდა ვიეტნამში უცხო ქვეყნების შეიარაღებულ ძალთა და უცხო სამხედრო პერსონალის შემოყვანის აკრძალვას, აგრეთვე ყოველგვარი იარაღისა და სამხედრო მასალის შემოტანის აკრძალვას. აკრძალული იყო ვიეტნამის მთელ ტერიტორიაზე ახალი სამხედრო ბაზების შექმნა. ორივე მხარის გადაჯგუფების ზონაში არ შეიძლებოდა უცხო სახელმწიფოს არც ერთი სამხედრო ბაზა შექმნილიყო. ორივე მხარეს თვალყური უნდა ედევნებინა იმისათვის, რომ მათთვის მიჩნეული ზონები არ შესულიყვნენ არავითარ სამხედრო კავშირში და არ ყოფილიყვნენ გამოყენებული საომარ მოქმედებათა განახლების ან აგრესიული პოლიტიკის სამსახურისათვის.

კამბოჯისა და ლაოსის მთავრობებმა იკისრეს ვალდებულება არ მიიღონ სამხედრო კავშირებში მონაწილეობა და არ დაუშვან თავიანთ ტერიტორიებზე უცხო სახელმწიფოთა სამხედრო ძალებისათვის ბაზების შექმნა, სანამ მათს უშიშროებას საფრთხე არ დაემუქრება. ორივე მთავრობამ უარი განაცხადა უცხო სახელმწიფოთაგან სამხედრო დახმარების მიღებაზე.

ცალკე დოკუმენტში საფრანგეთის მხარე აცხადებდა, რომ მას „განზრახული აქვს გაიყვანოს თავისი ჯარები კამბოჯიდან, ლაოსიდან და სამხრეთ ვიეტნამიდან დაინტერესებულ მთავრობათა თხოვნით იმ ვადებში, რაც ამ მთავრობებთან შეთანხმებით იქნება დაწესებული, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ორი მხარის შეთანხმებით საფრანგეთის ჯარის რამდენიმე ნაწილი შეიძლება დატოვებულ იქნეს დაწესებულ პუნქტებში განსაზღვრული ვადით. საფრანგეთის მთავრობამ აგრეთვე განაცხადა, რომ როდესაც მოწესრიგებული იქნება ის პრობლემები, რომლებიც კამბოჯაში, ლაოსსა და ვიეტნამში მშვიდობის აღდგენასა და განმტკიცებასთანაა დაკავშირებული, მაშინ იგი (საფრანგეთი) იხელმძღვანელებს პატივისცემით თითოეული ამ სახელმწიფოს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი.

ჟენევის გადაწყვეტილებებში მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შეთანხმების მიღწევას 1956 წლის ივლისის განმავლობაში ვიეტნამში საყოველთაო თავისუფალი არჩევნების ჩატარების შესახებ, რომლის საფუძველზე უნდა განხორციელებულიყო ქვეყნის ეროვნული გაერთიანება მშვიდობიან პირობებში და ვიეტნამის ხალხის ეროვნული ინტერესების შესაბამისად. შეთანხმებით გათვა-

ლისწინებული იყო ამ არჩევნებისათვის მზადების დაწყება 1955 წლის 20 ივლისიდან. გათვალისწინებული იყო აგრეთვე ლაოსსა და კამბოჯაში საყოველთაო არჩევნების ჩატარება 1955 წელს ფარული კენჭისყრით და დემოკრატიულ თავისუფლებათა დაცვის პირობებში.

ვიეტნამში, კამბოჯასა და ლაოსში საომარ მოქმედებათა შეწყვეტის შესახებ მიღწეული შეთანხმების შესრულებაზე პასუხისმგებლობა ეკისრებოდა ორივე მხარეს. ჟენევის დადგენილებათა შესრულებაზე მეთვალყურეობა და კონტროლი ეკისრებოდა საერთაშორისო კომისიას ინდოეთის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და კანადის წარმომადგენელთა შემადგენლობით.

1954 წლის 21 ივლისს ხელმოწერილ დასკვნითს დეკლარაციაში თანბირის მონაწილეებმა ვალდებულება იკისრეს თავი შეიკავონ ვიეტნამის, ლაოსისა და კამბოჯის შინაურ საქმეებში ჩარევისაგან, პატივი სცენ ამ ქვეყნების დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს, ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა სმიტმა განაცხადა, რომ მისი მთავრობა არ არის თანახმა შეუერთდეს ამ დეკლარაციას. მაგრამ იმის შიშით, რომ მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი ცუდად არ გამოხმაურებოდა ამერიკის ასეთ ნაბიჯს, სმიტმა თავის განცხადებას დაუმატა: ამერიკის შეერთებული შტატები კისრულობენ ვალდებულებას თავი შეიკავონ ჟენევის შეთანხმებათა დარღვევისაგან და ზემოაღნიშნული შეთანხმებათა ყოველგვარი დარღვევა ისე განიხილონ, როგორც მოვლენა, რომელიც სერიოზულ საშიშროებას უქადის საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებასო.

აგრარული რეფორმის ჩატარება ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში

ჟენევის შეთანხმებებმა, რომლებმაც ბოლო მოუღეს ინდო-ჩინეთში სისხლის ღვრას, ვიეტნამის ხალხის წინაშე გადაშალეს მშვიდობიანი ეკონომიური და კულტურული მშენებლობის ფართო პერსპექტივები. საჭირო იყო ომის მიერ მიყენებული ჭრილობების მოშუშება, წარმოების გაფართოება, მშვიდობის განმტკიცება, ქვეყნის ერთიანობის უზრუნველყოფა, სრული ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვება.

ამ ამოცანათა შესასრულებლად ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო სახალხო მეურნეობის აღდგენის ორწლიანი პროგრამა 1955-1956 წლებისათვის. პროგრამა ითვალისწინებდა სახალხო მეურნეობის აღდგენას ომამდელ დონემდე, — ხოლო შემდეგ კი მის გეგმიან განვითარებაზე გადასვლას. 1955 წლის ოქტომბერში ჩამოყალიბდა სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, შემუშავებულ იქნა სახალხო მეურნეობის აღდგენის გეგმა 1956 წლისათვის.

აღდგენითი სამუშაოების ჩატარებასთან ერთად მთავრობა ერთდროულად შეუდგა მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი გარდაქმნების განხორციელებას, რომლებიც ძირეულად უცვლიდნენ სახეს ქვეყანას. ამ გარდაქმნებში განსაკუთრებული ადგილი დაიკავეს აგრარულმა რეფორმამ და იმ ზომებმა, რომლებიც მრეწველობისა და ვაჭრობის სახელმწიფო და კოოპერაციული სექტორის განმტკიცებისაკენ იყო მიმართული. ამ გარდაქმნათა აზრი ის იყო, რომ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა თანდათან სოციალიზმის გზით წასულიყო.

მთავრობის აგრარულ ღონისძიებებს საფუძვლად დაედო აგრარულ სა-

�itosში მშრომელთა პარტიის პროგრამა, რომელიც 1953 წლის ნოემბერში იყო მიღებული. პროგრამა ითვალისწინებდა მიწათმფლობელობის ფეოდალური სისტემის რეფორმას, მიწაზე ფეოდალ-მემამულეთა საკუთრების მოსპობას და ლოზუნგის — „მიწა იმათ, ვინც მას ამუშავებს“ — განხორციელებას. „ჩვენი გენერალური ხაზი, — ამბობდა ხო ში მინი, — იმაში მდგომარეობს, რომ დაეეყრდნოთ ღარიბ გლეხებსა და სოფლის მეურნეობის მუშებს, მჭიდროდ გაეერთიანდეთ საშუალო გლეხობასთან, შეეუთანხმდეთ კულაკებს, და ნაბიჯნაბიჯ, სხვადასხვაგვარ გარემოებაში ოსტატურად გარკვევით, ვიაროთ იქითკენ, რათა აღვგაეოთ პირისაგან მიწისა ფეოდალური ექსპლოატაციის რეჟიმი, განვავითაროთ წარმოება...“[1]

კანონი აგრარული გარდაქმნების ორ სტადიას ითვალისწინებდა. პირველ სტადიაზე ხდებოდა საჯარო ქირის შემცირება და ერთდროულად მიმდინარეობდა მიწის ნაწილობრივი ჩამორთმევა იმ მემამულეებზე, რომლებიც სისტემატურად გაურბოდნენ კანონის შესრულებას საჯარო ქირის შემცირების შესახებ. მეორე სტადიაზე მემამულე-გამცემლების, რეაქციონერებისა[2] და ეგრეთ წოდებული დესპოტი-მემამულეების მიწის[3] კონფისკაცია იყო გათვალისწინებული. მიწა უნდა ყოფილიყო გამოსყიდული იმ მემამულეთაგან, რომლებიც პატრიოტულად იყვნენ განწყობილი. მთელი ჩამორთმეული მიწა გლეხობას უნდა გადასცემოდა საკუთრებად. ჩამოყალიბებულ იქნა პირველი სახელმწიფო მეურნეობები — სახმეურნეობა (სულ 9 სახმეურნეობა), რომლებიც აღჭურვილი იქნენ სსრ კავშირიდან და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებიდან მიღებული ტრაქტორებითა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებით.

საჯარო ქირის შემცირება გატარდა 8 მილიონი ადამიანით დასახლებულ ტერიტორიაზე, ხოლო ძირეული აგრარული ღონისძიებები — 4 მილიონი ადამიანით დასახლებულ ტერიტორიაზე[4]. საჯარო ქირის შესამცირებლად ჩატარებული კამპანიების შედეგად მემამულეებს ჩამოერთვა და გლეხობას გადაეცა 15.267 ჰექტარი მიწა, 9.291 ცენტნერი ბრინჯი და 8.246 სული პირუტყვი. ერთდროულად მემამულეებმა დაუბრუნეს გლეხებს 311.103 ცენტნერი ბრინჯი, რომელიც უკანონოდ იყო მემამულეების მიერ გლეხებისაგან მიტაცებული საჯარო ქირის სახით. აგრარული რეფორმის გატარების შედეგად, რამაც 1.594 სა[5] მოიცვა, ორ-ნახევარმა მილიონმა უმიწაწყლო და მცირე მიწის მქონე გლეხობამ მიიღო 296.895 ჰექტარი მიწა, 51.894 სული მუშა საქონელი, 600 ათასზე მეტი სხვადასხვაგვარი სასოფლო-სამეურნეო იარაღი, 60.233 ნაგებობა და 10.759 ცენტნერი სურსათი.

1956 წელს დამთავრდა აგრარული რეფორმა. დაახლოებით 8 მილიონმა

---

[1] Демократическая Республика Вьетнам. Конституция, законодательные акты, документы. Издание иностранной литературы, 1955, გვ. 208.

[2] რეაქციონერებად ის პირები ითვლებოდნენ, რომლებიც თუმცა მტერთან უშუალოდ არ თანამშრომლობდნენ, მაგრამ ისეთ ქმედებას ჩადიოდნენ, რაც სახალხო-დემოკრატიული რეჟიმის წინააღმდეგ იყო მიმართული.

[3] დესპოტები იყვნენ ის პირები, რომლებიც, ჩაიგდებდნენ რა ხელში ძალაუფლებას, თავის მდგომარეობას იყენებდნენ მოსახლეობის ექსპლოატაციისა და ძარცვისათვის. ისინი აწყობდნენ მკვლელობებს, ემუქრებოდნენ გლეხებს და დიდ ზიანს აყენებდნენ გლეხობის მდგომარეობას და ქონებას.

[4] „Международная жизнь“, № 4, 1956, გვ 128.

[5] სა — დაბალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიალური ერთეული, რომელიც მიახლოებით ჩვენს ძველებურ თემს ეფარდება.

გლეხმა მიიღო მემამულეთა მიწა, მუშა საქონელი და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი.

აგრარულმა რეფორმამ მთლიანად შეცვალა ვიეტნამის სოფლის სახე და განამტკიცა სახალხო-დემოკრატიული ფრონტი. გადიდდა გლეხთა აქტივობა ომსა და შრომაში. 19 ათასზე მეტი გლეხი შევიდა მშრომელთა პარტიაში. სამ მილიონზე მეტი გლეხი შევიდა გლეხთა კავშირში.

1955 წლის მეორე ნახევრიდან ვიეტნამის გლეხობამ დაიწყო თანდათანობით კოლექტიურ წარმოებაზე გადასვლა. ეს ხდებოდა შრომითი ურთიერთობის ჯგუფების დაარსების გზით, რაც საწარმოო კოოპერაციის უმარტივეს ფორმას წარმოადგენდა. ეს ფორმა ვიეტნამის სოფელში ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის ჩანასახი იყო. 1956 წლის ნახევრისათვის მთელს ვიეტნამში ითვლებოდა დაახლოებით 160 ათასი შრომითი ურთიერთდახმარების ჯგუფი, რომლებშიც მთელი გლეხთა მეურნეობის 50 პროცენტი იყო გაერთიანებული.

აგრარულმა რეფორმამ მნიშვნელოვნად გაადიდა სათესი ფართობი, აამაღლა მოსავლიანობა, შრომის ნაყოფიერება და გაუმჯობესა გლეხთა მატერიალური კეთილდღეობა. 1955 წელს ბრინჯის მოსავალი 3,5 მილიონ ტონას შეადგენდა, ე. ი. თითქმის 980 ათასი ტონით მეტს, ვიდრე 1954 წელს. 1956 წელს ბრინჯის წარმოება სულზე 303 კილოგრამს შეადგენდა, რაც 91 კილოგრამით აღემატება 1939 წლის მოსავლიანობას ყოველ სულზე.

აღდგენილ იქნა დიდი და საშუალო საირიგაციო სისტემები. ამან უზრუნველყო დაახლოებით 700 ათასი ჰექტარი მანამდე დაუმუშავებელი მიწის მორწყვა; 1955 წელს ნათესი ფართობი 30 პროცენტით გადიდდა. გლეხობას ეძლეოდა სახელმწიფოსაგან დახმარება სესხის სახით, ვითარდებოდა სასოფლო-სამეურნეო სარეწები, მესაქონლეობა და სხვა.

მრეწველობის აღდგენა და სოციალისტური გარდაქმნები

ეროვნული მრეწველობის განვითარებას ხელს უშლიდნენ ფეოდალური გადანაშთები სოფლად. ომის წლებში ბევრი სამრეწველო საწარმო დანგრეულ იქნა. საომარ მოქმედებათა დამთავრების შემდეგ სამუშაოები მრეწველობის აღსადგენად დიდი მასშტაბით გაიშალა. ეს სამუშაოები დაუკავშირდა სოციალისტური ტიპის გარდაქმნებს, კერძოდ, მეურნეობის სახელმწიფო კოოპერაციული და სახელმწიფო-კაპიტალისტური სექტორების ფორმირებას. სახელმწიფო საწარმოები დღევანდელ პირობებში უკვე ხელმძღვანელ როლს ასრულებენ ქვეყნის მთელ მრეწველობაში.

სახელმწიფო სექტორის ჩამოყალიბება ძირითადად სამი გზით მიმდინარეობდა: უცხო ქვეყნების მოქალაქეთა კუთვნილი საწარმოთა გამოსყიდვის გზით, იმ საწარმოთა კონფისკაციის გზით, რომლებიც კომპრადორული ბურჟუაზიის საკუთრებას შეადგენდნენ, და სახელმწიფოს ხარჯზე ახალ საწარმოთა მშენებლობის გზით.

გატარებული ღონისძიებები მრეწველობის აღდგენასა და განვითარებას უწყობდნენ ხელს. უკვე 1955 წელს რესპუბლიკაში ბევრმა საწარმომ და დაახლოებით 10 ათასმა სხვადასხვა შინამრეწველურმა სახელოსნომ განაახლა მუ-

შაობა. 1955 წლის პირველ ნახევარში შახტებმა ორ-ნახევარჯერ მეტი ნახშირი მისცეს ქვეყანას. რესპუბლიკაში სამრეწველო წარმოება 1956 წელს ექვსჯერ გაიზარდა 1955 წელთან შედარებით, ხოლო სახელმწიფო მრეწველობის საერთო პროდუქცია — 8-ჯერ. სოციალისტურმა და ნახევრად სოციალისტურმა სექტორებმა ქვეყნის სახალხო მეურნეობაში უკვე ხელმძღვანელი როლის შესრულება დაიწყეს.

მთავრობამ სერიოზული ყურადღება მიაქცია შინამრეწველობის განვითარებას. სასოფლო-სამეურნეო იარაღების მწარმოებელ სახელოსნოთა რიცხვი გაიზარდა 1700 სახელოსნოდან (1954 წელს) 3000-მდე 1955 წლის დამლევისათვის.

ტრანსპორტი, მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობა, განათლება ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში

გაიშალა რკინიგზისა და გზატკეცილის ტრანსპორტის აღდგენითი სამუშაოები. სულ მოკლე ვადაში აღდგენილ იქნა 600 კილომეტრის სიგრძის რკინიგზა. ხანოისა და ხაიფონის განთავისუფლების შემდეგ რკინიგზების საერთო სიგრძე 1955 წლის დამლევისათვის 4-ჯერ გადიდდა. მოკლე ვადაში მარტო ხანოი-ნამუკანის რკინიგზაზე დამატებით გაყვანილ იქნა 187 კილომეტრი გზა, აშენდა 30 ხიდი, 21 ვაგზალი და სხვ. 1955 წელს აღდგენილ იქნა მიმოსვლა ხანოისა და ნამკუანს შორის, ხანოისა და პეკნს შორის.

ახალ საწარმოთა მშენებლობამ და ძველების აღდგენამ უმუშევართა რაოდენობა შეამცირა. 1955 წელს 80 ათასი უმუშევრიდან სამოცმა ათასმა უკვე მიიღო სამუშაო. ხონ-გაის განთავისუფლების შემდეგ მუშათა რაოდენობა 320 პროცენტით გაიზარდა. საგრძნობლად გაუმჯობესდა მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობა. გადიდდა მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასი.

ფრანგ კოლონიზატორთა ბატონობის დროს მოსახლეობის ცხრა მეათედი წერა-კითხვის უცოდინარი იყო. რესპუბლიკის არსებობის წლების განმავლობაში 10 მილიონმა ადამიანმა დაამთავრა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო კურსები. გაფართოვდა ზოგად-საგანმანათლებლო სკოლების ქსელი, მათ შორის იმ რაიონებში, სადაც ეროვნული უმცირესობა ცხოვრობს; იხსნება დაწყებითი და საშუალო სკოლები; რესპუბლიკაში არსებობს უნივერსიტეტი და სხვა უმაღლესი სასწავლებლები.

საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური განაკის ძმეუნიბის დახმარება ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისადმი

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის აღდგენის საქმეში უდიდესი როლი შეასრულა საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მხრივ გაღებულმა უანგარო დახმარებამ. საბჭოთა მთავრობამ უსასყიდლოდ გადასცა ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას 400 მილიონი მანეთი. ამ სახსრების ნაწილი გამოყოფილ იქნა 25 სამრეწველო და კომუნალური საწარმოს მშენებლობისათვის, რომლებიც საბჭოთა კავშირის დახმარებით იგება. საბჭოთა კავშირი დახმარებას უწევს ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას სპეციალისტების მომზადებაში, გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოების ჩატარებაში, ინფექციურ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში და სხვ.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ საჩუქრად მისცა ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას 800 მილიონი იუანი რკინიგზების, გზატკეცილებისა და ხიდების ასაგებად და ფაბრიკებისა და ქარხნების ასაშენებლად.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაც შეძლებისამებრ დაეხმარა ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას ხორცით, კარაქითა და მესაქონლეობის სხვა პროდუქტებით, აგრეთვე ცოცხალი ჯოგის გაგზავნით მესაქონლეობის შეურნეობის მოსაწყობად[1].

ევროპის სახალხო-დემოკრატიულმა ქვეყნებმა შეძლებისამებრ გაუწიეს დახმარება ახალგაზრდა რესპუბლიკას. გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ საჩუქრად მიუძღვნა ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას 500-საწოლიანი ჰოსპიტალი.

ვითარდება ვაჭრობა ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და სოციალისტური ბანაკის სხვა ქვეყნებს შორის. ეს ურთიერთობანი აგებულია თანასწორობაზე, ურთიერთსარგებლიანობასა და სურვილზე — დაეხმარონ ვიეტნამის ხალხს კოლონიური გადანაშთებისაგან თავის დაღწევის საქმეში და იაროს ამ ხალხმა სოციალისტური გარდაქმნის გზით.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მონაწილეობა ბანდუნგის კონფერენციაში

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საერთაშორისო მდგომარეობის თავისებურებებმა განაპირობეს მისი საგარეო პოლიტიკა. ეროვნული გაერთიანების საკითხი და მშვიდობისათვის ბრძოლა ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედი გახდა.

1954 წლის ოქტომბერში ხო ში მინმა ინდოეთის პრემიერ-მინისტრ ნერუსთან მოლაპარაკებისას განაცხადა, რომ მას სავსებით სწამს მშვიდობიანი თანაარსებობის ხუთი პრინციპი და სურს გამოიყენოს ეს პრინციპები თავის ურთიერთობებში ვიეტნამსა, ლაოსსა და კამბოჯას შორის. 1955 წლის აპრილში რანგუნში ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ ფამ ვან დონგმა ბირმის პრემიერ-მინისტრ უ ნუსთან ხელი მოაწერა კომუნიკეს იმის შესახებ, რომ მშვიდობიანი თანაარსებობის ხუთმა პრინციპმა უნდა უზრუნველყოს მშვიდობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის საფუძველი სამხრეთ-აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის. იმავე წლის აპრილში ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა მონაწილეობდა აზიისა და აფრიკის ქვეყნების ბანდუნგის კონფერენციაში.

1955 წლის ივნის-ივლისში ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციამ ხო ში მინის მეთაურობით იმოგზაურა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირში. პეკინსა და მოსკოვში წარმოებულ მოლაპარაკებათა შედეგად გამოქვეყნებული ერთობლივი კომუნიკეები მოწმობენ სოციალისტური ბანაკის ხალხთა ურღვევ მეგობრობას, მათს ძმურ თანამშრომლობას.

---

[1] Развитие экономики стран народной демократии Азии, конъюнктурный институт МВТ СССР. Внешторгиздат, 1956, зд. 232—233.

სამამულო ფრონტის შექმნა და მისი პროგრამა. ვიეტნამის ხალხის გრძოლა ძველების გაერთიანებისათვის

ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მერვე პლენუმმა, რომელიც 1955 წლის 16—20 აგვისტოს მიმდინარეობდა, ძირითად ამოცანად მიიჩნია ქვეყნის ჩრდილოეთი და სამხრეთი ნაწილების დემოკრატიული ძალების შემეიდროება და საყოველთაო თავისუფალი არჩევნებისათვის მომზადება პოლიტიკური საკონსულტაციო კონფერენციის მოწვევის გზით ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სამხრეთ ვიეტნამის ხელისუფალთა წარმომადგენლების მონაწილეობით.

მშრომელთა პარტიაში ამ დროისათვის 700 ათასი წევრი ირიცხებოდა. 1955 წლის სექტემბერში სხვადასხვა დემოკრატიული პარტიების, სახალხო ორგანიზაციებისა და პატრიოტულად განწყობილ მოღვაწეთა ინიციატივით ხანოიში მოწვეულ იქნა ლიონ-ვიეტის ეროვნული ყრილობა. ყრილობამ დაადგინა შეიქმნას ვიეტნამის სამამულო ფრონტი და დაამტკიცა მისი პროგრამა. სამამულო ფრონტში შევიდნენ: მშრომელთა პარტია, როგორც წამყვანი ხელმძღვანელი პარტია, დემოკრატიული და სოციალისტური პარტიები, ვიეტნამის შრომის საერთო კონფედერაცია, ქალებისა და ახალგაზრდობის დემოკრატიული ორგანიზაციები, გლეხთა კავშირები, რომლებიც რამდენიმე მილიონ წევრს ითვლიდნენ, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა საზოგადოება. ვიეტნამ-საბჭოთა და ვიეტნამ-ჩინეთის მეგობრობის საზოგადოებები და სხვა ორგანიზაციები.

სამამულო ფრონტის პროგრამა წარმოადგენდა მშვიდობისმოყვარე, გაერთიანებული, დემოკრატიული და აყვავებული ვიეტნამისათვის ბრძოლის პროგრამას. ანგარიშს უწევდა რა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილ გარემოებას, რამაც ქვეყანა დროებით გაყო ორ ზონად, რომლებშიც სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილება არსებობდა. პროგრამა წინადადებას იძლეოდა გადაწყვეტილიყო ქვეყნის გაერთიანების პრობლემა დამოუკიდებლობისა და დემოკრატიის საფუძველზე, ორივე ზონას შორის შეთანხმების გზით, იმ გაგებით, რომ არც ერთი არ ისწრაფოდეს ზეგავლენა მოახდინოს მეორეზე ან განიზრახოს მისი დაპყრობა.

ქვეყნის გასაერთიანებლად პირველი ნაბიჯების გადადგმის მიზნით ხო ში მინის მთავრობამ განაცხადა, რომ იგი მზადაა აღადგინოს ნორმალური ურთიერთობა ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის, საშუალება მისცეს მოსახლეობას თავისუფლად გადაინაცვლოს ადგილი ზონიდან ზონაში და გაფართოოს ეკონომიური, კულტურული და მეცნიერული კავშირი ჩრდილოეთ და სამხრეთ ვიეტნამს შორის. იმავე დროს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის სამინისტრომ გამოაქვეყნა ცნობა, რომ საშუ მისცემს ყველას, ვინც მოისურვებს სამხრეთში გადასახლებას. იმისათვის, რომ გაეადვილებინა სამშობლოში დაბრუნება იმ მოქალაქეთათვის, რომლებიც მოტყუებით ან ძალით იყვნენ განდევნილნი სამხრეთში, ხო ში მინის მთავრობამ გადაწყვიტა შეუნარჩუნოს მათ თავიანთი კუთვნილი სახლები, მიწა, ბრინჯის ყანები და სხვა ქონება[1].

ჟენევის შეთანხმებებით გათვალისწინებული თავისუფალი საყოველთაო არჩევნების წინ კონსულტაციის ჩატარების ვადის მოახლოებასთან დაკავში-

---

[1] П. Ефимов, Демократическая Республика Вьетнам на пути строительства новой жизни. „Международная жизнь", № 6, 1955, გვ. 46.

რებით ხო ში მინის მთავრობამ 6 ივნისს განაცხადა თავისი მზადყოფნა ჩატარის სამხრეთ ვიეტნამის ხელისუფალთა კომპეტენტურ წარმომადგენლებთან საკონსულტაციო კონფერენცია. მაგრამ მეორე — მოპირდაპირე მხარემ უარყოფითი პოზიცია დაიკავა.

ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲘᲡ ᲛᲐᲓᲐᲛᲪᲔᲚᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲛᲐᲮᲣᲚᲐᲓ

წინათ სამხრეთ ვიეტნამის მთავრობაზე თავისი გავლენის მოსახდენად საფრანგეთს ის უპირატესობა ჰქონდა, რომ არსებული წესის თანახმად ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო დახმარება სამხრეთ ვიეტნამზე ინდოჩინეთში საფრანგეთის სარდლობის მეშვეობით უნდა გატარებულიყო. 1955 წლის დასაწყისში საფრანგეთის მთავრობა აშშ-ის ზემოქმედებით დათანხმდა იმაზე, რომ სამხრეთ ვიეტნამის ხელისუფალთ დახმარება უშუალოდ ვაშინგტონიდან მიეღოთ და რომ პასუხისმგებლობა სამხრეთ ვიეტნამის სამხედრო ძალების ორგანიზაციასა და წრთობის საკითხში ამერიკის სამხედრო მისიაზე გადასულიყო. ახალმა წესმა შებღალა საფრანგეთის პოზიციები ინდო-ჩინეთში.

ამ დროს სამხრეთ ვიეტნამის მთავრობას სათაეში ედგა ნგო დინ დიემი, რომელიც წინათ იაპონიის ოკუპანტებთან თანამშრომლობდა, შემდეგ საფრანგეთის სამსახურში გადავიდა, ხოლო ბოლო დროს—ამერიკის მხარეზე. მისი მმართველობის დროს საბოლოოდ დაეცა საფრანგეთის გავლენა სამხრეთ ვიეტნამში.

ნგო დინ დიემის დროს ამერიკის მონოპოლიებმა მიიღეს სამხრეთ ვიეტნამში უბაჟოდ საქონლის შეტანის უფლება, მათ ხელში ჩაიგდეს მთელი სამხრეთ ვიეტნამის ბაზარი და ქვეყნის მთელი სიმდიდრე. ამერიკის შეერთებული შტატების კარნახით ნგო დინ დიემის მიერ გამოქვეყნებული ბრძანება კრძალავდა ადგილობრივი ვალუტის საფრანგეთის ფრანკებზე თავისუფლად გადაცვლას. ამ გარემოებამ შესაძლებლობა დაუკარგა საფრანგეთის მონოპოლიებს გაეტანათ ამ ქვეყნიდან მიღებული მოგება. ამას თან მოჰყვა ნგო დინ დიემის მთავრობის მიერ საფრანგეთთან საფინანსო კონვენციის გაუქმება. ეს იმის მომასწავებელი იყო, რომ ინდო-ჩინეთის ვალუტა ფრანკის ზონას აღწევდა თავს და იმავე დროს დოლარის ზონაში შედიოდა. 1955 წლის დამლევს დაიხურა საფრანგეთის ინდო-ჩინური ბანკის უკანასკნელი ფილიალი და შეიქმნა სამხრეთ ვიეტნამის ნაციონალური ბანკი ამერიკის კაპიტალის მონაწილეობით.

საფრანგეთი წინააღმდეგობის გაუწეველად იხევდა უკან. 1955 წლის გაზაფხულზე საფრანგეთში მყოფმა იმპერატორმა ბაო დაიმ უბრძანა ნგო დინ დიემს გამოცხადებულიყო მასთან, ხოლო ძალაუფლება გადაეცა სამხრეთ ვიეტნამის შეიარაღებული ძალების გენერალურ ინსპექტორ ნგუენ ვან ვისათვის, რომელიც საფრანგეთის ორიენტაციაზე იდგა. ნგო დინ დიემმა უარი განაცხადა ბრძანებას დამორჩილებოდა, ხოლო ნგუენ ვან ვი გაიქცა სამხრეთ ვიეტნამიდან.

1955 წლის ოქტომბერში იმპერატორმა ბაო დაიმ ბრძანება გასცა პრემიერ-მინისტრის პოსტიდან ნგო დინ დიემის გადაყენებაზე. ნგო დინ დიემი არ დაეშორჩილა ბრძანებას და 23 ოქტომბრისათვის დანიშნა „რეფერენდუმი“ იმ საკითხის შესახებ, თუ ვინ უნდა ყოფილიყო სახელმწიფოს მეთაური — ბაო დაი თუ ნგო დინ დიემი. „რეფერენდუმი“ ტერორისა და რეპრესიების პირობებში ჩატარდა. 5 მილიონი ამომრჩეველიდან საარჩევნო ყუთებთან მხოლოდ ნახევარზე ნაკლები გამოცხადდა, შედეგი ნგო დინ დიემისათვის სასარგებლო იყო.

„რეფერენდუმის“ ჩატარების შემდეგ გამოქვეყნდა „დროებითი კონსტი-

ტუციური აქტი", რომლითაც სამხრეთი ვიეტნამი გამოცხადდა რესპუბლიკად, ხოლო ნგო დინ დიემი მის პრეზიდენტად.

როგორც კი გამოაცხადა თავისი თავი სახელმწიფოს მეთაურად, ნგო დინ დიემმა მოითხოვა საფრანგეთის საექსპედიციო კორპუსის გაყვანა სამხრეთ ვიეტნამიდან. ამ მოთხოვნას შეერთებულმა შტატებმა დაუჭირეს მხარი. საფრანგეთის კორპუსი გაყვანილ იქნა. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სრულ ბატონ-პატრონად იგრძნეს თავი საიგონში.

ტერორი სამხრეთ ვიეტნამში. ეროვნული შეთანხმებათა ჩაშლა

ეკონომიური მდგომარეობა სამხრეთ ვიეტნამში უარესდებოდა. დასამუშაებელი ფართობის ერთი მესამედი ხელუხლებელი დარჩა. ბრინჯი, რომელიც მოსახლეობის ძირითად საკვებ პროდუქტს შეადგენს, 1956 წელს მიღებულ იქნა მხოლოდ 2,5 მილიონი ტონა ნაცვლად 4 მილიონი ტონისა, რომელიც აღებული იყო ომამდე. შეწყდა ბრინჯის ექსპორტი, რომელიც მანამდე გასატანი საქონლის ძირითად საგანს წარმოადგენდა.

ადგილობრივი მრეწველობა დაეცა. 22 ათასი საფეიქრო დაზგიდან 60 პროცენტი უმოქმედოდ იყო. უმუშევართა რაოდენობამ 650 ათასს მიაღწია.

მშრომელები მძიმე პირობებში ცხოვრობდნენ. 1956 წელს ფასების ინდექსი 20 პროცენტით გაიზარდა—1955 წელთან შედარებით. სპეკულანტთა მანიპულაციების შედეგად ბაზარი მოიშალა. უკანასკნელი წელიწად-ნახევრის განმავლობაში გლეხებზე გაწერილი გადასახადები ორჯერ გადიდდა.

საექსპორტო საქონლის ღირებულებამ იმპორტის მხოლოდ მეოთხედი ნაწილი შეადგინა. ამერიკის მონოპოლიები პატრონობდნენ ქვეყნის სამხრეთ ნაწილში. ვალუტას ფასი დაეკარგა. ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიური „დახმარება", რომელიც 1955—1956 წწ. 500 მილიონ დოლარს შეადგენდა. უმთავრესად სამხედრო საქმეს ხმარდებოდა.

1956 წელს სამხედრო ხარჯებმა ბიუჯეტის 56 პროცენტი შეადგინა, ხოლო პოლიციის შესანახ ხარჯებთან ერთად 75 პროცენტს მიაღწია. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შექმნეს სამხრეთ ვიეტნამის რეგულარული არმია 170.000 კაცის რაოდენობით. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სამხრეთ ვიეტნამში კანლაგებული თავიანთი შეიარაღებული ძალების რაოდენობა რამდენიმე ათასამდე აიყვანეს და უკანონოდ შეზიდეს იქ მრავალი ათასი ტონა იარაღი და საომარი მასალები. სამხრეთ ვიეტნამში შეიქმნა საჰაერო და საზღვაო ბაზები. ნგო დინ დიემის მთავრობის საქმიანობის ყველა დარგს 27.000 ამერიკელი მრჩეველი უწევდა კონტროლს.

სახალხო აჯანყების შიშით სამხრეთ ვიეტნამის ხელისუფლებმა გააძლიერეს რეპრესიები და ტერორი. 1954 წლის ივლისიდან 1956 წლის ოქტომბრამდე სამხრეთ ვიეტნამში 5.529 ტერორისტული აქტი იქნა ჩადენილი, რის შედეგადაც მოკლულ იქნა 1.775 კაცი, შეპყრობილ იქნა 53.350, უგზო-უკვლოდ დაიკარგა 732 კაცი და საკონცენტრაციო ბანაკებში მოთავსებულ იქნა 10.024 ოჯახი. ყველა ისინი იმიტომ დაისაჯნენ, რომ თავისი სამშობლოს მშვიდობიანი და დემოკრატიული გზით გაერთიანებისათვის გამოდიოდნენ.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა თვითნებურად გამოაცხადეს სამხრეთ ვიეტნამზე, ლაოსსა და კამბოჯაზე მათ მიერ შეკოწიწებული სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სამხედრო ბლოკის — სეატოს მოქმედების ვაერცელების შესახებ.

ამავე დროს, ცნობილია, რომ ჟენევის შეთანხმებებით ინდო-ჩინეთის სახელმწიფოები ვალდებულებას კისრულობდნენ—არ შესულიყვნენ რაიმე სამხედრო კავშირებში.

ნგო დინ დიემი საყოველთაო თავისუფალი არჩევნების ჩატარებაზე უარის თქმას იმით ასაბუთებდა, რომ მას ხელი არ მოუწერია ჟენევის შეთანხმებებზე. ასეთი რამ მისთვის სრულებით არ არის სავალდებულო. ასეთი „საბუთი" სრულებით უსაფუძვლო იყო, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ საფრანგეთის მთავრობამ ხელი მოაწერა ჟენევის შეთანხმებებს როგორც თავისი სახელით, ისე საიგონის მთავრობის სახელითაც, მეორეც, იმიტომ, რომ ნგო დინ დიემის მთავრობაზე მემკვიდრეობით გადმოდიოდა ის ვალდებულებები, რომლებიც საფრანგეთმა მიიღო ჟენევაში.

უფრო გვიან ნგო დინ დიემი ცილისმწამებლურად შეუდგა იმის მტკიცებას, თითქოს ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში არ არსებობდეს თავისუფალი არჩევნების პირობები.

საყოველთაო არჩევნების საკითხში საიგონის მთავრობის მიერ დაკავებულმა პროვოკაციულმა პოზიციამ ჟენევის შეთანხმებათა ჩაშლის საშიშროება წარმოშვა. 1955 წლის ნოემბერს ჟენევის თათბირის ორი თავმჯდომარის შეხვედრის შედეგად აღნიშნულ იქნა, რომ ჟენევის შეთანხმებათა ზოგიერთი დებულება არადამაკმაყოფილებლად სრულდება ვიეტნამში.

ჟენევის შეთანხმებათა შესრულების მიზნით, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან ერთად წამოაყენა წინადადება ჟენევის თათბირის მონაწილე ქვეყნების ახალი თათბირის მოწვევის შესახებ ინდო-ჩინეთის საკითხზე და იმ ქვეყნების თათბირი, რომლებიც საერთაშორისო სამეთვალყურეო კომისიაში არიან წარმოდგენილი. ამ წინადადებას მხარი დაუჭირეს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკამ და საბჭოთა კავშირმა. ამ უკანასკნელმა 1956 წლის 18 თებერვალს ნოტა გაუგზავნა ინგლისის მთავრობას ახალი თათბირის მოწვევის მიზანშეწონილების შესახებ იმ საკითხების განსახილველად, რომლებიც ვიეტნამში ჟენევის შეთანხმებების განხორციელების ზომებს შეეხება.

არჩევნები სამხრეთ ვიეტნამში. კონსტიტუცია

ნგო დინ დიემმა ვერ შეძლო თავისი მდგომარეობის განმტკიცება ქვეყნის სამხრეთ ნაწილში. პირიქით, ოპოზიცია განმტკიცდა მის მომხრეთა რიგებშიც ეკ და გაერთიანდა „დემოკრატიული კონგრესისათვის ეროვნულ ბლოკში", რომელშიც შევიდნენ რესპუბლიკელთა პარტია, ეროვნული აღორძინების პარტია, სოციალისტური პარტია, წინააღმდეგობის ეროვნული ფრონტი და სხვა ორგანიზაციები.

ასეთ პირობებში ამერიკის შეერთებული შტატების თანხმობით და ჟენევის გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ ნგო დინ დიემმა დანიშნა დამფუძნებელი კრების სეპარატიული არჩევნები 1956 წლის 4 მარტისათვის. დამფუძნებელ კრებას, ნგო დინ დიემისა და მისი პირადი მრჩევლის ამერიკელ პოლკოვნიკ ლენსდეილის განზრახვით, უნდა დაემტკიცებინა კონსტიტუცია და შემდეგ იგი ეროვნულ კრებად უნდა გადაქცეულიყო.

ჯერ კიდევ დამფუძნებელი კრების სეპარატიული არჩევნების წინ საიგო-

ნის ხროვამ ტერორისტული კამპანია გაშალა სამხრეთ ვიეტნამის ტერიტორიაზე ყველა პატრიოტულად განწყობილი ელემენტის წინააღმდეგ, რომლებიც საყოველთაო არჩევნების ჩატარების სასარგებლოდ გამოდიოდნენ. „დემოკრატიული კონგრესისათვის ეროვნულ ბლოკსაც“ კი წაერთვა არჩევნებში მონაწილეობის მიღების კანონიერი უფლება.

საარჩევნო კამპანია სახელმწიფოს ხარჯზე ტარდებოდა. რეგისტრირებულ იქნა 813 კანდიდატურა, რომელთაგან 393 კანდიდატურა მოხსნა მთავრობამ, როგორც „არაკეთილსაიმედონი“. კენჭი უყარეს 420 კაცს, რომლებსაც 123 დეპუტატის ადგილი უნდა დაეკავებინათ. ფრანს პრესის სააგენტოს საიგონელმა კორესპონდენტმა ისინი დაახასიათა, როგორც მთავრობის მომხრენი და ანტიკომუნისტური ელემენტები.

ოპოზიციურმა პარტიებმა და დაჯგუფებებმა ბოიკოტი გამოუცხადეს არჩევნებს, ჩათვალეს რა იგი ნგო დინ დიემისა და ამერიკული მფარველების თაღლითურ ოინად.

ნგო დინ დიემმა „გაიმარჯვა“.

1956 წლის ოქტომბერში ნგო დინ დიემის მთავრობამ გამოაქვეყნა კონსტიტუცია, რომელიც ამერიკელ მრჩეველთა მონაწილეობით იყო შემუშავებული. კონსტიტუცია დიქტატორის რწმუნებებით მოსავდა სამხრეთ ვიეტნამის პრეზიდენტს და მის ხელში თავს უყრიდა სამხედრო, ადმინისტრაციულ და სასამართლო ხელისუფლებას. საკანონმდებლო ორგანო, ანუ პარლამენტი მთლიანად პრეზიდენტს ემორჩილებოდა. პრეზიდენტს კონსტიტუცია უფლებას აძლევდა არა მარტო დაენიშნა და გადაეყენებინა ვიცე-პრეზიდენტი, მინისტრები და სხვა ოფიციალური პირები, არამედ შეეცვალა თავისი შეხედულებისამებრ პარლამენტის შემადგენლობა ან დაეთხოვა კიდევაც იგი.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა ქვეყნის ფეოდალური დემოკრატიული გაერთიანებისათვის ბრძოლაში

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა განაგრძობდა ბრძოლას ქვეყნის გასაერთიანებლად და საყოველთაო თავისუფალი არჩევნების ჩასატარებლად. 1956 წლის 9 მაისს ჟენევის თათბირის ორი თავმჯდომარის სახელით გაეგზავნათ წერილები ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სამხრეთ ვიეტნამის მთავრობებს, ვიეტნამში მეთვალყურე და კონტროლის გამწევ საერთაშორისო კომისიას და საფრანგეთის მთავრობას. ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სამხრეთ ვიეტნამის მისამართით გაგზავნილ წერილში მოწოდებითი მიმართვა იყო ორივე მხარისადმი—კელავაც აღკვეთილიყო ჟენევის შეთანხმებათა სამხედრო დებულებების რაიმე დარღვევა და უზრუნველყოფილიყო იმ პოლიტიკური პირობებისა და პრინციპების განხორციელება. რაც დასკვნილს დეკლარაციაში იყო ფიქსირებული. ორივე მთავრობას წინადადება ეძლეოდა აგრეთვე. რაც შეიძლება მალე ეცნობებიათ ჟენევის თათბირის ორი თავმჯდომარისათვის თავიანთი მოსაზრებები იმ დროის შესახებ, რაც საჭიროა კონსულტაციებისათვის, რომელთა ამოცანას შეადგენს სრულიად ვიეტნამის არჩევნების მოწყობის საკითხებზე მსჯელობა, აგრეთვე ამ არჩევნების ჩატარების დროის შესახებ, არჩევნებისა, რომლის საშუალებით მიღწეულ უნდა იქნეს ვიეტნამის ერთიანობა.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ 1956 წლის 11 მაისს

ყველაე მისცა წინადადება სამხრეთ ვიეტნამის მთავრობას მოეწვიათ საკონსულტაციო კონფერენცია საყოველთაო არჩევნების საკითხების განსახილველად. მან მზადყოფნა გამოთქვა აგრეთვე აცნობოს სამხრეთ ვიეტნამის მთავრობასთან ერთად ჟენევის თათბირის თავმჯდომარეებს საკონსულტაციო კონფერენციისა და საყოველთაო არჩევნების ვადების შესახებ. მაგრამ საიგანის მთავრობამ ყოველივე ამას დუმილით აუარა გვერდი.

4 ივნისს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა ფამ ვან დონგმა ნოტა გაუგზავნა ჟენევის თათბირის თავმჯდომარეებს, რომელშიც იგი მიესალმებოდა მათს რეკომენდაციებს და ხაზს უსვამდა თავისი მთავრობის პოლიტიკის უცვლელობას, რომელიც ჟენევის შეთანხმებების მტკიცედ შესრულებისკენაა მიმართული.

დაადასტურა რა თავისი მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა, ვიეტნამის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ 80 ათასი კაცით შეამცირა სახალხო არმიის რაოდენობა.

1957 წლის 8 ივნისს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფამ ვამ დონგმა ხელახლად წერილი გაუგზავნა ჟენევის თათბირის თავმჯდომარეებს მოთხოვნით ეფექტური ზომების მიღების შესახებ, რათა ზუსტად შესრულებულიყო ჟენევის შეთანხმებები და მიღებულიყო სამხრეთ ვიეტნამის მთავრობისაგან იმის გარანტია, რომ შეწყვიტოს ამ უკანასკნელმა ყოველგვარი მოქმედება, რაც ჟენევის შეთანხმებების დარღვევისაკენაა მიმართული.

1957 წლის 18 ივლისს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ნოტით მიმართა სამხრეთ ვიეტნამის ხელისუფალთ. ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა წინადადებას იძლეოდა ჟენევის შეთანხმებათა არსის სრული შესაბამისად მოწვეულიყო საკონსულტაციო კონფერენცია ვიეტნამის გაერთიანების მიზნით საყოველთაო თავისუფალი არჩევნების ჩატარების საკითხის განსახილველად. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების დაჟინებით სამხრეთ ვიეტნამის ხელისუფალთა წარმომადგენლებმა კატეგორიულად უარყვეს ეს წინადადება.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საძალაძო სახალხო საბჭოების პირველი საყოველთაო არჩევნები

1957 წლის 24 ნოემბერს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ორ უდიდეს ქალაქში — ხანოიში და ხაიფონში ჩატარდა სახალხო საბჭოების საყოველთაო არჩევნები, რაც პირველი მოვლენა იყო ვიეტნამის ისტორიაში. არჩევნები ჩატარდა ეროვნული კრების უკანასკნელ სესიაზე მიღებული საარჩევნო კანონის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს საყოველთაო საარჩევნო უფლებას ფარული კენჭისყრით. რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს, რომელსაც არჩევნების დღისათვის 18 წელი შეუსრულდა, უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში, ხოლო 21 წლის ასაკს მიღწეულთ—იქნენ არჩეულნი. საარჩევნო უფლებას მოკლებული იყო მემამულეებისა და კაპიტალისტების მხოლოდ მცირეოდენი ჯგუფი, აგრეთვე ის პირები, რომლებსაც სამოქალაქო უფლება აქვთ ჩამორთმეული კანონით ან სასამართლოს წესით. საარჩევნო კანონით გათვალისწინებული იყო, რომ სამამულო ფრონტთან ერთად ცალკეულ მოქალაქეებსაც აქვთ უფლება წამოაყენონ თავიანთი კანდიდატები.

არჩევნებში მონაწილეობა მიიღო აღრიცხვაზე აყვანილ ამომრჩეველთა 97 პროცენტზე მეტმა. საქალაქო საბჭოში არჩეული 100 სახალხო დეპუტატიდან 99 სამამულო ფრონტის კანდიდატი იყო და მხოლოდ ერთი ინდივიდუალური წესით წამოყენებული კანდიდატი. ხაიფონში 65 არჩეული დეპუტატიდან 64 სამამულო ფრონტის კანდიდატი იყო.

არჩევნების შედეგები მოწმობდნენ სახალხო ფრონტის დიდ გამარჯვებას და ორი დიდი ქალაქის მცხოვრებთა მტკიცე ერთგულებას თავიანთი მთავრობისა და სამამულო ფრონტის მიმართ, რომელსაც ვიეტნამის მშრომელთა პარტია ხელმძღვანელობს.

ინდოეთის რესპუბლიკა

ინდოეთი 1917—1945 წწ.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძლიერი აღმავლობა გამოიწვია ინდოეთში. კაპიტალისტებსა და მემამულეებზე რუსი მუშებისა და გლეხების გამარჯვებამ, ცარიზმისა და რუსეთის ბურჟუაზიის იმპერიალისტურ პოლიტიკაზე საბჭოთა მთავრობის ძიერ უარის თქმამ და ყველა ხალხის თანასწორუფლებიანობის გამოცხადებამ ახალი ძალა შთაბერა ჩაგრული ინდოეთის ხალხებს და ფეხზე დააყენა ისინი ინგლისის ბატონობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ინდოეთის პროლეტარიატი, რომელიც ამ დროისათვის რიცხობრივად მნიშვნელოვნად გაიზარდა და აქტიურად გამოდიოდა ანტიიმპერიალისტურ ბრძოლაში, ჯერ კიდევ სუსტი იყო იმისათვის, რომ სათავეში ჩასდგომოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. ამ უკანასკნელის მეთაურობა იკისრა სრულიად ინდოეთის ნაციონალურმა კონგრესმა—ეროვნული ბურჟუაზიისა და ლიბერალური მემამულეების პარტიამ, რომლის საყოველთაოდ ცნობილი ბელადი ინდოეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის ვეტერანი მოხანდას კარმჩანდ განდი იყო. განდის დროს პარტია—ინდოეთის ნაციონალური კონგრესი მასობრივ-ანტიიმპერიალისტურ ორგანიზაციად გადაიქცა. მიუხედავად იმისა, რომ განდი ბრძოლის არაძალადატანებითი მეთოდების მქადაგებლად გამოდიოდა, მისმა მოწოდებამ ინდოეთის დამოუკიდებლობისაკენ ანტიიმპერიალისტურ ბრძოლაში ჩაითრია ინდოეთის ხალხის დიდი მასები, რომლებიც როგორც მძლავრი ნაკადი, არღვევენ თავიანთივე ბელადის ტაქტიკის ჩარჩოებს. ამის მაგალითს წარმოადგენს სისხლიანი შეტაკებები ამრიტსარში, როდესაც მასობრივი რევოლუციური მოძრაობის ჩასაქრობად ინგლისის ხელისუფლების მიერ გამოცემულ როულეტის ტერორისტული კანონის საპასუხოდ მოხდა სახალხო დემონსტრაციები; ამ დემონსტრაციებს თან მოჰყვა შეტაკებები დემონსტრანტებსა და ინგლისის ჯარებსა და პოლიციის რაზმებს შორის. 1922 წლის თებერვალში დემონსტრაციის მონაწილეებმა პოლიციელები შერეკეს თავიანთ უბანში დაბა ჩაური-ჩაურში და ცეცხლი წაუკიდეს უბანს. დაიწვა 22 პოლიციელი.

ვ. ი. ლენინი კომუნისტური ინტერნაციონალის III კონგრესისადმი თავის თეზისებში წერდა, რომ ბრიტანეთის ინდოეთში, რომელიც სათავეში უდგას პოლიტიკური ცხოვრების მიმართ გამოფხიზლებულ კოლონიურ და ნახევრად კოლონიურ ქვეყნებს, „...რევოლუცია მით უფრო სწრაფად იზრდება, რაც უფრო მნიშვნელოვანი ხდება მასში, ერთი მხრივ, ინდუსტრიული და რკინიგზის პროლეტარიატი, ხოლო, მეორე მხრივ, რაც უფრო მხეცური ხდება ტერორი ინგლი-

სელებისა, რომლებიც სულ უფრო ხშირად მიმართავენ მასობრივ მკვლელობა-საც (ამრიტსარი), საჯარო გაწკეპლვასაც და სხვ.“[1].

კოლონიურ ხელისუფალთა ცდამ — პროვოკაციული მირუტის პროცესის მეწყობით სისხლისაგან დაეცალათ მუშათა მოძრაობა და მოესპოთ მუშათა კლასისათვის კომუნისტური პარტიის მხრივ ხელმძღვანელობა — უშედეგოდ ჩაიარა. რევოლუციური მოძრაობის ახალი აღმავლობა 1928 წლიდან 1933 წლამდე გაგრძელდა. 1930 წლის მაისში პოლიციასთან სისხლისმღვრელი შეტაკების შემდეგ აჯანყებულებმა დაიკავეს ქ. შოლაპური. ათი დღის განმავლობაში ქალაქი პეშავარი აჯანყებულთა ხელში იყო. ფართოდ გაიშალა გლეხთა მოძრაობა, რომლის სათავეში გამოდიოდა ორგანიზაცია „წითელი ხალათები“ ანუ „ღვთისმსახურნი“.

1933 წელს ინდოეთის ცალკეული კომუნისტური ჯგუფები ინდოეთის კომუნისტურ პარტიად გაერთიანდნენ, მაგრამ 1934 წელს ეს პარტია აკრძალულ იქნა.

კოლონიურ ხელისუფალთა მიერ შემოღებულმა 1935 წლის კონსტიტუციამ, რომელიც თავადთა გავლენის უპირატესობას ითვალისწინებდა და რელიგიური და კასტური შუღლის გაღვივებისაკენ იყო გამიზნული, ხალხთა მასების უდიდესი აღშფოთება გამოიწვია. დაიწყო მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი აღმავლობა. 1938 წლის აპრილში შეიქმნა მუშათა პროფესიული მოძრაობის ახალი ცენტრი — პროფკავშირთა სრულიად ინდოეთის კონგრესი, რომელშიც კომუნისტებს დიდი გავლენა ჰქონდათ. გაძლიერდა გლეხთა მოძრაობა, პროვინციებში იქმნებოდა გლეხთა კავშირები „კისან საბხა“, რომლებიც სრულიად ინდოეთის გლეხთა კომიტეტში იყვნენ გაერთიანებული. ამ უკანასკნელში აგრეთვე კომუნისტებს ჰქონდათ დიდი გავლენა. 1937 — 1939 წლები მასობრივი მოძრაობის წლები იყო აგრეთვე ინდოეთის სამთავროებშიც.

როდესაც მეორე მსოფლიო ომი დაიწყო, ინდოეთის ვიცე მეფემ ლინლიტგოუმ ინდოეთი მეომარ მხარედ გამოაცხადა. ამან უდიდესი აღშფოთება გამოიწვია. ხალხის მასები ომში მონაწილეობის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. ამ ამბებით დაშინებული ინგლისის მთავრობა დათანხმდა ინდოეთის პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან და ინდოეთის თავადებთან მოლაპარაკებაზე 1935 წლის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის მიზნით. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ამ კონსტიტუციამ თავის დროზე მკაცრი პროტესტი გამოიწვია. ამ განცხადებამ ვერ დააკმაყოფილა ინდოეთის ბურჟუაზია. სრულიად ინდოეთის ნაციონალური კონგრესი დაჟინებით მოითხოვდა ინდოეთის კონსტიტუციური მთავრობის შექმნას, რომელიც ინდოეთის საკანონმდებლო კრების წინაშე იქნებოდა პასუხისმგებელი. ნაციონალური კონგრესის ლიდერთა უმრავლესობა დაპატიმრებულ იქნა.

კოლონიზატორები კვლავ დაუბრუნდნენ თავიანთ ჩვეულ მეთოდს—„დაანაწილე და იბატონე“. მოსახლეობის მუსულმანური ნაწილის სეპარატისტული ტენდენციების გაღვივებით და მუსულმანური ლიგის რეაქციულ ხელმძღვანელობაზე დაყრდნობით კოლონიზატორებმა წარმატებას მიაღწიეს; მუსულმანური ლიგის წამყვანი ლოზუნგი 1940 წლიდან გახდა ინდოეთის დაყოფა და მუსულმანური სახელმწიფოს — პაკისტანის შექმნა.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 32, გვ. 579.

საბჭოთა კავშირზე ფაშისტური გერმანიის თავდასხმამ გააძლიერა ანტიიმპერიალისტური მოძრაობა ინდოეთში. გერმანიის მოკავშირემ იაპონიამ დაიპყრო ბირმა და მალაია. იაპონიის ჯარები ინდოეთის საზღვარს მიადგნენ. ინდოეთის კომუნისტურმა პარტიამ მოუწოდა ხალხის მასებს წინააღმდეგობის გაწევისაკენ და მოითხოვა ინგლისისაგან შეესრულებინა თავისი ვალდებულებები საბჭოთა კავშირის წინაშე.

1942 წელს ინგლის-ინდოეთის ხელისუფლებმა ლეგალური მოქმედების ნება დართეს კომუნისტურ პარტიას. ნაციონალური კონგრესის ლიდერები ციხიდან იქნენ განთავისუფლებული. ნაციონალური კონგრესის ლიდერებთან მოსალაპარაკებლად ინდოეთში გაიგზავნა ლორდ-კანცლერი სტაფორდ კრიპსი. ამ უკანასკნელმა ინგლისის მთავრობის სახელით განაცხადა, რომ ინგლისი თანახმაა ომის დამთავრების შემდეგ დომინიონის სტატუსი მიანიჭოს ინდოეთს, მაგრამ ის სახით, რომ ცალკეულ პროვინციებსა და სამთავროებს შეუძლიათ თავი შეიკავონ დომინიონში შესვლისაგან. დაწყებულმა მოლაპარაკებამ შედეგი ვერ გამოიღო. ვინაიდან ნაციონალური კონგრესი მოითხოვდა ინდოეთის მთავრობის დაუყოვნებლივ ჩამოყალიბებას და უარს აცხადებდა ინდოეთის დანაწილებაზე.

კრიპსის წინადადებებს ხალხის მასებმა ანტიბრიტანული გამოსვლებით უპასუხეს. ინგლისელმა ხელისუფლებმა მკაცრ ზომებს მიმართეს. ნერუს სიტყვებით, ამ ზომებმა იმსხვერპლა 10 ათასამდე კაცი. დაპატიმრებულ იქნენ ეროვნული კონგრესის ბელადებიც, რომლებმაც მოქალაქეობრივი დაუმორჩილებლობის კამპანია მოაწყეს.

1943 წელს შედგა ინდოეთის კომუნისტური პარტიის პირველი ყრილობა, რომელმაც მოითხოვა ინდოეთში ისეთი ეროვნული მთავრობის შექმნა, რომელიც ხალხის ნდობით იქნებოდა აღჭურვილი.

ომიანობის წლებმა დიდი უბედურება მოუტანეს ინდოეთის ხალხს. 1943 წელს ინდოეთი შიმშილობამ მოიცვა. ინდოეთის გზებზე ათასობით ეყარა შიმშილის მსხვერპლთა გვამები. შიმშილობის გამო მდიდრდებოდნენ მემამულეები და მევახშენი, ისინი ეწეოდნენ მარცვლეულით სპეკულაციას და იტაცებდნენ იმ გლეხების მიწებს, რომლებიც შიმშილისაგან ღაფავდნენ სულს.

ინდოეთისათვის დომინიონის უფლებების მინიჭება. ინდოეთი და პაკისტანი

ფაშისტური გერმანიისა და იმპერიალისტური იაპონიის განადგურებას მასობრივი მოძრაობის ახალი აღმავლობით შეხვდნენ ინდოეთში. ინგლისის მონოპოლიების მიერ ქვეყნის ძარცვამ, ინგლისის მთავრობის მიერ ინდონეზიისა და ინდო-ჩინეთის აჯანყებათა ჩასაქრობად ინდოეთის ჯარების გაგზავნამ და ინდოეთისათვის დამოუკიდებლობის მინიჭებაზე უარის თქმამ 1946 წელს რევოლუციური გამოსვლები გამოიწვიეს.

რევოლუციური მოძრაობა ბომბეის სამხედრო-საზღვაო ფლოტის აჯანყებით დაიწყო. ეს მოხდა თებერვალში. მეზღვაურთა აჯანყებას მუშათა გაფიცვები მოჰყვა. სოფლად გლეხებმა მემამულეთა მიწები დაიტაცეს. ინდოეთი საყოველთაო აჯანყების წინაშე დადგა.

რევოლუციური ამბებით დაშინებულმა ინგლისის მთავრობამ, რომელსაც სათავეში ედგა ლეიბორისტი ეტლი, განაცხადა, რომ იგი მზადაა დამოუკიდებლობა მიანიჭოს ინდოეთს. მარტის დამლევს ინდოეთში ჩავიდა ინგლისის მი-

სია, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ინდოეთის საქმეების მინისტრი პეტიკ ლოურენსი, ვაჭრობის მინისტრი სტაფორდ კრიპსი და საადმირალოს ლორდი ალექსანდერი. მისიამ გამოაქვეყნა კონსტიტუციური რეფორმის პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა ინდოეთისათვის დომინიონის სტატუსის მინიჭებას და ინდოეთის კავშირად მის გარდაქმნას.

პროექტის მიხედვით პროვინციები და სამთავროები ფართო ავტონომიას ღებულობდნენ. პროვინციები და სამთავროები ერთიანდებოდნენ სამ ჯგუფში: ერთი იყო ინდუსთა ჯგუფი, ორი კი — მუსულმანური (აღმოსავლეთ და დასავლეთ პაკისტანის ახლანდელი ტერიტორიების შესაბამისად). კონსტიტუციის გამოსამუშავებლად გათვალისწინებული იყო დამფუძნებელი კრების მოწვევა. არჩევნები დამფუძნებელ კრებაში უნდა მომხდარიყო რელიგიურ-თემური კურიების მიხედვით, სამთავროებიდან დეპუტატებს ნიშნავდნენ მთავრები. ამგვარად, კონსტიტუციური რეფორმის პროექტი იმაზე ლაპარაკობდა, რომ ინგლისის მთავრობას განზრახული ჰქონდა დაეყო ინდოეთი რელიგიური ნიშან-თვისების მიხედვით და შეენარჩუნებინა თავისი დასაყრდენი ფეოდალურ სამთავროთა სახით.

ვიცემეფე უეიველის წინადადებით ნაციონალური კონგრესის ლიდერმა ჯაჰაჰარლალ ნერუმ 1946 წლის აგვისტოში ჩამოაყალიბა ეროვნული მთავრობა. მუსულმანური ლიგა მხოლოდ სექტემბერში დათანხმდა შესულიყო მთავრობაში. შეჯახებები მუსულმანებსა და ინდუსებს შორის გრძელდებოდა. ყოველივე ეს ინგლისის ვარაუდში შედიოდა.

კონსტიტუციის შესამუშავებლად ინგლისის მთავრობამ ინდოეთის დამფუძნებელი კრება მოიწვია. დეპუტატების არჩევნები რელიგიური კურიების მიხედვით ჩატარდა. სამთავროებს, რომელთა მხარდაჭერაზე იმედებს ამყარებდა ინგლისი, 93 ადგილი დაეთმო. მაგრამ ამ პირობებშიც კი დამფუძნებელმა კრებამ ვერ გაამართლა კოლონიზატორთა იმედები. 1947 წლის 21 იანვარს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო „ინდოეთის თავისუფლების ქარტია", რომელმაც ინდოეთი დამოუკიდებელ სუვერენულ რესპუბლიკად გამოაცხადა. რესპუბლიკა ყველა მოქალაქისათვის დემოკრატიულ თავისუფლებებს უზრუნველყოფდა. ამის შემდეგ ინგლისის მთავრობამ, საბოლოოდ დარწმუნებულმა იმაში, რომ ინდოეთის დამფუძნებელი კრება თავისი პოზიციებიდან არ დაიხევს, გამოაქვეყნა დეკლარაცია ორ დომინიონად ინდოეთის დანაწილების შესახებ. დეკლარაცია ღიად ტოვებდა საკითხს ბენგალიისა და პენჯაბის პროვინციების დაყოფის შესახებ, აგრეთვე ჩრდილო-დასავლეთ განაპირა პროვინციისა და ასამის პროვინციის სილხეტის ოლქის ბედის საკითხსაც.

1947 წლის 15 აგვისტოს ძალაში შევიდა კანონი ინდოეთისათვის დომინიონის სტატუსის მინიჭებისა და რელიგიურ-თემური ნიშანთვისების მიხედვით ინდოეთის კავშირად ანუ ინდუსტანად და პაკისტანად მისი დანაწილების შესახებ. ინდოეთის კავშირის შემადგენლობაში შევიდნენ მადრასისა და ბომბეის პროვინციები, ცენტრალური პროვინციები, დასავლეთ ბენგალია კალკუტასთან ერთად, აღმოსავლეთ პენჯაბი ამრიტსართან ერთად და აგრეთვე ასამის პროვინციის დიდი ნაწილი. მთავრობის სათავეში იდგა ნერუ.

1947 წლის 15 აგვისტო დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი განვითარების გზაზე ინდოეთის დადგომის აღმნიშვნელი თარიღია. მაგრამ ინდოეთის ხალხს კიდევ სამი წელი დასჭირდა იმისათვის, რომ დაემთავრებინა ბრძოლა დამო-

უკიდებლობისათვის და მიეღო კონსტიტუცია, რომლითაც ინდოეთი სუვერენულ დემოკრატიულ სახელმწიფოდ გამოცხადდა.

ნეგრუს მთავრობის პირველი ღონისძიებები ინდოეთის ეკონომიკაში კოლონიური მემკვიდრეობის აღმოსაფხვრელად

ინგლისის კოლონიურმა ბატონობამ მძიმე მემკვიდრეობა დაუტოვა ინდოეთს. მოსახლეობის 83 პროცენტი სოფლად ცხოვრობდა. დასამუშავებელი მიწის 70—80 პროცენტი ზემინდარებისა და მემამულეთა ხელში იმყოფებოდა; ეს უკანასკნელნი კი ინდოეთის მოსახლეობის მხოლოდ 2 პროცენტს შეადგენდნენ. გლეხთა 75 პროცენტი იჯარით იღებდა მიწას მემამულეებისა და ჩარჩებისაგან. სასოფლო-სამეურნეო მუშების (მოჯამაგირეების) რიცხვი 100 მილიონამდე აღწევდა.

მოიჯარე გლეხები მიწას ამუშავებდნენ სავსებით პრიმიტიული წესით. მოსავლიანობა მეტად დაბალი იყო. საიჯარო ქირა მოსავლის 40—60 პროცენტს შეადგენდა, ზოგიერთ რაიონში კი 80 პროცენტამდე აღწევდა. გლეხთა ძირითადი მასა ჩარჩების მონურ დავალიანებაში იყო. მეორე მსოფლიო ომის დასაწყისისათვის გლეხთა დავალიანებამ 20 მილიარდ რუპიას გადააჭარბა. სურსათ-სანოვაგის ყოველწლიური დეფიციტი 10 მილიონ ტონას შეადგენდა. მასობრივი შიმშილობა და ეპიდემია ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

ინდოეთის კოლონიური მდგომარეობა დიდ სიძნელეებს ქმნიდა სამრეწველო განვითარებისათვის. ინდოეთში მომეტებულად ის დარგები ვითარდებოდა, რომლებიც საექსპორტოდ სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის პირვანდელი გადამუშავებით იყვნენ დატვირთული. ინდოეთის მრეწველობაში კაპიტალდაბანდებათა 83 პროცენტი ინგლისელებს ეკუთვნოდა, რაც 1.000—1.200 მილიონ გირვანქა სტერლინგს შეადგენდა. ინდოეთის განთავისუფლების წინ ნაციონალური შემოსავლის მხოლოდ 7 პროცენტი მოდიოდა მრეწველობაზე.

კაპიტალდაბანდებათა ძირითადი ნაწილი (85 პროცენტი) მსუბუქ მრეწველობაში იყო მოქცეული. კოლონიზატორები არ იყვნენ დაინტერესებული ინდოეთში მძიმე ინდუსტრიის განვითარებით და არ შემოჰქონდათ ინდოეთში ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის საჭირო მოწყობილობები.

ერთ სულ მცხოვრებზე ინდოეთში წარმოებული ფოლადის მხოლოდ 4 კილოგრამი მოდიოდა, ე. ი. 200-ჯერ ნაკლები, ვიდრე აშშ-ში. განთავისუფლების წინ ინდოეთის იმპორტში ლითონმჭრელი ჩარხების ხვედრითი წონა 0,4 პროცენტს შეადგენდა. მოხმარების საქონელზე მოთხოვნილება კმაყოფილდებოდა შინაური ან სოფლის ნაწარმით, აგრეთვე იმპორტითა და უცხოეთის კაპიტალის საწარმოთა ხარჯზე.

იმის გამო, რომ ინდოეთის მოსახლეობა მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ინდოეთის იმპორტიც უმნიშვნელო იყო. დამოუკიდებლობის მოპოვებამდე ინდოეთსა და პაკისტანს, რომელთა მოსახლეობა 400 მილიონ ადამიანს შეადგენდა, შემოჰქონდათ იმდენივე საქონელი, რამდენიც მარტო შვეიცარიას, რომლის მოსახლეობის რიცხვი ასჯერ ნაკლები იყო ინდოეთისა და პაკისტანის მოსახლეობაზე. თუნდაც ინგლისის მონაცემებითაც მეორე მსოფლიო ომის წინ ინდოეთის ნაციონალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე 56 რუპიას შეადგენდა, ე. ი. 25-ჯერ ნაკლები იყო იმ ნაციონალურ შემოსავალზე, რომელიც ერთ სულ მოსახლეზე მოდიოდა ინგლისში.

ინგლისის კაპიტალი უდიდეს მოგებას ღებულობდა ინდოეთში. დაბანდებული კაპიტალის მოგების სახით ინგლისის მონოპოლიებს ინდოეთიდან ყოველწლიურად გაჰქონდათ 100 — 120 მილიონი გირვანქა სტერლინგი. 30 მილიონ გირვანქა სტერლინგზე მეტს შეადგენდა მხოლოდ ინდოეთის ბიუჯეტის ანარიცხები, რომლებიც ინგლისში იგზავნებოდა. ინდოეთს ეკისრებოდა ყველა ხარჯი, რაც საჭირო იყო ლონდონში ჩამოსულ აღმოსავლეთის გვირგვინოსან პირთა შესანახად, აღმოსავლეთის ქვეყნებში ინგლისის დიპლომატიური მისიების შესანახად, ილინგის ფსიქიატრიული საავადმყოფოს შესანახად და სხვ.

ასეთი მდგომარეობა იყო ინდოეთში მისი განთავისუფლების წინ.

ნერუს მთავრობამ გაითვალისწინა, რომ ქვეყნის ეკონომიკაში კოლონიალიზმის მძიმე მემკვიდრეობის ლიკვიდაციის გარეშე, ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის აღმავლობის გარეშე შეუძლებელია ჭეშმარიტი დამოუკიდებლობის მოპოვება და ხალხის მატერიალური კეთილდღეობის უზრუნველყოფა. ჯერ კიდევ 1945 წელს ნაციონალურმა კონგრესმა წამოაყენა აგრარული საკითხის პროგრამა, მაგრამ რადიკალური აგრარული რეფორმის გატარებას ინდოეთის მთავრობა არ შესდგომია.

ზემინდარების საკუთრების გასხვისება მხოლოდ ნაწილობრივ ხდებოდა; გასხვისებული მიწისათვის ზემინდარები სახელმწიფოსაგან ღებულობდნენ გამოსასყიდ თანხას, მაგრამ ეს უკანასკნელი მხოლოდ რამდენადმე ნაკლები იყო ამ მიწების საბაზრო ღირებულებაზე. რეფორმა, როგორც წესი, არ შეხებია მიწის სამფლობელოებს რაიოტვარების რაიონებში. მიწის გამოსასყიდმა საერთო თანხამ 5,5 მილიარდი რუპია შეადგინა. მთავრობის მიერ მიწის საკითხში გატარებულმა ღონისძიებებმა უმთავრესად სოფლის შეძლებული ფენები დააკმაყოფილა.

მიწის რეფორმის გატარების დაგვიანებამ გლეხთა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. გლეხობა საჯარო ქირის შემცირებასა და მემამულეთა მიწათმფლობელობის ლიკვიდაციას მოითხოვდა.

გლეხთა მოძრაობამ ფართო ხასიათი მიიღო ინდოეთის სამხრეთ ნაწილში, ჰაიდარაბადსა და ტრავანკურში. 1948 წლის სექტემბერში ჰაიდარაბადის პროვინციაში გლეხთა მოძრაობაში მონაწილეობა მიიღო 2 ათასზე მეტმა სოფელმა, რომელთა მოსახლეობა 5 მილიონ ადამიანს აღემატებოდა. გლეხებმა ხელში ჩაიგდეს მემამულეთა მიწები, გაინაწილეს იგი და შეუდგნენ მის დამუშავებას. მემამულეთა წინააღმდეგობასთან საბრძოლველად იქმნებოდა სახალხო ტრიბუნალები და თავდაცვის რაზმები. მართალია მთავრობის ჯარებმა გლეხთა მოძრაობა ჩააქრეს, მაგრამ გლეხობას მიწა მაინც შერჩა. ეს ფაქტი უკვე იმაზე მეტყველებდა, რომ აგრარული რეფორმის გატარების დაყოვნება უკვე შეუძლებელი იყო.

ჯერ კიდევ 1945 წელს ნაციონალურმა კონგრესმა აზრი გამოთქვა მრეწველობის ძირითადი დარგების ნაციონალიზაციის სასარგებლოდ მხოლოდ საწარმოთა მფლობელთათვის სამართლიანი ანაზღაურების პირობებში. მაგრამ შემდგომში მთავრობამ უფრო მიზანშეწონილად სცნო სახელმწიფოს სახსრები ახალ სამრეწველო საწარმოთა მშენებლობისათვის მოეხმარებინა, ვიდრე ძველების გამოსასყიდად. ამიტომ მთავრობის მიერ 1948 წლის აპრილში „სამრეწველო პოლიტიკის შესახებ“ მიღებულ „რეზოლუციაში“ სახალხო მეურნეობის განვითარება „შერეული“ ეკონომიკის საწყისებზე იყო გათვალისწინებული. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ინდოეთის ეკონომიკა საკუთრების ფორმებისა

და სახელმწიფო კონტროლის მხრივ ორ სექტორად ნაწილდებოდა: სახელმწიფო და კერძო სექტორად. სახელმწიფო სექტორში შედიოდა ის საწარმოები, რომლებიც უკვე სახელმწიფოს საკუთრებას შეადგენდნენ, როგორც, მაგალითად: რკინიგზები და გზატკეცილები, ზოგიერთი ჰიდროენერგეტიკული და საირიგაციო ნაგებობა, სამხედრო მრეწველობა და კავშირგაბმულობის საშუალებები, და აგრეთვე ის საწარმოები, რომელთა აშენება მთავრობას განზრახული ჰქონდა მომავლისათვის.

თუმცა რეზოლუციამ განამტკიცა სახელმწიფოს უფლება კერძო პირის საკუთრებაში მყოფ სამრეწველო საწარმოთა ნაციონალიზაციაზე „სამართლიანი კომპენსაციის" პირობებში, მაგრამ ნაციონალიზაციის გატარება მთავრობამ გადადო უფრო გვიანდელი ვადისათვის, — არა უადრეს 10 წლისა. ნაციონალიზაციის გარეშე დარჩენილ სამრეწველო საწარმოებს უნდა შეექმნათ კერძო სექტორი. რეზოლუცია ითვალისწინებდა კერძო საწარმოებზე ცენტრალური მთავრობის „საერთო კონტროლის" გავრცელებას მათი „რეგულირებისა და გეგმიანი განვითარების" აზრით. მთავრობის კონტროლი ვრცელდებოდა ქვანახშირისა და ნავთობის მომპოვებელ, რკინიგზისა და ფოლადის, თეითმფრინავებისა და კავშირგაბმულობის საშუალებათა წარმოებისა და გემთმშენებლობის კერძო საწარმოებზე. ამ დარგებში ახალ საწარმოთა აშენების უფლებას მთავრობა თავისთვის იტოვებდა. დანარჩენი საწარმოები მისი კონტროლისაგან თავისუფლდებოდა.

ძაშმიერის საკითხი

დანაწილებამ დაასუსტა ინდოეთი ეკონომიურად და პოლიტიკურად. „ინდოელი ხალხის მიერ თავისი ქვეყნის თავისუფლების მოპოვებამდე ხომ არსებობდა ერთიანი ინდოეთი, — ამბობდა ნ. ს. ხრუშჩოვი, — ინდოეთის გაყოფა ორ ნაწილად ინდოეთის ხალხთა ინტერესებისათვის როდი მოუხდენიათ. მაგრამ სწორედ ამისათვის აღვივებდნენ ბრძოლას ინდოეთის ხალხების სარწმუნოებათა საკითხების სხვადასხვაობის გარშემო. თუმცა სარწმუნოების საკითხები არასოდეს არ ყოფილა მთავარი ამა თუ იმ სახელმწიფოს შექმნისას".

იმპერიალისტებმა მიაღწიეს იმას, რომ რელიგიურ ნიადაგზე შეტაკებები მომხდარიყო ინდუსებსა და მუსულმანებს შორის. ასეთი შეტაკებების შედეგად პენჯაბში მოკლულ იქნა 500 ათასი კაცი. დაიწყო მასობრივი გადასახლება მუსლიმანებისა ინდოეთიდან და ინდოელებისა — პაკისტანიდან. გადასახლებულ პირთა რაოდენობამ 4 მილიონს გადააჭარბა.

ეწეოდნენ რა ინდოეთის დანაწილებას, იმპერიალისტებმა ყოველგვარი ზომები მიიღეს იმისათვის, რომ კონტროლი შეენარჩუნებინათ მთელი რიგი ცხსვილი სამთავროებისადმი. ამ სამთავროთა შორის განსაკუთრებული ადგილი ეკავა ქაშმირის სამთავროს, რომელსაც დიდი ბუნებრივი სიმდიდრე აქვს და იმპერიალისტების თვალში დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის ადგილი უკავია როგორც ქვეყანას, რომელიც ჩინეთის, საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთის მისადგომებთან მდებარეობს.

იმის უფლებრივი საფუძვლები, თუ რომელ სახელმწიფოში უნდა შესულიყვნენ ინდოეთის სამთავროები, მათ შორის ქაშმირიც, გამომდინარეობდა ინდოეთის დამოუკიდებლობის შესახებ მიღებული კანონისაგან, რომელმაც უფლება მიანიჭა ინდოეთის სამთავროებს — შესულიყვნენ ერთ-ერთ დომინი-

ონში. მაგრამ 1947 წლის 22 ოქტომბერს დაიწყო პაკისტანის შეიარაღებული ტომების შეჭრა ქაშმირში, რაც იმპერიალისტების აგენტების მიერ იყო მოწყობილი. ქაშმირის უძლიერესი პოლიტიკური პარტიის — ნაციონალური კონფერენციის — მოწოდებით ქაშმირის მოსახლეობამ შექმნა სახალხო მილიციის რაზმები, რომლებმაც შეაჩერეს პაკისტანის ჯარების შეჭრა სამთავროს დედაქალაქის მისადგომებთან.

26 ოქტომბერს ქაშმირის მაჰარაჯამ თხოვნით მიმართა ინდოეთის მთავრობას სამხედრო დახმარების აღმოჩენის შესახებ და განაცხადა, რომ ქაშმირს აქვს სურვილი შეერიდეს ინდოეთის შემადგენლობაში. მეორე დღეს ინდოეთის მთავრობამ თანხმობა გამოთქვა ამ სურვილის დაკმაყოფილებაზე და თვითმფრინავებით გადასხა თავისი ჯარები ქაშმირის ხეობაში. სახალხო მილიციის ძალებთან ერთად ინდოეთის ჯარები შეუდგნენ სამხედრო ოპერაციებს სამთავროს გასათავისუფლებლად. ქაშმირში იფეთქა ძმათა სისხლისმღვრელმა ომმა.

იმპერიალისტები ინდოეთის სხვა ნაწილებშიც აღვივებდნენ რელიგიურ-თემურ შუღლს, იყენებდნენ რა რეაქციულ ორგანიზაციებს — „ნაციონალურ-მუსულმანურ გვარდიას“ პაკისტანში და „ჰინდუ მახასაბხას“ და „რაშტერია სევაკ სანგხს“ ინდოეთში. რელიგიურ ნიადაგზე ქალაქებში ხდებოდა დარბევები. დარბევების წინააღმდეგ გამოდიოდნენ ინდოეთის კომუნისტური პარტია და სხვა პროგრესული ორგანიზაციები. ძმათა სისხლისმღვრელი ომის შეწყვეტისაკენ მოუწოდა განდიმაც. 1948 წლის იანვარში განდი მოკლა რეაქციული ორგანიზაციის „ჰინდუ მახასაბხას“ წევრმა, როდესაც განდი ინდოელ კაპიტალისტ ბირლეს სასახლეში მიემგზავრებოდა სალოცავად. მკვლელი ინგლისის საიდუმლო პოლიციასთან იყო დაკავშირებული.

1948 წლის იანვარს ინდოეთის მთავრობამ თხოვნით მიმართა უშიშროების საბჭოს, რათა მას წინადადება მიეცა პაკისტანისათვის — დაუყოვნებლივ შეეწყვიტა საომარი მოქმედება ქაშმირში. უშიშროების საბჭომ შეადგინა „კომისია ინდოეთისა და პაკისტანისათვის“, რომელიც ამერიკელების მიერ გამოყენებულ იქნა სრულიადაც არა იმისათვის, რომ ხელი შეეწყო მშვიდობიანი გზით ქაშმირის საკითხის მოგვარებისათვის. ამის შემდეგ შეიქმნა „ქაშმირში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შუამავლის“ პოსტი. ამ პოსტზე დანიშნულ იქნა ავსტრალიელი იუენ დიკსონი, რომელმაც მოითხოვა ქაშმირის ზანაწილება ინდოეთსა და პაკისტანს შორის. ამასთან დიკსონმა პირობას ჩაურთო, რომ სტრატეგიული მხრივ მნიშვნელოვანი ქაშმირის ჩრდილოეთის რაიონები, გილგითის ჩათვლით, უნდა გადასულიყო „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონტროლისა და მმართველობის ქვეშ“.

1950 წლის 27 ოქტომბერს ნაციონალურმა კონფერენციამ დადგენილება მიიღო ქაშმირის დამფუძნებელი კრების მოწვევის შესახებ. არჩევნები შედგა 1951 წლის სექტემბერში და 1952 წლის 14 აგვისტოს დამფუძნებელი კრების მიერ რატიფიცირებულ იქნა ინდოეთის მთავრობასა და ქაშმირს შორის 24 ივლისს დალში ხელმოწერილი შეთანხმება. ეს შეთანხმება განსაზღვრავდა ქაშმირის სტატუსსა და უფლებებს ინდოეთის შემადგენლობაში.

ამავე დროს ქაშმირის ჩრდილოეთ რაიონებში გაიგზავნა ამერიკის სამხედრო მისია 50 სპეციალისტის შემადგენლობით აეროდრომებისა და სამხედრო ბაზების ასაშენებლად. იმავე დროს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა წამოაყენეს მოთხოვნა ქაშმირში „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების“

ზეკვანის შესახებ. ამერიკის შეერთებული შტატები ვარაუდობდნენ ასეთი გზით ხელში ჩაეგდოთ გილგითი და ქაშმირის სხვა ჩრდილოეთი რაიონები.

ინდოეთსა და პაკისტანს შორის ქაშმირის საკითხის ირგვლივ დაწყებული უშუალო მოლაპარაკება, რომელმაც პირველ ხანებში კეთილსასურველი შედეგები მოიტანა, აგრეთვე ჩაშლილ იქნა ამერიკის შეერთებული შტატების ჩარევის გამო. აშშ-ებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას პაკისტანისათვის სამხედრო დახმარების გაწევის შესახებ, შემდეგში კი ჩაითრიეს იგი სეატოს აგრესიულ ბლოკში.

ინდოეთი—სუვერენული დემოკრატიული რესპუბლიკა

1950 წლის 26 იანვარს ინდოეთში ძალაში შევიდა ახალი კონსტიტუცია. ამ კონსტიტუციის განხილვა მიმდინარეობდა დამფუძნებელ კრებაში 1948 წლის 4 ნოემბრიდან 1949 წლის 17 ოქტომბრამდე. იგი მიღებულ იქნა 1949 წლის 26 ნოემბერს და ძალაში შევიდა ორი თვის შემდეგ.

1950 წლის კონსტიტუციამ გააუქმა 1935 და 1947 წლების კონსტიტუციური აქტები, მათ შორის დომინიონის სტატუსიც, და ინდოეთი სუვერენულ დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოაცხადა. ინდოეთის კონსტიტუციის ყველაზე არსებით ნიშანდობლივ თვისებას შეადგენდა მოქალაქეთა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული უფლებებისა და სახელმწიფო პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების გამოცხადება; პარლამენტალური რესპუბლიკის წყობილების დადგენა; სახელმწიფოებრივი წყობილების დაწესება ფედერაციულ საწყისებზე.

კონსტიტუციამ აღიარა ყველა მოქალაქის თანასწორუფლებიანობა კანონის წინაშე, მიუხედავად მათი რელიგიური შეხედულებებისა, რასობრივი ან კასტური კუთვნილებისა, სქესისა და დაბადების ადგილისა; კონსტიტუციამ გააუქმა კასტური დისკრიმინაცია და მონათმფლობელური და ფეოდალური ფორმაციის ყველაზე ბარბაროსული გადანაშთები, რომლებიც შემორჩენილი იყო და, რომლებსაც მხარს უჭერდნენ ინგლისელი კოლონიზატორები.

კონსტიტუცია ითვალისწინებდა ღონისძიებებს სოციალურად ჩამორჩენილი კლასებისა და ტომების განვითარებისათვის, კერძოდ, ადგილს უთმობდა მათ წარმომადგენლებს სახელმწიფო ორგანოებში და აღიარებდა ყოველი ეროვნების უფლებას შეენარჩუნებინა თავისი ენა, დამწერლობა, კულტურა და გაეხსნა სასწავლებელი. კონსტიტუცია კრძალავდა მონობას, ბატონყმობას და იძულებითი შრომის სხვა ფორმებს.

კონსტიტუციამ გამოაცხადა ყველა მოქალაქისათვის თანაბარი შესაძლებლობანი სამუშაოს მიღებაზე სახელმწიფო დაწესებულებებსა და საწარმოებში, სიტყვის, კრების, მეცადინეობის, სარწმუნოების აღიარების თავისუფლება და სხვ.

კონსტიტუციამ გამოაცხადა კერძო საკუთრების უფლება. სახელმწიფო პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპის სახით კონსტიტუციამ აღიარა ხალხის კეთილდღეობის ამაღლება სოციალური, ეკონომიური და პოლიტიკური სამართლიანობის ბაზაზე, კერძოდ, ყველა მოქალაქისათვის, მიუხედავად მათი სქესისა, თანაბარი უფლების მინიჭება შრომაზე და სოციალურ უზრუნველყოფაზე. თანაბარი ანაზღაურება თანაბარ შრომაზე, აუცილებელი საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფა და სხვ.

კონსტიტუცია ვალდებულად ხდიდა სახელმწიფოს გაეტარებინა პოლიტიკა მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველსაყოფად.

სახელმწიფოს მეთაურად გამოცხადებული იყო პრეზიდენტი, რომელიც ხუთი წლის ვადით ირჩეოდა. პრეზიდენტის უფლება დიდად იზღუდებოდა მთავრობის კომპეტენციით, რომლის ხელში ფაქტიურად მოკალათებული იყო აღმასრულებელი ძალაუფლება.

კონსტიტუციამ აღადგინა ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის ძირითადი ინსტიტუტები. დაწესდა ორპალატიანი სისტემა—შტატების საბჭო და სახალხო პალატა. ყველა კანონპროექტი გარდა ფინანსურისა, კონსტიტუციით ორივე პალატის მიერ უნდა ყოფილიყო დამტკიცებული. ფინანსური კანონპროექტები სახალხო პალატის კომპეტენციაში შედიოდა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ კონსტიტუციური მექანიზმი პრაქტიკულად შევსებული იყო პარტიის ინდოეთის ნაციონალური კონგრესის — არაკონსტიტუციური ცენტრალიზებული მექანიზმით. შემდგომ კონსტიტუციაში შეტანილ იქნა ცვლილებები და დამატებები. მაგალითად, ინდოეთის მთავრობის იმ მისწრაფებასთან დაკავშირებით, რომ გეგმიანობის ელემენტები შეეტანა ეკონომიკაში და თავის ხელში ან მთავრობის კონტროლში მოექცია მეურნეობის ძირითადი დარგები, კონსტიტუციაში შეტანილ იქნა ცვლილებები, რომლებიც რამდენადმე ზღუდავდნენ კერძო საკუთრებას, ვაჭრობისა და მეწარმეთა სხვა სახეობებს. კონსტიტუციაში შეტანილ ცვლილებებში თავისი გამოსახულება ჰპოვა აგრეთვე ინდოეთში გატარებულმა აგრარულმა რეფორმამ, რომელიც მიმართული იყო მსხვილი მიწათმფლობელობის შეზღუდვისაკენ მემამულეთა მიწის ნაწილის გამოსყიდვისა და უმიწაწყლო და მცირემიწიან გლეხთა შორის მისი განაწილების გზით. სასამართლო ორგანოებს წაერთვათ უფლება არ ეცნოთ კანონების კონსტიტუციურობა მიწის რეფორმაზე ან სახელმწიფოს მიერ უძრავი ქონების ნაციონალიზაციაზე.

უფრო გვიან ინდოეთში მიღებულ იქნა კანონი შტატების რეორგანიზაციისა და სამთავროების ლიკვიდაციის შესახებ. ჯერ კიდევ პირველი იმპერიალისტური ომის წინ ინდოეთში დაიწყო მოძრაობა ეროვნული ტერიტორიების გაერთიანებისა და ადმინისტრაციული დაყოფის რეორგანიზაციის მოსახდენად მოსახლეობის ენის ერთიანობის საფუძველზე. 1920 წელს სრულიად ინდოეთის ნაციონალურმა კონგრესმა დადგენილება მიიღო თავისი ორგანიზაციის გარდაქმნის შესახებ ეგრეთ წოდებული ენობრივი პროვინციების საფუძველზე. 1929 წელს კონგრესის სრულიად პარტიულ კონფერენციაზე გადაწყდა შეიცვალოს არსებული ადმინისტრაციული დაყოფა, რომელიც მოსახლეობის ენობრივ თავისებურებათა, ეკონომიური და კულტურული ფაქტორების გაუთვალისწინებლად იყო აგებული, ისეთი ადმინისტრაციული დაყოფით, რომელიც მოსახლეობის ენობრივ ერთიანობაზე იქნებოდა დაფუძნებული.

ამის განხორციელება მოხერხდა მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ინდოეთმა მოიპოვა დამოუკიდებლობა. 1956 წელს ინდოეთში მიღებულ იქნა კანონი შტატების რეორგანიზაციის შესახებ ენობრივი თავისებურებებისა და ეკონომიურ-კულტურული ფაქტორების შესაბამისად. კანონი ძალაში შევიდა 1 ნოემბერს. 28 სხვადასხვაგვარი სტატუსის მქონე შტატის ნაცვლად შეიქმნა 14 თანასწორუფლებიანი შტატი: ანდრხა, ასამი, ბიხორი, ბომბეი, ჯამუ და ქაშმირი, დასავლეთი ბენგალია, კერალა, მადრასი, მადხია პრადეში, მაისორი, ორისა, პენჯაბი, რაჯასტანი და უტარ პრადეში. ყველაზე დიდია ბომბეის შტატი, რომლის ფარ-

თობი უდრის 188.240 კვ. მილს, მოსახლეობა კი 47.800 ათას კაცს შეადგენს. გარდა ამისა, შეიქმნა ცენტრალური დაქვემდებარების რაიონები: დელი, ხიმაჩალ პრადეში, მანიპური, ტრიპურა და კუნძულები ინდოეთის ოკეანეში.

1956 წლის აქტის პროგრესული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ სამთავროები, როგორც განსაკუთრებული ადმინისტრაციული ერთეულები, და პირველ ყოვლისა ისეთი უდიდესი სამთავრო, როგორიც იყო ჰაიდარაბადი, ლიკვიდირებულ იქნა.

შტატების რეორგანიზაცია უდიდესი შენაძენი იყო ინდოეთის ეროვნული საკითხის გადასაჭრელად. მაგრამ არ შეიძლება ითქვას, თითქოს იგი მთლიანად იქნა გადაჭრილი. ინდოეთში დიდი ხალხების გარდა მნიშვნელოვანი რაოდენობითაა უფრო მცირერიცხოვანი ხალხები და ტომები, რომლებსაც თავიანთი ენა და ზნეჩვეულებები აქვთ და რომლებიც ცოტად თუ ბევრად კომპაქტურ მასებად ცხოვრობენ. ზოგიერთი მათგანი, მაგალითად სანტალები, მუნდა, კრასი. მანიპური, ისწრაფვის იქითკენ, რომ მიიღოს ავტონომია და შემოიღოს თავის რაიონში მშობლიური ენა. მაგრამ ამ ხალხთა საკითხმა ვერაფითარი ასახვა ვერ პოვა შტატების რეორგანიზაციის შესახებ მიღებულ კანონში.

გარდა ამისა, მარახთისა და გუჯარათის მასები არ არიან კმაყოფილი ერთი შტატის ფარგლებში გაერთიანებით, ხოლო ბომბეის შტატში ვითარდება მოძრაობა გაერთიანებული მახარაშტრისა და დიდი გუჯარათის შექმნისათვის.

ამავე დროს მთავრებსაც ჯერ კიდევ არ შეუწყვეტიათ მსხვილი მიწათმფლობელების როლის შესრულება და ისინი ჯერ კიდევ ინარჩუნებენ თავიანთ ეკონომიურ პოზიციებს ქვეყანაში.

ახალი ადმინისტრაციული რეფორმა იმ საყოველთაო სახალხო ბრძოლის შეჯამებაა, რომელიც წარმოებულ იქნა ინგლისის ბურჟუაზიის მიერ დაწესებული ბიუროკრატიული ადმინისტრატიული დაყოფის წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში მონაწილეობდნენ ეროვნული ბურჟუაზია, გლეხები და მუშები. მნიშვნელოვანი როლი ამ ბრძოლაში შეასრულა სამთავროების მოსახლეობამ და პირველ რიგში გლეხობამ, რომელიც აქტიურად გამოდიოდა თავადთა ფეოდალური ბატონობის წინააღმდეგ.

მიუხედავად რიგი ნაკლოვანებისა, ახალი ადმინისტრაციული რეფორმა ნაბიჯი იყო წინ ინდოეთში ეროვნული საკითხის გადაჭრისა და ფეოდალიზმის გადანაშთებისა და დაქუცმაცების ლიკვიდაციის საკითხში. სამთავროების ლიკვიდაცია და ენების მიხედვით შტატების შექმნა უეჭველად დააჩქარებს ქვეყნის სამეურნეო და კულტურულ განვითარებას.

სსრ კავშირში სოციალისტური მშენებლობის წარმატებებმა და ხუთწლიანი გეგმის შესრულებამ ძლიერი გავლენა იქონია ინდოეთის ბურჟუაზიის წარმომადგენლებზე. წარსულში ჩამორჩენილი აგრარული რუსეთის მძლავრ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ სწრაფად გადაქცევა, იმპერიალისტური სახელმწიფოების ეკონომიური დამოკიდებულებისაგან სსრ კავშირის განთავისუფლება — ეს იყო სოციალისტური ეკონომიკის უპირატესობის თვალსაჩინო დემონსტრაცია მთელი აღმოსავლეთის ხალხთა თვალში. ამაში აშკარად დარწმუნდნენ ისეთი გამოჩენილი ინდოელი მოღვაწენი, როგორიცაა ჯავაჰარლალ ნერუ და მრავალი სხვა, რომლებმაც ინახულეს საბჭოთა კავშირი და აღტაცებით აღნიშნეს საბჭოთა ხალხის მიღწევები სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის განვითარებაში, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში.

ჯაეაბარლალ ნერუმ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა მიანიჭა გეგმიანი ეკონომიკის განვითარებას და მეურნეობის სახელმწიფო სექტორის შექმნას.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სოციალისტური სისტემის მსოფლიო სისტემად გადაქცევისა და მსოფლიო ასპარეზზე სოციალიზმის სასარგებლოდ და კაპიტალიზმის საზიანოდ ძალთა თანაფარდობის ძირეულად შეცვლის შედეგად სოციალიზმის გავლენა, პოპულარობა და მიმზიდველი ძალა მნიშვნელოვნად გაიზარდა. ის სახელმწიფოებიც კი, რომლებიც მსოფლიო კაპიტალისტური მეურნეობის ეკონომიურ სისტემაში რჩებიან, დარწმუნდნენ თუ რა მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სახელმწიფო კაპიტალისტური სექტორი და კოოპერაციის სხვადასხვა ფორმები უცხოეთის მონოპოლიების ძირის გამოთხრისა და დამოუკიდებელი ეროვნული ეკონომიკის შექმნის საქმეში. მთელი რიგი არასოციალისტური სახელმწიფოების ეროვნული ბურჟუაზიაც კი ახალ საერთაშორისო ვითარებაში ანტიკაპიტალისტური განწყობილების გავლენაში აღმოჩნდა. მიჰყავთ რა თავიანთი ქვეყანა ეროვნული აღორძინებისა და აღმავლობისაკენ, ბურჟუაზიის ეს ფენები უკვე რწმუნდებიან იმაში, რომ კაპიტალიზმმა განვლო თავისი საუკუნე. ისინი ცდილობენ აიცდინონ კაპიტალიზმის წყლულები, განვითარების კაპიტალისტური სტადია, ანდა, ყოველ შემთხვევაში, განვითარების კაპიტალისტური გზა, და ოფიციალურად მაგალითისათვის აყენებენ „ინდოეთში სოციალისტური ნიმუშის მიხედვით საზოგადოების აშენების“ ამოცანას, გულისხმობენ რა ამაში ეკონომიკის გეგმიანობას და მეურნეობის სახელმწიფო სექტორის ჩამოყალიბებას. ამასთან ასეთი საზოგადოების აგებას ისინი ფიქრობენ კლასობრივი ბრძოლის გარეშე, პროლეტარიატის დიქტატურის გარეშე. ეს ამოცანა გამოცხადებულ იქნა პარტიისა და მთავრობის ძირითად ამოცანად 1955 წლის იანვარს ავადში შემდგარ პარტია ინდოეთის ნაციონალური კონგრესის ყრილობაზე.

აღმოსავლეთის ქვეყნებში კაპიტალისტური სტადიის გაუვლელად სოციალიზმზე გადასვლის ახალი ფორმების ძებნა უპირველეს ყოვლისა კაპიტალისტური სისტემის გახრწნას მოწმობს. ასეთი მისწრაფებები თანამედროვე პირობებში უდავოდ პროგრესული მნიშვნელობის მქონეა.

რასაკვირველია, ინდოეთის სახელმწიფო დაგეგმვასა და სსრ კავშირის სახელმწიფო დაგეგმვას შორის პრინციპული განსხვავებაა. ინდოეთის მთავრობა ცდილობს შემოიღოს გეგმიანობა კაპიტალისტური ეკონომიკის პირობებში.

ამასთან ინდოეთში სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმის გენეზისი განსხვავდება დასავლეთ ევროპის ქვეყნებში სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის წარმოშობის პროცესისაგან. ჯერ ერთი, ინდოეთში სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმი ვითარდება ვეებერთელა აგრარულ ქვეყანაში სოციალისტური სახელმწიფოების მსოფლიო სისტემის არსებობისა და იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის დაშლის ეპოქაში; მეორე, ინდოეთის სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმი განვითარდა ისეთ პირობებში, როდესაც ქვეყანას, რომელიც ახლო წარსულში კოლონიას წარმოადგენდა, სჭირდებოდა აჩქარებული ტემპით დაძლეულიყო მისი ტექნიკურ-ეკონომიური ჩამორჩენილობა. ამიტომაც ინდოეთის

სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმი არ წარმოადგენს სახელმწიფოებრივ-მონოპოლისტურ კაპიტალიზმს; მესამე, მას აქვს ანტიიმპერიალისტური ხასიათი. რომელიც მიმართულია ეკონომიური და პოლიტიკური დამოუკიდებლობისაკენ ინდუსტრიალიზაციის გზით; მეოთხე, სახელმწიფო, რომელიც მას სათავეში უდგას, სამშვიდობო პოლიტიკას ატარებს და მშვიდობის ძალებს აძლიერებს.

ინდოეთში ცალკეული საწარმოებისა და მეურნეობის დარგების სახელმწიფო საწარმოებად გადაქცევა მიმდინარეობს ეროვნული კაპიტალიზმის შენარჩუნებისა და განმტკიცების პირობებში. სოციალური ურთიერთობის ძირეულად შეცვლის გარეშე იგი, ბუნებრივია, არ ცვლის და ვერც შეცვლის კაპიტალისტურ საკუთრებას საყოველთაო სახალხო საკუთრებით. მაგრამ ინდოეთში არსებული სახელმწიფოებრივი საკუთრება ისტორიულად და ეკონომიურად ახალია, ბურჟუაზიული საკუთრების უფრო პროგრესული ფორმაა.

ინდოეთის სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმის ფორმები შემდეგი ძირითადი ნიშან-თვისებებით ხასიათდება:

ა) სახელმწიფო მესაკუთრეა მოქმედი საწარმოებისა ან მეურნეობის მთელი დარგებისა. რომლებიც მის მფლობელობაში გადავიდნენ უცხოეთის კაპიტალიდან ან წინანდელი კოლონიური სახელმწიფოებისაგან ხელისუფლების შეცვლისა და შემდგომი ნაციონალიზაციის შედეგად;

ბ) სახელმწიფო ქმნის თავისი ხარჯით ან კერძო კაპიტალთან ერთად სპეციალიზებულ საავჭრო, სამრეწველო და ფინანსურ კორპორაციებს ეროვნული ან პროვინციული მასშტაბით;

გ) სახელმწიფო ახორციელებს საწარმოთა მშენებლობას უშუალოდ თავისი ხელმძღვანელობით და თავისი ხარჯით, ან კერძო სამამულო კაპიტალთან და უცხოეთის კაპიტალთან ერთად;

დ) სახელმწიფო სხვადასხვა ფორმებით ახორციელებს კონტროლს კერძო-კაპიტალისტურ საწარმოთა და ფირმათა საქმიანობაზე.

ე) სახელმწიფო, მას შემდეგ, როგორც კი ექსპლოატაციაში შეიყვანს დამთავრებულ მშენებლობას (რომელიც სახელმწიფო საკუთრებად რჩება), გადასცემს ამ საწარმოს განსაზღვრულ პირობებში კერძო-კაპიტალისტურ მმართველობას, ხან კიდევ უცხოეთის ფირმას;

ვ) სახელმწიფო ახორციელებს სხვადასხვა სახის კოოპერაციაზე კონტროლს.

ინდოეთის კომუნისტური პარტიის საპროგრამო დოკუმენტებში ნათქვამია, რომ პარტია თანმიმდევრობით მხარს უჭერს სახელმწიფოებრივი სექტორის განმტკიცებას და მძიმე მრეწველობის უპირატესად განვითარებას ამ სექტორის ჩარჩოებში, აგრეთვე ფართო მოხმარების საგნების წარმოების განვითარებას არსებული საწარმოების უფრო სრული გამოყენებისა და შინამრეწველობის განვითარების გზით.

იმავე დროს კომუნისტური პარტია მოითხოვს საჭირო ზომების მიღებას მონოპოლისტების მოგებათა შესაზღუდავად, უცხოეთის კონცერნების, ბანკების, საწარმოთა და პლანტაციების ნაციონალიზაციის გასატარებლად და ძირითად საექსპორტო ნედლეულზე საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის გასატარებლად. კომუნისტურ პარტიას მიაჩნია, რომ სახელმწიფო არასაკმაოდ იყენებს შეძლებული კლასების შემოსავალს ეკონომიური მშენებლობის დასაფინანსებლად. კომპარტია წინადადებას იძლევა დაწესდეს ლიმიტი ყველა მსხვი-

ლი კაპიტალისტის მოგებაზე და მოგებათა ექსპორტზე უცხოეთში და მოითხოვს მოგებათა ზელიმიტური თანხების ამოღებას იძულებითი სესხის ფორმით. ამასთან ერთად კომუნისტური პარტია წინადადებას იძლევა გადაადებულ იქნეს მემამულეთათვის კომპენსაციის გაცემა, გაუქმდეს ყოფილი მთავრებისათვის ასიგნობათა გაცემა პირადი ხარჯების დასაფარავად და რეკვიზირებულ იქნეს მათი გაბერილი სიმდიდრე იძულებითი სესხების ფორმით.

ინდოეთის კომუნისტურ პარტიას აგრეთვე მიაჩნია, რომ სახელმწიფოებრივ-კაპიტალისტური საკუთრება ბურჟუაზიული საკუთრების ყველაზე მაღალი ფორმაა და ახლანდელ ეტაპზე იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ეფექტური დასაყრდენი იმპერიალიზმისა და უცხოეთის კაპიტალისათვის წინააღმდეგობის გასაწევად.

პირველი ხუთწლიანი გეგმა (1950/51—1955/56)

1950 წლის მარტში ინდოეთში შეიქმნა საგეგმო კომისია პრემიერ-მინისტრ ნერუს მეთაურობით. 1951 წლის ივლისში ამ კომისიამ წარმოადგინა სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმის პროექტი 1950/51—1955/56 წლებისათვის, რომელიც პარლამენტმა დაამტკიცა 1952 წლის დეკემბერში.

პირველი ხუთწლიანი გეგმა გამოხატავდა მისწრაფებას შეტანილიყო ერთგვარი გეგმიანობა ახალი ან უკვე დაწყებული საწარმოების, ენერგეტიკული დანადგარების, საირიგაციო ნაგებობების და სხვათა სახელმწიფო კაპიტალურ მშენებლობაში.

პირველი ხუთწლიანი გეგმის ძირითად ამოცანას შეადგენდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარება ჰიდროენერგორესურსების ფართოდ გამოყენების გზით. სოფლის მეურნეობაზე, მორწყვასა და კომპლექსურ ჰიდროტექნიკურ მშენებლობაზე გეგმით სახელმწიფო სექტორის ასიგნობათა 44 პროცენტი იყო გათვალისწინებული.

საადგილმამულო ურთიერთობათა დარგში პირველი ხუთწლიანი გეგმა საიჯარო ურთიერთობაში ცვლილებებს გულისხმობდა, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ მოიჯარეს მიწაზე მუდმივი უფლება ენიჭებოდა, მიწაზე კი საკუთრების მაქსიმალური ზღვარი წესდებოდა. ეს რეფორმები ცალკეული შტატების საკანონმდებლო ორგანოების კომპეტენციაში შედიოდა. რეფორმებმა, მიუხედავად მათი უკიდურესად შეზღუდული ხასიათისა, რამდენადმე მაინც ძირი გამოუთხარეს ფეოდალური მიწათმფლობელობის ეკონომიურ ბაზას.

როგორც მოსალოდნელი იყო, ამ რეფორმებს არ შეეძლოთ დაეკმაყოფილებინათ გლეხთა ფართო მასები, რომლებიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში გატარებული აგრარული რეფორმის გაელენაში იყვნენ, ხოლო ჩინეთში კი, როგორც ცნობილია, რეფორმა გატარდა შემდეგი პრინციპის მიხედვით—„მიწა ეკუთვნით იმათ, ვინც მას ამუშავებს“. სოციალიზმის იდეები სულ უფრო ღრმად იკრებოდნენ მასების შეგნებაში.

1952 წლის ოქტომბერში ინდოეთის მთავრობამ მიიღო „თემური პროექტების“ პროგრამა, ხოლო 1953 წლის დამლეგს უფრო ფართო პროგრამა, რომელიც „ეროვნული განვითარების ხელშემწყობი პროგრამის“ სახელწოდებითაა ცნობილი. პროგრამები სოფლის მეურნეობის დარგში შემდეგი ღონისძიებების გატარებას ითვალისწინებდა: მიწის გადანაწილება, სასუქის, ხარისხოვანი თესლე-

ჭრისა და სასოფლო-სამეურნეო იარაღების განაწილება, ახალი მიწების ათვისება, მორწყვა, არხების მშენებლობა, სამომხმარებლო და საწარმოო კოოპერატივების შექმნა, ადგილობრივი მნიშვნელობის შარაგზების გაყვანა და სხვ.

ამ ღონისძიებებს, რომლებიც სოფლის მეურნეობის აღმავლობისაკენაა მიმართული, მთავრობა კერძო მიწათმფლობელობის ჩარჩოებში განიხილავდა. მემამულეთა ხელში მაინც ტოვებდნენ მიწის დიდ სავარგულებს; ეს გარემოება თვალსაჩინო იყო განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც მემამულე იჯარით არ იძლეოდა მიწას და თვითონ ამუშავებდა მას დაქირავებული შრომით; აღნიშნული გარემოება ობიექტურად ბიძგს აძლევდა მემამულეებსა და შეძლებულ გლეხებს კაპიტალისტური მეწარმეობის გზისაკენ.

როგორც ნერუმ განაცხადა, 1956 წლის იანვარში, „თემური პროექტების" პროგრამამ 100 ათასი სოფელი მოიცვა, რაც მთელი სოფლის მოსახლეობის ერთ მეოთხედს შეადგენს. განზრახულია უახლოესი 5-6 წლის განმავლობაში ამ პროგრამით ინდოეთის ყველა სასოფლო-სამეურნეო რაიონი იქნეს მოცული. კოოპერაციულ საზოგადოებათა სხვადასხვაგვარი სახეობა 1952-დან 1954 წლამდე 165.7 ათასიდან 198,6 ათასამდე გაიზარდა, ხოლო წევრთა რაოდენობამ 2 მილიონამდე იმატა. ძირითადად ესაა საკრედიტო კოოპერატივები, რომლებიც მოწოდებული არიან გლეხობა მოამარაგონ ფულით სამეურნეო საჭიროებისათვის. გათვალისწინებულია კოოპერაციულ საწყისებზე შეიქმნას კორპორაციები სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საწარმოებლად და შესანახად. ამ კორპორაციების ამოცანა ის არის, რომ მოამარაგონ გლეხები თესლებით, სასუქით, სხვადასხვა იარაღით, კრედიტი მისცენ მომავალი მოსავლის ანგარიშში და რეალიზაცია უყონ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას გამსაღებელ კოოპერაციულ საზოგადოებათა მეშვეობით, რომლებსაც აქვთ რესპუბლიკური მნიშვნელობის დიდი და საოლქო მნიშვნელობის პატარა საწყობები. დაბოლოს, გათვალისწინებულია სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივების შექმნა, რასაკვირველია ისეთების, რომლებიც არ ისახავენ ამოცანად საწარმოო საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრების დამყარებას.

სოფლის მეურნეობის ზოგიერთი წარმატება ინდოეთში უდავოა. როგორც ნერუმ განუცხადა „პრავდის" კორესპონდენტს რესპუბლიკის 6 წლისთავთან დაკავშირებით, ინდოეთმა პირველი ხუთწლიანი გეგმის შესრულების შედეგად თავი გაართვა სასურსათო პრობლემას, ამიტომაც 1954 წელს შეწყდა სურსათის განაწილება ბარათებით. ხუთწლედის დასასრულისათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია მთლიანად 15 პროცენტით გაიზარდა, სასურსათო მარცვლეულის წარმოება — 30 პროცენტით. გადიდდა ზეთოვანი კულტურების, შაქრის ლერწმისა და სხვა კულტურების წარმოება. გაიზარდა საშუალო მოსავალი.

განსაზღვრული წარმატებები იქნა მიღწეული ახალი მიწების ათვისებაში. შრომის ნაყოფიერების გადიდებაში, ახალი სარწყავი სისტემებისა და ჰიდროენერგეტიკული კვანძების მშენებლობაში, სასუქების მწარმოებელ საწარმოთა მშენებლობაში და სხვ.

მაგრამ კოოპერირების სისტემა ჯერჯერობით ინდოეთის სოფლის მხოლოდ საშუალო და შეძლებული ფენებისთვის აღმოჩნდა ხელსაყრელი. ღარიბ გლეხთა მხოლოდ 3 პროცენტმა შესძლო კოოპერაციული საზოგადოებიდან სესხის მიღება. ეს იმიტომ, რომ სესხს მიწის გირაოთი იძლეოდნენ. ღარიბ გლეხთა უმრავლესობა ისევ პროფესიულ მევახშეთა „მომსახურებით" სარგებლობდა. ფაქტიურად რეალური დაგეგმვის ელემენტები მხოლოდ სახელმწიფო სექტორზე

გავრცელდა. სწორედ ამან გამოიწვია გარკვეული მიღწევები პირველი ხუთწლიანი გეგმის შესრულების მსვლელობაში მრეწველობის დარგში. აშენებულ იქნა ორთქლმავალშემკეთებელი ქარხანა ჩიტარანეაში, ქიმიური კომბინატი სინდირაში, გემთმშენებელი ვერფი, ვაგონშემკეთებელი ქარხანა, ტელეფონის აპარატურის ქარხნები, ლითონდამმუშავებელი ჩარხების ქარხანა და სხვ. ათვისებულ იქნა პროდუქციის ახალი სახეობანი მანქანათმშენებლობის, ელექტროტექნიკური და ქიმიური მრეწველობის სხვადასხვა დარგებში. ახალ საწარმოთა ამუშავების შედეგად სამრეწველო წარმოება 1955—1956 წლებში ხუთწლედის პირველ წელთან შედარებით 32 პროცენტით გაიზარდა.

საგზაო მშენებლობისა და ტრანსპორტის განვითარების პროგრამა მთლიანად შესრულდა. გაყვანილ იქნა 380 მილი რკინიგზა და აღდგენილ იქნა 430 მილი რკინიგზის ხაზი.

დაწყებითი სკოლების მოსწავლეთა რიცხვი ხუთწლედის განმავლობაში 18,7 მილიონიდან 24,8 მილიონამდე გაიზარდა. ჯანმრთელობის დაცვის დარგში საკმაო წარმატებები იქნა მოპოვებული. ნაციონალური შემოსავალი გაიზარდა 18 პროცენტით.

მეორე ხუთწლიანი გეგმა (1956—1961 წწ.)

თუკი პირველი ხუთწლიანი გეგმა კაპიტალდაბანდებათა და პროდუქციის გამომუშავების დარგში ამოცანებს უმთავრესად კერძო სექტორში აყენებდა და ამიტომ იგი სურვილების ხასიათს ატარებდა, მეორე ხუთწლიანი გეგმა (1956—1961 წწ) მძიმე მრეწველობის განვითარებას აქცევს მთავარ ყურადღებას, ამასთან მისი ძირითადი ობიექტები სახელმწიფოს მიერ უნდა ყოფილიყო აშენებული და შემდგომშიც სახელმწიფო საკუთრებად დარჩენილიყო. ამ მხრივ დიდი ყურადღება ექცეოდა მთავრობის მიერ 1956 წლის 30 აპრილს მიღებულ „რეზოლუციას სამრეწველო პოლიტიკის შესახებ". რეზოლუცია მიუთითებდა, რომ „საყოველთაო სოციალური და ეკონომიური თანასწორობის უზრუნველსაყოფად" და „სოციალისტური ხასიათის მქონე საზოგადოების" შესაქმნელად აუცილებელია ზომების მიღება „ეკონომიური მშენებლობისა და ინდუსტრიალიზაციის ტემპების დასაჩქარებლად მძიმე და მანქანათმშენებელი მრეწველობის ყოველმხრივი განვითარების გზით, სახელმწიფო სექტორის გაფართოებისა და მზარდი კოოპერაციული სექტორის შექმნის გზით".

სამრეწველო პოლიტიკაში ორი ძირითადი მიზანდასახულობის დაცვა. სახელდობრ, მძიმე მრეწველობის უპირატესი განვითარება და სახელმწიფო სექტორის უპირატესი მდგომარეობა რეზოლუციის შემდეგ დებულებებში იყო გამოთქმული:

მრეწველობის ყველა ძირითადი დარგი, სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე დარგების ჩათვლით, საზოგადოებრივი მომსახურების საწარმოებთან ერთად, სახელმწიფო სექტორში უნდა შედიოდნენ. ამ კატეგორიას მთავრობა მიაკუთვნებდა მრეწველობის 17 დარგს და ტრანსპორტის იმ სახეობებს, რომელთა განვითარება მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს გამგებლობაში იქნება, სახელდობრ: რკინიგზისა და საავიაციო ტრანსპორტი, სამხედრო მრეწველობა, ატომური ენერგიის წარმოება, შავი მეტალურგია, მძიმე მანქანათმშენებლობა, მძიმე ელექტრომანქანათმშენებლობა, ქვანახშირის, ნავთობისა და სახელმწიფო მრეწველობის სხვა ძირითადი დარგები, გემთმშენებლობა, ელექტროენერგიის წარმოება და კავშირგაბმულობის საშუალებათა წარმოება;

მრეწველობის სხვა მნიშვნელოვანი დარგები, რომლებიც ისეთ კაპიტალდაბანდებებს მოითხოვენ, რომელთა დაკმაყოფილება მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია, აგრეთვე სახელმწიფო სექტორში შედიან; ამ ჯგუფში მოქცეულია ალუმინის მრეწველობა, ლითონ-დამამუშავებელი ჩარხების, სინთეზური კაუჩუკისა და ცელულოზის წარმოება, აგრეთვე საავტომობილო და საზღვაო ტრანსპორტი, ქიმიური ნედლეულის, სასუქების, ანტიბიოტიკებისა და სხვა მნიშვნელოვანი წამლების წარმოება;

მესამე კატეგორია მოიცავდა მრეწველობის ყველა დანარჩენ დარგს, რომლებიც კერძო სექტორში რჩებიან; მაგრამ, რეზოლუცია ითვალისწინებს, რომ ამ საწარმოთა საქმიანობა სახელმწიფოს პოლიტიკურ და სოციალურ საფუძვლებს უნდა შეესაბამებოდეს და მისი შესაბამისი კონტროლის ქვეშ უნდა იმყოფებოდეს.

როგორც ზემოთ ნაჩვენები იყო, დამოუკიდებელი ეროვნული ეკონომიკის შექმნის საკითხის გადაჭრას ნერუს მთავრობა სამართლიანად ეძებს სახელმწიფო სექტორის ჩამოყალიბებაში. 1951 წელს გამოქვეყნებული ოფიციალური მონაცემებით, უცხოეთის კაპიტალი აკონტროლებდა ნავთობის მრეწველობის 97 პროცენტს, რეზინის მრეწველობის 93 პროცენტს, რკინიგზის მოწყობილობათა წარმოების 90 პროცენტს და ა. შ. ახალი სამრეწველო საწარმოები ან სახელმწიფოს ეკუთვნის ან ინდოეთის მსხვილ კომპანიებს, რომლებიც სახელმწიფოსაგან მნიშვნელოვან სახსრებს ღებულობენ.

იმ მიზნით, რომ ეკონომიური პროგრამის განსახორციელებლად კერძო კაპიტალი იქნეს მიზიდული, მთავრობა ცდილობს წაახალისოს სხვადასხვა საფინანსო კორპორაციების შექმნა. ზოგი კორპორაცია მთლიანად სახელმწიფოს ეკუთვნის („ნეიშნელ ინდასტრიელ დეველოპმენტ კორპორეიშნ") ან მისი კონტროლის ქვეშ იმყოფება („ინდასტრიელ ფაინენს კორპორეიშნ ოფ ინდია"), დანარჩენები კერძო საფინანსო კორპორაციებს წარმოადგენენ. სახელმწიფო კორპორაციები ვალდებული არიან დახმარება აღმოუჩინონ ინდოეთის მსხვილ საწარმოებს მათთვის სუბსიდიებისა ან უპროცენტო სესხების მიცემით.

უცხოეთის კონკურენციისაგან ეროვნულ საწარმოთა დაცვის საშუალებებს წარმოადგენენ მთავრობის მიერ უცხოეთიდან შემოსატან საქონელზე დაწესებული მფარველობითი ტარიფები და ინდოეთის საექსპორტო საქონელზე ბაჟის შემცირება ან მოხსნა. დამოუკიდებელი ეროვნული ეკონომიკის შესაქმნელად სერიოზული მნიშვნელობა ჰქონდა პარლამენტის მიერ 1955 წლის აპრილში მიღებულ კანონს ინდოეთის საიმპერიო ბანკის ნაციონალიზაციისა და მის ბაზაზე ინდოეთის სარეზერვო ბანკის შექმნის შესახებ. 1956 წლის იანვარში ნაციონალიზებულ იქნა სიცოცხლის დაზღვევის საზოგადოებათა კომპანიები, რომლებიც მანამდე ინგლისის კაპიტალს ეკუთვნოდა.

ზოგიერთი ახალი საწარმოს მშენებლობისათვის, რომლებიც მსხვილ კაპიტალდაბანდებებსა და რთულ მოწყობილობებს მოითხოვენ, მთავრობა იძულებულია მიმართოს უცხოეთის კაპიტალის მიზიდვის საქმეს. რამდენადაც ეს კაპიტალისტურ სახელმწიფოებს ეხება, ამ შემთხვევაში შესამჩნევია ერთგვარი წინააღმდეგობა მიზანსა (უცხოეთის დამოკიდებულებისაგან განთავისუფლება) და ამ მიზნის განსახორციელებელ საშუალებას შორის. აქედან გამომდინარეობს მთავრობის ფრთხილი დამოკიდებულება უცხოეთის კაპიტალის მიზიდვის საკითხისადმი. ნერუს მთავრობა უპირატესობას აკუთვნებს იმ აზრს, რომ უანგარო დახმარებისათვის მიმართოს საბჭოთა კავშირს.

მრეწველობაში დასაქმების პრობლემის გადაჭრას ნერუს მთავრობა ცდილობს კუსტარული ხელოსნობის განვითარების გზით, რომელსაც ინდოეთის პირობებში საქარხნო მრეწველობასთან შედარებთ იმავე კაპიტალდაბანდებით შეუძლია 10—15-ჯერ ან თუნდაც 20-ჯერ გადიდოს დასაქმება. მრეწველობის ახალი დარგები კი, რომლებიც თუმცა კელაე მოითხოვენ დამატებით მუშახელს, ჯერჯერობით მაინც ვერ წყვეტენ უმუშევრობის პრობლემას.

მეორე ხუთწლიან გეგმაში მთავარი ყურადღება ექცევა მძიმე მრეწველობის ძირითადი დარგების განვითარებას, სახელმწიფო სექტორის ხაზით. კაპიტალდაბანდებანი მეორე ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია სახელმწიფო სექტორში 48 მილიარდი რუპიით, კერძოში—24 მილიარდით. თუ პირველი ხუთწლედით კაპიტალდაბანდების ორი მესამედი სოფლის მეურნეობაზე, ირიგაციასა და ტრანსპორტზე იყო გათვალისწინებული, ხოლო მრეწველობისათვის — მხოლოდ 7,6 პროცენტი, მეორე ხუთწლიანი გეგმით კაპიტალდაბანდებანი მრეწველობაში სახელმწიფო სექტორის ხაზით შეადგენს 20 პროცენტს—9 მილიარდ რუპიას. სახელმწიფო დაბანდებებში გაბატონებული ადგილი საწარმოო საშუალებათა წარმოებისათვის დასახარჯ თანხას უკავია, მათ შორის შავ მეტალურგიაზე მოდის 30 პროცენტი.

ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს კომპლექსური სპეციალიზაციის მქონე სამი მეტალურგიული ქარხნის მშენებლობას: ერთი — ორისის შტატის დაბა რურკელაში, რომელიც დასავლეთ გერმანიის კრუპისა და „დემაგის" კომპანიის მონაწილეობით შენდება; მეორე შენდება ქალაქ დირგაპურში ინგლისის კომპანიის „ინდიან სტილ უორკს კონსტრაქშკომპანის" მიერ და მესამე — ბჰილაიში საბჭოთა კავშირის დახმარებით. გარდა ამისა, გეგმა ითვალისწინებს ფოლადის წარმოების გადიდებას სამ არსებულ მეტალურგიულ ქარხანაში 1,7 მილიონი ტონით.

საბჭოთა სპეციალისტების მიერ დამუშავებული პროექტის მიხედვით ბჰილაის ქარხანა იქნება უდიდესი კომპლექსური საწარმო, რომელშიც შევა კოქსქიმიური ქარხანა, აგლომერაციული ფაბრიკა, საბრძმედე, მარტენისა და საგლინავი საამქროები და სხვ. ბჰილაის ქარხანაში საგლინავი დგანები გამოუშვებენ ათტონიან ფოლადის ზოდებს, ხოლო ფოლადის საერთო პროდუქცია მილიონ ტონას მიაღწევს. გათვალისწინებულია მომავალში ბჰილაის ქარხნის სიმძლავრის გადიდება ისე, რომ მან შეძლოს 2,5 მილიონი ტონა ფოლადის ზოდების გამოშვება. ორი დანარჩენი ქარხნის სიმძლავრე კი უნდა გაიზარდოს თეითეულისა 1, 25 მილიონ ტონამდე.

ბჰილაის ქარხნისათვის გამოყენებული იქნება დალირაჯხარა-პახარის რაიონში მდებარე რკინის საბადოები. ქარხნის აშენებისა და მისი მოწყობილობის ღირებულება შეადგენს დაახლოებით 1 მილიარდ 100 მილიონ რუპიას. იმ მოწყობილობათა ღირებულება, რასაც საბჭოთა კავშირი მიაწვდის, დაახლოებით აღნიშნული თანხის ნახევარს შეადგენს.

მეორე ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს აგრეთვე 12,5 მილიონი ტონა რკინის მადნისა და 60 მილიონი ტონა ქვანახშირის მოპოვებას, 6 მილიონი ტონა ფოლადისა და 750 ათასი ტონა თუჯის გამოდნობას, 8,5 მილიარდი იარდი ბამბეულის ქსოვილის წარმოებას და სხვ.

სოფლის მეურნეობის დარგში გეგმა ითვალისწინებს მარცვლეულის წარმო-

ების გადიდებას 15.პროცენტით, ბამბისას—31 პროცენტით, შაქრის ლერწმისას—28 პროცენტით, ზეთოვანი კულტურებისას —27 პროცენტით. გათვალისწინებულია სურსათის წარმოების გადიდება 10 მილიონი ტონით, სათესი ფართობის გადიდება სარწყავი სისტემის აგების გზით 4,5 მილიონი ჰექტარით, სასუქების მოხმარების გადიდება სამჯერ, თესლის ხარისხის გაუმჯობესება, სურსათის მოხმარების გადიდება მოზრდილ ადამიანზე ყოველდღიურად 487 გრამიდან (როგორც ეს იყო მეორე ხუთწლედის პირველ წელს) 518 გრამამდე (1960—1961 წლებში.

მეორე ხუთწლედში გათვალისწინებულია რიგი ღონისძიებების გატარება სამიწათმოქმედო ურთიერთობის დარგში, მაგალითად: მიწათმფლობელობის ზღვრული ზომის დაწესება და დანარჩენი ნაწილის გამოსყიდვა სახელმწიფოს მიერ უმიწაწყლო გლეხებს შორის მისი შემდგომი განაწილებით; მოიჯარეთ: უფლებების დასაცავად ახალი ზომების შემოღება; გლეხებისათვის იმ მიწების დაბრუნება, რომლებიდანაც ისინი განდევნილ იქნენ მემამულეთა მიერ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში და სხვ. იმისათვის, რომ დაჩქარებულიყო მიწის რეფორმის გატარება და ბოლო მოღებოდა მემამულეთა დავაკრობას, მთავრობამ 1955 წლის აპრილში რიგი შესწორებები შეიტანა კონსტიტუციის ზოგიერთ მუხლში. ამ შესწორებათა არსი ის იყო, რომ მთავრობის მიერ მიწის გასხვისების მოხდენის აქტი არ შეიძლება გასაჩივრებულ იქნას სასამართლო ინსტანციებში.

დაბოლოს, მეორე ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს კოოპერირების შემდგომ გაფართოებას სოფლის მეურნეობაში.

გარდა მიწის დამუშავების გაუმჯობესებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადიდებისა, კოოპერაცია ახალ შესაძლებლობებს შექმნის სამუშაოებით მოსახლეობის უზრუნველსაყოფად და მისი საარსებო დონის ასამაღლებლად. წამოყენებულია სანიმუშო პროგრამა, რომლის თანახმად ინდოეთში უახლოესი ოთხი წლის განმავლობაში უნდა მოეწყოს 10.000 სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციული საზოგადოება, თითო საზოგადოება ყოველ 50 სოფელზე. ამის შემდეგ, გამოცდილების დაგროვების მიხედვით უნდა დამუშავდეს კოოპერაციების საერთო ეროვნული პროგრამა.

გეგმით გათვალისწინებულია მუშა-მოსამსახურეთა ზრდა სახალხო მეურნეობაში 11 მილიონი კაცით. ნაციონალური შემოსავალი გეგმით 25 პროცენტით უნდა გაიზარდოს. დასახულია ღონისძიებები საბინაო და კომუნალურ მშენებლობის დარგში, საექიმო მომსახურების გაუმჯობესებისა და სახალხო განათლებისა და კულტურის დარგში.

მეორე ხუთწლიანი გეგმის განხორციელებას ინდოეთის მთავრობის ფინანსიური დაბრკოლებები ეღობება წინ. ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობენ სწორედ ამით ისარგებლონ და თავიანთი „დახმარება“ მოახვიონ ინდოეთს, რომლის საშუალებით ქვეყნის ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს საკვანძო პოზიციებს ჩაიგდებენ ხელში.

1957 წლის 9 ნოემბერს სსრ კავშირისა და ინდოეთის მთავრობების დელეგაციებს შორის ხელმოწერილ იქნა ახალი შეთანხმება ინდოეთის სამრეწველო მშენებლობის საქმეში თანამშრომლობის თაობაზე და საბჭოთა მთავრობის მიერ ინდოეთისათვის 500 მილიონი მანეთის სესხად მიცემის შესახებ. ეს სესხი გამოყენებულ იქნება იმ ხარჯების დასაფარავად, რაც დაკავშირებულია მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხნების აგებასთან, შუშის ქარხნის, 250 ათას კილოვატი სი-

მძლავრის მქონე თბოელექტროსადგურის და ქვანახშირის მომპოვებელ და გადამმუშავებელ საწარმოთა მშენებლობასთან. სესხი მიცემულია წლიური 2,5 პროცენტის ანგარიშით და უნდა დაიფაროს 12 წლის განმავლობაში ყოველწლიურად თანაბარი ნაწილის შეტანით. ინდოეთის მთავრობას მიაჩნია, რომ ზემოდასახელებულ მსხვილ თანამედროვე სამრეწველო საწარმოთა მშენებლობა საშუალებას მისცემს ინდოეთს შექმნას მსხვილი მანქანებისა და მოწყობილობების სამამულო წარმოება, რაც მეორე ხუთწლიანი გეგმის ამოცანათა შესაბამისად მრეწველობის ძირითადი დარგების შემდგომი განვითარების მიზანს მოემსახურება. კრედიტი მიცემულია სსრ კავშირიდან მიწოდებულ მოწყობილობათა და მასალათა ღირებულების დასაფარავად.

ნერუს მთავრობის პროგრესული ღონისძიებები მეორე ხუთწლიანი გეგმის განხორციელების დარგში სრულ მხარდაჭერას პოულობენ ინდოეთის კომუნისტური პარტიის მხრივ, რომელიც მთავრობასთან თანამშრომლობის პოზიციაზე დგას მეორე ხუთწლიანი გეგმის შესრულების საქმეში. ინდოეთის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტი, რომელიც გამოქვეყნებულ იქნა 1951 წლის მაისში, იმაზე ლაპარაკობს, რომ ინდოეთში მოცემულ ეტაპზე არ დგას უშუალოდ სოციალიზმისათვის ბრძოლის ამოცანა. მაგრამ პროგრამა ხაზს უსვამს იმ განსაკუთრებულ მნიშვნელობას, რაც ენიჭება მემამულეთა მიწათმფლობელობის ლიკვიდაციას, კოლონიალიზმის წინააღმდეგ ინდოეთის ბრძოლას და საბჭოთა კავშირის მეთაურობით მშვიდობისათვის წარმოებულ ბრძოლაში ინდოეთის მონაწილეობას.

ინდოეთის მთავრობის მშვიდობიანი საგარეო პოლიტიკა

მშვიდობის დასაცავად ნერუს მთავრობის მიერ წარმოებულმა აქტიურმა პოლიტიკამ დიდად აამაღლა ინდოეთის ავტორიტეტი საერთაშორისო ასპარეზზე და ხელი შეუწყო მისი, როგორც დიდი სახელმწიფოს, სახელის განმტკიცებას. 1953 წელს ინდოეთმა დიდი როლი შეასრულა კორეაში საომარი მოქმედების შეწყვეტაში და დაზავებაზე კონტროლის გასაწევად მეთვალყურეობის მოწყობაში. ინდოეთი აქტიურად გამოდიოდა ინდო-ჩინეთში საომარი მოქმედების შესაწყვეტადაც.

ინდოეთის საგარეო პოლიტიკაში დიდი ადგილი უკავია მის პოლიტიკურ და ეკონომიურ ურთიერთობას საბჭოთა კავშირთან, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან. 1953 წელს ხელმოწერილ იქნა საკავშირო ხელშეკრულება საბჭოთა კავშირსა და ინდოეთს შორის. 1954 წელს ინდოეთსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის ხელმოწერილ იქნა შეთანხმება ტიბეტის შესახებ, რასაც მშვიდობიანი თანაარსებობის ხუთი პრინციპი დაედო საფუძვლად. ეს პრინციპები საქვეყნოდ იქნა გამოცხადებული ცნობილ დეკლარაციაში, რომელსაც ხელი მოაწერეს ჯოუ ენ-ლაიმ და ნერუმ 1954 წლის იელისში დელში ჩინეთის პრემიერის ყოფნის დროს.

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისაკენ ინდოეთის ხალხის განუხრელმა მისწრაფებამ, აგრეთვე სადავო საკითხების გადასაჭრელად მშვიდობიანი მეთოდის აღიარებამ თავისი გამოხატულება პოვა ინდოეთსა და საფრანგეთს შორის 1954 წელს შეთანხმების მიღწევაში იმის შესახებ, რომ ინდოეთის ტერიტორიაზე საფრანგეთის კოლონიებში ჩატარებული-

ყო პლებისციტი, ხოლო პლებისციტის შემდეგ ყოფილი კოლონიები ინდოეთის რესპუბლიკის შემადგენლობაში შესულიყვნენ.

ინდოეთის ხალხი არ ურიგდება იმ მდგომარეობას, რომ დაახლოებით ოთხი საუკუნის განმავლობაში ინდოეთის ტერიტორია—გოა პორტუგალიის კოლონიურ მონობაში იმყოფება, და წინადადებას იძლევა ჩატარდეს გოას მოსახლეობაში პლებისციტი.

აშშ მაშინდელმა სახელმწიფო მდივანმა დალესმა აშკარად დაუჭირა მხარი პორტუგალიელ კოლონიზატორებს და გოას უწოდა „პორტუგალიის პროვინცია". აგრესიული ბლოკების დაგმობის და მშვიდობის დაცვის საკითხში ინდოეთის მიერ დაკავებული მტკიცე პოზიცია მიზეზია იმ მტრული დამოკიდებულებისა, რომელსაც იჩენენ ამერიკის შეერთებული შტატები ნერუს მთავრობის მიმართ, და იმ პროვოკაციული მხარდაჭერისა, რასაც ამერიკელები უწევენ პორტუგალიას.

აზიის ხალხთა ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1954 წელს კოლომბოში შემდგარი ინდოეთის, ინდონეზიის, პაკისტანის, ბირმისა და ცეილონის პრემიერ-მინისტრების კონფერენცია. კონფერენციამ მოითხოვა ომის შეწყვეტა ინდო-ჩინეთში და კოლონიალიზმის ლიკვიდაცია. ამ ქვეყნების პრემიერ-მინისტრთა ინიციატივით 1955 წლის აპრილში ბანდუნგში შედგა აზიისა და აფრიკის 29 ქვეყნის კონფერენცია, სადაც მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელიც დაფუძნებული იყო მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებზე და გმობდა კოლონიალიზმს.

1954 წლის დამლევს ნერუ ეწვია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას. ამ ვიზიტს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ორი დიდი ხალხის დაახლოებისათვის.

1955 წლის ივნისში ნერუ საბჭოთა კავშირს ეწვია. ორივე სახელმწიფოს ხელმძღვანელებმა გადაწყვეტილება მიიღეს თავიანთი სახელმწიფოების დამოკიდებულება ააგონ მშვიდობიანი თანაარსებობის ხუთ პრინციპზე, განავითარონ და განამტკიცონ ურთიერთობა ეკონომიურ და კულტურულ სფეროებში, აგრეთვე სამეცნიერო და ტექნიკური კვლევის დარგში. უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო საკითხების მშვიდობიანად გადაჭრის გზად ორივე სახელმწიფოს ხელმძღვანელებმა აღიარეს იმის აუცილებლობა, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას უნდა დაეთმოს თავისი ადგილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და უნდა დაკმაყოფილდეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერი უფლებები ტაივანის მიმართ.

1955 წლის ბოლოს საბჭოთა ხელმძღვანელების სტუმრობამ ინდოეთში, ბირმასა და ავღანეთში დიდი როლი შეასრულა საბჭოთა კავშირსა და ამ ქვეყნებს შორის მეგობრულ პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ ურთიერთობათა შემდგომ განვითარებაში ორივე ქვეყნის ინტერესების შესაბამისად. საბჭოთა კავშირმა, როგორც ზევით იყო ნათქვამი, იკისრა ბპილაის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობაში ინდოეთისათვის დახმარების გაწევა, აგრეთვე ინდოეთისათვის სამი წლის განმავლობაში (1956 წლიდან დაწყებული) მილიონი ტონა შავი ლითონის ნაგლინის, აგრეთვე სხვა სამრეწველო მოწყობილობათა და საქონლის მიწოდება. საბჭოთა კავშირი ეხმარება ინდოეთს ტექნოლოგიური ინსტიტუტის დაარსების საქმეში; მან იკისრა ინდოეთის მუშაკის, ტექნიკოსებისა და ინჟინრების სწავლება, რომლებიც შემდეგ ინდოეთის მეტალურგიულ ქარხნებში იმუშავებენ; დახმარება შესთავაზა ინდოეთს ფარმაცევტული მრეწვე-

ლობის განვითარების საქმეში, დაეხმარა საბავშვო ჰოსპიტლის „კალავატი სარანის“ მოწყობაში და სხვ. ვითარდება საბჭოთა კავშირ-ინდოეთის სამეცნიერო კავშირი.

ინდოეთის მთავრობის მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისაკენ მისი მისწრაფება გამოვლინდა მის მიერ ბაღდადის პაქტის დაგმობაში. სუეცის კონფლიქტის დროს ინდოეთის მთავრობამ სუეცის არხზე ეგვიპტის სუვერენულ უფლებებს დაუჭირა მხარი. ლონდონის კონფერენციაზე ინდოეთი სუეცის საკითხის მშვიდობიანი და სამართლიანი გადაჭრის პროექტით გამოვიდა. ინდოეთის მთავრობამ სასტიკად დაგმო იმპერიალისტური აგრესია ეგვიპტის წინააღმდეგ, ხოლო შემდეგ — სახელმწიფოებრივი შეთქმულების მზადება სირიის წინააღმდეგ. ამავე დროს ინდოეთის მთავრობა აქტიურად იბრძვის განიარაღებისათვის და მოითხოვს ატომისა და წყალბადის იარაღის გამოცდის აკრძალვას.

ინდოეთი მონაწილეობდა აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის კაიროს კონფერენციაში. 1958 წლის ზაფხულში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სესიაზე ინდოეთი მოითხოვდა ამერიკისა და ინგლისის ჯარების გაყვანას ლიბანიდან და იორდანიიდან. ინდოეთის მთავრობამ მკაცრად დაგმო აშშ-ის პროვოკაციული საქმიანობა, რომელიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და კუნძულ ტაივანზე და სანაპირო კუნძულებზე ჩინეთის სუვერენული უფლებების წინააღმდეგ იყო მიმართული. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XIII სესიაზე ინდოეთმა კვლავ მოითხოვა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისათვის თავისი კანონიერი ადგილის დათმობა გაერთიანებულ ერების ორგანიზაციაში.

იმავე დროს ინდოეთი მამაცურად იცავს თავის სუვერენულ უფლებებს. ინდოეთის მთავრობის მოთხოვნით გაძევებულ იქნენ ამერიკის „მეთვალყურენი“ ქაშმირის ტერიტორიის იმ ნაწილიდან, სადაც აღდგენილია ინდოეთის უფლებები. როდესაც უშიშროების საბჭოში დისკუსია განახლდა ქაშმირის საკითხის ირგვლივ იმასთან დაკავშირებით, რომ დასავლეთის სახელმწიფოებმა წარადგინეს რეზოლუციის პროექტი ქაშმირში უცხოეთის ჯარების შეყვანის შესახებ, ინდოეთის წარმომადგენელმა კატეგორიულად გაილაშქრა ამ პროექტის წინააღმდეგ, რომელიც უხეშად არღვევდა ინდოეთის სუვერენულ უფლებებს და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას. საბჭოთა დელეგაციამ ამ პროექტის წინააღმდეგ ხმის მიცემით მიაღწია მის უარყოფას.

ქაშმირის, როგორც ინდოეთის რესპუბლიკის ერთ-ერთი შტატის, საკითხი გადაჭრილ იქნა თვით ქაშმირის ხალხის მიერ. ქაშმირში მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამი იყო, რომ „შტატი ჯამუ და ქაშმირი არიან და რჩებიან ინდოეთის კავშირის ძირითად ნაწილად“. ამის შემდეგ ქაშმირის დამფუძნებელმა კრებამ თავისი თავი დაშლილად გამოაცხადა, ხოლო ინდოეთის მთავრობამ თხოვნით მიმართა უშიშროების საბჭოს — მოუწოდოს პაკისტანს, რათა მან დაუყოვნებლივ შეწყვიტოს საომარი მოქმედებები ქაშმირში.

* * *

მთავრობის პროგრესულმა პოლიტიკამ დიდად ასწია პარტია—„ინდოეთის ნაციონალური კონგრესის“ ავტორიტეტი ქვეყნის შიგნით. უკანასკნელ არჩევნებში „ინდოეთის ნაციონალურმა კონგრესმა“ 494-დან 366 დეპუტატის ადგი-

ლი მიიღო სახალხო პალატაში და 3278-დან 2034 ადგილი — შტატების საკანონმდებლო კრებებში.

მეორე ადგილი დაიკავა კომუნისტურმა პარტიამ, რომელმაც ორჯერ მეტი ხმა შეაგროვა 1951—1952 წლის არჩევნებთან შედარებით და 29 მანდატი მიიღო სახალხო პალატაში, 207 მანდატი კი — შტატების საკანონმდებლო კრებებში. კომუნისტურმა პარტიამ ადგილების უმრავლესობა მიიღო კერალის სამხრეთის შტატის საკანონმდებლო კრებაში და შექმნა შტატის მთავრობა, რომლის სათავეში ნამბუდრიპადი დადგა და რომელშიც 9 კომუნისტი და ორი დამოუკიდებელი შევიდა. შტატის მთავრობამ კონსტიტუციის ფარგლებში რიგი ღონისძიებები გაატარა მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. კერძოდ, 1957 წლის დეკემბერში ნამბუდრიპადის მთავრობამ გამოაქვეყნა „კანონის პროექტი კერალში აგრარული ურთიერთობის შესახებ". კანონი ითვალისწინებს მემამულეთა მიწათმფლობელობის ლიკვიდაციას. კანონის ძალით მემამულეებს არა აქვთ უფლება გარეკონ თავიანთი მამულიდან მოიჯარადრენი; საიჯარო ქირა მნიშვნელოვნად შემცირებულია; მოზიარეებს უფლება აქვთ იჯარით აიღონ მიწა და შეუძლიათ იჯარით აღებული მიწა საკუთრებად შეიძინონ და სახელმწიფოს ნაწილ-ნაწილ გადაუხადონ მიწის ღირებულება, სახელმწიფო კი ანგარიშსწორებას ახდენს მემამულესთან. ახალი კანონი ძალაში შეიყვანა შტატის მთავრობამ ინდოეთის მეორე ხუთწლიანი გეგმის რეკომენდაციების შესაბამისად[1].

ინდოეთის რესპუბლიკის წინაშე დიდი სიძნელეები დგას დამოუკიდებელი ეროვნული ეკონომიკის შექმნაში. ინგლისელთა ორსაუკუნოვანი კოლონიური ბატონობის წყეული წარსულის მემკვიდრეობა დღესაც დიდად საგრძნობია ინდოეთში. მაგრამ ჩვენს დროშიც ინდოეთი იძლევა იმის მკაფიო დადასტურებას, თუ რა ღრმა სოციალურ-ეკონომიური ცვლილებები მოხდა აღმოსავლეთში და რამდენად უსუსურია კოლონიზატორთა ცდა — უკან მოაბრუნონ ისტორიის ჩარხი.

ინდონეზიის რესპუბლიკა

ინდონეზიის ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის წარსულიდან

მეორე მსოფლიო ომის წინ ინდონეზია ჰოლანდიის კოლონიას წარმოადგენდა. ჰოლანდიის პლანტატორები და ვაჭრები დაუზოგავად ძარცვავდნენ ინდონეზიის ხალხს, რომელიც სულ უბრალო ელემენტარულ ადამიანურ უფლებასაც მოკლებული იყო და უსაშინელეს მხეცურ ექსპლოატაციას განიცდიდა. ჰოლანდიის კოლონიზატორებთან ერთად უფრო ძლიერი კოლონიური სახელმწიფოები გამოდიოდნენ. უცხოეთის კომპანიათა ყოველწლიური მოგება 30-40 და თითქმის 100 პროცენტსაც შეადგენდა. ქინაქინის საწარმოთა მფლობელების დივიდენდი 170 პროცენტს აღწევდა. ინდონეზიის მინდვრებზე იძულებითი წესით მოჰყავდათ ის კულტურები, რომლებზედაც მსოფლიო ბაზრის დიდი მოთხოვნილება არსებობდა. ამის გამო ინდონეზიის გლეხებს იძულებულს ხდიდნენ მიეტოვებინათ

[1] 1959 წელს ინდოეთის მთავრობამ დაშალა კერალის შტატის კომუნისტური მთავრობა და პრეზიდენტის დეკრეტით დანიშნულ იქნა ახალი მთავრობა.

ძირითადი სასურსათო კულტურის — ბრინჯის წარმოება და დაეწყოთ იმ კულტურების მოყვანა, რაც საექსპორტოდ იყო საჭირო (ყავა, თამბაქო, სანელებელი და სხვ.)

ინდონეზიის ხალხი ბრძოლას აწარმოებდა კოლონიზატორთა წინააღმდეგ. ინდონეზიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარებაზე დიდი გავლენა იქონია 1905—1907 წლების რუსეთის რევოლუციამ. რუსეთის რევოლუციის გავლენით 1908 წლის მაისში იავაზე შეიქმნა ეროვნული კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაცია ბუდი-უტომო, რომელიც თუმცა მასობრივ ხასიათს არ ატარებდა, ლეგალობის პოზიციებზე იდგა და საგანმანათლებლო მუშაობით შემოფარგლავდა თავის საქმიანობას; მას დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც პირველ ეროვნულ ორგანიზაციას, რომელიც გაერთიანებისაკენ მოუწოდებდა იაველ ხალხს. 1911 წელს ინდონეზიაში დაარსდა ახალი ორგანიზაცია „სარეკატ ისლამი" (ისლამის კავშირი); ეს ორგანიზაცია ბურჟუაზიამ შექმნა, მაგრამ იგი მალე მასობრივ ორგანიზაციად იქცა, რომელშიც შეიდნენ ქალაქის წვრილი ბურჟუაზიის წარმომადგენლები, ბურჟუაზიისა და წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის წარმომადგენლები, მუშები და გლეხები. ორგანიზაცია „სარეკატ ისლამი" ვ. ი. ლენინმა დაახასიათა, როგორც „ადგილობრივი მოსახლეობის ეროვნული კავშირი". ამ ორგანიზაციის დაარსებით რევოლუციურ-დემოკრატიულმა მოძრაობამ მასობრივი ხასიათი მიიღო ინდონეზიაში.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ინდონეზიელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძლიერი აღმავლობა გამოიწვია. 1920 წელს კუნძულ იავაზე შეიქმნა ინდონეზიის კომუნისტური პარტია, რომელიც კომუნისტურ ინტერნაციონალს მიემხრო. მეორე მსოფლიო ომის წინ მას დიდი მასობრივი ბაზა ჰქონდა ინდონეზიის მუშათა კლასში. მეორე მსოფლიო ომის ვითარებაში იაპონელთა ბატონობის დროს კომუნისტური პარტია არალეგალურად მუშაობდა.

კომუნისტურ პარტიასთან ერთად ინდონეზიის ხალხის განმათავისუფლებელ მოძრაობაში დიდი როლი შეასრულა ეროვნულმა პარტიამ, რომელიც 1927 წელს შეიქმნა. ამ პარტიის ლიდერები იყვნენ ინდონეზიის რესპუბლიკის ახლანდელი პრეზიდენტი სუკარნო, ალი სასტროამიჯოიო და სხვ.

ანტიტოს რევოლუცია. ინდონეზიის რესპუბლიკის შექმნა

მეორე მსოფლიო ომის დროს, როდესაც ინდონეზია იაპონიის მიერ ოკუპირებული იყო, ინდონეზიის ხალხი ოკუპანტების წინააღმდეგ იბრძოდა. ფაშისტური გერმანიის განადგურებამ დამოუკიდებელი არსებობის ახალი იმედი მისცა ინდონეზიის ხალხს. ინდონეზიაში ჩამოყალიბდა ინდონეზიის დამოუკიდებლობის მოსამზადებელი ახალი კომისია, რომლის წევრი იყო ინდონეზიის რესპუბლიკის მომავალი პრეზიდენტი სუკარნო. კომისიის სხდომაზე თავის გამოსვლაში 1945 წლის 1 ივნისს სუკარნომ ჩამოაყალიბა ის ძირითადი პრინციპები, რომლებზედაც უნდა აგებულიყო დამოუკიდებელი ინდონეზიის სახელმწიფო. ეი ეს პრინციპები: 1. ინდონეზიის ნაციონალიზმი, ესე იგი ინდონეზიის ეროვნების შემჭიდროება და ერთიან ეროვნულ სახელმწიფოდ მისი ჩამოყალიბება. 2. ინტერნაციონალიზმი, ესე იგი მეგობრობისა და თანამშრომლობისაკენ სწრაფვა ერთა თანასწორუფლებიანობის

საფუძველზე. 3. დემოკრატია ანუ პარლამენტარული რესპუბლიკა. 4. სოციალური სამართლიანობა, რაც ნიშნავდა, სუკარნოს სიტყვით, არა მარტო პოლიტიკურ თანასწორუფლებიანობას, არამედ თანასწორუფლებიანობის განხორციელებას ეკონომიურ დარგშიც, ესე.იგი „საყოველთაო კეთილდღეობას". 5. რელიგიურობის პრინციპი, ესე იგი ყოველი სარწმუნოების თავისუფლება, რჯულ-შემწყნარებლობა, რელიგიური უთანხმოების საფუძველზე ყოველგვარი შუღლის წინასწარ თავიდან აცილება. ეს პრინციპები, რომლებიც მარხაენიზმის[1] სახელწოდებითაა ცნობილი, უფრო გვიან ინდონეზიის კონსტიტუციის პრეამბულაში იქნა შეტანილი.

იაპონიის წინააღმდეგ ომში საბჭოთა კავშირის ჩაბმამ და იაპონიის არმიის განადგურებამ ხალხის მოძრაობის ახალი აღმავლობა გამოიწვია.

იავაზე 1945 წლის 17 აგვისტოს რევოლუციის შედეგად გამოცხადდა ინდონეზიის რესპუბლიკა და შეიქმნა ინდონეზიის მთავრობა. მიღებულ იქნა დამოუკიდებლობის დეკლარაცია და კონსტიტუცია, რომელმაც რესპუბლიკური დემოკრატიული წყობილება დაამყარა და ინდონეზიის ხალხს დემოკრატიული თავისუფლებები მიანიჭა.

ინტერვენციის დასაწყისი. ლინგაჯათის შეთანხმება

რესპუბლიკის წინააღმდეგ გამოვიდნენ კოლონიზატორები. ინდონეზიის არქიპელაგის კუნძულებზე იაპონიის ჯარის განიარაღების საბაბით გადმოსხმულ იქნა ინგლისის, ინდოეთისა და შემდეგ ჰოლანდიის ჯარები. ჩამოსულებმა პირველ რიგში თვით ინდონეზიის ხალხის განიარაღება დაიწყეს. მაგრამ ინდონეზიის ხალხმა ამას შეიარაღებული ბრძოლით უპასუხა. 1945 წლის 10 ნოემბერს სურაბაიში დიდი აჯანყება მოხდა კოლონიზატორების წინააღმდეგ. პატრიოტულ ძალთა შემჭიდროების შედეგად 1946 წლის მაისში ჩამოყალიბდა „ნაციონალური კონცენტრაცია", რომელიც ნაციონალურ ფრონტს წარმოადგენდა და რომელშიც შევიდნენ კომუნისტური პარტია, ნაციონალური პარტია, სოციალისტური პარტია, მუშათა პარტია და სხვ.

1946 წლის თებერვალში საბჭოთა კავშირისა და ბელორუსიის სს რესპუბლიკის წარმომადგენლებმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს სხდომაზე დაგმეს ინგლისის ინტერვენცია ინდონეზიაში. ამ გამოსვლამ უდიდესი გაელენა მოახდინა მსოფლიო საზოგადოებრიობის დემოკრატიულ ნაწილზე, რომლის დაწოლითაც ინგლისის მთავრობამ 1946 წლის ნოემბერში განაცხადა, რომ იგი ახლო მომავალში გამოიყვანდა თავის ჯარებს ინდონეზიიდან. იმავე პერიოდში ჰოლანდიასა და ინდონეზიის რესპუბლიკას შორის პარაფირებულ, ხოლო 1947 წლის მარტში კი ხელმოწერილ იქნა შეთანხმება, რომელიც ლინგაჯათის (ჩერიბონის) შეთანხმების სახელწოდებითაა ცნობილი. ამ შეთანხმებით ჰოლანდიამ ცნო ინდონეზიის რესპუბლიკის მთავრობა, რომელიც ახორციელებდა ხელისუფლებას იავაზე, სუმატრასა და მადურაზე, რომელთა ტერიტორია 605 ათას კვადრატულ კილომეტრს შეადგენდა, ხოლო მოსახლეობა 57 მილიონ ადამიანს. მაგრამ, ჰოლანდიის მოთხოვნით, ლინგაჯათის შეთანხმებაში გათვალისწინებული იყო, რომ მომავალში შეიქმნება ინდონეზიის შეერთებული შტატები; მათს შემადგენლობაში, გარდა ინდონეზიის რესპუბლიკისა, შევა რი-

[1] მარხაენიზმი—უბრალო ხალხის იდეოლოგიაა (ოჯი წარმოდგება სიტყვა მარხაენ-იდან, რაც ნიშნავს ინდონეზიის უბრალო ხალხს).

გი მარიონეტული სახელმწიფოები, რომლებიც ჰოლანდიის ჯარების მიერ დაკავებულ ტერიტორიებზე შეიქმნებიან. ინდონეზიის შეერთებული შტატები უნდა შესულიყო ჰოლანდია-ინდონეზიის კავშირში, ჰოლანდიის მეთაურობით.

ხაომარ მოქმედებათა განახლება. რენვილის შეთანხმება

ლინგაჯათის შეთანხმება ხანმოკლე აღმოჩნდა. 1947 წლის ივლისში ინგლისისა და ამერიკის იარაღებით აღჭურვილი ჰოლანდიის ჯარები 120 ათასი კაცის შემადგენლობით ინდონეზიის რესპუბლიკაში შეიჭრნენ. ოკუპანტები დაეუფლნენ კუნძულ იავის ორ-მესამედს, მთლიანად — კუნძულ მადურას და აგრეთვე სუმატრის მნიშვნელოვან ნაწილს. ინდონეზიის რესპუბლიკის მოსახლეობა 35 მილიონამდე შემცირდა.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა წინადადება შეიტანა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში ჰოლანდიის აგრესიის დაგმობის შესახებ ინდონეზიაში. საბჭოთა კავშირის წინადადებით ჰოლანდიის ჯარები უკან უნდა გაეყვანათ საწყის პოზიციებზე და უნდა შექმნილიყო კომისია უშიშროების საბჭოს ყველა წევრ-სახელმწიფოს წარმომადგენლებისაგან, რომელიც მეთვალყურეობას გაუწევდა საომარ მოქმედებათა შეწყვეტასა და ჯარების უკან გაყვანას. მაგრამ იმპერიალისტების დაჟინებითი მოთხოვნით მიღებულ იქნა რეზოლუცია „კეთილი სამსახურის“ კომისიის შესახებ, რომლის შემადგენლობაში შეეიდა სამი კოლონიური სახელმწიფო — აშშ, ბელგია და ავსტრალია ამერიკელი გრეხემის მეთაურობით.

„კეთილი სამსახურის“ კომისიამ პატიოსანი შუამავლობის ნაცვლად ინდონეზიის მთავრობაზე ძლიერი დაწოლის მოხდენის გზა აირჩია, რათა აეძულებინა იგი მიეღო ჰოლანდიის მოთხოვნები. 1948 წლის იანვარში სამხედრო გემ „რენვილზე“ ჰოლანდიასა და ინდონეზიის რესპუბლიკას შორის ხელმოწერილ იქნა შეთანხმება, რომელმაც რენვილის შეთანხმების სახელწოდება მიიღო. ამ შეთანხმებით ინდონეზიის მთავრობამ ჰოლანდიის სუვერენიტეტი აღიარა მთელ ინდონეზიაზე და დათანხმდა შექმნილიყო ინდონეზიის შეერთებული შტატები.

. ინდონეზიის შეერთებული შტატების შესაქმნელად კომისია ითვალისწინებდა „პლებისციტის“ ან სხვა ღონისძიებების გატარებას იმ მიზნით, რომ გამორკვეულიყო იავას, მადურას და სუმატრას ინდონეზიის რესპუბლიკის შემადგენლობაში შესვლა სურთ, თუ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად — ინდონეზიის შეერთებული შტატების შემადგენლობაში შემავალ სახელმწიფოებად დარჩენა. შეთანხმება ითვალისწინებდა აგრეთვე ინდონეზიის შეერთებული შტატების დროებითი ფედერალური მთავრობის შექმნას, რომელსაც ჰოლანდიის გენერალ-გუბერნატორი უნდა ჩასდგომოდა სათავეში, და ინდონეზიის რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალთა შემცირებას.

მაგრამ ჰოლანდიის მთავრობა რენვილის შეთანხმების პირობების შესრულებასაც კი არ ფიქრობდა. უარი განაცხადა რა ინდონეზიასთან შემდგომ მოლაპარაკებაზე, მან რესპუბლიკის სანაპიროების ბლოკადა გამოაცხადა. იმ შენობაზე, რომელიც ბატავიაში ინდონეზიის რესპუბლიკის დელეგაციის მიერ იყო დაკავებული, 1948 წლის აგვისტოში მოახდინეს თავდასხმა და დაპატიმრებულ იქნა დელეგაციის რამდენიმე წევრი. ჰოლანდიის მთავრობამ დაარღვია რენვილის შეთანხმება, რომლითაც გათვალისწინებული იყო ორი მხარის თანხმობა ინდონეზიის სახელმწიფოებრივი მოწესრიგების საკითხში, და ცალმხრივად, ინდონეზიის

რესპუბლიკის მონაწილეობის გარეშე, შეუდგა ინდონეზიის შეერთებული შტატებისა და დროებითი ფედერალური მთავრობის ჩამოყალიბებას.

დემოკრატიულ ორგანიზაციებთან ანგარიშის გასწორება ხიხლიანი გზით

შინაურ და გარეშე რეაქციულ ძალთა წინააღმდეგ გამოვიდნენ ინდონეზიის კომუნისტური პარტია და მუშათა პარტია. 1948 წლის ოქტომბრისათვის გამიზნული იყო ამ ორი პარტიის კონფერენციის მოწვევა სახალხო-დემოკრატიული ფრონტის პროგრამის მისაღებად და ინდონეზიის დამოუკიდებლობისა და დემოკრატიული გარდაქმნებისათვის მებრძოლ დემოკრატიულ ძალთა მობილიზაციის ჩასატარებლად. ინდონეზიის კომუნისტების მიერ მადიუნში ფორმირებულ იქნა სახალხო-დემოკრატიული მთავრობა შარიფუდინის მეთაურობით. ამგვარად, ინდონეზიაში ერთსა და იმავე დროს სამი მთავრობა არსებობდა: პირველი — ფედერალური მთავრობა ჰოლანდიის გენერალ-გუბერნატორის მეთაურობით და მასთან არსებული აღმასრულებელი საბჭოთი; მეორე — ინდონეზიის რესპუბლიკის მთავრობა ჯოკიაკარტაში ხათას მეთაურობით და, მესამე, სახალხო-დემოკრატიული მთავრობა მადიუნში შარიფუდინის მეთაურობით.

იმ მიზნით, რომ ხელი შეეშალათ 1948 წლის ოქტომბრისათვის დანიშნული სახალხო-დემოკრატიულ ძალთა კონფერენციის მოწვევისათვის, ჰოლანდიელმა ოკუპანტებმა სისხლიან ანგარიშსწორებას მიჰყვეს ხელი დემოკრატიული ძალების მიმართ. დემოკრატიული ორგანიზაციები შემუსრულ იქნენ, კომუნისტური პარტიისა და რიგი დემოკრატიული ორგანოების წარმომადგენლები დახვრიტეს. დახვრეტილთა შორის იყვნენ შარიფუდინი და მუსო. ამასთან ერთად ოკუპანტებმა ხათას მთავრობის წევრები დააპატიმრეს. ჯოკიაკარტაში გადმოსხეს დესანტი და მთავრობის წევრები კუნძულ ბანკაზე გადაიყვანეს. მათი განთავისუფლების შემდეგ ინდონეზიის რესპუბლიკაში შემავალად ცნეს სულ მცირე ტერიტორია ჯოკიაკარტის და მის ირგვლივ მდებარე ტერიტორია 20 მილი რადიუსით. ინდონეზიის რესპუბლიკა კოლონიზატორების მიერ შექმნილ მარიონეტულ სახელმწიფოებთან ერთად ინდონეზიის შეერთებულ შტატებში იქნა შეყვანილი.

ჰააგის შეთანხმებანი

ინდონეზიის ხალხი პარტიზანულ ომს განაგრძობდა ჰოლანდიელ დამპყრობთა წინააღმდეგ; ამ უკანასკნელთ ამერიკის შეერთებული შტატები უჭერდნენ მხარს. რადგან ვერ შეძლო ინდონეზიის ხალხის შეიარაღებული წინააღმდეგობის შემუსვრა, ჰოლანდიის მთავრობა 1949 წელს იძულებული შეიქნა ეცნო ინდონეზიის რესპუბლიკა. მაგრამ იმავე 1949 წელს ჰაგაში მოწვეულ იქნა ე. წ. „მრგვალი მაგიდის“ კონფერენცია ჰოლანდიისა და ინდონეზიის მონაწილეობით. კონფერენცია ორ თვეზე მეტს გაგრძელდა. სისხლისმღვრელი ომისაგან ღონემიხდილმა ინდონეზიის ხალხმა ვერ შეძლო გამკლავებოდა კაპიტულანტურ ელემენტებს. ინდონეზიამ ხელი მოაწერა ეკონომიური, პოლიტიკური და სამხედრო ხასიათის კაბალურ შეთანხმებებს.

ჰაგის კონფერენციის გადაწყვეტილებით შეიქმნა ინდონეზიის შეერთებულ შტატები, რომლებშიც შეივიდნენ ინდონეზიის რესპუბლიკა, ექვსი მარიონეტული ავტონომიური სახელმწიფო (აღმოსავლეთი ინდონეზია, დასავლეთი იავა, აღმოსავლეთი იავა, მადურა, აღმოსავლეთი სუმატრა და სამხრეთი სუმატრა) და ცხრა „დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული“. ჰოლანდიასთან ერთად ინდო-

ნეზიის შეერთებული შტატები ქმნიდნენ ჰოლანდია-ინდონეზიის კავშირს, რომელსაც ჰოლანდიის დედოფალი ედგა სათავეში. ინდონეზიის ნაციონალური არმიის გაწვრთვნის საბაბით ინდონეზიაში რჩებოდა ჰოლანდიის სამხედრო მისია, რომელმაც ფაქტიური კონტროლი დაამყარა ინდონეზიის შეიარაღებულ ძალებზე. ინდონეზიის შეერთებული შტატები ეალდებულებას კისრულობდნენ კონსულტაცია ჰქონოდათ ჰოლანდიის მთავრობასთან საგარეო პოლიტიკის საკითხებზე. ინდონეზიის შეერთებულ შტატებს უნდა გადაეხადათ ეალი 4,3 მილიარდი გულდენის რაოდენობით, რომელთაგან 3,6 მილიარდს შეადგენდა ის ხარჯები, რაც ჰოლანდიამ გასწია ინდონეზიაში ინტერვენციის მოსახდენად. უცხოელთა კომპანიებს დაუბრუნეს ნავთობის სარეწები, კალის მაღაროები, კაუჩუკის, თამბაქოს, ჩაისა და სხვა პლანტაციები. ჰოლანდიის ხელში რჩებოდა ინდონეზიის განუყოფელი ნაწილი — დასავლეთი ირიანი[1], რომელსაც იმპერიალისტებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც სამხედრო-სტრატეგიულ ბაზას და როგორც ბუნებრივი რესურსებით მდიდარ რაიონს.

ინდონეზიის გამოცხადება უნიტარულ რესპუბლიკად

ჰაგის „მრგვალი მაგიდის" კონფერენციის გადაწყვეტილებებმა დიდი აღშფოთება გამოიწვიეს ინდონეზიელ ხალხში. უცხო კომპანიებმა წაგლიჯეს გლეხებს ის მიწები, რომლებიც მათ რევოლუციის პროცესში ბრძოლით ჰქონდათ მოპოვებული. უცხოეთის საქონლით გაივსო ინდონეზიის ბაზარი და ეს ხელს უშლიდა ეროვნული მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარებას. გაძლიერდა მუშათა ექსპლოატაცია უცხოეთის მონოპოლიების მიერ. ჰოლანდიელმა მოხელეებმა დაიკავეს სახელმწიფო და სხვა დაწესებულებები, შელახულ იქნა ინდონეზიის ინტელიგენციის ინტერესები. კოლონიზატორებისა და მათთან თანამშრომელ ერთ მუჭა გარეწარებთან ბრძოლის ლოზუნგით გაერთიანდა ინდონეზიის მთელი ეროვნული ძალა.

1950 წლის 17 აგვისტოს ინდონეზიის პარლამენტმა მიიღო დროებითი კონსტიტუცია, რომლითაც ინდონეზია უნიტარულ რესპუბლიკად გამოცხადდა. მარიონეტული სახელმწიფოები ლიკვიდირებულ იქნენ. ჰოლანდიის მთავრობამ უკან დაიხია. ჰოლანდიის მშრომელები, რომლებსაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობდა, ინდონეზიის ეროვნული სუვერენიტეტის აღიარებას მოითხოვდნენ.

1950 წელს დიპლომატიური ურთიერთობა დამყარდა საბჭოთა კავშირსა და ინდონეზიას შორის, რამაც საფუძველი ჩაუყარა ორივე ქვეყნის ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ კავშირებს. ამან ხელი შეუწყო ახალგაზრდა რესპუბლიკის ავტორიტეტის ზრდას საერთაშორისო ასპარეზზე.

1952 წელს ინდონეზიის მთავრობამ ჰოლანდიის მთავრობის წინაშე დასვა საკითხი ჰოლანდია-ინდონეზიის კავშირის ლიკვიდაციის შესახებ. ამ საკითხზე დაწყებული მოლაპარაკება ჰოლანდიის მიერ იქნა ჩაშლილი, რომლის ზურგს უკან ამერიკის შეერთებული შტატები გამოდიოდნენ. 1953 წელს ინდონეზიის ხალხმა მიაღწია იმას, რომ ინდონეზია დატოვა ჰოლანდიის სამხედრო მისიამ. 1954 წლის აგვისტოში ინდონეზიასა და ჰოლანდიას შორის ხელმოწერილ იქნა ოქმი ჰოლანდია-ინდონეზიის კავშირის გაუქმების შესახებ.

---

[1] დასავლეთი ახალი გვინეა.

ინდონეზიის ეკონომიური მდგომარეობა და უცხოეთის კაპიტალის როლი

ამ დროისათვის ინდონეზიის საკითხის გადაწყვეტაზე სულ უფრო მეტ გავლენას ახდენდნენ ამერიკის შეერთებული შტატები, რადგანაც ეს უკანასკნელი დაინტერესებული იყო ინდონეზიის ბუნებრივი სიმდიდრით. ინდონეზიას პირველი ადგილი ეკავა მთელ მსოფლიოში ნატურალური კაუჩუკის წარმოების დარგში და ამ უძვირფასესი ნედლეულის მსოფლიო წარმოების 40 პროცენტს იძლეოდა (750 ათასი ტონა წელიწადში). ინდონეზია იძლეოდა კალის მსოფლიო მოპოვების 25 პროცენტს (35 ათასი ტონა ყოველწლიურად) და მეორე ადგილი ეკავა ამ მხრივ მსოფლიოში. ინდონეზიის წილად მოდიოდა ნავთობის მსოფლიო მოპოვების 6 პროცენტი (უკანასკნელ დროს ყოველწლიური მოპოვება 11 მილიონ ტონას შეადგენს), ქინაქინის მსოფლიო წარმოების 98 პროცენტი, პალმის ზეთის წარმოების 45 პროცენტი, ჩაის 16 პროცენტი და ა. შ. ჰოლანდიის, ინგლისის, ამერიკისა და სხვა უცხოეთის კაპიტალდაბანდებათა საერთო ჯამი 62 მილიარდ რუპიას შეადგენდა. უცხოეთის კომპანიები ინდონეზიაში თავიანთი კაპიტალდაბანდებებიდან ყოველწლიურად ღებულობდნენ 15 მილიარდ რუპიას, რაც საზღვარგარეთ გაჰქონდათ. გადაუჭრელი რა ინდონეზიას სოციალისტური ბანაკის ქვეყნებთან ვაჭრობის გზა, საზღვარგარეთის მონოპოლიები სრულ ბატონპატრონად გრძნობდნენ თავს ინდონეზიის ეკონომიკაში; ისინი ამცირებდნენ ფასებს ადგილობრივ ნედლეულზე და ადიდებდნენ შემოტანილი საქონლის ფასებს. 1951-დან 1953 წლამდე ინდონეზიის საექსპორტო საქონლის ფასები 50 პროცენტით დაეცა. სოციალისტურ ქვეყნებთან ვაჭრობაზე ემბარგოს დადებით ამერიკა ყოველწლიურად 300 მილიონი დოლარის ზარალს აყენებდა ინდონეზიას.

ინდონეზიის მთავრობის ღონისძიებანი სახალხო მეურნეობის კოლონიური ნაშთების აღმოფხვრისათვის

ინდონეზიის მთავრობა ცდილობდა აღმოეფხვრა ქვეყნის სახალხო მეურნეობის კოლონიური ხასიათი და შეექმნა საკუთარი დამოუკიდებელი ეროვნული ეკონომიკა. კოლონიურ სახელმწიფოთა მხრივ დიდი წინააღმდეგობის ვაწევეს პირობებში ინდონეზიის მთავრობამ 1953 წლის დამლევიდან დაიწყო სოციალისტურ სახელმწიფოებთან სავაჭრო ურთიერთობა. ამ ღონისძიებას ინდონეზიის მთავრობა უკავშირებდა ეროვნული ეკონომიკის განვითარების იმედებს.

ინდონეზია აგრარული ქვეყანაა. მოსახლეობის სამი მეოთხედი სოფლის მეურნეობას მისდევდა. სამრეწველო პროდუქცია ქვეყნის მთელი ნაციონალური შემოსავლის მხოლოდ ერთ მეათედ ნაწილს შეადგენდა. მსუბუქი მრეწველობა სუსტად იყო განვითარებული. ჭარბობდა წვრილი შინამრეწველობა. ნავთის საბადოები, ბოქსიტების საბადო და სხვა წიაღისეული უცხოეთის კაპიტალის ხელში იყო.

გლეხთა მდგომარეობა მეტად მძიმე იყო. მიწა ფეოდალებს, ვაჭრებსა და მევახშეებს ეკუთვნოდა. უმიწაწყლო გლეხთა რაოდენობა 9 მილიონს შეადგენდა. გლეხები იძულებული იყვნენ იჯარით აეღოთ მიწების მცირე ნაკვეთები ისეთ კაბალურ პირობებში, რაც კაპიტალიზმამდელ პერიოდში არსებობდა. მოზიარეთა რიცხვი სოფლის მეურნე მოსახლეობის ერთ მესამედს აღემატებოდა.

მიწის დამუშავების მეთოდები მეტად ჩამორჩენილი იყო, წარმოების სა-

შუალებები—მეტად პრიმიტიული, მოსავლიანობა უკიდურესად დაბალი. მევახშეობა სოფლის ჭირი იყო. სესხს მევახშეები იძლეოდნენ წელიწადში 300 პროცენტის და მეტის ანგარიშით.

უკიდურესად მძიმე იყო მუშათა შრომის პირობები უცხოელთა საწარმოებსა და პლანტაციებში.

ინდონეზიის მთავრობამ ჩევრი ღონისძიება გაატარა გლეხებს შორის დაუმუშავებელი მიწების გასანაწილებლად და უცხოეთის პლანტაციების შესაძენად. ამან შეამცირა უცხოელთა პლანტაციების საერთო ფართობი 1954 წლისათვის 30 პროცენტამდე. ხოლო სასურსათო კულტურების წარმოება, რომელიც თითქმის მთლიანად გლეხობის ხელშია მოქცეული, გადიდდა.

მთავრობამ გაატარა ღონისძიებები მორწყვის სისტემის გასაუმჯობესებლად, მიწის დამუშავების მექანიზებული მეთოდების დასანერგად, გლეხთათვის სასოფლო-სამეურნეო სესხის მისაწოდებლად და სხვ. ამ ღონისძიებებმა რანაირადმე გაუმჯობესეს გლეხთა მდგომარეობა, რომელიც კვლავ მძიმეა.

ეროვნული მრეწველობის შესაქმნელად მთავრობამ თავის ხელში აიღო მთელი რიგი სასარგებლო წიაღისეულის დამუშავება. მთავრობამ გაუქმა ჰოლანდიის კომპანიასთან დადებული შეთანხმება კუნძულ ბანკაზე კალის საბადოების იჯარით გაცემის შესახებ, მოახდინა კალის მომპოვებელი საწარმოების და ნახშირის საბადოების ნაციონალიზაცია, შეადგინა ნავთობის მომპოვებელი პირველი ეროვნული კომპანია, ააშენა კოპრისაგან ფქვილის მწარმოებელი ფაბრიკა, სართავი ფაბრიკა, მწვავე ნატრიუმის მწარმოებელი ქარხანა, ასანთის ფაბრიკა და მთელი რიგი საწარმოები. შენდება ავტომობილების საბურავის, კაუსტიკური სოდის, ცემენტისა და სხვ. ქარხნები. 1954 წელს აგრეგატების სიმძლავრე 1949 წელთან შედარებით ორჯერ გაიზარდა.

1955 წელს ინდონეზიაში ოთხი დიდი საფეიქრო ფაბრიკა და 91.600 თითისტარი იყო, სადაც 80 მილიონ მეტრ ქსოვილს უშვებდნენ. ქაღალდის წარმოებამ 8 ათასი ტონა შეადგინა, ცემენტისამ — 150 ათასი, ნავთობისამ — 11. 500 ათასი, კაუჩუკისამ —780 ათასი ტონა, ელექტროენერგიამ —880 მილიონი კილოვატსაათი.

მრეწველობის ზრდას თან ახლდა მუშათა კლასის რიცხობრივი გადიდება და მისი ორგანიზებულობის ზრდა. მუშათა კლასი გამოდის ქვეყნის დამოუკიდებლობის, მისი სამეურნეო განვითარებისა და მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ამაღლების მოთხოვნებით. ინდონეზიაში შემოღებულ იქნა შრომითი კანონმდებლობა, რომელიც კრძალავს ბავშვთა შრომას, ზღუდავს მოზარდთა შრომას, კრძალავს ქალთა შრომას ღამით და ჯანმრთელობისათვის საზიანო პირობებში. შრომის კანონი აწესებს რვასაათიან სამუშაო დღეს, ხელფასის მინიმუმს, მამაკაცთა და ქალთა ხელფასის გათანაბრებას. მიღებულ იქნა ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია მუშების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისაკენ.

ამერიკის შეერთებული შტატების ძირგამოთხრილი საქმიანობა ინდონეზიის მთავრობის წინააღმდეგ

ინდონეზიის მთავრობის მიერ გატარებულმა ეკონომიური ხასიათის ღონისძიებებმა, რომლებიც კოლონიური ეკონომიკიდან ეროვნულ ეკონომიკაზე გადასვლისაკენ იყო ძიმართული, დიდი განგაში და საწინააღმდეგო მოქმედება გამოიწვიეს საზღვარგარეთის მონოპოლიების მხრივ. პირველ რიგში ეს ამერიკის შე-

ერთებულ შტატებს დაეტყოთ, რომლებმაც მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ გააძლიერეს კაპიტალისა და საქონლის ექსპორტი ინდონეზიაში. ინდონეზიის ნავთობის მოპოვების 40 პროცენტი ამერიკის შეერთებული შტატების ნავთის მონოპოლიებზე მოდიოდა. კაუჩუკის პლანტაციებში ამერიკელთა კაპიტალდაბანდება ომის წინადროინდელთან შედარებით 3-ჯერ გადიდდა.

იმ მიზნით, რომ ინდონეზიაში კოლონიური მდგომარეობა აღედგინათ, ამერიკის მონოპოლიებმა ქვეყნის შიგნით კომპრადორულ და ფეოდალურ ელემენტებზე დაყრდნობით, აგრეთვე რეაქციულ ოფიცრობასა და მემარჯვენე სოციალისტებზე დაყრდნობით 1954 წელს გაშალეს ფართო დივერსიული საქმიანობა პრეზიდენტ სუკარნოსა და მისი მთავრობის წინააღმდეგ, რომელსაც ეროვნული პარტიის ლიდერი სასტროამიჯოიო ედგა სათავეში. რეაქციული ძალები ამერიკის აგენტების მითითებით და ამერიკული ფულის საშუალებით აწყობდნენ პერიფერიულ კუნძულებზე დივერსიებს, ამბოხებებს, მთავრობის ღონისძიებათა საბოტაჟს და სხვ.

დივერსიულ საქმიანობას თვით ინდონეზიის კუნძულების ბუნებრივი განლაგება უწყობდა ხელს. მათ შორის კავშირი და მიმოსვლა გაძნელებული იყო. კუნძულის მოსახლეობას ჰქონდა სხვადასხვა ენა, სხვადასხვა რელიგია და ეკონომიური წყობილება. ყოველივე ამას ფართოდ იყენებდნენ კოლონიზატორები დივერსიულ საქმიანობაში.

1954 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში იმპერიალისტებმა პირდაპირი შეთქმულება მოახდინეს ალი სასტროამიჯოიოს მთავრობის წინააღმდეგ. მთავრობის საქმიანობა საგანგაშო მდგომარეობაში აყენებდა იმპერიალისტებს იმის გამო, რომ სასტროამიჯოიოს მთავრობა აზიისა და აფრიკის ქვეყნების მომავალი ბანდუნგის კონფერენციის ერთი ინიციატორთაგანი იყო, მან მიაღწია ჰოლანდია-ინდონეზიის კავშირის ლიკვიდაციას, იგი მოითხოვდა ინდონეზიისათვის დასაუღეთ ირიანის დაბრუნებას; შეუერთდა რა მშვიდობიანი თანაარსებობის ხუთ პრინციპს, მან კატეგორიული უარი განაცხადა სეატოს აგრესიულ სამხედრო ბლოკში მონაწილეობაზე და, აშშ-ის მიერ გამოცხადებულ ემბარგოს მიუხედავად, სავაჭრო ურთიერთობა დაამყარა სოციალისტურ ქვეყნებთან. იმპერიალისტებმა მოახერხეს შეთქმულებაში ჩაეთრიათ ზოგიერთი ოპოზიციური პარტია, რომლებსაც სუბსიდიებს აძლევდა ამერიკის ნავთობის კომპანია „სტანდარტ ვაკუუმი“. იმპერიალისტებმა სცადეს დაემხოთ სასტროამიჯოიოს მთავრობა, მოესპოთ ინდონეზიის ხალხის დემოკრატიული მონაპოვარი და ქვეყნის სათავეში დაესვათ თვინიერი მთავრობა.

მაგრამ ინდონეზიის პარლამენტმა ეროვნული, სახალხო-ეროვნული, მუშათა და კომუნისტური პარტიების ხმებით და პროფესიული კავშირების ცენტრალური ფედერაციის მხარდაჭერით ნდობა გამოუცხადა სასტროამიჯოიოს. იმპერიალისტებმა და შინაგანმა რეაქციამ დიდი მარცხი განიცადეს.

6-დან 10 აპრილამდე ინდონეზია სხვა მშვიდობისმოყვარე ქვეყნებთან ერთად მონაწილეობდა დელის კონფერენციაზე, რომელიც მოწვეული იყო აზიის საზოგადოების წარმომადგენელთაგან საერთაშორისო ურთიერთობაში დაძაბულობის შესანელებლად. 1955 წლის აპრილში ბანდუნგში შედგა აზიისა და აფრიკის ქვეყნების კონფერენცია.

1955 წლის ივლისში რეაქციამ კვლავ გაიმეორა თავისი ცდა — დაემხო სასტროამიჯოიოს მთავრობა. ინდონეზიის არმიის ოფიცერთა ჯგუფმა სახმელეთო ჯარების გენერალური შტაბის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის ლუ-

ბისის მეთაურობით უარი განაცხადა დამორჩილებოდა თავდაცვის მინისტრის, კუსუმასუმანტრის ბრძანებას, რომლითაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ცნობილი მოღვაწე გენერალი უტოიო გენერალური შტაბის უფროსის პოსტზე ინიშნებოდა. ლუბისი იმპერიალისტებთან იყო დაკავშირებული და იგი იმათ კანდიდატურას წარმოადგენდა დიქტატორის როლის შესასრულებლად. ამავე დროს ოპოზიციურმა პარტიებმა საბოტაჟი მოუწყეს პარლამენტის მუშაობას და რამდენიმეჯერ ჩაშალეს მთავრობის კანონპროექტისათვის ხმის მიცემა ჰოლანდია-ინდონეზიის კავშირის გაუქმების შესახებ. 1955 წლის 24 ივლისს სასტროამიჯოიო გადადგა. იმავე წლის აგვისტოში ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა მუსულმანური პარტიის მაშუმის ლიდერი ბურხანუდინი ხარახაპი.

ხარახაპის მთავრობა

იმპერიალისტებისათვის ხარახაპი საუკეთესო კანდიდატურას წარმოადგენდა, რადგანაც იგი ჰოლანდიასთან კომპრომისის მომხრე იყო. ხარახაპი არ დაერიდა იმას, რომ იმპერიალისტების საამებლად დაეპატიმრებინა იუსტიციის ყოფილი მინისტრი ჯოდი გონდოკუსუმო მხოლოდ იმიტომ, რომ იგი იბრძოდა გომინდანური ელემენტებისა და სხვა პირების წინააღმდეგ, რომლებიც ინდონეზიაში ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწეოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ 1954 წლის აგვისტოში ჰოლანდიის მთავრობამ ხელი მოაწერა ალი სასტროამიჯოიოს მთავრობასთან შეთანხმებას ჰოლანდია-ინდონეზიის კავშირის ლიკვიდაციის შესახებ, ხარახაპი დათანხმდა ჰოლანდიასთან ამ საკითხზე მოლაპარაკების განახლებაზე.

განახლებულ მოლაპარაკებაში ჰოლანდიამ კვლავ მიმართა გაჭიანურების პოლიტიკას. ხარახაპი კი დათმობაზე წავიდა ჰოლანდიის მიმართ, კერძოდ დათანხმდა ახალ შეღავათებზე ინდონეზიაში ჰოლანდიის საწარმოების საკითხში. ამასთან ერთად იგი იმ გზასაც კი დაადგა, რომ დასავლეთ ირიანის საკითხი მოხსნილ იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის დღის წესრიგიდან. ამან ინდონეზიის საზოგადოებრიობის, მათ შორის ზოგიერთი იმ პარტიის აღშფოთება გამოიწვია, რომლებიც ხარახაპის კაბინეტში მონაწილეობდნენ. ნახტადულ ულამის პარტიამ და ინდონეზიის მუსულმანურმა კავშირმა თავიანთი მინისტრები უკან გაიწვიეს კაბინეტიდან.

ხარახაპი იძულებული შეიქნა შეეწყვიტა მოლაპარაკება ჰოლანდიასთან და ეცნობებია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისათვის ჰოლანდიასთან კავშირის გაწყვეტის შესახებ.

ინდონეზიის პარლამენტის საყოველთაო არჩევნები. ინდონეზიის კომუნისტური პარტიის პროგრამა

1955 წლის 29 სექტემბერს ინდონეზიაში მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენას ჰქონდა ადგილი. აქ პირველად ტარდებოდა ინდონეზიის პარლამენტის საყოველთაო არჩევნები. მანამდე პარლამენტის დეპუტატებს კი არ ირჩევდნენ, ისინი ინიშნებოდნენ. არჩევნებში ხმების დიდი უმრავლესობა მიიღეს ეროვნულმა პარტიამ (57 მანდატი), მაშუმის პარტიამ (57 მანდატი) და ნახდატულ ულამის პარტიამ (45 მანდატი). ინდონეზიის კომუნისტურმა პარტიამ კი მეოთხე ადგილი დაიკავა და 6 მილიონი ხმა მიიღო (39 მანდატი). ამ დროისათვის კომუ-

ნისტური პარტია დიდ პოლიტიკურ ძალად გადაიქცა. მის წევრთა რაოდენობა ძილიონს აღემატებოდა.

კომუნისტური პარტიის ავტორიტეტის ზრდა პირველ რიგში იმით აიხსნებოდა, რომ იგი მხარს უჭერდა 1945 წლის აგვისტოს რევოლუციის მიერ წამოყენებულ ძირითად ამოცანას, რაც ფეოდალიზმისა და მონოპოლიების ლიკვიდაციის მოთხოვნაში გამოიხატებოდა. ამის საფუძველზე იქნა გამომუშავებული პროგრამა ინდონეზიის კომუნისტური პარტიის V ყრილობაზე, რომელიც 1954 წლის მარტში შედგა.

თავის პროგრამაში ინდონეზიის კომუნისტური პარტია სოციალიზმზე უშუალოდ გადასვლის ამოცანას არ აყენებდა, ესე იგი არ აყენებდა პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების ამოცანას. ინდონეზიის წინაშე ამოცანად იდგა ისეთ დემოკრატიულ სისტემაზე გადასვლა, რომელიც თანამიმდევრულად განახორციელებდა იმპერიალიზმისა და ფეოდალიზმის ძალაუფლების სრულ ლიკვიდაციას და მოახდენდა დემოკრატიულ გარდაქმნებს. ეს გადასვლა შეიძლებოდა მშვიდობიანი გზით განხორციელებულიყო. ამიტომაც კომუნისტური პარტია საპარლამენტო სისტემის განმტკიცებისა და დემოკრატიული საარჩევნო კანონის დასაცავად გამოდიოდა. ინდონეზიის კომუნისტურ პარტიას მიაჩნდა, რომ 1945 წლის აგვისტოს რევოლუციის პროგრამის შესრულება უზრუნველყოფდა ინდონეზიისათვის ეროვნულ დამოუკიდებლობას, დემოკრატიულ განვითარებას, პროგრესსა და ზავს, აგრეთვე ხალხის ცხოვრების დონის ეკონომიურ და კულტურულ აღმავლობას.

კომუნისტურ პარტიას მიაჩნდა, რომ ის მთავრობა, რომელიც თავის პროგრამას ამ საფუძველზე ააგებდა, უსათუოდ მხარდაჭერას იპოვიდა 20 მილიონი მუშისაგან, რომლებიც მუშაობენ მრეწველობაში, პლანტაციებსა და სახელოსნო სარეწაოებში, მიიღებდა ათეული მილიონი გლეხის ხმას, რომლებიც მოსახლეობის 63,7 პროცენტს შეადგენენ, მხარდაჭერას იპოვიდა ქალაქის წვრილი ბურჟუაზიის უმრავლესობისაგან, ინტელიგენციისაგან, პროგრესული ეროვნული ბურჟუაზიისა და სხვა პატრიოტული ფენებისაგან.

აგვისტოს რევოლუციის პროგრამის განსახორციელებლად ინდონეზიის კომუნისტური პარტია საჭიროდ ცნობდა ერთიანი ეროვნული ფრონტის შექმნას, პატრიოტულად განწყობილი პარტიებისა და სხვადასხვა პოლიტიკური მიმართულების მქონე ორგანიზაციების კავშირის შექმნას. ერთიანი ფრონტის შექმნა შესაძლებელი იყო საშუალო ფენათა ფართოდ მოზიდვის პირობებში და რეაქციული ელემენტების იზოლაციით.

რასაკვირველია, ეროვნულ ბურჟუაზიასა და კომუნისტურ პარტიას შორის პრინციპული დაშორება არსებობდა, მაგრამ კომუნისტურ პარტიას მიაჩნდა, რომ შეცდომა იქნებოდა, თუ ეს შეუთანხმებლობა წინ წამოწეული იქნებოდა თანამედროვე პირობებში და სათანადოდ არ შეფასდებოდა იმპერიალიზმისა და ფეოდალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საერთო ინტერესები. კომუნისტური პარტიის აზრით, წინააღმდეგობის დაძლევა შესაძლებელი იქნებოდა მოლაპარაკებისა და ურთიერთდათმობის გზით.

ფართო დემოკრატიულ ასპარეზზე ერთიანი ეროვნული ფრონტის შექმნის ძირითად დაბრკოლებას წარმოადგენდა სოციალისტური პარტიისა და მაშუმის პარტიის ხელმძღვანელობის ზოგიერთი წრეების პოზიცია, რომლებიც რიგითი წევრების სურვილის საწინააღმდეგოდ ცდილობდნენ ჩამოეცილებინათ კომუნისტები ქვეყნის მართვაში მონაწილეობისაგან. ეს გარემოება, კომუნისტური

პარტიის აზრით, ხელს უშლიდა ინდონეზიის ყველა პატრიოტული ძალის გაერთიანებას და ასუსტებდა ხალხის ძალებს კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

სრულიად ინდონეზიის ხალხთა კონგრესის შეძენა. ხარახაპის გადადგომა. სასტროამიჯოიოს მთავრობა

ხარახაპის მთავრობა, რომელიც უგულებელყოფდა 1945 წლის აგვისტოს რევოლუციის მიერ დასახულ ამოცანებს, ხალხის მხარდაჭერით არ სარგებლობდა და იგი დაგმობილ იქნა სექტემბრის არჩევნების დროს.

ხარახაპი ცდილობდა მოეწვია ახლად არჩეული პარლამენტი, რათა შეენარჩუნებინა თავისი მთავრობა. მაგრამ სრულიად ინდონეზიის სახალხო კონგრესში გაერთიანებული ხალხის ძალთა გაელენით იძულებული შეიქმნა გადამდგარიყო. 4 მარტს პრეზიდენტმა სუკარნომ მიიღო ხარახაპის გადადგომა და 8 მარტს ახალი მთავრობის შედგენა მიანდო ალი სასტროამიჯოიოს. სასტროამიჯოიოს მთავრობის შემადგენლობაში შეეიდნენ ეროვნული პარტიის, ნადხატულ ულამის პარტიის, პარტია მაშუმისა და კიდევ ხუთი შედარებით მცირერიცხოვანი პარტიის წარმომადგენლები. კომუნისტური პარტია არ შეეიდა მთავრობაში იმის გამო, რომ პარტია მაშუმიმ არ მოისურვა ეთანამშრომლა კომუნისტებთან.

1956 წლის 26 მარტს საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ინდონეზიის პირველი არჩევითი პარლამენტი, სადაც სასტროამიჯოიომ ჩამოაყალიბა მთავრობის პროგრამა. იგი 12 პუნქტისაგან შედგებოდა. პროგრამა ითვალისწინებდა ყველა იმ შეთანხმების გაუქმებას, რომლებიც ჰაგის „მრგვალი მაგიდის" კონფერენციის გადაწყვეტილებით თავს მოახვიეს ინდონეზიას, იგი ითვალისწინებდა ბრძოლას დასავლეთ ირიანის შემოსაერთებლად და დარულ-ისლამის ბანდის ლიკვიდაციას. ეკონომიურ დარგში პროგრამა ითვალისწინებდა ეკონომიკის განვითარებას ხუთწლიანი გეგმის შესაბამისად, რომელიც უცხოეთის კაპიტალის როლის შემცირებისაკენაა მიმართული, კოლონიური ეკონომიკის გადაქცევას ეროვნულ ეკონომიკად, კოოპერაციისა და ეროვნული მრეწველობის განვითარებას, უცხოეთის კონკურენციისაგან მის დაცვას.

პროგრამაში შეტანილი იყო ღონისძიებები გლეხთა საარსებო ფონის ასამაღლებლად და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გამოშვების გასადიდებლად, ღონისძიებები მუშათა კლასის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, განათლების განსავითარებლად და სხვ. პროგრამამ ამოცანად დასახა გატარებულ იქნეს აქტიური და დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა ხალხის საკეთილდღეოდ, პოლიტიკა, რომელიც მიმართულია მთელს მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისაკენ.

კომუნისტურმა პარტიამ მხარი დაუჭირა სასტროამიჯოიოს მთავრობას და მოუწოდა დემოკრატიულ ძალთა ერთიანობის განმტკიცებისაკენ, რომ აღკვეთილ იქნეს რეაქციის ცდები ხელი შეუშალოს აღიარებული პროგრამის განხორციელებას.

ახალმა პარლამენტმა 1956 წლის 21 აპრილს ერთსულოვნად მოიწონა მთავრობის კანონპროექტი ჰოლანდია-ინდონეზიის კავშირის ლიკვიდაციის შესახებ, რომელიც 1949 წელს თავს მოახვიეს ინდონეზიას. ეს ნაბიჯი მიუთითებდა

ინდონეზიის მთავრობის მტკიცე გადაწყვეტილებაზე — აღმოეფხვრა ყველა შედეგი იმ არათანასწორუფლებიანი შეთანხმებებისა, რაც ჰაგის „მრგვალი მაგიდის“ კონფერენციაზე იყო მიღებული.

პროგრამის ეკონომიური ნაწილის განსახორციელებლად ინდონეზიის მთავრობამ 1956 წლის 16 მაისს დადგენილება მიიღო სასტროამიჯოიოს შეთაურობით სახელმწიფო საგეგმო საბჭოს შექმნის შესახებ. საბჭომ გამოიმუშავა ეკონომიური განვითარების ხუთწლიანი საერთო ეროვნული გეგმა 1956—1960 წლებისათვის. ინდონეზიამ დაიწყო სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქცია, რომელიც, პრეზიდენტ სუკარნოს აზრით, 20-დან 40 წლამდე გაგრძელდება.

ეკონომიური განვითარების ხუთწლიანი გეგმა (1956—1960 წწ.)

ხუთწლიანმა გეგმამ ამოცანად დასახა ხალხის საარსებო დონის ამაღლება: მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვების გადიდებისა და ეროვნული შემოსავლის გაზრდის გზით. ხუთწლიანი გეგმის შესახებ კანონპროექტის პრეამბულაში აღნიშნული იყო, რომ ინდონეზიის ეკონომიკის მდგომარეობა მეტის-მეტად არადამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს განვითარების დაბალი დონის, სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების ერთმანეთთან შეუსაბამობის, უკიდურესად დაბალი ეროვნული შემოსავლის, შრომის ნაყოფიერების დაბალი დონისა და სახსრების უქონლობის და კვალიფიციური კადრების უყოლობის გამო. გეგმის შესრულების პროცესში ამოცანად იქნა დასახული გარდაიქმნას კოლონიური ეკონომიკა ეროვნულ ეკონომიკად.

ხუთწლიანი გეგმა მოიცავდა სამ სექტორს: სახელმწიფო, კერძო და სოფლის თემურ სექტორებს. დაბანდებათა საერთო თანხა 30 მილიარდი რუპიითაა განსაზღვრული (3 მილიარდამდე დოლარი), აქედან სახელმწიფო სექტორზე 12,5 მილიარდი მოდის.

გათვალისწინებული იყო კერძო სექტორის განვითარების სტიმულირება 10 მილიარდი რუპიის დაბანდებით. გეგმაში ნათქვამი იყო, რომ სახელმწიფო დაეხმარება მსხვილი კერძო ეკონომიური პროექტების შექმნას, მაგრამ არ დაუშვებს ამა თუ იმ დარგში ცალკეული ჯგუფების მონოპოლიურ მდგომარეობას.

გეგმაში აღიარებული იყო, რომ სოფლის თემთა სექტორს ინდონეზიის გლეხთა შემოსავლიანობის მეტად დაბალი დონის გამო მეტად მცირე კაპიტალდაბანდების მოცემა შეუძლია, მაგრამ მითითებული იყო, რომ თუ თითოეული სოფელი შეძლებს მეურნეობაში დასაბანდებლად გლეხთა საშუალებების მობილიზაციას თუნდაც ისეთი მცირეოდენი თანხით, როგორიცაა 40 ათასი რუპია წელიწადში, მაშინ ეს 9,5 მილიარდ რუპიას შეადგენს.

სახელმწიფო სექტორში ხუთწლიანი გეგმის დაბანდებანი შემდეგნაირად ნაწილდებოდა: ენერგეტიკულ საწარმოებსა და ირიგაციაში — 25 პროცენტი. მრეწველობაში — 25 პროცენტი, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში.—25 პროცენტი, სოფლის მეურნეობაში — 13 პროცენტი, სოციალური უზრუნველყოფისა და განათლების დარგში — 12 პროცენტი.

1960 წლისათვის ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს 1955 წელთან შედარებით საფეიქრო მრეწველობის გამომუშავების გადიდებას — 50 პროცენტით, ქაღალდისა — 6-ჯერ, ცემენტისა — 6-ჯერ, ნავთობისა — 25 პროცენტით, ელექტროენერგიისა — 50 პროცენტით, კაუჩუკისა — 8 პროცენტით. ალუმინისა და

თუჯის წარმოება, რომელსაც ჯერ-ჯერობით ინდონეზიაში ადგილი არა აქვს, გათვალისწინებულია დაიწყოს 1962—1963 წწ.

გეგმა ითვალისწინებს ეროვნული შემოსავლის გადიდებას 15 პროცენტით, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის გადიდებას — 6,5 პროცენტით. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გეგმის დასაფინანსებლად 5 წლის განმავლობაში გაღებულ იქნა 9,5 მილიარდი რუპია, ხოლო საზღვარგარეთიდან დახმარება და უცხოეთის სესხი გეგმის პროექტით უნდა შეადგენდეს ერთ მილიარდ რუპიას ან 100 მილიარდ დოლარზე ნაკლებს.[1]

1956 წლის მეორე ნახევარში უცხოეთის მონოპოლიების ბატონობის თანდათანობით ლიკვიდაციის მიზნით სასტროამიჯოიოს მთავრობამ შემოიღო საქციო საწარმოთა მიმართ დებულება, რომლის მიხედვით თითოეული საწარმოს აქციების არანაკლები 51 პროცენტისა უნდა ეკუთვნოდეს ეროვნულ კაპიტალს. მთავრობამ აუკრძალა უცხოელებს ნებართვის გარეშე უძრავი ქონების გაყიდვა და დაწესა, რომ უცხოეთის ყველა საწარმო რეგისტრაციაში უნდა გატარდეს და ინდონეზიის კანონებს დაემორჩილოს. მთავრობამ ნავთობის სარეწაოების ნაციონალიზაცია მოახდინა ჩრდილოეთ სუმატრაზე, რომლებიც წინათ „ბატავია პეტროლეუმ კომპანიას“ ეკუთვნოდა.

სასტროამიჯოიოს მთავრობის საგარეო პოლიტიკა. ინდონეზია და სსრ კავშირი

ინდონეზიამ ეკონომიური ურთიერთობა დაამყარა სოციალისტურ ქვეყნებთან ურთიერთ სარგებლიანობის პირობებში. ეს ურთიერთობა ეიმარდებოდა, მიუხედავად იმ დაბრკოლებებისა, რომლებსაც ინდონეზიას უქმნიდნენ დასავლეთის სახელმწიფოები. ასე, მაგალითად, ინდონეზიის მთავრობამ, მიუხედავად ამერიკის ემბარგოს პოლიტიკისა, 1956 წლის ივნისში დადგენილება მიიღო ჩინეთის ბაზრებზე ინდონეზიის კაუჩუკის გატანის შესახებ.

ინდონეზიის საზოგადოებრიობა დიდი კმაყოფილებით შეხვდა საბჭოთა კავშირის 1956 წლის აპრილის წინადადებას ინდონეზიისათვის ეკონომიური დახმარების აღმოჩენის შესახებ. 1956 წლის 12 აგვისტოს ჯაკარტაში ხელმოწერილ იქნა საბჭოთა კავშირსა და ინდონეზიას შორის პირველი სავაჭრო შეთანხმება, რომელიც თანასწორობისა და ურთიერთ სარგებლიანობის პრინციპებზე იყო აგებული.

სავაჭრო შეთანხმების შესაბამისად ინდონეზია და სსრ კავშირი შეთანხმდნენ იმაში, რომ ორივე მხარეს შორის სავაჭრო ურთიერთობის დარგში გამოყენებულ იქნეს ისეთი რეჟიმი, რომელიც უფრო მეტად ხელსაყრელი იქნებოდა მხარეთათვის, შეთანხმდნენ აგრეთვე სავაჭრო საქონლის სიების შესახებ. სსრ კავშირში საექსპორტო საქონლის სიაში შეტანილ იქნა კაუჩუკი, ტყავეულის ნედლეული, ყავა, კაკაო-ცერცველა, სანელებელი და სხვ. ინდონეზიაში გასატან საქონლის სიაში შეტანილი იყო მოწყობილობის სხვადასხვა სახეობა, ელექტროტექნიკური საქონელი, ავტომანქანები, ოპტიკა, ლითონების ნაწარმი, ბამბეულის ქსოვილი და ნართი, საგაზეთო ქაღალდი, ცემენტი და სხვა საქონელი.

ინდონეზია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის განსამტკიცებლად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ინდონეზიის პარლამენტის მოღვაწეთა სტუმრობას საბჭოთა კავშირში.

---

[1] „Международная жизнь“, № 6, 1956, გვ. 126—127.

1956 წლის 28 აგვისტოდან 12 სექტემბრამდე საბჭოთა კავშირში სახელმწიფო ვიზიტით იმყოფებოდა ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტი სუკარნო. საბჭოთა კავშირ-ინდონეზიის ერთობლივ განცხადებაში ლაპარაკი იყო იმაზე, რომ ორივე მხარე ამყარებს თავის ურთიერთობას ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი ურთიერთპატივისცემის, საშინაო საქმეებში ურთიერთჩაურეველობის, ურთიერთთავდაუსხმელობის, თანასწორობის, ურთიერთსარგებლიანობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების საფუძველზე; რომ ორივე მხარე ისეთ საერთაშორისო საკითხებში, როგორიცაა განიარაღება, კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, ატომური და თერმოატომური იარაღის და სხვ. გამოყენება და აკრძალვა, იხელმძღვანელებენ ბანდუნგის კონფერენციის სულისკვეთებითა და პრინციპებით; რომ სამხედრო პაქტების არსებობა ხელს ვერ შეუწყობს საერთაშორისო დაძაბულობის შესანელებლად მიმართულ ღონისძიებებს, რაც ფრიად საჭიროა მსოფლიოში მშვიდობის შესანარჩუნებლად. ამასთან დაკავშირებით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მისი კანონიერი ადგილის დაკავება ცნობილ იქნა არა მარტო ბუნებრივ აქტად, არამედ კონსტრუქტიულ წვლილადაც საყოველთაო მშვიდობის საქმისათვის.

სუეცის არხის ზონაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ ორივე მხარემ განაცხადა, რომ ამ საკითხის გადაჭრა მშვიდობიანი გზით უნდა იქნეს მიღწეული ეგვიპტის სუვერენიტეტისა და ღირსებისადმი სრული პატივისცემის საფუძველზე.

საბჭოთა კავშირსა და ინდონეზიის რესპუბლიკას შორის მეგობრული სულისკვეთების ბუნებრივი განვითარების სახით მიღწეულ იქნა შეთანხმება ეკონომიკის დარგში და ტექნიკურ და ეკონომიურ დარგებში თანამშრომლობის დამყარების შესახებ თანასწორობისა და ურთიერთსარგებლიანობის საფუძველზე.

კულტურული თანამშრომლობის დარგში ორივე მხარე დათანხმდა მოაწესრიგოს დელეგაციების, სტუდენტებისა და სპეციალისტების, ხელოვნებისა და მეცნიერების მოღვაწეთა გაცვლა.

ორივე მხარემ რწმენა გამოთქვა, რომ აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რასაც ადგილი ჰქონდა მოლაპარაკების მსვლელობაში, ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირსა და ინდონეზიას შორის მეგობრული კავშირების უფრო მეტად განმტკიცებას.

1956 წლის სექტემბერშივე ხელმოწერილ იქნა შეთანხმება საბჭოთა კავშირის მიერ ინდონეზიისათვის 100 მილიონი დოლარის სესხად მიცემის შესახებ წლიური 2,5 პროცენტის ანგარიშით.

1957 წლის 6-დან 19 მაისამდე, ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტ სუკარნოს მიწვევით, ინდონეზიაში საპასუხო ვიზიტით იმყოფებოდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი. შეხვედრები და საუბრები სრული გაგებისა და ურთიერთპატივისცემის ატმოსფეროში მიმდინარეობდა. ამ საუბრების საფუძველს შეადგენდა ბანდუნგის კონფერენციის პრინციპები, რომლებიც დადასტურებული იყო აგრეთვე საბჭოთა კავშირში სუკარნოს ყოფნის დროს (1956 წლის სექტემბერი) ხელმოწერილ საბჭოთა კავშირ-ინდონეზიის ერთობლივ განცხადებაში.

ხელახლა იქნა დადასტურებული, რომ საბჭოთა კავშირი მხარს უჭერს ინდონეზიის მოთხოვნას ინდონეზიასთან დასავლეთ ირიანის შემოერთების შესა-

ხებ. გამოვლინდა აზრთა ერთიანობა საკავშირო კავშირების შემდგომი განვითარების შესახებ, აგრეთვე ეკონომიური, ტექნიკური და კულტურული თანამშრომლობის შესახებ.

ინდონეზიაში კ. ე. ვოროშილოვის ყოფნამ კიდევ უფრო განამტკიცა სსრ კავშირსა და ინდონეზიას შორის მეგობრული ურთიერთობა, რაც მიმართულია ორივე ქვეყნის ურთიერთსარგებლიანობისა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისაკენ.

„საქმიანი კაბინეტისა" და ეროვნული საბჭოს შექმნა

პარტია მაშუმის ხელმძღვანელობაში მოკალათებული კომპრადორული და ფეოდალური ელემენტები, რეაქციული სამხედრო წრეები და მემარჯვენე სოციალისტები განაგრძობდნენ თავიანთ ძირგამომთხრელ საქმიანობას. პარლამენტში გამძვრალი რეაქციული ელემენტების საბოტაჟის გამო პარლამენტში დასამტკიცებლად წარმოდგენილი ხუთწლიანი გეგმა კანონის ძალას არ ღებულობდა.

1957 წლის მარტში რეაქციულმა ელემენტებმა იმპერიალისტების მხარდაჭერით ძალაუფლება ჩაიგდეს ხელში სამხრეთ და ცენტრალურ სულაბესში. მეამბოხეთა სათავეში პოდპოლკოვნიკი სუბუალი ჩადგა. იმავე დროს მუსულმანურმა პარტიამ მაშუმიმ უარი განაცხადა სასტროამიჯოიოს მთავრობაში მონაწილეობის მიღებაზე. 14 მარტს სასტროამიჯოიოს მთავრობა გადადგა.

სუკარნოს არა ერთმა ცდამ—რამდენიმე პარტიის კოალიციის საფუძველზე შეედგინა მთავრობა მარცხი განიცადა მუსულმანური პარტიებისა და ადგილობრივი სეპარატიული მთავრობების ობსტრუქციის გამო. ამის შემდეგ სუკარნომ 1957 წლის 8 აპრილს შეადგინა საგანგებო პარლამენტგარეშე „საქმიანი კაბინეტი" და პრემიერად ჯუანდა დანიშნა. პრეზიდენტმა გამოაცხადა ახალი კაბინეტის პროგრამა, რომელიც შემდეგი ხუთი პუნქტისაგან შესდგებოდა: ეროვნული საბჭოს ჩამოყალიბება, რომელშიც წარმოდგენილი იქნებოდნენ ყველა პარტია და მოსახლეობის ყველა ფენა და რომლის საშუალებითაც ხალხს შესაძლებლობა ექნებოდა უშუალო გავლენა მოეხდინა სახელმწიფოს პოლიტიკაზე; ქვეყნის შიგნით მდგომარეობის ნორმალიზაცია; ჰაგის შეთანხმებათა ლიკვიდაციის განგრძობა; ინდონეზიასთან დასავლეთ ირიანის ხელახლა შეერთება და ინდონეზიაში მშენებლობის აქტივიზაცია. ინდონეზიის კომუნისტურმა პარტიამ მხარი დაუჭირა სუკარნოს ღონისძიებებს მთავრობის კრიზისის დასაძლევად.

9 მაისს პრეზიდენტმა სუკარნომ და პრემიერმა ჯუანდამ გამოაქვეყნეს საგანგებო კანონი ინდონეზიის ეროვნული საბჭოს შექმნის შესახებ. ეროვნულ საბჭოს პრეზიდენტი ჩაუდგა სათავეში. საბჭოს წევრები პრეზიდენტის მიერ იქნენ დანიშნული. ეროვნული საბჭოს შემადგენლობაში შეეიდნენ საზოგადოების სხვადასხვა ფენების წარმომადგენლები: მუშათა, გლეხთა, ომის ვეტერანთა, მწარმოებელთა, ეროვნულ უმცირესობათა, სხვადასხვა რელიგიურ ჯგუფთა, პროვინციების — იავის, სუმატრის, კალიმანტანის, სულაბესის ნუსა-ტენგარის, მოლუკის კუნძულებისა და დასავლეთ ირიანის წარმომადგენლები, აგრეთვე მთავრობის თანამდებობის პირთა წარმომადგენლები. ახსნა-განმარტებით ბარათში აღნიშნული იყო, რომ ეროვნული საბჭოს შექმნის მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ ეფექტურად იქნენ გამოყენებული ის ძალები, რომლებიც არსებულ ინსტიტუტებში არ არიან წარმოდგენილი. ეს ხდება სახელმწიფოს უფრო

სწორად მართვისა და ხალხისა და ქვეყნის კეთილდღეობის მიღწევის მიზნით. ეროვნული საბჭოს ამოცანაა რჩევა მისცეს მთავრობას პრინციპულ საკითხებზე, როგორიცაა: პოლიტიკური, ეკონომიური, სამხედრო, ფინანსური და სოციალური საკითხები.

ობსტრუქციამ, რომელიც პარტია მაშუმიმ მოაწყო, შეუბღალა მას ავტორიტეტი. კუნძულ იავაზე ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნებისას 1957 წლის ივლისში ყველაზე მეტი ხმა მიიღო კომუნისტურმა პარტიამ. ნაციონალურმა პარტიამ და ნახდატულ ულამის პარტიამ. პარტია მაშუმი, რომელსაც 1955 წლის პარლამენტის არჩევნებში მეორე ადგილი ეკავა, ახლა მეოთხე ადგილზე გადავიდა.

ინდონეზია კოლონიალიზმის ნაშთების ლიკვიდაციის გზაზე

1957 წლის ივლისში ეროვნულმა კრებამ დადგენილება გამოიტანა ქალაქ ჯაკარტაში არსებულ უცხოეთის ყველა საწარმოს ნაციონალიზაციის შესახებ მაღაზიებისა და რესტორნების ჩათვლით. უცხოეთის მონოპოლიების შესახებ თვითნებობის შეზღუდვისა და დედაქალაქის ეკონომიური ცხოვრების სტაბილიზაციისაკენ მიმართული ეს ღონისძიება დიდი კმაყოფილებით იქნა მოწონებული ინდონეზიის პროგრესული ძალების მიერ.

1957 წლის სექტემბერში შედგა სრულიად ინდონეზიის ეროვნული კონფერენცია, რომელიც მთავრობის ინიციატივით იყო მოწვეული რიგი შინაპოლიტიკური პრობლემების გადასაწყვეტად. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ინდონეზიის რესპუბლიკაში შემავალი ყველა ადმინისტრაციული რაიონის წარმომადგენლებმა.

კონფერენციის მონაწილეებმა ერთსულოვნად გადაწყვიტეს გაძლიერდეს ბრძოლა ინდონეზიისათვის დასავლეთ ირიანის დაბრუნების შესახებ და მოუწოდეს ინდონეზიის მთელ ხალხს განამტკიცოს ეროვნული ერთიანობა. კონფერენციაზე პრეზიდენტმა სუკარნომ და ყოფილმა ვიცე-პრეზიდენტმა ხათამ, რომელიც სეპარატისტული მოძრაობის ერთერთი ხელმძღვანელთაგანია, ხელი მოაწერეს ერთობლივ განცხადებას, რომ დაიცვან 1945 წლის აგვისტოში მიღებული დეკლარაცია ინდონეზიის დამოუკიდებლობის შესახებ და ხელი შეუწყონ ინდონეზიის დამოუკიდებლობის განმტკიცებას. ეროვნული კონფერენციის რეზოლუციაში აღნიშნული იყო, რომ ნორმალური ურთიერთობა ცენტრალურ მთავრობასა და ადგილობრივ მთავრობებს შორის მთლიანად აღდგენილია.

მაგრამ რეაქციული ჯგუფები და ძირგამომთხრელი ელემენტები, რომლებიც ჰოლანდიისა და ამერიკის იმპერიალისტების დავალებით მოქმედებდნენ, არაფრის წინაშე უკან არ იხევდნენ, რომ ჩაეფუშათ ინდონეზიის ხალხთა ერთიანობა. 1957 წლის 30 ნოემბერს ჯაკარტაში თავდასხმა მოახდინეს რესპუბლიკის პრეზიდენტ სუკარნოზე, როდესაც იგი ესწრებოდა სკოლაში გამართულ ბავშვთა საღამოს.

ამ ამბავმა ინდონეზიის ხალხის აღშფოთება გამოიწვია. ინდონეზიის საზოგადოებრიობამ მოითხოვა ეროვნული ერთიანობის განმტკიცება და სიფხიზლის გაძლიერება რესპუბლიკის მტრების მიმართ.

იმავე დროს დასავლეთის სახელმწიფოების არაკეთილმოსურნეობის გამო, რომლებმაც მხარი დაუჭირეს ჰოლანდიის კოლონიზატორებს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ უარით უპასუხა ინდონეზიის

მოთხოვნას დასაულეთ ირიანის თაობაზე. მეორე დღესვე, როგორც კი გამოქვეყნდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილება, ინდონეზიაში ყველა ჰოლანდიურ საწარმოში გამოცხადებულ იქნა 24 საათიანი საპროტესტო გაფიცვა. ჯუანდას მთავრობამ გამოაცხადა ინდონეზიის ტერიტორიაზე ჰოლანდიის ყველა საკონსულოს საქმიანობის შეწყვეტის შესახებ; ჰოლანდიის ფულადი ფონდები გაყინულ იქნა; ჰოლანდიელებს აეკრძალათ ინდონეზიაში შესვლა, ხოლო ჰოლანდიის ყველა მოქალაქეს, რომლებიც არ ასრულებდნენ რესპუბლიკისათვის სასარგებლო სამუშაოს, წინადადება მიეცა დაუყოვნებლივ დაეტოვებინა ინდონეზიის ტერიტორია.

1957 წლის 9 დეკემბერს ჯუანდას მთავრობამ გამოაქვეყნა დადგენილება იმის შესახებ, რომ ჰოლანდიისა და შერეული ინდონეზია-ჰოლანდიის სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, უძრავი ქონება და პლანტაციები მთავრობის კონტროლის ქვეშ არიან გადაცემული. ექსპროპრირებულ იქნა ჰოლანდიის სამი უდიდესი ბანკი და მათი ხელმძღვანელობა გადაეცა ინდონეზიის სახელმწიფო ბანკს. მუშებმა — ინდონეზიის პროფესიული კავშირის წევრებმა მოახდინეს ინდონეზიაში ჰოლანდიის უდიდესი საავაკო კომპანიის „ბორსუმის“ ექსპროპრიაცია, დაიკავეს ჰოლანდიის საავიაციო კომპანიის КЛМ-ისა და ჰოლანდიის სანაოსნო სააგენტოს КПМ-ის კანტორების სადგომები. მოახდინეს ჰოლანდიის 150 ფირმის ექსპროპრიაცია, ორი ათასი ფირმა მთავრობის კონტროლში გადავიდა.

ოპოზიციალისტური შეთქმულება ინდონეზიის წინააღმდეგ 1958 წელს

ჰოლანდიის კაპიტალის წინააღმდეგ მიმართულმა ჯუანდას მთავრობის ღონისძიებებმა გამოიწვიეს რეაქციულ ძალთა გამოსვლები, რაც ინსპირირებულ იქნა გარედან. 1958 წლის 10 თებერვალს ჰუსეინ-სიმბოლოპას სამხედრო ხროვამ ამბოხება მოაწყო. იგი ამოეფარა ყალბ პროპაგანდას — თითქოს „ემუქრებიან ისლამს“. ჩაიგდეს რა ძალაუფლება ცენტრალურ სუმატრაში, მეამბოხეებმა ულტიმატუმი წარუდგინეს მთავრობას — ექვსი დღის ვადაში გაეძევებინათ მთავრობის შემადგენლობიდან ყველა კომუნისტი და შეედგინათ ახალი „ანტიკომუნისტური კაბინეტი“. წინაღმდეგ შემთხვევაში მეამბოხენი იმუქრებოდნენ, რომ სუმატრაზე შექმნიდნენ „კონტრმთავრობას“.

კომუნისტების გაძევებას მხოლოდ შენიღბვის მიზნით მოითხოვდნენ, თორემ ჯუანდას კაბინეტში არც ერთი კომუნისტი არ იყო. აღსანიშნავია, რომ აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა დალესმა, რომელიც იმ დღეებში პრესკონფერენციაზე გამოვიდა, გაიღაშქრა სუკარნოს წინააღმდეგ და მოითხოვა შედგენილიყო ინდონეზიაში სხვა მთავრობა, „რომელიც კონსტიტუციური იქნებოდა“. ამასთან ერთად დალესმა გასაგები გახადა, რომ მეამბოხეებს შეუძლიათ იქონიონ აშშ-ის მხარდაჭერის იმედი.

ჯუანდას მთავრობამ საჭიროდ არ სცნო მოლაპარაკება ეწარმოებინა მეამბოხეებთან, და 15 თებერვალს სეპარატორებმა გამოაცხადეს, რომ შექმნილია „კონტრმთავრობა“ ინდონეზიაში ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით.

სუმატრის აჯანყებას დიდი აღშფოთებით შეხვდნენ ინდონეზიის ხალხთა ფართო მასები. ეროვნულმა პარტიამ, კომუნისტურმა პარტიამ, ნახდატულ ულამის პარტიამ და ზოგიერთმა სხვა პარტიამ, აგრეთვე პროფკავშირებმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა გულისწყრომით დაგმეს მეამბოხეები. იავის, სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ სულაბესის და მოლუკის კუნძულების სამ-

ხედრო და სამოქალაქო ხელისუფლებმა განაცხადეს, რომ მთლიანად უპერენ მხარს კანონიერ მთავრობას. მეამბოხეთა მხარეზე, სადაც მთავარ როლს მუსულმანური ტერორისტული ორგანიზაციის „დარ-ულ-ისლამის“ ბანდიტური რაზმები ასრულებდნენ, იყვნენ მუსულმანური პარტია მაშუმის ლიდერები და მემარჯვენე სოციალისტები, მაგრამ ისინიც ვერ ბედავდნენ აშკარად გამოსულიყვნენ მეამბოხეთა დასაცავად. მეამბოხენი გამოხატავდნენ იმპერიალისტების, კომპრადორული ბურჟუაზიისა და ფეოდალ-მემამულეთა ინტერესებს და მიზნად ისახავდნენ დემოკრატიულ ძალთა განადგურებას.

სუმატრაზე მოწყობილ ამბოხებასთან ერთად მეამბოხენი, რომლებმაც ჯერ კიდევ 1957 წლის მარტში ჩაიგდეს ძალაუფლება ჩრდილო და ცენტრალურ სულაბესში, შეეცადნენ გაეკრცელებინათ თავიანთი კონტროლი მოლუკის კუნძულებზე და ინდონეზიის სხვა რაიონებზეც, მაგრამ ისინი მთავრობის ჯარებმა მოიგერიეს.

სუმატრაზე ამბოხება ჩქარა იქნა ჩაქრობილი, მაგრამ, სარგებლობდნენ რა ამერიკის ფლოტის მხარდაჭერით, მეამბოხენი განაგრძობდნენ სულაბესზე ყოფნას. მეამბოხეთა მთავარი ქალაქი და მათი შტაბის ადგილსამყოფელი იყო ქალაქი მანადო, რომელიც ნახევარკუნძულ მინარასის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარეობს. აქ მოდიოდნენ მეამბოხეთა დასახმარებლად ტაიეანისა და ფილიპინების „მოხალისენი“. აშშ უგზავნიდნენ მეამბოხეებს საჭურველს, თვითმფრინავებს.

1958 წლის თებერვალში მთავრობის ჯარებმა სუმატრაში ამბოხების ჩაქრობასთან ერთად გაშალეს ოპერაციები კუნძულ სულაბესის გასათავისუფლებლად. ამ ოპერაციამ მიიღო „მერდეკას“ („თავისუფლება“) სახელწოდება. მარტის დამლევს განთავისუფლებულ იქნა ქალაქი პალუ და მნიშვნელოვანი პორტი დანგალა. აპრილის შუა რიცხვებისათვის მთავრობის ჯარებმა გაწმინდეს ცენტრალური სულაბესის მნიშვნელოვანი ნაწილი და ჩაშალეს მეამბოხეთა ცდა — გამაგრებულიყვნენ ჩრდილო სულაბესზე. ივნისის ბოლოს მთავრობის ჯარებმა გაათავისუფლეს ქალაქი მანადო.

შეთქმულებას წარმატება არ ჰქონია. ამერიკისა და ჰოლანდიის იმპერიალისტთა ცდა — ჩამოეშორებინათ სულაბესი რესპუბლიკისაგან — ჩაიფუშა.

ა ვ ღ ა ნ ე თ ი

ავღანეთის ეკონომიური განვითარება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ხალხთა კავშირის დახმარება

ავღანეთი წარმოადგენდა ეკონომიურად ჩამორჩენილ აგრარულ ქვეყანას, სადაც ფეოდალური ურთიერთობა იყო გაბატონებული. კაპიტალისტური ურთიერთობა მხოლოდ მას შემდეგ განვითარდა, რაც ავღანეთმა 1919 წელს დამოუკიდებლობა მოიპოვა.

მოსახლეობის 90 პროცენტი სოფლის მეურნეობაში მიწათმოქმედებას და მეჯოგეობას მისდევდა. მიწისა და ჯოგის ძირითადი მასა ფეოდალებს, მემამულეებსა და სასულიერო პირებს ეკუთვნოდათ. მიწათმოქმედებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სარწყავ სისტემას, მაგრამ იგი უკიდურესად პრიმიტიულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. მიწათმოქმედების ტექნიკა მეტად დაბა-

ლი იყო. მიწის დამუშავება გლეხთა მეურნეობაში ხელით ხდებოდა. ფეოდალური და იმპერიალისტური ექსპლოატაციით დაჩაგრულ გლეხთა მდგომარეობა მეტად მძიმე იყო.

ქვანახშირით, სპილენძით, ტყვიით, ოქროთი, ვერცხლითა და ნავთობით მდიდარი აღმანეთის წიაღისეული არ მუშავდებოდა ან მუშავდებოდა პრიმიტიული წესით. რკინიგზები ავღანეთში სრულებით არ იყო.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ავღანეთის მთავრობამ ჩაატარა საირიგაციო სამუშაოები, მან მთელი რიგი შეღავათები მიანიჭა გადასახლებულ პირებს, რომლებმაც სარწყავი მიწების ათვისებას მოჰკიდეს ხელი. მთავრობამ გაადიდა ბამბის სათესი ფართობები, ზომები მიიღო ბაღებისა და ვენახების გასაფართოებლად და მესაქონლეობის განვითარებისათვის. პირუტყვის საერთო სულადობამ 26 მილიონ სულს მიაღწია. 1954 წელს გაიხსნა სასოფლო-სამეურნეო ბანკი თავისი განყოფილებებით დიდ ქალაქებში. გაიშალა სამიწათმოქმედო და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ქსელი, რომელსაც უნდა აღმოეჩინა მატერიალური დახმარება მიწათმოქმედთა და მესაქონლეთათვის, მიღებულ იქნა ზომები სოფლის მეურნეობაში მეცნიერული მეთოდების დანერგვისათვის.

შედარებით მეტი წარმატებები მოიპოვა ავღანეთმა სამრეწველო საწარმოთა მშენებლობაში, აგრეთვე ჰიდროელექტროსადგურებისა და გზატკეცილების მშენებლობაში. 1955 წელს ავღანეთში უკვე 75 საწარმო იყო, მათ შორის საფეიქრო და ბამბეულისა, აგრეთვე მატყლსაქსოვი და მატყლსართავი ფაბრიკები, ტყავეულისა და ფეხსაცმლის ფაბრიკა, შაქრის ქარხანა, საპნის ქარხანა, ზეთსახდელი ქარხანა და სხვ. შინამრეწველობა დაეცა იმის გამო, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაძლიერდა სამპორტო საქონლის შემოტანა. სავაჭრო და სამშენებლო ორგანიზაციებისათვის დახმარების აღმოსაჩენად 1954 წელს შეიქმნა სავაჭრო და საპიპოტეკო ბანკები.

მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა ავღანეთმა კულტურის დარგში. იმ ქვეყანაში, სადაც წერა-კითხვის მცოდნე ადამიანი იშვიათად შეგხვდებოდათ, ახლა 350 დაწყებითი და საშუალო (ათწლიანი) სკოლაა. 1939 წლიდან არსებობს უნივერსიტეტი, რომელშიც ამჟამად ექვსი ფაკულტეტია; არის აგრეთვე პედაგოგიური ინსტიტუტი და პედაგოგიური კურსები, პროფესიულ სკოლათა ქსელი და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები.

ავღანეთის სამეურნეო მშენებლობას დიდი დახმარება გაუწია საბჭოთა კავშირმა. საბჭოთა კავშირის დახმარება არავითარ პოლიტიკურ და სამხედრო პირობებთან არაა დაკავშირებული, ხოლო ავღანეთ-საბჭოთა კავშირის ვაჭრობა არ მოქცეულა ფასების იმ კონიუნქტურული რყევის ქვეშ, რასაც ავღანეთი არა ერთხელ შეხვედრია კაპიტალისტურ ქვეყნებთან ვაჭრობისას.

1950 წელს ავღანეთსა და საბჭოთა კავშირს შორის დაიდო შეთანხმება საქონელბრუნვისა და მისი ღირებულების გადახდის შესახებ. ეს შეთანხმება შესაძლებლობას აძლევდა ავღანეთს გაესაღებინა საბჭოთა კავშირში ავღანეთის ძირითადი საქონელი და ამავე დროს უზრუნველყოფდა მას მიეღო საბჭოთა კავშირიდან ისეთი საქონელი, როგორიცაა ლითონები, საშენი მასალები, მოწყობილობანი, ჩარხები, მანქანები. ბამბეულის ქსოვილები, შაქარი და სხვ. მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირ-ავღანეთის ვაჭრობა გაფართოვდა ორჯერ და უფრო მეტად.

1955 წელს საბჭოთა კავშირსა და ავღანეთს შორის დადებულ იქნა სატრან-

ზიტო შეთანხმება, რაც გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ პაკისტანმა აუკრძალა ავღანეთს პაკისტანის ტერიტორიაზე ავღანეთის საქონლის გატარება. ამ შეთანხმებით ორივე ქვეყანა თავისუფალი ტრანზიტის უფლებას აძლევდა ერთიმეორეს თავიანთი ტერიტორიის გავლით. სატრანზიტო ტვირთები თავისუფლდებოდა გადასახდელისაგან, დაბეგვრისა და სხვა გამოსაღებისაგან. სსრ კავშირის გავლით ტრანზიტს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ავღანეთის ვაჭრობისათვის ჩეხოსლოვაკიასთან, გერმანიასთან, უნგრეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებთან.

ავღანეთისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა კავშირთან მის თანამშრომლობას სოფლის მეურნეობის მცენარეთა მავნებლებთან ბრძოლის საქმეში.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საბჭოთა კავშირის მიერ ავღანეთისათვის გაწეული დახმარება სხვადასხვა საწარმოთა მშენებლობაში. ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე საბჭოთა კავშირი დაეხმარა ავღანეთს ბამბის გამწმენდი ქარხნებისა და სხვა საწარმოთა აშენებაში. 1951—1952 წლებში საბჭოთა სპეციალისტების მიერ ავღანეთში აშენებულ იქნა პირველი თანამედროვე ბენზინსაცავები. 1954 წელს ქაბულსა და ავღანეთის სხვა ქალაქებში საბჭოთა სპეციალისტები შეუდგნენ ნავთობის თანამედროვე ტიპის 8 დიდი ბაზის აგებას.

იმავე 1954 წელს საბჭოთა კავშირმა ავღანეთს კრედიტი მისცა 5,6 მილიონი ამერიკული დოლარის რაოდენობით. ავღანეთი დაფარავდა ამ თანხას მატყლისა და ბამბის მიწოდებით ხუთი წლის განმავლობაში. ამ სახსრებით, საბჭოთა სპეციალისტების მონაწილეობითა და საბჭოთა მოწყობილობების გამოყენებით ქაბულში აშენებულ იქნა ორი ელევატორი ერთდროულად 40 ათასი ტონა მარცვლის შესანახად, წისქვილი და ბამბის ქარხანა. ყველა ეს საწარმო მწყობრში ჩადგა 1957 წლის მარტში.

1955 წელს საბჭოთა სპეციალისტებმა ქაბულში ააშენეს ასფალტბეტონის ქარხანა, ხოლო 1955 წლის დამლევისათვის ქაბულის ყველა მთავარი ქუჩა და აგრეთვე აეროდრომისაკენ მიმავალი გზატკეცილი მოასფალტებულ იქნა.

ხუთწლიანი გეგმა (1956-1961 წწ.)

1955 წელს ავღანეთის მთავრობამ მიიღო ეროვნული ეკონომიკის განვითარების ხუთწლიანი კომპლექსური გეგმა 1956—1961 წლებისათვის. ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია დაიხარჯოს სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის 50 მილიონი დოლარი, მრეწველობის განვითარებისათვის —48 მილიონი, გზათა მიმოსვლისათვის —38 მილიონი, კავშირგაბმულობის საშუალებათათვის —12 მილიონი. გათვალისწინებულია მნიშვნელოვანი სახსრების დახარჯვა განათლების განვითარებისა და ჯანმრთელობის დაცვისათვის. ხუთწლიანი გეგმის შესრულება საშუალებას მისცემს ავღანეთს დამატებით მორწყას 200 ათასი ჰექტარი ნოყიერი მიწა, ააშენოს და რეკონსტრუქცია გაუკეთოს 1000 კილომეტრი სიგრძის გზატკეცილს. ელექტროენერგიის გამომუშავება გაიზრდება 144 მილიონი კილოვატსაათიდან 850 მილიონ კილოვატსაათამდე.

ხუთწლიანი გეგმის განხორციელებით ავღანეთის მთავრობა ვარაუდობს შესცვალოს თავისი ეკონომიკის კოლონიური ხასიათი და შექმნას ეროვნული ეკონომიკა. ამას უდიდესი მნიშვნელობა ექნება ავღანეთის ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცებისა და დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის გატარებისათვის.

ამერიკის საგარეო პოლიტიკა. ამერიკულ-საბჭოთა ურთიერთობა

ავღანეთი იმ ქვეყნების რიცხვს ეკუთვნის, რომლებმაც თავიანთ პოლიტიკას ნეიტრალიტეტის პრინციპი და სამხედრო ბლოკებში მონაწილეობის მიუღებლობა დაუდეს საფუძვლად. იმ დროიდან, როგორც კი ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება ნეიტრალიტეტზე და ურთიერთთავდაუსხმელობაზე ავღანეთსა და საბჭოთა კავშირს შორის (1931 წლის 24 ივნისი), ნეიტრალიტეტის პოლიტიკა ტრადიციულ პოლიტიკად გადაიქცა ავღანეთისათვის.

1931 წლის 24 ივნისის ხელშეკრულებით ორივე მხარემ ვალდებულება იკისრა დაიცვას ნეიტრალიტეტი, თუკი ერთი მხარეთაგანი ომში ჩაბმული აღმოჩნდება მესამე სახელმწიფოსთან, თავს არ დაესხან ერთიმეორეს, თავი შეიკავონ ყოველგვარი შეიარაღებული ან უიარაღო ჩარევისაგან ერთმანეთის საშინაო საქმეებში, არ შევიდნენ მესამე სახელმწიფოსთან ისეთ პოლიტიკურ და სამხედრო კავშირში და მონაწილეობა არ მიიღონ არც ფინანსურ და არც პოლიტიკურ ბოიკოტში, რაც მეორე მხარის საწინააღმდეგოდ იქნება მიმართული, და ყოველგვარი დავა ან კონფლიქტი, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას, მხოლოდ მშვიდობიანი გზით იქნეს მოგვარებული. ეს ხელშეკრულება, ისე როგორც მეგობრულ ურთიერთობაზე ავღანეთ-საბჭოთა კავშირის 1921 წლის 28 თებერვლის ხელშეკრულება, საფუძვლად დაედო ავღანეთსა და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთდამოკიდებულებას.

მეორე მსოფლიო ომის დროს ავღანეთის მთავრობა მტკიცედ ატარებდა ნეიტრალიტეტის პოლიტიკას და მან აღკვეთა ფაშისტური ბლოკის ცდები — ჩაება ავღანეთი მსოფლიო ომში. 1954 წელს ავღანეთის ნეიტრალიტეტის პოლიტიკამ სერიოზული გამოცდა გაიარა. დასავლეთის იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა ძლიერი ზეგავლენა მოახდინეს ავღანეთზე იმ მიზნით, რომ ჩაეთრიათ იგი სეატოს აგრესიულ სამხედრო ბლოკში, მაგრამ ავღანეთმა ნეიტრალიტეტის პოლიტიკას არ გადაუხვია. მაშინ იმპერიალისტებმა გადაწყვიტეს ახალი ძალდატანება მოეხდინათ ავღანეთზე და ამისათვის გამოეყენებინათ „პუშტუნისტანის საკითხი", რომლის არსი შემდეგში მდგომარეობს: 1893 წელს ინგლისელებმა თავს მოახვიეს ავღანეთს „დიურანდას ხაზი", რომელიც ყოფდა ინდოეთს ავღანეთიდან და რომლითაც მიწა-წყალი პუშტუს ტომისა, რომელიც ისტორიული მოდგმით და ნათესაობით ავღანეთთან იყო დაკავშირებული, ინდოეთს შეუერთდა, ხოლო ინდოეთის დაყოფის შემდეგ — პაკისტანს. „დიურანდას ხაზი" მხოლოდ რუკაზე არსებობდა და არასოდეს არ ყოფილა ავღანეთსა და ინდოეთს შორის ფაქტიურ საზღვრად. ამიტომაც ინდოეთის დაყოფის შემდეგ ავღანეთის მთავრობამ აღძრა საკითხი პუშტუნისტანის ხალხისათვის იმ უფლების უზრუნველყოფის შესახებ, რათა მან თვითონ გადაწყვიტოს თავისი ბედი. მშვიდობის შენარჩუნებისათვის ავღანეთი მიისწრაფოდა მიღწეულიყო ამ საკითხის მეგობრული მოგვარება პაკისტანსა და მას შორის.

მაგრამ იმპერიალისტების გავლენით, პაკისტანი დაადგა ავღანეთთან ურთიერთობის გამწვავების გზას, აკრძალა ავღანეთის ტრანზიტი პაკისტანის ტერიტორიაზე და სრულიად უსაფუძვლოდ მოითხოვა ავღანეთის კონსულის გაწვევა ქვეთედან. თავის მხრივ იმპერიალისტებმა „პუშტუნისტანის საკითხი", როგორც სადავო, დასვეს სეატოს სესიაზე, რომელმაც უკანონოდ გაუვანილი „დიურანდას ხაზი" ავღანეთსა და პაკისტანს შორის კანონიერ საზღვრად ჩათვალა.

ავღანეთის მთავრობა პუშტუნისტანის დასაცავად გამოვიდა და მოითხოვდ: პუშტუნისტანის საკითხის გადაჭრისას მხედველობაში ყოფილიყო მიღებული როგორც პუშტუნისტანის, ისე პაკისტანის თვალსაზრისიც.

საბჭოთა კავშირმა მაღალი შეფასება მისცა ავღანეთის მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას, მის სიმტკიცეს ნეიტრალიტეტის პოლიტიკის გატარებაში და მის პრინციპულ პოზიციას „პუშტუნისტანის საკითხში". საბჭოთა კავშირი გამოვიდა პუშტუნისტანის პრობლემის სამართლიანად მოწესრიგების მომხრედ პუშტუნისტანის მოსახლე ხალხის ინტერესებისათვის ანგარიშის გაწევით.

1955 წელს დასავლეთის იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა ხელახლა სცადეს ავღანეთზე დაწოლის მოხდენა აგრესიულ ბაღდადის პაქტში მისი ჩათრევის მიზნით. მაგრამ მუჰამედ დაუდის მთავრობა ამ შემთხვევაშიც დარჩა საშხედრო ბლოკებში მონაწილეობის მიუღებლობის პოზიციაზე.

ბანდუნგის კონფერენციაში ავღანეთის მონაწილეობა ლოგიკური განვითარება იყო მუჰამედ დაუდის მიერ წარმოებული მშვიდობისმოყვარული ანტიკოლონიური პოლიტიკისა.

„ავღანეთი გმობს კოლონიალიზმს და უარყოფს ყოველგვარ ძალადობას,— განაცხადა ავღანეთის პრემიერ-მინისტრმა ბანდუნგის კონფერენციის წლისთავთან დაკავშირებით,— ხალხთა უფლებების ცნობა და მათდამი პატივისცემა ერთადერთი საფუძველია მშვიდობისა და უშიშროების შესანარჩუნებლად".

საბჭოთა კავშირ-ავღანეთის 1955 წლის 18 დეკემბრის ერთობლივ განცხადებაში აღნიშნულია, რომ აზრთა გაცვლა-გამოცვლის შედეგად მიღწეულ იყო შეთანხმება შემდეგ საკითხებზე: ორ ქვეყანას შორის მეგობრული პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული კავშირების გაფართოება; მშვიდობიანი თანაარსებობის ხუთი პრინციპის აღიარება, როგორც საფუძველი მშვიდობისა და ხალხთა შორის ურთიერთგაგების უზრუნველყოფისა; საყოველთაო განიარაღებისა და ატომური იარაღის აუცილებლად აკრძალვა; ატომური ენერგიის მხოლოდ მშვიდობიანი მიზნით გამოყენება და სხვ.

ერთდროულად ხელმოწერილ იქნა ოქმი სსრ კავშირსა და ავღანეთს შორის 1931 წლის 24 ივნისს ნეიტრალიტეტისა და ურთიერთთავდაუსხმელობის შესახებ დადებული ხელშეკრულების ათი წლის ვადით გაგრძელებაზე. ამ ვადის გასვლის შემდეგაც ხელშეკრულება რჩებოდა ძალაში, თუ არც ერთი მხარეთაგანი წინადადებას არ შემოიტანდა მისი მოქმედების შეწყვეტაზე.

ქაბულში მოლაპარაკებისას ერთსულოვანი აზრი იქნა გამოთქმული ვაჭრობისა და ეკონომიური კავშირების შემდგომი განვითარებისა და გაფართოების შესახებ ორი სახელმწიფოსათვის ურთიერთსარგებლობის საფუძველზე. ასევე ერთსულოვანი აზრი იქნა გამოთქმული თანამშრომლობაზე სოფლის მეურნეობის განვითარებისა და ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის, ავღანეთში საირიგაციო ნაგებობათა და ავტოსატრანსპორტო სახელოსნოთა აშენებისა და აგრეთვე ქაბულის ჰაეროდრომის რეკონსტრუქციის შესახებ. საბჭოთა კავშირის მთავრობამ აცნობა ავღანეთს თავისი პრინციპული თანხმობა — აღმოუჩინოს მას როგორც ტექნიკური, ისე ფინანსური დახმარება გრძელვადიანი კრედიტის სახით 100 მილიონი ამერიკული დოლარით ზემოაღნიშნულ დარგებში ავღანეთის ეკონომიკის განვითარებისათვის სამუშაო პროგრამის განსახორციელებლად.

1956 წლის 28 იანვარს ქაბულში ხელმოწერილ იქნა შეთანხმება საბჭოთა კავშირის მიერ ავღანეთისათვის 100 მილიონი ამერიკული დოლარის სესხის მ-

ცემის შესახებ 30 წლის ვადით წლიური 2 პროცენტის ანგარიშით. შეთანხმებითვალისწინებს კრედიტის დაფარვას ავღანეთის მიერ საბჭოთა კავშირისათვის საექსპორტო საქონლის მიწოდებით და საბჭოთა კავშირის მიერ აღნიშნული კრედიტის ანგარიშში მოწყობილობისა და მასალების მიწოდების უზრუნველყოფას, აგრეთვე სხვა სახის დახმარების აღმოჩენას ცალკეული ობიექტების მშენებლობაში ტექნიკური დახმარების აღმოჩენის სახით.

შემდგომში დადებულ შეთანხმებებში გათვალისწინებულია, რომ მიცემული კრედიტების ანგარიშში საბჭოთა სპეციალისტები შეისწავლიან ავღანეთში აზოტოვან სასუქთა ქარხნების აშენების შესაძლებლობას. ჩატარებული იქნება ეკონომიური თვალსაზრისით არანაკლები მნიშვნელობის მქონე სამუშაოები ორი ჰიდროელექტროსადგურის ასაგებად, ორი ავტოსარემონტო სახელოსნოს ასაშენებლად გერათსა და პილიხუმრში, ქაბულში ავტოსარემონტო ქარხნის, აგრეთვე ფიზიკურ-ქიმიური ანალიზის ლაბორატორიის ასაშენებლად, რომელიც შემდეგში სამეცნიერო-საკვლევო ცენტრად იქნება გარდაქმნილი. საბჭოთა სპეციალისტები დახმარებას გაუწევენ ავღანეთს ამ მშენებლობებისათვის ეროვნული კადრების აღზრდის საქმეში.

1956 წლის 2 ივლისს რატიფიცირებულ იქნა საბჭოთა კავშირ-ავღანეთის შეთანხმება საჰაერო მიმოსვლის შესახებ.

იმავე წელს ავღანეთსა და საბჭოთა კავშირს შორის ხელმოწერილ იქნა შეთანხმება სასაზღვრო საკითხების შესახებაც. ამ შეთანხმებით ახალი სასაზღვრო ხაზი იქნა დაწესებული მდ. ამუდარიისა და პიანჯას ტალვეგით. გაუწიარა ავღანეთის სურვილებს ანგარიში, საბჭოთა კავშირმა გადასცა მას მთელი რიგი კუნძულები ამ რაიონში.

1956 წლის ოქტომბერში საბჭოთა კავშირში ავღანეთის პრემიერ-მინისტრ მუჰამედ დაუდის ყოფნისას გამოქვეყნებულ კომუნიკეში ნათქვამი იყო, რომ ორივე ქვეყნის ხელმძღვანელებმა დაადასტურეს 1955 წლის 18 დეკემბრის განცხადება და აღნიშნეს, რომ მის დებულებათა რეალიზაციამ სარგებლობა მოუტანა ორივე ქვეყნის ხალხებს.

ორივე სახელმწიფოს ხელმძღვანელებმა განაცხადეს მზადყოფნა განამტკიცონ მშვიდობა და დაადასტურეს პატივისცემა და მხარდაჭერა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებისა და ბანდუნგის კონფერენციისადმი. ამასთან გამოთქვეს რწმენა, რომ ყველა საკითხი სახელმწიფოთა ურთიერთობის შესახებ უნდა მოგვარდეს მშვიდობიანი გზით.

ორივე ქვეყნის ხელმძღვანელებმა აგრეთვე დაადასტურეს თავიანთი სიმტკიცე მხარი დაუჭირონ ხალხებისა და ეროვნებათა ბრძოლას და კანონიერ მისწრაფებებს პოლიტიკური და ეკონომიური დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. მათ თავიანთი კეთილი ნება გამოთქვეს მეგობრული და გულითადი დამოკიდებულების განმტკიცების შესახებ და დაადასტურეს დახმარებისა და თანამშრომლობის გაფართოების საფუძვლები თავიანთ ხალხთა ეკონომიური ცხოვრების დონის ამაღლების საქმეში.

1956 წელს დამყარებულ იქნა დიპლომატიური ურთიერთობა ავღანეთსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის. 1957 წლის იანვარში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერი ჯოუ ენ-ლაი ესტუმრა ავღანეთს. იმავე წელს ავღანეთის პრემიერი მუჰამედ დაუდი მეგობრული ვიზიტით ეწვია პეკინს. ორივე ქვეყნის პრემიერ-მინისტრებმა გამოხატეს საერთო მისწრაფება მშვიდობის შე-

ნარჩუნებისაკენ, თავიანთი ერთგულება ბანდუნგის კონფერენციისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისადმი, რწმენა იმაში, რომ ატომური ენერგია გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი მიზნით კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

ფუჯაიდ ზაჰირ შაჰის ვიზიტი საბჭოთა კავშირში

1957 წლის ივლისში, საბჭოთა კავშირში კეთილ ნების ვიზიტით ჩამოვიდა ავღანეთის მეფე მუჰამედ ზაჰირ შაჰი. აზრთა გაცვლა-გამოცვლისას მხარეებმა გამოიჩინეს ორივე ქვეყნის პოლიტიკის ურთიერთგაგება, დაადასტურეს მსოფლიოს ხალხებსა და ერებს შორის შემდგომი საერთაშორისო თანამშრომლობისა და ურთიერთ დახმარების საჭიროება. მათ სურვილი გამოთქვეს, რათა კაცობრობამ მთელი თავისი მატერიალური და მორალური შესაძლებლობანი მოანდომოს იმ შიშის ლიკვიდაციას, რომლითაც ამჟამად მსოფლიო არის მოცულ საერთაშორისო ურთიერთობებში დაძაბული მდგომარეობისა და მასობრივი მოსპობის იარაღის არსებობასთან დაკავშირებით. ორივე მხარემ აგრეთვე განაცხადა გამოყენებულ იქნეს ყოველი მეცნიერული და ტექნიკური საშუალება სამშვიდობო მიზნით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს უკეთესი მატერიალური და სულიერი, ბედნიერი პირობები მსოფლიოს ხალხთა ცხოვრებისათვის.

მხარეებმა სურვილი გამოთქვეს განაგრძონ მეგობრული ურთიერთობა და შემდგომ განავითარონ და განამტკიცონ იგი, რაც ხელს შეუწყობს მშვიდობას, უშიშროებას, საერთაშორისო თანამშრომლობას.

საბჭოთა მთავრობა დათანხმდა აღმოუჩინოს ავღანეთს უანგარო და რაიმე პოლიტიკურ ან სხვა პირობებთან დაუკავშირებელი ტექნიკური და მატერიალური დახმარება სადაზვერვო-გეოლოგიური სამუშაოების ჩასატარებლად ავღანეთის ჩრდილო რაიონებში ნავთობის ძიების მიზნით.

საბჭოთა მთავრობა დათანხმდა აგრეთვე აღმოუჩინოს ავღანეთს დახმარება ეროვნული ტექნიკური კადრების მომზადებაში, რაც ასე საჭიროა ავღანეთის ეკონომიური განვითარებისათვის. მიღწეულ იქნა თანხმობა საბჭოთა კავშირ-ავღანეთის სახელმწიფო საზღვრის რეჟიმზე ხელშეკრულების შესახებ. ორივე მხარე აგრეთვე დათანხმდა ითანამშრომლოს სსრ კავშირსა და ავღანეთს შორის სასაზღვრო სამდინარო წყლების გამოყენების მიზნით.

ბ ი რ მ ი ს .კ ა ვ შ ი რ ი

ბირმის ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში და XIX საუკუნის დასაწყისში ბირმის სახელმწიფო ძლიერ, ცენტრალიზებულ და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ითვლებოდა. XIX საუკუნეში ბირმის უხვმა ბუნებრივმა სიმდიდრეებმა ინგლისის კაპიტალისტების ყურადღება მიიპყრეს. ვოლფრამის საბადოებით ბირმას მეორე ადგილი ეჭირა მსოფლიოში. ბირმა მდიდარია კალით, ტყვიით, ეერცხლით, თუთიით, კობალტით, ნიკელით, სურმით, ნავთობით, რკინისა და მარგანეცის მადნეულთ, კაუჩუკითა და ტყის მეტად ძვირფასი ჯიშებით. გარდა ამისა, ბირმას მნიშვნელოვანი სტრატეგიული მდებარეობა ეკავა.

XIX საუკუნეში ინგლისსა და ბირმას შორის წარმოებული სამი ომის შე-

დეგად (1824—1826 წწ., 1852 წ. და 1885 წ.) ინგლისმა ბირმა დაიპყრო და თავის კოლონიას — ინდოეთს შეუერთა. ინგლისის კაპიტალი შეუდგა ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეთა ექსპლოატაციას. ინგლისის კაპიტალისტები ქმნიდნენ ბრინჯის დამამუშავებელ და ხე-ტყის მრეწველობის მსხვილ საწარმოებს; მათ გაშალეს ნავთობის მოპოვების სამუშაოები, ვოლფრამისა და ფერადი ლითონების დამუშავება, შეუდგნენ რკინიგზის ქსელისა და სამდინარო ტრანსპორტის შექმნას. მათ გახსნეს იქ ბანკები ბირმაში არსებული ინგლისის ფირმების დასაფინანსებლად.

ინგლისელმა კოლონიზატორებმა ბირმაში ფეოდალურ-მემამულური მიწათმფლობელობა უცვლელად დასტოვეს. ბრინჯის სათესი ფართობის გადიდების მიზნით ინგლისელი კოლონიზატორები უსასყიდლოდ ურიგებდნენ მიგდებულ მიწებს მოხელეებს, მევახშეებს, სპეკულანტებს და აგრეთვე გადმოსახლებულ გლეხებს. მთელი დასამუშავებელი მიწის ფართობის ერთ მესამედზე მეტი მემამულეებისა და მევახშეების ხელში იყო. გლეხთა მდგომარეობა მეტად გაძნელდა. მიმდინარეობდა გლეხთა გაბოგანოების გაძლიერებული პროცესი.

ინგლისის კაპიტალის მიერ სამრეწველო საწარმოთა შექმნამ, რომლებიც სოფლისა და სატყეო მეურნეობის პროდუქციის პირვანდელ დამუშავებასთან იყო დაკავშირებული, ბირმის ეროვნული პროლეტარიატის შექმნა გამოიწვია. პროლეტარიატის მდგომარეობა მეტისმეტად მძიმე იყო. ხელფასი სულ მცირე იყო, სამუშაო დღის ხანგრძლივობა 16—18 საათს აღწევდა. იმის გამო, რომ სოფლად გლეხთა პაუპერიზაციის გაძლიერებული პროცესი მიმდინარეობდა, მუშახელის მიწოდება ბევრად სჭარბობდა არსებულ მოთხოვნილებას.

ვაჭრობის განვითარებამ წარმოშვა სავაჭრო ბურჟუაზია, რომელიც დიდ კონკურენციას განიცდიდა ინგლისის ფირმებისა და ინდოეთის სავაჭრო-საფახშო კაპიტალის მხრივ. ეროვნული ბურჟუაზია მონაწილეობდა ადგილობრივი მრეწველობის შექმნაში.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ძლიერი გავლენა მოახდინა ბირმაში საზოგადოებრივი მოძრაობის განვითარებაზე, რომელიც პირველ ყოვლისა კოლონიური მონობის წინააღმდეგ იყო მიმართული. ანტიიმპერიალისტურ მოძრაობაში მონაწილეობდნენ გლეხები, ხელოსნები, მუშები, ეროვნული ბურჟუაზიისა და ბურჟუაზიული ინტელიგენციის წარმომადგენლები, მოსწავლე ახალგაზრდობა.

იმ დროს ხელმძღვანელ ანტიიმპერიალისტურ ორგანიზაციად ითვლებოდა „ეუნტანუ ათინი" (ბედნიერი კავშირები), რომელიც ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დროს ჩაისახა.

1929—1933 წ.წ. მსოფლიო ეკონომიურმა კრიზისმა მძიმე დაღი დასვა ბირმის ხალხთა მასების მდგომარეობას. 1930—1932 წლების პერიოდი გლეხთა დიდი აჯანყებებით აღინიშნება. ეს აჯანყებები ინგლისელთა მიერ სასტიკად იქნა ჩახშობილი.

1935 წელს ინგლისმა ბირმა გამოყო ინდოეთიდან და ცალკე კოლონიად გამოაცხადა, რომელსაც ინგლისის მიერ დანიშნული გუბერნატორი მართავდა.

მაგრამ ის ვარაუდი, რომ თითქოს ამით ბირმას დააწყნარებდნენ, არ გამართლდა. ჯერ კიდევ ოცდაათიანი წლების დასაწყისში ბირმაში დაარსდა პარტია „დობამა ასიაიონი" („ბირმა ბირმელებისათვის"). მსოფლიო ეკონომიური

კრიზისის დროს და მის შემდეგ ამ პარტიამ მჭიდრო კავშირი დაამყარა მასასთან. პარტიის წევრები თავიანთ თავს „ტაკინებს“ უწოდებდნენ, რაც „პატრიოტს“ ნიშნავდა. ტაკინების მიზანი იყო ბრძოლა ბირმის დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. „დობამა ასიაიონის“ შექმნა პირველი ნაბიჯი იყო ბირმის ხალხის ერთიანი ანტიიმპერიალისტური ფრონტის ორგანიზაციის საქმეში.

კოლონიზატორებისა და შინაგანი ექსპლოატატორების წინააღმდეგ ბრძოლაში მიმდინარეობდა ბირმის დემოკრატიული ძალების კონსოლიდაცია. 1938 წელს გაფორმდა სრულიად ბირმის გლეხთა ორგანიზაცია, ხოლო 1940 წელს შეიქმნა სრულიად ბირმის პროფკავშირთა კონგრესი.

ბირმა მეორე მსოფლიო ომის დროს

როდესაც მეორე მსოფლიო ომი დაიწყო, „დობამა ასიაიონის“ პარტიამ ინგლისთან თავისი თანამშრომლობის პირობის სახით წამოაყენა მოთხოვნა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ბირმისათვის სრული დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ. ამაზე ინგლისის კოლონიურმა ხელისუფლებამ პარტიის ხელმძღვანელთა დაპატიმრებით და დემოკრატიული ორგანიზაციების შემუსვრით უპასუხეს. დაპატიმრებულთა რიცხვში იყო უ ნუ. პარტიის ბევრი წევრი იძულებული შეიქნა მუშაობა არალეგალურად ეწარმოებია. ბირმაში შეიქმნა „განთავისუფლების არმია“, რომელსაც გამოჩენილი სამხედრო მოღვაწე აუნგ სანი ჩაუდგა სათავეში. იაპონელი ოკუპანტები ყოველმხრივ აღვიეებდნენ ანტიინგლისურ განწყობილებებს. 1942 წელს ბირმა მთლიანად ოკუპირებულ იქნა იაპონელების მიერ და იაპონიის ხელისუფლებამ შექმნეს ბირმის მარიონეტული მთავრობა. მაგრამ ბირმის კომუნისტები არ იზიარებდნენ პროიაპონურ განწყობილებებს და შედიოდნენ რა „დობამა ასიაიონში“, მოუწოდებდნენ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. ბირმაში დაამყარეს რა სასტიკი სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმი, იაპონელები შეუბრალებლად ძარცვავდნენ ადგილობრივ მოსახლეობას. იაპონელ დამპყრობთა წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლის ინიციატორებად გამოვიდნენ ბირმის მუშები კომუნისტების მეთაურობით. ბირმის კომუნისტები გავიდნენ „დობამა ასიაიონიდან“ და შექმნეს — ბირმის კომუნისტური პარტია. ბირმელი კომუნისტების ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა წინააღმდეგობის არალეგალური მოძრაობა.

თავდაპირველად იაპონელები მოთმინებით მოეკიდნენ „განთავისუფლების არმიას“, რამდენადაც მისი საქმიანობა პირველ ხანებში ინგლისელების წინააღმდეგ იყო მიმართული. მაგრამ ანტიიაპონური მოძრაობის ზრდის გამო იაპონიის ხელისუფლებამ მისი ლიკვიდაცია სცადეს. წააწყდა რა ხალხთა მასების წინააღმდეგობას, საოკუპაციო ხელისუფლებამ ასეთ ხერხს მიმართა: „განთავისუფლების არმია“ „თავდაცვის არმიად“ იქნა გარდაქმნილი და მისი შემადგენლობა მნიშვნელოვნად შეამცირა.

იაპონელთა წინააღმდეგ მიმართული წინააღმდეგობის მოძრაობა ბირმაში 1944 წელს ფართოდ გაიშალა. ბირმის ხალხთა ბრძოლა უერთდებოდა ჩინეთის, ინდოეთის, ინდონეზიისა და აზიის სხვა ქვეყნების ხალხთა ბრძოლას განთავისუფლებისათვის. ადგილებზე იქმნებოდა თავისუფალი ბირმის კომიტეტები. წინააღმდეგობის იატაკქვეშა ძალებს ბირმის ყველა დემოკრატიული ორგანიზაციის ძალები შეუერთდნენ. 1944 წელს შეიქმნა ეროვნული ანტიფაშისტური ფრონტი — ხალხის თავისუფლების ანტიფაშისტური ლიგა აუნგ სანის მეთა-

ურობით. მიღებულ იქნა ბირმის განთავისუფლებისათვის ბრძოლის პროგრამა. იაპონელ ოკუპანტთა წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში იქმნებოდნენ განთავისუფლებული რაიონები.

1945 წლის 27 მარტს ბირმაში საყოველთაო სახალხო აჯანყებამ იფეთქა. „თავდაცვის არმია", რომელმაც ეროვნული არმიის სახელწოდება მიიღო, აუნგ სანის მეთაურობით იაპონელ დამპყრობთა წინააღმდეგ გამოვიდა. ანტიფაშისტურ შეიარაღებულ ძალთა რაოდენობამ 200 ათას კაცს გადააჭარბა. 1945 წლის 5 მაისს ბირმის პატრიოტებმა გაათავისუფლეს რანგუნი. აგვისტოში იაპონიის წინააღმდეგ ომში საბჭოთა კავშირის ჩაბმის შემდეგ, განთავისუფლებულ იქნა ბირმის მთელი ტერიტორია. ბირმის კომუნისტური პარტია არალეგალური მდგომარეობიდან გამოვიდა.

აუნგ სანის ეროვნული მთავრობის შექმნა

ინგლისის ხელისუფლებმა სცადეს სასწრაფოდ აღედგინათ ბირმაში წინარდელი კოლონიური მმართველობა. რანგუნში დაინიშნა ინგლისის გენერალ-გუბერნატორი და მასთან შეიქმნა „სამოქალაქო მომარაგების სამმართველო". გარაანლეს თავიანთი საქმიანობა ინგლისის ფირმებმა. მთლიანად აღდგენილ იქნა მსხვილ მემამულეთა უფლებები მიწაზე. გლეხებს მევახშეთა ვალი უნდა გადაეხადათ. ქვეყნის დასაწყნარებლად ინგლისელებმა გამოაცხადეს ბირმის „თვითმმართველობა" ბრიტანეთის იმპერიის ჩარჩოებში სამწლიანი გარდამავალი დროის დანიშვნით.

მაგრამ ინგლისის კოლონიური მმართველობის გვერდით ბირმაში უკვე არსებობდა ეროვნული მთავრობა ხალხის თავისუფლების ანტიფაშისტური ლიგის უმაღლესი საბჭოს სახით, აუნგ სანის მეთაურობით. უმაღლესმა საბჭომ მოითხოვა ინგლისისაგან ბირმის სრული დამოუკიდებლობის ცნობა, ინგლისის ჯარების გაყვანა, ინგლისის კოლონიურ ხელისუფალთა წარმომადგენლების გაწვევა და ეროვნული მთავრობის ხელში ქვეყნის მმართველობის გადაცემა.

ინგლისის ხელისუფლებმა სცადეს ინგლისის სამსახურში აუნგ სანის გადაბირება და ბირმის სამხედრო ნაწილების დაშლა. შემდეგ მოაწყეს „სამოქალაქო ადმინისტრაციის" ხელში სამხედრო სამმართველოს გადაცემის ინსცენირება და ბირმის შეიარაღებულ ძალთა ნაწილი ინგლისის სამხედრო ნაწილების შემადგენლობაში ჩარიცხეს.

მაგრამ ბირმის პატრიოტებმა შეინარჩუნეს ბირმის შეიარაღებულ ძალთა ძირითადი ნაწილი სახალხო მოხალისეთა ორგანიზაციების ჩამოყალიბების გზით. განახლდა პროფკავშირთა სრულიად ბირმის კონგრესი, რომელიც მნიშვნელოვნად გამაგრდა ახალ პროფკავშირთა ორგანიზაციის ანგარიშზე. განახლებულ იქნა სრულიად ბირმის გლეხთა ორგანიზაცია. გაძლიერდა საგაფიცვო მოძრაობა ქალაქებში, ფართო გაქანება მიიღო გლეხთა მოძრაობამ სოფლად.

ინგლისის მთავრობა იძულებული შეიქნა 1947 წლის აპრილში დამფუძნებელი კრების არჩევნები დაენიშნა. მთავრობის განცხადებაში ნათქვამი იყო ბირმისათვის თვითმმართველობის მინიჭების შესახებ ბრიტანეთის იმპერიის ჩარჩოებში გარდამავალი დროის დაცვით.

ბირმელი ხალხი სრული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას განაგრძობდა.

ინგლისის ხელისუფლებმა მიმართეს ახალ რეპრესიებს, რომლებიც პირველ რიგში სახალხო ნებაყოფლობითი ორგანიზაციების, ბირმის პროფესიონალური

კავშირებისა და გლეხთა კავშირების ხელმძღვანელთა წინააღმდეგ იქნა მიმართული.

დარწმუნდნენ რა იმაში, რომ რეპრესიები მიზანს ვერ აღწევენ, ინგლისის ხელისუფლებმა წინადადება მისცეს სახალხო თავისუფლების ანტიფაშისტური ლიგის ხელმძღვანელობას შესულიყვნენ ინგლისის გუბერნატორთან არსებულ აღმასრულებელი საბჭოს შემადგენლობაში. საბჭოში შეეიდა ლიგის 6 წარმომადგენელი აუნგ სანის მეთაურობით. ეინაიდან კომუნისტები მოითხოვდნენ ინგლისის წინადადების უარყოფას, ისინი ლიგის შემადგენლობიდან გარიცხულ იქნენ.

1947 წლის იანვარში ინგლისის მთავრობასა და ბირმის დელეგაციას შორის — ლონდონში შემდგარი მოლაპარაკებისას მიღწეულ იქნა შეთანხმება იმის შესახებ, რომ ბირმის საკითხის მომავალი მოწესრიგების საკითხი გადაწყვიტა დამფუძნებელ კრებას, რომლის არჩევნები 1947 წლის აპრილში უნდა ჩატარებულიყო.

ბირმის კავშირის შექმნა

არჩევნებში გაიმარჯვეს სახალხო თავისუფლების ანტიფაშისტური ლიგის კანდიდატებმა. დამფუძნებელმა კრებამ მოიწონა კონსტიტუციის პროექტი, რომლითაც ბირმა სუვერენულ და დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადდა. კონსტიტუციის მიხედვით ბირმა არ შედიოდა ბრიტანეთის იმპერიის შემადგენლობაში. დამფუძნებელმა კრებამ „კეთილი ნების მისია“ გაგზავნა ლონდონში ინგლისის მთავრობასთან მოსალაპარაკებლად. ეინაიდან ინგლისის მთავრობა დაჟინებით მოითხოვდა ბირმისათვის მხოლოდ დომინიონის სტატუსის მინიჭებას ბრიტანეთის იმპერიის ფარგლებში, მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა.

კოლონიზატორებმა დაიწყეს შეთქმულების მოწყობა და ინტრიგების ქსელის გაბმა იმ მიზნით, რათა პოლიტიკური სარბიელიდან მოეშორებინათ ისეთი ცნობილი მოღვაწე, როგორიც იყო აუნგ სანი. მართლაც 1947 წლის 19 იელისს იგი ვერაგულად მოკლეს იმპერიალისტების აგენტებმა.

ბირმის დამოუკიდებლობისათვის გამოჩენილი მებრძოლის მკვლელობამ საყოველთაო გულისწყრომა გამოიწვია. განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ტალღა იზრდებოდა. იმავე დროს იმპერიალისტებისათვის უკიდურესად არახელსაყრელი საერთაშორისო მდგომარეობა შეიქმნა. ინდოეთი რეეოლუციის ზღურბლზე იდგა, ვიეტნამისა და ინდონეზიის ხალხები, რომლებმაც დემოკრატიული რესპუბლიკები გამოაცხადეს, იარაღით ხელში იცავდნენ თავიანთ რესპუბლიკას. ფილიპინებზე განმათავისუფლებელი ბრძოლა მიმდინარეობდა. იმპერიალისტებისა და გომინდანის რეაქციის წინააღმდეგ ჩინელი ხალხის შეიარაღებულ ბრძოლაში მოხდა გარდატეხა ხალხის ძალების სასარგებლოდ. ასეთ პირობებში ინგლისის მთავრობამ საჭიროდ მიიჩნია განეცხადებინა, რომ 1947 წლის დამლევისათვის ბირმას დამოუკიდებლობას მიანიჭებდა.

პირველი დეზორგანიზაციული გარდაქმნები ბირმაში

ბირმის კავშირის დამოუკიდებელი არსებობის პირველ წლებში მშვიდობიანი ცხოვრება იმპერიალისტთა მოქმედებით ირღვეოდა. იმპერიალისტები ცდილობდნენ შეესუსტებიათ ბირმის ხალხის ერთიანობა და იგი კვლავ ჩაეგდოთ

კოლონიურ მონობაში. 1948 და 1949 წლებში ადგილი ჰქონდა ინგლისის აგენტების მიერ პროვოცირებულ კარენების ტომის აჯანყებას. 1950 წლის დასაწყისში ბირმის ჩრდილოეთ ნაწილში შეიკრნენ განადგურებული გომინდანური დივიზიების ნაშთები 12 ათასი კაცის შემადგენლობით, რომლებმაც ხელში ჩაიგდეს ბირმის ტერიტორიის ნაწილი და ძარცვა-გლეჯასა და ძალადობას მიჰყვეს ხელი.

კოლონიური წარსულის ბემკვიდრეობა მძიმე ტვირთად აწვა ბირმის ხალხის ცხოვრებას. მრავალი ათეული წლის განმავლობაში ბირმა ინგლისის კოლონია იყო და ამან ორმაგად კოლონიური ხასიათი მისცა მის ეკონომიკას. მეურნეობის მთავარ დარგს მიწათმოქმედება შეადგენდა, რომელშიც ძირითადი ადგილი სასურსათო კულტურებს ეკავა, პირველ რიგში ბრინჯის წარმოებას. მოსახლეობის 75 პროცენტი დაკავშირებული იყო სოფლის მეურნეობასთან, რომელშიც ფეოდალური გადანაშთები ბატონობდნენ. მიწა მემამულეთა ხელში იყო. გლეხები იჯარით იღებდნენ მიწებს კაბალური ფეოდალური საიჯარო სისტემის პირობებში. ომიანობის წლებში ბირმამ დიდი ნგრევა განიცადა.

1947 წლის 17 ოქტომბერს ხელმოწერილ იქნა ინგლის-ბირმის ხელშეკრულება, რომელმაც ბირმის კავშირის დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი აღიარა და ვალდებულება დააკისრა ინგლისს გაეყვანა თავისი ჯარები ბირმიდან. მაგრამ ამ ხელშეკრულების მნიშვნელობას ამცირებდა მისი ეკონომიური და სამხედრო ხასიათის მუხლები, რომლებიც ითვალისწინებდნენ ინგლისის უფლებას, ჰყოლოდა ბირმაში სამხედრო ბისია, ბირმის შეყვანას ინგლისის „თავდაცვის" სისტემაში, ინგლისის მიერ ბირმისაგან იმ „ვალების" მიღებას, რომლებიც მაშინ დაგროვდა, როცა ბირმა ინგლისის კოლონია იყო, და ინგლისს საწარმოების მფლობელთა უფლებას კომპენსაციაზე იმ შემთხვევაში, თუ მათი საწარმოთა ნაციონალიზაცია მოხდებოდა.

1948 წლის 4 იანვარს ბირმამ გამოაცხადა ბრიტანეთის იმპერიის შემადგენლობიდან გასვლის შესახებ და ბირმის კავშირი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გადაიქცა. კონსტიტუციით ბირმის კავშირში შეიკრნენ: საკუთრივ ბირმა, შანის სახელმწიფო და განსაკუთრებული ჩანის ოლქი. სახელმწიფოს სათავეში ჩადგა პრეზიდენტი, რომელიც ხუთი წლის ვადით ირჩეოდა. დაწესდა ორპალატიანი საპარლამენტო სისტემა, რომელიც დეპუტატთა პალატისა და ეროვნებათა პალატისაგან შედგებოდა. ეროვნებათა პალატის წევრების ნაწილს ნიშნავდნენ ის სახელმწიფოები, რომლებიც ბირმის კავშირში შედიოდნენ. აღმასრულებელი ძალაუფლება ეკუთვნოდა მთავრობას, რომელიც კონსტიტუციით პასუხისმგებელი იყო დეპუტატთა პალატის წინაშე. პრემიერ-მინისტრის პოსტი 1956 წლის ივნისამდე უცვლელად უ ნუს ეკავა.

უ ნუს მთავრობამ გაატარა რიგი აგრარული ღონისძიებები, მაგალითად, აკრძალა დასამუშავებლად გამოსადეგი მიწის გადაცემა იმ პირებზე, რომლებიც სოფლის მეურნეობას არ მისდევდნენ, აკრძალა მიწის გადაცემა უცხო სახელმწიფოს ქვეშევრდომ პირებზე, შეზღუდა საიჯარო ქირის რაოდენობა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ორჯერ აღებულ მიწის არსებულ გადასახადს, გამოაცხადა გლეხთათვის მემამულეთა მიწის იძულებით გადაცემის, მევახშეების მიმართ გლეხთა დავალიანების შემცირების შესახებ და სხვ.

1948 წელს მიღებულ იქნა მიწის ნაციონალიზაციის კანონი. ამ კანონით მემამულეთა მიწების ნამეტები დაწესებული მინიმუმის ზევით, რაც შეადგენდა

50 აკრს ბრინჯისა და შაქრის ლერწმის ნათესისათვის, 25 აკრს ბამბისათვის და 10 აკრს ბოსტნეულისათვის, უნდა გადასცემოდა სახელმწიფოს გამოსყიდვითი წესით და განაწილებულიყო გლეხებს შორის სახელმწიფოსაგან იჯარით აღების უფლების მიხედვით. მემამულეების მიერ წინააღმდეგობის გაწევის გამო ეს კანონი არ გატარებულა ცხოვრებაში.

იმავე 1948 წელს მთავრობამ ჩაატარა უცხოეთის ბევრი საწარმოს ნაციონალიზაცია. რკინიგზის ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა მთლიანად გადავიდა სახელმწიფოს ხელში. ბრინჯით საგარეო ვაჭრობა სახელმწიფო მონოპოლიად იქნა გამოცხადებული. ამით ბირმის ეკონომიკაში საფუძველი ჩაეყარა სახელმწიფო სექტორის შექმნას.

„პიდოტის გეგმა"

1952 წელს მთავრობა შეუდგა „პიდოტის გეგმის", ე. ი. სანეტარო ქვეყნის — ახალი ბირმის — შექმნის რვაწლიანი პროგრამის დამუშავებას. ეს იმის ცდა იყო, რომ გეგმიანი საწყისი შემოღებულიყო ბირმის სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში. იგი ითვალისწინებდა ეკონომიური და სოციალური პროგრესის საფუძვლის შექმნას. პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებული იყო სახელმწიფო საშუალებათა მიზიდვა, აგრეთვე ნაწილობრივ ეროვნული და უცხოეთის კაპიტალის მიზიდვაც და „შერეულ საწარმოთა" შექმნა.

პროგრამის თანახმად ბირმის საერთო სამამულო პროდუქცია 1959-1960 წ წ. უნდა აყვანილიყო 7 მილიარდ ჯამდე[1], ესე იგი ორი მესამედით გადიდებულიყო 1952/53 წელთან შედარებით და დაახლოებით ერთი მესამედით ომამდელ დონესთან შედარებით. პროდუქცია ერთ სულ მოსახლეზე ამ პერიოდის განმავლობაში უნდა გაიზარდოს 50 პროცენტით. მოხმარების საერთო აღმავლობა უნდა გადიდდეს 1959/1960 წლისათვის 1952/53 წელთან შედარებით 64 პროცენტით. სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის გადიდებამ 1960 წლისათვის უნდა შეადგინოს 77 პროცენტი 1951/1952 წელთან შედარებით. ამ მიზნების მისაღწევად პროგრამა ითვალისწინებდა დასამუშავებელი მიწის ფართობის გადიდებას ნასვენი და ყამირი მიწების ანგარიშზე, მოსავლიანობის ზრდას აგროტექნიკის გაუმჯობესების გზით, სარწყავ ნაგებობათა მშენებლობას ფართო მასშტაბით, ახალი კულტურების შემოღებას, სასოფლო-სამეურნეო იარაღების გამოყენებას, პროდუქციის გასაღებისა და შენახვის საქმის გაუმჯობესებას და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის განვითარებას. გათვალისწინებული იყო მიწათმოქმედთათვის სასოფლო-სამეურნეო კრედიტის გახსნა წლიური 12 პროცენტის ანგარიშით. 1953 წელს გაიხსნა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ბანკი თავისი ფილიალებით.

ტრანსპორტის დარგში პროგრამა ითვალისწინებდა რკინიგზის სამსახურისა და მოწყობილობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას, სამდინარო ტრანსპორტის გადაკეთებასა და მოდერნიზაციას, მაგისტრალური გზატკეცილების ქსელის სრულ აღდგენას, რანგუნის ნავსადგურის გარდაქმნას საერთაშორისო ნავსადგურად.

ენერგეტიკის დარგში პროგრამით დაგეგმილი იყო კომპლექსური დანიშნულების ელექტროსადგურების აგება, რომლებსაც მომსახურება უნდა გაეწი-

---

[1] ჯა—ფულის ერთეულია, რომელიც 84,8 კაპიკს უდრის.

ათ სარწყავი სისტემებისათვის, სამრეწველო და კომუნალურ საწარმოთათვის და საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის. მომპოვებელი მრეწველობის დარგში გათვალისწინებული იყო ნახშირმოპოვების, ნავთობმოპოვებისა და სხვა სასარგებლო წიაღისეულის განვითარება. პროგრამა მიუთითებდა, რომ ბირმის ეკონომიური განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანთვისება იქნება ახალი ტექნიკით აღჭურვილი მრეწველობის ზრდა.

ჯანმრთელობის დაცვის დარგში შემდეგი ძირითადი ამოცანები იდგა: ხალხის სანიტარული განათლება, ქალთა და ბავშვთა კონსულტაციების დაარსება, სკოლაში სამედიცინო მომსახურება, 18 318 საწოლიანი 401 საავადმყოფოს აშენება, სოფლად 120 სამკურნალო დაწესებულების შექმნა, სამედიცინო ცენტრის ცხრასართულიანი შენობის აგება და ფარმაცევტული ფაბრიკის აგება.

სახალხო განათლების დარგში პროგრამა ითვალისწინებდა სკოლების მშენებლობას, მასწავლებელთა შემადგენლობის გაუმჯობესებას, განათლების ისეთი სისტემის შექმნას, რომელიც კულტურის შემდგომ განვითარებასა და ქვეყნის დემოკრატიზაციას შეუწყობდა ხელს, ტექნიკური და პროფესიული სწავლების ისე მოწყობას, რომ მას ახალი ბირმის აშენებისათვის შეეწყო ხელი, სახელმწიფო სტიპენდიების გაცემას და სხვ.

პროგრამა დიდ ყურადღებას უთმობდა საბინაო მშენებლობას და რიგი ღონისძიებების გატარებას სოციალური უზრუნველყოფის დარგში: თავშესაფრების მოწყობას, საბავშვო ბაღებისა და კონსულტაციების ორგანიზაციას, ბავშვთა დანაშაულებასთან ბრძოლას, დედისა და ბავშვის დაცვას და მასობრივ სწავლებას.

მაგრამ, მალე გამომჟღავნდა „პიდოტის გეგმის“ უარყოფითი მხარეები, რომლებმაც დიდი სიძნელეები გამოიწვიეს მისი განხორციელებისას. ამერიკის „ექსპერტები“, რომლებიც მონაწილეობდნენ გეგმის შედგენაში, ითვალისწინებდნენ დაფინანსების მთავარ წყაროდ ბრინჯის ექსპორტიდან შემოსავალს. მაგრამ მსოფლიო ბაზარზე ბრინჯის ფასი დაეცა. ბირმის ბრინჯის გასაღების ტრადიციული ბაზრები ამერიკის ექსპორტიორებმა ჩაიგდეს ხელში. ამასთან დაკავშირებით, დიდად შემცირდა სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი, და ძეტად დიდი სიძნელეები წარმოიშვა გეგმის განხორციელების საქმეში.

1953—1954 წლებში მთავრობამ გაატარა ახალი ღონისძიებები სამიწათმოქმედო ურთიერთობის გარდაქმნის დარგში. შემოღებულ იქნა კანონი, რომელიც ითვალისწინებდა მიწის ნაციონალიზაციას გამოსყიდვის წესით და უმიწაწყლო და მცირემიწიან გლეხებს შორის 4 მილიონ ჰექტარამდე მიწის განაწილებას. კანონის განხორციელება 10 წლის ვადით იყო გაანგარიშებული. 1957 წლისათვის ნაციონალიზირებულ და განაწილებულ იქნა გათვალისწინებული რაოდენობის დაახლოებით 20 პროცენტი. მომავალში მიწის რეფორმების გატარებამ უნდა გამოიწვიოს ცვლილებები სოციალურ ურთიერთობაში და აუცილებლივ გააძლიეროს კლასებად დაყოფა. უკვე ამჟამად ემჩნევა, რომ ბირმის სოფლებში გამწვავებულია კლასობრივი ბრძოლა.

1956 წელს მთავრობა შეუდგა ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ახალი ოთხწლიანი გეგმის შედგენას. გეგმა ითვალისწინებდა 1960 წლისათვის ბირმის სამრეწველო განვითარების აყვანას ომამდელ დონემდე. თანამედროვე ტექნიკით იქნება აღჭურვილი ზოგიერთი არსებული საწარმო. გათვალისწინებული იყო, რომ ბირმაში საფუძველი ჩაეყრება ეროვნულ ეკონომიკას. ბირმის კავშირის

მთავრობა აურადღებით სწავლობდა სოციალისტური ქვეყნების დაგეგმვის გამოცდილებას.

1956/57 წელს ბირმის სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობამ ომამდელი დონის 95 პროცენტი შეადგინა. ეს ზრდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადიდების ხარჯზე იქნა მიღწეული, რომლის საერთო ინდექსმა შეადგინა 1955/56 წელს 81, ხოლო 1956/57 წელს 89 პროცენტი (1938/39 წ. 100). გათვალისწინებულია 1960 წლისათვის ბრინჯის სათესი ფართობი აყვანილ იქნეს 5 მილიონ აკრამდე. გაფართოვდება სხვა კულტურების სათესი ფართობი, განსაკუთრებით ტექნიკური კულტურებისა (შაქრის ლერწამი, თამბაქო, ჩაი და სხვ.). ამით უზრუნველყოფილ იქნება სხვადასხვა საკვებ პროდუქტებზე ქვეყნის მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

დამოუკიდებლობის წლების მანძილზე ბირმაში უკვე აშენებულია ან შენდება რიგი სახელმწიფო სამრეწველო საწარმოები, მათ შორის ისეთი მნიშვნელოვანი ობიექტები, როგორიცაა ჰიდროელექტროსადგური მდ. ბალუზე 84 ათასი კილოვატის სიმძლავრით; მეტალურგიული ქარხანა რანგუნთან ახლოს, რომელიც 20 ათას ტონა ნაგლინს უშვებს წელიწადში; ნავთობსაწმენდი ქარხანა სტრიამაში; ფარმაცევტული ქარხანა და ჯუთის ფაბრიკა რანგუნში; ჩაის ფაბრიკა, შაქრის ქარხანა და სხვ. იმის გამო, რომ ბირმას არა აქვს საკმაო სახსრები და არა ჰყავს ინჟინრები. ტექნიკოსები და კვალიფიცირებული მუშახელი, ჩამოთვლილ საწარმოთა მშენებლობაში დიდ მონაწილეობას ღებულობს უცხოეთის, პირველ რიგში ინგლისის, იაპონიისა და დასავლეთ გერმანიის კაპიტალი. ოთხწლიანი გეგმა ითვალისწინებს უცხოეთის კაპიტალის უფრო ფართოდ მიზიდვას, განსაკუთრებით სამთომომპოვებელ და ნავთობმომპოვებელ მრეწველობაში.

მუშათა კლასის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მთავრობამ გაატარა რვასაათიანი სამუშაო დღის შემოღების კანონი, დაწესა ხელფასის რაოდენობის მინიმუმი, შემოიღო დაზღვევა, შრომის დაცვა და მშრომელთა საერთო მომსახურება. მაგრამ წარილ და საშუალო საწარმოებში შრომის კანონის გატარება მწარმოებელთა მხრივ წინააღმდეგობას ხვდება და ასეთ საწარმოებში შრომის დაცვა დღემდე არ განხორციელებულა. ასეთსავე მდგომარეობაში იმყოფება ათეული ათასი სასოფლო-სამეურნეო მუშა. მუშები იბრძვიან შრომის პირობების გასაუმჯობესებლად.

აუნგ სანის მკელელობის შემდეგ სახალხო თავისუფლების ანტიფაშისტურ ლიგას უ ნუ ჩაუდგა სათავეში. 9 წლის განმავლობაში იგი ათავსებდა ამ პოსტს მთავრობის მეთაურის პოსტთან. 1956 წლის ივნისში უ ნუმ უარი განაცხადა პრემიერის პოსტზე. პრემიერის პოსტი დაიკავა სოციალისტური პარტიის ლიდერმა და სახალხო თავისუფლების ანტიფაშისტური ლიგის თავმჯდომარის მოადგილემ უ ბა სვემ.

ბირმის კავშირის საგარეო პოლიტიკა. ბირმა და საბჭოთა კავშირი

ბირმის კავშირის მთავრობა დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას ატარებდა. იგი გამოდიოდა მშვიდობიანი თანაარსებობის დასაცავად, სამხედრო ბლოკებში მონაწილეობის მიღების წინააღმდეგ და მსოფლიოს ყველა ქვეყანასთან თანასწორობის პრინციპისა და ურთიერთ სარგებლიანობის საფუძველზე სავაჭრო-ეკონომიური კავშირების განვითარების მომხრედ. იყენებდა რა უცხო-

ეთის კაპიტალს, ბირმის მთავრობა ზომებს იღებდა იმისათვის, რომ არ შელახულიყო ეროვნული ეკონომიკის ინტერესები.

ბირმის დამოუკიდებელი განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მის მეგობრულ ურთიერთობას სოციალისტური ბანაკის ქვეყნებსა და ინდოეთთან. საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობა ბირმამ ჯერ კიდევ 1948 წლის თებერვალში დაამყარა. თანასწორობისა და ურთიერთსარგებლიანობის საფუძველზე ვითარდებოდა ორივე ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა. 1955 წლის ივლისში საბჭოთა კავშირსა და ბირმას შორის ხელმოწერილ იქნა შეთანხმება და ოქმი საბჭოთა კავშირის მიერ ბირმის ბრინჯის, პარკოსანთა კოტონის, ფერადი ლითონების, ხე-ტყის, კაუჩუკისა და სხვ. შესყიდვისა და ბირმისათვის საბჭოთა მანქანების მოწყობილობათა და სხვა საქონლის მიყიდვის შესახებ.

ბირმის კავშირსა და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთობაში მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენა იყო ბირმას პრემიერის უ ნუს სტუმრობა საბჭოთა კავშირში და საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელების გამგზავრება ბირმაში. საბჭოთა კავშირში უ ნუ 1955 წლის შემოდგომაზე ჩამოვიდა. ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხების ირგვლივ აზრთა ფართო გაცვლა-გამოცვლის შემდეგ 1955 წლის 3 ნოემბერს გამოქვეყნებულ იქნა ბირმის მთავრობისა და საბჭოთა კავშირის მთავრობის ერთობლივი განცხადება, რომელშიაც ლაპარაკი იყო იმაზე, რომ ურთიერთობა ორივე სახელმწიფოს შორის ემყარება და მომავალშიც დაემყარებოდა მშვიდობიანი თანაარსებობის ცნობილ ხუთ პრინციპს.

იმავე წლის ნოემბერში საბჭოთა კავშირსა და ბირმას შორის ხელმოწერილ იქნა შეთანხმებანი ბირმისათვის 20 მილიონი მანეთის ღირებულების სამრეწველო მოწყობილობების, მანქანებისა და სხვა საქონლის მიწოდების შესახებ.

1955 წლის 1-დან 7 დეკემბრამდე ბირმაში საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელების ყოფნისას ხელმოწერილ იქნა სსრ კავშირის და ბირმის ერთობლივი განცხადება.

ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღინიშნა, რომ სსრ კავშირსა და ბირმას შორის ურთიერთობა ემყარება და მომავალშიც დაემყარებოდა მშვიდობიანი თანაარსებობის ხუთ პრინციპს.

საბჭოთა კავშირისა და ბირმის კავშირის სახელმწიფო მოღვაწეებმა იმსჯელეს სოფლის მეურნეობის განვითარებისა და ბირმის კავშირში ზოგიერთი სამრეწველო საწარმოს შექმნის საკითხებზე. საბჭოთა კავშირის მთავრობა დათანხმდა იმაზე, რომ დახმარება აღმოუჩინოს ბირმის კავშირის მთავრობას და ითანამშრომლოს მასთან სასოფლო-სამეურნეო განვითარების პროგრამის მოამზადებაში, ძირითადი საირიგაციო სამუშაოების ჩატარებასა და ზოგიერთ სამრეწველო საწარმოთა შექმნაში.

ბირმაში საბჭოთა ხელმძღვანელების გამგზავრებამ დიდად აამაღლა ბირმის კავშირის ავტორიტეტი და განამტკიცა მისი საერთაშორისო მდგომარეობა. იმავე დროს საბჭოთა კავშირ-ბირმის ეკონომიური ურთიერთობა ხელს უწყობდა ბირმის სახალხო მეურნეობის განვითარებას. 1955 წელს ბირმიდან ბრინჯის ექსპორტმა 1,8 მილიონ ტონას მიაღწია ნაცვლად 1954 წლის 1,4 მილიონი ტონისა, ამასთან ბირმის ბრინჯის ექსპორტის 30 პროცენტი საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებზე მოდიოდა.

ბირმის სახალხო მეურნეობისათვის მეტად სასარგებლოა ის, რომ სასო-

ფლო-სამეურნეო პროდუქტების სანაცვლოდ ბირმა ღებულობს საბჭოთა კავშირიდან მანქანებსა და სხვა სამრეწველო მოწყობილობებს.

იმავე დროს ხელმოწერილ იქნა სავაჭრო შეთანხმება საქონლის ურთიერთმიწოდებისა და მომსახურების გაწევის შესახებ, ხელმოწერილ იქნა აგრეთვე რიგი დოკუმენტები, რომლებიც განსაზღვრავდნენ ორ სახელმწიფოს შორის ანგარიშსწორების წესებს. დამატებითი სავაჭრო შეთანხმებით, საბჭოთა კავშირ-ბირმის სავაჭრო შეთანხმების ვადა, რომელიც თავდაპირველად სამი წლით იყო განსაზღვრული (დაწყებული 1955 წლის 1 ივლისიდან), გაგრძელებულ იქნა 5 წლით.

1957 წლის 17 იანვარს რანგუნში საბჭოთა კავშირსა და ბირმას შორის ხელმოწერილ იქნა შეთანხმება სსრ კავშირის ძალებითა და საშუალებებით ბირმის ხალხისათვის საჩუქრის სახით ტექნოლოგიური ინსტიტუტის, ჰოსპიტლის, თეატრისა და აგრეთვე კულტურულ-სპორტული კომბინატის აშენების შესახებ.

1957 წლის 29 აგვისტოს რანგუნში ხელმოწერილ იქნა საბჭოთა კავშირ-ბირმის საიჯარო ხელშეკრულება, რომელიც აღნიშნული მშენებლობის ძირითად პირობებს და განხორციელების წესს ითვალისწინებდა.

საბჭოთა კავშირ-ბირმის ურთიერთობა, რომელიც თანასწორობაზე, მეგობრობასა და ურთიერთ სარგებლიანობაზეა აგებული, მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ბირმის დამოუკიდებელი ეროვნული ეკონომიკის შექმნის საქმეში. მას თავისი წვლილი შეაქვს ეკონომიური და პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის ბირმის ხალხის ბრძოლაში და აზიაში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების საქმეში.

განმტკიცდა ურთიერთობა ბირმასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის. 1950 წელს ორივე სახელმწიფოს შორის ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობა დამყარდა. 1954 წელს რანგუნში ჯოუ ენ-ლაისა და უ ნუს შორის მოლაპარაკებისას დადასტურებულ იქნა მშვიდობიანი თანაარსებობის ხუთი პრინციპი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და ბირმას შორის ურთიერთობაში. იმავე 1954 წელს ხელმოწერილ იქნა ჩინეთ-ბირმის სავაჭრო შეთანხმება სამი წლის ვადით და ოქმი საქონლის გაცვლა-გამოცვლის შესახებ. შეთანხმება ითვალისწინებდა ჩინეთიდან ბირმაში ნახშირის, სასოფლო-სამეურნეო იარაღების, კვებისა და სატყეო მრეწველობის საქონლის ექსპორტს, სამაგიეროდ ბირმიდან ბრინჯის, მინერალების, მადნეულის, ხე-ტყის, კაუჩუკისა და სხვ. შემოტანას. 1955 წლის მარტში ხელმოწერილ იქნა ახალი შეთანხმებანი, რომლებიც ითვალისწინებდნენ ბრინჯზე გადასაცვლელად ჩინეთიდან ბირმაში ლითონების, სანიტარული მოწყობილობის, ქაღალდის, აბრეშუმისა და სხვა საქონლის ექსპორტს.

1955 წელს ხელმოწერილ იქნა სავაჭრო შეთანხმება ჩეხოსლოვაკიასთან, უნგრეთთან, იუგოსლავიასთან, პოლონეთსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან. ბრინჯის და აგრეთვე საქონლის საკვების, კაუჩუკის, ვოლფრამის და სხვათა ნაცვლად ბირმა სახალხო დემოკრატიის ქვეყნებიდან ღებულობს მოწყობილობებს და საქონელს, რომლებიც საჭიროა სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის. მეგობრული ურთიერთობაა დამყარებული ბირმასა და ინდოეთს შორის, ბირმასა და ინდონეზიას შორის. ინდოეთთან, ინდონეზიასა და ცეილონთან ერთად ბირმამ გაკიცხა სეატოს ბლოკი, როგორც კოლონიზატორთა აგრესიული ბლოკი, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მშვიდობისმოყვარე ხალხთა ინტერესების წინააღმდეგაა მიმართული. 1954 წლის გაზაფხულზე კო-

ლომბოში შედგა კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ინდოეთის, ინდონეზიის, ბირმის, პაკისტანისა და ცეილონის პრემიერ-მინისტრებმა. კონფერენციამ გადაწყვეტილება მიიღო კოლონიალიზმის საწინააღმდეგოდ და საერთაშორისო დაძაბულობის შესანელებლად. 1954 წლის დამლეგს ბოგორში შემდგარ თათბირზე ამ ხუთი ქვეყნის პრემიერ-მინისტრთა ინიციატივით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება 1955 წლის აპრილში ბანდუნგში აზიისა და აფრიკის ქვეყნების კონფერენციის მოწვევის შესახებ. კონფერენცია 18 აპრილს გაიხსნა.

1957 წლის მარტის დასაწყისში უ ნუ ბირმის პრემიერ-მინისტრის პოსტს დაუბრუნდა. მარტში შედგა პრეზიდენტის არჩევნებიც. ბირმის პარლამენტის ორივე პალატის გაერთიანებულ სხდომაზე პრეზიდენტად არჩეულ იქნა უ ვინ მაუნგი, რომელსაც მანამდე ნაესადგურის მეურნეობის მინისტრის პოსტი ეკავა.

1957 წლის ივნისში გამომქღავნებულ იქნა შეთქმულება ბირმის წინააღმდეგ. პრესის ცნობით, ამერიკის აგენტები ამზადებდნენ შანის სახელმწიფოს „დამოუკიდებელ" სახელმწიფოდ გამოცხადებას იმ მიზნით, რომ ჩამოეცილებინათ იგი ბირმის კავშირისაგან და ამერიკელთა ნაწილების ავიაბაზად გადაექციათ.

1957 წლის დეკემბერში ბირმა მონაწილეობდა აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის კონფერენციაზე კაიროში.

1958 წელს სახალხო თავისუფლების ანტიფაშისტურ ლიგაში სერიოზულმა შინაპარტიულმა უთანხმოებამ იჩინა თავი. ეს უთანხმოება გამოწვეული იყო ამერიკული ინტრიგების ნიადაგზე, რაც მიმართული იყო უ ნუს მთავრობის დამოუკიდებელი პოლიტიკის წინააღმდეგ. სოციალისტური პარტიის ლიდერები უ ბა სვე და უ ჯო ნეინი გაეიდნენ მთავრობის შემადგენლობიდან და უნდობლობის ვოტუმი შეიტანეს პარლამენტში უ ნუს მთავრობის წინააღმდეგ.

თუმცა პარლამენტმა ნდობაც კი გამოუცხადა უ ნუს მთავრობას, მაგრამ იმპერიალისტური სახელმწიფოების გამთიშველი საქმიანობა გრძელდებოდა. უ ნუ გადადგა. ღვივდებოდა სეპარატისტული განწყობილებები შანის სახელმწიფოში ბირმის კავშირის დაშლის მიზნით. მმართველ წრეებს შორის დაიწყო განხეთქილება. ამით სარგებლობენ კოლონიზატორები, რომ ააცდინონ ბირმის კავშირი ნეიტრალიტეტის პოზიციას, დარტყმა აგემონ დემოკრატიულ ელემენტებს და თავიანთ გავლენას დაუმორჩილონ ბირმა.

მალაიის ფედერაცია

მალაიის ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის

მალაიის დიდი ბუნებრივი სიმდიდრე და მისი მეტად მნიშვნელოვანი სტრატეგიული მდგომარეობა უძველესი დროიდან იპყრობდა კოლონიზატორთა ყურადღებას. ამ ტერიტორიის მიტაცება ინგლისელებმა დაიწყეს XVIII საუკუნის ბოლოს და დაამთავრეს XIX საუკუნის დამლეგს. კოლონიზატორები ფართოდ იყენებდნენ მოსახლეობის მრავალეროვან შემადგენლობას (მალაიელები, ჩინელები, ინდოელები) ეროვნული შუღლის გასაღვივებლად და ქვეყნის დასამონებლად. ინგლისელ დამპყრობთა წინააღმდეგ მალაიაში ხშირი იყო ხალხთა გამოსვლები და გლეხთა აჯანყებები.

მალაია აგრარული ქვეყანაა. მოსახლეობის 60 პროცენტს ვლეხობა შეად-

გენს. მთელ ქვეყანაში გაფანტულია „კომპონგები“— მალაიის სოფლები პალმების ხეიენებს შორის. დილიდან დაღამებამდე გლეხები მძიმე შრომას ეწევიან. მუხლამდე წყალში კამეჩების დახმარებით ისინი მიათრევენ „პადის“— უძველესი დროის გუთანს, ამუშავებენ მიწას, თესავენ ბრინჯს.

ინგლისის მონოპოლიების ხელში კაუჩუკის უდიდესი პლანტაციებია მოქცეული. კაუჩუკის მსოფლიო წარმოების ერთ მესამედამდე მალაიაზე მოდის. იმპერიალისტების მხრივ მალაიელი ხალხის ჩაგვრა ადგილობრივი მემამულეების მიერ მალაიის გლეხთა ფეოდალურ ექსპლოატაციასთანაა შეხამებული. ინდოეთის დამოუკიდებლობის ცნობის შემდეგ მალაია ინგლისის უმნიშვნელოვანეს კოლონიად გადაიქცა აზიაში.

მალაიის ეროვნული პროლეტარიატის ფორმირების საქმეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1929—1933 წლების მსოფლიო ეკონომიურ კრიზისს, რომელმაც მალაიის გლეხობის გაბოგანოების გაძლიერებული პროცესი გამოიწვია. ამ დროისათვის მალაიაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გავლენით უკვე არსებობდა მარქსისტული წრეები. დაქსაქსული მარქსისტული წრეებიდან 1931 წელს ჩამოყალიბდა მალაიის კომუნისტური პარტია, რომელმაც თვალსაჩინო როლი შეასრულა დამოუკიდებლობისათვის მალაიის ხალხის ბრძოლაში. 1935 წელს კომუნისტების სრულიად მალაიის კრებამ მიიღო პროგრამა, რომელიც კოლონიური რეჟიმის ლიკვიდაციასა და მალაიის დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებას ითვალისწინებდა. კრებამ ხალხს მოუწოდა ერთიანი დემოკრატიული ფრონტის შექმნისაკენ.

მძიმე წლები გადაიტანა მალაიის ხალხმა იაპონელთა შემოსევის დროს, რომელიც 1941 წლის დეკემბერში დაიწყო და იაპონიის კაპიტულაციამდე გაგრძელდა. შემცირდა კაუჩუკისა და კალის მოპოვება, გაძლიერდა შიმშილი და მასობრივი უმუშევრობა. მალაიის ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ქმნიდა პარტიზანულ რაზმებს, რომლებიც 1943 წელს მალაიის ხალხის ანტიიაპონურ არმიაში გაერთიანდნენ. ეს არმია 10 ათას კაცს ითვლიდა. მთელ მალაიაში იქმნებოდა გლეხთა კავშირები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ იაპონელ ოკუპანტთა წინააღმდეგ ბრძოლაში. 1945 წლის აგვისტოში მალაიის ხალხის ანტიიაპონური არმიის ძალებით იაპონიის ოკუპანტები განდევნილ იქნენ მალაიიდან.

სახალხო ორგანიზაციების ერთიანი ფრონტის შექმნა

იაპონელ დამპყრობთა განდევნისთანავე მალაიელი ხალხი დაუყოვნებლივ შეუდგა ხელისუფლების დემოკრატიული ორგანოების შექმნას. ქალაქად და სოფლად იქმნებოდა სახალხო კომიტეტები, რომლებიც დემოკრატიულ გარდაქმნებს შეუდგნენ. მაგრამ 1945 წლის სექტემბერში მალაიაში ინგლისის ჯარები გადმოსხდნენ, რომელნიც პირველ რიგშივე ანტიიაპონური ჯარების ნაწილების განიარაღებასა და დემოკრატიული ორგანიზაციების ლიკვიდაციას შეუდგნენ.

ინგლისელ კოლონიზატორთა ცდა — აღედგინათ თავიანთი ბატონობა — წააწყდა მალაიის ხალხის წინააღმდეგობას. სახალხო მოძრაობის საფუძველი შეიქმნა სახალხო ორგანიზაციების ერთიანი ფრონტი, რომელშიც შეიდნენ: მალაიის გაერთიანებული ეროვნული ორგანიზაცია, კომუნისტური პარტია, დემოკრატიული კავშირი, სრულიად მალაიის გლეხთა კავშირი, მალაიის განთავისუფლების ახალგაზრდობის კავშირი, მალაიელი ქალების ასოციაცია.

პროფკავშირთა სრულიად მალაიის ფედერაცია და სხვა დემოკრატიული ორგანიზაციები. ინგლისის კოლონიურმა ხელისუფლებამ რეპრესიებს მიმართეს კომუნისტური პარტიისა და დემოკრატიული ორგანიზაციების წინააღმდეგ.

იმავე დროს კოლონიზატორებმა სცადეს შიგნიდანვე გაეტეხათ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა რეფორმების დაპირისპირებით. „კონსტიტუციური რეფორმის" პირველი პროექტი 1946 წლის დასაწყისში გამოქვეყნდა, მაგრამ ხალხთა მოძრაობის შეჩერება კოლონიზატორებმა ვერ შეძლეს. ამის შემდეგ ინგლისის ხელისუფლებმა ზედმეტად სცნეს თავიანთი მიზნების შენიღბვა და 1948 წლის გაზაფხულზე კანონის ძალა მისცეს მალაიის ახალ სტატუსს. მალაია ორ ნაწილად იქნა გაყოფილი: ა) პროტექტორატად—„მალაიის ფედერაციაა", რომელშიც შევიდნენ ყველა სასულთნო, პინანგი და მალაკა, ბ) სამეფო კოლონიად — სინგაპური. მალაიის ფედერაციის სათავეში დაყენებულ იქნა ინგლისის უმაღლესი კომისარი, ხოლო სინგაპურის სათავეში — ინგლისის გუბერნატორი.

ხალხს ყოველგვარი პოლიტიკური უფლება წაერთვა. აკრძალულ იქნა პროფკავშირთა სრულიად მალაიის ფედერაცია და ჩამოყალიბდა პროფკავშირთა სექტანტური საბჭო, რომელიც მალე დაიშალა. 1948 წლის ივლისში კანონს გარეშე იქნა გამოცხადებული მალაიის კომუნისტური პარტია და მისი მომხრე ორგანიზაციები. კოლონიური ხელისუფალნი შეუდგნენ სინგაპურში სამხედრო და პოლიციური ძალების სასწრაფოდ გადაყვანას. მათ გააფართოვეს სინგაპურის ბაზა, ააშენეს აეროდრომები, გაიყვანეს გზები და ააგეს სხვა სამხედრო ობიექტები.

მალაიის ხალხის შეიარაღებული ბრძოლა კოლონიზატორთა წინააღმდეგ

მალაიის ხალხი იარაღით ხელში აღდგა ინგლისელ კოლონიზატორთა წინააღმდეგ საბრძოლველად. 1948 წლის ივლისში ჩამოყალიბდა პარტიზანული რაზმები, რომლებიც 1949 წლის თებერვალში ეროვნულ-განმათავისუფლებელ არმიაში გაერთიანდნენ. 1949 წელს მალაიის კომუნისტურმა პარტიამ გამოაქვეყნა პროგრამა, რომელიც შეიცავდა შემდეგ მოთხოვნებს: მალაიის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა; მიწის რეფორმის განხორციელება ისე, რომ მიწა იმათ ეკუთვნოდეს, ვინც მას ამუშავებს; ინგლისელთა კუთვნილი მონოპოლისტურ გაერთიანებათა კონფისკაცია; ეროვნულ სავაჭრო-სამრეწველო საწარმოთა დაცვა. ხალხის ცხოვრების დონის ამაღლება და სხვ. კომუნისტური პარტიის მოწოდებებმა მხურვალე გამოხმაურება ჰპოვეს მოსახლეობის ფართო ფენებში.

ამ დროს ინგლისის ავიაცია ბარბაროსულად ბომბავდა მალაიის სოფლებს. პლანტატორებმა ეკლიანი მავთული შემოავლეს თავიანთ მამულს, ისინი არ უშვებდნენ მუშებს პლანტაციიდან და პოლიციური რაზმების დახმარებით ულმობლად შურს იძიებდნენ პლანტაციის მუშებზე.

მალაიის ხალხის ბრძოლამ საერთოეროვნული ხასიათი მიიღო და ინგლისელების მხრივ დიდი ღონისძიებები მოითხოვა. მალაიის ეროვნული მოძრაობის ჩასაქრობად გაწეულმა სამხედრო ხარჯებმა ინგლისის ბიუჯეტში 100 მილიონი ფუნტ სტერლინგი შეადგინეს წელიწადში. დიდი დახმარება აღმოუჩინეს

ინგლისს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, რომლებსაც თვალი ეჭირათ მალაი-ისაკენ, როგორც ნედლეულით მდიდარი და მნიშვნელოვანი სტრატეგიული ბაზრომარეობის მქონე ქვეყნისაკენ.

1950 წელს მალაიის ტერიტორიის ნახევარზე მეტი სამხედრო მოქმედების-ასპარეზად იყო ქცეული. ჩინეთის ხალხის ისტორიული გამარჯვება ახალი გმირობისაკენ აღაფრთოვანებდა მალაიელ ხალხს. 1953 წელს მალაიის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი განთავისუფლებულ იქნა, განთავისუფლებულ რაიონებში ტარდებოდა მიწის რეფორმა და მყარდებოდა დემოკრატიული წესები. ამ დროისათვის ინგლისის დამსჯელი რაზმებისა და საპოლიციო ძალების რაოდენობამ 200 ათას კაცამდე მიაღწია, შემდეგში — 600 ათასამდე. მალაიაში გადაიყვანეს ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის ჯარები, კოლონიზატორებმ მიწასთან გაასწორეს მალაიის ასობით სოფელი და მოაწყვეს ოთხასამდე „გადასახლებულთა სოფლები"; ისინი საკონცენტრაციო ბანაკებს წარმოადგენდნენ, სადაც საშინელ პირობებში ეკლიან მავთულხლართებში 750 ათასი მუშა და გლეხი იტანჯებოდა. ინგლისის შეიარაღებულ ძალთა ნაწილები სისტემატურად ატარებდნენ ჯუნგლების გაცხრილვას. სასტიკი კონტროლი იქნა დაწესებულ სურსათზე იმ მიზნით, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი არმიის მომარაგების საშუალება მოესპოთ მოსახლეობისათვის. ინგლისის ხელისუფლებმა განცხადება გამოაქვეყნეს, რომლითაც მალაიის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის თავი 80 ათას დოლარად იქნა შეფასებული, პოლიტბიუროს თითოეული წევრის თავი 65—65 ათას დოლარად და თითოეული რიგითი კომუნისტისა —4,5 ათას დოლარად.

ინგლისელთა მხეცობა ყოველგვარ საზღვარს სცილდებოდა და მსჯელობის საგანიც გახდა ინგლისის თემთა პალატაში. ინგლისის თავდაცვის მინისტრმა ინგლასელი ჯარების მოქმედება თავისი მფარველობის ქვეშ აიყვანა.

მალაიელი პატრიოტები ბრძოლას განაგრძობდნენ. ინგლისელთა წინააღმდეგ ფურცლები სინგაპურშიც კი ვრცელდებოდა, სადაც ინგლისელები მდგომარეობის სრული ბატონ-პატრონნი იყვნენ. როდესაც ინგლისის სამხედრო მინისტრმა სტრეჩიმ და კოლონიის მინისტრმა გრიფფიტსმა ინახულეს მალაია, პარტიზანებმა წითელი ბაირაღები გამოაკრეს იმ შენობის ეზოში, სადაც მინისტრები დაბინავდნენ. ხუთმა ინგლისელმა მთავარსარდალმა შესცვალა ერთიმეორე, თითოეულს ჰქონდა მალაელ პარტიზანთა განადგურების თავისი გეგმა, მაგრამ წარმატება არც ერთს არ ჰქონია.

ბოლაპარაკებანი სამოვარ მოქმედებათა შეწყვეტის შესახებ

1955 წლის 1 მაისს მალაიაში მშვიდობის აღდგენის მიზნით კომუნისტურმა პარტიამ და ეროვნულ-განმათავისუფლებელი არმიის სარდლობამ განაცხადეს თავიანთი მზადყოფნა მოლაპარაკებაზე სამხედრო მოქმედების შეწყვეტის შესახებ. კოლონიურმა ხელისუფლებამ პირველად უარჰყო ეს წინადადება, შემდეგ კი, გამოაცხადა რა „ამნისტია" მოძრაობაში მონაწილეობის მიმღებთა მიმართ, მოითხოვა მათგან სრული კაპიტულაცია. ამ წინადადებამ მალაიელი პატრიოტების დიდი აღშფოთება გამოიწვია.

ინგლისელებმა 1955 წლის ივლისში პირველი საპარლამენტო არჩევნები მოაწყვეს მალაიაში; ამ არჩევნებში „სამი პარტიის კავშირმა" გაიმარჯვა; ეს პარტია დაარსებული იყო 1952 წელს სამი ძირითადი ბურჟუაზიული პარტიე-

ბისაგან — გაერთიანებული ეროვნული მალაიის ორგანიზაციისაგან, მალაიის ჩინური ასოციაციისა და მალაიის ინდური კონგრესისაგან. 1955 წლის აგვისტოში ამ სამი პარტიის წარმომადგენელთაგან შექმნილ იქნა მალაიის ფედერალური მთავრობა ინგლისური კოლონიური იურისდიქციით. მთავარ მინისტრად დანიშნულ იქნა აბდულა რახმანი.

1955 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში შედგა მალაიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საგანგებო სხდომა. ამ სხდომაზე მიღებულ იქნა მანიფესტი, რომელშიც გადმოცემული იყო მალაიაში დამოუკიდებლობის, დემოკრატიისა და ზავის მოპოვების პროგრამა. პროგრამა შემდეგი პუნქტებისაგან შედგებოდა: ომის რაც შეიძლება მალე შეწყვეტა და დამოუკიდებელი მალაიის შექმნა; კონსტიტუციის გამოსამუშავებლად არჩევითი საკანონმდებლო კრების შექმნა; მალაიური ენის გამოცხადება სახელმწიფო ენად; მოსახლეობის საარსებო პირობების გაუმჯობესება; წარმოებისა და ეკონომიკის განვითარება; საყოველთაო მშვიდობისათვის მხარის დაჭერა, სხვა ქვეყნებთან მშვიდობიანი თანაარსებობა და სხვ. მანიფესტმა მოუწოდა ყველა პარტიას თანამშრომლობისაკენ, მალაიაში დამოუკიდებლობის, დემოკრატიისა და მშვიდობის მოსაპოვებლად ბრძოლის წარმოებისაკენ. ინგლისის ხელისუფლება იძულებული შეიქნა მოლაპარაკება დაეწყო საომარ მოქმედებათა შეწყვეტის შესახებ. მოლაპარაკება დაიწყო 1955 წლის 28 დეკემბერს ქ. ბალინგში. მოლაპარაკებაში მონაწილეობას იღებდნენ, ერთი მხრივ, ადგილობრივი ხელისუფლების დელეგაცია მალაიის ფედერაციის მთავარი მინისტრის აბდულ რახმანისა და სინგაპურის მთავარი მინისტრის დავიდ მარშალის შემადგენლობით, მეორე მხრივ, მალაიის კომუნისტური პარტიისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი არმიის გენერალური შტაბის ერთობლივი დელეგაცია კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის ჩინ პენის მეთაურობით.

როგორც მალაიის კომუნისტური პარტიის მიერ 1956 წლის აპრილში გამოქვეყნებულ განცხადებიდან ჩანს, ბალინგში მოლაპარაკებისას კომუნისტურმა პარტიამ ყოველი ღონისძიება იხმარა ამ მოლაპარაკების წარმატებით დამთავრებისათვის.

მოლაპარაკებანი ლონდონში. მალაიის ფედერაციის გაფორმება

1956 წლის იანვარში მალაიის ფედერაციის ხელმძღვანელები თათბირზე ჩაიწვიეს ლონდონში. ლონდონის მოლაპარაკებათა შედეგად ინგლისმა მალაიას აღუთქვა 1957 წლის აგვისტოსათვის დამოუკიდებლობის მინიჭება, ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობის ჩარჩოებში. მაგრამ ამასთან ერთად ინგლისის მთავრობამ განაცხადა, რომ უფლებას იტოვებდა ჰყოლოდა მალაიაში თავისი ჯარები დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგაც. მალაიას წინადადება ეძლეოდა დაედო ინგლისთან ხელშეკრულება თავდაცვისა და ურთიერთდახმარების შესახებ და ვალდებულება ეკისრა სტერლინგის ზონაში დარჩენაზე.

დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა მალაიის შემდეგ გაიშალა სინგაპურში. 1956 წლის გაზაფხულზე ლონდონში მოლაპარაკება მიმდინარეობდა ინგლისის მთავრობის წარმომადგენლებსა და სინგაპურის დელეგაციას შორის მთავარ მინისტრ დავით მარშალის მეთაურობით ინგლისის ამ კოლონიისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ. მოლაპარაკებამ შედეგი ვერ გამოიღო. თავის

ეარს ინგლისი იმით ასაბუთებდა, რომ სინგაპური „ერთ-ერთი უმთავრესი ბაზათაგანია ბრიტანეთის იმპერიის თავდაცვის სისტემაში".

ლონდონის მოლაპარაკებათა წარუმატებლობის შემდეგ სინგაპურის მთავრობა მარშალის მეთაურობით გადადგა. მთავრობას სათავეში ჩაუდგა მთავარი მინისტრის სახით ლიმ იუ-კოკი, რომელიც ინგლისთან შეთანხმების მომხრე იყო. სინგაპურში გაიშალა მძლავრი მოძრაობა დამოუკიდებლობისათვის, იმპერიალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად ერთიანი ფრონტის შექმნისათვის.

ინგლისის ხელისუფლებამ მალაიის ფედერაციიდან ჯარი გადაიყვანა სინგაპურში და დიდი საომარი მოქმედება გაშალა. ქალაქი ბარიკადებით დაისერა, იყო ასეული მოკლული და დაჭრილი. ლიმ იუ-კოკის მთავრობამ რეპრესიულ ზომებს მიმართა მემარცხენე ორგანიზაციების წინააღმდეგ. დაიწყო მასობრივი დაპატიმრება. ციხეებში ჩაყარეს სახალხო პარტიის, ლიბერალურ-სოციალისტური პარტიის, პროფესიულ კავშირთა სრულიად სინგაპურის კონფერენციისა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

1957 წლის 31 აგვისტოს ლონდონის მოლაპარაკებათა საფუძველზე გამოცხადებულ იქნა მალაიის ფედერაციის, როგორც ბრიტანეთის თანამეგობრობაში შემავალი კონსტიტუციური მონარქიის დამოუკიდებლობა. მონარქიის შემადგენლობაში შევიდა 9 ფეოდალური სამთავრო და ორი შტატი. სამთავროებს მემკვიდრე მმართველები ედგნენ სათავეში. ისინი ირჩევდნენ მთავრობის მეთაურს ხუთი წლის ვადით. სახელმწიფოს მეთაური — იანგი დი-პერტუან აგონგი — მხოლოდ მეფობს, მაგრამ სახელმწიფოს იგი არ განაგებს.

კონსტიტუცია ითვალისწინებდა მოზრდილი მოსახლეობისათვის საყოველთაო საარჩევნო უფლებას, ორპალატიანი პარლამენტის შექმნას (წარმომადგენელთა პალატა და სენატი) და 10 წლის განმავლობაში მალაიის სახელმწიფო ენად ინგლისური ენის დატოვებას. ფედერალურ სამთავროებში უნდა დაარსებულიყო ერთპალატიანი საკანონმდებლო ორგანოები[1].

გარდა ამისა, ინგლისმა აიძულა მალაიის ფედერაცია ხელი მოეწერა სამხედრო და ფინანსურ შეთანხმებებზე. თავდაცვის შესახებ დადებულ ხელშეკრულების თანახმად, რომელსაც ხელი მოაწერეს მალაიაში ინგლისის უმაღლესმა კომისარმა ტორიმ და აბდულ რახმანმა, ინგლისი თავის ჯარებს ტოვებდა მალაიის ბაზებში.

რაც შეეხება სინგაპურს, რომელიც გეოგრაფიულად და აგრეთვე ეროვნული და ენობრივი ნიშან-თვისებების მიხედვით მალაიის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, იგი მაინც არ შეუერთეს მალაიას და სინგაპური ინგლისის კოლონიად დარჩა.

ინგლისის ხელში დარჩა მალაიაში მრეწველობა, ვაჭრობა, ფინანსები, კაუჩუკის პლანტაციები, კალის დამუშავება და საგარეო ვაჭრობა.

მალაიელი ხალხი, რომელიც დამოუკიდებლობის გზაზე პირველ გამარჯვებას დღესასწაულობს, ამჟამად თავის ამოცანად აყენებს — მოიპოვოს სრული პოლიტიკური და ეკონომიური დამოუკიდებლობა. „ჩვენ არ მიგვიღია ყოველივე ის, რის მიღებაც გვინდოდა, მაგრამ ჩვენ მივიღეთ საკმაო იმისათვის, რომ დავდგომოდით გზას, რომელსაც დამოუკიდებლობის, ბედნიერებისა და აყვა-

---

[1] კონსტიტუციით მალაიის ფედერაციაში შევიდნენ შემდეგი სამთავროები: ჯოჰორი, კედაბი, კელანტანი, ნეგრი—სემბილანი, პაჰანგი, პერაპი, პერლისი, სელანგორი, ტრენგანუ და ორი შტატი—მალაკა და პენანგი, რომლებსაც გუბერნატორები მართავენ.

ებისაკენ მივუყავართ“,— განაცხადა მალაიის ფედერაციის პირველმა პრემიერ-მინისტრმა. მან აგრეთვე განაცხადა, რომ მთავრობას არა აქვს არავითარი განზრახვა შეუერთდეს რომელიმე პოლიტიკურ ან სამხედრო პაქტს; მთავრობა არავის მისცემს იმის ნებას, რომ მალაიის ტერიტორიაზე ატომური ბომბები ინახებოდეს.

1957 წლის 17 სექტემბერს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XII სესიის გახსნის დღეს, უშიშროების საბჭოს რეკომენდაციით მალაიის ფედერაცია მიღებულ იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად.

ცეილონი

ცეილონის მიერ დომინიონის სტატუსის მოპოვება. კოტალავალას მთავრობა

ცეილონი ეკუთვნის აზიის იმ ქვეყნებს, რომლებიც აგრესიულ ბლოკებში მონაწილეობის მიღებაზე უარის თქმის პოლიტიკას ატარებენ. ცეილონი XVI საუკუნის დასაწყისიდან კოლონიზატორების უღელში მოექცა: იგი იყო ჯერ პორტუგალიელების, შემდეგ ჰოლანდიელების, ხოლო XVIII საუკუნის დამლეგიდან ინგლისელების ხელში; ამ ქვეყანამ დამოუკიდებლობისათვის ხანგრძლივი და შეუდრეკელი ბრძოლის შემდეგ, 1948 წელს, დომინიონის სტატუსი მიიღო ერთა ბრიტანული თანამეგობრობის ჩარჩოებში. მაგრამ ამ აქტის მნიშვნელობა დაკნინებული იყო იმ ხელშეკრულებით, რომელიც ცეილონსა და ინგლისს შორის დაიდო „თავდაცვისა და საგარეო ურთიერთობის შესახებ“: აღნიშნული ხელშეკრულება ცეილონის ტერიტორიაზე ინგლისის სამხედრო ბაზების შშენებლობას ითვალისწინებდა.

ცეილონის ეკონომიკას, როგორც წარსულის მემკვიდრეობას, ძლიერი კოლონიური ბეჭედი აზის. ქვეყანად ფეოდალური ურთიერთობაა გაბატონებული. ინგლისის კაპიტალდაბანდებათა წილად მოდის 80 პროცენტი ცეილონის მთელი კაპიტალდაბანდებისა, ამასთან ინგლისის კაპიტალი შეიპრა სახალხო მეურნეობის ყველა ძირითად დარგში.

ცეილონის ხელისუფლების სათავეში კარგა ხანს იდგა გაერთიანებული ეროვნული პარტია, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ჯონი კოტალავალა მეთაურობდა. მისი პოლიტიკა ქვეყნის ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ იყო მიმართული და კოლონიურ სახელმწიფოებზე ცალმხრივი გეზის ალებით ხასიათდებოდა. ის გარემოება, რომ ცეილონი ინდოეთის, ინდონეზიის, ბირმისა და პაკისტანის თანაბრად ერთ-ერთი ინიციატორის როლში გამოვიდა აზიისა და აფრიკის ქვეყნების ბანდუნგის კონფერენციის მოწვევის საქმეში, მხოლოდ იძულებითი დათმობა იყო კოტალავალას მთავრობის მხრივ კოლონიალიზმის წინააღმდეგ აზიისა და აფრიკის ხალხთა მასების საერთო მოძრაობის მიმართ. ამასთან ერთად, კოტალავალას მთავრობამ იმპერიალისტების საამებლად უარი განაცხადა მრავალმხრივ საკავშრო ურთიერთობებზე, კერძოდ, ჩინეთის სახალხო რეხპუბლიკასთან ვაჭრობაზე, მან დაუთმო ინგლისს სამხედრო ბაზებისათვის ნეგომბოსა და ტრინკომალის ტერიტორიები და განიზრახა კიდევაც შესულიყო დასავლეთის სახელმწიფოების სამხედრო ბლოკში.

კოტალავალას პოლიტიკის წინააღმდეგ გამოვიდა გაერთიანებული სახალხო ფრონტი —„მახაჯან ო�ატ პერამუნა“, რომელსაც სოლომონ ბანდარანაიკე ჰეთაურობდა. გაერთიანებული სახალხო ფრონტი გამოდიოდა ნეიტრალური პოლიტიკის გატარებისათვის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებისათვის, უცხოეთის კაპიტალის კუთვნილების — კაუჩუკისა და ჩაის პლანტაციების ნაციონალიზაციისათვის, ინგლისის სამხედრო ბაზების ლიკვიდაციისა და რესპუბლიკად ცეილონის გამოცხადებისათვის.

გაერთიანებული სახალხო ფრონტი მიზნად ისახავდა აგრეთვე ბოლო მოღებოდა ცეილონის ეკონომიკის ცალმხრივ განვითარებას, რომელიც მხოლოდ საექსპორტო საქონლის (ჩაი, კაუჩუკი, ქოქოსის ზეთი და სხვ.) წარმოებისაკენ იყო მიმართული, და უცხოეთიდან ძირითადი სასურსათო საქონლის შემოტანაზე დამოუკიდებელ ქვეყანად აყენებდა ცეილონს. გაერთიანებული სახალხო ფრონტი დიდ ყურადღებას ანიჭებდა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას, ვინაიდან ეიაჩნდა, რომ მის გარეშე შეუძლებელია სახალხო მეურნეობის ყოველმხრივი განვითარება და მოსახლეობის საარსებო დონის ამაღლება.

1955 წლის 10 აპრილს არჩევნებში სახალხო ფრონტმა გაიმარჯვა. მან 51 მანდატი მიიღო. ყველა სხვა ოპოზიციურ პარტიებთან ერთად, რომლებიც კოტალავალას წინააღმდეგ გამოდიოდნენ, სახალხო გაერთიანებულმა ფრონტმა 87 მანდატი მიიღო. კოტალავალას პარტიამ მხოლოდ რვა მანდატი მიიღო წინაღმდეგ წინა არჩევნებში მიღებული 54 მანდატისა. ქვეყანას ბანდარანაიკეს მთავრობა ჩაუდგა სათავეში.

1956 წლის ივლისში ბანდარანაიკეს მთავრობამ შეძლო ინგლისისაგან თანხმობის მიღება ცეილონისათვის ტრინკომალის სამხედრო-საზღვაო ბაზისა და ნეგომბოს სამხედრო-საჰაერო ბაზის გადაცემის შესახებ. იმავე დროსვე ბანდარანაიკემ გააკეთა განცხადება იმის შესახებ, რომ ცეილონს „განზრახული აქვს დაამყაროს დიპლომატიური ურთიერთობა რამდენადაც შესაძლებელია მეტ ქვეყანასთან და, რასაკვირველია, მოსკოვსა და პეკინთან“. ბანდარანაიკეს მთავრობამ საგაჭრო შეთანხმება დადო ბულგარეთსა და რუმინეთთან, შეუდგა კაუჩუკის გაყიდვას ჩინეთში. ცეილონის მთავრობამ განაცხადა, რომ იგი მზადაა დახმარება მიიღოს ყოველი ქვეყნიდან, თუკი ეს უკანასკნელი ზიანს არ მიაყენებს ცეილონის დამოუკიდებლობას. ვინაიდან ინგლის-ამერიკის ნავთობის კონცერნის წინადადება კოლომბოში ნავთობსაწმენდი ქარხნის აგების შესახებ კონცერნისათვის რიგი პრივილეგიების მინიჭებასთან იყო დაკავშირებული, ბანდარანაიკეს მთავრობამ უარყო ეს წინადადება.

1956 წლის აგვისტოს დამლევს მოსკოვში მოლაპარაკება მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირის მთავრობისა და ცეილონის დელეგაციებს შორის. გამოქვეყნებულ კომუნიკეში ნათქვამი იყო, რომ ორივე მხარე დათანხმდა ურჩიონ თავიანთ მთავრობებს მოახდინონ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა გაცვლა ელჩების დონეზე, როგორც კი ჩატარებული იქნებოდა სათანადო მოსამზადებელი ღონისძიებანი. კომუნიკეში ლაპარაკი იყო ორივე ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობის განვითარების შესახებ, ურთიერთსარგებლიანობის საფუძველზე. საბჭოთა დელეგაციამ გამოსთქვა მზადყოფნა, რომ საბჭოთა მთავრობა დახმარებას აღმოუჩენდა ცეილონს ეკონომიური განვითარების გეგმის გან-

ბორციელებაში. სავაჭრო კავშირების გაფართოებისა და ეკონომიური თანა-შრომლობის განვითარების მიზნით აღნიშნული იყო, რომ უახლოეს დროში ორივე ქვეყანას შორის უნდა დაწყებულიყო მოლაპარაკება საავაჭრო და საგა-ნასახადო შეთანხმებისა და ეკონომიური თანამშრომლობისათვის შეთანხმების დასადებად. ორივე მხარემ აზრი გამოთქვა აგრეთვე გადადგმულიყო ნაბიჯი უფრო მჭიდრო კულტურული კავშირების დასამყარებლად.

მიღებულია რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად (1955 წლის დამლეეს), ცეილონი ამ ორგანიზაციის წესდების შესაბამის პოლიტიკას ატარებს. ასე, მაგალითად, სუეცის არხის ნაციონალიზაციის საკითხში ცეილო-ნი ეგვიპტის სუვერენულ უფლებებს იცავდა, ხოლო მას შემდეგ, როგორც კი დაიწყო ინგლის-საფრანგეთ-ისრაელის აგრესია, ცეილონმა გაკიცხა ეს უკანას-კნელი. ბანდარანაიკეს მთავრობა მხარს უჭერს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის უფლებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მისი კანონიე-რი ადგილის საკითხში. 1957 წლის თებერვალში კოლომბოში ჯოუ ენ-ლაის ყოფ-ნის დროს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და ცეილონის მთავრობებს შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებისა და ელჩების გაცვლის შესახებ. მიილტვოდა რა თავისი დამოუკიდებლობის გან-მტკიცებისაკენ, ცეილონმა აცნობა ერთა ბრიტანულ თანამეგობრობაში შემავალ ქვეყნებს თავისი გადაწყვეტილება — გამოაცხადოს თავისი თავი რესპუბლიკად.

1957 წლის იელისში ბანდარანაიკემ ასეთი გეგმა წამოაყენა ცეილონის განვითარების გზების შესახებ: მთავრობა ცდილობს გააფართოოს სასურსათო პროდუქტების წარმოება, გამოიყენოს მდინარეები ჰიდროელექტროსადგურე-ბის ასაშენებლად, განავითაროს მრეწველობის ის დარგები, რომლებიც სამამუ-ლო ნედლეულით მუშაობენ, იკისროს მრეწველობის უმნიშვნელოვანესი დარ-გების განვითარება, წაახალისოს კოოპერაცია და გამოიყენოს მეურნეობის წარ-მართვის სხვადასხვაგვარი ფორმები, მათ შორის კოოპერაციული და კოლექტი-ური ფორმებიც. მთავრობასთან დაარსებულია დაგეგმვის სპეციალური საბჭო.

ბანდარანაიკეს მთავრობის დამოუკიდებელმა პოლიტიკამ გააძლიერა საერ-თაშორისო რეაქციის ხრიკები ცეილონზე. აშშ-ის იმპერიალისტური აგენტების მიერ ყოფილი პრემიერის კატალავალას მეთაურობით 1958 წლის მაისში პრო-ეოცირებულ იქნა ეროვნულ-თემური უწესრიგობანი. ამ მიზნით მათ გაღვიძეს ეროვნულ-თემური შუღლი სინგალეზებსა და ტამილებს შორის, რომლებიც ცეილონის მოსახლეობის ძირითად ჯგუფებს წარმოადგენენ.

ბანდარანაიკეს მთავრობამ განაცხადა, რომ იგი თანასწორუფლებიანობის გარანტიას იძლევა ყველა რასისა და რელიგიისათვის ცეილონში, და მოუწოდა ხალხს გააკეთოს ყოველივე, რაც შესაძლებელია, მშვიდობისა და წესრიგის აღ-სადგენად ცეილონში. მთავრობის განცხადებამ ფართო გამოძახილი ჰპოვა საზო-გადოებრივ და პოლიტიკურ წრეებში.

კ ა ბ ბ ო ჯ ა

კამბოჯა — დამოუკიდებელი სახელმწიფოა

კამბოჯა ერთი იმ ოთხ ოლქთაგანია, რომლებიც ფრანგმა კოლონიზატორებმა 1887 წელს გააერთიანეს ეგრეთწოდებულ ინდო-ჩინეთის კავშირში. 1893 წელს ამ კავშირს ლაოსიც შეუერთეს. ინდო-ჩინეთის კავშირის სათავეში საფრანგეთის

გენერალ-გუბერნატორი იდგა, რომელსაც რეზიდენცია საიგონში ჰქონდა. ანამის, ლაოსისა და კამბოჯის ადგილობრივ მმართველებთან საფრანგეთის უმაღლესი რეზიდენტები იმყოფებოდნენ, რომლებიც საფრანგეთის გენერალ-გუბერნატორს ემორჩილებოდნენ და ფაქტიურად ძალაუფლებას ახორციელებდნენ ადგილებზე.

ინდო-ჩინეთის ხალხები თავიანთი დამოუკიდებლობისათვის იბრძოდნენ. ინდო-ჩინეთში ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზე დიდი გავლენა იქონია რუსეთის 1905—1907 წწ. რევოლუციამ და განსაკუთრებით დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ. მაგრამ მხოლოდ 1953 წელს აზიაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მძლავრი აღმაღლობის შედეგად კამბოჯის ხუთმილიონიანი ხალხი განთავისუფლდა საფრანგეთის კოლონიური მონობისაგან. საფრანგეთის ხელისუფლებმა კამბოჯის მთავრობას პოლიციური ძალები გადასცეს და აღუთქვეს რამოდენიმე ხნის განმავლობაში სამხედრო ძალების გადაცემაც.

ამის შემდეგ კამბოჯის ახალგაზრდა მეფე ნოროდომ სიანუკმა გამოაცხადა თავისი სახელმწიფოს ნეიტრალური პოლიტიკა. ეს არ ეგუებოდა ამერიკის შეერთებული შტატების ზრახვებს, რამდენადაც ეაშინგტონის მიერ წინასწარ განკუთვნილი იყო კამბოჯისათვის — ყოფილიყო იგი აგრესიული სეატოს ბლოკის ერთ-ერთი საყრდენი პუნქტი. მაგრამ ამერიკის იმპერიალისტების ყოველგვარი ცდები — დაერწმუნებინა კამბოჯის მეფე ნოროდომ სიანუკი, რათა იგი შეერთებოდა „ანტიკომუნისტურ ჯვაროსნულ ლაშქრობას", — მარცხით დამთავრდა.

1954 წელს ინდო-ჩინეთის საკითხის შესახებ ჟენევაში მოწვეულ ხუთი სახელმწიფოს თათბირზე საფრანგეთის მთავრობამ განაცხადა, რომ იგი კამბოჯაში მშვიდობის აღდგენასა და განმტკიცებასთან დაკავშირებული ყველა პრობლემის მოწესრიგებისას დაეყრდნობოდა კამბოჯის დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის დაცვას. თავის მხრით, კამბოჯის მთავრობამ იმავე თათბირზე განაცხადა, რომ „გამოთქვამს თავის გადაწყვეტილებას — არასოდეს არ მიიღოს მონაწილეობა აგრესიული პოლიტიკის გატარებაში და არასოდეს არ დართოს კამბოჯის ტერიტორიის გამოყენების ნება ასეთი პოლიტიკის გასატარებლად". ჟენევის თათბირის მონაწილეებმა იკისრეს ვალდებულება — თავი შეიკავონ ვიეტნამის, ლაოსისა და კამბოჯის საშინაო საქმეებში ჩარევისაგან და პატივი სცენ მათს დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს.

ჟენევის თათბირზე მიღებულ იქნა აგრეთვე დადგენილება ლაოსსა და კამბოჯაში საყოველთაო თავისუფალი არჩევნების ჩატარების შესახებ, რომელიც უზრუნველყოფდა ყველა მოქალაქისათვის მასში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობას. არჩევნები 1955 წელს უნდა ჩატარებულიყო ფარული კენჭისყრით და დემოკრატიულ თავისუფლებათა დაცვით.

ნოროდომ სიანუკის მთავრობა

კამბოჯის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში თვალსაჩინო როლი შეასრულა მასობრივ-პოლიტიკურმა ორგანიზაციამ — „სახალხო სოციალისტურმა თანასაზოგადოებამ". იგი დააარსა 1955 წლის აპრილში პრინცმა ნოროდომ სიანუკმა, რომელმაც 1954 წელს უარი განაცხადა კამბოჯის ტახტზე და მთელი თავისი ენერგია საკუთარი მიუძღვნა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მოღვაწეობას. ტახტზე ხელის აღების შემდეგ მან მალე პრემიერის პოსტი დაიკავა და გაემგზავრა ინდოეთში, სადაც ნერუსთან ერთად ხელი მოაწერა მშვიდობიანი თა-

ნაარსებობის ხუთ პრინციპს. 1955 წლის სექტემბერში სახალხო სოციალისტურმა თანასაზოგადოებამ ეროვნული კრების არჩევნებში ყველა მანდატი მიიღო.

კამბოჯის ნეიტრალური პოლიტიკის განმტკიცებაში დიდი მნიშვნელობა იქონია ინდოეთთან, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან, აზიის სხვა ქვეყნებთან და, განსაკუთრებით, საბჭოთა კავშირთან კამბოჯის დაახლოებამ. ინდოეთთან დიპლომატიური ურთიერთობა კამბოჯამ 1954 წელს დაამყარა.

კამბოჯისა და აზიის ქვეყნების კეთილსასურველმა კავშირებმა თავისი გამოხატულება ჰპოვეს 1955 წლის აპრილში აზიისა და აფრიკის 29 ქვეყნის ბანდუნგის კონფერენციაზე.

1955 წლის დეკემბერში კამბოჯა 16 სახელმწიფოს რიცხვში მიღებულ იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად.

კამბოჯის ნეიტრალური პოლიტიკა ამერიკის შეერთებული შტატები ზრახვებს ეწინააღმდეგებოდა. ამიტომ აშშ-მა ყოველგვარი ცდები იხმარეს იმისათვის, რომ დაწოლა მოეხდინათ ნოროდომ სიანუკის მთავრობაზე იმ მიზნით, რათა შეეყვანათ იგი სეატოს აგრესიულ ბლოკში და პლაცდარმად გაეხადათ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ახალი ავანტიურების საწარმოებლად. კერძოდ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და სეატოს მონაწილეებმა განაცხადეს ამ აგრესიული ბლოკის „მფარველობის ზონაში" კამბოჯის შეყვანის შესახებ. მაგრამ ნოროდომ სიანუკის მთავრობამ განაცხადა, რომ კამბოჯა არ შეავ სეატოს წევრად და რომ მისი პოლიტიკა „მტკიცე ნეიტრალიტეტის პოლიტიკაა".

ახალი დაწოლა მოახდინეს ნოროდომ სიანუკზე 1956 წლის თებერვალში, როდესაც ის ფილიპინებზე ჩავიდა. ამ შემთხვევაში ამერიკის პოლიტიკის გამტარებლის როლში გამოვიდა ფილიპინების პრეზიდენტი მაგსაისაი, რომელიც არწმუნებდა სიანუკს გამოსულიყო ფილიპინის პარლამენტში განცხადებით სეატოში კამბოჯის შესვლის შესახებ. სიანუკს კიდევაც ჩააბარეს განცხადების გამზადებული ტექსტი, რომელიც მანილაში ამერიკული საელჩოს მიერ იყო შედგენილი. მაგრამ ნოროდომ სიანუკმა მანილაში პრესკონფერენციაზე გამოსელისას კვლავ დაადასტურა, რომ კამბოჯა „არ შეუერთდება რაიმე სამხედრო შეთანხმებებს". „ჩვენ სრულებით არ გვესაჭიროება შეეცვალოთ ნეიტრალიტეტის ჩვენი პოლიტიკა", — განაცხადა სიანუკმა. სიანუკი არ გამოვიდა ფილიპინის პარლამენტში.

კამბოჯა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა

1956 წლის თებერვალში კამბოჯის მთავრობის დელეგაცია ნოროდომ სიანუკის მეთაურობით ეწვია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას. ჩინეთში ჩასვლისთანავე სიანუკმა განაცხადა, რომ მიუხედავად ჩინეთისა და კამბოჯის პოლიტიკური სისტემების განსხვავებისა, ორივე ქვეყნის მთავრობა და ხალხი თანაბრად ისწრაფვიან თავისუფლებისაკენ, მშვიდობისაკენ, აყვავებისა და მოსახლეობის საარსებო დონის ამაღლებისაკენ. „ჩვენი საგარეო პოლიტიკის მიზანია, — განაცხადა სიანუკმა, — ნეიტრალიტეტის დაცვა, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის დამყარებისათვის ბრძოლა, სხვა სახელმწიფოთა სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობისადმი პატივისცემა, მათ საქმეებში ჩაურევლობა".

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და კამბოჯის სამეფოს მთავრობათა ერთო-

ბლივ განცხადებაში, რომელიც 1956 წლის თებერვალს გამოქვეყნდა, აღნიშნული იყო ორივე ქვეყნის ერთსულოვანი მისწრაფება — განავითარონ ისტორიულად ჩამოყალიბებული მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა და კავშირები მშვიდობიანი თანაარსებობის ხუთი პრინციპის საფუძველზე. ორივე მხარეს მიაჩნია, ნათქვამია კომუნიკეში, რომ ორივე სახელმწიფოს მთავრობათა მიერ ხსენებული პრინციპების საფუძველზე გატარებული საგარეო პოლიტიკა უპასუხებს არა მარტო ორივე ქვეყნის ხალხთა ინტერესებს, არამედ აზიასა და მთელს მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნების ინტერესებსაც. მათ გამოთქვეს მზადყოფნა განაგრძონ ბანდუნგის გადაწყვეტილებათა სულისკვეთებით ერთობლივი ღონისძიება საერთაშორისო თანამშრომლობის განსავითარებლად, ქვეყნებს შორის უნდობლობის აღმოსაფხვრელად და მშვიდობიანი გზით საერთაშორისო საკითხების გადასაჭრელად.

ამერიკის შეერთებული შტატების ინტრიგები და სიანუკის გადადგომა

დამოუკიდებელი პოლიტიკა, რომელსაც მტკიცედ ატარებდა სიანუკი, ამერიკის შეერთებული შტატების მიერ შეფასებულ იქნა როგორც გამოწვევა. ამერიკის პრესამ გესლიანი კამპანია წამოიწყო პრინცის წინააღმდეგ; ამას თან მოჰყვა პირდაპირი აგრესიის პროვოკაციული აქტები, როგორც, მაგალითად, სამხრეთ ვიეტნამისა და ტაილანდის ჯარების მიერ კამბოჯის საზღვრების დარღვევა, ტაილანდის მიერ კამბოჯის ტერიტორიის მიტაცება, კამბოჯის სამხედრო და ეკონომიური ბლოკადა და სხვ. ტაილანდმა და სამხრეთ ვიეტნამმა დახურეს თავიანთი საზღვრები კამბოჯასთან, რის შედეგადაც საზღვარგარეთიდან კამბოჯაში იმპორტი შეწყდა, საქონლის ფასები მკვეთრად გადიდდა. კამბოჯა მეტად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. სიანუკი გადადგა, დარჩა რა სახალხო სოციალისტური თანასაზოგადოების ორგანიზაციის ხელმძღვანელად. სიანუკმა შემოიარა მთელი კამბოჯა იმ მიზნით, რომ განემარტა ხალხისათვის შექმნილი კრიზისის ნამდვილი მიზეზები. მთელს კამბოჯაში ჩატარდა ანტიამერიკული მიტინგები და დემონსტრაციები. ახალმა პრემიერმა კიმ ტიტმა, რომელსაც მანამდე სიანუკის კაბინეტში ვიცეპრემიერის პოსტი ეკავა, განაცხადა, რომ იგი განაგრძობს მისი წინამორბედის მიერ გატარებულ ნეიტრალიტეტის პოლიტიკას.

1956 წლის აპრილში შედგა სახალხო სოციალისტური თანასაზოგადოების ყრილობა, რომელზედაც იდგა კამბოჯის პოზიციის საკითხი უცხოეთის სახელმწიფოების მიმართ.

იმ მიზნით, რომ აღეკვეთა ამერიკისათვის არასასურველი მიმართულებით კამათის გაგრძელება, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა კამბოჯაში მაკინტოკმა სასწრაფოდ გადასცა კამბოჯის მეფეს წერილი, რომელშიც აშშ-ის მთავრობა აჯერებდა მას, რომ ამერიკა განაგრძობს კამბოჯისათვის ეკონომიური „დახმარების“ გაწევას, რომელიც შეწყვეტილი იყო კამბოჯის წინააღმდეგ ამერიკის მიერ წარმოებული კამპანიის დროს. სამხრეთ ვიეტნამისა და ტაილანდის მთავრობებმა თავის მხრივ მოხსნეს ეკონომიური ბლოკადა და ტაილანდი დათანხმდა წინადადებას სასაზღვრო საკითხების მოსაწესრიგებლად მოლაპარაკებაზე და სხვ.

ყრილობის დელეგატებმა ერთსულოვნად მოიწონეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან ეკონომიური მისიების გაცვლის საკითხი, საბჭოთა კავშირსა და პოლონეთთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება და რწმუნებით აღვუ-

რევეს სიანუკი სწვეოდა საბჭოთა კავშირს და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს. ამასთან დელეგატებმა სურვილი გამოთქვეს ჩინეთიდან, საბჭოთა კავშირიდან და სოციალისტური ბანაკის სხვა ქვეყნებიდან ეკონომიური დახმარების მიღებაზე. ამასთან ერთად დელეგატებმა ერთსულოვნად უარყვეს წინადადება სეატოში ან სხვა რომელიმე სამხედრო ბლოკებში კამბოჯის შესვლის შესახებ.

სიანუკის გაგზავნა მოსკოვს

1956 წლის მაისში სიანუკი იმყოფებოდა ინდოეთში, პარიზში, პოლონეთში, ხოლო უკან დაბრუნებისას — პრაღასა და მოსკოვში. მოსკოვში მოლაპარაკება სრული ურთიერთგაგების სულისკვეთებით მიმდინარეობდა და დამთავრდა 1956 წლის 7 ივლისის ერთობლივი კომუნიკეთი.

ორივე მხარემ განაცხადა, რომ მათ შორის პოლიტიკური ურთიერთობა აგებულია (და მომავალშიც ასე გაგრძელდება) მშვიდობიანი თანაარსებობის ცნობილ ხუთ პრინციპზე და რომ მათი რწმენით ამ პრინციპების საყოველთაოდ აღიარება განამტკიცებს მშვიდობას მთელ მსოფლიოში, ისე როგორც დღემდე ეს პრინციპები ხელს უწყობდნენ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას.

საბჭოთა კავშირისა და კამბოჯის სახელმწიფო მოღვაწეებმა კმაყოფილებით აღნიშნეს ის ფაქტი, რომ კამბოჯა ასრულებს ჟენევის შეთანხმებათა პირობებს, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ინდო-ჩინეთის ქვეყნებში მშვიდობის განმტკიცების საქმეში და ამ რაიონში გადაუჭრელი სადავო საკითხების მშვიდობიანად მოწესრიგებისათვის წინაპირობების შექმნაში.

საბჭოთა მთავრობამ თავისი მზადყოფნა გამოხატა კამბოჯისათვის ტექნიკური და ეკონომიური დახმარების გასაწევად კამბოჯის სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობისა და ეროვნული ღირსებისადმი სრული პატივისცემის პირობებში.

1956 წლის აგვისტოში ნოროდომ სიანუკი კვლავ ჩაუდგა კამბოჯის მთავრობას სათავეში. ეს იყო სასტიკი დამარცხება მშვიდობიანი თანაარსებობის მოწინააღმდეგეებისა. აშშ-მა კამბოჯაში გაგზავნეს ახალი ელჩი სტრომი, რომელსაც დაავალეს ფეხზე დაეყენებინა სიანუკის წინააღმდეგ ყველა ოპოზიციური ელემენტი. ამერიკის აგენტურის ხრიკების წყალობით კამბოჯას საშუალება წაერთვა ეწარმოებინა ვაჭრობა სამხრეთ ვიეტნამის ტერიტორიის საშუალებით. 15 ოქტომბერს სიანუკმა გადადგომაზე შეიტანა განცხადება, რომელიც მეფემ მიიღო.

ეროვნული კონგრესის შეძენა. ქანონი ნეიტრალიტეტის შესახებ

1957 წლის იანვარში მოწვეულ იქნა სახალხო სოციალისტური საზოგადოების ახალი ყრილობა, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე სხვა პარტიების წარმომადგენლები და გამოჩენილი საზოგადო მოღვაწენი. ეს ყრილობა მისმა მონაწილეებმა გამოაცხადეს ეროვნულ კონგრესად, რომელიც ქვეყნის პოლიტიკის გამომუშავებულ მუდმივ უმაღლეს ორგანოდ იქნა აღიარებული. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რათა შესაბამისი პუნქტი ყოფილიყო შეტანილი კამბოჯის კონსტიტუციაში. პარლამენტს ეკისრებოდა გაეტარებინა ცხოვრებაში ეროვნული კონგრესის მიერ გამომუშავებული პოლიტიკა. იმ მიზნით, რომ მომავალში კამბოჯა არ აცდენოდა ნეიტრალიტეტისა და მშვიდობიანი

თანაარსებობის გზას, გადაწყვეტილ იქნა შეტანილიყო კონსტიტუციაში მუხლი ნეიტრალიტეტის შესახებ, რომელსაც მუდმივი კანონის ძალა ექნებოდა მოპოვებული.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა კვლავ მიმართეს მუქარას და ეკონომიური ზემოქმედების ზომებს. ნაწილობრივ კვლავ აღადგინეს ეკონომიური ბლოკადა. კამბოჯისათვის ასეთ მძიმე მომენტში სიანუკი კვლავ დაუბრუნდა პრემიერის პოსტს. სიანუკის დროს, 1957 წლის 31 მაისს, ხელმოწერილ იქნა საბჭოთა კავშირთან სამი შეთანხმება ვაჭრობაზე, საგადასახადო შეთანხმება და შეთანხმება კულტურულ და სამეცნიერო თანამშრომლობაზე. დაიწყო კამბოჯაში საქონლის შემოტანა ჩინეთიდან დახმარების წესით. იმ მხარდაჭერამ, რომელიც აღმოუჩინეს კამბოჯას სოციალისტური ბანაკის ქვეყნებმა და ნეიტრალურმა სახელმწიფოებმა, საგრძნობლად გააძლიერეს მისი პოზიციები კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. 11 სექტემბერს ეროვნულმა კრებამ მიიღო კანონი ნეიტრალიტეტის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 1957 წლის 6 ნოემბერს მეფის ბრძანებით.

კამბოჯის პროგრესული ძალების ბრძოლას აძნელებენ ქვეყნის ეკონომიკის ჩამორჩენილობა, ეკონომიკის დამოკიდებული მდგომარეობა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ამერიკის დიპლომატიის მეტად აგრესიული პოლიტიკა. მაკრამ, სარგებლობს რა სოციალისტური ქვეყნებისა და ნეიტრალური სახელმწიფოების მხარდაჭერით, კამბოჯის ხალხს შეუძლია დაძლიოს გარეშე და შინაური რეაქციული ძალები, რომლებიც, მიუხედავად თავიანთი მოჩვენებითი მატერიალური უპირატესობისა, სუსტნი არიან თავიანთი ისტორიული განწირულობით.

ლ ა ო ს ი

ჟენევის ბაღაწყვეტილებათა დარღვევა

ინდო-ჩინეთის საკითხის გამო 1954 წელს ჟენევაში შემდგარმა ხუთი სახელმწიფოს თათბირმა მშვიდობა დაამყარა ინდო-ჩინეთში. მასში შემავალ თითოეულ სამ სახელმწიფოთაგანის — ლაოსის, კამბოჯისა და ვიეტნამის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის, ერთიანობისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის საფუძველზე. ჟენევის გადაწყვეტილებანი ითვალისწინებდნენ, რომ ლაოსის მთავრობა არ დადებდა სხვა სახელმწიფოებთან ისეთ ხელშეკრულებას, რომელიც მას დააკისრებდა სამხედრო კავშირში მონაწილეობის ვალდებულებას.

გარდა ამისა, ლაოსის მთავრობა ვალდებულებას კისრულობდა არ მიეღო უცხოეთის სამხედრო დახმარება და ჩაეტარებინა საყოველთაო თავისუფალი არჩევნები 1955 წელს ფარული კენჭისყრით, დემოკრატიულ თავისუფლებათა პირობების დაცვით.

მიღებულ იქნა აგრეთვე გადაწყვეტილება არ დაეშვათ ინდივიდუალური და კოლექტიური დევნა იმ პირებისა ან მათი ოჯახის წევრებისა, რომლებიც რაიმე სახით მონაწილეობდნენ ერთ რომელიმე მხარესთან ომის დროს.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უარი განაცხადეს ჟენევის დეკლარაციის დასკვნითი ნაწილის ხელის მოწერაზე, რომელიც ვიეტნამში, კამბოჯასა და ლაოსში მშვიდობის აღდგენის საკითხებს ეხებოდნენ. ასეთ პოზიციას აშშ-

იმიტომ, დაადგენენ, რომ მათ მხედველობაში ჰქონდათ მომავალში განეხორციელებინათ ამ სამი სახელმწიფოს საშინაო საქმეებში უხეში ჩარევა, კერძოდ, არ დაეშვათ შეთანხმების მიღწევა ლაოსის მეფის მთავრობასა და პატეტ-ლაოს[1] ხელმძღვანელობას შორის, რომელთა შეიარაღებული ძალები ერთმანეთს ეომებოდნენ ჟენევის თათბირის მოწვევამდე.

ლაოსის მეფის მთავრობა, რომელსაც კატაი ხელმძღვანელობდა, ამერიკის შეერთებული შტატების ზეგავლენით თავისი ვალდებულებების დარღვევის გზას დაადგა და 1955 წლის გაზაფხულზე განაახლა იერიშები სამ-ნეასა და ფონგ-სალის პროვინციებზე, რომლებიც პატეტ-ლაოს კონტროლის ქვეშ იმყოფებოდნენ. დაუწყეს დევნა პატრიოტებს, რომლებიც წინააღმდეგობის მოძრაობაში მონაწილეობდნენ. ხელმოსაწერად მზადდებოდა სამხედრო შეთანხმება აშშ-სა და ლაოსს შორის ამ უკანასკნელის შესაყვანად აგრესიულ სეატოს ბლოკში. და ბოლოს, 1955 წლის დეკემბრის დამლეგს კატაის მთავრობამ ლაოსში ჩაატარა ცალმხრივი არჩევნები პატეტ-ლაოს მებრძოლი ნაწილებისა და წინააღმდეგობის მოძრაობის ყოფილი წევრების მონაწილეობის გარეშე.

სუვანა ფუმას მთავრობა. ლაოსის საკითხის მშვიდობიანი მოგვარება. აშშ-ს ინტრიგები

იმ დროისათვის მისწრაფება საკითხის მშვიდობიანი გზით მოგვარებისა სულ უფრო მეტად იკიდებდა ფეხს ლაოსის მოსახლეობაში. 1956 წლის 21 მარტს მთავრობის კრიზისის შემდეგ, რომელიც ერთ თვეს გრძელდებოდა, ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა პროგრესული პარტიების კოალიცია, რომელიც „საზოგადოებრივი ხსნისათვის ლაოსის კავშირის“ სახელწოდებას ატარებდა და რომელშიც შედიოდნენ შემდეგი პარტიები: პროგრესული პარტია, დამოუკიდებელთა პარტია, დემოკრატიული პარტია, ლაოსის ეროვნული კავშირი და სხვ. ახალი მთავრობა პროგრესული პარტიის წევრის პრინც სუვანა ფუმას მეთაურობით გამოვიდა ისეთი პროგრამით, რომელიც ითვალისწინებდა პატეტ-ლაოს მებრძოლი ნაწილების საკითხის მოგვარებას, ლაოსის ეროვნული ეკონომიკის აღდგენასა და მშვიდობიანი თანაარსებობის ხუთ პრინციპზე აგებული საგარეო პოლიტიკის გატარებას, რაც ლაოსის საშინაო საქმეებში უცხოეთის ჩარევის წინააღმდეგ იყო მიმართული.

1956 წლის მაისში პატეტ-ლაოს შეიარაღებული ძალების სარდლობამ წინადადება მისცა სუვანა ფუმას მთავრობას დაეწყო მოლაპარაკება მშვიდობისა და ნეიტრალიტეტის პოლიტიკის გატარების შესახებ. მოლაპარაკება პირველ აგვისტოს დაიწყო ქ. ვიენტიანში, რომლის შედეგად ბოლო მოეღო სამოქალაქო ომს ლაოსში. ხუთსა და რვა აგვისტოს ხელმოწერილ იქნა ორივე მხარის მიერ ორი კომუნიკე. კომუნიკეში ლაპარაკი იყო, რომ ორივე მხარე მშვიდობისა და თანაარსებობის ხუთი პრინციპის საფუძველზე დამყარებულ ნეიტრალიტეტის პოლიტიკის სასარგებლოდ იმოქმედებენ. ისინი შეთანხმდნენ, რომ ლაოსი მონაწილეობას არ მიიღებდა არავითარ სამხედრო ბლოკებში და არ დაუშვებდა თავის ტერიტორიაზე უცხოეთის არც ერთი სამხედრო ბაზის აგებას. სამხედრო მოქმედება ფონგ-სალისა და სამ-ნეას ჩრდილო პროვინციის ტერიტორიებზე, რომლებსაც პატეტ-ლაოს მებრძოლი ნაწილები უწევდნენ დახმარებას, შეწყდა.

---

[1] პ ა ტ ე ტ - ლ ა ო — ესაა ლაოსის პატრიოტულ ძალთა გაერთიანება, რომელიც უცხოელი ინტერვენტებისა და შინაური რეაქციის წინააღმდეგ იბრძოდა.

მეფის მთავრობა ვალდებულებას კისრულობდა უზრუნველეყო ლაოსის ხალხისათვის ყველა დემოკრატიული უფლება და თავისუფლებანი და არავითარი დისკრიმინაცია არ დაეშვა პატეტ-ლაოს მებრძოლი ნაწილებისა და წინააღმდეგობის მოძრაობის ყოფილ მონაწილეთა მიმართ. ლაოსის პატრიოტულ ფრონტს და გლეხთა, ახალგაზრდობის, ქალთა და სხვა დემოკრატიულ ორგანიზაციებს ეძლეოდათ მოქმედების თავისუფლების გარანტია.

მეორე კომუნიკე საყოველთაო არჩევნებსა და კოალიციური მთავრობის შექმნას ეხებოდა. მიღწეულ იქნა შეთანხმება საყოველთაო არჩევნების ჩატარების შესახებ თავისუფალი და ფარული კენჭისყრის წესით პატეტ-ლაოს მებრძოლი ნაწილებისა და წინააღმდეგობის მოძრაობის ყოფილ მონაწილეთათვის არჩევნებში სრული უფლების მინიჭებით. გათვალისწინებული იყო კოალიციური მთავრობის შექმნა პატეტ-ლაოს მებრძოლი ნაწილებისა და სხვა პარტიებისა და ჯგუფების მონაწილეობით. დეკემბერში მხარეები შეთანხმდნენ დაენიშნათ თავიანთი წარმომადგენლები პოლიტიკურ და სამხედრო კომისიებში, რომლებიც უნდა შესდგომოდნენ მიღწეული შეთანხმების განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მსჯელობას.

მიღწეული შეთანხმების წინააღმდეგ გამოვიდნენ ამერიკის საელჩოს მიერ წაქეზებული რეაქციული ჯგუფები. ორი თვის განმავლობაში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეაჩერეს ლაოსის შეიარაღებული ძალების შესანახად გათვალისწინებული „დახმარების“ გაცემა.

დიდი ძალდატანება მოახდინეს აგრეთვე მეფის ოჯახზე. შეწყდა ტაილანდიდან ბრინჯის მიღება. ერთდროულად ტაილანდიდან გაძლიერდა ძირგამომთხრელი ელემენტების შეგზავნა და იარაღის შეტანა ლაოსის ტერიტორიაზე. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ინგლისისა და საფრანგეთის დახმარებით მოამზადეს სუვანა ფუმას მთავრობის დამხობა.

ლაოსსა და პატეტ-ლაოს შორის მიღწეული შეთანხმების ცხოვრებაში გატარება შეჩერებული იქნა. 1957 წლის მაისში სუვანა ფუმა გადადგა და პრემიერის პოსტი ისევ კატაიმ დაიკავა. ამან მოლაპარაკება შეაჩერა 1957 წლის სექტემბრამდე.

ზაფხულის დამლევს კატაის მთავრობა დაეცა და ხელისუფლებას პრინცი სუვანა ფუმა ჩაუდგა სათავეში. 16 სექტემბერს სუვანა ფუმამ განაახლა მოლაპარაკება პატეტ-ლაოს მებრძოლი ნაწილების ხელმძღვანელებთან. მოლაპარაკება ოქტომბერში დამთავრდა შეთანხმებით — უზრუნველეყოთ ფონგ-სალისა და სამ-ნეას პროვინციების მოსახლეობისათვის სამოქალაქო უფლებები ლაოსის სამეფოსთან მათი ხელახლა შეერთების შემდეგ. შეთანხმება გულისხმობდა მეფის მთავრობის ადმინისტრაციულ და ტექნიკურ ორგანოებში სამუშაოზე პატეტ-ლაოს მებრძოლთა მიღებას, ლაოსის პატრიოტული ფრონტის ლეგალურ მოღვაწეობას, ეროვნული ერთიანობის მთავრობის შექმნასა და ფონგ-სალისა და სამ-ნეას პროვინციების მოსახლეობაში ეროვნული კრების დამატებითი არჩევნების ჩატარებას. 1957 წლის ნოემბერში მიღწეულ იქნა შეთანხმება კოალიციური მთავრობის შედგენის შესახებ პატეტ-ლაოს შეიარაღებულ ძალთა ხელმძღვანელობისა და პრინც სუვანა ფუმას მონაწილეობით.

1958 წლის აგვისტოში შეერთებული შტატების მხარდაჭერით ძალაუფლება აიღო ფუი სანანიკონეს მთავრობამ, რომელმაც რეპრესიებისა და დევნის ფართე კამპანია გაშალა პატეტ-ლაოს ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მო-

ძრაობის ყოფილ მონაწილეთა წინააღმდეგ. ათასობით მონაწილე დაპატიმრებულ იქნა, ხოლო ბევრი მათგანი აწამეს და მოკლეს. დაპატიმრებულთა შორის იყო პრინცი სუვანა ფუმა.

ნ ე პ ა ლ ი

კოლონიური ეპოქიდან განთავისუფლება ბორე ფსოფლიო ომის შემდეგ

ნეპალის ხალხიც აღდგა ინგლისელ კოლონიზატორთა წინააღმდეგ. ხალხის ბრძოლას, რომელიც მიმართული იყო როგორც ინგლისელი კოლონიზატორების, ისე მათ მიერ ქვეყნის სათავეში დაყენებული რანის დინასტიის წინააღმდეგ, ნეპალის ეროვნული ბურჟუაზია ხელმძღვანელობდა. ას წელზე მეტი ხნის განმავლობაში ნეპალი ინგლისის პროტექტორატს წარმოადგენდა და იქ რანის დინასტიის რეჟიმი ბატონობდა. პრემიერის პოსტის გადაცემა მემკვიდრეობით ხდებოდა და ნეპალში ტერორისტული რეჟიმი იყო გამეფებული. ხალხის ანტიფეოდალური აჯანყება დამთავრდა 1951 წლის 18 თებერვალს რანის დინასტიის დამხობით. ნეპალის მეფემ ტრიბხუვანმა მთავრობის შედგენა ეროვნული ბურჟუაზიის პარტიას — ნეპალის კონგრესს მიანდო. ეს პარტია 1947 წელს იყო დაარსებული და იგი ხალხთა მოძრაობას ედგა სათავეში.

ინგლისელთა საუკუნეობრივი ბატონობის შედეგად ნეპალი განსაკუთრებით ჩამორჩენილ, აგრარულ ქვეყანას წარმოადგენდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველაზე დაბალი ტექნიკით; ნეპალს არ გააჩნდა გზები, გლეხობა სულს ღაფავდა ფეოდალების მიწაზე აუტანელი შრომით. ინგლისელთა ბატონობის დამხობა ტერორისტული რეჟიმის დასასრულსა და ახალი ცხოვრებისაკენ ნეპალის ხალხის აღორძინებას მოასწავებდა. 1954 წელს გამოქვეყნდა დეკლარაცია კონსტიტუციის შემოღებისა და საყოველთაო არჩევნების ჩატარებაზე. 1955 წელს ნეპალის მეფემ გამოაცხადა მიწის რეფორმა.

მიწის რეფორმა ითვალისწინებდა მემამულეთა უფლებების შეზღუდვას და გლეხობის მდგომარეობის რამდენადმე შემსუბუქებას. ამ რეფორმით მიწის მფლობელს უფლება ჰქონდა პრეტენზია განეცხადებინა მოსაელის არაუმეტეს ერთ მეოთხედ ნაწილზე და მას არ შეეძლო განედევნა მიწიდან გლეხი, თუკი ამ უკანასკნელმა იმუშავა მიწაზე ორი წელი.

1955 წელს ნეპალი მიღებულ იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად. ნეპალი ბანდუნგის კონფერენციაში იღებდა მონაწილეობას და საერთაშორისო საკითხებში მშვიდობიანი თანაარსებობის ხუთი პრინციპის პოზიციაზე იდგა. ნეპალი წინააღმდეგი იყო ყოველგვარ დაჯგუფებებსა და ბლოკებში მონაწილეობის მიღებისა, და ამან დიდად შეუწყო ხელი მისი საერთაშორისო ავტორიტეტის ამაღლებას.

ტანკა პრასად აჩარიას მთავრობა

1956 წლამდე, ე. ი. ხელისუფლების სათავეში ტანკა პრასად აჩარიას ჩადგომამდე, ნეპალს არ უცდია გამოეყენებინა სახელმწიფოებრივი და ეკონომიური მშენებლობის ყველა ის შესაძლებლობა, რომლებიც მის წინაშე გადაიშალა უკანასკნელ წლებში. ამ მდგომარეობის გამოყენება სცადეს ამერიკის შეერთე-

ბულმა შტატებმა, რომლებმაც გულუხვი „დახმარების“ აღმოჩენა აღუთქვეს ნეპალს, ოღონდ კი ჩაეთრიათ იგი აგრესიულ სეატოს ბლოკში. იმპერიალისტების თვალში ნეპალი მეტად მნიშვნელოვან პლაცდარმს წარმოადგენდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ ინტრიგებისა და აგრესიისათვის.

ახალმა პრემიერმა ხელისუფლების სათავეში ჩადგომისთანავე განაცხადა, რომ საგარეო პოლიტიკაში იგი იხელმძღვანელებდა ბანდუნგის კონფერენციის გადაწყვეტილებებით, ჩაატარებდა საყოველთაო არჩევნებს 1957 წელს და შეუდგებოდა მიწის რეფორმების განხორციელებას. გაუქმებულ იქნა 1952 წლის კანონი კომუნისტური პარტიის აკრძალვის შესახებ. ანიჭებდა რა დიდ მნიშვნელობას საბჭოთა კავშირთან ეკონომიურ და პოლიტიკურ ურთიერთობას, პრემიერმა აჩარიამ 1956 წლის ივლისში საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა საელჩოების დონეზე. ამან საფუძველი ჩაუყარა ორიეე ქვეყანას შორის მეგობრული თანამშრომლობის შემდგომი გაფართოების საქმეს.

1 აგვისტოს ნეპალმა დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან, რის შემდეგაც განახლდა ტრადიციული ვაჭრობა ჩინეთსა და ნეპალს შორის. 1956 წლის სექტემბერს აჩარიამ იმოგზაურა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, რამაც ხელი შეუწყო ამ ორ ქვეყანას შორის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებას. 20 სექტემბერს ხელმოწერილ იქნა შეთანხმება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და ნეპალს შორის მეგობრული ურთიერთობისათვის ხელის შეწყობაზე და ჩინეთის ტიბეტის რაიონსა და ნეპალს შორის ვაჭრობისა და მისელა-მოსელის შესახებ. 1956 წლის ოქტომბერში ხელმოწერილ იქნა ჩინეთ-ნეპალის შეთანხმება ეკონომიური დახმარების შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა, რომ სამი წლის განმავლობაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა დახმარებას აღმოუჩენს ნეპალს 60 მილიონი ინდური რუპიის რაოდენობით, რომელთაგან 20 მილიონი გადაეცემა ნაღდად, ხოლო დანარჩენ 40 მილიონის ღირებულების ანგარიშში ჩინეთი ნეპალს მიაწვდის მანქანებს, მოწყობილობებს, ნედლეულსა და სხვა მასალებს. ამ შეთანხმების თანახმად ჩინეთმა 1957 წლის თებერვალში 10 მილიონი ინდური რუპია გადასცა ნეპალს.

ინდოეთთან, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან, საბჭოთა კავშირსა და სხვა ქვეყნებთან თანასწორობისა და ურთიერთსარგებლიანობის პრინციპების საფუძველზე ეკონომიური ურთიერთობის განვითარებას ნეპალი უკავშირებს 1956—1960 ხუთწლიანი გეგმის განხორციელებას. გეგმაში ძირითადი ადგილი უკავია ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განვითარებას, წერილი მრეწველობის შექმნას, ქვეყნის პოტენციალური რესურსების გამოყენებას და მოსახლეობის საარსებო დონის ამაღლებას. ტრანსპორტის პრობლემა ნეპალისათვის ამჟამად ძირითადი პრობლემაა, რომლის გადაწყვეტის გარეშე შეუძლებელია ქვეყნის ეკონომიური განვითარება, მისი სიმდიდრისა და მთამადნეულის — ოქროს, თეთრი ოქროს, სპილენძის, რკინის, თუთიის, ტყვიის, ვერცხლისწყლის, ნავთობის, ნახშირის, ქარსისა და სხვათა დამუშავება.

ნეპალი 1957 და 1958 წლებში

1957 წლის ივლისში აჩარიას მთავრობა გადადგა. ახალი მთავრობა გაერთიანებული დემოკრატიული პარტიის ლიდერმა კუნვარ ინდრახვაჯ სინგხამ შეადგინა. პრემიერის პოსტის დაკავებისას სინგხამ განაცხადა, რომ ნეპალის ძირითადი პრობლემა მისი ეკონომიკის გაუმჯობესებაა და თუ სსრ კავშირი ან სხვა

რომელიმე ქვეყანა შესთავაზებს ნეპალს დახმარებას, რომელიც რაიმე პირობებთან არ იქნება დაკავშირებული, მაშინ „ჩვენ მიეღებთ ასეთ დახმარებასო“. გარდა ამისა, სინგხამ მტკიცედ და უპირობოდ დაუჭირა მხარი ინდოეთს ქაშმირის საკითხში.

1958 წლის აპრილში ოთხი დიდი პარტიების (ნეპალის კონგრესი, ნეპალის ნაციონალური კონგრესი, პრაჯა პარიშადი და გურკხა პარიშადი) წარმომადგენლებმა შეადგინეს კოალიციური მთავრობა სუბარნა შამშერის მეთაურობით. მთავრობის ერთ-ერთ ამოცანად ითვლებოდა საყოველთაო არჩევნების მომზადება.

1958 წლის ივნისში ნეპალის მეუე მაპენდრა ეწვია საბჭოთა კავშირს.

ᲐᲠᲐᲑᲣᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘ

არაბულ ქვეყნებს წინა აზიისა და აფრიკის ჩრდილოეთ ნაწილში უკავიათ ტერიტორია 9,2 მილიონი კვადრატული კილომეტრის მოცულობით. მოსახლეობა 70 მილიონს აღემატება. არაბულ ქვეყნებს ეკუთვნიან: არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა, ერაყის რესპუბლიკა, საუდის არაბეთი, ლიბანი, იორდანია, იემენი, ალჟირი, ტუნისი, მაროკო, ლიბია, სუდანი და არაბეთის წვრილი საამთავროები — ომანი, ხონდრამაუტი, კუვეიტი, კატარი, ადენი და სხვ.

პირველ მსოფლიო ომამდე არაბული ქვეყნების უმრავლესობა ოსმანთა იმპერიის პროვინციებს შეადგენდა. ამ იმპერიის დაშლის შემდეგ ერთა ლიგამ 1920—1922 წელს მანდატები გადასცა — სირიისა და ლიბანისა — საფრანგეთს, ერაყის, პალესტინისა და ტრანსიორდანიისა — ინგლისს. ეგვიპტე 1882 წლიდან ინგლისის პროტექტორატში შედიოდა, სუდანში 1899 წლიდან კონდომინიუმის რეჟიმი იყო დამყარებული.

საფრანგეთმა თავისი პროტექტორატი გაავრცელა ტუნისზე 1881 წელს, მაროკოზე —1912 წელს. ალჟირი დაპყრობილ იქნა საფრანგეთის მიერ ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველ ნახევარში.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მძლავრმა ტალღამ არაბული ქვეყნებიც მოიცვა. მოძრაობას სათავეში ჩაუდგა ეროვნული ბურჟუაზია, რომლის ინტერესები სულ უფრო სცილდებოდა უცხოეთის კაპიტალის ინტერესებს. სოციალიზმის მსოფლიო სისტემად გადაქცევამ დიდი შესაძლებლობანი გადაშალა არაბული ქვეყნების წინაშე.

გზამ, რომელსაც დაადგა არაბული სახელმწიფოების ეროვნული ბურჟუაზიის პატრიოტული ნაწილი, განაპირობა მისთვის ხალხთა ფართო მასების მხარდაჭერა; მან გამოიწვია მთელი არაბული აღმოსავლეთის პატრიოტულ ძალთა კონსოლიდაცია.

1945 წლის 10 მაისს რატიფიცირებულ იქნა არაბული სახელმწიფოების ლიგის წესდება, რომელიც მიღებული იყო არაბთა კონგრესზე კაიროში იმავე წლის 22 აპრილს. წესდებაში ნათქვამი იყო: „ლიგის მიზანია მასში მონაწილე სახელმწიფოთა შორის კავშირის განმტკიცება, ერთიანი პოლიტიკური ხაზის გამომუშავება მათ შორის თანამშრომლობის განსამტკიცებლად, მათი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის დაცვა“ და სხვ.

1956 წელს არაბული სახელმწიფოების ლიგამ ეგვიპტის წინააღმდეგ წარ-

მოებული აგრესიის დროს გამოხატა არაბ ხალხთა ნება-სურვილი დაეცვა თავისი ეროვნული დამოუკიდებლობა.

სწორედ ასევე 1957 წელსაც არაბულ სახელმწიფოთა ლიგამ მკაცრად დაგმო იმპერიალისტური აგრესია ინგლისისა და ომანის წინააღმდეგ და იმპერიალისტური ინტრიგები სირიის წინააღმდეგ.

არაბული ქვეყნები იბრძვიან უცხოეთის მონოპოლიების წინააღმდეგ, რომელთა შეტევა მკვეთრად იგრძნობა ნავთობის ხელში ჩასაგდებად. არაბული ქვეყნების ლიგის ეკონომიური საბჭოს სესიაზე, რომელიც 1957 წლის მაისივნისში შედგა კაიროში, მიღებულ იქნა რეზოლუცია ლიგის წევრი ქვეყნების პოლიტიკის კოორდინაციის შესახებ ნავთობის საკითხში. გადაწყდა 1958 წლის თებერვალში მოწვეულიყო არაბთა პირველი კონფერენცია ნავთობის საკითხებზე. შემოტანილ იქნა აგრეთვე წინადადება, რომ დასავლეთის სახელმწიფოთა ეკონომიური შეტევის საწინააღმდეგოდ შექმნილიყო სრულიად არაბეთის კომპანია ნავთობსადენთა ქსელის მშენებლობისათვის. ამ ნავთობსადენების საშუალებით შუა აღმოსავლეთის ქვეყნების ნავთობის სარეწები უნდა დაუკავშირდეს ხმელთაშუა და წითელ ზღვებსა და სპარსეთის ყურეზე მდებარე არაბული ქვეყნების ნავსადგურებს.

1957 წლის ნოემბერში არაბული ქვეყნების საეკონომო, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პალატების კონფერენციაზე განხილულ იქნა არაბული სახელმწიფოების ეკონომიური ერთიანობის საკითხი. კერძოდ, განხილულ იქნა წინადადება საერთო-არაბული ბაზრის შექმნის შესახებ დასავლეთის სახელმწიფოების მხრივ ხელყოფისაგან არაბული ქვეყნების ინტერესების დაცვის მიზნით; განხილულ იქნა აგრეთვე საკითხი არაბთა გაერთიანებული კომპანიების შექმნის შესახებ. ჯერ კიდევ არცთუ ისე დიდი ხნის წინ არაბული სახელმწიფოები სრულიადაც არ აყენებდნენ ასეთ საკითხებს და, ცხადია, რომ თვით საკითხის ამგვარი დაყენება მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა, და გვიჩვენებს არაბი ხალხების მისწრაფებას, შექმნას თავისი დამოუკიდებელი ეროვნული ეკონომიკა.

არაბთა ხალხთიანებული რესპუბლიკა

(ეგვიპტის რაიონი)

ეგვიპტელი ხალხის ბრძოლა 1956 წლის ხელშეკრულების გასაუქმებლად

მეორე მსოფლიო ომის დროს ეგვიპტე საომარ მოქმედებათა ასპარეზად გადაიქცა. გერმანია-საბჭოთა კავშირის ფრონტზე გერმანელ ფაშისტთა ჯარების წარუმატებლობამ იხსნა ინგლისელები ეგვიპტეში დამარცხებისაგან და საშუალება მისცა მათ გამოეძევებინათ გერმანელები ეგვიპტიდან.

ომმა ეგვიპტის მუშათა კლასის რაოდენობრივი და თვისებრივი ზრდა გამოიწვია. ფაშისტური გერმანიისა და იმპერიალისტური იაპონიის განადგურებას ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ძლიერი აღმავლობა მოჰყვა ეგვიპტეში. ხალხი მოითხოვდა ეგვიპტის სრულ დამოუკიდებლობას და სუდანში კონდომინიუმის რეჟიმის ლიკვიდაციას. გაძლიერდა წინააღმდეგობა ეგვიპტის ეროვნულ ბურჟუაზიასა და უცხოეთის კაპიტალს შორისაც.

1946 წლის დეკემბერს ეგვიპტის მთავრობამ მოსთხოვა ინგლისს 1936 წლის ხელშეკრულების გაუქმება. ეგვიპტის მთავრობის მოთხოვნა მხედველობაში არ იქნა მიღებული ინგლისის მიერ, რამაც მასობრივი გამოსვლის ახალი ტალღა გამოიწვია. ეაფდისტთა მთავრობა იძულებული შეიქმნა გადამდგარიყო.

ამის შემდეგ მალე განახლდა მოლაპარაკება ინგლისსა და ეგვიპტეს შორის. მოლაპარაკება ლონდონში მიმდინარეობდა ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრ ბევინსა და ეგვიპტის პრემიერ-მინისტრ სიდკი-ფაშას შორის. ინგლისის მიერ დაკავებული პოზიცია იმდენად ეწინააღმდეგებოდა ეგვიპტის საზოგადოებრიობის მოთხოვნებს, რომ განახლებულ დემონსტრაციათა გავლენით სიდკი-ფაშა იძულებული შეიქნა პოსტიდან გადამდგარიყო. ახალმა მთავრობამ ნაკრაშიფაშას მეთაურობით მიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას საჩივრით და მოითხოვა სუეცის არხის ზონიდან ინგლისის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანა; წამოყენებულ იქნა აგრეთვე მოთხოვნა სუდანში კონდომინიუმის რეჟიმის ლიკვიდაციის შესახებ.

1947 წლის შემოდგომაზე უშიშროების საბჭომ განიხილა ეგვიპტის საჩივარი, რომელსაც მხარს უჭერდა საბჭოთა კავშირი. მაგრამ იმპერიალისტური სახელმწიფოები შეეცადნენ გადაედოთ საკითხის გადაწყვეტა განუსაზღვრელი ვადით. ეგვიპტეში ხელახლა დაიწყო გაფიცვები. ადგილი ჰქონდა მასობრივ დემონსტრაციებს 1936 წლის ხელშეკრულების გაუქმებისა და ეგვიპტიდან ინგლისელებისა და ამერიკელების გაძევების მოთხოვნით.

1948 წელს აშშ-ის და ინგლისის წაქეზების შედეგად იფეთქა პალესტინის ომმა არაბულ სახელმწიფოებსა და ისრაელს შორის. ამ ომში ეგვიპტე იქნა ჩათრეული. ომის შეწყვეტის შემდეგ აშშ-მა და ინგლისმა არ დაუშვეს სადავო საკითხების ნებაყოფლობითი გადაჭრა მეომარ სახელმწიფოებს შორის, კერძოდ, პალესტინელ არაბთა საკითხის გადაჭრა.

ეგვიპტის მიერ 1936 წლის ხელშეკრულების დენონსაციის. ინგლის-ეგვიპტის კონფლიქტი

1936 წლის ხელშეკრულების გასაუქმებლად მოწყობილმა სახალხო დემონსტრაციებმა გამოძახილი ჰპოვეს ეგვიპტის პარლამენტში. 1951 წლის გაზაფხულმა და ზაფხულმა დიდი ანტიიმპერიალისტური სახალხო დემონსტრაციებისა და საპროტესტო მიტინგების პირობებში ჩაიარეს. ამ მოვლენათა ზეგავლენით 1951 წლის 15 ოქტომბერს ეგვიპტის პარლამენტმა მიიღო კანონი ინგლის-ეგვიპტის 1936 წლის ხელშეკრულებისა და სუდანის კონდომინიუმის რეჟიმზე 1899 წლის კონვენციის გაუქმების შესახებ.

ინგლისის მთავრობამ არ სცნო ინგლის-ეგვიპტის 1936 წლის ხელშეკრულების დენონსაცია. სუეცის არხის ზონაში დამატებით შეყვანილ იქნა ინგლისის ჯარები, რომლებმაც დაიკავეს ეგვიპტის უმნიშვნელოვანესი ადმინისტრაციული და სტრატეგიული პუნქტები, როგორიცაა, მაგალითად, პორტ-საიდი და ისმაილია, ფორტი აგრუბა და სხვ. ახალ ოკუპაციას თან სდევდა ადგილობრივ მოსახლეობაზე უხეში ძალადატანება.

ეგვიპტის მთავრობამ საალაო წესები გამოაცხადა მთელ ეგვიპტეში და მიიღო კანონი მობილიზაციის შესახებ. ინგლის-ეგვიპტის ურთიერთობის გამწვავებით ისარგებლეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, რომლებმაც 1951 წლის 5 მაისს თავს მოახვიეს ეგვიპტეს ხელშეკრულება „ტექნიკური დახმარების“ შე-

სახებ „ტრუმენის პროგრამის მეოთხე პარაგრაფის“ საფუძველზე. შეთანხმებაზე ხელისმოწერის შემდეგ აშშ შეუდგნენ ეგვიპტეში ნავთობისა და სხვა მთამადნეულის ძიებას. 1953 წლის თებერვალში აშშ ახალი ხელშეკრულება დადეს ეგვიპტესთან ნილოსის დელტის ჩრდილოეთ რაიონებში ლითონის მადნების გეოლოგიურ კვლევა-ძიებაში ამერიკის მონაწილეობის შესახებ. ამის შემდეგ ამერიკის საქმოსანთა დიდი ჯგუფი გაემგზავრა კაიროში ეგვიპტის ბაზრის შესწავლისა და ამერიკის კაპიტალდაბანდების გადიდების მიზნით, პირველ რიგში — ეგვიპტის ნავთობში.

ინგლისის ხარჯზე ეგვიპტეში თავისი გავლენის გაძლიერების მიზნით აშშ-ებმა შუამდგომლობა იკისრეს ინგლის-ეგვიპტის კონფლიქტის მოგვარებაში. ეგვიპტის მთავრობამ არ მიიღო ეს წინადადება. ამასთან ეგვიპტე უარყოფითად მოეკიდა აგრეთვე აშშ-ის წინადადებას იმის შესახებ, რომ ეგვიპტე შეერთებოდა დაპროექტებულ ინგლის-ამერიკის აგრესიულ ბლოკს, რომელიც „შუა აღმოსავლეთის სარდლობის“ სახელწოდებას ატარებდა. ეგვიპტის მხრივ უარის თქმაზე დიდი გავლენა იქონიეს საბჭოთა კავშირის ნოტებმა, რომლებიც 1951 წლის 21 და 22 ნოემბერს დაეგზავნათ ეგვიპტის, სირიის, ლიბანის, ერაყის, საუდის არაბეთის, იემენისა და ისრაელის მთავრობებს. თავის ნოტებში საბჭოთა კავშირი ხაზს უსვამდა, რომ „შუა აღმოსავლეთის სარდლობის“ შექმნა დაკავშირებულია აგრესიულ ჩრდილო-ატლანტიკურ ბლოკთან და რომ მისი მიზანია ჩაითრიოს არაბული ქვეყნები იმ სამხედრო ღონისძიებებში, რომლებიც მიმართულია საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ. ნოტებში აგრეთვე მითითებული იყო, რომ მათ ტერიტორიებზე უცხო ქვეყნების ბაზების შექმნა გამოიწვევს ამ ქვეყნების სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის ლიკვიდაციას და სერიოზულ ზიანს მიაყენებს იმ ურთიერთობას, რომელიც სსრ კავშირსა და ამ ქვეყნებს შორის არსებობს, აგრეთვე ახლო და შუა აღმოსავლეთში მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნების საქმეს. იმავე წლის 24 ნოემბერს საბჭოთა მთავრობამ ნოტები გაუგზავნა აგრეთვე აშშ-ის, ინგლისის, საფრანგეთისა და თურქეთის მთავრობებს იმის შესახებ, რომ პასუხისმგებლობა იმ მდგომარეობისათვის, რაც შესაძლებელია შეიქმნას „შუა აღმოსავლეთის სარდლობის“ გეგმის განხორციელების შედეგად, მთლიანად დაეკისრება ზემოხსენებულ მთავრობებს.

ამასობაში ინგლისელები განაგრძობდნენ სუეცის არხის ზონაში დიდი სამხედრო ძალების კონცენტრაციას, რომლებიც მალტიდან, კვიპროსიდან და ტრიესტიდან მოვიდნენ. ინგლისის ჯარებმა დაიკავეს უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პუნქტები, კონტროლი დააწესეს კაიროსა და სუეცის არხის ზონას შორის რკინიგზით მიმოსვლაზე, აგრეთვე ელ-ფირდანზე (სარკინიგზო კავშირი სუეცის არხის გავლით), და გაფართოეს აგრესიის რაიონი სუეცის არხის ზონის ფარგლებს გარეთ. ეგვიპტეში გაიშალა მძაფრი სახალხო მოძრაობა ოკუპანტთა წინააღმდეგ. სუეცის არხის ზონაში 60 ათასმა ეგვიპტელმა მუშამ შეწყვიტა მუშაობა. დაიწყო ინგლისელთა წინააღმდეგ ბოიკოტის კომპანია. მტვირთავებმა უარი განაცხადეს ინგლისის გემების გადმოტვირთვაზე.

იმპერიალიზმის წინააღმდეგ ეგვიპტელი ხალხის მიერ წარმოებულმა ბრძოლამ მხურვალე გამოძახილი ჰპოვა დანარჩენ არაბ ხალხთა შორის. სუდანში, ერაყში, ლიბანსა და სხვა ქვეყნებში სოლიდარობის დემონსტრაციები მიმდინარეობდა. ეგვიპტელი ხალხისადმი თანაგრძნობის დემონსტრაციები ევროპის

ქვეყნებშიც ტარდებოდა. ინგლისის კომუნისტურმა პარტიამ მოითხოვა ინგლისის ჯარების გაყვანა ეგვიპტიდან. ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციამ სოლიდარობა გამოუცხადა ეგვიპტის ახალგაზრდობას. ეგვიპტის მაოკუპირებელ ინგლისელ ჯარისკაცთა შორისაც კი დაიწყო მღელვარება. ჯარისკაცები არ ემორჩილებოდნენ სარდლობას, უარს აცხადებდნენ დემონსტრანტების წინააღმდეგ სროლაზე; იყო შემთხვევები, რომ ჯარისკაცები თვითონ მონაწილეობდნენ ანტიბრიტანულ დემონსტრაციებში.

იმპერიალისტებმა დაიჩქარეს მოვლენათა კვანძის გახსნა. 1952 წლის 26 იანვარს მათ კაიროში აღმაშფოთებელი პროვოკაცია მოაწყეს. როდესაც ამ დღეს კაიროს მოსახლეობა დემონსტრაციაზე გამოვიდა, ინგლის-ამერიკის აგენტებმა და პროვოკატორებმა ცეცხლი წაუკიდეს ინგლისის კუთვნილ შენობებს და დაარბიეს ეგვიპტის კულტურული და პროფკავშირული ორგანიზაციები.

ეს ამბები, რაც იმპერიალისტების მიერ იყო პროვოცირებული, მათ მიერვე იქნა გამოყენებული ეგვიპტელი ხალხის წინააღმდეგ. ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა კეფერიმ ეგვიპტის მეფე ფარუკისაგან მოითხოვა ნახას-ფაშას მთავრობის გადადგომა. პრემიერად და კაიროს გუბერნატორად დაინიშნა მეფის სასახლის ყოფილი უფროსი ალი მახერ-ფაშა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს ინგლისელთა მოთხოვნით ეგვიპტის ხელისუფალთა მიერ ინტერნირებულ იქნა ფაშისტურ სახელმწიფოებთან კავშირისათვის. აშკარა რეაქციონერმა, პრო-ამერიკული პოლიტიკის მომხრემ ალი მახერმა საალყო წესები შემოიღო მთელ ეგვიპტეში და შექმნა სამხედრო ტრიბუნალები. მან ჩაატარა ვაფდისტებისაგან სახელმწიფო აპარატის წმენდა, სასტიკი რეპრესიები გაატარა მშვიდობის მომხრეთა წინააღმდეგ. ასევე გაუსწორდა იგი იმათაც, ვინც „შუა აღმოსავლეთის სარდლობის“ წინააღმდეგ ილაშქრებდა.

1952 წლის 23 ივლისის რევოლუცია. ეგვიპტის გამოცხადება რესპუბლიკად

პორტ-საიდსა და სუეცში იზრდებოდა პარტიზანული ბრძოლა. 1952 წლის პირველ ნახევარში ეგვიპტეში მთავრობა ხუთჯერ შეიცვალა, რომელთაგან ერთი ნაწილი ინგლისის ორიენტაციის მომხრე იყო, მეორე — ამერიკის. 1952 წლის 23 ივლისს ეგვიპტის ახალგაზრდა ოფიცერთა ჯგუფმა პოდპოლკოვნიკ გამალ აბდელ ნასერის მეთაურობით, ხალხის მხარდაჭერით, ჩამოაგდო ინგლისელთა დამქაში ეგვიპტის საძულველი მეფე ფარუკი. 1953 წლის 18 ივნისს ეგვიპტე რესპუბლიკად იქნა გამოცხადებული. გადატრიალების შემდეგ ეგვიპტეს სათავეში ჩაუდგა ხელმძღვანელი რევოლუციური საბჭო.

პირველი ნაბიჯები ეროვნული აღორძინების გზაზე

ეგვიპტის მეურნეობას კოლონიზატორებმა სამოცდაათი წლის ბატონობის მძიმე დაღი დაასვეს. კოლონიზატორები ხელს უშლიდნენ ეკონომიკის განვითარებას და ეგვიპტე გადააქციეს ნედლეულის მიმწოდებელ წყაროდ და სამრეწველო საქონლის გამსაღებელ ბაზრად. ეგვიპტის მოსახლეობის ორი მესამედი სოფლის მეურნეობას მისდევდა, ამიტომ, ცხადია, მთავარი საკითხი მიწის რე-

ყორნა იყო. მიწათმოქმედთა 92 პროცენტს უმიწაწყლო და მცირემიწის მქონე გლეხობა შეადგენდა, რომელთა წილად მთელი დასამუშავებელი მიწის მხოლოდ ერთი მესამედი მოდიოდა. ამიტომ მიწის რეფორმის გატარება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ ძირითად მოთხოვნას წარმოადგენდა.

ხელმძღვანელმა რევოლუციურმა საბჭომ პირველ რიგში მოახდინა მეფის ოჯახის მიწის კონფისკაცია, რომლის საერთო ღირებულებამ 75 მილიონი ეგვიპტური გირვანქა სტერლინგი შეადგინა. 1953 წლის 9 სექტემბერს გამოქვეყნებულ იქნა „მიწათმფლობელობის შეზღუდვისა და აგრარულ ურთიერთობათა მოწესრიგების კანონი". კანონით გამოცხადდა მიწის რეფორმა, რომლის განხორციელება ხუთი წლის განმავლობაში იყო ნავარაუდევი. მსხვილ მიწათმფლობელ შემაშულეებს უნდა ჩამორთმეოდათ 84 ჰექტარზე მეტი მიწები. ჩამორთმეული მიწები უნდა გადასცემოდათ უმიწაწყლო გლეხებს ღირებულების გადახდით, რაც დაფარული იქნებოდა 30 წლის განმავლობაში. გლეხებს შორის განაწილდა 300 ათასი ჰექტარი მიწა, რითაც ნაწილობრივ შემსუბუქებულ იქნა უმიწაწყლო და მცირემიწიან გლეხთა მდგომარეობა.

სოფლის მეურნეობის აღორძინების საქმისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ახალი მიწების ათვისებას. მაგრამ, ეს პრობლემა მჭიდროდ იყო დაკავშირებული საირიგაციო სისტემის განვითარებასთან. ამასთან დაკავშირებით წარმოიშვა დიდი ასუანის კაშხალის მშენებლობის პროექტი, რომელიც შეადგენდა ეგვიპტის ეროვნული ეკონომიკის განვითარების ხუთწლიანი გეგმის უმნიშვნელოვანეს ნაწილს. იგი 1952 წლის 31 დეკემბერს დამტკიცდა, ასუანის კაშხალი 5 კილომეტრი სიგრძისაა და 120 მეტრი სიმაღლის; იგი მდინარე ნილოსზე შექმნის ხელოვნურ წყალსაცავს, რომლის ტევადობა 130 მილიარდი კუბური მეტრი იქნება. ასუანის კაშხალმა უნდა მორწყას 500 ათასი ჰექტარი უდაბნო და 120 ათასი ჰექტარი სხვა ადგილები. ამ გეგმის განხორციელებით 30 პროცენტით გადიდდება ეგვიპტის სათესი ფართობი.

მშენებლობის დასაფინანსებლად, რომლის საპროექტო ღირებულება 1.350 მილიონი დოლარით იქნა განსაზღვრული, ეგვიპტემ 1953 წლის მარტში მიმართა რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს და აგრეთვე დასავლეთის ქვეყნების ზოგიერთ მთავრობას. აშშ და ინგლისი ხალისით გამოეხმაურნენ ეგვიპტის თხოვნას, რადგანაც მათ მხედველობაში ჰქონდათ ეგვიპტის ფინანსური სიძნელეების გამოყენება ანგარებითი მიზნებით.

იმპერიალისტური სახელმწიფოების ასეთი ვარაუდი მოულოდნელი არ იყო ეგვიპტისათვის. იმისათვის, რომ უცხოეთის კაპიტალისათვის გამორიცხული ყოფილიყო ასუანის კაშხალის მშენებლობაში გაბატონებული მდგომარეობის დაკავების ყოველგვარი შესაძლებლობა, ეგვიპტის მთავრობამ გადაწყვიტა გასაელის ძირითადი ნაწილი — 950 მილიონი დოლარი, რომელიც ხელფასისა და ადგილობრივი სამშენებლო მასალისათვის იყო საჭირო, დაეფარა ეროვნული კაპიტალის ხარჯზე, და მხოლოდ 400 მილიონი უცხოეთის ვალუტის სახით მიეღო აშშ-დან, ინგლისიდან და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკიდან ტექნიკურ მოწყობილობათა ღირებულების გასანაღდებლად, რაც საზღვარგარეთიდან უნდა ყოფილიყო შემოტანილი.

ასუანის კაშხალის მშენებლობასთან დაკავშირებული იყო ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის გეგმები; ამ სადგურებს 1959 წლისათვის ეგვიპტისათვის უნდა მიეცათ 2 მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგია, ხოლო

შემდგომში ელექტროენერგიის გამომუშავება 10 მილიარდ კილოვატსაათამდე უნდა იქნეს აყვანილი. გეგმით გათვალისწინებული იყო აგრეთვე ნავთობის, ქვების, ქიმიური მრეწველობისა და სხვ. საწარმოთა მშენებლობა. დაწყებულია მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა, რომელიც წლიურად 220 ათას ტონა რკინასა და ფოლადს გამოუშვებს.

1954 წელს ეგვიპტემ, მიუხედავად დასავლეთის სახელმწიფოების მრრიე დაშინებისა, ხელი მოაწერა სავაჭრო ხელშეკრულებას საბჭოთა კავშირთან, ხოლო შემდეგ — სოციალისტური ბანაკის სხვა ქვეყნებთანაც. ამ შეთანხმებებმა საშუალება მისცეს ეგვიპტეს ნედლეულის, უმთავრესად ბამბის, სანაცვლოდ მიეღო სოციალისტური ქვეყნებიდან ტექნიკური დახმარება, მოწყობილობა და მანქანები, რაც აუცილებელი იყო სამრეწველო მშენებლობისათვის, საირიგაციო სისტემის გასაუმჯობესებლად და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის.

საბჭოთა კავშირის სამეცნიერო-ტექნიკური დახმარებით ეგვიპტე შეუდგა კაიროში ატომგულის ფიზიკის ლაბორატორიის შექმნას.

ჩეხი და უნგრელი სპეციალისტების მონაწილეობით ეგვიპტეში ახალი ქარხნები, ფაბრიკები და ელექტროსადგურები შენდება. ეგვიპტის თავდაცვის გასაძლიერებლად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩეხოსლოვაკიასთან შეთანხმებას მისგან საბრძოლო აღჭურვილობის შესყიდვის შესახებ ეგვიპტური საქონლის სანაცვლოდ. ამ შეთანხმებით ეგვიპტემ თავი დააღწია თავდაცვის საკითხებში აშშ-ისა და ინგლისისაგან მუდმივ დამოკიდებულებას, რომელთა ხელში იყო აღმოსავლეთის არაბული ქვეყნებისათვის სამხედრო საჭურველის მიყიდვის მონოპოლია.

1955 წლის აპრილში ეგვიპტე მონაწილეობდა ბანდუნგის კონფერენციაში, რომელმაც მიიღო რეზოლუცია კოლონიალიზმის საწინააღმდეგოდ და მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი აღიარა. აზიისა და აფრიკის ქვეყნების ერთიანობის განმტკიცებისათვის ეგვიპტის მთავრობის მნიშვნელოვან ნაბიჯს შეადგენდა მის მიერ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცნობა. ზოგიერთ სხვა არაბულ ქვეყანასთან ერთად ეგვიპტემ დაგმო ბაღდადის პაქტი, როგორც „არაბ ხალხთა საპყრობილე“, და გადაწყვიტა წინ აღუდგა მასში მონაწილეობას. არაბეთის ხალხებმა შემდგომშიაც გაუწიეს წინააღმდეგობა იმპერიალისტთა ცდას ჩაეთრიათ ეს ქვეყნები იმპერიალისტურ ბლოკებში; ასეთი წინააღმდეგობის შედეგად ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება ურთიერთდახმარების შესახებ ეგვიპტესა და სირიას შორის.

უცხოეთის ოკუპაციისაგან განთავისუფლება. კონსტიტუციის მიღება

ეგვიპტის მთავრობის დიდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს 1954 წლის 19 ოქტომბერს ინგლისთან შეთანხმების დადება სუეცის არხის ზონიდან 18 თვის განმავლობაში ინგლისის ჯარების გაყვანის შესახებ. 1956 წლის ზაფხულში ინგლისის უკანასკნელმა ჯარისკაცმა დატოვა ეგვიპტე და იგი განთავისუფლებულ იქნა უცხოეთის ოკუპაციისაგან.

1956 წლის 23 ივნისს ეგვიპტეში ჩატარდა პლებისციტი, რომელმაც მოიწონა ეგვიპტის რესპუბლიკის კონსტიტუცია. იმავე დღეს ჩატარდა პრეზიდენტის არჩევნები. კონსტიტუციის პრეამბულაში ეგვიპტის რესპუბლიკის შემდეგი მიზნებია ჩამოთვლილი: იმპერიალიზმისა და მისი დამჭაშების ამოძირკვა, ფეოდა-

ლიზმის მოსპობა, მონოპოლიების აღმოფხვრა, ძლიერი ეროვნული არმიის შექმნა, სოციალური სამართლიანობისა და დემოკრატიული ცხოვრების შექმნა. ახალ კონსტიტუციას ხმა მისცა ამომრჩეველთა 97,6 პროცენტმა. პრეზიდენტად არჩეულ იქნა პოლკოვნიკი გამალ აბდელ ნასერი.

სუეცის არხის კომპანიის ნაციონალიზაცია

დამოუკიდებელ ეროვნულ სახელმწიფოდ ეგვიპტის გამოცხადებამ იმპერიალისტური სახელმწიფოების დიდი განგაში გამოიწვია. 1956 წლის 19 ივლისს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და მის შემდეგ ინგლისმაც განუცხადეს ეგვიპტის მთავრობას, რომ ისინი უკან იბრუნებენ თავიანთ თანხმობას ეგვიპტისათვის სესხის მიცემის შესახებ, რომელიც ასუანის კაშხალის მშენებლობისათვის იყო გათვალისწინებული. 26 ივლისს ეგვიპტის მთავრობამ გამოაცხადა სუეცის არხის კომპანიის ნაციონალიზაცია და ერთდროულად მზადყოფნა გამოთქვა კომპანიის აქციონერთათვის სრული კომპენსაციის გადახდის შესახებ; ამასთან ეგვიპტის მთავრობამ მზადყოფნა გამოთქვა სუეცის არხით თავისუფალი ნაოსნობის დაცვის შესახებ, რომელიც 1888 წლის კონსტანტინეპოლის კონვენციითაა გათვალისწინებული.

სუეცის არხის ნაციონალიზაციის შესახებ ეგვიპტის მთავრობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას მხურვალედ დაუჭირა მხარი თავისუფლებისმოყვარე ყველა ხალხმა. იმ ქვეყნების რიცხვში, რომლებმაც მოიწონეს ნაციონალიზაცია, იყვნენ: სირია, ლიბანი, იორდანია, საუდის არაბეთი, იემენი, ლიბია, ტუნისი, მაროკო, საბერძნეთი, იუგოსლავია, ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, საბჭოთა კავშირი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, ინდოეთი, პაკისტანი, ინდონეზია, უნგრეთი, ცეილონი, სუდანი, ავღანეთი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა და სხვ.

ამავე დროს ეგვიპტის მთავრობის აქტს გაბოროტებით შეხედნენ დასავლეთის ის წრეები, რომლებიც იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის რესტავრაციისაკენ მიიღტვოდნენ. ინგლისის, საფრანგეთისა და აშშ-ის საგარეო საქმეთა მინისტრებმა, რომლებიც ლონდონში შეიკრიბნენ, კეთილგონიერების, საერთაშორისო უფლებათა პრინციპებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების საწინააღმდეგოდ გამოაცხადეს, რომ თითქოს სუეცის არხის კომპანია „საერთაშორისო ინსტიტუტს“ წარმოადგენს და ამიტომ მასზე ნაციონალიზაცია არ უნდა ვრცელდებოდესო. იმავე დროს დასავლეთის სახელმწიფოებმა გამოიყენეს ეგვიპტის წინააღმდეგ ეკონომიური სანქციები, გაყინეს ეგვიპტის ვალუტის აქტივი საზღვარგარეთ და საბრძოლო მზადყოფნაში მოიყვანეს თავიანთი შეიარაღებული ძალები. გაძლიერდა ინგლისისა და საფრანგეთის ფლოტის კონცენტრაცია სუეცის არხის რაიონში. სუეცის არხის კომპანიის აგენტებმა გაშალეს თავიანთი დეზორგანიზატორული საქმიანობა არხში ნორმალური ნავიგაციის პარალიზებისა და საერთაშორისო გართულებათა გამოწვევის მიზნით.

ლონდონის კონფერენცია სუეცის არხის საკითხებზე

ინგლისის, საფრანგეთის და აშშ საგარეო საქმეთა სამი მინისტრის თათბირის მონაწილეებმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გვერდის აცილით გადაწყვიტეს 16 აგვისტოს ლონდონში მოეწვიათ საერთაშორისო კონფერენცია

სუეცის არხის საკითხებზე. ამ კონფერენციის მიზანი ის იყო, რომ აეძულებინათ ეგვიპტის მთავრობა გადაესინჯა კომპანიის ნაციონალიზაციის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება და დათანხმებულიყო არხის „ინტერნაციონალიზაციაზე“.

ამგვარად, კონფერენციის მოწვევის ინიციატორებად გამოვიდნენ ინგლისი და საფრანგეთი, როგორც კომპანიის მთავარი აქციონერები, აგრეთვე აშშ, რომლებიც არც კი იყვნენ 1888 წლის კონვენციის მონაწილენი. კონფერენციის მოწვევის საკითხი არ შეუთანხმებიათ ეგვიპტესთან და არც ჰქონიათ ამაზე კონსულტაცია საბჭოთა კავშირთან და 1888 წლის კონვენციის სხვა მონაწილეებთან. კონვენციის მონაწილეთა სია, რომელშიც სუეცის არხის კომპანიის აქციის მფლობელნი და 1888 წლის კონვენციის მონაწილენი უნდა ყოფილიყვნენ, შედგენილ იქნა მეტად ტენდენციურად და იგი გაანგარიშებული იყო იმისათვის, რომ უმრავლესობას მხარი დაეჭირა წინადადებისათვის სუეცის არხის „ინტერნაციონალიზაციის“ შესახებ. გათვალისწინებული იყო, რომ კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებდნენ შემდეგი სახელმწიფოები: ეგვიპტე, საფრანგეთი, იტალია, ჰოლანდია, ესპანეთი, თურქეთი, ინგლისი, საბჭოთა კავშირი, ავსტრალია, ცეილონი, დანია, ეთიოპია, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, საბერძნეთი, ინდოეთი, ინდონეზია, ირანი, იაპონია, ახალი ზელანდია, ნორვეგია, პაკისტანი, პორტუგალია, შვეიცია და ამერიკის შეერთებული შტატები.

ყურადსაღებია, რომ მოწვეულთა სიაში არ იყვნენ შეტანილი არაბული სახელმწიფოები, რომლებიც ტერიტორიულად სუეცის არხის ზონასთან მდებარეობენ და შეტად დაინტერესებული იყვნენ ამ საკითხის სამართლიანი მოწესრიგებით.

ინგლისის მთავრობისაგან კონფერენციაში მონაწილეობის თაობაზე მოწვევის მიღებასთან დაკავშირებით საბჭოთა მთავრობამ 1956 წლის 9 აგვისტოს ინგლისის მთავრობას გაუგზავნა ნოტა, რომელსაც თან ერთოდა ერთდროულად ყველა სახელმწიფოსათვის გაგზავნილი განცხადება. თავის ნოტაში საბჭოთა მთავრობა მიუთითებდა იმაზე, რომ ეგვიპტის მთავრობის მოქმედება სუეცის არხის ნაციონალიზაციის საკითხში მას მიაჩნია სრულიად კანონიერ მოქმედებად, რომელიც ეგვიპტის სუვერენული უფლებებიდან გამომდინარეობს.

საბჭოთა მთავრობა მიუთითებდა აგრეთვე, რომ მომავალი კონფერენცია არც თავისი მონაწილეთა შემადგენლობით, არც თავისი ხასიათითა და მიზნებით არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც საერთაშორისო თათბირი, რომელიც უფლებამოსილი იქნებოდა მიეღო რაიმე გადაწყვეტილება სუეცის არხის შესახებ. საბჭოთა კავშირმა, რომელიც საერთაშორისო საკითხების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის დამცველია, მიიღო რა მხედველობაში, რომ მომავალ კონფერენციას ლონდონში შეეძლო გამოენახა საკითხისადმი ისეთი მიდგომის გზები, რაც დაკავშირებული იქნებოდა სუეცის არხით ნაოსნობის თავისუფლებასთან, გაგზავნა თავისი წარმომადგენელი კონფერენციაზე.

ეგვიპტის მთავრობამ უარი განაცხადა ლონდონის კონფერენციაში მონაწილეობაზე. ეგვიპტის მთავრობის განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ მას „არ შეუძლია გამიზნული კონფერენცია... ჩათვალოს საერთაშორისო კონფერენციად, რომელიც კომპეტენტური იქნება მიიღოს გადაწყვეტილებები. გარდა

ამისა, ამ კონფერენციას არავითარი უფლება არა აქვს განიხილოს რაიმე საკითხი, რომელიც ეგვიპტის იურისდიქციაში შედის ან მის სუვერენიტეტს ეხება მისი ტერიტორიის რომელიმე ნაწილის შესახებ. ამიტომ, ასეთ კონფერენციაზე მიწვევა შეუძლებელია მიღებულ იქნეს ეგვიპტის მიერ".

ამასთან, ეგვიპტის მთავრობამ განაცხადა, რომ იგი მზადაა 1888 წლის კონვენციაზე ხელისმომწერ სხვა ქვეყნების მთავრობებთან ერთად მოიწვიოს კონფერენცია, რომელზედაც მიწვეული იქნებოდნენ სხვა მთავრობებიც, რომელთა გემებიც სარგებლობენ სუეცის არხით. ასეთი კონფერენცია გადასინჯავდა 1888 წლის კონვენციას და განიხილავდა კონვენციის მონაწილე ყველა ამ მთავრობას შორის შეთანხმების საკითხს, რაც სუეცის არხით ნავიგაციის თავისუფლების განმამტკიცებელი და გარანტიის მომცემი იქნებოდა.

სუეცის არხით მოსარგებლე 50 სახელმწიფოდან ლონდონის კონფერენციაში მონაწილეობას იღებდა მხოლოდ 24 სახელმწიფო, რომელთა უმრავლესობა ჩრდილოატლანტიკის ბლოკის, ბაღდადის პაქტისა და სეატოს მონაწილეები იყვნენ. როგორც მოსალოდნელიც იყო, კონფერენციაზე ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი სრულიად სხვადასხვა აზრი. ერთი ხაზი გამოხატული იყო ინდოეთის წინადადებაში, რომელსაც მხარი დაუჭირეს ინდონეზიამ, ცეილონმა და საბჭოთა კავშირმა. მეორე წინადადებამ თავისი გამოხატულება ჰპოვა აშშ-ის წინადადებაში, რომელიც „დალესის გეგმის" სახელწოდებითაა ცნობილი.

ინდოეთის წინადადება ეგვიპტის სუვერენული უფლებების ცნობისა და დაცვის პრინციპიდან გამომდინარეობდა; მხოლოდ ეგვიპტეს უნდა განეხორციელებინა სუეცის არხის მართვის ფუნქციები. ამასთან განსაზღვრული პრინციპი უნდა ყოფილიყო დადგენილი, რომლითაც ეგვიპტის, როგორც სუვერენული სახელმწიფოს, უფლებები სწორად იქნებოდა შეხამებული არხის ყველა მოსარგებლის ინტერესებთან. ინდოეთის წინადადება ითვალისწინებდა გეოგრაფიული წარმომადგენლობისა და ინტერესთა საფუძველზე საკონსულტაციო ორგანოს შექმნას, რომელიც არხით მოსარგებლეთა ინტერესების წარმომადგენელი იქნებოდა და რომელსაც საკონსულტაციო, სათათბირო და კავშირის ფუნქციები ექნებოდა. ამასთან ერთად ინდოეთის წინადადება ითვალისწინებდა 1888 წლის კონვენციის გადასინჯვას და სამართლიანი და თანასწორი ბაჟისა და გადასახადის დაწესებას არხით მოსარგებლე ყველა სახელმწიფოს გემებზე.

„დალესის გეგმა" პრინციპულად განსხვავებულ საფუძველზე იყო აგებული. იგი ითვალისწინებდა ეგვიპტისაგან არხის მართვის უფლების ჩამორთმევას და სუეცის არხის მართვის უფლების უცხოელთათვის გადაცემას, აგრეთვე საარბიტრაჟო კომისიის შექმნას არხის მართვის დროს წამოჭრილი სადავო საკითხების მოსაგვარებლად; ამასთან „დალესის გეგმა" ითვალისწინებდა „ქმედითი სანქციების" გამოყენებას, ალბათ, ეგვიპტის წინააღმდეგ. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ „დალესის გეგმა" მიზნად ისახავდა, ერთის მხრივ, ეგვიპტეში კოლონიური რეჟიმის აღდგენას განსაზღვრულ ფორმებში, ხოლო, მეორე მხრივ, ინგლისისა და საფრანგეთის გაბატონებული მდგომარეობის ლიკვიდაციას სუეცის არხის კომპანიაში, ამასთან აშშ-ს ახალ საერთაშორისო სამმართველოში უნდა დაეკავებინათ, ყოველ შემთხვევაში, ინგლისისა და საფრანგეთის თანაბარი მდგომარეობა.

საბჭოთა დელეგაცია შეუერთდა ინდოეთის პროექტს.

ახალი ზელანდიის დელეგატმა, კონფერენციაზე მიღებული პროცედურის

დარღვევით, წინადადება შეიტანა არჩეულიყო „დალესის გეგმის“ მომხრე სახელმწიფოთაგან განსაზღვრული ჯგუფი ეგვიპტისათვის ამ გეგმის, როგორც კონფერენციის გადაწყვეტილების, გადასაცემად. ამ ცდას სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს ინდოეთის, საბჭოთა კავშირის, ინდონეზიისა და ცეილონის დელეგაციებმა და იგი უარყოფილ იქნა.

აგვისტოს ბოლოს ლონდონის კონფერენციის მონაწილეებმა გადაწყვეტილება მიიღეს ცნობისათვის გადაეცათ ეგვიპტისათვის ლონდონის კონფერენციის სრული ოქმები, მაშასადამე, — ინდოეთის პროექტი, „დალესის გეგმა“, აგრეთვე ყველა მათი დამატება, შესწორება და შენიშვნა, ე. ი. მთელი ის შეხედულებები და აზრები, რაც თათბირზე გამოითქვა.

მაგრამ „დალესის გეგმის“ მომხრეებმა კონფერენციის გვერდის ავლით, სეპარატული წესით აირჩიეს ხუთი სახელმწიფოს (ავსტრალია, ეთიოპია, აშშ, შეეცია და ირანი) წარმომადგენელთაგან ჯგუფი ავსტრალიის პრემიერ მენზისის მეთაურობით ეგვიპტისათვის ულტიმატური წესით „დალესის გეგმის“ გადასაცემად. ამასთან საკითხი ისე იქნა დასმული, რომ არავითარი მოლაპარაკება არ ეწარმოებინათ ეგვიპტესთან და მოეთხოვათ „გეგმის“ უსიტყვოდ მიღება. წინაღმდეგ შემთხვევაში ეგვიპტეს ძალის გამოყენებით ემუქრებოდნენ.

„ხუთთა კომიტეტი“ კაიროში ჩავიდა 3 სექტემბერს. მენზისის მისია, როგორც მოსალოდნელი იყო, ჩაიფუშა. ეგვიპტემ კატეგორიულად უარყო წინადადება სუეცის არხის „ინტერნაციონალიზაციის“ შესახებ.

ომვიდობი

(10.500 ათასი დოლარი) რაოდენობით ინდოეთსა და ეგვიპტეს შორის ვაჭრობის განსამტკიცებლად. ავღანეთის მეფემ ზაჰირ შაჰმა განცხადება გააკეთა ეგვიპტისადმი სრული მხარდაჭერის შესახებ. ეგვიპტის მხარდასაჭერად ინდოეთისა და პაკისტანის გამოსვლა მოწმობდა იმ სერიოზულ უთანხმოებას, რომელიც ერთა ბრიტანულ თანამეგობრობაში არსებობდა სუეცის არხის საკითხში. ინგლისის პარლამენტის წევრმა ლეიბორისტული პარტიიდან ერთა თანამეგობრობის საქმეების ყოფილმა მინისტრმა პ. გორდონ უორკერმა აღიარა, რომ „სუეცის საკითხში ინგლისის მთავრობის უხეშმა და წინდაუხედავმა პოლიტიკამ საშიშროებაში ჩააგდო ერთა ბრიტანული თანამეგობრობის ერთიანობა".

18 ქვეყნის სეპარატული თათბირი ლონდონში

მენზისის მისიის ჩაშლის შემდეგ აშშ, ინგლისისა და საფრანგეთის მხარდაჭერით, ახალი გეგმა წამოაყენეს. ეს იყო სუეცის საკითხის „მოგვარების" პროვოკაციული გეგმა. აშშ-მა წამოაყენეს „სუეცის არხით მოსარგებლეთა კოოპერაციული ასოციაციის" შექმნის გეგმა ანუ, როგორც მას უცხოეთის პრესა უწოდებდა, „დალესის კოოპერატივი". ამ გეგმის მიზანი იმაში მდგომარეობდა, რომ ჩამოერთვათ ეგვიპტისათვის მისი კანონიერი უფლებები სუეცის არხზე. გეგმა ითვალისწინებდა სუეცის არხით მოსარგებლეთა ასოციაციის მიერ ლოცმანების დაქირავებას, არხით მოძრაობის კოორდინაციისათვის პასუხისმგებლობას, გადასახადების აკრეფას. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ეგვიპტის მუდმივი წარმომადგენლის ლუფტის საპროტესტო ნოტაში, რომელიც მან უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეს გადასცა 1956 წლის 17 სექტემბერს, ნათქვამი იყო: „მოსარგებლეთა ასოციაციას იმ სახით, რა სახითაც იგი შემოტანილია შეერთებული სამეფოს პრემიერ-მინისტრის მიერ, მიდრეკილება ექნება შექმნას უპრეცედენტო ორგანიზაცია თავისი იურისდიქციით, რომელსაც იგი მითვისებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიაზე ამ სახელმწიფოს თანხმობის გარეშე".

19 სექტემბერს ლონდონში გაიხსნა 18 ქვეყნის სეპარატული თათბირი, რომელიც „სუეცის არხის მოსარგებლეთა ასოციაციის" შექმნას მიეძღვნა. 21 სექტემბერს დამთავრებულმა თათბირმა მიიღო დეკლარაცია „სუეცის არხით მოსარგებლეთა კოოპერაციული ასოციაციის" შექმნის შესახებ. მაგრამ, თათბირში მონაწილე თვრამეტი სახელმწიფოდან თერთმეტის წარმომადგენლებმა საბოლოო პასუხი ვერ გასცეს იმაზე — შეუერთდებოდნენ თუ არა მათი მთავრობები „ასოციაციას", და მოითხოვეს ვადა იმისათვის, რომ წარედგინათ დეკლარაცია თავიანთი მთავრობებისათვის.

სეპარატულ თათბირზე აგრეთვე განხილულ იქნა სუეცის არხის „სტერილიზაციის" ანუ ბოიკოტის ახალი ამერიკული გეგმა. გეგმას არ ჰქონია წარმატება, ვინაიდან თათბირის მონაწილეებმა შიში გამოთქვეს, რომ მსგავს გეგმას შეუძლია მხოლოდ თვით მათ მოუტანონ ზიანი. სუეცის არხის ბოიკოტი მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატებისათვის იყო ხელსაყრელი, რადგანაც მის წინაშე ამით იშლებოდა შესაძლებლობა გაეყიდა ევროპის ბაზარზე მაღალ ფასებში ამერიკული ნავთობი, ვინაიდან არაბეთის იაფფასიანი ნავთობის შეტანა ევროპის ბაზარზე შეტად გაძნელებულ იქნებოდა სუეცის არხის ბოიკოტის გამო.

სუეცის კონფლიქტის გაღვივებით ამერიკის შეერთებული შტატების დაინტერესება პირველ რიგში იმით იყო გამოწვეული, რომ ეგვიპტის მთავრობის

გადაწყვეტილება სუეცის არხის კომპანიის ნაციონალიზაციის შესახებ იყო დიდი დარტყმა იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის მიმართ. იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის დაშლის პროცესი, რომელმაც კოლონიზატორთათვის კატასტროფული მასშტაბი მიიღო აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, მოედო არაბულ აღმოსავლეთს, სადაც ნავთობის მარაგის დაახლოებით ორი მესამედი ამერიკის მონოპოლიებს ეკუთვნოდა.

სუეცის საკითხი უშიშროების საბჭოში. სსრ კავშირი ეგვიპტის სუვერენულ უფლებათა საფარაჯოზე

მსოფლიო საზოგადოებრივმა აზრმა აიძულა ინგლისი და საფრანგეთი დროებით შეეცვალათ ტაქტიკა და მუქარიდან, ულტიმატუმიდან და იარაღის ქღარუნიდან გადასულიყვნენ მოლაპარაკებაზე. სუეცის საკითხი განსახილველად დაისვა უშიშროების საბჭოში. კენჭის საყრელად დააყენეს ინგლის-საფრანგეთის კომპრომისული რეზოლუცია, რომლის პირველ ნაწილს შეადგენდა იმ მოლაპარაკებათა შედეგი, რომელთაც ადგილი ჰქონდა ეგვიპტის, ინგლისისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრებს შორის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ჰამარშელდის მონაწილეობით და საკითხის გონივრულად გადაჭრის გზების ძებნას მოწმობდა. რეზოლუციის მეორე ნაწილი იმის მაჩვენებელი იყო, რომ ინგლისისა და საფრანგეთის თანხმობა რეზოლუციის პირველ ნაწილზე მხოლოდ ყალბ ჟესტს წარმოადგენდა მშვიდობისმოყვარე ხალხთა სიფხიზლის მოსადუნებლად და იგი ინგლის-საფრანგეთის ძველი გეგმის განმეორება იყო.

რეზოლუციის პირველი ნაწილი ერთხმად იქნა მიღებული უშიშროების საბჭოს 13 ოქტომბრის სხდომაზე. იგი შემდეგი ექვსი პრინციპისაგან შედგებოდა:

1. არხით გავლა თავისუფალი და ღია უნდა იყოს ყოველგვარი აშკარა თუ ფარული დისკრიმინაციის გარეშე;

2. ეგვიპტის სუვერენიტეტისადმი პატივისცემა;

3. არხის ექსპლოატაცია უნდა გამოითიშოს ყოველი ქვეყნის პოლიტიკიდან;

4. გამოსაღებებისა და ბაჟების დაწესება უნდა განისაზღვროს ეგვიპტესა და არხით მოსარგებლეთა შორის შეთანხმების დადებით;

5.გადახდილი თანხის სამართლიანი ნაწილი განკუთვნილ უნდა იქნეს განვითარების მიზნებისათვის;

6. დავის შემთხვევაში სუეცის არხის კომპანიასა და ეგვიპტის მთავრობას შორის გადაუჭრელი საქმეები საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ უნდა იქნეს გადაწყვეტილი.

რეზოლუციის მეორე ნაწილი წინადადებას იძლეოდა სანქციერებული ყოფილიყო „სუეცის არხით მოსარგებლეთა ასოციაციის“ შექმნა, რომელიც გადასახადებს აკრეფდა არხში გემების გავლისათვის და რომელთანაც ეგვიპტეს უნდა ეთანამშრომლა. რეზოლუციის ამ ნაწილის წინააღმდეგ, რომელიც ეგვიპტის სუვერენულ უფლებებს არღვევდა, ხმა მისცეს საბჭოთა კავშირმა და აგრეთვე იუგოსლავიის წარმომადგენელმა. რამდენადაც რეზოლუციის მისაღებად საჭირო იყო უშიშროების საბჭოს ყველა მუდმივი წევრის ერთხმივობა, რეზოლუციის მეორე ნაწილი სსრ კავშირის მიერ უარყოფითი პოზიციის დაკავების გამო არ იქნა მიღებული.

მიუხედავად იმისა, რომ უშიშროების საბჭოს რეზოლუციის პირველი ნაწილი, რომელსაც საბჭოს სხვა წევრებთან ერთად ხმა მისცეს ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლებმაც, ხელსაყრელ შესაძლებლობებს ქმნიდა მიღებული 6 პრინციპის შესაბამისად შემდგომი მოლაპარაკებისათვის, ინგლისმა და საფრანგეთმა ამჯობინეს დასდგომოდნენ აგრესიის გზას. 30 ოქტომბერს ეგვიპტეს თავს დაესხნენ ისრაელის შეიარაღებული ძალები და დემილიტარიზებული ზონიდან განდევნეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურენი, რომლებიც იქ იმყოფებოდნენ პალესტინის ომის დამთავრების დროიდან, 1949 წლის დაზავების საფუძველზე. ისრაელის ჯარებმა დანაღმეს ეს ზონა, ისინი შეიჭრნენ სინას ნახევარკუნძულზე და წინ წაიწიეს სუეცის არხის მიმართულებით.

31 ოქტომბერს, საღამოს ინგლისისა და საფრანგეთის ავიაციამ დაბომბა კაირო, ალექსანდრია, პორტსაიდი, სუეცი და სხვა დასახლებული პუნქტები. ეგვიპტეზე თავდასხმა იყო არაპროვოცირებული აგრესიის აქტი, რომლისთვისაც ინგლისმა და საფრანგეთმა სცადეს „პოლიციური ზომის“ ხასიათი მიეცათ. ეს ზომა, იდენის სიტყვით, ვითომდა იმისათვის იყო მიღებული, რომ „შეწყვეტილიყო საომარი მოქმედება ისრაელსა და ეგვიპტეს შორის და გაეშველებინათ მეომარი მხარეები“. განსაკუთრებული ცინიზმით იყო საუბარი ისრაელისა და ეგვიპტის მთავრობისადმი წაყენებული ინგლის-საფრანგეთის ულტიმატუმი, რომელიც მოუწოდებდა „ორივე მხარეს შეეწყვიტათ ყოველგვარი საომარი მოქმედება და განშორებოდნენ არხს 10 მილის მანძილით“.

ეგვიპტის წინააღმდეგ აგრესია, როგორც ამერიკული ჟურნალი „ნიუ სუიკი“ 1956 წლის 12 ნოემბერს წერდა, წინდაწინ იყო გულდასმით მომზადებული. ეგვიპტეში შეჭრის გეგმას ჯერ კიდევ აგვისტოში ჩაეყარა საფუძველი. „ნიუ სუიკის“ მტკიცება მთლიანად ემთხვევა ამერიკული დაზვერვის ხელმძღვანელის ალენ დალესის მოხსენებას პრეზიდენტ ეიზენჰაუერისადმი. დალესი აღნიშნავდა, რომ ინგლისმა და საფრანგეთმა „წინასწარ იცოდნენ“, რომ ისრაელი თავს დაესხმება ეგვიპტესო.

„ექვს თვეში, — წერდა ჟურნალი „ნიუ სუიკი“, — ისრაელმა დაახლოებით ნახევარი მილიარდი დოლარი დახარჯა უმთავრესად შეიარაღებაზე. ფრანგებმა უკვე გადაწყვიტეს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ვერ შეძლებს ნასერის პრობლემის გადაჭრას. მაგრამ, ინგლისი აყოვნებდა ერთობლივ მოქმედებას 16 ოქტომბრამდე, როდესაც იდენი და სელვინ ლოიდი მოლაპარაკებას აწარმოებდნენ გი მოლესა და პინოსთან პარიზში“. ჟურნალის სიტყვით, ეგვიპტის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებების უშუალო გეგმები 27 ოქტომბერს იქნა დამუშავებული, როდესაც ისრაელის შტაბის ოფიცრებმა ხანგრძლივი თათბირი ჩაატარეს თავიანთ ფრანგ კოლეგებთან პარიზში. ეგვიპტეზე თავდასხმის გეგმამ „გამილკარის გეგმის“ კოდური სახელწოდება მიიღო.

ჟურნალის მტკიცებით, ლონდონი და პარიზი თავიანთ მოქმედებებს განსაზღვრულ ვარაუდებზე აგებდნენ. ამ ვარაუდებში უმთავრესი იყო შემდეგი: სამხედრო კომპანია, ვარაუდობდნენ ისინი, იქნება „მოკლე და მსუბუქი“, არაბული ქვეყნები „შეძრწუნდებიან და პასიურ მდგომარეობაში ჩადგებიან“, „ომი მხოლოდ ეგვიპტით იქნება განსაზღვრული“. მაგრამ, დაასკვნიდა ჟურნალი, არაბული ქვეყნების ხალხთა მასების წინააღმდეგობამ ეს გეგმები ჩაშალა.

საბჭოთა მთავრობამ 31 ოქტომბერს შემდეგი განცხადება გააკეთა ეგვიპტის წინააღმდეგ აგრესიის გამო: „საბჭოთა კავშირის მთავრობა გადაჭრით გმობს ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის მთავრობების აგრესიულ მოქმედებებს ეგვიპტის მიმართ. მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხები მხურვალე თანაგრძნობით ეკიდებიან ეგვიპტელი ხალხის სამართლიან ბრძოლას ეროვნული დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის“.

სსრ კავშირის მთავრობამ წერილები გაუგზავნა ინდონეზიის პრეზიდენტ სუკარნოს და ინდოეთის პრემიერ-მინისტრ ნერუს, რომლებშიც აზრი იყო გამოთქმული ბანდუნგის კონფერენციის მონაწილე ქვეყნების სასწრაფო თათბირის მოწვევის შესახებ. ასეთ თათბირს შეიძლება მოეთხოვა ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელისაგან დაუყოვნებლივ შეეწყვიტათ ინტერვენცია და გაეყვანათ თავიანთი ჯარები ეგვიპტის სახელმწიფოს ტერიტორიიდან.

ინგლის-საფრანგეთ-ისრაელის აგრესიის დაგმობის შესახებ განცხადებები გააკეთეს საბჭოთა კავშირში შემავალი მოკავშირე რესპუბლიკების მთავრობებმა, აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისა და იუგოსლავიის მთავრობებმა.

სირიამ, იორდანიამ, საუდის არაბეთმა, ლიბანმა, ლიბიამ და სხვა არაბულმა ქვეყნებმა მხარი დაუჭირეს ეგვიპტეს მის ბრძოლაში. ერაყის მაშინდელი მთავრობაც კი იმის შიშით, რომ ხალხთა მასების მღელვარება არ გამოეწვია, იძულებული გახდა განეცხადებინა თავისი განზრახვა დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის შესახებ საფრანგეთთან და სხვ. ერაყში ჩატარებული სახალხო დემონსტრაციების მონაწილენი მოითხოვდნენ ერაყის გამოსვლას ბაღდადის ბლოკიდან.

ინდოეთმა, ინდონეზიამ, ბირმამ, პაკისტანმა, ირანმა და ცეილონმა სასტიკად დაგმეს აგრესია ეგვიპტის წინააღმდეგ.

მიუხედავად ინგლის-საფრანგეთის აგრესორების ყოველგვარი ცდისა დაეხასიათებინათ ეგვიპტის წინააღმდეგ განხორციელებული აგრესია, როგორც „პოლიციური ღონისძიება“, რომელიც თითქოს სუეცის არხში თავისუფალი ნაოსნობის დასაცავად იყო მიმართული, გენერალური ასამბლეის საგანგებო სესიამ 2 ნოემბერს 64 სახელმწიფოს ხმით მიიღო რეზოლუცია ეგვიპტეში ცეცხლის შეწყვეტისა და ეგვიპტის ტერიტორიიდან ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის ჯარების გაყვანის შესახებ. ეგვიპტის მთავრობამ მიიღო გენერალური ასამბლეის საგანგებო სესიის რეზოლუცია ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. ინგლისმა, საფრანგეთმა და ისრაელმა უკუაგდეს საგანგებო სესიის მოწოდება და განაგრძეს სამხედრო მოქმედება. 3 და 4 ნოემბერს მიღებული რეზოლუციით საგანგებო სესია კვლავ მოუწოდებდა საომარ მოქმედებაში მონაწილე მხარეებს შეესრულებინათ 2 ნოემბრის რეზოლუცია.

ეგვიპტის წინააღმდეგ მოქმედებამ სამხედრო დიდება ვერ მოუტანეს ინგლის-საფრანგეთის იარაღს. ორმა დიდმა სახელმწიფომ, რომელთაც პირველხარისხოვანი სამხედრო ტექნიკა ჰქონდათ, ვერ შეძლო გაეტეხა ახლად დაბადებული ეგვიპტის ხალხის გმირული წინააღმდეგობა.

საბჭოთა კავშირისა და მოკავშირეობისმოყვარე ძალების ბრძოლა ეგვიპტეში აგრესიის შესაწყვეტად

5 ნოემბერს გენერალური ასამბლეის საგანგებო სესიამ მიიღო რეზოლუცია საერთაშორისო საგანგებო ძალებისათვის გაერთიანებული ერების სარდლობის შექმნის შესახებ, რომლის დანიშნულებას შეადგენდა ეგვიპტეში საომარ მოქმედებათა შეწყვეტის უზრუნველყოფა და მისთვის მეთვალყურეობის გაწევა.

იმავე დღეს საბჭოთა კავშირმა მოუწოდა უშიშროების საბჭოს წინადადება მიეცა ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის მთავრობებისათვის, რათა დაუყოვნებლივ შეეწყვიტათ საომარი მოქმედებები ეგვიპტის წინააღმდეგ და სამი დღის ვადაში გაეყვანათ ეგვიპტის ტერიტორიაზე შეჭრილი ჯარები. საბჭოთა კავშირმა რეკომენდაცია მისცა უშიშროების საბჭოს საჭიროდ ეცნო, რომ ყველა სახელმწიფოს — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებს და პირველ რიგში აშშ-ს და სსრ კავშირს, როგორც უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრებს, რომლებსაც მძლავრი სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ფლოტი ჰყავთ, აღმოეჩინათ შეიარაღებული და სხვა სახის დახმარება აგრესიის მსხვერპლის — ეგვიპტის რესპუბლიკისათვის.

სუეცის კონფლიქტის ირგვლივ აშშ საშიშ თამაშს ეწეოდნენ: უბიძგეს რა ინგლისსა და საფრანგეთს ეგვიპტის წინააღმდეგ აგრესია, თვითონ აშშ განზე დარჩნენ და სრულიად არ იჩენდნენ დაინტერესებას, არც იმით, რომ გაეძნელებიათ აგრესორთა მდგომარეობა, და არც იმით, რომ ეხსნათ ისინი ხიფათისაგან: ინგლის-საფრანგეთის ზრახვაში — ხელში ჩაეგდოთ სუეცის არხი აშშ თავიანთი კეგმის საშიშროებას ხედავდნენ. ინგლის-საფრანგეთ-ისრაელის ძალთა წარმატებას შეეძლო ჩაეფუშა ამერიკის ზრახვები არაბულ აღმოსავლეთში, ამიტომაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ამერიკის წარმომადგენელმა ხმა მისცა ეგვიპტეში საომარ მოქმედებათა შეწყვეტას.

ხუთ ნოემბერს საბჭოთა კავშირმა მოწოდებით მიმართა ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის მთავრობებს — გაეთვალისწინებიათ მათ მიერ ეგვიპტეზე თავდასხმის შედეგად შექმნილი სიტუაციის მთელი საშიშროება და დაუყოვნებლივ შეეწყვიტათ აგრესია. ამასთან საბჭოთა მთავრობამ განაცხადა, რომ იგი მზად იყო გაერთიანებული ერების გადაწყვეტილების თანახმად სხვა სახელმწიფოებთან ერთად თავისი შეიარაღებული ძალებით რეალურად მიეღო მონაწილეობა ახლო აღმოსავლეთში აგრესიის ლიკვიდაციაში.

7 ნოემბერს გენერალური ასამბლეის საგანგებო სესიამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც წინადადებას აძლევდა ინგლისს, საფრანგეთსა და ისრაელს დაუყოვნებლივ გაეყვანათ თავიანთი ჯარები ეგვიპტის ტერიტორიიდან. საბჭოთა დელეგაცია, რომელმაც ხმა მისცა ამ რეზოლუციას, იმ მოსაზრებიდან გამოდიოდა, რომ ეგვიპტის ტერიტორიიდან ინგლის-საფრანგეთის ჯარების გადაუდებლად გაყვანა, აგრეთვე სადემარკაციო ხაზს იქით ისრაელის შეიარაღებული ძალების გაყვანა საჭირო პირობებს შექმნიან ამ რაიონში მყუდროების დასამყარებლად. მაგრამ, საბჭოთა დელეგაციის აზრით, რეზოლუცია უფრო მეტად უპასუხებდა თავის მიზანს, თუ კი მასში ნაჩვენები იქნებოდა განსაზღვრული ვადა ისრაელის ჯარის დასახევად თავის ტერიტორიაზე და ეგვიპტიდან ინგლის-საფრანგეთის ჯარების გასაყვანად.

ჯარების გაყვანის შესახებ რეზოლუციის მიღებასთან ერთად, გენერალური ასამბლეის საგანგებო სესიამ წინადადება მიიღო საერთაშორისო შეიარაღებულ

ძალთა შექმნის შესახებ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ჰამარშელდის მოხსენებაში, რომელიც მან გენერალურ ასამბლეას წარუდგინა, აღნიშნული იყო, რომ საერთაშორისო პოლიტიკური ძალები შეიძლება ჩამოყალიბებულიყო მხოლოდ ეგვიპტის მთავრობის თანხმობით და მათი დისლოკაცია მოითხოვდა ეგვიპტის მთავრობის წინასწარ თანხმობას. ჰამარშელდის მოხსენებაში აგრეთვე ლაპარაკი იყო, რომ საერთაშორისო პოლიციური ძალები მხოლოდ დროებითი ფუნქციების შემსრულებელი იქნებოდნენ, რაც შეწყდებოდა საგანგებო მდგომარეობის შეწყვეტასთან ერთად. ეს ძალები არავითარი სამხედრო ამოცანების შემსრულებელი არ იქნებოდნენ და მათ უფლება არ ექნებოდათ იმ საკითხებში ჩარევისა, რომლებიც ქვეყნის განსაკუთრებულ უფლებებსა და სუვერენიტეტს ეხებიან, რომლის ტერიტორიაზეც ისინი იქნებიან განლაგებული.

ეგვიპტის მთავრობა, როგორც ამაზე ოფიციალურად იქნა გამოცხადებული 10 ნოემბერს, პრინციპში დათანხმდა პოლიციურ ძალთა ფორმირებას, რის შემდეგაც გაერთიანებული ერების საგანგებო შეიარაღებული ძალები (რომელთაც სხვანაირად საერთაშორისო პოლიციური ძალები ეწოდებათ) გადასროლილ იქნა ეგვიპტეში.

ვინაიდან აგრესორები აყოვნებდნენ საგანგებო სესიის რეზოლუციის შესრულებას, რის შედეგადაც საომარ მოქმედებათა განახლების საშიშროება ჯერ კიდევ არ იყო გამქრალი, მშვიდობისმოყვარე ხალხები ფხიზლად იდგნენ და თვალყურს ადევნებდნენ იმპერიალისტთა ხრიკებს. საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელ წრეებში განაცხადეს, რომ თუ ინგლისი, საფრანგეთი და ისრაელი, მიუხედავად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დადგენილებისა, არ გაიყვანდნენ მთელ თავიანთ ჯარებს ეგვიპტის ტერიტორიიდან და სხვადასხვა საბაბით გააჭიანურებდნენ ამ დადგენილებათა შესრულებას, რითაც ეგვიპტის წინააღმდეგ საომარი მოქმედების განახლების საშიშროებას შექმნიდნენ,— მაშინ საბჭოთა კავშირის სათანადო ორგანოები ხელს არ შეუშლიდნენ ეგვიპტეში საბჭოთა მოხალისეების გამგზავრებას, რომლებიც მოისურვებდნენ დამოუკიდებლობისათვის ეგვიპტელი ხალხის ბრძოლაში მონაწილეობის მიღებას.

ასეთივე სურვილი გამოთქვეს ათეულმა ათასმა მოქალაქემ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკიდან, ინდონეზიიდან და მშვიდობისმოყვარე სხვა ქვეყნებიდან.

დიდ პატრიოტულ აღმავლობას ჰქონდა ადგილი არაბულ სახელმწიფოებში. ბეირუთში შედგა არაბული სახელმწიფოების მეთაურთა თათბირი, რომლის ღამთავრების შემდეგ, 15 ნოემბერს, გამოქვეყნდა კომუნიკე; მასში ნათქვამი იყო, რომ თუ ინგლის-საფრანგეთისა და ისრაელის ჯარები არ იქნებოდნენ დაუყოვნებლივ და ყოველგვარი პირობების გარეშე გაყვანილი ეგვიპტიდან, „ამ თათბირზე წარმოდგენილი ყველა არაბული სახელმწიფო, დაუყოვნებლივ, თავდაცვის უფლების საფუძველზე, ცხოვრებაში გაატარებდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 41-ე მუხლს[1] და ეფექტურ ზომებს მიიღებდნენ თავიანთი ვალდებულებების შესაბამისად, არაბული სახელმწიფოების პაქტის მე-2 მუხლის თანახმად, ურთიერთთავდაცვის შესახებ"[2].

---

[1] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 41-ე მუხლი ითვალისწინებს ზომების მიღებას, რომელიც შეიარაღებულ ძალთა გამოყენებასთან არ არის დაკავშირებული.

[2] არაბული სახელმწიფოების პაქტის მე-2 მუხლი ითვალისწინებს იმ მხარისათვის, ვისაც თავს დაესხნენ, დახმარების აღმოჩენას ყოველგვარი საშუალებებით, საჭირო შემთხვევაში, შეიარაღებულ ძალთა გამოყენებითაც.

ამავე დღეებში დელში მიმდინარეობდა ბირმის, ცეილონის, ინდონეზიისა და ინდოეთის პრემიერ-მინისტრების თათბირი. პრემიერ-მინისტრებმა გააკეთეს ერთობლივი განცხადება, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამი იყო, რომ ისინი „არ იწონებენ რაიმე პირობების წამოყენებას ეგვიპტიდან ინგლის-საფრანგეთ-ისრაელის ძალთა გაყვანისათვის". განცხადებაში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ გენერალური ასამბლეის რეზოლუციები უნდა გატარდეს ცხოვრებაში მთლიანად, დაუყოვნებლივ და მთელი შეიარაღებული ძალები გაყვანილ იქნეს ეგვიპტის ტერიტორიიდან.

ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის წერილებზე სსრ კავშირის მთავრობის პასუხებში გამოთქმული იყო საბჭოთა მთავრობის კმაყოფილება ეგვიპტეში ცეცხლის შეწყვეტის გამო. მაგრამ იმავე დროს ხაზგასმული იყო, რომ ახლო აღმოსავლეთში მშვიდობისა და მყუდროების აღსადგენად და ეგვიპტის წინააღმდეგ წარმოებული აგრესიის შედეგების სალიკვიდაციოდ, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელი იყო ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანა ეგვიპტის ტერიტორიიდან.

საბჭოთა მთავრობა პასუხებში მოითხოვდა იმ ზარალის ანაზღაურებას, რაც სამმა სახელმწიფომ მიაყენა ეგვიპტეს ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების დანგრევით, სუეცის არხის ფუნქციების შეწყვეტისა და მისი ნაგებობების დანგრევით.

აგრესორთა ზე

ეგვიპტეში მშვიდობის დარღვევის ყველაზე არასასიამოვნო შედეგები თვით აგრესორებს დაატყდათ თავს. სუეცის არხით ინგლისში ყოველწლიურად 75 მილიონი ტონა ნავთობი შეჰქონდათ. შუა აღმოსავლეთის ნავთობის დიდი რაოდენობა არხით გაჰქონდათ აგრეთვე საფრანგეთშიც. სუეცის არხით ნაოსნობის შეწყვეტის გამო შუა აღმოსავლეთის ნავთობის შეტანა დასავლეთ ევროპაში ნახევრად შემცირდა.

ნავთობსადენი, რომელიც სირიასა და ლიბანში გადის და რომლითაც ინგლისში ყოველწლიურად 25 მილიონი ტ ერაყის ნავთობი გაჰქონდათ, აფეთქებულ იქნა სირიის პატრიოტების მიერ. საუდის არაბეთმა, რომელიც ყოველწლიურად 15 მილიონ ტონა ნავთობს აძლევდა ინგლისს, უარი განაცხადა ინგლისისა და საფრანგეთისათვის ნავთობის მიწოდებაზე. სუეცის არხით ნაოსნობის შეწყვეტის გამო ნავთობი იორანიდან და კუვეიტიდან უნდა გადატანილიყო ევროპაში სამხრეთ-აფრიკის შემოვლით, რაც მნიშვნელოვნად ადიდებდა მის ღირებულებას და აგრძელებდა მიწოდების დროსაც. ამერიკის ნავთობის ყიდვისათვის კი საჭირო იყო დოლარები, რომელთა საშოვნელად ისევ ამერიკის მარყუჟში უნდა გაეყარათ თავი.

ამერიკა არ ჩქარობდა ინგლისისა და საფრანგეთისათვის ნავთობის მიწოდებას, რადგან იგი უცდიდა, ჯერ ერთი, ნავთობზე ფასების შემდგომ გადიდებას, მეორე, თავისი ევროპელი პარტნიორების ეკონომიური მდგომარეობის შემდგომ გაუარესებას. მექსიკის ყურის ნავთობზე ფასი 25 პროცენტით გაიზარდა. გაითვალისწინეს რა ინგლისისა და საფრანგეთის მიერ განცდილი მწვავე დოლარული შიმშილი, ამერიკელმა საქმოსნებმა არ დააყოვნეს შეედგინათ ახალი „მარშალის ნავთობის გეგმა", რომ ამით გაეძლიერებინათ დასავლეთ ევროპის ქვეყნების ეკონომიური და საფინანსო დამოკიდებულება ამერიკის შეერთებული შტატებისაგან. ნავთობის უქონლობამ გამოიწვია მრეწველობის დაქვეითება დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, დაარღვია ტრანსპორტის ნორმალური მუშაობა, გამოიწვია საწვავი მასალის მოხმარების შეზღუდვა.

გარდა ეკონომიური პოზიციისა, შეირყა აგრეთვე ინგლის-საფრანგეთის აგრესორების პოლიტიკური პოზიციებიც. ეგვიპტემ, სირიამ და საუდის არაბეთმა გაწყვიტეს დიპლომატიური ურთიერთობა ინგლისსა და საფრანგეთთან; იორდანიამ და ერაყმა დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტეს საფრანგეთთან. ამავე დროს ძლიერ გაიზარდა ავტორიტეტი საბჭოთა კავშირისა, რომელიც ეგვიპტის სუვერენული უფლებების დასაცავად გამოვიდა.

მთელი მსოფლიოს ხალხთა თვალში საესებით დაეცა აგრესორთა პრესტიჟი. ბაღდადის პაქტის ოთხმა წევრმა დაგმო მეხუთე წევრის აგრესიული მოქმედება. ერთა ბრიტანული თანამეგობრობის წევრებმა, ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის გამოკლებით, მხარი დაუჭირეს ეგვიპტეს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XI სესიამ ხმების უდიდესი უმრავლესობით 24 ნოემბერს მიიღო რეზოლუცია, რომელმაც დაამტკიცა საგანგებო სესიის 2 და 7 ნოემბრის გადაწყვეტილებები და მოითხოვა ინგლის-საფრანგეთ-ისრაელის ჯარების დაუყოვნებლივ და სასწრაფოდ გაყვანა ეგვიპტის ტერიტორიიდან.

გამწვავდა შინაპოლიტიკური კრიზისი ინგლისში. ლეიბორისტულმა და კოოპერატიულმა პარტიებმა, პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა, კომუნის-

ტურმა პარტიამ მოითხოვეს იდენის მთავრობის გადადგომა. თვით კონსერვატიულ პარტიაშიც ეგვიპტის წინააღმდეგ აგრესიამ სერიოზული უთანხმოება გაპოიწვია, რის შედეგადაც იდენის პოლიტიკასთან უთანხმოების გამო გადადგა კონსერვატიული პარტიის ერთი უთვალსაჩინოესი ლიდერთაგანი საგარეო საქმეთა სახელმწიფო მინისტრი ანტონი ნატინგი, მის შემდეგ გადადგა კაბინეტის წევრი ედვარდ ბოილი. იდენის საგარეო პოლიტიკის კურსით უკმაყოფილება გამოთქვეს აგრეთვე თემთა პალატის ლიდერმა ბეკდის მცველმა ლორდმა ბატლერმა, შრომის მინისტრმა მაკლეოდმა, მიწათმოქმედების მინისტრმა ხიტკოტ-ემორმა, გენერალურმა ხაზინადარმა მონკტონმა და რიგმა სხვა კონსერვატორმა და ინგლისის ეკლესიის უმაღლესმა წარმომადგენელმა კენტენბერიის არქიეპისკოპოსის მეთაურობით. 20 ნოემბერს გამოცხადდა, რომ იდენი ავადმყოფობის გამო სამი კვირით თავისუფლდება თავისი მოვალეობისაგან. იდენის არყოფნისას პრემიერის პოსტი ბატლერს ეკავა. 23-ს მალე თან მოყვა იდენის გადადგომა. აგრესორები ჩიხში მოექცნენ.

აგრესორების მიერ პორტ-საიდში და სინას ნახევარკუნძულზე ჩადენილმა მხეცობამ დიდი აღშფოთება და გულისწყრომა გამოიწვია მსოფლიო საზოგადოებრიობაში და არაბთა სამყაროში. იმპერიალისტების ცდამ თურქეთისა და ერაყის დახმარებით თავს დასხმოდნენ სირიას და ამით განხეთქილება შეეტანათ არაბ ხალხთა შორის, მხოლოდ საწინააღმდეგო შედეგი გამოიღო და ამ ხალხთა უფრო მეტად შემჭიდროებას შეუწყო ხელი.

ინგლის-საფრანგეთის აგრესორთა ჯარების გაყვანა ეგვიპტიდან

29 ნოემბერს თემთა პალატაში სელვინ ლოიდმა განაცხადა, რომ საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრ პინოსთან კონსულტაციის შემდეგ 5 დეკემბერს გამოცხადებული იქნებოდა ინგლისის მთავრობის გადაწყვეტილება ეგვიპტიდან ინტერვენტთა ჯარების ეტაპური გაყვანის შესახებ. ამის შემდეგ ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის მთავრობებმა განუცხადეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ჰამარშელდს, რომ ისინი გადაუდებლად გაიყვანენ ეგვიპტიდან თავიანთ ჯარებს და რომ ამაზე სათანადო მითითებები აქვთ მიცემული თავიანთი სარდლობისათვის.

9 დეკემბერს გამოქვეყნებულ საკდესის ცნობაში ნათქვამი იყო, რომ ეინაიდან მსოფლიო საზოგადოებრიობისა და ყველა მშვიდობისმოყვარე ძალის ზეგავლენით ინგლისი, საფრანგეთი და ისრაელი იძულებული შეიქნენ დამორჩილებოდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის დადგენილებას ეგვიპტიდან ჯარების გაყვანაზე, საბჭოთა კავშირის ხალხები კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ არაბულ აღმოსავლეთში ჩაქრობილია ომის ხანძარი. ცნობაში ნათქვამი იყო, რომ საკდესს დავალებული აქვს განაცხადოს: ეგვიპტიდან ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის ჯარების სრული გაყვანა ბუნებრივად ხსნის ეგვიპტეში საბჭოთა მოხალისეების გამგზავრების საკითხს. ეგვიპტიდან ინგლისისა და საფრანგეთის ჯარების გაყვანისთანავე გამოქვეყნებულ იქნა „ეიზენჰაუერ-დალესის დოქტრინა", რომელიც ეგვიპტის წინააღმდეგ ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის სამხედრო ავანტიურის თავისებურ გაგრძელებას წარმოადგენდა. „ეიზენჰაუერ-დალესის დოქტრინას" დიდი აღშფოთებით შეხვდა ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი, როგორც უოლსტრიტის თავ-

შეუკავებელი კოლონიზატორული მისწრაფების ახალ გამოვლინებას, როგორც ამერიკული იმპერიალიზმის ცდას — გამოიყენოს ინგლისელთა და ფრანგთა დამარცხება და დაიკავოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ყანდარმისა და ჩამხშობის როლი არაბულ აღმოსავლეთში.

ეგვიპტიდან ისრაელის ჯარების გაყვანის დაყოვნება

ისრაელის მთავრობა აყოვნებდა სინას ნახევარკუნძულიდან თავისი ჯარების გაყვანას და აშკარად აცხადებდა, რომ იგი წინააღმდეგობას გაუწევდა ღაზის რაიონში ეგვიპტელთა დაბრუნებას. ისრაელის ზურგის უკან გამოდიოდნენ ამერიკის შეერთებული შტატები, რომლებიც ცდილობდნენ ისრაელის ჯიუტობით აეძულებინათ ეგვიპტე მიეღო „სუეცის არხით მოსარგებლეთა ასოციაციის“ ამერიკული გეგმა. მიანიშნა რა ისრაელს როლი „ჯიუტი აგრესორისა“, ხოლო თვითონ „მშვიდობისმყოფელისა“, რომელიც თითქოს იმითაა დაინტერესებული, რომ დათრგუნოს ისრაელის უდიერება, აშშ ეუბკიან სათამაშოს კიდებდნენ ხელს, აკიანურებდნენ რა ისრაელის ჯარების ეგვიპტის ტერიტორიიდან ევაკუაციას.

იმავე დროს აშშ ცდილობდნენ მიეცათ ღაზის რაიონში განლაგებულ გაერთიანებულ ერთა ჯარებისათვის მათთვის უჩვეულო ფუნქციები მართვისა და წესრიგის დამყარების დარგში იმ მიზნით, რომ გამოეთიშათ ეგვიპტიდან ღაზის რაიონი, გადაექციათ აქაბის ყურე „საერთაშორისო საწყლო გზად“, დაეყენებინათ თავიანთი თავი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაზე მაღლა და უკანონოდ მიეთვისებინათ არბიტრისა და გარანტის როლი ახლო აღმოსავლეთში.

1957 წლის 2 თებერვალს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა კვლავ დაუბრუნდა საკითხის განხილვას ისრაელის მიერ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოთხოვნათა შეუსრულებლობის შესახებ. 74 ხმით გენერალურმა ასამბლეამ რეზოლუცია მიიღო ეგვიპტის ტერიტორიიდან ისრაელის შეიარაღებული ძალების გაყვანის შესახებ.

ამ რეზოლუციას ხმა მისცეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმაც, რომლებიც იმავე დროს განაგრძობდნენ ახალი პროვოკაციებისაკენ ისრაელის წაქეზებას. აშშ გარანტიას აძლევდნენ ისრაელს აქაბის ყურეში თავისუფალ შესვლაზე. ეგვიპტის ტერიტორიული წყლების გავლით, აშშ-მა ეგვიპტის ნებადაურთველად და მისი საერთოდ ცნობილი პოზიციის მიუხედავად ტირანის სრუტით გაგზავნეს ნავთობით დატვირთული ამერიკული ტანკერი ისრაელისათვის. ისრაელთან აშშ პროვოკაციულ მოლაპარაკებას აწარმოებდნენ ხმელთაშუა ზღვის ნაპირზე ტელ-ავივსა და ასკოლონს შუა დიდი ნავსადგურის მშენებლობის შესახებ. ეს ადგილი ღაზის რაიონიდან ჩრდილოეთით 20—25 კილომეტრის მანძილზე მდებარეობს. მოლაპარაკების იდეა იმაში მდგომარეობდა, რომ გახსნილიყო გზა მეწამული ზღვიდან ხმელთაშუა ზღვაში, სუეცის არხის გვერდზე დატოვებით. 1957 წლის თებერვალში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ინგლისთან, საფრანგეთსა და ნორვეგიასთან ერთად გადასცეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ჰამარშელდს სუეცის არხის „ინტერნაციონალიზაციის“ ახალი გეგმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მფარველობის ქვეშ იმ ვარაუდით, რომ არხით სარგებლობისათვის აკრეფილი გადასახადი თანაბრად განაწილებულიყო ორგანიზაციასა და ეგვიპტეს შორის.

1957 წლის თებერვლის დასასრულს დამთავრდა არაბთა ოთხი სახელმწი-

ფოს — ეგვიპტის, სირიის, საუდის არაბეთისა და იორდანიის თათბირი. ჯერ კიდევ 19 იანვარს კაიროში არაბთა სამი სახელმწიფოს — ეგვიპტის, სირიის, საუდის არაბეთის თათბირზე ხელი მოაწერეს იორდანიის მეფესთან ხელშეკრულებას „არაბთა სოლიდარობის შესახებ", რომლითაც ვალდებულება იკისრეს ყოველწლიურად 10 წლის განმავლობაში დახმარებოდნენ იორდანიას 12,5 მილიონი ეგვიპტური გირვანქა სტერლინგით, რათა გაეთავისუფლებინათ იორდანია ინგლისიდან სუბსიდიის მიღების საჭიროებისაგან. თებერვლის თათბირის მონაწილეებმა კვლავ გამოავლინეს თავიანთი სოლიდარობა და დაადასტურეს, რომ ისინი ისწრაფვიან ეგვიპტიდან ისრაელის ჯარის გაყვანისაკენ, მხარს უჭერენ არაბთა ყველა უფლებას პალესტინაში, გამოდიან ეგვიპტის უფლების დასაცავად კომპენსაციაზე ყველა იმ ზარალისა და დანაკარგის აღსადგენად, რაც მას მიაყენეს აგრესიის შედეგად. თათბირის მონაწილეებმა სუეცის არხი ეგვიპტის განუყოფელ ნაწილად ჩათვალეს, დაგმეს ინგლისის აგრესია იემენის წინააღმდეგ და მხარი დაუჭირეს ალჟირელ არაბთა ბრძოლას თავისუფლებისათვის.

ისრაელის ჯარის გაყვანის მოთხოვნის შემდგომი უგულებელყოფა უკვე შეუძლებელი იყო. 6 მარტს დაიწყო ისრაელის ჯარების გაყვანა ღაზის რაიონიდან, სადაც უკვე გაერთიანებული ერების ჯარები შევიდნენ. მაგრამ, როდესაც ეგვიპტის მოსახლეობამ დემონსტრაცია მოაწყო ეგვიპტის ადმინისტრაციისათვის ღაზის სექტორის გადაცემის მოთხოვნით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების სარდლობამ ქალაქში მაშველი ჯარი გამოითხოვა და ღაზის რაიონში საგანგებო წესები გამოაცხადა. მხოლოდ ეგვიპტის მთავრობის მტკიცე პოზიციამ აღადგინა ეგვიპტის უფლებები ამ რაიონში.

ეგვიპტის მთავრობის დეკლარაცია სუეცის არხის თაობაზე

1957 წლის 24 აპრილს კაიროში გამოქვეყნდა დეკლარაცია სუეცის არხის შესახებ. დეკლარაციამ დაადასტურა 1888 წლის კონსტანტინოპოლის კონვენცია, ამ დეკლარაციისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დაცვა, გამოაცხადა თავისუფალი და განუწყვეტელი ნაოსნობა ეგვიპტის სასარგებლოდ გამოსაღების გადახდით. საერთო შემოსავლის 25 პროცენტის ანგარიშში, დეკლარაციის თანახმად, უნდა შექმნილიყო კაპიტალურ სამუშაოთა და არხის განვითარების ფონდი.

სადავო საკითხების გადასაჭრელად გათვალისწინებული იყო საარბიტრაჟო ტრიბუნალის დაარსება. დეკლარაცია საერთაშორისო დოკუმენტს წარმოადგენდა და გადაეცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს შესანახავად.

ეგრეთწოდებული „მოსარგებლეთა ასოციაციის" 16 წევრისაგან 14 წევრმა მიიღო ნასერის მთავრობის დეკლარაცია. მიღებაზე უარი განაცხადეს ინგლისმა და საფრანგეთმა.

ინგლისისა და საფრანგეთის გემები ნაცვლად სუეცის მოკლე გზისა იძულებული იყვნენ შემოვლოთ სამხრეთ აფრიკის ნაპირებისათვის. ინგლისის გემთმფლობელნი ამით კარგავდნენ ნახევარ მილიონ გირვანქა სტერლინგს ყოველდღიურად. ინგლისის მთავრობა იძულებული გახდა ნება დაერთო გემებისათვის, რომლებიც სუეცის არხით გადიოდნენ ბრიტანეთის დროშით, გადაეხადათ

ეგვიპტისათვის ყოველგვარი გამოსაღები და დაეცვათ ეგვიპტის ადმინისტრაციის მიერ დადგენილი წესები. ინგლისის მაგალითს მალე მიბაძა საფრანგეთის მთავრობამაც.

1957 წლის 17 ივნისს კაიროში გამოქვეყნდა კანონი სუეცის არხის ექსპლოატაციის წესების შესახებ. ამ კანონმა კვლავ დაადასტურა ეგვიპტის მთავრობის განუხრელი გადაწყვეტილება არ იქნეს დაშვებული უცხოეთის ჩარევა სუეცის არხის მმართველობის საკითხებში.

ეგვიპტის ეკონომიური მდგომარეობა აგრესიის წინაშე

როგორც კი გამოქვეყნდა ეგვიპტის მთავრობის განკარგულება სუეცის არხის ნაციონალიზაციაზე, ვაშინგტონმა, ლონდონმა და პარიზმა გამოაცხადეს ეგვიპტის აქტივების ბლოკირება. ამ აქტივებს ეგვიპტე იყენებდა უცხოეთის ვალების დასაფარავად, დოლარული დეფიციტის სალიკვიდაციოდ და საგარეო ვაჭრობის საქმეების დასაფინანსებლად. 117 მილიონ ეგვიპტურ გირვანქას ყადაღა დაედო ინგლისის ბანკებში, 16 მილიონს — ამერიკაში. ერთდროულად ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, იმ მიზნით, რომ გაეძნელებინათ ეგვიპტის ბამბის გასაღება და ამით ზიანი მიეყენებინათ ეგვიპტის სოფლის მეურნეობისა და ფინანსებისათვის, ხელოვნურად დასწიეს მსოფლიო ფასები ბამბაზე. მინიმუმამდე იქნა შემცირებული ეგვიპტისათვის უმნიშვნელოვანესი სამრეწველო საქონლის მიწოდება ინგლისიდან და საფრანგეთიდან როგორც, მაგალითად, ძანქანები, ლითონის ნაკეთობანი, მილები, ქიმიური და სხვა საქონელი. ზოგიერთ სამრეწველო მოწყობილობაზე ფასები 25 პროცენტით იქნა გადიდებული. აშშ უარი განაცხადა ეგვიპტისათვის ეკონომიური და ტექნიკური დახმარების გაწევაზე და გააუქმა თავისი ვალდებულება ეგვიპტისათვის 19 მილიონი დოლარის სესხის მიცემაზე.

მიუხედავად ეკონომიური ბლოკადისა, ეგვიპტის სახალხო მეურნეობამ ჩაბარა გამოცდა. ეგვიპტურმა გირვანქა სტერლინგმა უფრო მყარი პოზიცია დაიკავა მსოფლიო ბაზარზე. 1956 წელს ეგვიპტემ შესძლო თავისი საგარეო სავაჭრო კავშირების გაფართოება, გამოძებნა ახალი ბაზრები ბამბის, ბრინჯისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქციის გასაღებისათვის; მან დადო მთელი რიგი ხელშეკრულებები სამანქანო-მოწყობილობების, მარცვლეულისა და სხვა საქონლის შესაძენად. გაიზარდა ეგვიპტის საქონელბრუნვა საბჭოთა კავშირთან, ჩინეთსა და სოციალისტური ბანაკის სხვა ქვეყნებთან, აგრეთვე ინდოეთსა და აზიის სხვა სახელმწიფოებთან.

13 ქვეყანამ — სსრ კავშირმა, ჩეხოსლოვაკიამ, პოლონეთმა, რუმინეთმა, გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ და სხვ. — ეგვიპტესთან თავიანთ საგარეო სავაჭრო ანგარიშსწორების საფუძვლად მიიღო ეგვიპტური გირვანქა, რამაც განამტკიცა ეგვიპტური ვალუტის მდგომარეობა. 1956 წელს სსრ კავშირი და ჩეხოსლოვაკია ეგვიპტის ბამბის ყველაზე დიდი შემომტანი იყვნენ. საბჭოთა კავშირმა შეღავათიან პირობებში მიაწოდა ეგვიპტეს ხორბლისა და ნავთობის დიდი რაოდენობა.

იმავე 1956 წელს ეგვიპტე-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ბალანსი ხელსაყრელი იყო ეგვიპტისათვის. სსრ კავშირიდან ეგვიპტის იმპორტმა შეადგინა 5,6 მილიონი ეგვიპტური გირვანქა, ხოლო ექსპორტმა — 7 მილიონი.

1957 წლის 30 იანვარს ხელმოწერილ იქნა ეგვიპტესა და სსრ კავშირს შორის ახალი შეთანხმება, რომელიც ურთიერთ სავაჭრო მიწოდების ორმაგად გა-

დიდებას ითვალისწინებდა. ეგვიპტური საქონლის სანაცვლოდ საბჭოთა კავშირი მას მიაწვდიდა ავტომანქანებს, ტრაქტორებს, სამრეწველო ნედლეულს, რომელთა ნიშნში გამოფენილი იყო საბჭოთა სამრეწველო გამოფენაზე კაიროში 1957 წლის ზამთარში.

საბჭოთა კავშირთან, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებსა და ჩინეთთან საგარეო სავაჭრო კავშირის გაფართოებამ ხელი შეუწყო ეგვიპტეს გადაელახა რიგი სიძნელეები, რომლებიც ეკონომიურ ბლოკადასთან დაკავშირებით წარმოიშვა. ეგვიპტეს სსრ კავშირიდან და სოციალისტური ბანაკის ქვეყნებიდან გაჰქონდა მისთვის საჭირო საქონლის თითქმის 80 პროცენტი.

აღმოფხვრა რა ინგლის-საფრანგეთ-ისრაელის აგრესიის შედეგები, ეგვიპტემ აღადგინა პორტ-საიდის, ისმაილიის და რიგი სხვა ქალაქების დანგრეული კვარტალები. ამასთან ერთად ეგვიპტემ ზომები მიიღო ეროვნული მრეწველობის განვითარებისათვის. 1956 წელს მრეწველობაში დაბანდებულ იქნა 25,6 მილიონი ეგვიპტური გირვანქა, ე. ი. 16 მილიონით მეტი, ვიდრე 1955 წელს.

მიმდინარეობდა წიაღისეულის ფართო საძიებო სამუშაოები. მრავალრიცხოვანმა გეოლოგიურმა ექსპედიციებმა ეგვიპტის ტერიტორიაზე აღმოაჩინეს მნიშვნელოვანი სამრეწველო ნედლეულის ახალი საბადოები. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ნავთობის დიდი მარაგის აღმოჩენას სინას ნახევარკუნძულზე. ეგვიპტის მთავრობამ გამოაცხადა, რომ ამ ნავთობის მომპოვებელნი მხოლოდ ეგვიპტელები იქნებიან, და მიიღო ზომები თავისი ეროვნული ნავთობის მრეწველობის შესაქმნელად.

ამ მიმართულებით პირველ ნაბიჯს წარმოადგენდა მთავრობის პროექტი პორტ-საიდსა და სუეცს შორის ნავთობსადენის მშენებლობის ეგვიპტის საქციო საზოგადოების შექმნის შესახებ. საკითხი ეხებოდა პირველი არაბული ნავთობსადენის შექმნას და ხმელთაშუა ზღვის ნაპირამდე არაბული ნავთობის ტრანსპორტირების პირობების გაუმჯობესებას. პროექტი ითვალისწინებდა ახალი საზოგადოებისათვის კონცესიის მიცემას 12 წლის ვადით — დაწყებული იმ მომენტიდან, როცა ნავთობსადენი ჩადგებოდა მოქმედებაში. პროექტის მიხედვით ეგვიპტის მთავრობა მიიღებს საიჯარო ქირას შემოსავლის 50 პროცენტის სახით. კონცესიის ვადის გასვლის შემდეგ ნავთობსადენი უსასყიდლოდ გადაეცა ეგვიპტის საკუთრებაში.

1957 წლის 31 იანვარს პრეზიდენტმა ნასერმა ხელი მოაწერა სამ საკანონმდებლო აქტს, რომლებიც ეგვიპტის ეკონომიური დამოუკიდებლობის განმტკიცებისაკენ იყო მიმართული და ითვალისწინებდა ბანკების „ეგვიპტიზაციას“, სადაზღვეევო კომპანიების მუშაობაზე მეთვალყურეობისა და კონტროლის დაწესებას და ეგვიპტეში ეროვნული სავაჭრო სააგენტოების ჩამოყალიბებას. ამ აქტების თანახმად, ეგვიპტის ტერიტორიაზე მოქმედი ყველა ბანკი, სადაზღვეევო კომპანიები და სავაჭრო სააგენტოები უნდა გამხდარიყვნენ ეგვიპტის საქციო საზოგადოებებად ეგვიპტის კაპიტალით, ხოლო მმართველობის წევრებად ეგვიპტელები უნდა ყოფილიყვნენ.

ეგვიპტის მთავრობის ეკონომიურმა ღონისძიებებმა, რომლებიც უცხოთის კომპანიებზე სახელმწიფო კონტროლის გაძლიერებისა და უცხო კაპიტალის ბატონობისაგან ქვეყნის ეკონომიკის განთავისუფლებისაკენ იყო მიმართული, მნიშვნელოვანი ეფექტი მოიტანეს. ინგლის-საფრანგეთის აგრესიის ჩაშლის შემდეგ ერთი წლის განმავლობაში უცხოეთის ვალუტის მარაგი ეგვიპტეში 5 მილიონი დოლარიდან 60 მილიონამდე გადიდდა. ამასთან ერთად მთავრობამ მიი-

ღო დამატებითი ზომები, რომლებიც სახელმწიფო სუვერენიტეტის განმტკიცებასა და ქვეყნის პოლიტიკურ დამოუკიდებლობას შეუწყობდნენ ხელს. 1957 წლის იანვარში პრეზიდენტის დეკრეტით გაუქმებულ იქნა 1954 წლის 19 ოქტომბრის ინგლის-ეგვიპტის შეთანხმება, რომელიც, თუმცა ეგვიპტიდან ინგლისის მაოკუპირებელი ჯარების გაყვანას ითვალისწინებდა 1956 წლის ივნისისათვის, მაგრამ რომლის მიხედვით ინგლისი იტოვებდა თავისთვის შვიდი წლის განმავლობაში სამხედრო ბაზებს სუეცის არხის ზონაში და იტოვებდა უფლებას დაბრუნებულიყო ამ რაიონში რომელიმე არაბულ სახელმწიფოზე ან თურქეთზე შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში. თურქეთის ხსენებას უდავოდ ის მიზანი ჰქონდა, რომ ეგვიპტე თურქეთის საშუალებით დაეკავშირებინათ დასავლეთის სახელმწიფოების სამხედრო ბლოკებთან, ვინაიდან თურქეთი ჩრდილოატლანტიკის ბლოკისა და ბაღდადის პაქტის წევრია. 1954 წლის 19 ოქტომბრის შეთანხმების გაუქმების შესახებ პრეზიდენტის დეკრეტი მოწმობდა ეგვიპტის გადაწყვეტილებას — მოესპო კოლონიალიზმის ნაშთები თავის ქვეყანაში.

ხუთწლიანი გეგმა

ვინაიდან ეგვიპტის მთავრობის მიერ 1952 წლის 31 დეკემბერს მიღებული ხუთწლიანი გეგმის განხორციელებას ხელი შეუშალეს თავდაპირველად ინგლისელ კოლონიზატორთა მოქმედებამ სუეცის არხის ზონაში, ხოლო შემდეგ ინგლის-საფრანგეთ-ისრაელის აგრესიამ, ეგვიპტის მთავრობამ შეიმუშავა სამრეწველო განვითარების ახალი ხუთწლიანი გეგმა. ამ მიზნით 1957 წლის იანვარში გამოქვეყნდა ბრძანებულება ეროვნული დაგეგმვის საკითხებზე უმაღლესი საბჭოს დაარსების შესახებ ნასერის თავმჯდომარეობით, აგრეთვე ბრძანებულება ეროვნული დაგეგმვის კომიტეტის დაარსების შესახებ.

1957 წელს მიღებული ეგვიპტის ინდუსტრიალიზაციის ხუთწლიანი (1957—1962 წწ.) გეგმა საფუძველი უნდა გახდეს ეგვიპტის ეკონომიური განვითარებისა უახლოესი 20 წლის მანძილზე. გეგმა ითვალისწინებს ხუთი წლის განმავლობაში 128 სამრეწველო საწარმოს მშენებლობას, რომელთაგან 47 უნდა დამთავრდეს ხუთწლედის პირველ წელს. უკვე ექსპლოატაციაში შევიდა ხელუანის მეტალურგიული ქარხანა.

ხუთწლიანი გეგმით სახსრების ძირითადი ნაწილი დაიხარჯება მძიმე მრეწველობის პროექტის განსახორციელებლად, რომელიც გეგმით განხილულია როგორც ქვეყნის ეკონომიური განვითარების საფუძველი. გეგმით დიდი ყურადღება აქვს დათმობილი სამრეწველო ობიექტების სწორად განლაგებას ეგვიპტის ტერიტორიაზე იმ ვარაუდით, რომ აცილებულ იქნეს კონკურენცია კაიროსა და ალექსანდრიაში.

გეგმა ითვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომ განვითარებას. გეგმის თანახმად ხუთწლედის მანძილზე ეგვიპტის ეროვნული შემოსავალი 250 პროცენტით გაიზარდა, მრეწველობიდან შემოსავალი — 2-ჯერ.

პირველი საყოველთაო არჩევნები ეგვიპტეში. გადაწყვეტილება სირია-ეგვიპტის ფედერაციის შექმნის შესახებ

1957 წლის ივლისში ეგვიპტეში ჩატარდა ეროვნული კრების პირველი საყოველთაო არჩევნები. ეს არჩევნები უფრო ადრე უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ ინგლის-საფრანგეთ-ისრაელის აგრესიამ ხელი შეუშალა მას. პირველად ეგვიპტის ისტორიაში არჩევნებში მონაწილეობა მიიღეს ქალებმა.

არჩევნებმა ცხადყო, თუ რამდენად განმტკიცდა ავტორიტეტი ნასერის მთავრობისა, რომელმაც გამარჯვება მოუპოვა ეგვიპტის ხალხს იმპერიალისტებთან ბრძოლაში.

1957 წლის ზაფხულში სირიის წინააღმდეგ ახალი იმპერიალისტური აგრესიის საშიშროების შექმნასთან დაკავშირებით ეგვიპტის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ეგვიპტე აღმოუჩენს სრულ ეკონომიურ, პოლიტიკურ და სამხედრო დახმარებას სირიას, რომელიც იცავს თავის დამოუკიდებლობას. ამ მიზნით და სირიასთან დადებული სამხედრო შეთანხმების' შესაბამისად სირიაში გაიგზავნა ეგვიპტის ჯარები.

1957 წლის 18 ნოემბერს შედგა სირიის პარლამენტის სხდომა; მასში მონაწილეობა მიიღო ეგვიპტის ეროვნული კრების საპარლამენტო დელეგაციამ 42 დეპუტატის შემადგენლობით.

ერთობლივ საზეიმო კრებაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომელიც მოუწოდებდა სირიისა და ეგვიპტის მთავრობებს დაუყოვნებლივ შესდგომოდნენ პრაქტიკული ზომების მიღებას სირია-ეგვიპტის ფედერაციის განსახორციელებლად. იმავე დღეს ეგვიპტის ეროვნულმა კრებამ ერთსულოვნად მოიწონა სირიის პარლამენტის გადაწყვეტილება.

ეგვიპტის დელეგაციის ვიზიტი საბჭოთა კავშირში

1957 წლის ნოემბერში საბჭოთა კავშირში იმყოფებოდა ეგვიპტის დელეგაცია სამხედრო მინისტრისა და პრეზიდენტის წარმომადგენლის აბდელ ხაკიმ ამერის მეთაურობით, რომელიც მოლაპარაკებას აწარმოებდა საბჭოთა მთავრობასთან. როგორც ეგვიპტის ეროვნულ კრებაზე აბდელ ხაკიმ ამერმა განაცხადა, მოსკოვში მოლაპარაკებათა საფუძველს შეადგენდა ეგვიპტის ხუთწლიანი გეგმის დაფინანსება. ამასთან ეგვიპტის მთავრობას, სურდა რა გეგმა შეესრულებინა ხუთ წელზე უფრო მოკლე ვადაში, უნდოდა მიეღო მანქანები და მოწყობილობანი, რაც აუცილებელი იყო გეგმის შესასრულებლად.

საბჭოთა მთავრობამ მზადყოფნა გამოთქვა გაეწია ეკონომიური და ტექნიკური დახმარება ეგვიპტისათვის ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში და მიეცა მისთვის კრედიტი. საბჭოთა კავშირის დახმარება მეგობრულია, იგი ურთიერთსარგებლიანობაზე და ეგვიპტის ეროვნული ღირსებისა და სუვერენიტეტისადმი პატივისცემაზეა დამყარებული.

ეგვიპტის პრესის აზრით, რომელიც ერთსულოვნად გმობს შუა აღმოსავლეთში ამერიკის შეერთებული შტატების დანაშაულებრივ პოლიტიკას, საბჭოთა დახმარება საშუალებას მისცემს ეგვიპტეს დააჩქაროს ხუთწლიანი გეგმის განხორციელება და უზრუნველყოს სამუშაოთი 500 ათასი ეგვიპტელი მუშა. ეგვიპტის ეროვნული შემოსავალი გაიზრდება 135 მილიონი ეგვიპტური გირვანქით, რაც ხალხის ცხოვრების დონეს დიდად აამაღლებს. ეგვიპტის ბევრი ქალაქი მნიშვნელოვან სამრეწველო ცენტრად გადაიქცევა. ყოველივე ამის მიღწევა შესაძლებელია საბჭოთა კავშირის მხრივ უანგარო ეკონომიური დახმარების გაწევით, რომელიც, როგორც წერს კაიროს გაზეთი „ალ-ახრამი", „უპასუხებს ჩვენს პრინციპებს, ჩვენს მიზნებს, ხალხის კეთილდღეობის აღმავლობისაკენ მიმართულ ჩვენს პოლიტიკას".

1958 წლის 31 იანვარს კაიროში ჩამოვიდა სირიის დელეგაცია პრეზიდენტ შუქრი კუატლის მეთაურობით. 1 თებერვალს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის გამოცხადების შესახებ. 21 თებერვლისათვის დაინიშნა პლებისციტი კავშირის საკითხისა და პრეზიდენტის შესახებ. 5 თებერვალს ეგვიპტის პრეზიდენტი და სირიის პრეზიდენტი თვითეული თავის ქვეყანაში გამოვიდა განცხადებით, რომელიც განმარტავდა ახალი რესპუბლიკის ერთიანობის პრინციპებს.

პრეზიდენტების აზრით არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა წარმოადგენს დამოუკიდებელ დემოკრატიულ სუვერენულ რესპუბლიკას, მისი ხალხები კი — არაბთა ეროვნების ნაწილს. რესპუბლიკის მოქალაქენი თანასწორი უფლებით უნდა სარგებლობდნენ და თანასწორ ვალდებულებას უნდა კისრულობდნენ.

გათვალისწინებულია გარდამავალი პერიოდი რესპუბლიკის არსებობაში. ამ პერიოდში არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა შედგება ორი რაიონისაგან — ეგვიპტისა და სირიისაგან, რომელთაგან თითოეულს აქვს აღმასრულებელი საბჭო. ორივე ნაწილის მოქალაქენი შეადგენენ ეროვნულ კავშირს, რომლის ამოცანა ეროვნული მიზნების განხორციელებასა და მტკიცე პოლიტიკურ და ეკონომიურ საფუძველზე ქვეყნის განმტკიცებაში მდგომარეობს. ძალაში დარჩა ყველა საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლებიც სირიისა და ეგვიპტის მიერ დადებული იყო სხვა სახელმწიფოებთან.

სირიის პრეზიდენტმა შუქრი კუატლიმ პრეზიდენტობის პოსტზე წამოაყენა გამალ აბდელ ნასერის კანდიდატურა. 21 თებერვალს რესპუბლიკის ორივე ნაწილში ჩატარდა პლებისციტი კავშირისა და პრეზიდენტის არჩევის საკითხზე. ეს დღე ახალი არაბული სახელმწიფოს დაბადების დღეა. პრეზიდენტად არჩეულ იქნა გამალ აბდელ ნასერი.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის გამოცხადებამ განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი აღმავლობა გამოიწვია არაბულ აღმოსავლეთში. ლიბანის ხალხი აღდგა შამუნი-სოლხის მთავრობის წინააღმდეგ საბრძოლველად, რომელმაც თავისი ქვეყნის ინტერესებს უღალატა. ერაყში მოხდა რევოლუცია და იგი რესპუბლიკად გამოცხადდა. აშშ-მა მოახდინეს ლიბანის ოკუპაცია, ხოლო ინგლისმა—იორდანიისა იმ მიზნით, რათა გადაეჭრათ ეს ქვეყნები პლაცდარმად ერაყის რესპუბლიკასა და არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაზე თავდასხმისათვის.

ერაყის რესპუბლიკისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წინააღმდეგ მიმართული იმპერიალისტთა აგრესიული გეგმები ჩაშლილ იქნა მშვიდობისმოყვარე ქვეყნების მიერ საბჭოთა კავშირის მეთაურობით.

1958 წელს ნასერი ორჯერ ეწვია საბჭოთა კავშირს. საბჭოთა მთავრობამ ვალდებულება იკისრა მონაწილეობა მიიღოს ასუანის კაშხალის მშენებლობაში და ამ მიზნით შესთავაზა ეგვიპტეს საჭირო მოწყობილობა და სპეციალისტები, აგრეთვე სესხი 400 მილიონი მანეთის რაოდენობით.

შემდეგში არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა, მხედველობაში ჰქონდა რა ერაყის რესპუბლიკის შემოერთება, დაადგა მის საშინაო საქმეებში ჩარევის გზას. იმპერიალისტები ცდილობენ ისარგებლონ ამით, რათა გამოიწვიონ განხეთქილება არაბთა სამყაროში და აღადგინონ იქ თავიანთი ბატონობა.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა

(სირიის რაიონი)

ლიბანის ქვეყნების ოკუპაცია ინგლის-საფრანგეთის ჯარების მიერ

სირია, ისე როგორც ლიბანი, მეორე მსოფლიო ომში ჩაება, როგორც საფრანგეთის სამანდატო ქვეყანა.

1941 წელს სირიასა და ლიბანში შევიდნენ ინგლისისა და საფრანგეთის შეიარაღებული ძალები. მაგრამ, არ გააჩნდა რა ძალა თავის ბატონობის ქვეშ ჰყოლოდა ეს ქვეყნები, ომში ჩათრეულმა საფრანგეთის მთავრობამ 1941 წლის სექტემბერ-ნოემბერში აღიარა ორივე ქვეყნის დამოუკიდებლობა. უცხოეთის შეიარაღებული ძალები კი განაგრძობდნენ მათ ტერიტორიაზე ყოფნას.

1943 წლის ნოემბერში ლიბანსა და საფრანგეთს შორის კონფლიქტი ატყდა. ლიბანის პარლამენტმა გადაწყვეტილება მიიღო—ამოეღოთ კონსტიტუციიდან ის მუხლები, რომლებიც შეუთავსებელია რესპუბლიკის სუვერენიტეტთან. საფრანგეთის ხელისუფლებმა გადააყენეს და დააპატიმრეს ლიბანის რესპუბლიკის პრეზიდენტი, მთავრობის წევრები და პარლამენტის ბევრი წევრი. საფრანგეთის ხელისუფალთა თვითნებობამ ისეთი აღშფოთება გამოიწვია ლიბანში, რომ საფრანგეთი იძულებული შეიქნა გაეთავისუფლებინა და თავიანთ პოსტებზე აღედგინა ლიბანის გადაყენებული და დაპატიმრებული პოლიტიკური მოღვაწეები. კონფლიქტის მოსაწესრიგებლად სირიაში ჩამოსულმა საფრანგეთის გენერალმა კატრუმ საფრანგეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტის სახელით შეთანხმება დადო სირიისა და ლიბანის მთავრობებთან. ეს შეთანხმება აღასტურებდა ორივე ქვეყნის დამოუკიდებლობას.

მაგრამ ამ შეთანხმებამ ვერ დააკმაყოფილა ხალხთა მასები, რომლებიც ინგლისისა და საფრანგეთის მოოკუპირებელი ჯარების გაყვანას მოითხოვდნენ. ფაშისტური გერმანიის დამარცხების შემდეგ საფრანგეთი იძულებული შეიქნა დათანხმებულიყო საფრანგეთის ჯარების ნაწილების თანდათანობით შეცვლაზე ორივე რესპუბლიკის ეროვნული ნაწილებით. მაგრამ საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარე გენერალი დე გოლი აყოვნებდა საფრანგეთის ჯარების ევაკუაციას და სირიისა და ლიბანის მთავრობებისათვის გზების, აეროდრომების, ნავსადგურების, კავშირგაბმულობის საშუალებების, ნავთობის სარეწაოების და სხვ. გადაცემას. მან მოითხოვა, რომ სირიისა და ლიბანის მთავრობებს საფრანგეთის ჯარების გაყვანამდე მიენიჭებინათ საფრანგეთისათვის შეღავათები და განსაკუთრებული უფლებები სამხედრო ბაზებით სარგებლობაზე, სირიასა და ლიბანში სამხედრო მისიების ყოფნაზე და სხვ. დე გოლის ეს მოთხოვნა უარყოფილ იქნა.

ამაზე საფრანგეთმა ჯარების ახალი კონტინგენტის გაგზავნით უპასუხა. ორივე ქვეყანაში საყოველთაო გაფიცვამ იფეთქა. ცხოვრება ჩაკვდა. დაიხურა ბაზრები, მაღაზიები, სახელოსნოები. დაიწყო მასობრივი დემონსტრაციები და მიტინგები. საფრანგეთის ხელისუფლებმა სცადეს დაეწყოთ მოლაპარაკება. მაგრამ ორივე ქვეყნის მთავრობებმა მძლავრი სახალხო დემონსტრაციების გავლენით შეწყვიტეს მოლაპარაკებები და მოითხოვეს სირიისა და ლიბანის სრული დამოუკიდებლობა.

1945 წლის 19 მაისს სირიისა და ლიბანის პარლამენტებმა მიიღეს კანონი ეროვნული თავდაცვისა და ეროვნული არმიის შექმნის შესახებ უცხოეთის ოფი-

ცრების მონაწილეობის გარეშე. პატრიოტული აღმაელობის პირობებში ეროვნულ არმიაში მოხალისეებად ეწერებოდნენ მოსწავლეები, მუშები და სხვ.

საფრანგეთის მთავრობამ სირიაში გაგზავნა მაშველი ძალები, უმთავრესად ზანგ-სენეგალთაგან. ამ უკანასკნელებმა დამასკოში პატრიოტული დემონსტრაციის დროს შეტაკების პროვოკაცია მოაწყეს და ცეცხლი დაუშინეს დემონსტრანტებს. შეტაკებებს სხვა ქალაქებშიც ჰქონდა ადგილი.

მაოკუპირებელი ჯარების გაყვანა სირიიდან და ლიბანიდან

1945 წლის მაისის დამლეგს საბჭოთა მთავრობამ წინადადებით მიმართა ინგლისის, საფრანგეთის, აშშ-ისა და ჩინეთის მთავრობებს საფრანგეთ-სირიის კონფლიქტის მოსაწესრიგებლად ერთობლივ ღონისძიებათა მიღების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპების შესაბამისად. მაგრამ ინგლისმა უარყო ეს წინადადება და თვითონ გამოვიდა არბიტრის როლში საფრანგეთ-სირიის კონფლიქტში. მოლაპარაკება წარმოებდა ინგლისსა და საფრანგეთს შორის არაბთა სახელმწიფოებთან კონსულტაციის გარეშე. 1945 წლის 13 დეკემბერს გადაწყდა სირიიდან ინგლისისა და საფრანგეთის ჯარების თანდათანობით გაყვანა, ისინი მხოლოდ ლიბანში რჩებოდნენ.

ამგვარად, არსებითად ეს იყო უცხოელთა ჯარების ადგილგადანაცვლება.

სირიასა და ლიბანში ახალმა დემონსტრაციებმა იფეთქა. 1946 წლის იანვარში სირიისა და ლიბანის მთავრობებმა უშიშროების საბჭოს მიმართეს ინგლისისა და საფრანგეთის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანის მოთხოვნით. უშიშროების საბჭომ იმსჯელა ამ საკითხზე 1946 წლის თებერვალში. სირიისა და ლიბანის მოთხოვნებს მხარი დაუჭირა საბჭოთა კავშირმა. მაგრამ დასავლეთის სახელმწიფოებმა სცადეს გაეთრიათ უშიშროების საბჭოში რეზოლუცია, რომელიც სირიისა და ლიბანის სუვერენიტეტს არღვევდა. საბჭოთა კავშირის დელეგატმა გამოიყენა „ვეტოს“ უფლება.

ამგვარად, სირიის საკითხი ვერ გადაწყდა უშიშროების საბჭოში. მაგრამ საბჭოთა კავშირის პოზიციამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მსოფლიო საზოგადოებრივ აზრზე. ამ უკანასკნელის გავლენით ინგლისმა და საფრანგეთმა 1946 წლის მარტში პარიზში ხელი მოაწერეს შეთანხმებას სირიიდან და ლიბანიდან თავიანთი ჯარების გაყვანის შესახებ. სირიიდან ჯარები გაყვანილ იქნა 1946 წლის აპრილში, ლიბანიდან — დეკემბერში.

დადგა მშვიდობიანი დრო სირიისა და ლიბანის ცხოვრებაში. ამ პერიოდში ორივე ქვეყანამ მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა თავიანთი მეურნეობის განვითარებაში, პირველ რიგში სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგში, რომელიც ამ ქვეყნების ნახევრად ფეოდალური ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენდა. უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ნათესი ფართობი სირიაში ორჯერ გადიდდა, თითქმის 15-ჯერ გადიდდა ბამბის ფართობი. დაიწყო საირიგაციო სისტემის მშენებლობა, რომელთაგან ყველაზე უდიდესი მდ. გაბზე შენდება. ეს არხი მორწყავს 45 ათას ჰექტარ უდაბნოს მიწას. ამუშავდა ათეული სამრეწველო საწარმო და სხვ.

ზიუეკლის დიქტატურა და მისი დამხობა. ეროვნული კავშირის ბანდარეგვა

სირიიდან და ლიბანიდან უცხოეთის ჯარების გაყვანის შემდეგ ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების ინტრიგები გრძელდებოდა. ინგლისის დი-

პლომატიამ წამოაყენა ინგლის-არაბეთის იმპერიის შექმნის გეგმა „დიდი სირიის" აბრით, რომელშიც შეეიდოდნენ ერაყი, სირია, ლიბანი, იორდანია და პალესტინა. ამ გეგმის განხორციელებას წინ აღუდგნენ ამერიკის შეერთებული შტატები, რომლებსაც თავიანთი თვალი ეჭირათ სირიაზე. 1950 წელს ამერიკის აგენტმა პოლკოვნიკმა ადიბ შიშეკლიმ სახელმწიფო გადატრიალება მოახდინა სირიაში, გადააყენა პოსტიდან პრეზიდენტი ხაშიმ ალ-ათასი, გააუქმა კონსტიტუცია და დიქტატურული რეჟიმი დაამყარა. შიშეკლის დიქტატურა სამ წელზე მეტს გაგრძელდა. მხოლოდ 1954 წლის თებერვალს დაამხო სირიის ხალხმა შიშეკლის დიქტატურა და აღადგინა კონსტიტუცია. ხელისუფლებას დაუბრუნდა პრეზიდენტი ხაშიმ ალ-ათასი.

სირიაში ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები, რომელშიაც პროგრესულმა ბურჟუაზიულმა ელემენტებმა და დემოკრატიულმა ჯგუფებმა მოიპოვეს გამარჯვება. ესენი ეროვნულ კავშირში გაერთიანდნენ, რომლის შემადგენლობაში კომუნისტებიც შეეიდნენ. ხმების დიდი უმრავლესობით დამასკოდან პარლამენტში გაყვანილ იქნა ხალედ ბაღდაში — სირიის კომუნისტური პარტიის ლიდერი. კოლონიალიზმისა და რეაქციის მომხრეებმა მარცხი განიცადეს. მთავრობის საათავეში ჩადგა ელ-ჰური.

ასალის მთავრობის უარი ბაღდადის პაქტში შესვლაზე

როდესაც თურქეთსა და ერაყს შორის ხელმოწერილი ბაღდადის ხელშეკრულება მსჯელობის საგნად გახდა არაბული სახელმწიფოების ლიგაში, სირიის დელეგაციამ პრემიერ-მინისტრ ელ-ჰურის მეთაურობით ორპოფული პოზიცია დაიკავა. ეს უკანასკნელი იმდენად ეწინააღმდეგებოდა სირიის საზოგადოებრიობის განწყობილებებს, რომ ელ-ჰურის მთავრობა, რომელმაც პარლამენტის მხარდაჭერა დაკარგა, იძულებული შეიქნა გადამდგარიყო. ახალი მთავრობა საბრი ასალის მეთაურობით გადაჭრით გამოვიდა იმპერიალისტურ ბლოკში სირიის ჩათრევის წინააღმდეგ.

მაგრამ იმპერიალისტებმა არ შეასუსტეს დაწოლა სირიაზე. 1955 წლის მარტში თურქეთის მთავრობამ სირიის მთავრობას გაუგზავნა ორი ნოტა, რომლებშიც მოითხოვდა სირიის პოზიციის გადასინჯვას თურქეთ-ერაყის ხელშეკრულების მიმართ და სირიის მიერ ხელის აღებას იმ განზრახვაზე, რომ იგი აპირებდა ეგვიპტის, სირიისა და საუდის არაბეთის შემადგენლობით გამიზნულ სამხედრო კავშირში შესვლას. ამავე დროს სირიის საზღვარზე დაიწყო თურქეთის ჯარების კონცენტრაცია, მანევრები და სამხედრო დემონსტრაციები. ამასთან ადგილი ჰქონდა სირიის საზღვრის დარღვევის შემთხვევებსაც. იმპერიალისტური დაზვერვის აგენტების მიერ მოკლულ იქნა სირიის არმიის გენერალური შტაბის უფროსის თანაშემწე პოლკოვნიკი ადნან მალიქი, რომელიც ცნობილი იყო როგორც ბაღდადის ხელშეკრულების მოწინააღმდეგე.

თურქეთის ზურგს უკან აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი იდგა, რომელმაც თავისი ელჩის მეშვეობით სირიის მთავრობას დამასკოში გაუგზავნა „სამახსოვრო ბარათი", რითაც მოითხოვდა ბაღდადის ხელშეკრულებაში შესვლას და არაბთა სახელმწიფოების კავშირში მონაწილეობაზე უარის თქმას.

სირიის ხალხის დამცველად გამოვიდა საბჭოთა კავშირი. 1955 წლის აპრილში სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ თუ გაგრძელდებოდა ახლო და შუა აღმოსავლეთის

ქვეყნების მიმართ ზეგავლენისა და მუქარის პოლიტიკა, მაშინ ეს საკითხი განიხილებოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებას დიდი მოწონებით შეხვდა სირიის საზოგადოებრიობა. სირიის მთავრობამ მადლობა გადაუხადა საბჭოთა მთავრობას.

1955 წლის აპრილში სირიის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ ბანდუნგის კონფერენციაში. აგვისტოში, იმის გამო, რომ პრეზიდენტ ხაშიმ ალ-ათასის რწმუნების ვადა გაუვიდა, სირიაში შედგა პრეზიდენტის არჩევნები. არჩევნებში გამარჯვება მოიპოვა ეროვნული პარტიის ლიდერმა შუქრი კუატლიმ, რომელიც ბაღდადის ხელშეკრულების მოწინააღმდეგე და დამოუკიდებელი ეროვნული პოლიტიკის მომხრე იყო.

ექვსწლიანი გეგმა (1955-1960 წ წ.)

1955 წელს სირიის მთავრობამ შეიმუშავა ქვეყნის ეკონომიური და კულტურული განვითარების ექვსწლიანი პროგრამა (1955—1960 წწ.). პროგრამა ითვალისწინებდა საფეიქრო ფაბრიკების, ბამბისსაწმენდი საწარმოების, ნავთობგადამამუშავებელი და ცემენტის ქარხნების, ჰიდროელექტროსადგურებისა და სხვა საწარმოთა მშენებლობას. პროგრამაში გათვალისწინებული იყო ზომები უცხოეთის კონკურენციისაგან ეროვნული მრეწველობის დასაცავად. გეგმის განსახორციელებლად ასიგნებული იყო 660 მილიონი სირიული გირვანქა სტერლინგი. ეროვნული ეკონომიკის განვითარებას სირია უკავშირებდა თავისი ეროვნული სახელმწიფოებრიობის განმტკიცების ამოცანის შესრულებას.

ეროვნული ქარტიის გამოქვეყნება

1956 წლის მარტში სირიის წამყვანმა პოლიტიკურმა პარტიებმა და ორგანიზაციებმა გამოაცხადეს ეროვნული ქარტია, რომელიც ქვეყნის ეროვნული და კულტურული აღორძინების საერთო პროგრამას წარმოადგენდა. პროგრამა ითვალისწინებდა „აქტიური ნეიტრალიტეტის" დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებას, არაბი ხალხების შემეგობრებას, ბანდუნგის გადაწყვეტილებათა დაცვას, ყველა ქვეყანასთან სავაჭრო ურთიერთობის განვითარებას, ქვეყნის ეკონომიური ჩამორჩენილობის ლიკვიდაციას, ინდუსტრიალიზაციას, მუშებისა და ფელახების უფლების დაცვას, უმიწაწყლო და მცირემიწიან გლეხებს შორის სახელმწიფო მიწების განაწილებას, სოციალურ დაზღვევას და სხვ.

შუქრი კუატლის გამგზავრება საბჭოთა კავშირში

შუქრი კუატლი იცავდა მშვიდობისმოყვარე ქვეყნებთან მეგობრული ურთიერთობის პოლიტიკას. 1955 წლის დასასრულს სირიამ ხელი მოაწერა საბჭოთა კავშირთან სავაჭრო და საგადასახადო შეთანხმებას. 1956 წლის იელისის დასაწყისში სირიის მთავრობამ ცნო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. სირიის ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სირიის რესპუბლიკის პრეზიდენტის შუქრი კუატლის სტუმრობას საბჭოთა კავშირში 1956 წლის 31 ოქტომბრიდან 3 ნოემბრამდე. მოსკოვში სირიის პრეზიდენტის ყოფნისას მოლაპარაკება მეგობრობისა და გულითადობის ატმოსფეროში მიმდინარეობდა და დადგენილ იქნა თვალსაზრისთა სრული დამთხვევა იმ საკითხებში, რომლებიც ორივე მხარეს აინტერესებდა. ორივე მხარემ აღიარა თავიანთი ერთგულება გაერთიანებული ერების

ორგანიზაციის პრინციპებისა და მიზნებისადმი, რაც ბანდუნგის კონფერენციის მიერ იყო აღიარებული.

ორივე ქვეყნის ხელმძღვანელებმა განაცხადეს აგრეთვე, რომ ალჟირის ხალხის წინააღმდეგ წარმოებული სამხედრო მოქმედება ეწინააღმდეგება ჰუმანურობის პრინციპებსა და აფრიკაში მშვიდობის ინტერესებს და ხალხთა თვითგამორკვევის უფლების დარღვევას წარმოადგენს.

ორივე მხარემ დაადასტურა თავიანთი ურყევი მისწრაფება მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცებისაკენ.

იმპერიალისტური შეთქმულება სირიის წინააღმდეგ 1956 წლის ნოემბერში

სირიის მთავრობის მტკიცე გადაწყვეტილება — მის განკარგულებაში არსებული ყოველგვარი საშუალებით დახმარებოდა აგრესიის მსხვერპლს ეგვიპტის ხალხს—და სირიასა და საბჭოთა კავშირს შორის არსებული მეგობრული დამოკიდებულება მიზეზი შეიქნა სირიის წინააღმდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში წამოწყებული პროვოკაციული კამპანიისა. ამ კამპანიის მიზანი ის იყო, რომ აემხედრებინათ ამ სახელმწიფოზე თურქეთი და ერაყი და მათ შემდეგ ინგლისი, საფრანგეთი და ისრაელი.

1956 წლის ნოემბრის დასასრულს სირიის უშიშროების ორგანოებმა ანტისახელმწიფოებრივი შეთქმულება აღმოაჩინეს. ეგვიპტის გაზეთ „აშ-შაბის" ცნობით, შეთქმულება მზადდებოდა ერაყის პრემიერის ნური საიდის მონაწილეობით. განზრახული იყო, წერდა გაზეთი, შეთქმულება განეხორციელებინათ სამ ეტაპად. პირველ ეტაპზე უნდა ყოფილიყო უწესრიგობანი, პროვოკაციები. დივერსიული აქტები, სირიის ხელმძღვანელ მოღვაწეთა დაპატიმრება და მკვლელობა. ამის განხორციელება დაკისრებული ჰქონდათ შეიარაღებულ ბანდებს, რომლებიც იმ მომენტში უნდა გამოსულიყვნენ, როდესაც ინგლის-საფრანგეთ-ისრაელის ჯარები წამოიწყებდნენ ეგვიპტის წინააღმდეგ აგრესიას. შემდგომ ეტაპზე ნური საიდს განზრახული ჰქონდა სირიაში ერაყის ჯარის შეყვანა „უშიშროების უზრუნველყოფისა" და ერაყის „ნავთობის ინტერესების დაცვის" საბაბით. ერთდროულად სირიას თავს უნდა დასხმოდნენ ისრაელის ჯარები. შეთქმულების წარმატების შემთხვევაში, წერდა გაზეთი, გათვალისწინებული იყო ერაყის მემკვიდრე პრინცის აბდულ-ილახის დანიშვნა სირიის ვიცემეფედ.

47 შეთქმულთაგან თვრამეტმა მოასწრო საზღვარგარეთ გაქცევა. როგორც სასამართლო პროცესმა გამოააშკარავა, შეთქმულების სირიელ შემსრულებლებს წარმოადგენდა გამყიდველ პოლიტიკანთა სამი ჯგუფი, რომლებიც ანგარებიანი ინტერესებით ერთმანეთს ეჭიშპებოდნენ, მაგრამ ერთიანდებოდნენ მისწრაფებით ხელში ჩაეგდოთ ძალაუფლება. ეს ჯგუფებია: შიშეკლის ჯგუფი, ნაციონალ-სოციალისტური პარტიის ჯგუფი, რომელიც აკრძალული იყო მას შემდეგ, რაც მან 1955 წელს ცნობილი პატრიოტის ადნან მალიქის მკვლელობა მოაწყო, და პატივმოყვარეობით შეპყრობილი დემობილიზებული პოლკოვნიკის მოჰამედ საფას ჯგუფი, რომელიც უკვე არა ერთხელ ყოფილა შეთქმულებათა აქტიური მონაწილე. ლიბანში სირიის ნაციონალ-სოციალისტური პარტიის 500 წევრი იმპერიალისტების ხელმძღვანელობით იარაღის ხმარებას სწავლობდა სპეციალურ ბანაკებში, რომელთა შექმნა საიდუმლოებას არ წარმოადგენდა ლიბანის მთავრობისათვის. ბეირუთში შემდგარ საიდუმლო თათბირებზე შეთქმულების მეთაურები წინდაწინ ინაწილებდნენ მინისტრთა პორტფელებს, მათ ხელი მოა-

წერეს საიდუმლო ბრძანებას, რომელშიც გადმოცემული იყო შეთქმულების მიზანი — მთავრობის ჩამოგდება, პარლამენტის დათხოვნა, ზოგიერთი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწის სიკვდილი — მათ რიცხვში პრეზიდენტ შუქრი კუვატლისა.

1956 წლის ნოემბრის შეთქმულების ჩაშლამ ვერ შეაჩერა იმპერიალისტები. 1957 წლის ზაფხულში ბაღდადის პაქტის სესიის სხდომაზე ყარაჩში სხვა ვადაწყვეტილებათა შორის მოწონებულ იქნა ეგვიპტისაგან სირიის იზოლაციის ვეგმა.

ბაღდადის პაქტის წევრებთან შეთქმულებაში აშშ-მა შეიმუშაავეს გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა მეზობელ არაბთა ქვეყნებიდან დიეერსანტების შეგზავნას სირიაში ძირგამომთხრელი მუშაობისათვის, ჭორების გავრცელებას და სხვ.

სირიის მთავრობის დელეგაცია საბჭოთა კავშირში

1957 წლის 24 ივლისიდან 7 აგვისტომდე სსრ კავშირში იმყოფებოდა სირიის მთავრობის დელეგაცია თავდაცვის მინისტრის ხალედ აზემის მეთაურობით. მოლაპარაკების მსვლელობაში, რაც მეგობრობისა და გულითადობის ატმოსფეროში მიმდინარეობდა, დადასტურებულ იქნა ორივე მხარის მისწრაფება ახლო და შუა აღმოსავლეთში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებისაკენ და საბჭოთა მთავრობის გულწრფელი თანაგრძნობა სირიის მთავრობის იმ ღონისძიებებისადმი, რასაც იგი ეწევა თავისი ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიური დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად.

საბჭოთა მთავრობამ მზადყოფნა გამოთქვა ითანამშრომლოს სირიას მთავრობასთან რკინიგზისა და საგზაო მშენებლობის საქმეში, ირიგაციაში, ჰიდროელექტროსადგურების, სამრეწველო და სხვა ობიექტების მშენებლობაში, აგრეთვე გეოლოგიურ-საძიებო, კვლევით და საპროექტო სამუშაოებში. საბჭოთა მხარემ იკისრა სირიისათვის მოწყობილობისა და მასალების მიწოდება და სპეციალისტების გაგზავნა; იგი დათანხმდა, აგრეთვე, განეხილა საკითხი სირიისათვის სესხის მიწოდებაზე საპროექტო-საკვლევო სამუშაოებისა, ტექნიკური ქომპლექტაციისა და მომსახურების ღირებულების ასანაზღაურებლად. ამასთან განსაკუთრებით აღინიშნა, რომ ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობა განხორციელებულ იქნებოდა ყოველგვარი პოლიტიკური და სხვა პირობების გარეშე თანასწორობისა და ურთიერთსარგებლიანობის საფუძველზე, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლად და სირიის ეროვნული სუვერენიტეტისა და ღირსებისადმი პატივისცემის საფუძველზე.

ორივე მხარემ საჭიროდ ცნო ეაჭრობის შემდგომი გაფართოება.

იმპერიალისტების შეთქმულება სირიის წინააღმდეგ 1957 წლის აგვისტოში

1957 წლის აგვისტოში სირიაში აღმოჩენილ იქნა ახალი შეთქმულება. მისი მთავარი მონაწილენი იყვნენ სირიის სამხედრო ატაშე რომში იბრაჰიმ ჰუსეინი და ყოფილი დიქტატორი შიშეკლი, რომელიც უკვე დიდი ხანია დაკავშირებული იყო ამერიკულ დაზვერვასთან. ჰუსეინის ცნობით შეთქმულებას აფინანსებდა ამერიკის მთავრობა, რომელიც მის მონაწილეებს შეთქმულების წარმატების შემთხვევაში ჯილდოდ შეჰპირდა 300—400 მილიონ დოლარს. შეთქმულთა შორის კონტაქტს ახორციელებდნენ დამასკოში ამერიკის საელჩოს თანამშრომლე-

ბი ჰოვარდ სტიუნი და ფრენსის ჯეტონი, აგრეთვე ამერიკის სამხედრო ატაშე რობერტ მოლოი. შეთქმულების დღეებში, ინგლისის გაზეთ „დეილი ექსპრესის" ცნობით, აშშ-ის მე-6 ფლოტი გაგზავნილ იქნებოდა ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში. ამავე დროს ამერიკის პრესამ ინსინუაცია გაშალა შუქრი კუატლის წინააღმდეგ იმ მიზნით, რომ ზეგავლენა მოეხდინა სირიის განსაზღვრულ პოლიტიკურ წრეებზე, არევ-დარევა შეეტანა მთავრობაში და გამოეწვია მისი გადადგომა.

სირიის წინააღმდეგ იმპერიალისტური ინტერვენციის მოეწყობა და მისი ჩაშლა

აგვისტოს შეთქმულების ჩაშლის შემდეგ იმპერიალისტები შეუდგნენ სამხედრო ინტერვენციის მომზადებას სირიის წინააღმდეგ. გაძლიერდა ცილისმწამებლური კამპანია თითქოსდა სირიაში „კომუნისტების შეპრის". „საბჭოთა აგრესიის", „სირიის აგრესიის" ირგვლივ. სტამბოლში გაიგზავნა ცნობილი ამერიკელი სპეციალისტი უწესრიგობებისა და შეთქმულებების მოწყობის საქმეში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ლოი ჰენდერსონი. ამავე დროს სტამბოლში იმყოფებოდნენ „დასასვენებლად" ერაყის მეფე ფეისალი და იორდანიის მეფე ჰუსეინი. უცხოეთის პრესის ცნობით, ჰენდერსონმა ბაღდადის პაქტის წევრ ქვეყნებთან (ისრაელის, თურქეთის და სხვა სახელმწიფოების წარმომადგენლებთან ერთად) შეიმუშავა სირიის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედების ერთობლივი გეგმა.

სტამბოლის მოლაპარაკებათა დამთავრების შემდეგ თურქეთის და იორდანიის ნავსადგურებს მოადგნენ საომარი მასალებით დატვირთული ამერიკის გემები. თურქეთმა დაიწყო ჯარების თავმოყრა თურქეთ-სირიის საზღვარზე. დამასკოდან მიღებული ცნობებით თურქეთის სამხედრო ძალები სირიის საზღვრის რაიონში შეადგენდა 9 დივიზიას, 700 ტანკს და სხვ. ისრაელის ექსტრემისტულმა წრეებმა პროვოკაცია მოაწყვეს სირია-ისრაელის საზღვარზე.

აშშ-ის ახალმა პროვოკაციამ არაბ ხალხთა დიდი გულისწყრომა გამოიწვია. ეგვიპტის პრეზიდენტმა ნასერმა სრული დახმარება აღუთქვა სირიას. ანალოგიური განცხადებით გამოვიდა საუდის არაბეთიც. ჩინეთის, ინდოეთისა და ბევრი სხვა ქვეყნის ხალხთა სოლიდარობამ აშკარა გახადეს, რომ მშვიდობისმოყვარე ხალხები მხარს დაუჭერდნენ აგრესორთა წინააღმდეგ სირიის ხალხის ბრძოლას.

საბჭოთა მთავრობამ ჯერ კიდევ 1957 წლის აპრილში მიმართა აშშ-ის, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებს წინადადებით მიეღოთ ოთხი სახელმწიფოს დეკლარაცია ახლო და შუა აღმოსავლეთში მშვიდობის და უშიშროების უზრუნველყოფისა და ამ რაიონის ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩაურევლობის მიზნით. ამასთან საბჭოთა კავშირმა წინადადება შეიტანა, რომ შუა და ახლო აღმოსავლეთში მდგომარეობის გაჯანსაღებისა და ნორმალიზაციის მიმართულებით გადადგმული პირველი ნაბიჯის სახით ოთხ სახელმწიფოს გაეკეთებინა განცხადება, რომ ისინი გმობდნენ ძალის გამოყენებას, როგორც სადავო საკითხების გადაჭრის საშუალებას ამ რაიონში.

საბჭოთა მთავრობამ 3 სექტემბერს განმეორებით გადასცა აშშ, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებს ნოტები. ხოლო თურქეთის პრემიერ-მინისტრ მენდერესისადმი 1957 წლის 10 სექტემბერს გაგზავნილ წერილში სსრ კავშირის

მინისტრთა საბჭო სირიის საზღვარზე თურქეთის ჯარების თავმოყრასთან დაკავშირებით გაფრთხილებას იძლეოდა, რომ „თურქეთი დიდ უბედურებას მოუტანდა თავის თავს, თუ იგი იხელმძღვანელებდა უცხოეთის იმ წრეების რჩევით, რომლებიც სრულებით არ არიან დაინტერესებული ახლო და შუა აღმოსავლეთში მშვიდობის შენარჩუნებით და რომლებიც მხოლოდ მოგებაზე ზრუნავენ".

19 ოქტომბერს გამოქვეყნებულ იქნა საკდესის განცხადება, რომელშიც გამომჟღავნებული იყო აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ცდა — გაემართლებინა საქმიანობა თავისი ემისრისა, რომელიც გაემგზავრა თურქეთსა და ლიბანში სპეციალური მისიით — მოეწყო ახლო და შუა აღმოსავლეთის ზოგიერთი სახელმწიფოს თავდასხმა სირიაზე. განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ საბჭოთა კავშირი, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებისათვის, ისწრაფვის არ დაუშვას ომის საშიში კერის წარმოშობა, მით უმეტეს, რომ ამ კერამ შეიძლება იფეთქოს საბჭოთა კავშირის სამხრეთის საზღვრების ახლოს. საკდესს დავალებული ჰქონდა განეცხადებინა, რომ საბჭოთა მთავრობა, „იხელმძღვანელებს რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპებითა და მიზნებით, მზადაა ზომები მიიღოს აგრესორის ასალაგმავად. საბჭოთა მთავრობა მზადყოფნას გამოთქვამს იმოქმედოს ამ მიზნით აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასთან ერთად, ისე როგორც ყოველ სხვა სახელმწიფოსთან ერთად".

თავის მხრივ, სირიის მთავრობამ საჩივრით მიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეას იმ საშიშროების გამო, რომელიც ემუქრება მისი ქვეყნის დამოუკიდებლობას და საერთაშორისო მშვიდობის საქმეს. სირიის მთავრობამ მოითხოვა „კომისიის დანიშნა თურქეთ-სირიის საზღვარზე ფაქტიური მდგომარეობის გამოსაკვლევად და ორი კვირის ვადაში გამოკვლევათა შედეგების წარდგენა გენერალურ ასამბლეასა და უშიშროების საბჭოში. სირიის მოთხოვნას მხარი დაუჭირა ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფომ.

რაც შეეხება აშშ-სა და თურქეთს, ისინი უშედეგოდ ცდილობდნენ უარეყოთ თავიანთი აგრესიული ზრახვები, არ დაეშვათ კომისია სირია-თურქეთის საზღვარზე, და წინადადებას იძლეოდნენ დაკმაყოფილებულიყვნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის შუამდგომლობით. სინამდვილეში კი არავითარი საფუძველი არ არსებობდა შუამდგომლობისათვის, ვინაიდან საქმე ეხებოდა არა ორ მხარეს შორის დავას, არამედ სირიის უშიშროებისადმი მუქარას თურქეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მხრივ.

დასავლეთის სახელმწიფოებისა და მათზე დამოკიდებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრების მხრივ წინააღმდეგობის გაწევის გამო გენერალური ასამბლეის XII სესიას არავითარი გადაწყვეტილება არ მიუღია სირიის საჩივრის გამო. მაგრამ საკითხი სირიისა და საერთაშორისო მშვიდობისადმი საფრთხის შესახებ დატოვებულ იქნა გენერალური ასამბლეის დღის წესრიგში.

შეთანხმება სსრ კავშირსა და სირიას შორის ეკონომიურ და ტექნიკურ თანამშრომლობაზე

1957 წლის ოქტომბერში დამასკოში წარმოებდა მოლაპარაკება სსრ კავშირის ეკონომიურ დელეგაციასა და სირიის მთავრობის დელეგაციას შორის ეკონომიურ და ტექნიკურ თანამშრომლობაზე.

მოლაპარაკება საბჭოთა კავშირ-სირიის შეთანხმებაზე 28 ოქტომბერს ხელის მოწერით დამთავრდა.

შეთანხმება ითვალისწინებდა, რომ ორივე ქვეყნის მთავრობები ითანამ-

შრომლებდნენ რკინიგზის, კაშხალების, ჰიდროელექტროსადგურების, სარწყავი სისტემების. საძოვრების მორწყვის, საავტომობილო ხიდების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის, აზოტოვანი სასუქებისა და სხვა ობიექტების მშენებლობის საქმეში, აგრეთვე სირიის გეოლოგიური რუკის შედგენისა და გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოების ჩატარების დარგში ქვეყნის ბუნებრივი რესურსების გამოვლინებისა და შეფასების მიზნით, კერძოდ, ნავთობის, ქიმიური მრეწველობისათვის საჭირო ნედლეულისა და ჰიდროენერგეტიკული რესურსების გამოვლინების მიზნით.

შეთანხმებაში ნათქვამია აგრეთვე, რომ საბჭოთა ორგანიზაციები შეასრულებენ სირიისათვის საპროექტო-საძიებო და საკვლევ სამუშაოებს, მიაწვდიან საჭირო მოწყობილობებს, მანქანებსა და მასალებს, და მიავლინებენ სირიაში საბჭოთა სპეციალისტებს.

საბჭოთა ორგანიზაციების მიერ შესრულებულ საპროექტო-საძიებო და საკვლევო სამუშაოების შესრულებისა და მიწოდებული მოწყობილობის, მასალებისა და სხვა მომსახურების ღირებულების ასანაზღაურებლად სსრ კავშირის მთავრობა საჭირო კრედიტს მისცემს სირიის მთავრობას 12 წლის ვადით წლიური 2,5 პროცენტის ანგარიშით.

10-დან 20 დეკემბრამდე სსრ კავშირში იმყოფებოდა სირიის მთავრობის დელეგაცია სირიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ხალედ ელ-ახამის შეთაურობით, რომელიც მოლაპარაკებას აწარმოებდა საბჭოთა მთავრობასთან.

მოლაპარაკების დროს შეთანხმდნენ სირია-საბჭოთა კავშირის ვაჭრობის გაფართოებაზე. არაბთა გაერთიანებული კავშირის შექმნის შემდეგ შეთანხმებანი სსრ კავშირსა და სირიას შორის ძალაში დარჩა.

ლ ი ბ ა ნ ი

„ეიზენჰაუერის დოქტრინის" ცნობა

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ლიბანი ატარებდა თავისი ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცებისაკენ მიმართულ პოლიტიკას. დასავლეთის სახელმწიფოების ცდამ — ჩაეთრიათ ლიბანი ბაღდადის პაქტში — წარმატება ვერ მოიპოვა, ლიბანმა მეგობრული ურთიერთობა დაამყარა საბჭოთა კავშირთან და იგი მონაწილეობდა ბანდუნგის კონფერენციაში. მაგრამ, 1956 წლიდან აშშ ცდებმა — მიეღწიათ ლიბანის მთავრობის პოლიტიკური კურსის შეცვლისათვის — გარკვეული ნაყოფი გამოიღო. ბეირუთში ფეხი მოიკიდა ბაღდადის პაქტის პროპაგანდისტულმა ცენტრმა, რომლის მოღვაწეობა იქითკენ იყო მიმართული, რომ გაერთულებია ლიბანის ურთიერთობა სირიასთან და აეძულებინათ ლიბანი მხარდამჭერთა საძებნელად მიემართა ბაღდადის პაქტის მონაწილე ქვეყნებისათვის. ამ პროპაგანდისტული ცენტრის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდნენ ლიბანში ემიგრირებული ნაციონალ-სოციალური პარტიის წევრები, რომელთა საქმიანობა სირიაში აიკრძალა პოლკოვნიკ მალიქის სიკვდილის შემდეგ. ამ პარტიის წევრები სამხედრო წვრთნას გადიოდნენ სპეციალურ ბანაკებში, რომელთა არსებობა ცნობილი იყო ლიბანის მთავრობისათვის. ლიბანში თავშესაფარი ჰპოვეს აგრეთვე 1956 წელს სირიაში აღმოჩენილი

ანტისახელმწიფოებრივი შეთქმულების მონაწილეებმაც. ბეირუთის ნავსადგურში სულ უფრო ხშირად შემოდიოდნენ მეექვსე ამერიკული ფლოტის სამხედრო გემები.

მაგრამ ლიბანის მთავრობა იძულებული იყო ანგარიში გაეწია საზოგადოებრივი აზრისათვის, რომელიც „ახალი კურსის" წინააღმდეგ იყო მიმართული. როდესაც კაიროს კონფერენციაზე, რომელიც 1957 წლის იანვარში შედგა სირიის, ეგვიპტის, საუდის არაბეთისა და იორდანიის მონაწილეობით, დადასტურებულ იქნა არაბული სახელმწიფოების სოლიდარობის პოლიტიკა, ლიბანის პრეზიდენტმა ქამილ შამუნმა პირობა დადო შეეთანხმებინა ლიბანის პოლიტიკა არაბთა სხვა სახელმწიფოების პოლიტიკასთან.

ლიბანის მთავრობის პროამერიკული კურსი ნათლად გაირკვა მას შემდეგ, რაც ვაშინგტონს ესტუმრა ლიბანის საგარეო საქმეთა მინისტრი მალიქი 1957 წლის მარტში. ვაშინგტონში მოლაპარაკებით მალიქმა მიაღწია აშშ-ის მხრივ დაპირებას იმის შესახებ, რომ ლიბანისათვის მიენიჭებინათ პოლიტიკური, ეკონომიური და ტექნიკური ხასიათის ოპერატესობანი. ამიტომ სრულებით არ არის შემთხვევითი ის გარემოება, რომ როდესაც 1957 წლის მარტში აშშ-ის პრეზიდენტის წარმომადგენელმა რიჩარდსმა „ეიზენჰაუერის დოქტრინის" პროპაგანდის მიზნით ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში იმოგზაურა, პირველი ქვეყანა, რომელიც მან ინახულა, იყო ლიბანი.

რიჩარდსის მიერ ბეირუთში წარმოებული მოლაპარაკების შედეგად ლიბანი დათანხმდა დაეთმო ამერიკის შეერთებული შტატების ჯარების გამოსაყენებლად თავისი ქვეყნის ზოგიერთი ნავსადგური და აეროპორტი იმ „დახმარების" საკომპენსაციოდ, რაც მას აღუთქვეს. კერძოდ, არაბული გაზეთების ცნობით, ლიბანი დათანხმდა დაეთმო აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სადგომად ბეირუთის ნავსადგური ან ჯუნიას ყურე (ბეირუთიდან 20 კილომეტრზე). ლიბანი დათანხმდა აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალებისათვის გამოსაყენებლად გადაეცა ბეირუთის აეროდრომი ქალდე და აეროდრომი რაიაკი.

თავის მხრივ აშშ-მა ლიბანის მთავრობასთან საიდუმლო ხელშეკრულებით,— როგორც ბეირუთის გაზეთი „ას-სიასა" იუწყებოდა,— ვალდებულება იკისრა გაეწია სამხედრო დახმარება 50 მილიონი დოლარი თანხით და ყოველწლიური ფულადი სუბსიდია 12 მილიონი დოლარის რაოდენობით. 1957 წლის მარტში ლიბანის მთავრობამ, სამი სოლიის მეთაურობით, შეთანხმება დადო აშშ-თან „ეიზენჰაუერის დოქტრინის" ცნობის შესახებ.

ოპოზიციური მოძრაობა ლიბანში

„ეიზენჰაუერის დოქტრინასთან" ლიბანის შეერთებამ დაარღვია ლიბანისათვის ტრადიციული და სასარგებლო ეკონომიური ურთიერთობა სირიასთან, ეგვიპტესა და არაბთა სხვა ქვეყნებთან. გადიდდა ფასი შემოტანილ მარცვლეულზე, ფქვილზე და კვების სხვა პროდუქტებზე, რომელთა შესყიდვა მანამდე ხდებოდა სირიაში უფრო დაბალ ფასებში. მერყეობდა ვალუტის კურსი. გაძვირდა ცხოვრება.

დიდად გაიზარდა არასაწარმოო ხარჯები. ბიუჯეტის ასიგნობათა 20 პროცენტზე მეტი სამხედრო ხარჯებზე მიდიოდა. ამერიკული დოქტრინის მიღებით ლიბანის ეკონომიკისათვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანი ვერაფითარ შემ-

თხეევაში ვერ ანაზღაურდებოდა იმ „დახმარებით“, რასაც ლიბანი ღებულობდა ამერიკის შეერთებული შტატებიდან.

მთავრობის პოლიტიკის კურსმა სერიოზული ოპოზიცია გამოიწვია ლიბანის საზოგადოებრიობის მხრივ. 1957 წლის 30 მაისს ბეირუთში ეროვნული ფრონტის ინიციატივით, რომელმაც ოპოზიციური პარტიები და ორგანიზაციები გაერთიანა, ლიბანის პატრიოტთა დიდი დემონსტრაცია მოეწყო ლოზუნგით: „ძირს ეიზენჰაუერის დოქტრინა“!, „ძირს იმპერიალიზმი“! ამავე დროს მთელ ლიბანში საყოველთაო გაფიცვა მიმდინარეობდა.

სამი სოლხის მთავრობამ უბრძანა ჯარებს იარაღი გამოეყენებინათ დემონსტრანტების წინააღმდეგ. ჯავშნიანმა მანქანებმა გაფრთხილების გარეშე აუტეხეს სროლა მშვიდობიან მცხოვრებლებს. ბევრი დაიხოცა და დაიჭრა, მათ შორის ლიბანის ყოფილი პრემიერ-მინისტრი საიბ-სალამა, რომელიც დემონსტრაციაში იღებდა მონაწილეობას. დაპატიმრებულთა რიცხვმა 950-მდე მიაღწია.

დახვრეტასა და დაპატიმრებასთან დაკავშირებით ლიბანის ეროვნულმა ფრონტმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც მოუწოდა ხალხს განეგრძო გაფიცვა მანამდე, სანამ მთავრობა არ გადადგებოდა. ლიბანის ბევრმა გამოჩენილმა პოლიტიკურმა მოღვაწემ, მათ შორის ყოფილმა პრეზიდენტმა ბეშარა ელ-ჰურიმ, ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა რაშიდ ქერამემ, სოციალისტური პროგრესული პარტიის ლიდერმა ქამალ ჯუმბლათმა, აგრეთვე მუსულმანთა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა მოსთხოვეს პრეზიდენტს ახალი მთავრობის შექმნა და ანგარიშის გასწორების შეწყვეტა მშვიდობიანი დემონსტრაციის მონაწილეთა მიმართ.

ამერიკის შეერთებული შტატების ინტერვენცია ლიბანში

1958 წლის მაისში შამუნი-სოლხის პროამერიკული პოლიტიკის წინააღმდეგ მოძრაობამ საყოველთაო სახალხო ხასიათი მიიღო. 1958 წლის გაზაფხულზე პრეზიდენტის არჩევნებში (იმასთან დაკავშირებით, რომ შამუნს რწმუნების ვადა გაუვიდა) ლიბანის პრეზიდენტად არჩეულ იქნა ლიბანის არმიის მთავარსარდალი გენერალი ფუად შეხაბი, რომელიც კონსტიტუციის ძალით უნდა შესდგომოდა თავისი მოვალეობის შესრულებას 23 სექტემბერს. რეაქციულმა ჯგუფებმა გადაწყვიტეს მიეღოთ ზომები, რათა არ დაეშვათ პრეზიდენტის პოსტიდან შამუნის წასვლა. ამ მიზნით სოლხის მთავრობამ ახალ რეპრესიებს მიმართა დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ.

ლიბანელი ხალხი აღდგა რეაქციის წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლისათვის. ბრძოლები განსაკუთრებით მკაცრ ხასიათს ატარებდა ტრიპოლში, რომელსაც კონტროლს უწევდნენ მხოლოდ აჯანყებულთა ძალები. ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი განთავისუფლებულ იქნა მთავრობის ჯარებისაგან.

ხალხის რისხვისაგან თავის ხსნის მიზნით ლიბანის პრეზიდენტმა შამუნმა და პრემიერმა სოლხმა დახმარებისათვის მიმართეს თავიანთ ამერიკელ მფარველებს. აშშ-მა ლიბანის ნაპირებზე თავი მოუყარეს ხმელთაშუა ზღვის მე-6 ფლოტის სამხედრო გემებს და ერთდროულად მოამარაგეს ლიბანის მთავრობის ჯარები თანამედროვე სამხედრო საჭურველით. ამასთან ერთად აშშ-მა ბრალი დასდეს არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას ლიბანის პატრიოტთა წაქეზებაში. ვაშინგტონის ბრძანებით თურქეთმა თავი მოუყარა ჯარებს არაბთა გაერთიანე-

ბული რესპუბლიკის სირიის რაიონის საზღვარზე. თაეი წამოუყენეს ისრაელის ექსტრემისტებმაც.

უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით ლიბანში ჩამოსულმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეებმა შეადგინეს ორი მოხსენება, რომლებშიც უარყოფილი იყო არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მხრივ ლიბანელ პატრიოტთა წაქეზება და აღნიშნული იყო, რომ ლიბანში ადგილი აქვს სამოქალაქო ომს. უგულებელყვეს რა ეს მოხსენებები, აშშ განაგრძობდნენ შამუნის მთავრობისათვის სამხედრო დახმარების აღმოჩენას.

ამასთან შეერთებულ შტატებს გაძლიერებული წესით გადაჰყავდათ ლიბანში ერაყისა და იორდანიის ოფიცრები „მოხალისეების" სახით.

14 ივლისს ერაყში მოხდა რევოლუცია, რომელმაც დაამხო მონარქიული რეჟიმი და დაამყარა რესპუბლიკური წყობილება. შამუნის მთავრობის „თხოვნით" აშშ ჯარები შეიყვანეს ლიბანში. იმავე დროს ინგლისის ჯარები იორდანიის მეფე ჰუსეინის თხოვნით შეყვანილ იქნენ იორდანიაში.

იმპერიალისტები ვარაუდობდნენ გამოეყენებინათ ლიბანი და იორდანია პლაცდარმად ერაყის რესპუბლიკასა და არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაზე თავდასხმისათვის.

საბჭოთა მთავრობის მოთხოვნით 1958 წლის აგვისტოში მოწვეულ იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სესია. სესია არ მოეწყო აშშ და პირადად პრეზიდენტ ეიზენჰაუერის ზეწოლებაში, მიუხედავად პრეზიდენტის გამოსვლისა სესიაზე. სესიამ მიიღო არაბთა ქვეყნების რეზოლუცია, რომელიც წინადადებას იძლეოდა დაუყოვნებლივ გაყვანილიყო ამერიკისა და ინგლისის ჯარები არაბული აღმოსავლეთიდან.

სხვადასხვა საბაბითა და ხრიკებით ინტერვენტები აყოვნებდნენ თავიანთი ჯარების გაყვანას ოკუპირებული არაბული ქვეყნებიდან. ამასთან დადგა 23 სექტემბერი და გენერალი ფუად შეხაბი შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას. რამდენიმე დღით ადრე, სანამ შეხაბი შეუდგებოდა პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას, მთავრობის მეთაური სამი სოლხი ამერიკელთა დახმარებით გაიქცა ლიბანიდან.

პრეზიდენტის პოსტის დაკავებისას შეხაბმა ლიბანის პირველ მნიშვნელოვან ამოცანად დასახა უახლოეს დროში უცხოეთის ჯარების გაყვანა ლიბანის ტერიტორიიდან, ეროვნული ერთიანობის განმტკიცება, ლიბანსა და სხვა არაბული ქვეყნების ურთიერთობაში დაძაბულობის ლიკვიდაცია, ქვეყნის ეკონომიკის აღდგენა. ამით ახალმა პრეზიდენტმა უარყო ეგრეთწოდებული „საერთაშორისო გარანტიები ლიბანისათვის", რომელთა დახმარებით აშშ და მის რეაქციულ ლაქიებს ლიბანში სურდათ მიეღოთ ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევის ლეგალური საშუალება.

24 სექტემბერს შეიქმნა ლიბანის ახალი მთავრობა, რომლის პრემიერ-მინისტრის პოსტი რაშიდ ქერამემ დაიკავა. ქერამე ცნობილია როგორც გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე, იგი ოპოზიციის ერთ-ერთი ხელმძღვანელია, რომელიც ტრიპოლის აჯანყებულებს ხელმძღვანელობდა. თაეისი პოსტის დაკავებისას ქერამემ განაცხადა: „ჩემი უპირველესი ამოცანაა, რაც შეიძლება მალე უზრუნველეყო ლიბანიდან ამერიკის ჯარების გაყვანა".

მაგრამ არ იქნებოდა სწორი გვეფიქრა, თითქოს რეაქციამ მთლიანად დათმო თაეისი პოზიციები. შეხაბის მიერ პრეზიდენტის პოსტის დაკავების წინა დღეს

და მის მომდევნო დღეებში რეაქციული ნაციონალისტების ბანდებმა და ფალან-გისტთა გასამხედროებულმა ორგანიზაციებმა სცადეს მოეწყოთ შეიარაღებული პროვოკაციები და მოახდინეს ხულიგნური თავდასხმები სახელმწიფო დაწესებულებათა, საავაჭრო საწარმოთა და სხვ. მოსამსახურეებზე. პროვოკაციები აღიკვეთა გადამწყვეტი ზომებით, რომლებიც მიღებულ იქნა მთავრობის ჯარებისა და პოლიციის მიერ პატრიოტთა მხარდაჭერით.

ანტიხალხური ელემენტები ცდილობენ გააღვივონ ლიბანში რელიგიური შუღლი ქრისტიანებსა და მუსულმანებს შორის, გააქარწყლონ ეროვნულ-განმა-თავისუფლებელი მოძრაობის შედეგები.

ლიბანელი ხალხი მზადაა წინააღმდეგობა გაუწიოს ანტინაციონალურ და რეაქციულ ძალებს.

ერაყის რესპუბლიკა

ერაყი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ერაყი დარჩა ეკონომიურად სუსტად განვითარებულ სამიწათმოქმედო-მესაქონლეობის ქვეყნად, სადაც ფესვები ჯერ კიდევ მაგრად ჰქონდა გადგმული ფეოდალური ურთიერთობის გადანაშთებს. მიწის ძირითადი ნაწილი მემამულეებისა და ტომთა შეიხების ხელში იყო. მიწის დიდი ნაწილი ინგლისის კაპიტალსაც ეკუთვნოდა. ფელახები იჯარით იღებდნენ მიწას კაბალურ პირობებში, აძლევდნენ რა მის მფლობელს მოსავლის 70-მდე პროცენტს. საირიგაციო სისტემა მეტად დაბალ დონეზე იდგა.

ერაყს სრულებით არ ჰქონდა მძიმე მრეწველობა. ორი ათასამდე წვრილი საწარმო უშვებდა ბამბეულის ქსოვილებს, ცემენტს, მინებს, აგურს და სხვ.

ერაყის მთელი ნავთობი უცხოეთის მონოპოლიების ხელში იყო. ერაყელი მუშები საშინელ ექსპლოატაციას განიცდიდნენ ნავთობის საწარმოებში.

პირველი მსოფლიო ომის დამთავრების დღიდან ერაყი ფაქტიურად ინგლისის კოლონიას წარმოადგენდა. რამდენიმე ათეული წლის მანძილზე იმპერიალისტური წრეების ერთგულ მსახურს ერაყში წარმოადგენდა ნური საიდი, რომელმაც ჩააბრო ერაყში ელემენტარული დემოკრატიული თავისუფლებები და აკრძალა პროგრესული პარტიები. ცამეტჯერ ჩაუდგა იგი მეფის მთავრობას სათავეში და „მუდმივი პრემიერის“ სახელწოდება მიიღო. მისი სახელი საძულველი იყო ერაყის ხალხისათვის.

ბაღდადის პაქტზე ხელის მოწერა

ლამობდნენ რა არაბეთის ნავთობის ხელში ჩაგდებას, აშშ აწყობდნენ ინტრიგებს არაბული ქვეყნების წინააღმდეგ იმ მიზნით, რომ ჩაეთრიათ ისინი თავიანთი გავლენის სფეროში. 1954 წელს ერაყმა ხელი მოაწერა ამერიკის შეერთებულ შტატებთან შეთანხმებას „ურთიერთუშიშროების შესახებ“. ერაყის დედაქალაქ ბაღდადში გაიგზავნა ამერიკული სამხედრო მისია. ერაყის მთავრობას სათავეში ჩაუდგა ნური საიდი.

კომუნიზმთან ბრძოლის საბაბით ნური საიდმა 1955 წლის იანვარში ყოველგვარი მიზეზის გარეშე გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა საბჭოთა

კავშირთან, ტერორისტული რეჟიმი დაამყარა ერაყში, დაითხოვა პარლამენტი, ჩაატარა ახალი არჩევნები, არ დაუშვა საარჩევნო სიებში ოპოზიციის კანდიდატების შეტანა, გაატარა ერაყის მოქალაქეობრიობის ჩამორთმევის კანონი ყველა იმ პირთათვის, ვინც ეჭვმიტანილი იყო „კომუნისტობაში“, დახურა დემოკრატიული კლუბები და ასოციაციები, აკრძალა პროგრესული გაზეთები, ციხეში ჩაყარა ათასობით ადამიანი და სხვ. გაუსწორდა რა ოპოზიციას, ნური საიდმა 1955 წლის 24 თებერვალს ბაღდადში ხელი მოაწერა თურქეთთან სამხედრო შეთანხმებას, რომელიც ძალიან აჩქარებით იქნა რატიფიცირებული ორივე მხარის მიერ.

1955 წლის 4 აპრილს ხელმოწერილ იქნა შეთანხმება ინგლისსა და ერაყს შორის „ურთიერთთანამშრომლობის“ შესახებ. ამ შეთანხმებამ შეცვალა 1930 წლის ინგლის-ერაყის ხელშეკრულება, რომლის ვადა ორი წლის შემდეგ უნდა გასულიყო. ამ შეთანხმებაზე ხელის მოწერასთან ერთად ინგლისი შეუერთდა თურქეთ-ერაყის სამხედრო ხელშეკრულებას. ასე ჩამოყალიბდა სამხედრო ჯგუფება — თურქეთი-ერაყი-ინგლისი. ამ ჯგუფების ზურგს უკან ამერიკის შეერთებული შტატები იდგნენ.

ბაღდადის ხელშეკრულებასთან ერაყის შეერთება არაბული საზოგადოებრიობის მიერ შეფასებულ იქნა, როგორც ნაბიჯი არაბულ სახელმწიფოებს შორის განხეთქილებისაკენ. ეგვიპტემ და სირიამ მათ წინააღმდეგ მომზადებული იმპერიალისტური აგრესიის საშიშროების გამო ხელშეკრულება დადეს ურთიერთდახმარების შესახებ.

უცხოეთის კაპიტალისადმი ერაყის დამორჩილებამ მკვეთრად გააუარესა ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა. გაიზარდა ვალები, პირველი მოხმარების საგნებზე აწეულ იქნა ფასები, დაიწყო ეროვნულ საწარმოთა გაკოტრება.

ერაყი და აგრესია ეგვიპტის წინააღმდეგ

ერაყელმა ხალხმა დიდი ენთუზიაზმით დაუჭირა მხარი ეგვიპტეს სუეცის არხის ნაციონალიზაციის საქმეში. ერაყელი მშრომელები შეუერთდნენ სოლიდარობის საერთო გაფიცვას, რომელიც არაბთა ყველა ქვეყანაში იქნა გამოცხადებული 1956 წლის 16 აგვისტოს. ერაყში ჩატარდა სახალხო დემონსტრაციები; ერაყის პოლიცია ცეცხლით უმასპინძლდებოდა დემონსტრანტებს.

29 ოქტომბერს დაიწყო ინგლის-საფრანგეთ-ერაყის აგრესია ეგვიპტის წინააღმდეგ. ბაღდადის ათასობით მცხოვრები ქუჩაში გამოვიდა ბაღდადის პაქტიდან ერაყის გამოსვლისა და ნური საიდის გადადგომის მოთხოვნით. მთავრობამ დემონსტრანტებს დახვრეტითა და დატუსაღებით უპასუხა.

მაგრამ მალე განმათავისუფლებელი ბრძოლის ალი მოედო მთელს ერაყს. დემონსტრაციები, გაფიცვები და სისხლიანი შეტაკებები მოხდა ერაყის 30-ზე მეტ ქალაქსა და სოფელში. ერაყელმა პატრიოტებმა სირიელების მაგალითის მიხედვით დააზიანეს ნავთობსადენი, რომლითაც ნავთობის გადატუმბვა წარმოებდა კირკუკიდან ხმელთაშუა ზღვის ნავსადგურებამდე. ერაყელები თვალყურს ადევნებდნენ სამხედრო-საჰაერო ბაზებს და ნავთობსაწმენდ სადგურებს, რათა ხელი შეეშალათ აგრესორების მიერ მათი გამოყენებისათვის ეგვიპტის წინააღმდეგ აგრესიის დღეებში. ნური საიდმა ამერიკის შეერთებული შტატებისაგან მხარდაჭერის ძებნაში სცნო „ეიზენჰაუერის დოქტრინა“.

სუეცის ავანტიურაში დამარცხებამ აიძულა ინგლისელები ბაღდადის ბლოკის ხელმძღვანელობა აშშ-თვის გადაეცათ. ამ გარემოებამ გამოიწვია 1957 წლის ზაფხულში ნური საიდის გადადგომა. მთავრობის თავმჯდომარედ ერაყის ყოფილ ელჩი ვაშინგტონში ალი ჯავადარი ელ აიუბი დაინიშნა. აიუბის დახმარებით აშშ-ში ვარაუდობდნენ შეერყიათ ინგლისის პოზიციები ერაყში და თანდათანობით ჩაეგდოთ იგი ხელში.

მას შემდეგ, რაც თავის გავლენაში მოიქციეს ბაღდადის პაქტის მთავარი კომიტეტები, აშშ-მა 1954 წელს ერაყთან „ურთიერთთავდაცვის" შესახებ დადებულ შეთანხმებაზე დაყრდნობით დაიწყეს თავიანთი პოზიციის განმტკიცება ერაყის არმიაში, უშიშროების ორგანოებში, რადიომაუწყებლობის ქსელში და სხვა. სირიის წინააღმდეგ ამერიკის შეთქმულებაში ერაყს, როგორც ცნობილია, ერთ-ერთი უმთავრესი როლი ეკუთვნოდა. როდესაც აშშ-ის ემისარი პენდერსონი შეთქმულების მოსამზადებლად სტამბოლში გაემგზავრა, თურქეთში გაეშურა ერაყის მეფე ფეისალი იორდანიის მეფე ჰუსეინთან ერთად მოლაპარაკებაში მონაწილეობის მისაღებად. ამას მოჰყვა ამერიკული იარაღის სასწრაფო გადაზიდვა ერაყსა და იორდანიაში.

მაგრამ ერაყის საზოგადოებრიობის აღელვების შიშით ერაყის მთავრობა იძულებული შეიქნა გამოსულიყო სიტყვით სირიის მხარდასაჭერად. იმპერიალისტთა დიდი სასოწარკვეთილება გამოიწვია ერაყის პოზიციამ კვიპროსის საკითხშიც. ერაყის პატრიოტულ ძალთა აქტივობის ზრდის პირობებში, რომლებიც ეროვნული გაერთიანების ფრონტში არიან შემჭიდროებული, იმპერიალისტებმა მიაღწიეს ხელისუფლების სათავეში ნური საიდის დაბრუნებას. ნური საიდი იმპერიალისტების თვალში ერთადერთი ადამიანი იყო, რომელსაც უნარი შესწევდა „მტკიცე" პოლიტიკა გაეტარებინა იმ ზრახვათა სარეალიზაციოდ, რაც არაბთა ხალხების დამოუკიდებლობის წინააღმდეგ იყო მიმართული.

ერაყისა და იორდანიის ფედერალური კავშირი

როდესაც ეგვიპტე და სირია შეკავშირდნენ არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკად, იმპერიალისტებმა არაბ ხალხთა შორის განხეთქილების შეტანის მიზნით გადაწყვიტეს დაეპირისპირებინათ ნამდვილი გაერთიანებისათვის ხელოვნური გაერთიანება. 1958 წლის თებერვალში გამოცხადებულ იქნა ერაყისა და იორდანიის ფედერალური კავშირი სახელწოდებით — არაბთა ფედერაცია. ამ ამბებამდე რამდენიმე ხნით ადრე იორდანიაში იმპერიალისტებმა მოაწყეს სახელმწიფო კონტრრევოლუციური გადატრიალება, რომლის შედეგად პატრიოტული ელემენტები ჩამოაცილეს ხელისუფლებას და ქვეყნად გამეფდა შავი რეაქცია.

ერაყისა და იორდანიის ერთ სახელმწიფოს ჩარჩოებში გაერთიანების პროექტი არაერთხელ იყო წამოყენებული დასავლეთის სახელმწიფოების მიერ, მაგრამ იგი ყოველთვის ენერგიულ წინააღმდეგობას აწყდებოდა არაბთა ფართო საზოგადოებრიობის მხრივ, რომელიც განიხილავდა ამას როგორც ორივე ქვეყნის რეაქციული, დასავლეთის ორიენტაციაზე მყოფი, ელემენტების გაერთიანების ცდას.

არაბთა ფედერაციის შექმნისას ერაყმა ვალდებულება იკისრა იორდანიის

ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვაზე, რითაც მან თავისი კონტროლი დააწესა იორდანიაზე.

წარმოადგენდა რა იმპერიალისტთა იარაღს, არაბთა ფედერაცია მეტად არასახარბიელო როლს ასრულებდა იმ პროვოკაციებში, რასაც აწყობდნენ აშშ და ინგლისი არაბულ აღმოსავლეთში. ერაყის ჯარები ემუქრებოდნენ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სირიის რაიონს; ერაყისა და იორდანიის ოფიცრები მოხალისეებად ეწერებოდნენ ლიბანში აჯანყებულ ძალთა წინააღმდეგ საბრძოლველად.

14 ივლისის რევოლუცია. ერაყის რესპუბლიკის გამოცხადება

1958 წლის 14 ივლისს სტამბოლში უნდა გახსნილიყო ბაღდადის პაქტის ჰონაწილე მუსულმანური სახელმწიფოების თათბირი, რომელზეც განხილული იქნებოდა საკითხი იმ ღონისძიებების შესახებ, რითაც მხარს დაუჭერდნენ ლიბანის შამუნი სოლხის მთავრობას აჯანყებული ხალხის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ თათბირზე გასამგზავრებლად ემზადებოდნენ მეფე ფეისალი და მისი პრემიერი ნური საიდი.

გამგზავრება არ მოეწყო. ამ დღეს ერაყში მოხდა რევოლუცია. აჯანყებულმა ხალხმა დაამხო მისთვის საძულველი იმპერიალისტებისა და მათი დამქაშების ძალაუფლება და გამოაცხადა ერაყის რესპუბლიკა. რესპუბლიკის მთავრობას სათავეში ჩაუდგა ოპოზიციურ ძალთა ერთ-ერთი ლიდერთაგანი გენერალი აბდელ ქერიმ კასემი.

ერაყის რესპუბლიკის გამოცხადებას თან მოპყვა ამერიკის საზღვაო ჯარების გადმოსხმა ლიბანში და ინგლისის ჯარებისა—იორდანიაში. ეს ნაბიჯი მიზნად ისახავდა იმპერიალისტების მიერ ღრმად მოსაზრებული აგრესიის გეგმების განხორციელებას, მიმართულს ერაყის რესპუბლიკისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წინააღმდეგ. მაგრამ მშვიდობისმოყვარე ხალხის ერთობლივმა პრძოლამ იძულებული გახადა აგრესორები უკან დაეხიათ. მას შემდეგ, რაც ერაყის რესპუბლიკა ცნეს საბჭოთა კავშირმა და სხვა სოციალისტურმა ქვეყნებმა, არაბთა ქვეყნებმა და სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებმა, ინგლისი, აშშ და მათგან დამოკიდებული სახელმწიფოები იძულებული გახდნენ აგრეთვე ეცნოთ ერაყის რესპუბლიკა.

ახალი მთავრობის ერთი პირველი აქტთაგანი იყო განცხადება ბაღდადის პაქტიდან ერაყის გასვლის შესახებ.

26 ივლისს გაუქმდა მეფის რეჟიმის კონსტიტუცია და ძალაში შევიდა რესპუბლიკის დროებითი კონსტიტუცია. ახალი კონსტიტუცია აღიარებდა, კერძოდ, მოქალაქეების უფლებათა და თავისუფლებათა პატივისცემას, იგი იძლეოდა არაბებისა და ქურთების ეროვნული უფლებების და ყველა მოქალაქის თანასწორობის გარანტიას კანონის წინაშე.

გამოიცა დეკრეტი ყველა პოლიტპატიმრის ამნისტიის შესახებ. გამოცემულ იქნა კანონი, რომლითაც ქონება ჩამოერთვათ ერაყის იმ 65 ყოფილ პოლიტიკურ მოღვაწეს, რომლებიც მონარქიულ რეჟიმთან თანამშრომლობდნენ. 4 აგვისტოს დაიწყო სახელმწიფო აპარატის წმენდა იმ მიზნით, რათა გაეძევებინათ ხელმძღვანელი პოსტებიდან პირები, „რომლებიც საშიშროებას წარმოადგენენ საზოგადოებრივი ინტერესებისათვის“.

მთავრობამ ზომები მიიღო გლეხთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. გა-

მოაცხადა რა, რომ მოიჯარადრემ უნდა მიიღოს არა ნაკლები, ვიდრე მთელი მოსავლის ნახევარი. სასოფლო-სამეურნეო ბანკებს დაეკისრათ მიეცათ სესხები ლარიბი გლეხებისათვის ადგილობრივ ხელისუფლებათა გარანტიით. შეიქმნა კომისია აგრარული რეფორმების გასატარებლად. რეფორმას უნდა შეეზღუდა ესხვილ მიწათმფლობელთა საკუთრება და გადაეცა მიწა გლეხებისათვის (ერაყში უმიწაწყლო გლეხთა რაოდენობა მეოთხედ მილიონ ადამიანს აღემატება). აგრარული რეფორმის გატარება და გლეხთათვის მიწების გადაცემა უკვე დაწყებულია.

მთავრობამ შემოიღო 8-საათიანი სამუშაო დღე. ხალხის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების პირველი ნაბიჯის სახით მთავრობამ 20 პროცენტით შეამცირა საცხოვრებელი ადგილის საიჯარო ქირა.

სასურსათო პროდუქტებზე ფასები შემცირდა 20-დან 40 პროცენტამდე და სხვ. მუშავდება ფართო გეგმები კოლონიზატორთა ბატონობით გამოწვეული ეკონომიური ჩამორჩენილობის სალიკვიდაციოდ.

ახლანდელ პერიოდს მთავრობა თვლის გარდამავლად.

ერაყის საზღვრებთან ახლოს იმპერიალისტური ჯარების ყოფნამ და ქვეყნის შიგნით პროვოკაციის მოწყობის შესაძლებლობამ აიძულეს რესპუბლიკა სამხედრო პირთა ხელში მოექცია მთელი ძალაუფლება. ერაყში ყველა პოლიტიკური პარტიის საქმიანობა ფორმალურად აკრძალულია. პრემიერ-მინისტრ კასემის განცხადების თანახმად მოსალოდნელია ახლო მომავალში სახალხო რეფერენდუმის ჩატარება სახელმწიფო მმართველობის ტიპის განსაზღვრისათვის.

იმპერიალისტებმა სამი შეთქმულება მოაწყვეს ერაყის ხალხის წინააღმდეგ, მაგრამ ყველა ეს შეთქმულება ჩაიშალა. ხალხმა მხარი დაუჭირა ახალ ხელისუფლებას.

1958 წლის მარტში ერაყის რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირს შორის ხელმოწერილ იქნა შეთანხმება ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ. შეთანხმება ითვალისწინებს ერაყში საბჭოთა კავშირის დახმარებით მანქანათმშენებლობას, მეტალურგიული და ქიმიური ქარხნების მშენებლობას, აგრეთვე მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოთა და საირიგაციო ნაგებობათა და სხვა ობიექტების მშენებლობას. აღნიშნული შეთანხმების განსახორციელებლად საბჭოთა კავშირმა სესხი მისცა ერაყის რესპუბლიკას 550 მილიონი მანეთის ოდენობით წლიური 2,5 პროცენტის ანგარიშით.

ი ო რ დ ა ნ ი ა

იორდანია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ინგლის-იორდანიის 1948 წლის კაბალური ხელშეკრულება

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იორდანია კვლავ აგრარულ ქვეყნად დარჩა, სადაც ჯერ კიდევ არსებობდა ფეოდალიზმის ძლიერი გადანაშთები. ფელახები იჯარით იღებდნენ მემამულეთა მცირე მიწის ნაკვეთებს და საიჯარო ქირის სახით მემამულეებს მოსავლის ორ მესამედს უხდიდნენ. იორდანიას ჰქონდა სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამამუშავებელი წვრილი საწარმოები და შინამრეწველური სახელოსნოები. იორდანიას შემოჰქონდა თითქმის ყველა სახის სასურსათო და სამრეწველო საქონელი.

იორდანიის მეტად ხელსაყრელი სტრატეგიული მდგომარეობა ადრევე იპყრობდა ინგლისის ყურადღებას. იორდანიის ტერიტორიაზე ორი ნავთობსადენი გადიოდა. პირველ მსოფლიო ომში ოსმანთა იმპერიის დამარცხების შემდეგ ინგლისმა მიიღო მანდატი ტრანსიორდანიაზე. ინგლისმა 1923 წელს ტრანსიორდანიის ემირად დააყენა აბდულა, რომელთანაც 1928 წელს დადო ხელშეკრულება, რაც ინგლისს უფლებას აძლევდა კონტროლი გაეწია ტრანსიორდანიის ფინანსებისათვის საგარეო პოლიტიკასა და შეიარაღებული ძალებისათვის; ხელშეკრულება უფლებას ანიჭებდა ინგლისს თავისი ჯარები ჰყოლოდა ამ ქვეყანაში.

ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის წლებში ინგლისის ცნობილმა მზვერავმა პოლკოვნიკმა ლოურენსმა იორდანიაში შეადგინა არაბთა ლეგიონი, რომელიც პირველ ხანებში „აქლემთა კავალერიის“ პატარა რაზმს წარმოადგენდა. შემდეგში იგი საკმაოდ გაიზარდა, რომელსაც ინგლისელი ოფიცრები ხელმძღვანელობდნენ. არაბთა ლეგიონის შესანახად ინგლისის მთავრობა ყოველწლიურად ხარჯავდა 12 მილიონ გირვანქა სტერლინგს. 1939 წელს ლეგიონის სათავეში დააყენეს ინგლისელი გენერალ-ლეიტენანტი ჯონ ბაგოტ გლაბი, პოლკოვნიკ ლოურენსის სულიერი მემკვიდრე, რომელიც არაბთა სამყაროში ცნობილია გლაბ-ფაშას სახელწოდებით. მას უცვლელად ეჭირა ეს პოსტი 1956 წლის გაზაფხულამდე.

მეორე მსოფლიო ომმა ბოლო მოუღო სამანდატო სისტემას. იმისათვის, რომ ხელში ჰყოლოდა იორდანია, ინგლისმა 1946 წელს გამოაცხადა ამ ქვეყნის „დამოუკიდებლობა“, ხოლო 1948 წელს დადო მასთან კაბალური ხელშეკრულება „კავშირსა და ურთიერთ დახმარებაზე“, რომლის საფუძველზე ინგლისი უფლებას იტოვებდა ჰყოლოდა იორდანიაში თავისი ჯარები და ჰქონოდა იქ თავისი ბაზები. ხელშეკრულება ითვალისწინებდა აგრეთვე ინგლის-იორდანიის პოლიტიკის კოორდინაციას. ემირი აბდულა მეფედ იქნა გამოცხადებული. პალესტინის ომის შედეგად იორდანიას შეუერთდა პალესტინის არაბული ნაწილი.

ინგლის-ამერიკის ბრძოლა იორდანიისათვის

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ბრძოლა გაჩაღდა არაბული აღმოსავლეთისათვის. ინგლისმა მიზნად დაისახა „დიდი სირიის“ ან „ბარაქიანი ნახევარმთვარის“ ქვეყნის დაარსება, რომელიც გადაჭიმული იქნებოდა მეწამული ზღვიდან ირანამდე და რომელშიც შევიდოდა ერაყი, სირია, ლიბანი, იორდანია და პალესტინა. ამ გეგმას უპირისპირდებოდა „შუა აღმოსავლეთის სარდლობის“ ამერიკული გეგმა.

ინგლისის გეგმის გამტარებელი იყო აბდულა, რომელიც მოლაპარაკებას აწარმოებდა ლიბანის პრემიერ რიად სოლხთან. მაგრამ მოლაპარაკების ბოლომდე მიყვანა ვერ მოხერხდა. მოკლულ იქნა სოლხი, ხოლო ოთხი დღის შემდეგ აბდულაც. ეგვიპტის გაზეთი „ალ-ჯუმჰური ალ-მისრი“ წერდა, რომ ორივე ეს ბოროტმოქმედება მოამზადა ამერიკელთა დაზვერვამ.

ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის იორდანიისათვის წარმოებულმა შემდგომმა ბრძოლამ თავისი გამოხატულება ჰპოვა აბდულას შვილების — ნაიფსა და ტალალს შორის შუღლში. უკანასკნელზე თავიანთ იმედებს ამყარებდნენ ამერიკის შეერთებული შტატები. მაგრამ, როგორც ერთი, ისე მეორე მხარე ვერ ასცდა იორდანიის ხალხთან შეტაკებას, რომელიც თავისი დამოუკიდებლობისათვის იბრძოდა და მოითხოვდა 1948 წლის კაბალური ხელ-

შეკრულების გაუქმებას. ინგლისის მთავრობას არ შეეძლო ანგარიში არ გაეწია ახალი საერთაშორისო გარემოებისათვის, რომელიც მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ძალთა ზრდით ხასიათდებოდა, და თანხმობა განაცხადა მოლაპარაკებაზე. ეს უკანასკნელი ლონდონში მიმდინარეობდა და უშედეგოდ დამთავრდა.

მოლაპარაკებისას იორდანიის მთავრობის მიერ ორი მოთხოვნა იყო წამოყენებული: პირველი — ლონდონის მიერ არაბთა ლეგიონის შესანახად გაღებული ხახსრები გადასცემოდა არა გენერალ გლაბს, არამედ უშუალოდ იორდანიის მთავრობას. მეორე — იორდანიის ტერიტორიაზე განლაგებული ბაზებისათვის ინგლისს საიჯარო ქირა უნდა გადაეხადა. ინგლისის მთავრობამ უარი განაცხადა ამ მოთხოვნათა მიღებაზე.

ეროვნული ფრონტის შექმნა. იმპერიალისტების ცდები ბაღდადის პაქტში იორდანიის ჩაბმისათვის

იორდანიაში გაშლილი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ხელს უწყობდა პროგრესულ ძალთა კონსოლიდაციას. 1954 წელს იორდანიაში შეიქმნა ეროვნული ფრონტი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ეროვნული ბურჟუაზიისა და ლიბერალური მემამულეების პროგრესული ნაწილი. ეროვნულმა ფრონტმა ხალხთა მასებს მოუწოდა 1948 წლის კაბალური ხელშეკრულების გაუქმების, ინგლისის ჯარების გაყვანისა და ამერიკის შეერთებული შტატების მიერ მოწოდებულ „ფინანსურ დახმარებაზე“ უარის თქმისაკენ. ეროვნული ფრონტი გამოდიოდა აგრეთვე იმპერიალისტების ზრახვების წინააღმდეგ — ჩაეთრიათ იორდანია აგრესიულ სამხედრო ბლოკში.

იორდანიაში დიდი აღშფოთება გამოიწვია ინგლისის 1955 წლის წინადადებამ ეგვიპტე-ერაყ-იორდანიის სამხედრო შეთანხმებების ერთი სამხედრო შეთანხმებით შეცვლის შესახებ, რომელშიც მონაწილეობას მიიღებდნენ როგორც დასავლეთის სახელმწიფოები, ისე ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნები. შემდეგში ინგლისის ეს წინადადება გამოვლინდა თურქეთის, ერაყის, პაკისტანისა და ირანის მონაწილეობით ბაღდადის პაქტზე ხელის მოწერაში. არაბულმა ქვეყნებმა, ერაყის გამოკლებით, უარი განაცხადეს ბაღდადის პაქტში შესვლაზე.

4 დეკემბერს ინგლისის დაჟინებითი მოთხოვნით გადაყენებულ იქნა იორდანიაში არაბთა ლეგიონის შტაბის უფროსის მოადგილე გენერალი ჰინდი და დაიწყო იმ ოფიცერთა დევნა, რომლებიც ბაღდადის პაქტის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. დაპატიმრებულ იქნა ზოგიერთი გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე. მაგრამ იორდანიის მთავრობა განაგრძობდა დასავლეთის სახელმწიფოების აგანტერისტული მოქმედებისათვის წინააღმდეგობის გაწევას.

ინგლისის მთავრობამ წინადადება მისცა იორდანიის მთავრობას 1948 წლის სამხედრო ხელშეკრულება შეეცვალათ ინგლის-ერაყის ხელშეკრულების მსგავსი „განსაკუთრებული შეთანხმებით“. ამ შეთანხმებას უნდა გაეთვალისწინებინა „ორი სახელმწიფოს თანამშრომლობა თავდაცვის საკითხებში“, „ერთობლივი სამხედრო გეგმების“ შემუშავება და სხვ. შეთანხმება შეიცავდა საიდუმლო პარაგრაფს, რომლითაც იორდანიას ეკრძალებოდა „მიღება თავის თავზე რაიმე სხვა ვალდებულებისა, გარდა იმისა, რაც მას ეკისრებოდა „ბაღდადის პაქტით“. ასეთ შეთანხმებაზე ხელის მოწერა, როგორც კაიროს გაზეთი „ალგუმჰურია“ აღნიშნავდა, მიიყვანდა „იორდანიას არაბთა სხვა ქვეყნებისა-

გან იზოლაციამდე და იმპერიალისტთა სათამაშოდ გადააქცევდა მას". წინადადებას აძლევდა რა იორდანიას ხელი მოეწერა ასეთ შეთანხმებაზე, გენერალი ტემპლერი აღუთქვამდა იორდანიის მთავრობას იორდანიის არმიისათვის შეიარაღებისა და აღჭურვილობის მიწოდებას და ფინანსიურ „დახმარებას". ამავე დროს იგი დაემუქრა იორდანიას, რომ თუ ეს უკანასკნელი დაუყოვნებლივ არ შეუთანხმდებოდა ბაღდადის პაქტს, ინგლისი შეწყვეტდა იმ დახმარებას, რაც ეძლეოდა გენერალ გლაბს.

ტემპლერის მოთხოვნას ძლიერი ოპოზიცია დაუპირისპირდა იორდანიაში და საიდ ალ-მუფთის მთავრობა კაბინეტის წევრებს შორის უთანხმოების შედეგად იძულებული შეიქნა გადამდგარიყო. ახალი მთავრობის შედგენა, ტემპლერის წინადადებით, დაევალა რეაქციონერს ხაზავა ალ-მაჯალის, რომელიც მომხრე იყო ბაღდადის პაქტთან იორდანიის შეერთებისა.

მაგრამ როგორც კი ტემპლერმა დატოვა ამანი, მთელს იორდანიაში დიდი საპროტესტო დემონსტრაციები გაიმართა. მუშებმა, სტუდენტებმა, ახალგაზრდობამ, ხელოსნებმა, თავისუფალი პროფესიის ადამიანებმა, ეროვნული ბურჟუაზიის პატრიოტული ნაწილის წარმომადგენლებმა მოითხოვეს ალ-მაჯალის მთავრობის გადაყენება და ბაღდადის პაქტისათვის იორდანიის შეერთებისაგან უარის თქმა.

სახალხო დემონსტრაციებს თან ახლდა გაფიცვები საწარმოებში. ამანში საყოველთაო გაფიცვამ იფეთქა. ბეთლემში დემონსტრანტებმა ცეცხლი წაუკიდეს ამერიკის ადმინისტრაციის შენობას. იერუსალიმის არაბულ ნაწილში ცეცხლს მისცეს თურქეთის საელჩო, ხოლო ამერიკის საელჩოს შენობიდან ჩამოგლიჯეს სახელმწიფო დროშა. ზოგიერთი მინისტრის სახლში ყუმბარები შეაგდეს. იორდანიის სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელმა აბდურახმან შუქეირიმ განაცხადა, რომ დემონსტრაციები მანამდე გაგრძელდება, სანამ მთავრობა არ განაცხადებს, რომ მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი არ შეუერთდეს თურქეთ-ერაყის პაქტსო.

19 დეკემბერს ამანში იორდანიის მეფე ჰუსეინმა გამოაქვეყნა დეკრეტი პარლამენტის დათხოვნისა და ახალი არჩევნების ჩატარების შესახებ. ალ-მაჯალის მთავრობა გადადგა. დროებითი მთავრობის ჩამოყალიბება არჩევნების ჩასატარებლად მიენდო იბრაჰიმ ჰაშიმს.

ბაღდადის პაქტის წინააღმდეგ იორდანიის გამოსვლამ თანაგრძნობა და მხარდაჭერა ჰპოვა არაბთა სხვა ქვეყნებში. ეგვიპტემ, სირიამ და საუდის არაბეთმა სურვილი გამოთქვეს ფინანსური დახმარება გაეწიათ იორდანიისათვის ინგლისის სუბსიდიებზე დამოკიდებულებისაგან თავის დაღწევის მიზნით.

ამავე დროს იორდანიაში თავის ძალებს მობილიზაცია გაუკეთეს რეაქციონერებმაც, რათა არ დაეშვათ პარლამენტის არჩევნების ჩატარება მათთვის არახელსაყრელ პირობებში. კონსტიტუციურმა სასამართლომ 1956 წლის 5 იანვარს ძალადაკარგულად ჩათვალა მთავრობის ბრძანება პარლამენტის დათხოვნის შესახებ. ხაშიმის მთავრობა, რომელიც შექმნილი იყო არჩევნების ჩატარებისათვის, გადადგა.

1956 წლის 9 იანვარს ჩამოყალიბდა ახალი მთავრობა სამირელ-რიფაის მეთაურობით, რომელიც აშშ-თან ძველი კავშირების მიუხედავად, ჯერჯერობით იძულებული იყო ანგარიში გაეწია ხალხის მოთხოვნილებისათვის. პრემიერის პოსტის დაკავებასთან დაკავშირებით ელ-რიფაი თავის მოკლე განცხადებაში

დაპირებას იძლეოდა, რომ მისი მთავრობის პოლიტიკას არ შეადგენდა იორდანიის შეყვანა კავშირებში.

იორდანიაში ანტიიმპერიალისტურმა მოძრაობამ დიდი განგაში გამოიწვია ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. 1956 წლის იანვარში იორდანიის პრემიერ-მინისტრმა მოიწვია ინგლისის ელჩი და ერაყის დესპანი ამანში და განუცხადა მათ იორდანიის საშინაო საქმეებში უცხოეთის ჩარევის დაუშვებლობის შესახებ.

1956 წლის გაზაფხულზე ხალხთა მასების ზემოქმედებით გამოქვეყნდა იორდანიის მეფის დეკრეტი ინგლისელ გენერალ გლაბის გაძევების შესახებ. გლაბი იძულებული შეიქნა ინგლისის უმაღლეს სამხედრო მოხელეებთან ერთად დაეტოვებინა იორდანია. მალე ამის შემდეგ იორდანიის მინისტრთა საბჭო იძულებული გახდა გაეთავისუფლებინა ციხიდან იორდანიის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი ფუადი, რომელსაც გლაბის დიქტატურის დროს პატიმრობა ჰქონდა მისჯილი.

არჩევნები იორდანიაში. პროგრესული ძალების გამარჯვება

პარლამენტის არჩევნები 21 ოქტომბრისათვის დაინიშნა. ეს იყო პირველი არჩევნები, რომელიც არაბთა ლეგიონის შტაბის (გენერალ გლაბის) კონტროლის გარეშე მიმდინარეობდა. ეს იყო არაბი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის უდიდესი აღმავლობის პერიოდი. ხალხები ეგვიპტის მხარდასაჭერად გამოდიოდნენ სუეცის არხის ნაციონალიზაციასთან დაკავშირებით.

არჩევნებზე ზეგავლენის მოსახდენად იმპერიალისტებმა მოაწყვეს შეთქმულება, რომელსაც საფუძვლად დაუდეს ინგლისსა, ისრაელსა, თურქეთსა და ერაყს შორის ფარული შეთანხმება. 26 სექტემბერს ღამით ისრაელის ჯარი შეიჭრა იორდანიაში და იერიში მიიტანა იორდანიის ჯარის პოზიციებზე ხუსანის რაიონში, იერუსალიმის სამხრეთით. ბრძოლამ რამოდენიმე საათს გასტანა, რის შედეგადაც იყვნენ მოკლულნი და დაჭრილნი. ამის შემდეგ ინგლისის ინიციატივით დაიწყო მოლაპარაკება ერაყსა და იორდანიას შორის ამ უკანასკნელის ტერიტორიაზე ერაყის ჯარების შეყვანის შესახებ ისრაელის ჯარების ხელახალი შეჭრის შემთხვევაში. იორდანიაში ერაყის ჯარების შეჭრა არსებითად იქნებოდა ბაღდადის ბლოკის ჯარების მიერ იორდანიის ოკუპირება და აგრესიულ ძალთა აშკარა ჩარევა საშინაო საქმეებში არჩევნების მსვლელობაზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით. „აუცილებელია, — განაცხადა კროსმენმა, — რომ ერაყის ჯარები შეეიდნენ იორდანიაში მანამ, სანამ ხმები დაითვლებოდეს".

მოლაპარაკება ერაყის ჯარების შეყვანაზე მარცხით დამთავრდა. მაშინ ინგლისის მთავრობამ მოითხოვა 21 ოქტომბრისათვის დანიშნული პარლამენტის არჩევნების გადადება. იორდანიის მეფე ჰუსეინმა უარყო ინგლისის ეს მოთხოვნა.

არჩევნებმა დიდი წარმატება მოუტანა პატრიოტულ ძალებს. 40 მანდატი მიიღეს პროგრესულმა ბურჟუაზიულმა პარტიებმა, რომლებიც ინგლის-იორდანიის 1948 წლის ხელშეკრულების გაუქმებას მოითხოვდნენ; ამავე დროს ისინი მოითხოვდნენ იორდანიის მტკიცე თანამშრომლობას ეგვიპტესთან, სირიასთან, საუდის არაბეთთან და სხვა არაბულ სახელმწიფოებთან. ახალი მთავრობა შეადგინა სულეიმან ნაბულსიმ.

1948 წლის ინგლის-იორდანიის საბჭედრო ხელშეკრულების გაუქმება

არჩევნების დამთავრებიდან რამოდენიმე დღის შემდეგ ამანში შედგა სამხედრო თათბირი, რომელზედაც მიღწეულ იქნა შეთანხმება სირიის, ეგვიპტისა და იორდანიის შეიარაღებულ ძალთა გაერთიანებული სარდლობის შექმნის შესახებ ეგვიპტის გენერალ აბდულ ხაკიმ ამერის მეთაურობით. 1956 წლის დასასრულს პრემიერ-მინისტრმა ნაბულსიმ გამოაცხადა, რომ არაბული სახელმწიფოები მზად არიან გაუწიონ იორდანიას ფინანსიური დახმარება იმ სუბსიდიების ნაცვლად, რასაც იგი ამჟამად ღებულობს ინგლისისაგან.

1957 წლის 19 იანვარს ეგვიპტემ, საუდის არაბეთმა და სირიამ კაიროში ხელი მოაწერეს იორდანიასთან შეთანხმებას „არაბული სოლიდარობის შესახებ", რომლითაც პირველი სამი სახელმწიფო ვალდებულებას კისრულობდა კაეწია იორდანიისათვის 10 წლის განმავლობაში ერთობლივი ფინანსური დახმარება 12,5 მილიონი ეგვიპტური გირვანქის რაოდენობით წლიურად (ხუთ-ხუთი მილიონი ეგვიპტემ და საუდის არაბეთმა, 2,5 მილიონი—სირიამ). ეს დახმარება საშუალებას მისცემდა ნაბულსის მთავრობას უარი განეცხადებინა ინგლისის „დახმარებაზე" და მოეთხოვა ინგლის-იორდანიის 1948 წლის კაბალური სამხედრო ხელშეკრულების გაუქმება.

ინგლისთან მოლაპარაკება დაიწყო 1957 წლის თებერვალში; 14 მარტს იორდანიის პარლამენტმა მიიღო კანონი ხსენებული ხელშეკრულების გაუქმების შესახებ. ინგლისთან შეთანხმებით იორდანიიდან ინგლისის ჯარების ევაკუაცია 6 თვის განმავლობაში უნდა დამთავრებულიყო.

ნაბულსის მთავრობაც უარით „ეიზენჰაუერის დოქტრინა"

1948 წლის ხელშეკრულების გაუქმებას თან მოჰყვა იორდანიის მთავრობის ვიერ „ეიზენჰაუერის დოქტრინის" უარყოფა. ამ გარემოებამ დიდი განგაში გამოიწვია ამერიკის შეერთებულ შტატებში. განგაში უფრო გაძლიერდა მას შემდეგ, რაც იორდანიის მთავრობამ 1957 წლის აპრილის დასაწყისში ოფიციალურად განაცხადა, რომ მას გადაწყვეტილი აქვს დიპლომატიური ურთიერთობა დაამყაროს საბჭოთა კავშირთან. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ამოცანად დასახეს იორდანიის რეაქციული წრეების დახმარებით ნაბულსის მთავრობის ჩამოგდება.

ამ მიზნით აშშ-ის საელჩო ამანში დიდ ფინანსურ დახმარებას უწევდა იორდანიის რეაქციული წრეების საქმიანობას. აშშ-ის წარმომადგენლები ახდენდნენ იორდანიის მოხელეებისა და ტომთა ბელადების აშკარა მოსყიდვას. შეთქმულებაში ჩაბმულ იქნა ამერიკის აგენტურა ლიბანში, საუდის არაბეთსა და ერაყში, რომელსაც იორდანიის რეაქციულ ელემენტებთან ჰქონდა მტკიცე კავშირი.

მას შემდეგ, რაც იორდანიის პრემიერი ნაბულსი გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის წარმომადგენლის რიჩარდის ამანში ჩამოსვლის წინააღმდეგ, რომელმაც იმოგზაურა არაბთა ქვეყნებში ეიზენჰაუერის დოქტრინის ქადაგების მიზნით, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ბრალი დასდეს ნაბულსის „პროკომუნისტურ პოლიტიკაში". მეფის სასახლის ირგვლივ დაჯგუფებულ რეაქციულ ძალებზე დაყრდნობით აშშ-მა აიძულეს ნაბულსი გადამდგარიყო, აპრილში ჩამოყალიბდა კაბინეტი ხალიდის მეთაურობით, რომელშიც ნაბულსიმ საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი დაიკავა. ხალხთა მასების დასაშშ-

მინებლად ხალიდის მთავრობამ დაადასტურა, რომ იორდანია არ მიიღებს „ეიზენჰაუერის დოქტრინას“.

იმპერიალისტური გადატრიალება იორდანიაში

ამერიკის მთავრობამ თავის მეექვსე ფლოტს განკარგულება მისცა გამგზავრებულიყო ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში. ფლოტის სარდალმა განაცხადა, რომ იგი ატომურ იარაღს გამოიყენებდა იორდანიის პატრიოტულ ძალთა წინააღმდეგ, ხოლო აშშ-ის სამხედრო მინისტრი აშკარად იმუქრებოდა იორდანიაში ამერიკელთა ჯარების შეყვანით. ამერიკის საზღვაო ქვეითი ჯარი ლიბანში გადასხდა. ხალიდის მთავრობა გადადგა. ახალ მთავრობას სათაურში ჩაუდგნენ იბრაჰიმ ხაშიმი და სამირ ელ-რიფაი, რომლებიც მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ამერიკის შეერთებულ შტატებთან.

იორდანიაში საალყო წესები გამოცხადდა; ყველა პატრიოტული პარტია აკრძალულ იქნა, აიკრძალა პროფესიული კავშირები და სხვა მასობრივი ორგანიზაციები. სახელმწიფო დაწესებულებებიდან და არმიიდან განიდევნენ პატრიოტული ელემენტები. სასწრაფო წესით იარაღდებოდნენ ბედუინთა რაზმები და ბანდები „ბუსულმანთა ძმობიდან“, აგრეთვე სირიიდან გადმოხვეწილი იქ დათხოვნილი პროფაშისტური ნაციონალ-სოციალური პარტიის მომხრენი. ასეულობით იორდანიის პატრიოტი, მათ რიცხვში პარლამენტის დეპუტატები, ყოფილი მინისტრები, პროგრესული ოფიცრები საპყრობილეში ჩაყარეს. პარლამენტის წევრთა რიცხვი იმდენად შემცირდა, რომ ამ უკანასკნელს უკვე აღარ ჰქონდა რწმუნება შეესრულებინა თავისი ფუნქციები. ქვეყნად ტერორი გამეფდა. მმართველი წრეების წარმომადგენლები უხეშად გამოდიოდნენ ეგვიპტისა და სირიის მისამართით. მეფე ჰუსეინი მტრული სიტყვით გამოვიდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

იორდანიაში იმპერიალისტურ ინტრიგებთან დაკავშირებით 1957 წლის 30 აპრილს გამოქვეყნებულ იქნა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება, ხოლო 26 მაისს — საკდესის განცხადება, რომლებშიც ყურადღება იყო მიქცეული იორდანიაში შექმნილი მდგომარეობის მოსალოდნელ შედეგებზე. განცხადებებში აღნიშნული იყო, რომ საბჭოთა კავშირს არ შეუძლია გვერდი აუაროს იმპერიალისტთა ხრიკების შედეგად იორდანიაში შექმნილ ვითარებას, ვინაიდან მდგომარეობა სსრ კავშირის საზღვრებთან მდებარე ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში არ შეიძლება არ შეეხოს მისი უშიშროების ინტერესებს.

ამასობაში 1957 წლის 12 ნოემბერს იორდანიის მთავრობა შეუერთდა ბაღდადის პაქტის ორ კომისიას — ეკონომიურ კომისიას და ეგრეთწოდებულ „ძირგამომთხრელ მუშაობასთან“ მებრძოლ კომისიას. იორდანიის მთავრობამ პრინციპში მოიწონა აგრეთვე „ეიზენჰაუერის დოქტრინა“.

ინგლისის ჯარების ინტერვენცია იორდანიაში

ხალხი განაგრძობდა ბრძოლას. როდესაც ამერიკის შეერთებული შტატების მითითებით 1958 წლის თებერვალში შეიქმნა არაბთა ფედერაცია, იორდანია ყველაზე მოიცვა საპროტესტო დემონსტრაციის ტალღამ. ერაყის რევოლუციამ და ერაყის რესპუბლიკის გამოცხადებამ იორდანიის პროიმპერიალისტურ

ძალთა იზოლაცია გამოიწვიეს. მეფე იძულებული შეიქნა გაუქმებულად გამოეცხადებინა არაბთა ფედერაცია.

ინგლისის მთავრობამ, რომელსაც ეშინოდა რევოლუციური ამბების შემდგომი გაძლიერებისა და ამზადებდა ერაყში შეჭრას, თავისი ჯარები შეიყვანა იორდანიაში.

იმ მიზნით, რომ ინტერვენციისათვის „კანონიერი კონსტიტუციური ხასიათი" მიეცა და რომ შემდგომში არ დაეშვა იორდანიიდან ინგლისის მოკუპირებელი ჯარების გაყვანა, ინგლისის მთავრობამ უკარნახა იორდანიის მეფეს ახალი კაბალური სამხედრო ხელშეკრულება, რომელიც 1948 წლის კაბალური ხელშეკრულების ძირითად დებულებებს იმეორებდა.

ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იყო ინგლისის „უფლებები" ხუთი წლის განმავლობაში იორდანიის შეიარაღებული ძალების ყველა ბაზის გამოყენებაზე. ინგლისი ვალდებულებას კისრულობდა გადაეხადა იორდანიისათვის ყოველწლიური სუბსიდია 15 მილიონი გირვანქა სტერლინგის რაოდენობით.

ხელშეკრულებაზე ხელისმოწერას თან ახლდა იორდანიის პატრიოტთა წინააღმდეგ მიმართული საგანგებო ღონისძიებები. მეფე ჰუსეინმა თავის სასახლეში შეკრიბა ყველა მინისტრი და პარლამენტის თავისუფლად დარჩენილი დეპუტატები და დაჟინებით მოითხოვა ახალი ხელშეკრულების მოწონება. ამის შემდეგ მოწვეულ იქნა პარლამენტის სასწრაფო სხდომა, რომელსაც აგრეთვე მეფე ესწრებოდა. სასახლის შენობა, სადაც პარლამენტის სხდომა მიმდინარეობდა, ინგლისის ჯარების მიერ იყო გარშემორტყმული.

ის დეპუტატები, რომლებმაც სცადეს ხელშეკრულების წინააღმდეგ გამოსვლა, იქვე მეფის ბრძანებით შეიპყრეს და ციხეში გაგზავნეს. ხელშეკრულება „დამტკიცებულ" იქნა.

გაიგო რა მეფის ახალი გამცემლობის ამბავი, იორდანიის ხალხმა ახალი მძლავრი დემონსტრაციებით გასცა მას პასუხი. ინგლისის ჯარების დახმარებით მეფე ჰუსეინმა წამოიწყო ახალი რეპრესიები იორდანიის არმიისა და მოხელეთა წინააღმდეგ, რომლებიც ეპვმიტანილი იყვნენ „არაკეთილსაიმედობაში". დაპატიმრებულ ოფიცერთა რიცხვი 1958 წლის სექტემბრისათვის მთელი შემადგენლობის ერთ მესამედს უდრიდა. დაპატიმრებულ სამოქალაქო პირთა რაოდენობამ ორ ათასს გადააჭარბა. მეფის თხოვნით დაპატიმრებას ახდენდნენ ინგლისის ჯარები, რომლებსაც უშიშროების სამსახურის ფუნქციები მიაკუთვნეს. მეფემ, რომელმაც ყოველგვარი მხარდაჭერა დაკარგა ქვეყნის შიგნით, სცადა გადამდგარიყო ტახტიდან პირადი უშიშროებისათვის. მაგრამ ამას მოჰყვა მკაცრი უარი ლონდონიდან. მეფემ ინგლისს მიმართა „თხოვნით" არ გაეყვანა იორდანიიდან მოკუპირებელი ჯარები.

იორდანიის ხალხი მზადაა მოიცილოს კოლონიზატორთა და ქვეყნის შიგნით მათი დამქაშთა უღელი. „იორდანია —-იორდანიელებისათვის",— ასეთია იორდანიის ხალხთა ბრძოლის ლოზუნგი.

ი ე მ ე ნ ი

იემენელი ხალხის წარსულიდან

იემენი მდებარეობს არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. მისი ტერიტორია 195 ათასი კვ. კილომეტრია, მოსახლეობა — 4,5 მი-

ლიონი კაცი. მოსახლეობის ძირითად ნაწილს შეადგენენ არაბები, აგრეთვე სუდანელი ზანგები, ეთიოპიიდან გამოსულნი, სპარსელები, ინდოელები და სხვ.

იემენი თეოკრატიული სახელმწიფოა. იმამის ხელში თავმოყრილია სასულიერო და საერო ძალაუფლება. იმამი ასრულებს პრემიერ-მინისტრის მოვალეობას.

მნიშვნელოვანი სტრატეგიული მდებარეობით (ინდოეთის ოკეანესა და მეწამულ ზღვას შორის) იემენი ძველთაგანვე იპყრობდა ევროპის ქვეყნების ყურადღებას. 1839 წელს ინგლისის ჯარებმა დაიკავეს ნავსადგური ადენი და მასთან მდებარე ტერიტორია. ადენი გახდა ინგლისის პროტექტორატი და მისი დასაყრდენი შემდგომი მტაცებლური მიზნებისათვის.

იემენი დიდი ხნის განმავლობაში იყო თურქ დამპყრობთა მძიმე უღელქვეშ. იემენელი ტომების განმათავისუფლებელი ბრძოლის შედეგად თურქეთის მთავრობა იძულებული გახდა 1911 წლის საზავო ხელშეკრულებით ეცნო აჯანყების ბელადის ზეიდიტების მუსულმანური სექტის მეთაურის იმამ იახის სასულიერო და სამოსამართლო ძალაუფლება. ასე დამყარდა იემენში დინასტია, რომელიც ახლაც ხელისუფლების სათავეშია.

პირველ მსოფლიო ომში იემენი გამოდიოდა თურქეთის მხარეზე და მონაწილეობდა საომარ მოქმედებაში ინგლისის წინააღმდეგ. თურქეთის კაპიტულაციის შემდეგ იემენი ცნობილ იქნა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ.

მაგრამ კარგი სტრატეგიული მდებარეობის, ნაოფიერი ნიადაგისა და ბუნებრივი სიმდიდრის (ნავთობი, რკინა, ურანი, ოქრო, სპილენძი, ქვანახშირი და სხვ.) გამო კოლონიური ქვეყნები არაერთხელ ცდილან თავის პროტექტორატად ექციათ იემენი. 1934 წელს მათ მოახერხეს ძმათამკვლელი ომის გაჩაღება იემენსა და საუდის არაბეთს შორის. ომი დამთავრდა იემენის დამარცხებით. იემენის დასუსტებით ისარგებლა იტალიამ და 1938 წელს მას თავს მოახვია უთანასწორო ხელშეკრულება.

იემენის მთავრობის საშუალოზა პოლიტიკა. იემენი და სხვ. კავშირი

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, იმასთან დაკავშირებით, რომ იემენში აღმოჩნდა ნავთის საბადოების ახალი სიმდიდრე, გაძლიერდა კოლონიურ სახელმწიფოთა ბრძოლა იემენის ხელში ჩასაგდებად. 1946 წელს აშშ-მა თავს მოახვიეს იემენს ამ უკანასკნელისათვის არახელსაყრელი საკაკრო შეთანხმება.

1948 წელს იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ინტრიგების შედეგად იმამი იახი და მისი ორი შვილი მოკლულ იქნენ. იემენის მეფედ გამოცხადდა იახის უფროსი შვილი ახმედ იბნ-იანია იბნ-მოჰამედ ჰამიდ-ედინი. ახმედის მთავრობამ დამოუკიდებელი და მშვიდობიანი პოლიტიკის გატარებაზე აიღო კურსი.

იემენის სამხრეთ ნაწილში ნავთობის მდიდარი საბადოების აღმოჩენასთან დაკავშირებით ინგლისი რამოდენიმეჯერ შეიჭრა იემენის სამხრეთ ტერიტორიაზე იმ მიზნით, რომ ჩამოეცილებინა ეს ნაწილი იემენისაგან. ინგლისის ტანკები და ჯავშნოსანი მანქანები იჭრებოდნენ ად-დხალას რაიონში. ინგლისის სამხედრო გემები — არაერთხელ შევიდნენ იემენის ტერიტორიულ წყლებში.

იემენმა უარყო იმპერიალისტთა ყველა ცდა ჩაეთრიათ იგი ბაღდადის პაქტში. 1955 წელს მან მონაწილეობა მიიღო ბანდუნგის კონფერენციაში. 1956 წლის აპრილში იემენის მთავრობამ თავდაცვითი შეთანხმება დადო ეგვი-

პტესთან. ეს შეთანხმება Ანიშვნელოვანი ფაქტორი გახდა არაბული სახელმწიფოების დამოუკიდებლობის განმტკიცების საქმეში. ეგვიპტის წინააღმდეგ წარმოებული აგრესიის დროს იემენმა სასტიკი პროტესტი განაცხადა აგრესიის წინააღმდეგ; მან დაგმო იგი და შემდეგ უარი განაცხადა „ეიზენჰაუერის დოქტრინის“ ცნობაზე. იემენის ხალხის ეროვნული მიდრეკილებები ყოველთვის პოულობდნენ თანაგრძნობასა და მხარდაჭერას საბჭოთა კავშირის მხრივ. საბჭოთა მთავრობამ ერთ-ერთმა პირველთაგანმა ცნო იემენის დამოუკიდებლობა 1928 წელს და ხელშეკრულება დადო მასთან მეგობრობისა და ვაჭრობის შესახებ. ხელშეკრულებაში ნათქვამი იყო, რომ იემენის მეფე და მისი მთავრობა „აფასებენ იმ განწყობილებებსა და გრძნობებს, რომლებითაც აღჭურვილია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობა იემენის სახელმწიფოსა და მისი ხალხის მიმართ, აგრეთვე აღმოსავლეთის სხვა ხალხების მიმართ“. 1955 წლის 31 ოქტომბერს ხელშეკრულება განახლებულ იქნა, მასში ნათქვამი იყო, რომ „ორივე მხარეს შორის მუდმივი ზავი და თანხმობა იარსებებს“.

1956 წლის მარტში კაიროში სსრ კავშირსა და იემენს შორის ხელმოწერილ იქნა თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთსარგებლიანობაზე დაფუძნებული საეკონომიკო შეთანხმება, რომლითაც საბჭოთა კავშირმა იკისრა იემენის ეკონომიკის განვითარებისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი საქონლის მიწოდება (მოწყობილობანი, სასოფლო-სამეურნეო მანქანები, საშენი მასალები და სხვ.) და იემენისაგან ისეთი საქონლის შეძენა, რომლის ექსპორტში ეს უკანასკნელი დაინტერესებული იყო (ყავა, გამხმარი ხილი, ტყავის ნედლეული და სხვა სასოფლო-სამეურნეო საქონელი).

1956 წლის ივნისში საბჭოთა მთავრობის მოწვევით საბჭოთა კავშირში იმყოფებოდა იემენის მემკვიდრე პრინცი ემირი სეიფ ულ-ისლამი მოჰამედ ელ-ბადრი. 23 ივნისს ხელმოწერილ კომუნიკეში აღნიშნული იყო, რომ საბჭოთა კავშირსა და იემენს შორის ურთიერთობა ყოველთვის იყო და რჩება მეგობრული და გულწრფელი. ეს ურთიერთობა ემყარება ბანდუნგის კონფერენციის მიერ მოწონებულ სამართლიან პრინციპებს და იგი მთლიანად ემთხვევა როგორც საბჭოთა კავშირის, ისე იემენის სახელმწიფო ინტერესებს, ხელს უწყობს ახლო და შუა აღმოსავლეთში მშვიდობის განმტკიცებას.

მოლაპარაკების მსვლელობაში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სსრ კავშირსა და იემენს შორის დიპლომატიურ წარმომადგენელთა გაცვლის შესახებ.

მოლაპარაკებათა მსვლელობაში მიღწეულ იქნა შეთანხმება ორ სახელმწიფოს შორის ეკონომიური თანამშრომლობის დარგში. დაზუსტებულ იქნა ურთიერთ მისაწოდებელი საქონლის სია არსებული საეკონომიო შეთანხმების საფუძველზე. დასახულ იქნა საბჭოთა კავშირ-იემენის თანამშრომლობის ძირითადი მიმართულება იმ ვარაუდით, რომ შეღავათიან პირობებში დახმარება აღმოეჩინოს იემენს ეკონომიური განვითარების დარგში მისი სურვილების განსაბორციელებლად რეკონსტრუქციის პროექტებისა და სათანადო მასალებისა და მოწყობილობათა მიღების გზით.

მოლაპარაკების მსვლელობაში ხაზი გაესვა ორივე სახელმწიფოს მისწრაფებას — მომავალშიც განუხრელად გაატარონ მშვიდობისა და ხალხთა შორის ნეგობრული თანამშრომლობის პოლიტიკა, აგრესიულ სამხედრო ბლოკებში მონაწილეობის მიუღებლობის პოლიტიკა და თავისუფლებასა და დამოუკიდებ-

ლობაზე ხალხთა უფლებისათვის მხარდაჭერის პოლიტიკა. ამის საფუძველზე იემენსა და საბჭოთა კავშირს შორის 1956 წელს ხელმოწერილ იქნა მეგობრობის ხელშეკრულება.

ინგლისის აგრესია იემენის წინააღმდეგ

იემენის მიერ დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებამ გააფთრებული წინააღმდეგობა გამოიწვია ინგლისის იმპერიალიზმის მხრივ, 1956 წლის 24—25 დეკემბერს ღამით ინგლისის ჯარები შეიჭრნენ იემენის ტერიტორიაზე ქვეყნის ოკუპირების მიზნით. არაბმა ხალხმა სასტიკად დაგმო ინგლისის აგრესია და მზადყოფნა გამოთქვა იემენის ხალხის დასახმარებლად. არაბულ სახელმწიფოთა ლიგის სამდივნომ 1957 წლის იანვარში მოთხოვნით მიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას აღეკვეთა აგრესიის შემდგომი გაღრმავება. მაგრამ ინგლისის აგრესია გრძელდებოდა 1957 და 1958 წლებშიც.

1958 წელს იემენი დაუკავშირდა არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას ფედერაციის საფუძველზე.

საუდის არაბეთი

უეხოეთის ბაიბალი საუდის არაბეთში

პირველ იმპერიალისტურ ომამდე საუდის არაბეთი თურქეთის უღელქვეშ იყო, შემდეგ კი იმპერიალისტურ სახელმწიფოთა კოლონიური ექსპლოატაციის ასპარეზად გადაიქცა. ამან თავისებური დაღი დაასვა საუდის არაბეთის მთელ ეკონომიკას. იგი დღემდე მთელ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყანაა, სადაც ჯერ კიდევ შემონახულია საგვარეულო წყობილების გადანაშთები.

ქვეყნის უმდიდრესი ნავთობის რესურსები ამერიკის კომპანიის — „არაბიენ-ამერიკენ ოილ კომპანის“ (არამკო) ხელშია მოქცეული. ინგლისი შეეცადა არ ჩამორჩენოდა ამ მხრივ ამერიკის შეერთებულ შტატებს: მან დაიპყრო ნავთობით მდიდარი ოაზისი ბურაიმი, რომელსაც საუდის არაბეთი თავის ტერიტორიად თვლის. საუდის მენავთობეთა იაფფასიანი შრომის ზღაპრულმა ექსპლოატაციამ უდიდესი შემოსავლით უზრუნველყო ნავთობის მონოპოლიები. 1955 წელს არამკოს წმინდა მოგებამ ნახევარ მილიარდ დოლარამდე მიაღწია, ხოლო ნავთობის მოპოვებამ 47 მილიონ ტონამდე, ესე იგი 50-ჯერ გადიდდა 1944 წელთან შედარებით. 1950 წლის დამლევს მწყობრში ჩადგა საუდის არაბეთზე გამავალი ტრანსარაბეთის ნავთობსადენი.

ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის წლებში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საუდის არაბეთის ტერიტორიაზე — დახრანში ააგეს აეროდრომი, რომელიც მომდევნო წლებში გადაიქცა უდიდეს სამხედრო ბაზად.

საუდის ხალხი იცავს თავის დამოუკიდებლობას

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საერთო აღმავლობამ გააძლიერა საუდელი ხალხის ბრძოლა კოლონიზატორთა წინააღმდეგ. არამკოს მძარცველური პოლიტიკა და შრომის მძიმე პირობები იწვევდნენ მუშათა მრავალრიცხოვან გამოსვლებს, რომლებიც ნაწილობრივი გამარჯვებით მთავრდებოდა. ამერიკელი მონოპოლისტები ლოკაუ-

ტებს მიმართავდნენ და საბოტაჟს უცხადებდნენ მთავრობის ღონისძიებებს შრომის დარგში.

1955 წელს საუდის არაბეთმა აზიისა და აფრიკის ხალხთა ბანდუნგის კონფერენციაში მიიღო მონაწილეობა. იმავე წელს სხვა არაბულ სახელმწიფოებთან ერთად საუდის არაბეთმა უარყო ყველა ცდა ჩაეთრიათ იგი ბაღდადის პაქტში. როგორც სხვა მშვიდობისმოყვარე ქვეყნებმა, საუდის არაბეთმაც მხარი დაუჭირა ეგვიპტის მიერ სუეცის არხის ნაციონალიზაციას. ეგვიპტეზე აგრესორების თავდასხმის შემდეგ საუდის არაბეთმა, რომელიც ეგვიპტესთან სამხედრო ხელშეკრულებით იყო დაკავშირებული, მზადყოფნა გამოთქვა დახმარებოდა ეგვიპტელ ხალხს. საუდის არაბეთის მთავრობამ 10 მილიონი დოლარი ვალუტა მიაწოდა ეგვიპტეს.

როდესაც სირიის წინააღმდეგ აგრესიის მომზადება წამოიწყეს, აშშ-მა სცადეს განხეთქილება შეეტანათ საუდის არაბეთსა და სირიას შორის. მაგრამ არაბ ხალხთა მძლავრმა მოძრაობამ ის გამოიწვია, რომ ამ უკანასკნელმა სოლიდარობა გამოუცხადა სირიას კოლონიზატორთა წინააღმდეგ.

ამერიკის იმპერიალიზმი ახლაც განაგრძობს ინტრიგებს ამ ქვეყანაში და ცდილობს შებოჭოს იგი პოლიტიკური და ეკონომიური დამოკიდებულების უფრო მძიმე ბორკილით.

ომანი

ომანი არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს. მისი ტერიტორია 212 ათას კვ. კმ. შეადგენს.

მოსახლეობის რაოდენობა დაახლოებით 550 ათასია.

ომანი ეკონომიურად ჩამორჩენილი ქვეყანაა, სადაც ფეოდალური ურთიერთობა საგვარეულო წყობილების გადანაშთებთანაა შერწყმული. მოსახლეობის ძირითად საქმიანობას ოაზისებსა და ზღვისპირეთში მიწათმოქმედება შეადგენს, სანაპირო რაიონებში კი — მეთევზეობა. შიდა უდაბურ რაიონებში მეჯოგეობაა გავრცელებული. მრეწველობა ომანში სრულებით არ არის. ომანი მდიდარია ნავთობით, რომლის ძიებას ამერიკისა და ინგლისის კომპანიები ეწევიან.

ჯერ კიდევ 1798 წელს ინგლისის ოსტ-ინდოეთის კომპანიამ თავს მოახვია ომანს პირველი არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულება. მთელი XIX საუკუნის მანძილზე ინგლისი ინდოეთისაკენ მიმავალი საზღვაო გზების უშიშროების უზრუნველყოფის საბაბით იპყრობდა სამხრეთ-აღმოსავლეთ არაბეთის სანაპირო რაიონებს, სადაც ომანის სამთავრო მდებარეობდა. 1891 წელს ინგლისმა ომანი შებოჭა ახალი კაბალური ხელშეკრულებით, რომლითაც ეს უკანასკნელი ვალდებული ხდებოდა არ დაეთმო თავისი ტერიტორია მესამე მხარისათვის, ხელი არ შეეშალა ინგლისის საქონლის შემოტანა-გატანისათვის და არ დაეწესებინა ინგლისის ნებართვის გარეშე შემოზიდვის ბაჟები. XIX—XX საუკუნეების მიჯნაზე საფრანგეთმა სცადა შეერილიყო ამ რაიონში, მაგრამ იგი წააწყდა ინგლისის მთავრობის სასტიკ წინააღმდეგობას.

ინგლისის გავლენა-ზეგავლა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ

ომანში თავის ძალაუფლებას ინგლისი მასკატის სულთანის მეშვეობით ახორციელებდა. სულთანთან იმყოფებოდა მცირერიცხოვანი არმია ინგლისის ოფიცერთა მეთაურობით.

1913 წელს ომანის არაბულ ტომთა განმათავისუფლებელი მოძრაობის შედეგად სასულთნოს შიდა რაიონებში დაარსდა არაბული სახელმწიფო — ომანის იმამატი, რომელმაც დამოუკიდებლად გამოაცხადა თავისი თავი. 1920 წელს მასკატის სულთანი იძულებული შეიქნა ხელი მოეწერა ახალ სახელმწიფოსთან ხელშეკრულებაზე, რომლითაც ომანის დამოუკიდებლობას ცნობდა და პირობას დებდა არ ჩარეულიყო მის საშინაო საქმეებში.

რადგან ომანის იმამატი იმყოფებოდა ძნელად მისასვლელ და ნაკლებად ცნობილ რაიონებში, სულთანი და ინგლისელები იძულებული იყვნენ შერიგებოდნენ ომანის დამოუკიდებლობას. 1939 წელს ინგლისსა და ომანს შორის ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება „მეგობრობის, ვაჭრობისა და ზღვაოსნობის“ შესახებ, ხოლო 1951 წელს კი ხელშეკრულება „მეგობრობის“ შესახებ. ასეთ ხელშეკრულებათა დახმარებით ინგლისი იმედს არ კარგავდა დაემორჩილებინა იმამატის ტომები.

ინგლისელთა ახალი შეტევა ომანში

ირანის ნავთობის ნაწილობრივად დაკარგვის გამო ინგლისმა გააძლიერა ნავთობის ძიება არაბეთის ნახევარკუნძულზე. 1955 წელს ინგლისმა თავისი პრეტენზიები განაცხადა ბურაჰიმის ოაზისზე, რომელიც მეტად მდიდარია ნავთობით. მაგრამ საუდის არაბეთმა განაცხადა, რომ ეს რაიონი მას თავის ტერიტორიად მიაჩნია. საუდის არაბეთის ზურგს უკან ამერიკის ნავთობის კომპანია „არამკო“ იდგა, რომელსაც ნავთობის მოპოვების მონოპოლია ჰქონდა ამ ქვეყანაში. საუდის არაბეთისათვის მხარდაჭერით ამერიკელები ვარაუდობდნენ, ერთი მხრივ, გაეერცელებინათ თავიანთი მონოპოლია ბურაჰიმის ნავთობზე, მეორე მხრივ, მიეღოთ დახმარება საუდის არაბეთისაგან იმ არაბულ ქვეყნებთან საბრძოლველად, რომლებმაც ბაღდადის პაქტი უარყვეს (ეგვიპტე, სირია).

მაგრამ ინგლისმა მასკატის სულთნის დახმარებით მოახერხა ბურაჰიმის ოაზისის ხელში ჩაგდება, რის შემდეგ ინგლისის ნავთობის კომპანიამ „პეტროლეუმ დეველოპმენტ ლიმიტედ ომან ენდ დოფარმა“ დაიწყო ნავთობის გაძლიერებული ძიება დაპყრობილ რაიონში, მაგრამ ომანის იმამი ჰალებ ბენ-ალი წინ აღუდგა ამას, ვინაიდან იგი მიტაცებულ რაიონს თავისი სახელმწიფოს ტერიტორიად თვლიდა. მაშინ მასკატის სულთანმა საიდ ბენ-თეიმურმა იმამის წინააღმდეგ გაგზავნა ჯარები, რომლებიც ინგლისის იარაღით იყვნენ აღჭურვილი და რომელთაც ინგლისელი ოფიცრები სარდლობდნენ. ამ ჯარებმა დაიპყრეს იმამის რეზიდენცია ქ. ნიზვა და აიძულეს იმამი დაეტოვებინა ომანი. მაგრამ ომანის ტომები ბრძოლას განაგრძობდნენ ინგლისელთა წინააღმდეგ.

1957 წლის აჯანყება

1957 წლის იელისში ომანის ტომები აჯანყდნენ. აჯანყებას სათავეში ჩაუდგნენ — იმამი ჰალებ ბენ-ალი, მისი ძმა თალიბ ბენ-ალი და ტომთა ერთი ყველაზე გავლენიანი ბელადთაგანი სულეიმან ბენ-ჰამირი. აჯანყებულებმა განდევნეს სულთნის ჯარები და დაიკავეს მთელი რიგი სტრატეგიული პუნქტები და გზები. სულთანმა დახმარებისათვის მიმართა ინგლისს. ამ უკანასკნელმა აჯანყებულთა წინააღმდეგ სასწრაფოდ გაგზავნა თავისი ჯარები კვიპროსიდან, კენიიდან, ერაყიდან.

ინგლისის სარდლობამ ულტიმატუმი გაუგზავნა აჯანყებულებს და მოს-

თხოვა დანებება, მაგრამ აჯანყებულებმა უარყვეს ინგლისელთა მოთხოვნა და ლახმარებისათვის თხოვნით მიმართეს არაბულ ქვეყნებს. არაბული ქვეყნების ხალხებმა სასტიკად დაგმეს ინგლისელ კოლონიზატორთა მოქმედება.

ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების გაერთიანებული ფრონტი ომანის წინააღმდეგ

29 ივლისს დალესი სასწრაფოდ გაფრინდა ლონდონს, სადაც იგი არაბი ხალხის ზურგს უკან მოლაპარაკებას აწარმოებდა ინგლისის მთავრობასთან არაბეთის ნახევარკუნძულზე გავლენის სფეროების ხელახლა განაწილების შესახებ. დალესმა მოითხოვა, რომ ინგლისს ახალი ღონისძიებები გაეტარებია ომანში აჯანყების ჩასაქრობად, და გააფრთხილა ინგლისი, რომ დაყოვნებას შეესაძლოა მოჰყოლოდა აჯანყების გავრცელება სპარსეთის ყურის რაიონში ნავთობით მდიდარ სხვა ქვეყნებშიც.

ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს შორის მოლაპარაკების შედეგად მოხდა მათ შორის გარიგება. ამ გარიგებით ინგლისი დათანხმდა დაეთმო ამერიკის შეერთებული შტატებისათვის ნავთობის ნაწილი, მათ შორის ბურაჰიმის რაიონშიც. ამის სანაცვლოდ ინგლისმა ამერიკის შეერთებულ შტატებისაგან თავისუფალი მოქმედების თანხმობა მიიღო ომანში.

ომანის ხალხი განაგრძობს ბრძოლას კოლონიზატორების წინააღმდეგ. ხალხს ამოქმედებს მტკიცე გადაწყვეტილება — დაიცვას თავისი ქვეყნის სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა.

სუდანის რესპუბლიკა

სუდანის დამოუკიდებლობის გამოცხადება

1899 წლიდან ინგლის-ეგვიპტეს შორის დადებული შეთანხმებით სუდანში კონდომინიუმის რეჟიმი დამყარდა, მაგრამ ფაქტიურად სუდანში ინგლისი ბატონობდა.

როდესაც 1951 წელს ეგვიპტის მთავრობამ ინგლის-სუდანის 1936 წლის ხელშეკრულების დენონსაციასთან ერთდროულად მოახდინა სუდანის შესახებ ინგლის-ეგვიპტის 1899 წლის შეთანხმების დენონსაციაც, ინგლისელ კოლონიზატორთა მდგომარეობა ეგვიპტესა და სუდანში ძლიერ შეირყა. სუდანში სახალხო გამოსვლებს ქონდა ადგილი. ხალხი მოითხოვდა სუდანის დამოუკიდებლობას. 1953 წელს ინგლისმა ცნო სუდანის თვითგამორკვევის უფლება სამი წლის გარდამავალი პერიოდის დაწესებით. იმავე 1953 წელს სუდანში ჩატარდა წარმომადგენელთა პალატის არჩევნები. არჩევნებში გაიმარჯვა ეროვნულ-იუნიონისტურმა პარტიამ, რომელიც სუდანის ეროვნული ბურჟუაზიის ინტერესებს გამოხატავდა და დამოუკიდებლობისათვის სუდანის ბრძოლას ედგა სათავეში. ჩამოყალიბდა სუდანის პირველი მთავრობა ალ-ასხარის მეთაურობით.

1955 წლის აგვისტოში სუდანის პარლამენტმა გადაწყვეტილება მიიღო კონდომინიუმის რეჟიმის მოქმედების შეწყვეტის შესახებ. 1955 წლის ნოემბერში ინგლისის ჯარებმა 1953 წლის შეთანხმების საფუძველზე დატოვეს სუდანი. მაგრამ ინგლისის გენერალ-გუბერნატორის ძალაუფლება, როგორც სახელმწიფოს მეთაურის ხელისუფლება, გრძელდებოდა. სუდანელები მოითხოვდნენ გენერალ-გუბერნატორის პოსტის ლიკვიდაციას.

12 დეკემბერს ინგლისელმა ნოკს-ჰელმა მძლავრი სახალხო დემონსტრაციის წინაშე, რომელიც შეიარაღებულ გამოსვლაში გადაქცევის საშიშროებას ქმნიდა, დატოვა გენერალ-გუბერნატორის პოსტი. 19 დეკემბერს პარლამენტმა სუდანი სუვერენულ სახელმწიფოდ გამოაცხადა. პარლამენტმა მოუწოდა ინგლისსა და ეგვიპტეს დაუყოვნებლივ ეცნოთ ეს გადაწყვეტილება. პარლამენტმა დააარსა ხუთი წევრისაგან შემდგარი კომისია და იგი სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებებით აღჭურვა რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევამდე. კონსტიტუციის შესამუშავებლად დამფუძნებელი კრების მოწვევა იყო გათვალისწინებული.

დამოუკიდებელ რესპუბლიკად სუდანის ოფიციალურად გამოცხადება მოხდა 1956 წლის 1 იანვარს ხართუმში. იმავე დღეს სუდანის დამოუკიდებლობა სცნეს ეგვიპტემ და ინგლისმა. 2 იანვარს დამოუკიდებელი სუდანი ცნო ინდოეთმა. 3 იანვარს სსრ კავშირის მთავრობამ ცნო სუდანი როგორც დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო.

1956 წლის 19 იანვარს კაიროში შემდგარმა არაბთა სახელმწიფოების ლიგის საგანგებო სესიამ ლიგის წევრთა რიგებში მიიღო სუდანი.

სუდანის საგარეო პოლიტიკა

სუდანის მთავრობამ არაერთხელ განაცხადა, რომ იგი თავის მოქმედებაში იხელმძღვანელებს მხოლოდ ეროვნული ინტერესებით და უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის თანასწორობას, სოციალურ სამართლიანობასა და ძირითად თავისუფლებას კონსტიტუციის შესაბამისად. საგარეო პოლიტიკის დარგში სუდანის მთავრობა იხელმძღვანელებს ქვეყნის დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის განმტკიცების ინტერესებით; სუდანი მონაწილეობას არ მიიღებს აგრესიულ კავშირებში და შეეცდება განამტკიცოს მეგობრული ურთიერთობა ყველა სახელმწიფოსთან.

1956 წლის მაისის დამლევს და ივნისის დასაწყისს, როგორც კაიროს გაზეთი „ალ-ახრამი" იუწყებოდა, სუდანი ინახულა ერაყის წარჩინებულმა წარმომადგენელმა, რომელიც მოლაპარაკებას აწარმოებდა ოფიციალურ პირებთან, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოღვაწეებთან, ცდილობდა რა დაერწმუნებინა ისინი გამოსულიყვნენ ბაღდადის პაქტთან სუდანის შეერთების სასარგებლოდ.

სუდანის მთაერობაზე ძლიერი დაწოლა მოახდინეს დასავლეთის იმპერიალისტებმაც, რომლებმაც ხელოვნური უთანხმოება გამოიწვიეს სუდანსა და ეგვიპტეს შორის.

1958 წლის დამლევს სუდანში მოხდა სახელმწიფო გადატრიალება. ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგნენ ნაციონალისტები გენერალ აბუდის მეთაურობით. მთავრობამ გამოაცხადა, რომ მათი პოლიტიკის ამოცანაა სუდანის სუვერენიტეტის დაცვა და მეგობრობა ეგვიპტესთან და სხვა არაბულ ქვეყნებთან.

ლ ი ბ ი ა

დამოუკიდებლობის გამოცხადება

მეორე მსოფლიო ომში იტალიის დამარცხების შემდეგ ლიბიის საკითხი არა ერთხელ იყო ოთხი სახელმწიფოს მინისტრთა თათბირისა და გაერთიანე-

ბული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიის განხილვის საგანი. საბჭოთა კავშირი მხარს უჭერდა ლიბიის ხალხის მოთხოვნას მისთვის დამოუკიდებლობის მინიჭებაზე, მაგრამ ამას ეწინააღმდეგებოდნენ კოლონიური სახელმწიფოები, რომლებსაც თავიანთი სამხედრო ბაზები ჰქონდათ ლიბიის ტერიტორიაზე.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეოთხე სესიის გადაწყვეტილების შესაბამისად ლიბია გამოცხადებულ იქნა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ 1951 წლის 24 დეკემბერს. მაგრამ უცხოეთის სამხედრო ბაზები ლიბიის ტერიტორიაზე შენარჩუნებულ იქნა. ეს ბაზები გამოიყენა ინგლისის სარდლობამ ეგვიპტის წინააღმდეგ წარმოებული აგრესიის დროს იარაღითა და სამხედრო მასალით დატვირთული ტრანსპორტის განსატვირთავად და ინგლისის ავიაციის თავდასხმების მოსახდენად ეგვიპტის ქალაქებზე. ამ ფაქტებმა ლიბიის მოსახლეობის დიდი აღშფოთება გამოიწვიეს.

1955 წელს ლიბიასა და საბჭოთა კავშირს შორის დამყარებულ იქნა დიპლომატიური ურთიერთობა. იმავე 1955 წელს ლიბია ბანდუნგის კონფერენციაში ღებულობდა მონაწილეობას. 1955 წლის დეკემბერში ლიბიის პარლამენტის დეპუტატებმა მოითხოვეს ინგლის-ლიბიის არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულების გაუქმება. ეს მოთხოვნა ამჟამადაც განიხილება ლიბიის ხალხის მიერ როგორც ძირითადი პირობა ლიბიის სუვერენიტეტისა და ეროვნული დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად.

1956 წლის დეკემბერში ლიბიის პარლამენტმა მხარი დაუჭირა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვას ატომური იარაღის გამოყენების აკრძალვის შესახებ და მოითხოვა, რომ ატომური ენერგია გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მშვიდობიანი მიზნით, კაცობრიობის საკეთილდღეოდ და ცივილიზაციის პროგრესისათვის.

ლიბიის მიერ „ეიზენჰაუერის დოქტრინის“ ცნობა

ლიბიის საზოგადოებრიობამ უკიდურესად უარყოფითი პოზიცია დაიკავა „ეიზენჰაუერის დოქტრინის“ მიმართ. „დოქტრინის“ წინააღმდეგ გამოვიდა ლიბიის საგარეო საქმეთა მინისტრი სახილი. როდესაც 1957 წლის მარტში აშშ ელჩმა ტეპინმა ინახულა ტრიპოლში სახილი და მოითხოვა მისგან, რომ ლიბიის ეროვნულმა ბელადებმა მხარი დაუჭირონ „ეიზენჰაუერის დოქტრინას“, სახილმ კატეგორიული უარით უპასუხა. ელჩი გაცხარდა და განაცხადა, რომ მას „უტყუარი საბუთები აქვს მინისტრის პროკომუნისტური განწყობილების შესახებ“.

ამერიკის ელჩმა ტეპინმა მოსთხოვა პრემიერ-მინისტრ მუსტაფა ბენ-ხალიმს სახილის გადაყენება. აშშ-ის პრეზიდენტის წარმომადგენლის რიჩარდსის ლიბიაში ჩამოსვლის წინა დღეს სახილი გადაყენებულ იქნა თავისი პოსტიდან. საგარეო საქმეთა მინისტრად დაინიშნა ამდელ მაჯიდ ქაბარი. ლიბია შეუერთდა „ეიზენჰაუერის დოქტრინას“ და 1957 წლის მაისის დამლევს ამდელ მაჯიდ ქაბარი სათავეში ჩაუდგა ლიბიის მთავრობას.

„ეიზენჰაუერის დოქტრინასთან“ ლიბიის მიმხრობამ დიდი აღშფოთება გამოიწვია ლიბიის საზოგადოებაში.

ალჟირის რესპუბლიკა

ალჟირი — საფრანგეთის კოლონია

1830 წელს გენერალ ბურმონის სარდლობით საფრანგეთის ჯარები გადა-ვიდნენ ალჟირის ტერიტორიაზე და დაიკავეს ქალაქი ალჟირი. ალჟირის ბეი განდევნილ იქნა თავისი ქვეყნიდან. ალჟირი საფრანგეთის კოლონიად გამოცხადდა.

ფრანგმა კოლონისტებმა ჩაიგდეს მიწის დიდი ფართობები, რომლებიც ალჟირელთა ტომებს ეკუთვნოდა. საფრანგეთის კოლონიზატორთა უღელმა გამოიწვია ქვეყნის დარბევა, ეპიდემია, საშინელი სიღატაკე.

თუმცა, ალჟირი საფრანგეთის ტერიტორიის შემადგენელ ნაწილად ითვლებოდა, მაგრამ მისი მოსახლეობა ორ ჯგუფად იყოფოდა. პრივილეგირებულ უმცირესობას ფრანგები შეადგენდნენ; მათზე ერცელდებოდა საფრანგეთის კანონები საარჩევნო უფლებების, გადასახადებისა და სხვ. მათივე ხელში იყო მიწის ფართობის 80 პროცენტი. უუფლებო უმრავლესობას შეადგენდა ძირითადი მოსახლეობა — არაბები და ბერბერები, რომლებიც მოკლებული იყვნენ საარჩევნო უფლებებს; ისინი უსიტყვოდ უნდა დამორჩილებოდნენ პრივილეგირებულებს; მათ უნდა ეხადათ მძიმე კოლონიური გადასახადები, არ ჰქონდათ უფლება შეეიარაღებინათ თავისი პარტიები, მოეწვიათ კრებები ხელისუფალთა ნებადაურთველად და სხვ. სულ მცირე დანაშაულისათვის მათ ამწყვდეევდნენ ციხეებში, წკეპლავდნენ, აჯარიმებდნენ კოლექტიურად და სხვ.

ალჟირის მკვიდრი მოსახლეობა შეუპოვარ ბრძოლას აწარმოებდა თავისი ადამიანური უფლებებისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, კოლონიზატორთა განდევნისათვის. ამ ბრძოლამ ფართო გასაქანი მიიღო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ. ალჟირში შეიქმნა კომუნისტური პარტია, რომელიც პირველ ხანებში არსებობდა, როგორც საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ალჟირის სექცია, ხოლო 1934 წლიდან გაფორმდა როგორც დამოუკიდებელი პარტია.

კოლონიური ხელისუფალნი განუწყვეტლივ ატარებდნენ კურსს, რომელიც მიმართული იყო იქითკენ, რომ ჩამოეგდოთ შეღლი და განხეთქილება ადგილობრივ მოსახლეობასა და ევროპელ უმცირესობას შორის, რომ არ დაეშვათ მოქმედების ერთიანობა ადგილობრივ მოსახლეობასა და ევროპელი მოსახლეობის დემოკრატიულ ნაწილს შორის ალჟირის დამოუკიდებლობისა და დემოკრატიული უფლებებისათვის ბრძოლის საქმეში. ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგ ყველაზე ფანტასტიკური საბაბით იყენებდნენ მასობრივ რეპრესიებს, რომელთაც ათეული ათასი ადამიანი ეწირებოდა მსხვერპლად.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ალჟირში ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის აღმაფლობას ჰქონდა ადგილი.

ქვეყნის დამშვიდების მიზნით საფრანგეთის მთავრობამ 1947 წელს ეროვნული კრების მეშვეობით გაატარა ალჟირის ახალი სტატუტი, რომლის მიხედვით საფრანგეთის გენერალ გუბერნატორთან იქმნებოდა სათათბირო ხმის მქონე საბჭო ექვსი წევრისაგან; ამათგან ორი ინიშნებოდა გენერალ-გუბერნატორის მიერ, ხოლო ოთხს ალჟირის კრება წამოაყენებდა. ეს უკანასკნელი საკონსულტაციო ორგანო იყო, სადაც ევროპელები და ადგილობრივ მკვიდრთა პრივილეგირებული ნაწილი ჭარბობდა.

ფრანგულმა „რეფორმამ“ ვერ დაამშვიდა ალჟირი. 1947 წლის დეკემბერში

·იფეთქ: გაფიცვამ, რომელშიც 100 ათასმა კაცმა მიიღო მონაწილეობა და რო-
მელიც მშრომელთა გამარჯვებით დამთავრდა.

ეროვნული განთავისუფლების ფრონტის შექმნა. სახალხო ბრძოლა კოლონიზატორთა წინააღმდეგ

კოლონიური ტანჯვის წინააღმდეგ წარმოებულმა ბრძოლამ ქვეყნის პროგრესულ ძალთა შემჭიდროება გამოიწვია. 1954 წელს დაარსდა ერთიანობისა და მოქმედებისათვის ბრძოლის რევოლუციური კომიტეტი, რომელიც შემდეგში ალჟირის ეროვნული განთავისუფლების ფრონტად გადაკეთდა და კოლონიზატორთა წინააღმდეგ ბრძოლას ჩაუდგა სათავეში. შეიქმნა ეროვნული განთავისუფლების არმია. ალჟირის კომუნისტურმა პარტიამ მოუწოდა მშრომელებს შესულიყვნენ ეროვნული განთავისუფლების არმიაში.

1954 წლის 30 ნოემბერს ალჟირში იფეთქა დიდმა აჯანყებამ. შეიარაღებული გლეხები თავს ესხმოდნენ ფრანგების ფერმებს, ყანდარმთა პოსტებს და სხვ. აჯანყებულნი მოითხოვდნენ კოლონიზატორთაგან ალჟირის დამოუკიდებლობის აღიარებას, რეპრესიების უველა მსხვერპლის ამნისტიას და ალჟირის პოლიტიკურ პარტიებთან მოლაპარაკებას.

1955 წლის აპრილში საფრანგეთის პარლამენტმა მიიღო კანონი, რომელიც ფაქტიურად საგანგებო მდგომარეობას აცხადებდა ალჟირში. ამ კანონით მთავრობას უფლება ჰქონდა აეკრძალა ადგილგადანაცვლება, დაეწესებინა აკრძალული და დამცველი ზონები, ეწარმოებინა ჩხრეკა და დევნა დღისითაც და ღამითაც და სხვ.

1956 წელს საფრანგეთის მთავრობის საგანგებო რწმუნებანი გაგრძელებულ იქნა. ამ დროისათვის ალჟირში საფრანგეთის ჯარების რაოდენობამ 500 ათას კაცს გადააჭარბა. საფრანგეთის ჯარები „გაცხრილვის" ფართო ოპერაციებს ატარებდნენ. მოკლულ ალჟირელთა რიცხვმა 48 ათასს გადააჭარბა. მაგრამ სხვა არაბ ხალხთა მაგალითით აღფრთოვანებული ალჟირელი ხალხი განაგრძობდა გმირულ ბრძოლას.

ალჟირელი ხალხის გმირულმა ბრძოლამ მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო. 1956 წლის მაისში სახალხო პალატაში გამოსვლისას ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ნერუმ წამოაყენა წინადადებები ალჟირის საკითხის მშვიდობიანი გზით მოსაწესრიგებლად. ეს წინადადებები ძირითადად შემდეგში მდგომარეობდა: საფრანგეთის მთავრობის მიერ ალჟირის დამოუკიდებლობის ცნობა ალჟირელ ხალხთა თანასწორუფლებიანობის საფუძველზე; პირდაპირი მოლაპარაკებების დაწყება ზემოხსენებული იდეების საფუძველზე და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად.

მაროკო-ტუნისის კონფერენცია ალჟირის მონაწილეობით

ალჟირში საფრანგეთის შეიარაღებული ძალების საქმიანობამ დიდი განგაში გამოიწვია არაბულ ქვეყნებში. აზიისა და აფრიკის 13 ქვეყანამ — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებმა — 1956 წლის 18 ივნისს მოითხოვა უშიშროების საბჭოს სხდომის მოწვევა ალჟირის საკითხის განსახილველად. 22 ოქტომბერს მაროკოს სულთანი მოლაპარაკებას აწარმოებდა ალჟირის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის ხელმძღვანელობასთან. 23 ოქტომბრისათვის დანიშნული იყო მაროკო-ტუნისის მოლაპარაკების დაწყება ტუნისში, სა-

დაც იმ დღეს გადაფრინდა მაროკოს სულთანი. იმავე დღეს მაროკოსა და ტუ-ნისის ჰოკავრობათა მოწვეეით მაროკოდან ტუნისში მაროკოს თვითმფრინაეით გადაფრინდა ალეირის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტის ხუთი ლიდერი.

თვითმფრინავი ჯერ კიდევ ჰაერში იყო, როცა მისმა ეკიპაჟმა საფრანგეთის სარდლობისაგან ბრძანება მიიღო დაშვებულიყო სამხედრო აეროდრომზე. ალეი-რის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტის ხუთი ლიდერი შეპყრობილ იქნა საფრანგეთის სამხედრო პოლიციის მიერ.

დაპატიმრების შესახებ ცნობამ დიდი აღშფოთება გამოიწვია ტუნისში, მაროკოსა და არაბთა სხვა ქვეყნებში. მაროკოს ყველაზე დიდი პარტიის „ისტიკ-ლალის" აღმასკომმა თაეის განცხადებაში აღნიშნა, რომ საფრანგეთის ხელ-სუფალთა მიერ ალეირის აჯანყების ხელმძღვანელთა დაპატიმრება „საპაერო-მეკობრეობის აქტია და გაუგონარი შეურაცხყოფაა მაროკოსა და მისი ხელმწი-ფისა, რომლის სტუმრად იყვნენ განთავისუფლების სახალხო ფრონტის ხელმ-ძღვანელები". ტუნისსა და მაროკოში გამოცხადდა საყოველთაო გაფიცვა, გაი-მართა საპროტესტო დემონსტრაციები საფრანგეთის ხელისუფალთა წი-ნააღმდეგ.

საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა გი მოლემ უარი თქვა დაპატიმრებულთა-განთავისუფლების შესახებ.

მაროკო-ტუნისის კონფერენციაზე მიღებულ იქნა დადგენილება ახლო მომავალში მაროკოსა და ტუნისს შორის თანამშრომლობასა და კავშირზე-ხელშეკრულების ხელის მოწერის შესახებ 20 წლის ვადით. ამ გადაწყვეტილების-მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ ჩრდილოეთ აფრიკის სამი ერი ერთი-ანდებოდა საფრანგეთის კოლონიზატორთა წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლაში..

ალეირის საკითხის ირგვლივ შექმნილმა დაძაბულმა ვითარებამ-სერიოზუ-ლი უთანხმოება გამოიწვია საფრანგეთის მთავრობის წრეებში. .

ალეირში ომი ყოველდღე მილიარდ ფრანკზე მეტს ნთქავდა. ალეირის საკითხში მთავრობის კურსმა უკმაყოფილება გამოიწვია ეროვნულ კრებაში-არა მარტო კომუნისტების მხრივ, არამედ რადიკალების, რადიკალ-სოციალის-ტებისა და სოციალისტური პარტიის რიგითი წევრების უმრავლესობაში. მემა-რცხენე ელემენტები მთავრობისაგან მოითხოვდნენ დაუყოვნებლივ მოლაპა-რაკებას ალეირის მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენლებთან, იმ ორგანიზაციებთან ერთად, რომლებიც შეიარაღებულ ბრძოლას აწარმოებენ.

საყოველთაო გაფიცვა ალეირში 1957 წლის იანვარში. ამერიკის შეერთებული შტატები და ალეირის საკითხი

1957 წლის იანვარში ეროვნული განთავისუფლების ფრონტის მოწოდე-ბით ალეირში იფეთქა საყოველთაო გაფიცვამ, რომელიც რამდენიმე დღეს გაგრძელდა. ხალხთა მასები მოითხოვდნენ ალეირისათვის თვითგამორკვევის უფლების მინიჭებას.

1957 წლის თებერვალში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერა-ლური ასამბლეის XI სესიამ ალეირის საკითხზე მიიღო რეზოლუცია, რომ ურ-თიერთ გაგების გზით გამოინახოს მშვიდობიანი შინაგანი და სამართლიანი გა-დაწყვეტილება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპების შესა-ბამისად.

ამ დროისათვის ალეირის საკითხისადმი დიდი ინტერესი გამოავლინეს ამე-

რიკის შეერთებულმა შტატებმა. იმ დიდმა ბუნებრივმა სიმდიდრეებმა, რომლებიც უკანასკნელ ხანებში აღმოჩენილ იქნა აფრიკის საფრანგეთის კოლონიებში, კერძოდ, საჰარაში (ნაეთობი, ურანი და სხვ.), თავბრუ დაასხეს ამერიკელ იმპერიალისტებს, რომლებიც ისწრაფოდნენ გზა გაეხსნათ ამერიკის კაპიტალისათვის საფრანგეთის კოლონიებისაკენ აფრიკაში. აშშ გაძლიერებით უბიძგებდნენ საფრანგეთის მთავრობას გაეფართოებინა სამხედრო მოქმედება ალჟირის წინააღმდეგ.

ფრანგ კოლონიზატორთა ბრძოლა ალჟირში

გენერალური ასამბლეის XI სესიის რეზოლუციით გამხნევებული საფრანგეთის მთავრობა განაგრძობდა რეპრესიების პოლიტიკას ალჟირის ხალხის წინააღმდეგ. რესპუბლიკის პრეზიდენტი რენე კოტი გამოვიდა სიტყვით, რომელშიც განაცხადა, რომ იგი კატეგორიულად წინააღმდეგია ალჟირისათვის თავისუფლების მინიჭებისა. თავისი აზრი კოტიმ იმით დაასაბუთა, რომ დამოუკიდებლობას პირობებში თითქოს ალჟირს არ შეუძლია უზრუნველყოს თანაარსებობა და თანამშრომლობა ევროპისა და მუსულმანთა მოსახლეობას შორის. პრეზიდენტის ასეთი განცხადება საფრანგეთის მთავრობამ „მორალურ საფუძვლად" დაუდო ალჟირისათვის განსაკუთრებული კანონების შემდგომ მომზადებას.

საფრანგეთის ხელისუფალნი განაგრძობდნენ დამსჯელი ზომების მიღებას.

საფრანგეთის მთავრობის მიერ ალჟირის წინააღმდეგ წარმოებული ომის ხარჯებმა 2 მილიარდი ფრანკი შეადგინა ყოველდღიურად. საფრანგეთის დამსჯელ ძალთა რაოდენობამ ალჟირში ერთ მილიონს მიაღწია, ეს მაშინ, როდესაც ალჟირის მთელი მოსახლეობა 12 მილიონს არ აღემატებოდა. კოლონიზატორებმა ციხეში ჩააგდეს და აწამეს ალჟირის კომუნისტური პარტიის მდივანი ახმედ აკაში. გამხეცებულ კოლონიზატორთა ხელით 1954 წლიდან მოყოლებული დაიღუპა 600 ათასი ადამიანი. აზიისა და აფრიკის 21 ქვეყნის წარმომადგენლებმა მოითხოვეს ალჟირის საკითხის განმეორებით განხილვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XII სესიაზე.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ალჟირის საკითხის მომავალ განხილვასთან დაკავშირებით ალჟირის კომუნისტურმა პარტიამ აგვისტოში გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც გამომჟღავნებული იყო კოლონიზატორთა გეგმა განხეთქილება შეეტანათ ალჟირელთა შორის და შეექმნათ შთაბეჭდილება, თითქოს ალჟირელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლა არ ატარებდეს ეროვნულ ხასიათს. კომუნისტურმა პარტიამ მოუწოდა ყველა ალჟირელ პატრიოტს განამტკიცოს ეროვნული განთავისუფლების არმიისა და მთელი ალჟირელი ხალხის ერთიანობა, როგორც გადამწყვეტი გამარჯვების აუცილებელი პირობა.

საფრანგეთის მთავრობის ბანეგრეხი

იმ მიზნით, რომ განხეთქილება შეეტანა ალჟირელ ხალხში და შეეშუბუქებინა თავისი მდგომარეობა გენერალური ასამბლეის XII სესიაზე ალჟირის საკითხის განხილვისას, საფრანგეთის ბურჟეს-მონურის მთავრობამ მოითხოვა პარლამენტის საგანგებო სესიის მოწვევა, რომელზედაც გამოვიდა ალჟირის შესახებ „საერთო კანონის" კეგმით. მთავრობის კანონის მთავარი თეზისი იმაში მდგომარეობდა, რომ ალჟირი გამოცხადებულიყო საფრანგეთის განუყოფელ ნაწილად, მისი უზენაესი ხელისუფლების ქვეშ მყოფად. გეგმა ითვალისწინებდა ალჟირის დანაწილებას „ფედერალურ ტერიტორიებად". ქვეყნის ტერიტორიის

დაქუცმაცებით მთავრობას მხედველობაში ჰქონდა გამოეყო სანაპირო რაიონები, სადაც ევროპელი მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ცხოვრობდა, და დაექუცმაცებინა დანარჩენი ალჟირის ადმინისტრაციული მმართველობა. თითოეული ფედერალური ტერიტორიისათვის გათვალისწინებული იყო საფრანგეთის მთავრობის მოხელის დანიშვნა, რომელიც ალჟირის საქმეების მინისტრისადმი იქნებოდა დაქვემდებარებული. მინისტრისა და მოხელეთა გამგებლობაში უნდა შესულიყო სამოქალაქო უფლების საკითხები, საგარეო ურთიერთობანი, სამხედრო საკითხები, სოციალური უზრუნველყოფა, ფინანსები, გადასახადები, სახელმწიფო ხარჯები, სამართლის წარმოება, სასწავლებლები. გარდა ამისა, მინისტრსა და მის მოხელეებს ეძლეოდათ განსაკუთრებით ფართო უფლებები ადგილობრივი ორგანოების მიმართ.

მაგრამ ბურჟეს-მონური წინააღმდეგობას შეხვდა იმათ მხრივ, ვინც ალჟირის უაზრო ომის მოწინააღმდეგენი იყვნენ. ცნობილია, რომ ალჟირის ომმა შეარყია საფრანგეთის ეკონომიკა და გაართულა მისი საერთაშორისო მდგომარეობა. ასეთ პირობებში ბურჟეს-მონურომ ნდობის საკითხი დასვა და, რაკი დამარცხდა, იძულებული შეიქნა გადამდგარიყო.

ალჟირის საკითხის განხილვისას 1957 წლის დეკემბერში გენერალური ასამბლეის XII სესიაზე პოლიტიკურმა კომიტეტმა არ მიიღო არავითარი გადაწყვეტილება. კოლონიურმა სახელმწიფოებმა ამერიკის კონტინენტის ქვეყნების მხარდაჭერით ხელი შეუშალეს კომიტეტს მიეღო რეზოლუცია, რომელიც ხელს შეუწყობდა ალჟირის პრობლემის მშვიდობიან მოწესრიგებას საფრანგეთისა და ალჟირის ხალხთა ინტერესების შესაბამისად. ამ რეზოლუციას ხმა მისცეს 37 წევრმა, წინააღმდეგ — 37.

ალჟირის რესპუბლიკის გამოცხადება

ალჟირის ხალხი განაგრძობდა ბრძოლას. 1958 წლისათვის ეროვნული განთავისუფლების არმიის შემადგენლობამ 130 ათას კაცს მიაღწია. კოლონიზატორთაგან განთავისუფლებულ იქნა ქვეყნის ტერიტორიის ორი მესამედი ნაწილი. საფრანგეთის საზოგადოებრიობა სულ უფრო მეტად მოითხოვდა ალჟირში ომის შეწყვეტას.

1958 წლის მაისში ალჟირში მოხდა სამხედრო-ფაშისტური ამბოხება. იგი მოაწყო საფრანგეთის საექსპედიციო არმიის უმაღლესმა სარდლობამ მეტროპოლიის რეაქციულ ელემენტებთან კავშირში. მეამბოხენი მოითხოვდნენ კოლონიური ომის გაგრძელებას ალჟირში და სამხედრო დიქტატურის რეჟიმის დამყარებას საფრანგეთში. საფრანგეთში ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა გენერალი დე გოლი.

კონსტიტუციის საკითხის შესახებ მომავალ რეფერენდუმთან დაკავშირებით, რომელშიც ალჟირის მოსახლეობასაც უნდა მიეღო მონაწილეობა, კოლონიურმა ხელისუფლებმა მხეცური ტერორისტული რეჟიმი დაამყარეს ალჟირში. ალჟირში გაგზავნილ იქნა დამატებითი სამხედრო კონტინგენტები. დარწმუნებული არ იყვნენ რა იმაში, რომ ამ დიდი შეიარაღებული ძალებითაც თავს გაარ-

თვევდნენ მდგომარეობას, კოლონიურმა ხელისუფლებმა გამოიმუშავეს ალჟირში არჩევნების ჩატარების წესი, რომლის მიხედვით არჩევნები სამი დღე უნდა ყოფილიყო გაგრძელებული; ასეთი ნაბიჯი მათ გადადგეს იმიტომ, რომ არჩევნები ჩაეტარებინათ არა ერთბაშად ყველა რაიონში, არამედ ნაწილ-ნაწილ, რათა ამით არჩევნების ჩატარებისას „წესრიგის" დაცვის უზრუნველყოფის საშუალება ჰქონოდათ შეიარაღებულ ძალთა საკმაო რაოდენობით.

მაგრამ კოლონიზატორთა გეგმა ჩაიშალა. 1958 წლის 19 სექტემბერს კაიროში გამოცხადდა ალჟირის რესპუბლიკა, და შეიქმნა მისი დროებითი მთავრობა ფერხათ აბასის მეთაურობით.

ალჟირის რესპუბლიკის დროებითმა მთავრობამ გამოუშვა დეკლარაცია, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ მთავრობა თავის უპირველეს და წმიდა მოვალეობად თვლის სათავეში ჩაუდგეს ალჟირის ხალხსა და მის არმიას ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. მას შემდეგ, რაც ეს ამოცანა შესრულებული იქნება, ალჟირის ხალხმა დამოუკიდებლად თვითონვე უნდა გადაწყვიტოს ალჟირის დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნის ამოცანა სოციალური სამართლიანობის საფუძველზე.

დეკლარაციაში აგრეთვე მითითებული იყო, რომ ალჟირის ხალხი ყოველთვის აცხადებდა თავის მზადყოფნაზე მოლაპარაკების საშუალებით გადაეწყვიტა ალჟირის პრობლემა და რომ ამ მიზნით დროებითი მთავრობა ყოველთვის მზადაა შეხვდეს საფრანგეთის მთავრობის წარმომადგენლებს.

დროებითმა მთავრობამ საზეიმოდ აღთქმა დადო — იყოს თავისუფლების, თანასწორობისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპების ერთგული, პატივი სცეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას, საფუძვლად დაუდოს მისი პრინციპები თავის პოლიტიკას, მხარი დაუჭიროს ყოველგვარ ლონისძიებებს, რომლებიც მშვიდობის განმტკიცებისაკენ იქნება მიმართული.

დეკლარაციაში აღნიშნული იყო, რომ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ალჟირელი ხალხი მარტოდ-მარტო კი არ არის. ფრანგ კოლონიზატორთა წინააღმდეგ აგრეთვე ბრძოლას აწარმოებენ აფრიკის ხალხები.

ამასთან დეკლარაციაში საზგასმული იყო, რომ ალჟირელი ხალხი არ შეწყვეტს ბრძოლას, ვინაიდან იგი მტკიცედაა დარწმუნებული, რომ ახლო მომავალში მიაღწევს კოლონიური უღლისაგან განთავისუფლებას. ალჟირის ეროვნულ-განმათავისუფლებელი არმიის რიცხვმა 1959 წლის დასაწყისისათვის 130000 მიაღწია. იგი მთლიანად კონტროლს უწევდა დაახლოებით მთელი ალჟირის დასახლებული ნაწილის ორ მესამედს.

ტუნისის რესპუბლიკა

ტუნისის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლველად ფეხზე დააყენა არაბი ხალხები. ეროვნული ბურჟუაზია ცდილობდა თავისი ინტერესებისათვის გამოეყენებინა ხალხთა მოძრაობა. ჯერ კიდევ პირველ მსოფლიო ომამდე ტუნისში შექმნილ პურჟუაზიულ პარტიას „დესტურს" ჩამოსცილდა ჯგუფი, რომელმაც პარტია „ნეო-დესტური" ჩამოაყალიბა. ეს ახალი პარტია მასობრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციად გადაიქცა.

ტუნისში მშრომელთა მდგომარეობა მეტად მძიმე იყო. საფრანგეთის კოლონიზაციის პირველი წლებიდანვე ფრანგი კაპიტალისტები, მინისტრები, გენერლები, დეპუტატები დიდ მამულებს ღებულობდნენ საფრანგეთის კოლონიური ხელისუფლებიდან. ამ მამულებზე მიმაგრებული იყვნენ არაბი გლეხები, მათი ყოფილი მფლობელნი. ყოველ ახალ მფლობელზე საშუალოდ 300 ჰექტარი მიწა მოდიოდა. ამ მიწებზე გლეხები მუშაობდნენ მოზიარეთა სახით.

წარმოების პრიმიტიული ტექნიკისა (ცალი და თოხი) და ფეოდალურ-ბატონყმური ექსპლოატაციის სიმძიმის გამო გლეხთა მეურნეობა მძიმე მდგომარეობაში იყო. ნათესი და ხეხილები ნადგურდებოდა, მოსავალი მეტად დაბალი იყო. გლეხები ახლაც უბადრუკ ქოხმახებში ცხოვრობენ, რომლებსაც ხის ტოტებისაგან ან ქვებისაგან აკოწიწებენ და ჩალით ან ლერწმით ხურავენ.

ქვეყნის უმდიდრესი წიაღისეული (რკინის მადანი, ფერადი ლითონები, ფოსფატები) საფრანგეთის მონოპოლიებმა ჩაიგდეს ხელში. ხელს უშლიდნენ რა დამმუშავებელი მრეწველობის განვითარებას, კოლონიზატორები ავითარებდნენ მრეწველობის იმ დარგებს, რომლებიც სამრეწველო და სტრატეგიული ნედლეულის მოპოვებასთანაა დაკავშირებული.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ დაიწყო ამერიკისა და ინგლისის მონოპოლიების გაძლიერებული შეჭრა ტუნისში. ეს მონოპოლიები დაინტერესებული იყვნენ ნავთობის ძიებით და ექსპლოატაციით. ამერიკისა და ინგლისის ნავთობის კომპანიებმა შეავიწროეს საფრანგეთის ნავთობმრეწველნი, რომლებიც იძულებული შეიქნენ დაკმაყოფილებულიყვნენ იმით, რომ მათ ხელში რჩებოდა ნავთობის საზოგადოებათა აქციების მხოლოდ ერთი მესამედი.

ტუნისის მუშათა მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა. ისინი დღემდე მათხოვრულ ხელფასს ღებულობენ და მიყრუებულ ადგილებში ცხოვრობენ. ბევრ საწარმოში მუშაობა 14 საათს გრძელდება, ზოგში კი 16—18 საათს.

მოსახლეობის მძიმე მატერიალური მდგომარეობა, სიძვირე, საავადმყოფოებისა და ექიმების უყოლობა ხშირ ეპიდემიებს და პროფესიულ დაავადებებს იწვევს, რის გამოც იქ სიკვდილიანობის მეტად მაღალი პროცენტია.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა ტუნისში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ

მძიმე მდგომარეობიდან გამოსავალს ხალხთა მასები ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში ეძებდნენ. ჩრდილოეთ აფრიკაში მყოფი ფრანგი მუშები ხელს უწყობდნენ ტუნისის პროლეტარიატის დარაზმვას. 1926 წელს ტუნისში შეიქმნა კომუნისტური პარტია, რომელიც ყველა მშრომელის ერთიანი დემოკრატიული ფრონტის შესაქმნელად იბრძოდა. პარტიამ მობილიზაცია უყო ხალხთა მასებს იმპერიალისტური უღლისაგან ქვეყნის განთავისუფლებისათვის საბრძოლველად.

ჩრდილოატლანტიკის პაქტზე ხელის მოწერის შემდეგ ამერიკის სარდლობა შეუდგა ტუნისში აეროდრომების მშენებლობას და ნავსადგურების რეკონსტრუქციას. საუკეთესო სამხედრო-საზღვაო ბაზა ბიზერტა ამერიკელების სრულ კონტროლში გადავიდა. 1951 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საფრანგეთს შორის ხელმოწერილ იქნა შეთანხმება ტუნისში მყოფი საფრანგეთის ყველა შეიარაღებული ძალის ამერიკის სარდლობის კონტროლისათვის დაშორჩილების შესახებ.

ტუნისელი ხალხი განაგრძობდა ბრძოლას თავისი დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. ამ ბრძოლას იგი უკავშირებდა ბრძოლას მშვიდობისათვის, აგრესიის წინააღმდეგ. ქვეყანა საალყო მდგომარეობაში იმყოფებოდა. საფრანგეთის გენერალური რეზიდენტი დიქტატორული რწმენებით იქნა აღჭურვილი.

1950 წლის ზაფხულში სახალხო მღელვარების დიდმა ტალღამ მოიცვა მთელი ტუნისი. მოსახლეობა მოითხოვდა საოკუპაციო რეჟიმის გაუქმებას. ურთიერთობა მოსახლეობასა და საფრანგეთის კოლონიურ ხელისუფალთა შორის მეტად გამწვავდა.

ქვეყნის დაშოშმინების მიზნით 1951 წელს საფრანგეთის მთავრობამ რამდენადმე გაფართოვა ტუნისის მინისტრების უფლებები. მაგრამ ეს არ იყო საკმარისი. ტუნისი მოითხოვდა საფრანგეთის პროტექტორატის მოსპობას და დამოუკიდებლობას. დაიწყო მოლაპარაკება ტუნისისა და კოლონიურ ხელისუფალთა წარმომადგენლებს შორის. მაგრამ ეს მოლაპარაკება წინააღმდეგობას წააწყდა საფრანგეთის მხრივ, რომელმაც სასტიკი უარი განაცხადა პროტექტორატის გაუქმებაზე. 1951 წლის 15 დეკემბერს ტუნისელთა ყველა მოთხოვნა უარყოფილ იქნა.

21 დეკემბერს ტუნისში გამოცხადდა საყოველთაო გაფიცვა, რომელიც სამ დღეს გაგრძელდა. მთელ ტუნისში მიტინგები და დემონსტრაციები მიმდინარეობდა. საფრანგეთის კოლონიურმა ხელისუფლებმა დამსჯელი ჯარები გაგზავნეს ტუნისში. ამ ჯარებს მთელი 1952 წლის განმავლობაში ტერორის ქვეშ ჰყავდა მოსახლეობა. დატუსაღებულ იქნენ კომუნისტური პარტიის ზოგიერთი ხელმძღვანელი მოღვაწენი, აგრეთვე „ნეო-დესტურის“ პარტიის, პროფკავშირებისა და სხვა ეროვნული ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

ტუნისის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მნიშვნელოვან მოვლენად ითვლებოდა ერთიანი ეროვნული ფრონტის შექმნა, რომელშიც შეეიდნენ ქვეყნის ყველა პროგრესული და პატრიოტული ორგანიზაციები: ნეო-დესტური კომუნისტური პარტია, პროფკავშირები, კულტურული და სხვა მასობრივი ორგანიზაციები. ტუნისის წარმომადგენლებმა მიმართეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას თხოვნით — განიხილოს „საფრანგეთ-ტუნისის უთანხმოების“ საკითხი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ არ მიიღო ტუნისელთა თხოვნა.

კოლონიურ ხელისუფალთა რეპრესიები

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მხარდაჭერით გამხნევებულმ. საფრანგეთის მთავრობამ ახალ რეპრესიებს მიმართა. დაიწყო მასობრივი დევნა-შეპყრობა. გაძლიერდა დემოკრატიულ საზოგადოებათა ხელმძღვანელების დაპატიმრება.

საფრანგეთის გენერალური რეზიდენტის დე ოტკლოკის განკარგულებით დაპატიმრებულ იქნა ტუნისის პრემიერ-მინისტრი შენიკი და მისი სამი მინისტრი.

საფრანგეთის ხელისუფალთა მიერ ტერორიზებულმა ტუნისის ბეიმ კაპიტულაცია მოახდინა და პრემიერად დანიშნა საფრანგეთის მომხრე სალახ-ედინ ბაკუში. ამავე დროს ბეიმ უკანვე წაიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საფრანგეთზე შეტანილი საჩივარი.

მაგრამ მასობრივი დემონსტრაციები გრძელდებოდა. განმეორდა საყოველთაო გაფიცვა, რომელმაც მთელი ქვეყანა მოიცვა. კოლონიურმა ხელისუფლებმა ტერორის ახალი აქტებით უპასუხეს დემონსტრანტებს. 1952 წლის 5 დეკემბერს ღამით მოკლეს ტუნისის მშრომელთა საყოველთაო კავშირის ხელმძღვანელი ფარხად ხაშედი. სამი დღის შემდეგ ხელისუფლებმა სიკვდილით დასაჯეს ტუნისის სამი პატრიოტი. ტუნისის პროფესიულმა კავშირებმა ახალი საყოველთაო გაფიცვისაკენ მოუწოდეს ტუნისელებს.

ტუნისელ პატრიოტთა წინააღმდეგ წარმოებულმა მხეცურმა რეპრესიებმა მღელვარება გამოიწვიეს მაროკოში, ალჟირსა და ჩრდილოეთ აფრიკის სხვა ნაწილებში. საფრანგეთის მთავრობამ დამატებით 25 ათასი ჯარისკაცი გაგზავნა თავის კოლონიებში.

ტუნისის საკითხი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში

1952 წელს აზიისა და აფრიკის 11 სახელმწიფომ თხოვნით მიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს განეხილა ტუნისის საკითხი. მიუხედავად კოლონიური სახელმწიფოების წინააღმდეგობისა, ტუნისის საკითხი შეტანილ იქნა გენერალური ასამბლეის მეშვიდე სესიის დღის წესრიგში. მაგრამ კოლონიურმა სახელმწიფოებმა სამი ხმის უმრავლესობით უარყვეს აფრიკის, არაბეთისა და აზიის ქვეყნების მიერ შეტანილი რეზოლუციის პროექტი. გენერალურმა ასამბლეამ მიიღო არაფრისმთქმელი რეზოლუცია, რომელიც მოუწოდებდა ორივე მხარეს მოეწესრიგებინათ თავიანთი ურთიერთობა.

ფრანგმა კოლონიზატორებმა, რათა დაეშოშმინებინათ ქვეყანა, გამოაცხადეს „ადმინისტრაციული რეფორმების" პროექტი და 1953 წლის გაზაფხულისათვის დანიშნეს არჩევნები ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში. მიუხედავად რეპრესიებისა, ტუნისელებმა ბოიკოტი გამოუცხადეს არჩევნებს და მოითხოვეს საფრანგეთის პროტექტორატის გაუქმება და ტუნისისათვის დამოუკიდებლობის მინიჭება.

1953 წ. სექტემბერში საფრანგეთის მთავრობამ უკან გაიწვია გენერალური რეზიდენტი დე ოტკლოკი და მის ნაცვლად ვუაზარი დანიშნა. ამ უკანასკნელმა განმეორა საფრანგეთის მთავრობის წინადადება „რეფორმების" გატარებაზე. მაგრამ ამ შემთხვევაშიც წინადადება უარყოფილ იქნა.

ტუნისის საკითხი არაბთა და აზიის 15 ქვეყნის მოთხოვნით შეტანილ იქნა გენერალური ასამბლეის მერვე სესიის დღის წესრიგში. ამას მხარი დაუჭირეს საბჭოთა კავშირმა და ზოგიერთმა სხვა სახელმწიფომ. მაგრამ კოლონიურმა სახელმწიფოებმა ამჯერადაც ამოიღეს რეზოლუციის პროექტიდან ტუნისის საკითხის სამართლიანად მოგვარების უმნიშვნელოვანესი რეკომენდაციები.

ტუნისის დამოუკიდებლობის ცნობა

1954 წლის ზაფხულში ტუნისში არნახული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობით დაშინებული საფრანგეთის მთავრობა დათანხმდა, რომ ტუნისს მისცემოდა შინაგანი ავტონომია — არმიის, პოლიციისა და საგარეო პოლიტიკის საფრანგეთის ხელში დატოვებით. ძალაში რჩებოდა 1881 წლის ბორდოს ხელშეკრულება პროტექტორატის შესახებ. ტუნისის ხალხი სრულ დამოუკიდებლობას მოითხოვდა.

დარწმუნდა რა იმაში, რომ რეპრესიების პოლიტიკით შეუძლებელია ტუნი-

ხელების დამშვიდება, საფრანგეთის მთავრობამ 1956 წლის 20 მარტს პარიზში ხელი მოაწერა ოქმს ტუნისის დამოუკიდებლობის შესახებ.

25 მარტს ტუნისში ჩატარდა ამ ქვეყნის ისტორიაში პირველი ეროვნული დამფუძნებელი კრების არჩევნები. საარჩევნო უფლება ქალებმაც მიიღეს. შეიქმნა მთავრობა „ნეო-დესტურის" პარტიის ლიდერის ხაბიბ ბურგიბას მეთაურობით. მთავრობა შეუდგა საფრანგეთის კოლონიზატორთა 75 წლის ბატონობის შედეგების ლიკვიდაციას.

სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ და საბჭოთა მთავრობამ თავიანთ მიმართეაში უსურვეს ტუნისელ ხალხს საუკეთესო წარმატებები ეროვნული აღორძინების საქმეში.

1957 წლის 25 ივლისს დამფუძნებელმა კრებამ გადაწყვეტილება მიიღო მონარქიის ლიკვიდაციისა და რესპუბლიკის გამოცხადების შესახებ. რესპუბლიკის პრეზიდენტად ბურგიბა იქნა არჩეული. მეფისა (ბეის) და მისი ოჯახის კუთვნილ ქონებას კონფისკაცია გაუკეთეს.

ამერიკის კოლონიზატორთა ხრიკები ტუნისში

მაგრამ საფრანგეთს დაკინებით არ სურდა თავისი ჯარების გაყვანა ტუნისიდან. ურთიერთობა ორივე ქვეყანას შორის კვლავ გამწვავდა. ხშირად ხდებოდა შეიარაღებული შეტაკებები საფრანგეთის ჯარსა და ტუნისის ეროვნული გვარდიის რაზმებს შორის.

ამერიკის იმპერიალისტებმა გადაწყვიტეს ესარგებლათ საფრანგეთ-ტუნისის კონფლიქტით და თავის აგრესიულ სისტემაში ჩაეთრიათ ტუნისი. ამ მიზნით ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გადაწყვიტეს მხარი დაეჭირათ თავიანთ სასარგებლოდ ბურგიბას პროექტისათვის „ჩრდილოეთ აფრიკის ფედერაციის" შექმნის შესახებ. ეს ფედერაცია უნდა ყოფილიყო ტუნისის, მაროკოს, ალჟირისა და ლიბიის შემადგენლობით და მომავალში ამ სისტემაში უნდა შესულიყვნენ იტალია, საბერძნეთი და კვიპროსი. ამერიკის შეერთებული შტატები ვარაუდობდნენ დაეპირისპირებინათ ასეთი ფედერაცია რიგი არაბული სახელმწიფოებისათვის პირველ რიგში ეგვიპტისათვის და უზრუნველეყოთ თავიანთი ბატონობა არაბთა აღმოსავლეთში და ჩრდილოეთ აფრიკაში.

იტალიის პრესა ავრცელებდა ხმებს იმის შესახებ, რომ ჯერ კიდევ 1957 წლის გაზაფხულზე დადებულ იქნა საიდუმლო შეთანხმება აშშ და ტუნისს შორის ამ უკანასკნელისათვის სესხისა და სხვა სახის „დახმარების" მიცემის შესახებ, რაც გაპირობებული იყო ტუნისის მიერ აშშ-თვის ბიზერტის სამხედრო-საზღვაო ბაზის და ტუნისის ტერიტორიაზე სხვა სტრატეგიული პუნქტების გადაცემით, ამას თან მოჰყვა ტუნისის პრეზიდენტ ბურგიბას მოთხოვნა ბიზერტიდან საფრანგეთის ჯარების გაყვანის შესახებ; შემდეგში ცნობილი გახდა ამერიკის შეერთებული შტატების გადაწყვეტილება ტუნისისათვის იარაღის მიწოდებაზე. 1957 წლის ოქტომბერში შეიქმნა შერეული ამერიკა-ტუნისის საზოგადოება მთამადნეულის ძიებისათვის. გარდა ამისა, ამერიკულმა ნავთობის კომპანია „კონორადამ" კონცესია მიიღო ნავთობის საძიებლად 28 ათასი კვ. კილომეტრის ფართობზე ტუნისის სამხრეთით.

ამჟამად ტუნისელი ხალხის წინაშე დგას სერიოზული ამოცანა—აღკვეთილ იქნეს ამერიკისა და ფრანგ კოლონიზატორთა ცდები, რომ ტუნისი დაუბრუნონ იმპერიალისტთა კოლონიის წინანდელ მდგომარეობას.

მ ა რ ო კ ო

მაროკოს სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა

კოლონიზატორთა ბატონობამ მრავალი წლით შეაფერხა მაროკოს ხალხის ეროვნული ეკონომიკის განვითარება.

უცხოეთის კომპანიებმა ხელში ჩაიგდეს ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრე და სახნავი მიწების საუკეთესო ნაწილი.

უცხოეთის კომპანიების მიერ მიწის მასობრივმა ექსპროპრიაციამ და ექსპლოატაციის ფეოდალურმა და ფეოდალიზმის წინადროინდელმა ფორმებმა გლეხობის არაჩვეულებრივი გაღატაკება და სოფლის მეურნეობის დეგრადაცია გამოიწვიეს. მიწის განაწილების მოთხოვნა უძველესი დროიდან მაროკოს გლეხთა მთავარ მოთხოვნას შეადგენდა.

მაროკოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ცხოვრობს ქოხმახებში. ბავშვთა სიკვდილიანობა 70 პროცენტს აჭარბებს. მთელ მაროკოში მხოლოდ 180 ექიმია. ბავშვების მხოლოდ რვა პროცენტი სწავლობს სკოლაში. მოსახლეობის 80 პროცენტი წერა-კითხვის უცოდინარია.

საშინელ ექსპლოატაციას განიცდიდა მუშათა კლასი. სამუშაო დღის ხანგრძლივობა 10—12 საათამდე აღწევდა. სამუშაო ქირა მეტად დაბალი იყო. ადგილობრივი მუშის ხელფასი ხუთ-ექვსჯერ მცირე იყო იმ ყველაზე დაბალ ხელფასზე, რასაც იღებს მუშა საფრანგეთში.

სიძვირე კატასტროფულად იზრდებოდა. უკანასკნელ ხანებში ფასები ომამდელ დროსთან შედარებით 27-ჯერ გადიდდა. მასობრივი შიმშილობა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. 1937-დან 1945 წლამდე მაროკოში შიმშილისაგან დაიხოცა მილიონზე მეტი ადამიანი.

საფრანგეთის მონოპოლიები ზღაპრულ მოგებას იღებდნენ მაროკოში. საფრანგეთის ფირმამ „სიუკრიერმა", რომელსაც შაქრის მრეწველობის მონოპოლია ჰქონდა, 1947-დან 1951 წლამდე 2,5 მილიარდი ფრანკი მოგება მიიღო.

ერთიანი ეროვნული ანტიიმპერიალისტური ფრონტის შექმნა

აფრიკაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობა იმ ისტორიულ ძვრებთან იყო დაკავშირებული, რომელთაც მსოფლიო ასპარეზზე ადგილი ჰქონდა მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ. სოციალიზმის მსოფლიო სისტემად გადაქცევამ შეამსუბუქა კოლონიურ ხალხთა ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. მრეწველობის განვითარება და საბაზრო ურთიერთობის ზრდა ხელს უწყობდნენ ტომობრივ დაშლას; ცალკეული ტომების გათიშული და სტიქიური გამოსვლა შეცვალა მოწესრიგებულმა საერთო ეროვნულმა ბრძოლამ დამოუკიდებლობისათვის.

ეროვნული ბურჟუაზიის განვითარებისა და ამ უკანასკნელსა და უცხოეთის კაპიტალს შორის წინააღმდეგობის გამწვავების პროცესში გაჩნდნენ ბურჟუაზიული პოლიტიკური ორგანიზაციები. ყველაზე მსხვილ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პარტიად მაროკოში ითვლებოდა „დამოუკიდებლობის დემოკრატიული პარტია" ანუ „ისტიკლალი", რომელიც 1944 წელს შეიქმნა. ეს პარტია იბრძოდა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, უცხოეთის კაპიტალისადმი ქვეყნის ეკონომიკის დამორჩილების წინააღმდეგ, უცხოეთის მონოპოლიების მოძალადეობისა და ჩრდილო-ატლანტიკურ ბლოკში მაროკოს შეყვანის წინააღმდეგ.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის აქტიური მონაწილე იყო მუშათა კლასი, რომელსაც ჰყავს თავისი კომუნისტური პარტია და დიდი პროფკავშირული ორგანიზაცია — შრომის საყოველთაო კონფედერაცია. მუშათა მოძრაობასთან დაკავშირებული იყო გლეხთა მოძრაობა, რაც საერთოეროვნული ანტიიმპერიალისტური და ანტიფეოდალური ბრძოლის ერთიან ნაკადს ქმნიდა. ამგვარად, მაროკოში შეიქმნა ხელსაყრელი პირობები ერთიანი ეროვნული ანტიიმპერიალისტური ფრონტის ჩამოსაყალიბებლად, რომლის მეთაურობით 1955 წელს მოპოვებულ იქნა ეროვნული დამოუკიდებლობა.

მაროკოს სულთანის ბენ-იუსეფის გადაყენება

იმპერიალისტების წინააღმდეგ მაროკოს ხალხის ბრძოლამ გააფთრებული ხასიათი მიიღო მას შემდეგ, რაც მაროკო შეყვანილ იქნა ჩრდილოატლანტიკის სამხედრო სისტემაში. ჯერ კიდევ 1950 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საფრანგეთს შორის ხელმოწერილ იქნა შეთანხმება მაროკოში სამხედრო ბაზების შექმნისა და მაროკოსა და ტუნისში საფრანგეთის მთელი შეიარაღებული ძალების ამერიკის სამხედრო სარდლობის კონტროლისადმი დამორჩილების შესახებ. მაროკოში შეყვანილ იქნა ამერიკელთა 35-ათასიანი არმია და დაიწყო ბაზების მშენებლობა, რომელთა ღირებულება ასეულ მილიონ დოლარს უდრიდა. მაროკოს ტერიტორიაზე სამხედრო ღონისძიებებმა ხალხთა მასების განგაში გამოიწვია. ეროვნული პარტიები და ორგანიზაციები პროტექტორატის შეცვლასა და მაოკუპირებელი ჯარების გაყვანას მოითხოვდნენ. ქვეყნის დასაშოშმინებლად საფრანგეთის ხელისუფლებმა 1953 წელს წამოაყენეს „რეფორმების" პროექტი, მაგრამ იგი უარყოფილ იქნა მაროკოს პოლიტიკური პარტიების მიერ. მაშინ საფრანგეთის ხელისუფლებმა ადგილობრივ ფეოდალებზე და პირველ რიგში ქალაქ მარაკეშის ფაშას ელ-გლაუიზე დაყრდნობით გადააყენეს მაროკოს სულთანი ბენ იუსეფი და გაგზავნეს იგი კუნძულ მადაგასკარზე. სულთნად გამოცხადებულ იქნა მოჰამედ ბენ-არაფი.

კოლონიურ ხელისუფალთა აღვირახსნილობას დიდი აღშფოთებით შეხვდნენ არაბთა სამყაროში. მაროკოს მთელ რიგ ქალაქებში იფეთქა შეიარაღებულმა აჯანყებამ. მაროკოს ქალაქები აივსო საფრანგეთის ჯარებით, დაიწყო საშინელი ანგარიშსწორება. ათასობით ადამიანი დაპატიმრებულ იქნა.

მაროკოს კომუნისტური პარტია აიკრძალა. ახალი სულთანის სასახლეს გაძლიერებული პატრულები იცავდნენ.

მაროკოს მოსახლეობაზე მხეცურმა შურისძიებამ საპროტესტო დემონსტრაციები გამოიწვია არაბთა და აზიის ქვეყნებში. ამ ქვეყნების მთავრობებმა მიმართეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას მოთხოვნით — განეხილა მაროკოში შექმნილი მდგომარეობა.

მაროკოს საკითხი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში

იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა იმ მიზნით, რომ არ დაეშვათ მაროკოს საკითხის განხილვა, წამოაყენეს თეზისი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „არაკომპეტენტურობის" შესახებ მაროკოს საკითხის განხილვაში. ისინი მოითხოვდნენ, რომ საფრანგეთსა და მაროკოს შორის ურთიერთობა მოწესრიგებულიყო არა საერთაშორისო ხელშეკრულებებით, არამედ საფრანგეთის შინაგანი იურისდიქციით.

ეს მოსაზრებები დარღვეულ იქნა საბჭოთა კავშირის, არაბებისა და აზიის ქვეყნების სახელმწიფოების და აგრეთვე რიგ სხვა ქვეყნების წარმომადგენლების მიერ. ასე, მაგალითად, ლიბერიის დელეგატმა კუპერმა, გააკრიტიკა რა აშშ-ის, ინგლისის, საფრანგეთისა და სხვა კოლონიური სახელმწიფოების პოზიცია, მოაგონა, რომ თავის დროზე ეს სახელმწიფოები მოითხოვდნენ განხილულიყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ისეთი საკითხები, როგორიცაა უნგრეულ კარდინალ მინდსტენტის საქმე ან კიდევ სკანდალური საქმე საბჭოთა მოქალაქე ქალებზე, რომლებიც უცხოელებს გაჰყვნენ ცოლად, თუმცა ეს საკითხები წმინდა საშინაო ხასიათს ატარებდნენ.

საბჭოთა კავშირმა გადაჭრით დაუჭირა მხარი არაბთა და აზიის 13 ქვეყნის რეზოლუციის პროექტს, რომელიც უზრუნველყოფდა მაროკოს ხალხის უფლებებს სრულ სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობაზე. მაგრამ კოლონიურ სახელმწიფოთა და მათგან დამოკიდებული ქვეყნების ხმებით გენერალურმა ასამბლეამ უარი განაცხადა ეცნო მაროკოს ხალხის უფლება თვითგამორკვევაზე და მხარი დაუჭირა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ მისი მისწრაფებისათვის.

მოლაპარაკება ეკს-ლე-ბენში

1955 წლის აგვისტოში ქალაქ ეკს-ლე-ბენში (საფრანგეთი) დაიწყო მოლაპარაკება საფრანგეთის მთავრობის დელეგაციასა, რომელსაც პრემიერი ფორი მეთაურობდა, და მაროკოს პოლიტიკურ მოღვაწეებს შორის. მოლაპარაკების საგანს შეადგენდა საკითხი „მაროკოს წარმომადგენლობითი მთავრობის“ შედგენის შესახებ.

მოლაპარაკების შედეგების საფუძველზე საფრანგეთის მინისტრთა საბჭომ დადგენილება მიიღო ბენ-არაფის ჩამოგდებაზე, სატახტო საბჭოს შექმნაზე, მაროკოს „წარმომადგენლობითი მთავრობის“ შექმნაზე, გადასახლების ადგილიდან საფრანგეთში ბენ-იუსეფის გადმოყვანასა და მაროკოში საფრანგეთის გენერალური რეზიდენტის გრანველის მაროკოდან გაყვანაზე. საფრანგეთის პარლამენტმა მოიწონა ეკს-ლე-ბენში მიღწეული შეთანხმება.

მაროკოს დამოუკიდებლობის ცნობა

სულთანი ბენ-იუსეფი 1955 წელს მადაგასკარიდან დაბრუნდა მაროკოში და კვლავ დაიკავა ტახტი. 1956 წლის თებერვალში განახლდა საფრანგეთ-მაროკოს მოლაპარაკება, რომელიც 2 მარტს დამთავრდა ერთობლივ განცხადებაზე ხელის მოწერით. განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ პროტექტორატის შესახებ 1912 წლის ხელშეკრულება უკვე აღარ უპასუხებდა თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნილებებს და მას არ შეეძლო საფრანგეთ-მაროკოს ურთიერთობის მოწესრიგება. „საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობა,— ლაპარაკი იყო განცხადებაში,— საზეიმოდ ადასტურებს მაროკოს დამოუკიდებლობის აღიარებას“. ეს აღიარება გულისხმობდა, რომ ამიერიდან საკანონმდებლო ხელისუფლებას მაროკოში განახორციელებდა სულთანი, მაროკოს ეროვნული არმია და გაატარებდა დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო და საბჭოთა მთავრობა მიესალმნენ საფრანგეთის მთავრობას მაროკოსთან მისი ურთიერთობის მშვიდობიანად მოწესრი-

გების გამო და უსურვეს მაროკოს ხალხს წარმატებები დამოუკიდებელი მაროკოს რესპუბლიკის განმტკიცებისა და აყვავების საქმეში.

1956 წლის აპრილს მადრიდში წარმოებდა მოლაპარაკება მაროკოს სულთანსა და ესპანეთის მთავრობას შორის, რომლის დროსაც განხილულ იქნა მაროკოს ესპანური ზონის სტატუსი. მოლაპარაკების შედეგად ხელმოწერილ იქნა ესპანეთ-მაროკოს ერთობლივი დეკლარაცია, რომელშიც დადასტურებული იყო, რომ 1912 წელს დამყარებული რეჟიმი „არ შეეფერება ახლანდელ რეალურ მდგომარეობას". ამის გამო, ნათქვამი იყო დეკლარაციაში, ესპანეთის მთავრობა ცნობს მაროკოს სახელმწიფოს ტერიტორიული ერთიანობის პრინციპსა და სუვერენიტეტს. მაგრამ ესპანეთს დღემდე არ გაუნთავისუფლებია მაროკოს სამხრეთით ტერიტორია იფნი, სადაც სისხლიან შეტაკებებს აქვს ადგილი მაროკოსა და ესპანეთის ჯარებს შორის. ამავე დროს საფრანგეთის მხრიდანაც გრძელდება მაროკოსთან დადებული შეთანხმების დარღვევა.

ალჟირსავლეთ, ცენტრალურ და სამხრეთ აფრიკის ხალხთა ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის

იმპერიალისტების მცდელობა აფრიკის ბუნებრივ სიმდიდრეთა ხელში ჩასაგდებად

მეორე მსოფლიო ომის დასასრულისათვის აზიისა და აფრიკის კოლონიების მოსახლეობა 750 მილიონ კაცს შეადგენდა; ამჟამად კოლონიებში 150 მილიონი ადამიანი ცხოვრობს, ამათგან აფრიკაში — 130 მილიონამდე. აფრიკის ტერიტორიის ერთ მეოთხედზე მეტი კოლონიური რეჟიმისაგან განთავისუფლებულ ქვეყნებს უჭირავთ. ესენი არიან: არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ეგვიპტის რაიონი, ლიბია, სუდანი, ტუნისი, მაროკო, განა, რომლებმაც დამოუკიდებლობა უკანასკნელ წლებში მოიპოვეს. 1958 წლის სექტემბერში გამოცხადებულ იქნა ალჟირის რესპუბლიკა. 1958 წლის 2 სექტემბერს გვინეის ტერიტორიალური კრების საგანგებო სხდომამ გვინეა დამოუკიდებლად გამოაცხადა. 1959 წელს დამოუკიდებლობა მიიღო კამერუნმა.

იმპერიალისტური სახელმწიფოების კოლონიურ სისტემაში აფრიკის მნიშვნელობა პირველ რიგში წიაღისეულის დიდი მარაგითა და იაფფასიანი მუშახელით განისაზღვრებოდა. აფრიკის ნედლეულის წილი მსოფლიო (სსრ კავშირის გამოკლებით) წარმოებაში შეადგენს: ქრომისა —40 პროცენტს, კობალტისა — 80 პროცენტს, სპილენძისა —27 პროცენტს, მარგანეცისა —36 პროცენტს, ოქროსი —58 პროცენტს, ალმასისა —98 პროცენტს და სხვ. აფრიკის ჰიდროენერგეტიკული რესურსები 650 მილიარდ კილოვატსაათს ან თანამედროვე მსოფლიო გამომუშავების 2/3-ს შეადგენენ.

უკანასკნელ წლებში წიაღისეულის მეტად მდიდარი საბადოები (ნავთობი, რკინა, სპილენძი, ურანი და სხვ.) აღმოჩენილ იქნა საჰარაში.

იმპერიალისტთა ექსპანსია აფრიკაში

მას შემდეგ, რაც საბოლოოდ დაიმსხვრა კოლონიური სისტემა აზიაში, იმპერიალისტებმა თავიანთი ყურადღება მიაპყრეს აფრიკას, როგორც „უკანასკნელ ხაზს". არასოდეს წინათ აფრიკას არ განუცდია კაპიტალის ისეთი მოზღვავება,

როგორსაც ადგილი ჰქონდა უკანასკნელ ათწლეულებში. ამ კაპიტალის მნიშვნელოვანი ნაწილი სამხედრო სტრატეგიულ მშენებლობაზე მიდიოდა (ავიაცია, ავტოსტრადები, რკინიგზები, ნავსადგურები, სამხედრო-საზღვაო ბაზები). გამალებულმა შეიარაღებამ მეტად უარყოფითად იმოქმედა აფრიკის ქვეყნების ეკონომიურ მდგომარეობაზე.

კაპიტალთა დიდ თანხას სამთამადნო მრეწველობაში აბანდებდნენ. მონოპოლისტები ანიავებდნენ „შავი კონტინენტის" ბუნებრივ სიმდიდრეს. გაიზარდა ნავთობის მოპოვება ბელგიის კონგოსა და ჩრდილოეთ როდეზიაში, ქრომის მადნისა — სამხრეთ როდეზიასა და სამხრეთ-აფრიკის კავშირში, მარგანეცისა — ოქროს ნაპირზე. ბელგიის კონგოს შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა ურანისა და ტორიის გატანა სამხრეთ-აფრიკის კავშირიდან და დაიწყო ურანის მადნეულის დამუშავება ჩრდილოეთ როდეზიასა და მოზამბიკში. 1955 წელს აფრიკაში ქვანახშირისა და რკინის მადნის მოპოვება გადიდდა 1937 წელთან შედარებით ორჯერ, სპილენძის მადნისა — ერთნახევარჯერ, თუნუქის მადნისა — 5,7-ჯერ, ტყვიისა —3,6-ჯერ.

უცხოეთის კაპიტალდაბანდებათა ერთი ნაწილი სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში წავიდა. იქმნება ახალი და ფართოვდება არსებული პლანტაციები.

აფრიკის ძარცვამ ჭეშმარიტად საშინელი ხასიათი მიიღო, როდესაც ძარცვის ასპარეზზე ამერიკის შეერთებული შტატები გამოვიდნენ. ძველი კოლონიური სახელმწიფოები თავდაცვით ზომებს ღებულობენ ამერიკის კაპიტალის შემოტევის წინააღმდეგ, რომელიც მიიწევს „შავი კონტინენტისაკენ". ამერიკის კაპიტალისათვის აფრიკა—ესაა, პირველ ყოვლისა, მსოფლიოში ბუნებრივი რესურსების ყველაზე დიდი გამოუყენებელი რეზერვუარი — ურანის, ნავთობის, ქრომის, რკინის, ბოქსიტებისა და სხვ. ამერიკის ალუმინის კომპანიები უკვე ეძებენ ბოქსიტებს განაში და საფრანგეთის გვინეაში, ნავთობის კომპანიები „გალფიილ კორპორეიშნ", „სინკლერ ოილ კორპორეიშნ" და სხვები ნავთობს ეძებენ ლიბიაში, მოზამბიკში, ეთიოპიასა და სომალში; სამთო-სამრეწველო კომპანიები ღებულობენ სპილენძს, მარგანეცს, რკინის მადანს, ქრომს როდეზიიდან, ლიბერიიდან და სამხრეთ-აფრიკის კავშირიდან, ტყვიას — მაროკოდან, ალმასს — კონგოდან და სხვ. ამერიკის კაპიტალი პირველად შეიპრა უგანდაში, მადაგასკარში, საფრანგეთის ეკვატორულ აფრიკაში, ნიგერიაში, სპილოს ძვლის ნაპირში. ამერიკის მონოპოლიები ურანის დიდი რაოდენობის მოპოვებას აწარმოებენ ბელგიის კონგოში. ამერიკის მონოპოლიებმა უკვე დააბანდეს აფრიკაში 1200 მილიონ დოლარზე მეტი თანხა.

იმ მიზნით, რომ გამოეგლიჯა თავისი პარტნიორების ხელიდან აფრიკის ბუნებრივი სიმდიდრე, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა წამოაყენეს თვალთმაქცური „თეორია" აფრიკაში „კოლექტიური" კოლონიალიზმის შესახებ, რომლის არსი მდგომარეობს დასავლეთ ევროპისა და კოლონიური აფრიკის „ეკონომიურ ინტეგრაციაში", „საერთო ევრაფრიკის ბაზრის"—„ევრაფრიკის" შექმნაში. როგორც ცნობილია, ვარაუდობენ შეიყვანონ „ევროპის ეკონომიური საზოგადოების" სისტემაში არა მარტო დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა მეტროპოლიები, არამედ მათი აფრიკის კოლონიებიც. კრძალავს რა ინდივიდუალურ დაფინანსებას, პროექტი ითვალისწინებს ევროპის ინვესტიციონური ბანკის დაარსებას 1 მილიარდი დოლარი კაპიტალით, რომლიდანაც 512 მილიონი დაბანდებულ უნდა იქნეს მხოლოდ საფრანგეთის აფრიკის სამფლობელოებში, პირველ

რიგში საჰარაში, სადაც აღმოჩენილია ნავთობის იმდენი მარაგი, რომელიც არ ჩამოუვარდება ახლო და შუა აღმოსავლეთის მარაგს.

უურადსაღებია ის გარემოება, რომ გერმანიის სახელმწიფო ინვესტიციები საფრანგეთის აფრიკაში იმ თანხას უდრის, რასაც შეადგენს თვით საფრანგეთის კაპიტალდაბანდებანი. ბუნებრივია, რომ აშშ-მა აქტიურად დაუპირეს მხარი დასავლეთ ევროპისა და აფრიკის ეკონომიური გაერთიანების პოლიტიკას, მხედ-ველობაში ჰქონდათ რა განზრახვა — ჩაეთრიათ „ევრაფრიკა“ დასავლეთ გერმა-ნიისა და ინვესტიციების საშუალებით თავიანთ ეკონომიურ და სამხედრო გეგმებში.

რასობრივი დისკრიმინაცია

სასტიკი რასობრივი დისკრიმინაცია — ესაა აფრიკის მშრომელთა კისერზე დადგმული მძიმე უღელი. თანაბარი შრომისათვის აფრიკელი უცხოთის საწარ-მოებში ღებულობს რამდენიმეჯერ ნაკლებს, ვიდრე ევროპელი. უგანდაში აფრი-კელთა ნახევარი თვიურად ღებულობს 50 შილინგზე ნაკლებს, ხოლო ევროპელ-თა სამი მეოთხედი —40 გირვანქა სტერლინგზე მეტს. ჩრდილოეთ როდეზიაში, სპილენძის მაღაროებში, აფრიკელის თვიური საშუალო ხელფასი უდრის 24 დოლარს, ხოლო ევროპელისა —343 დოლარს.

აფრიკელ მუშას კანონი უკრძალავს დატოვოს სამუშაო პატრონის ნება-რთვის გარეშე. მათხოვრული ხელფასი აიძულებს მუშას განუწყვეტლივ ქირა-ზე წავიდეს, მასთან მუშას არ შეუძლია თავისი სურვილით გამოიცვალოს პრო-ფესია. სამხრეთ აფრიკის კავშირში მკვიდრ მოსახლეობას ასახლებენ თავიანთ საცხოვრებლიდან და ერეკებიან რეზერვატებში, რომლებსაც ქვეყნის მთელი ფართობის ერთ მეათედ ნაწილს უთმობენ. რეზერვატებში ჩასახლებულია მთე-ლი მოსახლეობის სამი მეოთხედი. მკვიდრ მოსახლეობას აკრძალული აქვს უძ-რავი ქონების შეძენა რეზერვატების საზღვრებს იქით. „მაწანწალობასთან“ სა-ბრძოლველად გამოცემული კანონი დიდ შესაძლებლობებს იძლევა იმისათვის, რომ სამუშაოდან გაქცეული ადგილობრივი მცხოვრები იძულებითი წესით და-უბრუნდეს მონურ შრომას. სამხრეთ აფრიკაში არსებობს ეგრეთწოდებული „არიეს ჯგუფთა“ აქტი, რომელიც შინაგან საქმეთა მინისტრს უფლებას აძლევს მოსპოს ან გადაასახლოს რასობრივი ჯგუფები. არსებობს, აგრეთვე, „კომუნიზ-მის ჩამხშობი“ აქტები, რომელიც ათი წლით პატიმრობას ითვალისწინებს.

აფრიკელები საარჩევნო უფლებას მოკლებული არიან. სამხრეთ აფრიკის კავშირში ეროვნული კრების 159 სადეპუტატო ადგილზე 9 მილიონ აფრიკელს მხოლოდ სამი დეპუტატის არჩევის უფლება აქვს, ამასთან მათი კანდიდატურა წინასწარ მოწონებული უნდა იყოს მთავრობის მიერ. კენიაში საკანონმდებლო კრების 56 ადგილიდან ზანგების წილად მხოლოდ 8 ადგილი იყო 1957 წლის არჩევნებში. ცენტრალური აფრიკის ფედერაციაში 200 ათასი ევროპელიდან საარჩევნო უფლებით 64 ათასი სარგებლობს, ხოლო 6 მილიონი აფრიკელი-დან — 444 კაცი. კენიის სატახტო ქალაქ ნაირობში აფრიკელებს აკრძალული აქვთ ღამე გამოსვლა ქუჩაში სათანადო საშვის გარეშე, ჯგუფად თავმოყრა 3—4 და მეტ კაცს ერთად, ყავის ან სიზალის მოყვანა, რათა არ დაეცეს ფასები ამ საქონელზე, რესტორანებში, კლუბებში, კინოებსა და სხვა დაწესებულებებ-ში შესვლა, რომლებიც თეთრკანიანებისათვის არსებობენ.

აფრიკის მოსახლეობის ფართო ფენებს წერა-კითხვის შესწავლის საშუა-ლება არა აქვს; ბავშვებს არა აქვთ აგრეთვე საშუალება იარონ დაწყებით და

საშუალო სკოლებში ევროპელ ბავშვებთან ერთად. ბელგიის კონგოში 11 მილიონ მოსახლეობიდან სკოლაში სწავლობს 980 ათასი, ამათგან 925 ათასი სწავლობს ეგრეთწოდებულ „სამისიონერო სკოლებში“, სადაც სწავლა-განათლების საქმე უფრო ბერების ხელშია; ისინი მოსწავლეებს უნერგავენ კოლონიზატორებისადმი სიტყვაშეუბრუნებელ მონურ მორჩილებას.

აფრიკელებს აკრძალული აქვთ თეთრკანიანებისათვის განკუთვნილ სასტუმროში ცხოვრება. მათ შეუძლიათ მხოლოდ ისეთი ავტობუსებითა და მანქანებით მგზავრობა ან ისეთი ლიფტებით სარგებლობა, რომლებიც სპეციალურად „შავკანიანებისათვისაა“ განკუთვნილი. ისინი იძულებული არიან მთელი ოჯახებით ღატაკურად „იცხოვრონ“ ღარიბულ ქოხმახებში.

სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებები აფრიკის კოლონიებში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ

აფრიკის კოლონიებში იმპერიალისტურმა ექსპანსიამ მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა აფრიკის ხალხთა ცხოვრებაში. კოლონიზატორთა მძარცველურმა პოლიტიკამ, ბეგარის სიმძიმემ, იძულებითმა შრომამ, უმიწაწყლობამ და მიწის სიმცირემ გლეხობა, ძირითადი მასა აიძულა თავშესაფარი ქალაქში ეძებნა. იმ ხანებში ქალაქებში სწრაფად ვითარდებოდა სამთო-მომპოვებელი მრეწველობა უცხოეთის კაპიტალის მიერ აფრიკის ბუნებრივი სიმდიდრის ძარცვასთან დაკავშირებით. ერთსაც და მეორესაც არ შეეძლო არ გამოეწვია მუშათა რაოდენობის ზრდა ადგილობრივი მოსახლეობიდან. დაქირავებით მომუშავე აფრიკელთა საერთო რაოდენობამ უკვე გადააჭარბა ათ მილიონ ადამიანს.

იმავე დროს არაჩვეულებრივად იზრდებოდა აფრიკის ქალაქები. ასე, მაგალითად, უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე ლაგოსის (ნიგერია) მოსახლეობა სამჯერ გადიდდა და 250 ათასი შეადგინა; დაკარის მოსახლეობა 300 ათას კაცს შეადგენს; ლეოპოლდვილისა (ბელგიის კონგო)—250 ათასს და ა. შ. ქალაქების მოსახლეობათა საერთო რაოდენობა საჰარის სამხრეთით მდებარე ქვეყნებში 5 მილიონს შეადგენს. მათი უმრავლესობა მუშები, მოსამსახურეები და მათი ოჯახის წევრებია. მართალია ქალაქის მოსახლეობის პროცენტი მთელ მოსახლეობასთან შეფარდებით ჯერ კიდევ არ არის დიდი, მაგრამ აფრიკის მშრომელთა ათი მილიონი უკვე სერიოზულ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენს.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აფრიკა საბოლოოდ გამოვიდა კარჩაკეტილი მდგომარეობიდან. ომიანობის წლებში ასეული ათასი აფრიკელი თავისი ქვეყნის ფარგლებს გარეთ ომობდა, რაც მათთვის დიდ პოლიტიკურ სკოლას წარმოადგენდა. გამოდიოდნენ რა ფაშისტური ბლოკის წინააღმდეგ, ისინი ითვისებდნენ ანტიფაშისტურ იდეებს, რაც დიდი შთამაგონებელი ძალა იყო მათთვის.

ჩინელი ხალხის ისტორიულმა გამარჯვებამ, კორეის, ინდო-ჩინეთის, ინდოეთის, ინდონეზიისა და ბირმის, ხოლო უკანასკნელ წლებში ეგვიპტის, სუდანის, ლიბიის, ტუნისისა და მაროკოს ხალხების მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებამ გადამწყვეტი გავლენა იქონიეს „შავი კონტინენტის“ პოლიტიკურ ვითარებაზე და ჩაბეს მისი მოსახლეობის ფართო მასები ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

აფრიკის ქვეყნებში იქმნებოდა პროფკავშირები. კოლონიზატორები იძულებული იყვნენ შერიგებოდნენ ამას. ამჟამად ცენტრალურ და სამხრეთ აფრიკაში არ არის ისეთი დიდი კოლონია, სადაც არ არსებობდეს პროფკავშირები. მათი ნაწილი საერთაშორისო პროფკავშირულ ორგანიზაციებშია გაერთიანებუ-

ლი. მიუხედავად პოლიტიკური ტერორისა, პროფკავშირები დაჟინებით იბრძოდნენ მუშათა კლასის ინტერესებისათვის და იძულებულს ხდიდნენ მონოპოლისტებს წასულიყვნენ დათმობაზე. მაგალითად, ჩრდილოეთ როდეზიის მაღაროელებმა უკანასკნელ დროს მიაღწიეს ხელფასის გადიდებას 75 პროცენტით.

აფრიკის პროფკავშირები ძალიან ხშირად წარმატებით ატარებენ პოლიტიკურ გაფიცვებს (კენიის მუშების გაფიცვა პროფკავშირთა ხელმძღვანელების დაპატიმრების საპროტესტოდ; ოქროს ნაპირის მუშების გაფიცვა დამოუკიდებლობის ლოზუნგის მხარდასაჭერად; საფრანგეთის დასავლეთის ეკვატორული აფრიკის მუშების გაფიცვა იმ მიზნით, რომ აიძულებინათ საფრანგეთის მთავრობა ძალაში შეეყვანა შრომის კოდექსი და სხვ.).

მეორე მსოფლიო ომამდე ცენტრალურ და სამხრეთ აფრიკის ქვეყნებში არ არსებობდა ეროვნული პოლიტიკური ორგანიზაციები. ასეთი ორგანიზაციები წარმოიშვა ომის შემდეგ; მათ ამოცანად დასახეს ეროვნული განთავისუფლება. ასე, მაგალითად, ნიგერიაში წარმოიშვა ნიგერიის ეროვნული საბჭო, „მოქმედების ჯგუფი", ჩრდილოეთის სახალხო კონგრესი და სხვ., ოქროს ნაპირზე — სახალხო პარტია, მუსულმანთა ლიგა, „გაერთიანებული კონვენცია" და სხვ. ნაციონალური კონგრესები წარმოიშვა ჩრდილოეთ როდეზიისა, სამხრეთ როდეზიისა, ნიასალენდასი, უგანდასი; კენიისა და ტანგანაიკის აფრიკელთა კავშირები; ნაციონალ-იუნიონისტური პარტია და ალ-უმის პარტია ბრიტანეთის აღმოსავლეთ აფრიკაში და სხვ. ეს ორგანიზაციები, სხვადასხვაგვარი იყვნენ თავიანთი ხვედრითი წონითა და მნიშვნელობით და ეროვნული განთავისუფლების პრობლემისადმი თავიანთი დამოკიდებულებით; ამასთან ისინი, თუმცა სხვადასხვა კლასებისა და სოციალური ფენების ინტერესებს გამოხატავდნენ, მაგრამ მასებზე ზეგავლენას ახდენდნენ და მოუწოდებდნენ მათ კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. ზოგიერთი მათგანი კი ერთიანი ეროვნული ფრონტის ორგანიზაციას წარმოადგენდა, რომელიც აერთიანებდა მუშებს, გლეხებს, ეროვნულ ბურჟუაზიასა და ინტელიგენციას.

უმთავრესად ეს ორგანიზაციები ბურჟუაზიულ პარტიებს წარმოადგენდნენ. მათი ხელმძღვანელობა ეროვნული ბურჟუაზიისა და ინტელიგენციის ხელში იყო. ყველა ბურჟუაზიული ორგანიზაცია კი არ ატარებდა პროგრესულ ხასიათს. მაგრამ „შავი აფრიკის" ქვეყნებში ასეთი ორგანიზაციების შექმნის თვით ფაქტიც კი მეტად მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა.

რაც შეეხება კომუნისტურ პარტიას, იგი არ იყო აფრიკის ყველა ქვეყანაში. სადაც კი კომუნისტური პარტიები არსებობდა, იქ ისინი რაზმავდნენ მშრომელებს შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის საბრძოლველად და გამოდიოდნენ ერთიანი ეროვნული ფრონტის შესაქმნელად კოლონიალიზმის წინააღმდეგ.

სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა აფრიკაში მეორე მსოფლიო ომის დროს და მას შემდეგ, მეტყველებენ იმაზე, რომ აფრიკის ხალხებს უკვე აღარ სურთ ძველებურად ცხოვრება, შეუძლებელია, რომ ხუთი მილიონი თეთრკანიანი მართავდეს 193 მილიონ აფრიკელს.

შავი აფრიკის ხალხთა ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის

აფრიკელი ხალხისათვის დიდ უბედურებას წარმოადგენს კოლონიზატორების პოლიტიკა — ხალხების ერთმანეთისადმი დაპირისპირება და ეროვნული, ტომობრივი და რელიგიური შუღლის გაღვივება. ასე, მაგალითად, ინგლისის

კოლონიურმა ხელისუფლებმა თავიანთი ყველაზე დიდი აფრიკული კოლონიის— ნიგერიისათვის, კონსტიტუციას საფუძვლად დაუდეს რელიგიური ნიშანთვისების მიხედვით ხალხთა დაყოფისა და ურთიერთდაპირისპირების იდეა. ერთიანი ნიგერიის ადგილზე ინგლისელებმა შექმნეს ჩრდილოეთ, დასავლეთ და აღმოსავლეთ ნიგერიის ფედერაცია, მხედველობაში ჰქონდათ რა დაესუსტებიათ ამით ნიგერიელთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. აღმოსავლეთ აფრიკაში კი იმ მიზნით, რათა წაესისინებინათ ერთიმეორის წინააღმდეგ აფრიკის ხალხები, ინგლისის ხელისუფლებმა წამოაყენეს სამი ქვეყნის — უგანდის, კენიისა და ტანგანაიკის ფედერაციის შექმნის პროექტი. ცენტრალურ აფრიკაში ინგლისის კოლონიზატორებმა, აფრიკის მოსახლეობის ნებასურვილის საწინააღმდეგოდ, 1953 წელს ერთ ფედერაციად გაერთიანეს ნიასალენდი და ჩრდილო და სამხრეთი როდეზია. გაერთიანება მიზნად ისახავდა ინგლისის ბატონობის განმტკიცებას ცენტრალურ აფრიკაში და უცხოელი მონოპოლიებისათვის უფლების მინიჭებას — განეგრძოთ ბუნებრივ სიმდიდრეთა დატაცება აფრიკის ამ რაიონში, სადაც 7 მილიონ აფრიკელზე 200 ათასი ევროპელი მოდის.

იმ მიზნით, რომ გამოიწვიონ განხეთქილება და მტრობა აფრიკელ ხალხთა შორის, იმპერიალისტები ყოველმხრივ ხელს უშლიან კამერუნის გაერთიანებას. პირველი იმპერიალისტური ომის შემდეგ კამერუნი უკვე დანაწილებულ იქნა ინგლისსა და საფრანგეთს შორის, მაგრამ ფრანგმა კოლონიზატორებმა თავის მხრივ დაანაწილეს კამერუნი კიდევ ოთხ ადმინისტრაციულ ერთეულად. კამერუნის ხალხის მოთხოვნა გაერთიანებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის შესახებ უარყოფილ იქნა 1959 წლის მარტში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ ამ უკანასკნელზე კოლონიურ სახელმწიფოთა დაწოლის შედეგად.

აფრიკის ხალხები იბრძვიან კოლონიზატორთა ხრიკების წინააღმდეგ. ანტიიმპერიალისტური მოძრაობა ვითარდება თანაბრად. ამ მოძრაობის შედეგად დამოუკიდებლობა მიიღო აფრიკის ზოგიერთმა ქვეყანამ. სხვა ქვეყნებში დამოუკიდებლობისათვის ბრძოლამ ფართო გასაქანი მიიღო. პორტუგალიის კოლონიებშიც კი — ანგოლასა და მოზამბიკში, რომლებიც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ წყვდიადით იყვნენ მოცული, კოლონიზატორებს საბრძოლო მზადყოფნაში მოჰყავთ თავიანთი შეიარაღებული ძალები.

უკანასკნელ დროს გაიშალა განმათავისუფლებელი მოძრაობა ბელგიის კონგოში, ნიასალენდსა და როდეზიაში. ამ უკანასკნელ ხანებამდე ბელგიის კონგო კოლონიალიზმის ერთ-ერთ ყველაზე საიმედო საყრდენად ითვლებოდა აფრიკაში. 1948 წელს ბელგიის კონგოში შეიქმნა ასოციაცია „აბაკო", რომელმაც 1956 წელს მოითხოვა ადგილობრივი მოსახლეობისათვის დამოუკიდებლობისა და დემოკრატიული თავისუფლებების უფლებათა მინიჭება. 1958 წელს ჩატარებულ მუნიციპალურ არჩევნებში არჩეული აღმოჩნდნენ „აბაკოს" მომხრეები, კოლონიზატორთა კანდიდატები კი დამარცხდნენ.

1959 წლის დასაწყისში, იმასთან დაკავშირებით, რომ ხელისუფლებმა აკრძალეს „აბაკოს" წევრთა კრება, იფეთქა მშვიდობიანმა დემონსტრაციამ. კოლონიზატორთა ყველაზე უფრო რეაქციულმა წრეებმა მოაწყვეს სისხლიანი ანგარიშსწორება დემონსტრანტებთან. ლეოპოლდვილის აფრიკულ კვარტალებში დახოცილ იქნა 175 კაცი, დაჭრილ იქნა სამჯერ მეტი. მოკლულთა შორის არ იყო არც ერთი ევროპელი. ხელისუფლებმა გასცეს განკარგულება „აბაკოს" ლიკვიდაციის შესახებ. ბელგიის კოლონიზატორთა საქციელმა აფრიკელების

დიდი აღშფოთება გამოიწვია. მოსახლეობამ მოითხოვა დამნაშავეთა სასტიკი დასჯა, ხოლო ქვეყნისათვის დამოუკიდებლობის მინიჭება.

სისხლისმღვრელი შეტაკებები კოლონიურ ხელისუფალთა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის მოხდა ნიასალენდსა და როდეზიაში. ნიასალენდის აფრიკული ეროვნული კონგრესის მოწოდებით მთელ ქვეყანაში მოეწყო სახალხო დემონსტრაციები და მიტინგები, რომლებზეც მოითხოვეს ნიასალენდის გამოსვლა ცენტრალური აფრიკის ფედერაციიდან, საყოველთაო საარჩევნო უფლების შემოღება და ნიასალენდისათვის დამოუკიდებლობის მინიჭება. მაგრამ კოლონიზატორთა ბრძანებით ცეცხლი დაუშინეს დემონსტრანტებს, ამოქმედეს თვითმფრინავები და ტანკები. აფრიკელთაგან ბევრი დახოცეს და დაჭრეს.

აფრიკელებსა და პოლიციას შორის სისხლიან შეტაკებებს ადგილი ჰქონდა ჩრდილოეთ როდეზიაშიც. აფრიკის ნაციონალურ ორგანიზაციათა ლიდერების მასობრივი დატუსაღების საბაბად წამოყენებულ იქნა თეთრების წინააღმდეგ აფრიკელთა „შეთქმულების“ ვერსია. ინგლისის საზოგადოებრიობამაც კი გამოამჟღავნა ამ ვერსიის მთელი სიყალბე. ინგლისის პარლამენტის წევრი ლეიბორისტი ჯონ სტოუნჰაუზი, რომელიც აშკარად გამოვიდა „შეთქმულების“ ვერსიის წინააღმდეგ, უბოდიშოდ იქნა გასახლებული როდეზიიდან ინგლისის ადგილობრივ ხელისუფალთა მიერ.

მოელოდნენ რა სახალხო მღელვარებებს სამხრეთ აფრიკის კაეშირში, ინგლისელებმა საომარ მზადყოფნაში მოიყვანეს შეიარაღებული ძალები და მათ თავი მოუყარეს საზღვრებთან. დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან კენიის, ტოგოს და სხვ. ხალხები.

თუ მეორე მსოფლიო ომამდე კოლონიზატორებს თავიანთ მთავარ საყრდენად აფრიკის კოლონიებში ფეოდალური და ნახევრად ფეოდალური ელემენტები ჰიაჩნდათ, ომის შემდეგ, როდესაც ამ ელემენტებს საკმაოდ გაუტყდათ სახელი, კოლონიური სახელმწიფოები ცდილობენ თავიანთ სოციალურ საყრდენად გამოიყენონ ეროვნული ბურჟუაზია. ბოლო დროს კოლონიზატორები ალაპარაკდნენ კიდევაც იმაზე, რომ საჭიროა „საშუალო კლასებზე“ დაყრდნობა და ამით ხელის შეშლა იმ ძირითადი დემოკრატიული გარდაქმნებისათვის, რომლებსაც კოლონიების მშრომელი მასები მოითხოვენ.

იმპერიალისტთა პოზიციებისათვის დიდ დარტყმას წარმოადგენდა აფრიკის ხალხთა მონაწილეობა ბანდუნგის, კაიროს და აკრას კონფერენციებში, აგრეთვე მეგობრობისა და მშვიდობის იმ კონფერენციაში, რომელიც გაიმართა ტაშკენტში. ვერც პოლიტიკურმა დაბრკოლებებმა, ვერც სიცრუისა და ცილისწამების მთელმა ტალღამ ვერ შესძლეს აზიისა და აფრიკის ხალხთა სოლიდარობის დარღვევა.

აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის კონფერენცია ბანდუნგსა და კაიროში

ხუთი ქვეყნის პრემიერ-მინისტრების თათბირი კოლომბოსა და ბოგორში

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის კრიზისის ერთ-ერთ განმასხვავებელ თვისებას წარმოადგენს აზიისა და აფრიკის ხალხების სოლიდარობის ზრდა და იმის შეგნება, რომ მიუხედავად ამ ქვეყნებ-

ში არსებული საზოგადოებრივი ფორმების განსხვავებისა, მათ აკავშირებთ ინტერესთა ერთობა მშვიდობის საკითხებში და იმპერიალიზმის წინააღმდეგ თავიანთი ეროვნული დამოუკიდებლობისა და ეროვნული ეკონომიკის შექმნისათვის ბრძოლაში.

ბანდუნგის კონფერენციას წინ უსწრებდა ბირმის, ინდოეთის, ინდონეზიის, პაკისტანისა და ცეილონის პრემიერ-მინისტრების 1954 წლის კოლომბოს თათბირი. ამ თათბირზე ხსენებული ქვეყნების პრემიერ-მინისტრებმა გაკიცხეს კოლონიალიზმი, აგრესიული პაქტები, რასობრივი დისკრიმინაცია, აზრი გამოთქვეს საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროებისათვის მხარდასაჭერად და სასურველად სცნეს აზიისა და აფრიკის ქვეყნების კონფერენციის მოწვევა. 1954 წლის დეკემბერს ბოგორში (ინდონეზია) შედგა კოლომბოს თათბირის მონაწილეთა მეორე თათბირი, რომელმაც კონკრეტულად განსაზღვრა კონფერენციის მონაწილეთა სია და საერთო მიზნები. კონფერენციის ადგილად არჩეულ იქნა ბანდუნგი (ინდონეზია), კონფერენციის მოწვევის დროდ დადგენილ იქნა 1955 წლის აპრილი. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ კონფერენციაში, გარდა ხუთი სახელმწიფო-ინიციატორისა, მონაწილეობას მიიღებდა კიდევ 25 სახელმწიფო.

იმპერიალისტური სახელმწიფოების დაბოკიდებულება ბანდუნგის კონფერენციის ბოლოვების საკითხისადმი

მომავალმა კონფერენციამ, რომელსაც უნდა მოეხდინა აზიისა და აფრიკის ქვეყნების ერთიანობის დემონსტრაცია კოლონიალიზმის დაგმობისა და მშვიდობისათვის ბრძოლის საქმეებში, დიდი შეშფოთება გამოიწვია კოლონიურ სახელმწიფოებში. აზიის იმ ქვეყნებს, რომლებიც აგრესიული ბლოკების მონაწილენი არიან, მითითება მიეცათ თავი შეეკავებინათ კონფერენციაში მონაწილეობის მიღებისაგან.

მაგრამ იმპერიალისტებმა მალე შეცვალეს თავიანთი ტაქტიკა. გადაწყდა, რომ აგრესიულ ბლოკებში შემავალი ქვეყნები მონაწილეობას მიიღებდნენ კონფერენციაში და შეეცდებოდნენ კონფერენციის მუშაობა წარემართათ კოლონიური სახელმწიფოების ინტერესების შესაბამისად.

ერთდროულად დივერსიული ხასიათის ზომები იქნა მიღებული. კონტრრევოლუციურმა ორგანიზაციებმა მომავალი კონფერენციის მსვლელობის ჩაშლის მიზნით გამოაცოცხლეს თავიანთი საქმიანობა. ჩანკაიშელთა ბანდებმა მოახდინეს თვითმფრინავ „ქაშმირის პრინცესის“ აფეთქება, რომლის შედეგად დაიღუპნენ ბანდუნგში მიმავალი ჩინელი მოქალაქენი. დასავლეთ იავაში, კერძოდ, ბანდუნგის რაიონში, ამოძრავდნენ დარ-ულ-ისლამის კონტრრევოლუციური ბანდები, რომლებსაც კავშირი ჰქონდათ კოლონიურ სახელმწიფოებთან.

თვითონ კოლონიურმა სახელმწიფოებმა კონფერენციის გახსნას შეუფარდეს აგრესიული ბლოკის სეატოს მონაწილე ქვეყნების თათბირი ბანგკოკში; კოლონიზატორები ამ გზით ცდილობდნენ დაეშინებინათ აზიის ხალხები.

ბანდუნგის კონფერენციის გახსნა და მისი მუშაობა

კონფერენცია ბანდუნგში გაიხსნა 1955 წლის 18 აპრილს. კონფერენციაზე, გარდა ბირმისა, ინდოეთისა, ინდონეზიისა, პაკისტანისა და ცეილონისა, მონაწილეობდა 24 სახელმწიფო: ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, ვიეტნამის დე-

მოკრატიული რესპუბლიკა, ეგვიპტე, საუდის არაბეთი, სირია, ლიბანი, იორდანია, იემენი, სუდანი, ერაყი, აღლანეთი, კამბოჯა, ლაოსი, ნეპალი, ეთიოპია, ოქროს ნაპირი, ირანი, თურქეთი, ფილიპინები, ტაილანდი, იაპონია, ლიბერია, ლიბია, სამხრეთ ვიეტნამი. კონფერენციაზე მონაწილეობა არ მიიღო ცენტრალური აფრიკის ფედერაციამ.

კონფერენცია გახსნა ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა სუკარნომ, რომელმაც თავის გამოსვლაში განაცხადა:

„ჩვენ ხშირად გვეუბნებიან: „კოლონიალიზმი მოკვდა". ამით თავს ნუ მოიტყუებთ ან ნუ ვინუგეშებთ. მე თქვენ გელაპარაკებით, რომ კოლონიალიზმი ჯერ კიდევ არ მომკვდარა. როგორ შეიძლება ვთქვათ, რომ იგი მოკვდა, თუკი აზიისა და აფრიკის ვეება რაიონები განთავისუფლებული არ არის, მე გთხოვთ თქვენ, ნუ წარმოიდგენთ კოლონიალიზმს მხოლოდ კლასიკურ ფორმაში, რომელსაც ჩვენ ვიცნობდით ინდონეზიაში, და ჩვენი ძმები იცნობდნენ აზიისა და აფრიკის სხვადასხვა ნაწილებში. კოლონიალიზმი გამოდის აგრეთვე თანამედროვე სამოსელში — ეკონომიური კონტროლის ფორმაში, სულიერი კონტროლის ფორმაში და უშუალო ფიზიკური კონტროლის ფორმაში, რომელსაც უცხოეთის მცირერიცხოვანი ჯგუფი ახორციელებს სახელმწიფოს შიგნით. კოლონიალიზმი ბოროტი მტერია და იგი ბევრ სახეობაში გვევლინება. იგი ასე ადვილად არ დათმობს თავის ნაყაჩაღარს. სადაც, როდის და რა სახითაც არ უნდა გამოჩნდეს, კოლონიალიზმი — ბოროტებაა და იგი უნდა აღმოიფხვრას".

კონფერენციის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ინდონეზიის პრემიერ-მინისტრი ალი სასტროამიჯოიო. ერთსულოვნად იქნა დამტკიცებული კონფერენციის დღის წესრიგი, შემდეგი საკითხებით: ეკონომიური თანამშრომლობა, კულტურული თანამშრომლობა, ადამიანის უფლებები და უფლება თვითგამორკვევაზე. დამოკიდებულ ხალხთა პრობლემა, მშვიდობის უზრუნველყოფა მთელ მსოფლიოში და თანამშრომლობა.

დელეგაციები მაღალ დონეზე იყვნენ წარმოდგენილი. დელეგაციებს უმრავლესობათა სათავეში იდგნენ პრემიერ-მინისტრები ან საგარეო საქმეთა მინისტრები, ან კიდევ გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწენი.

კონფერენციის წარმატებით მსვლელობაში უდიდესი როლი შეასრულა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციამ, რომელმაც თანამედროვე მდგომარეობის ღრმა გაგება და განსაკუთრებული ტაქტი გამოაჩინა; ამან კი ხელი შეუწყო მას წამოეყენებინა პირველ რიგზე ის საკითხები, რომლებიც უზრუნველყოფდა კონფერენციის ყველა მონაწილეთა თანამშრომლობას და თავიდან აიცილებდა წარმოდგენილი ქვეყნების პოლიტიკურ სისტემებსა და იდეოლოგიური განსხვავებიდან გამომდინარე მოსალოდნელ დავას. ეს არც ისე ადვილი იყო, ვინაიდან ქვეყნების ერთ ჯგუფს კომუნისტური პარტიები წარმოადგენდნენ, მეორეს, უფრო მრავალრიცხოვანს,— ბურჟუაზიული ნაციონალისტები. ყველა ქვეყნის საერთო ინტერესი იყო კოლონიალიზმის, როგორც კაცობრიობის ყველაზე სამარცხვინო მოვლენის, ლიკვიდაცია, ეროვნული სახელმწიფოებრიობისა და ეროვნული ეკონომიკის განმტკიცება და მშვიდობიანი თანაარსებობა. ამიტომაც ჩინეთის დელეგატმა არ დასცა კონფერენციის განსახილველად ისეთი აქტუალური, ჩინელი ხალხის ინტერესებთან დაკავშირებული საკითხებიც კი. როგორიცაა ტაივანის განთავისუფლება და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერი უფლებების ცნობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

აზიისა და აფრიკის ქვეყნების უმრავლესობის ერთიანობის ფონზე უცნაურად გაისმა თურქეთისა და პროამერიკული ბანაკის რამდენიმე ქვეყნის დელეგატების გამოსვლები. თურქეთის დელეგატი შეეცადა კონფერენცია აეცდინა ძირითად საკითხზე — მშვიდობიანი თანაარსებობის საკითხზე მსჯელობისაგან და დისკუსია გამოეწვია პროამერიკული პროპაგანდის „თავისუფალი“ და „არათავისუფალი“ ხალხების საკითხის ირგვლივ და უთანხმოება ჩამოეგდო კონფერენციის მონაწილეთა შორის.

ფილიპინების დელეგატმა, რომელიც ამერიკული „ძალის პოზიციის“ პოლიტიკის ტრუბადურად გამოდიოდა, დაგმო ხალხის ბრძოლა პოლიტიკური და ეკონომიური დამოუკიდებლობისათვის და ბოროტად გაილაშქრა დემოკრატიული ქვეყნების ბანაკის წინააღმდეგ. პროამერიკულ ხაზს ატარებდნენ ბანდუნგის კონფერენციაზე ერაყისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის დელეგატები.

ბანდუნგის კონფერენციის გადაწყვეტილებები

დასკვნით კომუნიკეში ლაპარაკი იყო იმაზე, რომ კონფერენციამ „განიხილა აზიისა და აფრიკის ქვეყნების საერთო პრობლემები და იმსჯელა იმ გზებსა და მეთოდებზე, რომელთა დახმარებით ამ ქვეყნების ხალხები შეძლებენ უზრუნველყონ უფრო სრული ეკონომიური, კულტურული და პოლიტიკური თანამშრომლობა“. დღის წესრიგის ყველა საკითხზე მიღებულ იქნა შეთანხმებული გადაწყვეტილებები.

კონფერენციამ აზრი გამოთქვა აზიისა და აფრიკის ქვეყნებს შორის ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობის სასარგებლოდ და იმავე დროს სასტიკად გაკიცხა კოლონიზატორების მიერ ტუნისის, ალჟირის, მაროკოსა და აფრიკის კონტინენტის სხვა ქვეყნების ხალხთა კულტურისა და ენის დევნის ფაქტები, რასობრივი დისკრიმინაცია და ადგილობრივი მოსახლეობის უფლებათა უხეშად გათელვა.

გამოაცხადა რა კოლონიალიზმი ბოროტებად, ხოლო ერთი ხალხის მიერ მეორის ჩაგერა და ექსპლოატაცია — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით გათვალისწინებულ ადამიანის ძირითად უფლებათა უარყოფად, კონფერენციამ განაცხადა, რომ იგი მხარს უჭერს ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის საქმეს; მან მოუწოდა დაინტერესებულ ქვეყნებს, რომ მიანიჭონ თავისუფლება და დამოუკიდებლობა ასეთ ხალხებს. ეს პირველ ყოვლისა ეხებოდა საფრანგეთის მთავრობას, რომელსაც კონფერენციამ მიმართა მოწოდებით მშვიდობიანი გზით მოეწესრიგებია ალჟირის, მაროკოსა და ტუნისის საკითხები.

პალესტინაში შექმნილი მდგომარეობით გამოწვეულ შუა აღმოსავლეთში არსებულ დაძაბულობასთან დაკავშირებით კონფერენციამ მხარი დაუჭირა პალესტინის არაბთა მოსახლეობის უფლებებს, აგრეთვე ინდონეზიის უფლებებს დასავლეთ ირიანის საკითხში; ასევე მხარი დაუჭირა იემენის პოზიციას ადენისა და იემენის სამხრეთ ნაწილების შესახებ, რომლებიც ცნობილია როგორც „პროტექტორატები“.

კონფერენციამ მიიღო მიმართება უშიშროების საბჭოსადმი თხოვნით მხარი დაუჭიროს კამბოჯის, ცეილონის, იაპონიის, იორდანიის, ლაოსის, ლიბიის, ნეპალსა და გაერთიანებული ვიეტნამის მიღებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. გამოთქმული იყო აგრეთვე სურვილი იმის შესახებ, რომ უშიშროების საბჭოს არამუდმივი წევრების ადგილების განაწილებისას უფრო სწორად

ყოფილიყო დაცული გეოგრაფიული პრინციპი აზიისა და აფრიკის ქვეყნების წარმომადგენლობის მიმართ.

კონფერენციამ გადაჭრით დაგმო ატომისა და თერმოატომგულის იარაღი და მოითხოვა ამ იარაღის აკრძალვა.

საყოველთაო მშვიდობისა და თანამშრომლობისადმი ხელისშეწყობის შესახებ მიღებულ დეკლარაციაში გათვალისწინებული იყო ადამიანის ძირითადი უფლებებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებისა და პრინციპების პატივისცემა; ყველა ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა; ყველა რასის, ყველა ერის — დიდისა და პატარის — თანასწორობის აღიარება; ინტერვენციისა და სხვა ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევისაგან თავშეკავება; ინდივიდუალურ ან კოლექტიურ თავდაცვაზე თითოეული ქვეყნის უფლების პატივისცემა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად; რომელიმე დიდი სახელმწიფოს მიერ კერძო ინტერესების მიზნით კოლექტიურ უშიშროებაზე არსებული შეთანხმების გამოყენებისაგან თავის შეკავება; სხვა ქვეყნებზე ზეგავლენის მოხდენისაგან თავის შეკავება; ყოველი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ აქტების ან აგრესიით მუქარის, ან ძალის გამოყენებისაგან თავის შეკავება; ყველა საერთაშორისო დავის მოწესრიგება მშვიდობიანი საშუალებებით, როგორიცაა: მოლაპარაკება, შერიგება, არბიტრაჟი ან იურიდიული მოწესრიგება და სხვა სამშვიდობო საშუალებები მხარეთა შერჩევით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად; სამართლიანობისა და საერთაშორისო ვალდებულებებისადმი პატივისცემა[1].

ბანდუნგის კონფერენციის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა, რომლებმაც მაღლა ასწიეს კოლონიალიზმისაგან განთავისუფლებულ ხალხთა როლი კაცობრიობის ბედის გადაჭრაში, სწორად განსაზღვრეს ამ ხალხების შემდგომი ბრძოლის გზები. გაიზარდა ინდოეთის როლი, როგორც დიდი სახელმწიფოსი, რომელიც იბრძვის საყოველთაო მშვიდობისა და სუსტად განვითარებული ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიური დამოუკიდებლობისათვის. ინდონეზიის რესპუბლიკამ მედგარი წინააღმდეგობა გაუწია გარეშე და შინაური რეაქციის ძალებს და გააუქმა არათანასწორუფლებიანი კავშირი ჰოლანდიასთან. არაბთა სახელმწიფოებმა კატეგორიულად უარყვეს დასავლეთის სახელმწიფოთა ცდები ჩაეთრიათ ისინი აგრესიულ ბლოკში; ეგვიპტემ და სირიამ მამაცობა გამოიჩინეს თავიანთი სუვერენული უფლებების დაცვაში; შეიქმნა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა, ერაყის რესპუბლიკა, ალჟირის რესპუბლიკა, დამოუკიდებლობა მოიპოვეს მაროკომ, ტუნისმა, განამ, გვინეამ.

აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის კონფერენცია კაიროში

ბანდუნგის გადაწყვეტილებებმა საფუძველი ჩაუყარეს აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის კონფერენციას, რომელიც კაიროში გაიხსნა 1957 წლის დეკემბერში. კონფერენციის მოწვევის მოსამზადებელ კომიტეტში შეევიდნენ ბანდუნგის კონფერენციის მონაწილე ქვეყნები, აგრეთვე აზიისა და აფრიკის რიგი სხვა ქვეყნები, მათ შორის განა, ტუნისი, ლიბერია, ტაილანდი;

---

[1] Е. Жуков, Конференция стран Азии и Африки в Бандунге и ее историческое значение, „Международная жизнь", № 5, 1955, გვ. 31—32.

მალაია, უგანდა, სომალი და ნიგერია. თუკი ბანდუნგის კონფერენციაში მონაწილეობდა აზიისა და აფრიკის 29 ქვეყნის ოფიციალური წარმომადგენელი, კაიროს კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს 45 ქვეყნის ფართო საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა, რომელთა მოსახლეობა მთელი კაცობრიობის ნახევარზე მეტს შეადგენს.

სოლიდარობის კონფერენციის მოწვევის შესახებ აზიისა და აფრიკის ხალხებისადმი მოსამზადებელი კომიტეტის მიმართვაში აღნიშნული იყო, რომ საერთაშორისო მდგომარეობა კვლავ დაძაბულია, ხოლო სახელმწიფოების საშინაო საქმეებში უცხოეთის ჩარევა კვლავ საშიშროების ქვეშ აყენებს აზიისა და აფრიკის ბევრი ქვეყნის ეროვნულ დამოუკიდებლობასა და მთლიანობას.

მოსამზადებელი კომიტეტი განსაკუთრებით ხაზს უსვამდა, რომ აზიისა და აფრიკის ხალხებმა „ახლა მოიპოვეს თავიანთი უფლებები და ისინი უკვე აღარ იქნებიან უმწეო მეთვალყურენი თავიანთი ბედის გადაწყვეტისას. ისინი მზად არიან აქტიური მონაწილეობა მიიღონ ყველა იმ პრობლემის გადაჭრაში, რომლებიც წამოიჭრება კაცობრიობის წინაშე, განსაკუთრებით იმ პრობლემის გადაჭრაში, რომელსაც მათთვისვე უშუალო და სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. აზიისა და აფრიკის ხალხები ახალი ცხოვრებით, ახალი მისწრაფებებითა და იმედებით ცხოვრობენ. ბანდუნგის სულისკვეთება ფაქტიურად ჩვენი სოლიდარობის ქარტია გახდა, იგი მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ფრიად საყურადღებო ფაქტორია...“.

მოსამზადებელმა კომიტეტმა მიიღო კონფერენციის შემდეგი დღის წესრიგი:

თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის მიმოხილვა და მისი გავლენა აზიისა და აფრიკის ქვეყნების ხალხებზე;

იმპერიალიზმი და ხალხთა უფლებებისადმი მხარდაჭერა სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის საქმეში;

ომი ალჟირში;

ატომგულის იარაღის გამოყენებისა და გამოცდის აკრძალვა;

რასობრივი დისკრიმინაცია;

ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის გაძლიერება აზიისა და აფრიკის ხალხებს შორის;

კულტურული გაცვლის გაფართოება აზიისა და აფრიკის ქვეყნებს შორის;

სხვა საკითხები, რომლებსაც დელეგატები წამოაყენებენ.

კაიროს კონფერენციამ უდიდესი ნაბიჯი გადადგა ბანდუნგის სულისკვეთების გამარჯვების გზაზე. იგი კოლონიალიზმის წინააღმდეგ მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის ბრძოლაში აზიისა და აფრიკის ხალხთა ერთიანობის მძლავრ დემონსტრაციად გადაიქცა. ერთსულოვნად მოწონებულ დეკლარაციაში კაიროს კონფერენციის მონაწილეებმა განაცხადეს ბანდუნგის პრინციპებისადმი მხარდაჭერის შესახებ, რომლებიც „საერთაშორისო ურთიერთობის საფუძვლად უნდა დარჩეს“. ყველა სახელმწიფოს მიერ ამ პრინციპების მიღება,—ნაჩვენები იყო დეკლარაციაში, — ხელს შეუწყობს თანამედროვე საზოგადოებრივი დაძაბულობის შენელებას.

კაიროს კონფერენციის ყველა დანარჩენი დოკუმენტი მის მნიშვნელობაზე მეტყველებს. ესენია — მიმართვა აშშ, სსრ კავშირისა და ინგლისის მთავრობე-

ბისადმი, მიმართვა მთელი მსოფლიოს მეცნიერებისადმი, რეზოლუცია განიარაღებისა და ატომური ომის საშინელების აცილებაზე, რეზოლუცია ეკონომიურ და ტექნიკურ თანამშრომლობაზე, აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოციალურ განვითარებაზე, კულტურულ კავშირებსა და თანამშრომლობაზე, რასობრივ დისკრიმინაციაზე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შესახებ, ალჟირისა და პალესტინის საკითხებზე. ყველა ეს დოკუმენტი წარმოადგენდა ბანდუნგის გადაწყვეტილებათა განვითარებას იმ საერთაშორისო მდგომარეობის შუქზე, რომელიც არსებობდა კაიროს კონფერენციის დროს. ისინი აზიისა და აფრიკის ქვეყნების ეროვნული დამოუკიდებლობის დაცვისა და ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის ინტერესებიდან გამომდინარეობდნენ.

კონფერენციამ აირჩია აზიისა და აფრიკის ხალხთა სოლიდარობის საბჭო და სოლიდარობის საბჭოს მუდმივი სამდივნო.

ი რ ა ნ ი

ირანი მეორე მსოფლიო ომის დროს. აშშ-ის შეჭრა ირანში

მეორე მსოფლიო ომის დასაწყისისათვის ირანი ნახევრად კოლონიურ ჩამორჩენილ აგრარულ ქვეყანას წარმოადგენდა, სადაც უცხოეთის კაპიტალის ბატონობა ფეოდალიზმის საგრძნობ გადანაშთებთან იყო შეხამებული. დასამუშავებელი მიწის 96 პროცენტი მემამულეებს, სახელმწიფოსა და ეკლესიას ეკუთვნოდა და მხოლოდ 4 პროცენტი იყო გლეხობის ხელში. გლეხთა ძირითადი მასა მემამულეთა მიწაზე მუშაობდა საზიაროდ და იძულებული იყო მოსავლის საგრძნობი ნაწილი მიწის მფლობელთათვის მიეცა. სიღარიბე, შიმშილი, ავადმყოფობა ბატონობდა ირანის სოფელში.

სუსტად განვითარებულ სამამულო მრეწველობას არ შეეძლო სამუშაოთი დაეკმაყოფილებინა გაპარტახებულ გლეხთა დიდი მასა, რომელმაც ქალაქს მიაშურა. ის მუშები კი, რომლებიც უკვე მუშაობდნენ საწარმოებში, განსაკუთრებით ინგლის-ირანის ნავთობის კომპანიის საწარმოთა მუშები, მეტად მძიმე მდგომარეობაში იყვნენ. მცირე ხელფასი, 12—16-საათიანი სამუშაო დღე, შრომის კანონმდებლობისა და საექიმო დახმარების უქონლობა, პროფკავშირთა დევნა — ასეთი იყო ირანის მდგომარეობის ტიპიური სურათი.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ყოველგვარი გამოვლინება სასტიკად ისჯებოდა ირანის მთავრობის მიერ. იმავე დროს კი მთავრობა ურიგდებოდა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ბატონ-პატრონობას. მეორე მსოფლიო ომის წინ ირანზე დიდი გავლენა ჰქონდა ფაშისტურ გერმანიას, რომელიც ემზადებოდა პლაცდარმად გადაექცია ირანი საბჭოთა ამიერკავკასიისა და შუა აზიაზე თავდასასხმელად, აგრეთვე ავღანეთსა და ინდოეთში შესაღწევად.

ირანის მთავრობის მეთაურის რეზა-შაჰის პროფაშისტურმა პოლიტიკამ აიძულა საბჭოთა კავშირი, მას შემდეგ, რაც გერმანიამ თავდასხმა მოახდინა საბჭოთა კავშირზე, და მთელი რიგი გაფრთხილებების შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირმა მისცა ირანის მთავრობას, შეეყვანა ირანში თავისი ჯარები. საბჭოთა ჯარების შეყვანას ირანში სსრ კავშირის თავდაცვის მიზანი ჰქონდა და იგი გამომდინარეობდა 1921 წლის საბჭოთა კავშირ-ირანის ხელშეკრულებიდან. დასავლეთიდან და სამხრეთიდან ირანის ტერიტორიაზე შეიჭრნენ ინგლისის ჯარები. გერმანიიდან სამხედრო დახმარების მიღებით დაიმედებულმა რეზა-შაჰმა უბრძანა თავის ჯარებს წინააღმდეგობა გაეწიათ საბჭოთა და ინგლისის ჯარებისათვის. მაგრამ გერმანიის ჯარებმა იარაღი დაყარეს და დატოვეს ირანი.

1941 წლის აგვისტოში ირანში შეიქმნა ალი ფორუგის მთავრობა, რომელმაც მიიღო საბჭოთა კავშირის წინადადება ირანიდან ჰიტლერელი აგენტებისა და დიპლომატების გაძევების შესახებ. რეზა-შაჰი, რომელსაც არ სურდა კავში-

რი გაეწყვიტა ფაშისტებთან, ირანის საზოგადოებრიობის მოთხოვნით უნდა გადამდგარიყო ტახტიდან. ირანის საზოგადოებრიობა მოითხოვდა დემოკრატიულ რეფორმებს, სსრ კავშირთან და მის მოკავშირეებთან მეგობრული ურთიერთობის დამყარებას და ფაშისტური გერმანიისათვის ომის გამოცხადებას. 1941 წლის შემოდგომაზე ირანში შეიქმნა სახალხო პარტია, რომელმაც გაერთიანა პროგრესული პროფესიული კავშირები და დემოკრატიული ორგანიზაციები.

1942 წლის იანვარში საბჭოთა კავშირს, ინგლისსა და ირანს შორის დადებულ იქნა ხელშეკრულება, რომლითაც სსრ კავშირი და ინგლისი ვალდებულებას კისრულობდნენ დაეცვათ ირანი გერმანიის ან სხვა რომელიმე სახელმწიფოს აგრესიისაგან და მტკიცედ უზრუნველეყოთ ირანის მთლიანობა, სუვერენიტეტი და პოლიტიკური დამოუკიდებლობა. ხელშეკრულება ითვალისწინებდა, რომ არა უგვიანეს 6 თვისა ომის დამთავრების შემდეგ საბჭოთა და ინგლისის ჯარები გაყვანილი იქნებოდნენ ირანიდან.

მეორე მსოფლიო ომის წლებში მიმდინარეობდა ამერიკის შეერთებული შტატების გაძლიერებული შეჭრა ირანში. ირანის მთავრობის მეშვეობით, რომელსაც ამერიკელ იმპერიალისტებთან ძველი კავშირის მქონე კავამ ეს-სალტანე ჰეთაურობდა, აშშ შეუდგნენ საკვანძო პოზიციების ხელში ჩაგდებას. ირანში ჩამოვიდა ამერიკელთა საფინანსო მისია 70 სპეციალისტის შემადგენლობით, რომელსაც ცნობილი ფინანსისტი მილსპო ედგა სათავეში. მისიას ირანის ფინანსების გამგებლობის განსაკუთრებული უფლებები მიენიჭა. 1943 წელს დემოკრატიულ მოძრაობასთან ბრძოლის მიზნით დაიდო ფარული შეთანხმება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ირანის მთავრობას შორის ირანის ჟანდარმერიაში სამსახურის გასაწევად ამერიკული ოფიცრების დაქირავების შესახებ. ირანის ჟანდარმერიის სათავეში ჩადგა ამერიკელი პოლკოვნიკი შვარც-კოპფი.

განსაკუთრებით გაძლიერდა ამერიკული საქონლის შემოზიდვა ირანში, რის გამოც დაეცა ეროვნული მრეწველობა, რომელმაც ასეული მილიონი რეალის ზარალი განიცადა. ირანში გამეფებული სპეკულაციისა და აჟიოტაჟის გარემოებაში ამერიკის მოციქულებმა ირანში — ჰუვერმა და კერტისმა თავიანთ მხარეზე გადაიბირეს ირანის პრემიერი საადი, რომელმაც კავამი შესცვალა, და დაიყოლიეს იგი — გადაეცა ამერიკისათვის ირანის ჩრდილო ნაწილში მდებარე ნავთობის კონცესიები, რომლებიც მანამდე მეფის რუსეთს ეკუთვნოდა და საბჭოთა მთავრობის მიერ 1921 წლის ხელშეკრულებით დაუბრუნდა ირანს. აღნიშნული ხელშეკრულების პირობების ძალით ეს კონცესია არ უნდა გადასცემოდა მესამე სახელმწიფოს საბჭოთა მთავრობის თანხმობის გარეშე.

დემოკრატიული მოძრაობა ირანის აზერბაიჯანში. მილსპოსის ანტივნები და ეროვნული მთავრობის შექმნა

აშშ-ის აგრესიულმა საქმიანობამ დიდი შეშფოთება გამოიწვია ირანის ბალხში. ირანის მთავრობამ სასწრაფოდ გაუქმა მილსპოსთან დადებული ხელშეკრულება. მილსპო იძულებული შეიქნა 20-თვიანი „მოღვაწეობის“ შემდეგ დაეტოვებია ირანი. დემოკრატიული მოძრაობა განსაკუთრებით ფართო იყო ირანის აზერბაიჯანში, სადაც 1945 წლის ზაფხულში შეიქმნა დემოკრატიული პარტია.

დემოკრატიული მოძრაობა ირანის აზერბაიჯანში დაიწყო ჯერ კიდევ 1941 წელს. დემოკრატიული პარტიის პირველი ყრილობა შედგა 1945 წლის ოქტომ-

ბერში. დემოკრატიულ პარტიაში შეეიდნენ ირანის სახალხო პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის წევრები. დემოკრატიულმა პარტიამ მოითხოვა ირანის აზერბაიჯანის ავტონომია ირანის სახელმწიფოს ჩარჩოებში, ირანის მეჯლისში დეპუტატთა მანდატების ერთი მესამედის მიცემა ირანის აზერბაიჯანისათვის, მოსახლეობის საჭიროებისათვის ადგილობრივი გადასახადებიდან შემოსავლის ნახევრის გადაცემა და დაწყებით სკოლებში მშობლიურ ენაზე სწავლება. ამასთან ერთად დემოკრატიულმა პარტიამ ამოცანად დასახა ირანის აზერბაიჯანში აგრარული რეფორმის გატარება.

1945 წ. 20 ნოემბერს თავრიზში შედგა ირანის აზერბაიჯანის დამფუძნებელი ყრილობა, რომელმაც დაამტკიცა დემოკრატიული საარჩევნო კანონის პროექტი. ამის შემდეგ ჩატარდა არჩევნები აზერბაიჯანის ეროვნულ მეჯლისში, რომელიც 1945 წლის 12 დეკემბერს გაიხსნა. მეჯლისმა გააფორმა ეროვნული მთავრობა.

1946 წლის 16 თებერვალს აზერბაიჯანის მეჯლისმა დადგენილება მიიღო აგრარული რეფორმის შესახებ, რომელიც გლეხებს შორის სახელმწიფო მამულების დაყოფას ითვალისწინებდა. დამტკიცებულ იქნა აგრეთვე კანონი იმ პირების მოძრავი და უძრავი ქონების კონფისკაციის შესახებ, რომლებმაც დატოვეს ირანის აზერბაიჯანი და მტრულ საქმიანობას ეწეოდნენ მის წინააღმდეგ. ერთმა მილიონმა გლეხმა მიიღო მიწა. შეზღუდულ იქნა გლეხთა ექსპლოატაცია და შემცირდა საიჯარო ქირა. გლეხთა მატერიალური მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა.

ირანის აზერბაიჯანის დემოკრატიული მოძრაობის აღმავლობა მთელ ირანს მოედო. გაფიცვებმა აიძულეს ირანის მთავრობა გაეტარებინა 8-საათიანი სამუშაო დღის, ყოველკვირეული გამოსასვლელი დღის, ხელფასის შენარჩუნებით შვებულების და სხვა კანონები.

დემოკრატიული მოძრაობა გაიშალა ქურთისტანშიც, სადაც ჩამოყალიბდა ქურთთა დემოკრატიული პარტია; იგი ირანის აზერბაიჯანის დემოკრატიულ ორგანიზაციების ერთიან ფრონტს მიემხრო.

დემოკრატიული ძალების ალაგმვის მიზნით რეაქციამ სათანადო ღონისძიება გაატარა. მთავრობას 1946 წელს სათავეში ჩაუდგა დიდი დემაგოგი და გაიძვერა პოლიტიკოსი კავამ ეს-სალტანე. კავამ ეს-სალტანემ ხელი მოაწერა საბჭოთა მთავრობასთან შეთანხმებას ნავთობის საბჭოთა კავშირ-ირანის შერეული საზოგადოების დაარსების შესახებ და თანხმობა განაცხადა ავტონომიური აზერბაიჯანის ცნობის შესახებ. 1946 წლის 13 ივნისს სათანადო შეთანხმება იქნა ხელმოწერილი ირანსა და აზერბაიჯანის ავტონომიურ მთავრობას შორის. 1946 წლის აგვისტოში კავამმა ჩაატარა ირანის მთავრობის რეორგანიზაცია და მასში 1941 წლის შემოდგომაზე შექმნილი პროგრესული სახალხო პარტიის სამი წარმომადგენელი შეიყვანა.

ირანის აზერბაიჯანის დემოკრატიულ ძალთა განადგურება

მაგრამ იმავე 1946 წლის ზაფხულის მიწურულს, როდესაც სამხრეთში იფეთქა ინგლისელთა მიერ პროვოცირებულმა კაშკაელთა ტომის აჯანყებამ, კავამ ეს-სალტანე აშკარად რეაქციული რეპრესიების გზას დაადგა. გამოიყენა რა აჯანყება საბაბად, მან ბრალი დასდო ნავთობის სარეწაოთა გაფიცულ მუშებს „უწესრიგობაში“ და შეუდგა დემოკრატიული ორგანიზაციების დარბე-

ვას. მთავრობის დაწესებულებებიდან განდევნილ იქნენ სახალხო პარტიის წევრები. დაიწყო რეპრესიები პროფესიული კავშირების წინააღმდეგ. ირანის აზერბაიჯანში შეიქმნა მთავრობის ჯარი. დემოკრატიული ორგანიზაციები დარბეულ იქნენ. 3 თვეს მიმდინარეობდა უთანაბრო ბრძოლა და ამ ხნის განმავლობაში მოკლულ იქნა 14 ათასი კაცი. ასეთივე ზომებით იქნა ჩახშობილი დემოკრატიული მოძრაობა ქურთისტანში. კავამ ეს-სალტანეს მთავრობამ გააუქმა აზერბაიჯანის მთავრობის მიერ გამოცემული ყველა დეკრეტი. მიწა ჩამოერთვა გლეხებს და დაუბრუნდა მემამულეებს.

მიუხედავად მთავრობის სასტიკი ზომებისა, გლეხთა მოძრაობამ მთელი ქვეყანა მოიცვა. დაშინებულმა მთავრობამ შოახდინა სახელმწიფო მიწების დანაწილება და მოსავლის განაწილებისას გლეხთა წილის 15 პროცენტით გადიდება. მაგრამ სახელმწიფო მიწები გლეხებს კი არა, არამედ მემამულეებსა და კულაკებს მიეცათ.

კავამ ეს-სალტანეს პროამერიკული პოლიტიკა

ირანის აზერბაიჯანში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობის შემდეგ კავამ ეს-სალტანეს მთავრობის პოლიტიკამ აშკარად ანტისაბჭოთა ხასიათი მიიღო. კავამმა ჩაშალა საბჭოთა კავშირსა და ირანს შორის მიღწეული შეთანხმების განხორციელება შერეულ საბჭოთა კავშირ-ირანის ნავთობის საზოგადოების დაარსების შესახებ, თუმცა მანამდე არასოდეს არც ერთ სახელმწიფოს არ შეუთავაზებია ირანისათვის იმაზე უფრო ხელსაყრელი პირობები, როგორსაც ითვალისწინებდა ირან-სსრკ შეთანხმება. ხელმოწერილ იქნა ირანსა და აშშ შორის სამხედრო შეთანხმება, რომელიც გულისხმობდა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მისიის მიერ ირანის ჯარების რეორგანიზაციის ჩატარებასა და აეროდრომებისა და საბჭოთა კავშირის მოსაზღვრე რაიონებში სიმაგრეების მშენებლობის ხელმძღვანელობას.

1946 წელს ირანის მთავრობა ამერიკელ ექსპერტთა დახმარებით შეუდგა „შვიდწლიანი გეგმის" შემუშავებას, რომლის განხორციელება ამერიკის სესხთან იყო დაკავშირებული. „შვიდწლიანი გეგმა" უდიდესი თანხების დახარჯვას ითვალისწინებდა სამხედრო-სტრატეგიულ მშენებლობაზე. ამ გეგმით ირანი ამერიკული საქონლის გამსაღებელ ბაზრად და შუა აღმოსავლეთში აშშ-ის სამხედრო-სტრატეგიულ პლაცდარმად უნდა გადაქცეულიყო.

ირანში ამერიკის შეერთებული შტატების შეჭრამ დიდი შეშფოთება გამოიწვია ინგლისელ მონოპოლისტთა შორის, რომლებმაც მიაღწიეს კავამის გადადგომას. 1947 წლის დეკემბერში ირანის პარლამენტმა კავამ ეს-სალტანეს უნდობლობა გამოუცხადა, და იგი გადადგა. მალე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ირანს მიაწოდეს სამხედრო სესხი 10 მილიონი დოლარის რაოდენობით, და ირანზე გავრცელდა ტრუმენის პროგრამის მე-4 მუხლი. ამას თან მოჰყვა ირანის მთავრობის მიერ ამერიკულ საქონელზე არსებული ყველა შეზღუდვის გაუქმება.

ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ირანის მოვაჭრობა იარაღით

ირანის მთავრობის პროამერიკულმა პოლიტიკამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ირანში. ირანის პატრიოტები მოითხოვდნენ მთავრობისაგან დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებას, რომელიც ეროვნული ინტერესების გამომხატველი იქნებოდა. რეაქცია ახალ პროვოკაციაზე წაიიდა. 1949 წლის თებერვალ-

ში თავს დაესხნენ ირანის შაჰს. მთავრობამ სამხედრო მდგომარეობა გამოაცხადა. სახალხო პარტია აკრძალეს. პროგრესული გაზეთები დახურეს. ირანის საპყრობილეები პატრიოტებით გაივსო. ამერიკელები თავს ბატონ-პატრონად გრძნობდნენ ირანში. ტოპოგრაფიული და გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოების შენიღბვით ამერიკელები შეუდგნენ აეროფოტოგადაღებების სამუშაოს სსრ კავშირის მოსაზღვრე რაიონებში. 1950 წელს დადებული ახალი შეთანხმებებით შეერთებული შტატები შეუდგნენ ირანისათვის ტანკების, სამხედრო თვითმფრინავების, საზენიტო ქვემეხების, ტყვიამფრქვევებისა და სხვა იარაღების მიწოდებას. ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ტრუმენის პროგრამის მე-4 პუნქტის მიხედვით ირანისათვის მიწოდებულმა ყოველწლიურმა სამხედრო „დახმარებამ" 23,4 მილიონ დოლარს მიაღწია. ამერიკელი მრჩეველებისა და ექსპერტების რიცხვი 500 კაცამდე გაიზარდა.

ირანის განვითარების შვიდწლიანი გეგმა

1949 წლის თებერვალში ირანის მეჯლისმა მიიღო რეკონსტრუქციისა და განვითარების შვიდწლიანი გეგმა, რომელიც ამერიკელი ექსპერტების მონაწილეობით იქნა დამუშავებული. გეგმა ითვალისწინებდა გასავალს შვიდი წლის განმავლობაში 21 მილიარდი რეალის რაოდენობით, რომელიც შემდეგნაირად ნაწილდება: სოფლის მეურნეობასა და ირიგაციაზე —25 პროცენტი, რკინიგზების, გზატკეცილებისა და აეროდრომების მშენებლობაზე —24 პროცენტი, მრეწველობასა და შახტებზე —14 პროცენტი, ჯანმრთელობის დაცვაზე —7 პროცენტი, ტექნიკური კადრების მომზადებასა და საზოგადოებრივ სამუშაოებზე — 5 პროცენტი და ა. შ. საპყრობილეთა ასაგებად გეგმით გათვალისწინებული იყო 200 მილიონი რეალი. გეგმა გვერდს უვლიდა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა გლეხობის ნახევრად-ფეოდალური ექსპლოატაციის ლიკვიდაცია და სხვ.

ამგვარად, მთელი თანხის მეოთხედი ნაწილი გამიზნული იყო სტრატეგიული ობიექტების მშენებლობისათვის. მრეწველობის ხარჯებში მთავარი ადგილი ეკავა საფეიქრო მრეწველობას, შაქრის წარმოებას და მსუბუქი ინდუსტრიის სხვა დარგებს. მეტალურგიულ მრეწველობაზე გეგმით გათვალისწინებული იყო იმდენივე თანხის დახარჯვა, რამდენიც შაქრის მრეწველობაზე, სამჯერ ნაკლები, ვიდრე საფეიქროზე და მხოლოდ ორჯერ მეტი იმაზე, რაც საპყრობილეთა ასაშენებლად უნდა დახარჯულიყო. ყველაზე მცირე და უმნიშვნელო იყო ჯანმრთელობის დაცვისა და სახალხო განათლების ხარჯები და ეს მიუხედავად იმისა, რომ ირანში მოსახლეობის სამი მეოთხედი ნაწილი, დაწყებული 7 წლის ასაკიდან და ზევით, წერა-კითხვის უცოდინარია, მოსწავლეთა რაოდენობა კი ირანის მთელი მოსახლეობის მხოლოდ 2 პროცენტს შეადგენდა.

„შვიდწლიანი გეგმის" ხარჯების 32 პროცენტი იფარებოდა რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკიდან მიღებული სესხით, ესე იგი, ამერიკული კაპიტალის მიზიდვის ანგარიშით.

ირანის ნავთობის ნაციონალიზაცია

ამერიკის შეერთებული შტატების ექსპანსიამ შეარყია ინგლისის კაპიტალის, კერძოდ, ინგლის-ირანის ნავთობის კომპანიის პოზიციები ირანში. ჯერ კიდევ 1946 წელს ამერიკის ნავთობის კომპანიებმა „სტანდარტ ოილ ოფ ნიუჯერ-

სიძ“ და „სოკონი ვაკუუმ ოილ კომპანიმ“ უფლება მოიპოვეს ინგლის-ირანის ნავთობის კომპანიის მიერ მოპოვებული ნავთობის 20 პროცენტის შესყიდვისა და სპარსეთის ყურედან ხმელთაშუა ზღვამდე ნავთსადენის გაყვანაში მონაწილეობისა. ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯი იყო ამერიკის ნავთობის მონოპოლიების მიერ ირანის ნავთობიდან ინგლისის კაპიტალის გამოძევებისათვის. სწორედ ამიტომ ამერიკის ნავთობის მონოპოლიები კმაყოფილებით შეხვდნენ ირანის ნავთობზე ინგლისის კონცესიის წინააღმდეგ ირანში წამოწყებულ კამპანიას.

ირანის ნავთობის ნაციონალიზაციისათვის წარმოებულ პატრიოტულ მოძრაობაში ირანის მმართველი წრეების მნიშვნელოვანი ნაწილი ჩაება. ეს უკანასკნელნი დაინტერესებულნი იყვნენ იმით, რომ გაედიდებიათ თავიანთი ხვედრი იმ მოგებაში, რომელსაც ბუნებრივი სიმდიდრისა და ირანის მშრომელთა ექსპლოატაცია იძლეოდა. ამასთან დაკავშირებით ირანის ანტიიმპერიალისტურ მოძრაობაში ორი ხაზი დაისახა: ერთი — ხალხთა მასების ბრძოლა იმპერიალისტური ბატონობის სრული ლიკვიდაციისა და სახელმწიფო წყობილების დემოკრატიზაციისათვის, მეორე ეროვნული ბურჟუაზიისა და ლიბერალური მემამულეებისა, რომელიც გაერთიანდა „ეროვნულ ფრონტში“, და რომელსაც მოსადიკი ედგა სათავეში; იგი ირანის ნავთობის ნაციონალიზაციას მოითხოვდა. ამ მოთხოვნას მხარს უჭერდნენ მშრომელები. 1951 წლის 15 მარტს ირანის მეჯლისმა მიიღო კანონი ნავთობის ნაციონალიზაციის შესახებ, და შეიქმნა ირანის ნაციონალური კომპანია. თავისი არსებობის ორმოცდაათი წლის განმავლობაში ინგლის-ირანის ნავთობის კომპანიამ ამოიღო 300 მილიონი ტონა ირანული ნავთობი, რის შედეგად მათ მიიღეს 5 მილიარდი დოლარი. უკანასკნელი წლის განმავლობაში, ნაციონალიზაციის გამოცხადებამდე ამოღებულ იქნა 32,3 მილიონი ტონა ნავთობი. ირანის მთავრობისათვის გადარიცხული თანხა კონცესიის მთელი დროის განმავლობაში 110 მილიონი გირვანქა სტერლინგს უდრის ან თორმეტჯერ ნაკლებია იმაზე, რაც ნავთობის კომპანიამ მიიღო. აქედან ნათელია, თუ რა დიდი ზიანი მოუტანა ირანის სახალხო მეურნეობას ინგლისის ნავთობის კომპანიის საქმიანობამ.

ირანის ნავთობის ნაციონალიზაციას ინგლისის მთავრობამ საფინანსო სანქციებითა და ეკონომიური ბლოკადით უპასუხა, რამაც ირანის ეროვნულ კომპანიას იმის შესაძლებლობა წაართვა, რომ გაეყიდა ნავთობი საგარეო ბაზრებზე.

ამერიკის მონოპოლიებმა არ დააყოვნეს ესარგებლათ ინგლის-ირანის კონფლიქტით, მათ ირანში შუამავლად გაგზავნეს ცნობილი საქმოსანი ჰარიმანი, რომელსაც ახლო კავშირი ჰქონდა მორგანსა და როკფელერთან. ჰარიმანმა მიაღწია ირანის ნავთობის ექსპლოატაციაში ამერიკული ნავთობის მონოპოლიების მონაწილეობას, რამაც ინგლისელთა დიდი შეშფოთება გამოიწვია. ირანის ნავთობზე პრეტენდენტის სახით გამოვიდა რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი, რომელშიც ყველაზე მეტ მონაწილეობას ამერიკის კაპიტალი იღებდა.

ნავთობის საერთაშორისო კონსორციუმის შექმნა

ირანის ხალხი ენერგიულ წინააღმდეგობას უწევდა ყოველგვარ ცდას — არარაობად ექცია ნავთობის ნაციონალიზაციის შესახებ მიღებული კანონი. ამერიკელ მონოპოლისტთა ცდა — კვლავ დაესვათ ირანის მთავრობის მეთაურად

კავამ ეს-სალტანე და მისი დახმარებით გაეუქმებინათ ნავთობის ნაციონალიზაცია, ჩაიშალა.

საჭირო შეიქნა სახელმწიფო გადატრიალების მოხდენა და შემდეგ პრემიერ მოსადიკის დაპატიმრებაც, რათა ამით მიეღწიათ ნავთობის ნაციონალიზაციის გაუქმებისათვის. გადატრიალება მოახდინა გენერალმა ზაჰედიმ, რომელმაც პრემიერის პოსტი დაიკავა 1953 წლის აგვისტოში. თეირანში სასწრაფოდ ჩავიდა ამერიკელი ჰუვერი, რომელმაც შეიმუშავა საკითხის გადაწყვეტის ამერიკული გეგმა. ამ გეგმით ინგლისს მოსთხოვეს უარი განეცხადებინა თავის უპირატეს უფლებებზე ირანის ნავთობის მიმართ, ირანისაგან კი მოითხოვეს, რომ იგი დათანხმებულიყო მსოფლიო ბაზარზე ირანის ნავთობის გასასაღებლად საერთაშორისო კონსორციუმის შექმნას.

1954 წლის 9 სექტემბერს შეიქმნა ნავთობის საერთაშორისო კონსორციუმი, რომელთანაც ზაჰედის მთავრობამ შეთანხმება დადო ირანის ნავთობის მოპოვებასა და გასაღებაზე. კონსორციუმში შევიდა მსოფლიო ნავთობის რვა უდიდესი კონცერნი: ინგლის-ირანის ნავთობის კომპანია, ინგლის-ჰოლანდიის კონცერნი „როიალ დატჩ შელი", ხუთი ამერიკული კომპანია —„სტანდარტ ოილ კომპანი ოფ ნიუ-ჯეისი", „ტექსას ოილ კომპანი", „სტანდარტ ოილ კომპანი ოფ კალიფორნია", „გალფ ოილ კორპორეიშნ", „სოკონი ვაკუუმ ოილ კომპანი", და აგრეთვე საფრანგეთის „კომპანი ფრანსეზ დე პეტროლ". ინგლის-ირანის ნავთობის კომპანიას საერთაშორისო კონსორციუმის აქციების 40 პროცენტი დაუთმეს: ამერიკის ხუთ კომპანიას—რვა-რვა პროცენტი თითოეულს, „როიალ დატჩ შელს"— 14 პროცენტი, საფრანგეთის კომპანიას —6 პროცენტი. შეთანხმება ითვალისწინებდა ირანის ეროვნული ნავთობის კომპანიის შექმნას, რომელიც მიიღებდა მოპოვებული ნავთობის 12,5 პროცენტს საზღვარგარეთ გასაყიდად და უცხოეთის ვალუტის მისაღებად. ირანი ვალდებულებას კისრულობდა დაეფარა ის ზარალი, რომელიც მიაყენეს ინგლის-ირანის ნავთობის კომპანიას ნაციონალიზაციის შედეგად.

ამრიგად, ირანის ნავთობის ნაციონალიზაციის კანონი ფაქტიურად გაუქმდა. საერთაშორისო კონსორციუმმა შეკვეცა ინგლისის კომპანიის უფლებები და შემოსავალი. უფლებათა ნაწილი ამერიკული ნავთობის მონოპოლიის ხელში გადავიდა. ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია ირანში გაძლიერდა.

ირანის მონაწილეობა ბაღდადის პაქტში

იმპერიალისტური სახელმწიფოების ზემოქმედებით ირანი 1954 წლის 13 ოქტომბერს ჩაბმული იქნა აგრესიულ ბაღდადის ბლოკში, რომელიც, თვით ბლოკის მონაწილეთა აღიარებით, მიმართულია როგორც საბჭოთა კავშირის, ისე შუა და ახლო აღმოსავლეთის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ. ირანის მთავრობის ასეთი ნაბიჯი სავსებით ეწინააღმდეგებოდა იმ ხელშეკრულებას, რომელიც 1927 წლის 1 ოქტომბერს იქნა დადებული სსრ კავშირსა და ირანს შორის გარანტიებსა და ნეიტრალიტეტზე. აღნიშნულ ხელშეკრულებაში ნათქვამია, რომ თვითეული მხარეთაგანი ვალდებულებას კისრულობს არავითარი მონაწილეობა არ მიიღოს არც ფაქტიურად, არც ფორმალურად რაიმე ისეთ პოლიტიკურ კავშირში ან შეთანხმებაში, რომელიც მეორე მხარის უშიშროების წინააღმდეგ იქნება მიმართული ხმელეთზე ან ზღვაზე,—

ისევე როგორც მისი მთლიანობის, მისი დამოუკიდებლობის ან მისი სუვერენიტეტის წინააღმდეგ.

ირანის მთავრობისადმი გაგზავნილ თაეის ნოტაში საბჭოთა მთავრობამ მიუთითა, რომ „ბაღდადის ბლოკთან ირანის შეერთება სერიოზულ ზიანს აყენებს საბჭოთა კავშირ-ირანის ურთიერთობას, და მასთან ეს ისეთ მომენტში ხდება, როდესაც საბჭოთა კავშირისა და რიგი სხვა სახელმწიფოების ღონისძიებებით მიღწეულია გარკვეული წარმატებები საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და სახელმწიფოთა შორის ნდობის დამყარების საქმეში, მაშინ როდესაც საბჭოთა კავშირმა გადადგა ნაბიჯი ირანთან კეთილმეზობლური ურთიერთობის განსამტკიცებლად და გასავითარებლად“.

ბაღდადის ბლოკთან ირანის შეერთებას თან სდევდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ უნიადაგო გამოხდომები.

მას შემდეგ, რაც ირანი ჩაება ბაღდადის ბლოკში, თეირანში ჩამოვიდა აშშ-ის შეიარაღებულ ძალთა შტაბების უფროსების გაერთიანებული ჯგუფის თავმჯდომარე ადმირალი რედფორდი, რომელიც ირანის გაზეთ „კეიხანის“ ცნობით, მოლაპარაკებას აწარმოებდა ირანის სამხედრო და თანამდებობის პირებთან. ამ მოლაპარაკებათა შედეგად ირანს გადაეცა საჭურველი და საბრძოლო მასალების დიდი რაოდენობა არმიისათვის. ირანის პრესა აღნიშნავდა, რომ ბაღდადის პაქტში ირანის მონაწილეობა სრულებით არ უწყობს ხელს საბჭოთა კავშირ-ირანის მეგობრულ ურთიერთობათა გაუმჯობესების ამოცანებს და თვით ირანის ინტერესებს.

ირანი და სსრ კავშირი

საბჭოთა კავშირს მიაჩნია, რომ სსრ კავშირსა და ირანს შორის კეთილმეზობლურ ურთიერთობათა გაუმჯობესების საქმეში არ არსებობს ისეთი დაბრკოლებები, რომელთა გადალახვა შეუძლებელი იყოს. ჯერ კიდევ 1954 წლის დეკემბერში ორივე ქვეყანას შორის ხელმოწერილ იქნა შეთანხმება მეორე მსოფლიო ომთან დაკავშირებულ ურთიერთსაფინანსო პრეტენზიების მოწესრიგების შესახებ. ირანსა და საბჭოთა კავშირს შორის მეგობრული ურთიერთობის აღდგენის საქმეში მნიშვნელოვან წვლილს შეადგენდა ირანის საპარლამენტო დელეგაციის სტუმრობა საბჭოთა კავშირში 1955 წლის დეკემბერსა და 1956 წლის იანვარში და საბჭოთა კავშირის საპარლამენტო დელეგაციის საპასუხო ვიზიტი ირანში 1957 წელს.

1956 წლის ივნისის ბოლოს საბჭოთა კავშირს ეწვია ირანის შაჰი მოჰამედ რეზა ფეხლევი.

სარგებლობდა რა ირანის მიმართ მეგობრული გრძნობებით, საბჭოთა მთავრობამ 1956 წლის ივნისში ირანთან კეთილმეზობლური ურთიერთობის განმტკიცების მიზნით უარი განაცხადა ირანის სასარგებლოდ თავის უფლებებზე, რომელიც გამომდინარეობდა ჩრდილოეთ ირანში მყოფ საბჭოთა კავშირ-ირანის სააქციო საზოგადოებაში „კევირ-ჰურიანი“ საბჭოთა კავშირის მონაწილეობიდან. სააქციო საზოგადოება „კევირ-ჰურიანი“ დაარსებულ იქნა 1925 წელს კევირ-ჰურიანის რაიონში ნავთობის საბადოების საექსპლოატაციოდ და ნავთობპროდუქტების გადამუშავებასა და გასაღებასთან დაკავშირებული სამუშაოების საწარმოებლად 70 წლის ვადით. შესაბამისი განცხადება ირანისათვის კევირ-ჰურიანის სააქციო საზოგადოების ქონებისა და უფლების საბჭოთა წი-

ლის უსასყიდლოდ გადაცემაზე გაკეთებულ იქნა საბჭოთა კავშირში ირანის შაჰ მოჰამედ რეზა ფეხლეეის ყოფნის დროს. საბოლოო შეთანხმება კი ხელმოწერილ იქნა 1957 წლის 29 იანვარს.

ორიეე სახელმწიფოს კეთილმეზობლური ურთიერთობის განსამტკიცებლად სერიოზული მნიშვნელობა აქვს 1957 წლის აპრილში ხელმოწერილ შეთანხმებას საბჭოთა კავშირ-ირანის ვაჭრობაზე, რომელიც ურთიერთსარგებლობისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპზეა აგებული. შეთანხმება ითვალისწინებდა საქონლის ურთიერთმიწოდების გაფართოებას უახლოესი სამი წლის განმავლობაში. ვაჭრობის ასეთი გაფართოება, ერთი მხრივ, უზრუნველყოფდა ირანისათვის მისი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილის გასაღებას, ხოლო, მეორე მხრივ, ხელს შეუწყობდა ირანის სამრეწველო განვითარებას და სამრეწველო საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას.

აპრილის დასასრულს ხელმოწერილ იქნა საბჭოთა კავშირ-ირანის შეთანხმება სატრანზიტო საკითხებზე.

მოსკოვში ირანის შაჰის ყოფნისას და მოლაპარაკების დროს წარმოიშვა სასაზღვრო მდინარეების ერთობლივად გამოყენების იდეა. 1957 წელს ეს იდეა განხორციელდა მორწყვისა და ელექტროენერგიის წარმოების მიზნით სასაზღვრო მდინარეების — არაქსისა და არტეკის წყლისა და ენერგეტიკული რესურსების ერთობლივი გამოყენების შესახებ შეთანხმების მიღწევით.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს შეთანხმება იმ საკითხების საბოლოოდ მოწესრიგების შესახებ, რომლებიც სსრ კავშირსა და ირანს შორის სახელმწიფო სასაზღვრო ხაზის გავლებასთანაა დაკავშირებული.

ახასიათებდა რა ირანის ხალხთა განწყობილებას, ირანის გაზეთი „ქუშეში" 1957 წლის სექტემბერში კმაყოფილებას გამოთქვამდა იმით, რომ ორიეე მხარე ისეთ ნაბიჯებს დგამს წინ, რაც კეთილი ურთიერთობის განმტკიცებისაკენაა მიმართული. „ჩვენ იმედი გვაქვს,— წერდა გაზეთი,— რომ მომავალში მეგობრობის გზაზე არაეითარ გაურკვეველობას არ ექნება ადგილი და არაფერს არ შეუძლია ზიანი მიაყენოს ამ ქვეყნების ურთიერთობას". ეურნალი „ტერაკე მოსავარი" წერდა, რომ „ირანელ ხალხს საუკეთესო გრძნობები აქვს საბჭოთა კავშირის მიმართ და, პირიქით, იგი ეშვის თვალით უყურებს დასავლეთის პოლიტიკას".

ირანის დიპლომატია საერთაშ. ზღვაზე

სამწუხაროდ, უკანასკნელ დროს გარეშე ძალთა გავლენის ქვეშ მოქცეულ ირანის გარკვეულ წრეებს საქმე მიჰყავთ იქითკენ, რომ გააუარესონ საბჭოთა კავშირ-ირანის ურთიერთობა. ახლო და შუა აღმოსავლეთში ფართოდ გაშლილი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობით დაშინებულნი, ისინი უნდობლობით უყურებენ თავიანთ ხალხს, რომელიც იბრძვის ირანში უცხოეთის კაპიტალისტური მონოპოლიების წინააღმდეგ, იმპერიალიზმისაგან ირანის სრული დამოუკიდებლობისათვის. კოლონიზატორთა ინტერესებთან მჭიდროდ დაკავშირებულ ამ წრეებს, როგორც ჩანს, რწმენა არა აქვთ თავისი თავისა და ამიტომაც ისინი ამერიკელ ბანდარმებზე ამყარებენ იმედებს.

ირანის მმართველი წრეები ჯერ კიდევ 1955 წელს დაუკავშირდნენ აგრესიულ ატლანტიკურ ბლოკს და ამ ბლოკის ისეთივე მონაწილეებთან ერთად,

როგორიც ინგლისი და თურქეთია, — ხოლო ფაქტიურად კი ამერიკის შეერთებული შტატებიც, — შევიდნენ ბაღდადის დაჯგუფებაში, რომელიც ნატოს ფილიალს წარმოადგენს. ერაყის რევოლუციით დაშინებულნი და საკუთარი ხალხისადმი უნდობლობით აღსავსენი, ისინი 1958 წლის ოქტომბერში დაადგნენ აშშ-თან ერთად შეთქმულების გზას საბჭოთა კავშირისა და ირანის მეზობელ სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა საწინააღმდეგოდ. ინგლის-ირანის მოლაპარაკების შედეგად ორმხრივი სამხედრო შეთანხმება ხელმოწერილ იქნა 1959 წლის 5 მარტს.

ამერიკისა და ინგლისის სპეციალისტების ხელმძღვანელობით ირანში უკვე გაძლიერებით ტარდება სამხედრო სამზადისი. შენდება ახალი აეროდრომები. ხდება გაფართოება და რეკონსტრუქცია ძველი აეროდრომებისა. ამერიკის საინჟინრო კორპუსი, რომელიც 150 ამერიკელ სამხედრო სპეციალისტსა და 185 სხვა უცხოელს ითვლის, სპარსეთის ყურეში აშენებს სამხედრო-საზღვაო ბაზებს აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალებისათვის. სამი ათას კაცამდე აღწევს ამერიკელი ექსპერტებისა და მრჩეველთა რაოდენობა ირანში. ამასთან მათი უმრავლესობა ირანის არმიაშია, რომელიც სულ უფრო და უფრო ექცევა უცხოეთის გავლენაში.

სახიფათო შემობრუნება ირანის საგარეო პოლიტიკაში, ჰქმნის რა ომის საშიშროებას საბჭოთა კავშირისა და ირანის მოსაზღვრე მშვიდობისმოყვარე ქვეყნებისათვის, იმავე დროს საფრთხეს შეიცავს ირანის ხალხის კანონიერი მისწრაფებისთვისაც, რომელსაც სურს ნამდვილი ბატონპატრონი იყოს საკუთარ სახლში და თავისი სურვილისამებრ განაგოს ქვეყნის ეროვნული სიმდიდრე, მაგალითად ნავთობი. სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის სრულ დაკარგვამდე მიიყვანს ირანს ცდები მხარდაჭერის ძებნისა ოკეანისგაღმა აგრესიულ წრეებში, რომლებიც აღმოსავლეთის ხალხის თავისუფლების ჩახშობისა და მათი სიმდიდრის მძარცველის სახელით არიან ცნობილნი.

მეორე მხრივ, საბჭოთა კავშირთან და სხვა მშვიდობისმოყვარე ქვეყნებთან კეთილმეზობლური ურთიერთობა განამტკიცებს ირანის დამოუკიდებლობას.— ასეთი ურთიერთობა ირანის სუვერენიტეტის მტკიცე გარანტიაა.

ავანტიურის გზა, რომლისკენაც აქეზებენ ირანს ახლო და შუა აღმოსავლეთში შფოთის მთესველი ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტები, ღრმა წინააღმდეგობაშია ირანის ხალხის ძირეულ ინტერესებთან. — ეს გზა მეტისმეტად ამწვავებს პოლიტიკურ ვითარებას ამ რაიონში.

თ უ რ ქ ე თ ი

თურქეთის სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა მეორე მსოფლიო ომის დროს და ომის შემდეგ

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ თურქეთის პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა კვლავ დაძაბულია. თურქეთის ნეიტრალიტეტი, რომელიც ფაქტიურად ფაშისტურ გერმანიასთან თანაშრომლობად გადაიქცა, სასტიკად იქნა დაგმობილი ხალხთა ფართო მასების მიერ. ასეთმა ნეიტრალიტეტმა ავტორიტეტი შეუბღალა სახალხო-რესპუბლიკურ პარტიას. გაუარესდა თურქეთის ეკონომიური მდგომარეობაც, პირველ რიგში გლეხობის მდგომარეობა, რომელიც გა-

ნიცდიდა ფეოდალური ურთიერთობის გადანაშთების სიმძიმეს და კაპიტალისტურ ექსპლოატაციას.

მთავრობამ ზომები მიიღო ქვეყნის დასაშოშმინებლად. 1945 წელს მიღებულ იქნა კანონი აგრარული რეფორმის შესახებ, მაგრამ რეფორმა ითვალისწინებდა მემამულეთა მხოლოდ იმ მიწების გამოსყიდვას და გლეხებს შორის განაწილებას, რომელთა ოდენობა 500 ჰექტარს აღემატებოდა. აგრარულმა „რეფორმამ" გლეხობას არაფერი მისცა.

მეტად მძიმე იყო მუშათა მდგომარეობა. შრომის საკითხების მოსაგვარებლად შრომის სამინისტროს შექმნის შესახებ იმავე 1945 წელს გამოცემული მთავრობის დადგენილება დეკლარაციული ხასიათისა იყო. მთავრობის მიერ შედგენილმა მუშათა დაზღვევის საზოგადოებამ ვერ შეამსუბუქა მუშათა მდგომარეობა, ვინაიდან ამ საზოგადოებას ხელმძღვანელობდნენ მოხელეები და მწარმოებელნი.

იზრდებოდა მემამულეთა და შეძლებულ გლეხთა უკმაყოფილება მთავრობის პოლიტიკით სიძვირის ზრდის აღსაკვეთად სასოფლო-სამეურნეო საქონელზე მტკიცე ფასების დაწესებასთან დაკავშირებით. ომიანობის წლებში გაუქმებულ იქნა მრეწველობის მფარველობის შესახებ არსებული კანონი; ამან ეროვნული ბურჟუაზიის უკმაყოფილება გამოიწვია. თურქეთში პოლიტიკური კრიზისი მწიფდებოდა.

დემოკრატიული პარტიის დაარსება

თურქეთის მმართველი წრეები მდგომარეობიდან გამოსავალს ორპარტიულ ბურჟუაზიულ პოლიტიკურ სისტემაში ეძებდნენ. 20 წლის განმავლობაში, ვიცირეოდენი შუალედების გამოკლებით, თურქეთში ერთადერთი ლეგალური პარტია იყო სახალხო-რესპუბლიკური პარტია, რომლის ლიდერი ქემალ ათათურქი იყო, ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ—ისმეთ ინენიუ. 1946 წლის დასაწყისში თურქეთში დაარსდა ახალი პარტია — „დემოკრატიული პარტიის" სახელწოდებით, რომელიც თავისი კლასობრივი შემადგენლობით დიდად არ განსხვავდებოდა სახალხო-რესპუბლიკური პარტიისაგან. მაგრამ ხალხისათვის დემოკრატიული უფლებების მინიჭების, უმუშევრობის მოსპობის, ავადმყოფობის შემთხვევაში დაზღვევის გატარებისა და სხვათა შესახებ დემაგოგიური დაპირებებით ახალი პარტია ვარაუდობდა შეესუსტებინა შინაპოლიტიკური კრიზისი, ჩამოეცილებინა ხალხთა მასები კლასობრივი ბრძოლისაგან და გამოეცხადებინა ექსპლოატატორთა და ექსპლოატირებულთა ინტერესების ჰარმონია.

ისეთ საკითხებში, როგორიცაა ეტატიზმის პოლიტიკაზე უარის თქმა და კერძო ინიციატივისათვის, პირველ რიგში უცხოური კაპიტალისათვის, ფართო შესაძლებლობების მინიჭება, დემოკრატიული პარტია უფრო შორს მიდიოდა, ვიდრე სახალხო-რესპუბლიკური პარტია.

დემოკრატიულ პარტიასთან ერთად დაარსდა მთელი რიგი წვრილი ბურჟუაზიული და ბურჟუაზიულ-მემამულური პარტიები სხვადასხვა სახის დემოკრატიული იარლიკებით. კომუნისტური პარტია განაგრძობდა არალეგალურად მუშაობას. პროფკავშირთა სრულიად თურქეთის ფედერაცია და 1946 წელს დაარსებული მუშურ-გლეხური სოციალისტური პარტია კანონს გარეშე იყო გამოცხადებული.

მმართველი სახალხო-რესპუბლიკური პარტიის ავტორიტეტი სულ უფრო ეცემოდა. თურქეთის ყოფილმა პრემიერმა სარაჯოღლუმ სახელი გაიტეხა მეორე მსოფლიო ომის წლებში გერმანელ ფაშისტებთან ფარული კავშირის გამო. პრეზიდენტი ინენიუ დიდი სიფრთხილით ეკიდებოდა უცხოეთის კაპიტალთან კავშირებს. მისი წინადადებით სარაჯოღლუ იძულებული შეიქნა გადამდგარიყო პრემიერის პოსტიდან. მისი შემცვლელი რეჯებ პეკერი იმპერიალისტებთან დაახლოების იმავე პოლიტიკას განაგრძობდა. მაგრამ ასეთი ნაბიჯი სრულებით არ ეწინააღმდეგებოდა „ოპოზიციაში" მყოფ დემოკრატიული პარტიის საგარეო-პოლიტიკურ კურსს, ვინაიდან სახალხო-რესპუბლიკური და დემოკრატიული პარტიები, იდგნენ რა ქვეყნის შიგნით მზარდი დემოკრატიული მოძრაობის ფაქტის წინაშე, ინგლის-ამერიკის იმპერიალიზმში ეძებდნენ დასაყრდენს ბურჟუაზიულ მემამულური დიქტატურისათვის. პეკერის მთავრობის ასეთი ნაბიჯები, ისე როგორც 1957 წელს „ტრუმენის დოქტრინის" მიღება, ან კიდეე აშშ-სა და თურქეთს შორის თურქეთისათვის „სამხედრო დახმარების" მიცემაზე შეთანხმების დადება (1947), წინააღმდეგობას არ იწვევდა დემოკრატიული პარტიის მხრივ.

მაგრამ სულ სხვანაირად იდგა ძალაუფლების ხელში ჩაგდებისათვის ორ პარტიას შორის ბრძოლის საკითხი. დემოკრატიული პარტიის მხრივ შემოტევაზე პეკერის მთავრობამ პოლიტიკური ზომების მიღებით უპასუხა. საზოგადოებრიობის თვალში პეკერის მთავრობის რეპრესიებმა ქვეყნად გამეფებული აღვირახსნილობისა და სიღატაკის წინააღმდეგ მებრძოლის ცრუ შარავანდედით შემოსა დემოკრატიული პარტია.

1947 წლის აგვისტოში პეკერმა პრემიერის პოსტი დაუთმო ჰასან საკას, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული ამერიკის მონოპოლიებთან. სახალხო-რესპუბლიკური პარტიის ხელმძღვანელობაში იმარჯვებდნენ ექსტრემისტული ელემენტები, რომლებიც უცხოელ კაპიტალის ინტერესებისადმი თურქეთის პოლიტიკის დაქვემდებარების მოთხოვნით გამოდიოდნენ. საგარეო საქმეთა მინისტრად დაინიშნა ნეიმედინ სადაკი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის წლებში გერმანელ ფაშისტებთან იყო დაკავშირებული. ახალმა მთავრობამ ფართოდ გაუღო კარი ამერიკელ იმპერიალისტებს, რომლებიც დიდი ხანია ოცნებობდნენ გადაექციათ თურქეთი თავიანთი აგრესიული პოლიტიკის იარაღად შუა და ახლო აღმოსავლეთში. თურქეთში შეიქმნა „კომუნიზმთან მებრძოლი კომისია" ამერიკული მაგალითის მიხედვით. მეჯლისის თავმჯდომარის სავარძელში მაგრად ვრძნობდა თავს ქემალ ათათურქის ძველი მოწინააღმდეგე ქიაზიმ ყარაბექირი.

ამერიკის შეერთებული შტატების მოთხოვნით თურქეთის მთავრობამ 1947 წელს გააუქმა ყველა არსებული შეზღუდვა უცხოეთის საქონლის შემოტანაზე, რის შედეგადაც ამერიკის საქონლით გაიესო თურქეთის ბაზარი. თურქეთის იმპორტის 30 პროცენტი აშშ-ის წილად მოდიოდა. დაიხურა თურქეთის ათეულობით საწარმო — საფეიქრო, შუშის, თამბაქოსი და სხვ. მუშაობა შეწყვიტა საფეიქრო ფაბრიკა როსიმ-ა-დოკურმა, რომელიც ყოველწლიურად მილიონ კილოგრამ ძაფსა და 7 მილიონ მეტრ ნარმას უშვებდა.

თურქული გაზეთი „აკშანი" თურქეთის ეროვნულ საწარმოთა დახურვის შესახებ წერდა: „ჩვენი საკუთარი მრეწველობა გაკოტრებამდეა მისული მის ბულისათვის, რომ ქსოვილებით მოვაჭრე ერთ მუჭა უცხოელთა მოგება იქნეს

უზრუნველყოფილი". გაზეთი „ბარიში" ჩიოდა: „უცხოეთის კაპიტალი ამსხვრევს ჩვენს თავდაცვით ზღუდეებს და იპყრობს ჩვენს ბაზრებს".

„მარშალის გეგმის" ფიღეცა თურქეთის ფიერ

1948 წელს თურქეთმა მიიღო „მარშალის გეგმა" თურქეთისათვის „დახმარების" მიცემის შესახებ. შეთანხმების თანახმად თურქეთში გაეგზავნა ამერიკული კომისია და მისიები, სპეციალისტები და მრჩეველები, რომლებიც ექსტერიტორიულობისა და თურქეთში თავისუფლად მიმოსვლის უფლებით სარგებლობდნენ. აშშ-მა თავიანთი კონტროლის ქვეშ დააყენეს თურქეთის სამხედრო და სამოქალაქო ავიაცია, რკინიგზები და ნაოსნობა, წამოიწყეს საავიაციო ბაზების, აეროდრომების, ნავსადგურების, სტრატეგიული გზებისა და სხვათა მშენებლობის გეგმების დამუშავება. ვაშინგტონი მოითხოვდა თურქეთის მთავრობისაგან ამერიკის კაპიტალისათვის შემდგომი შეღავათების მინიჭებას და თურქეთის სახალხო მეურნეობაზე სრული კონტროლის დაწესებას. ამ მიზნის განსახორციელებლად 1950 წელს თურქეთში შეიქმნა სამრეწველო განვითარების ბანკი, რომლის კაპიტალის ნახევარი რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს ეკუთვნოდა, ამ უკანასკნელს კი კონტროლს უწევდნენ ამერიკის ბანკირები. სამრეწველო განვითარების ბანკის სათავეში ამერიკელი ტუკერი იქნა დაყენებული.

სწრაფად ხდებოდა აშშ-ის დანამატად თურქეთის გადაქცევა, რასაც თან სდევდა ასეთი შემთხვევისათვის ჩვეულებრივი ატრიბუტები: საგარეო პოლიტიკის ანტისაბჭოთა კურსი, გამალებული შეიარაღების აუტანელი ტვირთი, მშრომელთა გაღატაკება, დამოუკიდებელი პოლიტიკის ლიკვიდაცია, მშრომელთა წინააღმდეგ რეპრესიები, კლასობრივი ბრძოლის გამწვავება, კორუპცია და სხვ. 1949 წლის დეკემბერში აშშ-სა და თურქეთს შორის ხელმოწერილ იქნა შეთანხმება „კულტურულ თანამშრომლობაზე", რამაც დიდად შეუწყო ხელი ამერიკის ექსპანსიას თურქეთის ოფიციალური იდეოლოგიის სფეროში.

პანთურქისტთა საქმიანობა

ამ მომენტიდან თურქეთში მეტად გაძლიერდა მშრომელი მოსახლეობის იდეოლოგიური დამუშავება ანტისაბჭოთა სულისკვეთებით. ფართო გასაქანი მიეცა რასობრივი თეორიის პროპაგანდას. პანთურქისტები ქადაგებდნენ საბჭოთა აზერბაიჯანის, აჭარის, თურქმენეთისა და სათათრეთის ხელში ჩაგდებას. „თურქეთის დასავლეთის საზღვარია ეგეოსის ზღვა, აღმოსავლეთისა — ირანი, ჩრდილოეთისა — ყაზანი", — ავყიოობდნენ ღვარძლიანად პანთურქისტები.

პანთურქისტები პარლამენტის ტრიბუნიდან ამბობდნენ: „ჩვენ არ გვინდა არც აკადემიები, არც პედაგოგიკა — ყოველივე ეს უნდა უკუვაგდოთ შორს! სკოლაში უნდა ვასწავლოთ მხოლოდ ის, რასაც გვასწავლიდნენ ჩვენი წინაპრები. ჩვენ მოვითხოვთ ჩვენი ახალგაზრდობისათვის ისეთ მორალს, რომელმაც XVI საუკუნეში დასძრა თურქები სხვა ქვეყნების დასაპყრობად". ამ კიეილრიალის აკომპანემენტში პანთურქისტთა ოცნება სულთანის იმპერიის-რესტავრაციამდეც მივიდა.

პანთურქისტები ყოველმხრივ ქება-დიდებას ასხამდნენ ამერიკულ პოლიტიკას, ახასიათებდნენ მას, როგორც „ჰუმანურს", „მეგობრულს", „თურქეთისათვის ხასარგებლოს". ამავე დროს კარგად ცნობილია, რომ ამერიკის შეერთე-

ბული შტატები ჯერ კიდევ 1788—1789 წლებში ცდილობდნენ მოეპოვებინათ თავიანთთვის საკაპიტულაციო უფლებები ოსმალეთის იმპერიაში, ხოლო 1831 წელს მოამზადეს თურქეთისაგან კუნძულ კეიპროსის წაგლეჯა. ამარაგებდა რა თურქეთის ჯარს იარაღითა და საომარი მასალით რუსეთის წინააღმდეგ 1877 — 1878 წლების ომში, ამერიკის შეერთებულ შტატებს უნდოდათ თურქების ხელით ჩაეხშოთ ბალკანეთის ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობა. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გამოიყენეს სომხეთის საკითხი, რათა აეძულებინათ სულთანი დათანხმებოდა ამერიკის მოთხოვნებს და იმავე დროს გამოიყენეს სულთანი, როგორც ყველა მუსულმანის ხალიფი, ფილიპინების მუსულმანების დასამონებლად. ოსმალეთის იმპერიის დაშლის შემდეგ ამერიკის იმპერიალისტები სომხეთზე მანდატის სახით ვარაუდობდნენ ხელში ჩაეგდოთ არა მარტო ამიერკავკასია, არამედ მცირე აზიაც. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ნამდვილად დაიმონეს თურქეთი.

დემოკრატიული პარტიის გამარჯვება 1950 წლის არჩევნებში

1950 წლის მაისში მეჯლისის მორიგი არჩევნები მიმდინარეობდა. ამ დროისათვის სახალხო-რესპუბლიკური პარტიის ავტორიტეტი ძლიერ დაეცა. არჩევნებში გაიმარჯვა დემოკრატიულმა პარტიამ, რომელმაც 487 მანდატიდან 403 მანდატი მიიღო. რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩეულ იქნა დემოკრატიული პარტიის ლიდერი ჯელალ ბაიარი. პრემიერ-მინისტრად დანიშნულ იქნა ადნან მენდერესი.

მენდერესმა, ჩაუდგა რა მთავრობას სათავეში, არ დააყოვნა მაშინვე გამოსულიყო ეტატიზმის პოლიტიკის წინააღმდეგ. მან განაცხადა, რომ მთავრობა წაახალისებდა კერძო ინიციატივას, მიიზიდავდა მრეწველობაში კერძო კაპიტალს, პირველ რიგში უცხოეთის კაპიტალს. ამასთან ერთად იგი დაპირდა მოსახლეობას ფასების დაკლებას, მუშებს კი — გაფიცვის უფლების მინიჭებას და სხვ.

საგარეო პოლიტიკის დარგში მენდერესის მთავრობის პოლიტიკა გამოიხატებოდა ერთგულებით ინგლისსა და საფრანგეთთან დადებული სამოკავშირეო ხელშეკრულებისადმი, მეგობრული თანამშრომლობით ამერიკის შეერთებულ შტატებთან. სინამდვილეში ეს ნიშნავდა თურქეთის გადაქცევას იმპერიალისტური პოლიტიკის იარაღად.

როდესაც 1950 წელს იმპერიალისტებმა ომი წამოიწყეს კორეაში, თურქეთი იყო ერთად-ერთი ქვეყანა ახლო და შუა აღმოსავლეთში, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კორეელი ხალხის წინააღმდეგ წარმოებულ ომში. ამ ომში, დიდი დანაკლისის გამო თურქეთის ჯარის ნაწილები სამჯერ იქნა შეესებული. მოკლულთა, დაჭრილთა და ტყვედ ჩავარდნილ ჯარისკაცთა და ოფიცერთა შემადგენლობამ 11 ათასი კაცი შეადგინა. სამხედრო ტრიბუნალმა გაასამართლა მშვიდობის მომხრეთა თურქეთის საზოგადოების წევრების ჯგუფი ბეხიჯე ბორანის მეთაურობით და მიუსაჯა მათ 15 წლით ციხეში პატიმრობა კორეაში თურქეთის ჯარისკაცთა გაგზავნის წინააღმდეგ საპროტესტო მოძრაობის ორგანიზაციისათვის.

ღებულობდა რა რეპრესიულ ღონისძიებებს ოპოზიციურად განწყობილ ელემენტთა მიმართ, მენდერესის მთავრობამ გაილაშქრა სახალხო-რესპუბლიკური პარტიის წინააღმდეგ, რომელშიც იგი ხედავდა თავის მთავარ მოქიშპეს.

1951 წლის აგვისტოში მეჯლისმა ხაზინას და პირვანდელ მფლობელთ დაუბრუნა სახალხო-რესპუბლიკური პარტიის ქონება, რომელიც სახელმწიფოს ხარჯით იყო შეძენილი 66 მილიონი ლირის ღირებულებით. მთელი ეს ქონება ფაქტიურად დემოკრატიული პარტიის საკუთრებად გადაიქცა.

თურქეთის შესვლა ჩრდილოატლანტიკურ ბლოკში

1951 წლის სექტემბერში თურქეთი მიღებულ იქნა ჩრდილო-ატლანტიკის ბლოკის წევრად. თურქეთის ტერიტორიაზე დიდი სამხედრო მშენებლობა მიმდინარეობდა. ამერიკელ სპეციალისტთა ხელმძღვანელობით შენდებოდა სამხედრო-საჰაერო ბაზები სტამბოლის, ანგორის, ადანის, დიარბექირისა და არზრუმის რაიონებში. შავი ზღვის ნავსადგურები სამსუნი და ტრაპიზონი სამხედრო-საზღვაო ბაზებად გადაიქცნენ. აშენებდნენ რკინიგზებსა და გზატკეცილებს, რომლებსაც სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდათ. მიმდინარეობდა ძველი ნავსადგურების გაფართოება და ხელახალი მოწყობა. ხელახლა იქნა აღჭურვილი ალექსანდრეთის ნავსადგური, საიდანაც გადიოდა 1100 კილომეტრი სიგრძის სტრატეგიული გზატკეცილი მალათიასა და არზრუმში — საბჭოთა კავშირის საზღვრებთან.

1951 წელს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმა შეადგინეს „შუა აღმოსავლეთის სარდლობის“ შექმნის გეგმა, რომელიც უნდა ყოფილიყო აგრესიული კავშირი და ჩრდილო-ატლანტიკის ბლოკის ფილიალი შუა და ახლო აღმოსავლეთში. თურქეთს დაეკისრა ამ მომავალი ბლოკის წევრთა შეგროვება. მაგრამ ეს გეგმა ჩაიფუშა, ვინაიდან მას წინ აღუდგნენ არაბი სახელმწიფოები.

1953 წლის თებერვალში სამხედრო კავშირი შეიკრა თურქეთსა, საბერძნეთსა და იუგოსლავიას შორის. იმპერიალისტები ხედავდნენ ამ კავშირში ხმელთაშუა ზღვის ბლოკის შექმნის საფუძველს, რომელშიც მონაწილეობას მიიღებდნენ თურქეთი, საბერძნეთი, იუგოსლავია, ისრაელი და იტალია, მისი ცენტრი იქნებოდა ანგორაში.

თურქეთი ამერიკის იმპერიალიზმის სამსახურში

ჩრდილო ატლანტიკურ პაქტში თურქეთის შესვლის შემდეგ მის ბედს წყვეტდა ტრიუმვირატი, რომლის შემადგენლობაში შედიოდა ამერიკის ელჩი ანკარაში ჯორჯ მაკგი, თურქეთში ამერიკული ეკონომიური მისიის ხელმძღვანელი რასელ დორი და სამხედრო მისიის მეთაური გენერალი არნოლდი. ამერიკის სამხედრო მისიის წევრთა და მრჩეველთა რაოდენობა 3000-მდე აღწევდა. თურქული გაზეთი—„ვატანი“ სამართლიანად აღნიშნავდა, რომ „ამერიკელები ფაქტიურად არაპირდაპირი გზით ახდენენ თურქეთის ოკუპირებას“.

თურქეთის პირდაპირმა სამხედრო ხარჯებმა 1948 წლიდან 1955 წლამდე 9,5 მილიარდ ლირას მიაღწია. ამერიკის ასიგნებამ კი თურქეთის შესაიარაღებლად „მარშალის გეგმის“ შესაბამისად და 1952 წელს მისი შემცველი „ერთიერთ თავდაცვითი დახმარების“ მიხედვით 1,5 მილიარდი დოლარი შეადგინა, ე. ი. თითქმის სამჯერ ნაკლები იმაზე, ვიდრე თურქეთმა დახარჯა თავისი საკუთარი სახსრებიდან.

დიდ სამხედრო ხარჯებთან დაკავშირებით თურქეთში პირდაპირი გადასახადი გაიზარდა 420 მილიონი ლირიდან 1952 წელს 545 მილიონ ლირამდე 1953 წელს (ეს ხარჯები 1938 წელს 80 მილიონ ლირას შეადგენდა). 1955 წელს

ქაღალდის ფული ბრუნვაში 10-ჯერ მეტი იყო, ვიდრე 1938 წელს. ფულის ფასის დაცემა მეტად მძიმედ დააწვა მშრომელებს.

თურქეთმა შეიარაღებაზე დახარჯა მთელი ვალუტისა და ოქროს ფონდი, რომელიც 1956 წელს 402 მილიონ თურქულ ლირას შეადგენდა, ვალუტის ფონდი — 180 მილიონ ლირას, ხოლო თურქეთის ვალუტურმა ვალდებულებებმა 720 მილიონ ლირას გადააჭარბა.

ამერიკის გენერლები, დიპლომატები, სენატორები თურქეთის ხშირი სტუმრები იყვნენ. ამერიკის გენერალმა რიჯუეიმ სამჯერ ინახულა თურქეთი. იგი იმყოფებოდა ყარსში, სარიყამიშში, არარატის მთაზე.

1953 წელს რიჯუეიმ თურქეთის მთავრობისაგან ატლანტიკური ბლოკისათვის მოითხოვა 18 დივიზია. ამერიკული ჟურნალი „ტაიმი" ამასთან დაკავშირებით წერდა, რომ თურქეთის თვითეული ჯარისკაცის შენახვა ამერიკის მთავრობას ხუთნახევარჯერ იაფად დაუჯდება, ვიდრე ამერიკელი ჯარისკაცის შენახვა. რიჯუეიმ განაცხადა, რომ მას მიაჩნია თურქეთის ჯარისკაცები „ყველაზე უფრო ვარგისად დასაელეთის იდეალების დასაცავად".

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ექსპანსიას თან სდევდა ეკონომიური ექსპანსიაც. 1951 წელს აშშ-ის მოთხოვნით მენდერესის მთავრობამ გაატარა მთელი რიგი ღონისძიებანი, რომლებიც დიდ შეღავათებს ანიჭებდნენ ამერიკის კაპიტალს. 1954 წლის იანვარში თურქეთის მეჯლისმა დაამტკიცა კანონი „უცხოეთის კაპიტალდაბანდებათა წახალისების შესახებ", რომელიც მოამზადა ამერიკის მისიამ რენდელის მეთაურობით. ამ კანონით გაუქმდა ყოველგვარი შეზღუდვები სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში ამერიკის კაპიტალის დაბანდების წინააღმდეგ.

1954 წლის მარტში „უცხოეთის კაპიტალდაბანდების წახალისების შესახებ" კანონი შეესებულ იქნა ნავთობის შესახებ გამოცემული კანონით, რომელიც ბღალავდა თურქეთის სახელმწიფოს ეროვნულ უფლებებს თურქეთის ნავთობის სიმდიდრეებზე. უცხოეთის კომპანიებს უფლება ეძლეოდათ ეწარმოებინათ თურქეთის ნავთობის ექსპლოატაცია ხელშეკრულების საფუძველზე. 40 წლის ვადით, აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ შესაძლებელი იყო ხელშეკრულების გაგრძელება კიდევ 20 წლით. ამ კანონის გამოცემის შემდეგ თურქეთის ნავთობის კვლევა და მოპოვება მოექცა ამერიკის ნავთობის ისეთი კომპანიების ხელში, როგორიცაა: „სოკონი ვაკუუმ ოილ კომპანი", „სტანდარტ ოილ კომპანი ოფ ნიუ-ჯერსი", „სტანდარტ ოილ ოფ კალიფორნია", „ტექსას ოილ კომპანი", „სინკერ ოილ" და სხვ.

1954 წლის 2 მაისს ჩატარდა თურქეთის მეჯლისის მორიგი არჩევნები. გაუკეთა რა მობილიზაცია სახელმწიფო აპარატს, დემოკრატიულმა პარტიამ გაიმარჯვა და ყველა მანდატის 95 პროცენტი მიიღო. თურქეთის მთავრობის პროამერიკული პოლიტიკა გაძლიერდა.

1954 წლის ბოლოს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მენდერესის მთავრობას თავს მოახვიეს ახალი შეთანხმებები; მათ საფუძველზე ამერიკული კომპანიები და ცალკეული ამერიკელი მოქალაქენი, რომლებიც სამეწარმეო საქმიანობას

ეწეოდნენ, თავისუფლდებოდნენ საგადასახადო დაბეგვრისაგან. 1954 წლის კანონის მიღების შემდეგ უცხოეთის კაპიტალის მოზიდვა თურქეთში საგრძნობლად გაძლიერდა და მან მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში 120 მილიონი ლირა შეადგინა.

მუშაობელთა მდგომარეობის გაუარესება

ამერიკის შეერთებული შტატები დაინტერესებული არ იყვნენ თურქეთის დამმუშავებელი მრეწველობის განვითარებით, და ინვენსტირებული სახსრები უმთავრესად საგზაო მშენებლობასა და სამხედრო მრეწველობაზე იხარჯებოდა. 1955 წელს სოფლის მეურნეობის პროდუქციამ სახალხო მეურნეობის მთელი პროდუქციის 83 პროცენტი შეადგინა ნაცვლად 1939 წლის 76 პროცენტისა. ხოლო მანქანათმშენებელი მრეწველობის წილმა ქვეყნის მთელი პროდუქციის მხოლოდ ორი პროცენტი შეადგინა.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ზრდა გამოიწვია მემამულეთა და უულაკურ მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო მანქანების შემოღებამ, სათესი ფართობის გადიდებამ და 1954 წლის კანონის საფუძველზე გლეხთა შორის სახელმწიფო მიწის განაწილებამ გამოსყიდვის წესით. ამან ხელი შეუწყო ქვეყნის მეურნეობის რამდენადმე აღორძინებას და სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის განვითარებას. მაგრამ, გლეხთა ძირითადი მასა დიდ გაჭირვებას განიცდიდა მიწის უქონლობისა და მისი სიმცირის გამო და იგი იძულებული იყო იჯარით აეღო მიწა ნახევრადფეოდალური მოზიარეობის საფუძველზე. უმიწაწყლო და მცირე მიწის მქონე გლეხთა წილად, რომლებიც სოფლის მოსახლეობის 86 პროცენტს შეადგენენ, მოდიოდა მთელი დასამუშავებელი მიწის მხოლოდ 28 პროცენტი, მემამულეთა წილად კი, რომლებიც სოფლის მოსახლეობის 2 პროცენტს შეადგენდნენ, — დასამუშავებელი მიწის თითქმის 50 პროცენტი.

გაზეთ „ვატანის“ ცნობით, თურქულ სოფლებში მეტად უნუგეშო მდგომარეობა იყო. „თურქეთში 40 ათასი სოფელია,—წერდა გაზეთი,—მაგრამ, ისეთი სოფლები კი, სადაც შეიძლება საექიმო დახმარება მიიღო, იპოვო ბებიაქალი, ან შეხვდე მასწავლებელს, თითზე ჩამოსათვლელია. იშვიათად შეხვდებით ადამიანს, რომელმაც ხელისმოწერა იცოდეს“.

თურქი გლეხობის მძიმე მდგომარეობა მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლებს იწვევდა. ამ გამოსვლებს თან სდევდა შეტაკებები მთავრობის ჯართან, პოლიციასთან, ჟანდარმერიასთან.

თურქეთის ქალაქებში დაიხურა ეროვნული საწარმოები, გაკოტრდნენ ხელოსნები, მთლიანად დაეცა ხალიჩისა და თამბაქოს წარმოება. ყოველივე ამის შედეგად გაიზარდა უმუშევრობა. მუშათა ხელფასი მეტად დაბალი იყო. მუშა ღებულობდა დღეში 3 ლირას, მაშინ როდესაც საარსებო მინიმუმი 13 ლირას შეადგენდა. მეორე მსოფლიო ომის დროს მიღებული კანონი, რომელიც საგანგებო რწმუნებას ანიჭებდა მთავრობას, ჯერ კიდევ არ იყო გაუქმებული; ამ კანონის ძალით მთელ რიგ მშენებლობაზე სამუშაო დღე 11 საათამდე გრძელდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ თურქეთში გაფიცვები კანონით აკრძალულია, მუშები ხშირად მიმართავენ გაფიცვებს და მოითხოვენ შრომის პირობების გაუმჯობესებას, 8-საათიან სამუშაო დღეს და ხელფასის მომატებას. ეკონომიურ მოთხოვნებს თან ერთვის პოლიტიკური მოთხოვნებიც, როგორც, მაგალითად: თურ-

ქვეთიდან ამერიკელების გაძევება, მთავრობის მიერ დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარება და სხვ.

მუშათა მოძრაობის აღმავლობასთან დაკავშირებით მთავრობამ რეპრესიები გააძლიერა: ჯერ კიდევ 1951 წლის დეკემბერში თურქეთის მეჯლისმა გადაწყვეტილება მიიღო სისხლის სამართლის კოდექსის 141-ე მუხლში ცვლილების შეტანის შესახებ; ამ ცვლილებებით დაწესდა პოლიტიკური დანაშაულისათვის უფრო მკაცრი სასჯელი თვით სიკვდილით დასჯამდეც. თავისი მმართველობის პირველი ხუთი წლის განმავლობაში დემოკრატიულმა პარტიამ 68 საპატიმრო ააშენა, გარდა არსებული 537-ისა. 1953 წელს სტამბოლში მოაწყეს 167 თურქი პატრიოტის სასამართლო პროცესი, რომლებსაც ბრალად ედებოდათ „კომუნისტური შეთქმულებების“ მოწყობა. 1954 წელს ჩატარდა პროცესი მშენებელ მუშათა პროფკავშირის 20 მოღვაწისა, რომლებსაც „კომუნისტურ პროპაგანდაში“ ედებოდათ ბრალი. თურქეთის კომუნისტური პარტია იძულებულია იატაკქვეშეთში იმუშაოს.

მეტად მძიმე მდგომარეობაში იყო თურქეთის ინტელიგენცია, რომელთა რიგებში დიდი უმუშევრობა იყო. მრეწველობისა და აგრეთვე საგანმანათლებლო და სამედიცინო ქსელის სუსტად განვითარების გამო უმაღლესი განათლების მქონე პირები მზად იყვნენ წასულიყვნენ ყოველგვარ სამუშაოზე.

თურქეთის ინტელიგენციის პროგრესული ნაწილი აქტიურად გამოდიოდა ამერიკელთა ბატონობისა და შინაგანი რეაქციის თავაშვებულობის წინააღმდეგ. სკოლებიდან დათხოვილი იქნა ათასობით პედაგოგი მათი „არაკეთილსაიმედობისა“ ან „მემარცხენე პარტიებისადმი“ ლოიალობის გამო.

ფენდერესის მთავრობის საგარეო პოლიტიკა 1950—55 წლებში

ორივე სახელმწიფოს შორის ნდობის დამყარების მიზნით საბჭოთა მთავრობამ 1953 წლის 30 მაისს თურქეთის მთავრობას აცნობა, რომ საბჭოთა კავშირს არავითარი ტერიტორიული პრეტენზია არა აქვს თურქეთთან და არც აქვს განზრახვა უგულებელყოს თურქეთის უფლებები შავი ზღვის სრუტეებზე. საბჭოთა კავშირის ამ ნაბიჯმა მხარდაჭერა ვერ ჰპოვა თურქეთის მმართველ წრეებში.

1954 წლის მარტში საბჭოთა მთავრობამ თურქეთის მთავრობის ყურადღება მიაპყრო იმ მტრულ მოქმედებას, რომელსაც თურქეთის მთავრობა იჩენდა მეზობელი ქვეყნების მიმართ. საბჭოთა მთავრობამ მიუთითა იმაზე, რომ მსგავს პოლიტიკას ზიანი მოაქვს საბჭოთა კავშირ-თურქეთის ურთიერთობისათვის. მაგრამ თურქეთის ხელისუფალნი განაგრძობდნენ წინანდელ პოზიციაზე დგომას.

1954 წლის აპრილში ხელმოწერილ იქნა თურქეთ-პაკისტანის პაქტი, როგორც პირველი რგოლი ბაღდადის პაქტისა. 1955 წლის თებერვალში ხელმოწერილ იქნა თურქეთ-ერაყის ხელშეკრულება, როგორც მეორე რგოლი ბაღდადის პაქტისა. თურქეთ-ერაყის ხელშეკრულების განსაკუთრებული მუხლი ითვალისწინებდა მისადმი სხვა სახელმწიფოების შეერთებას. მხედველობაში ჰქონდათ ამ პაქტისადმი პირველ რიგში არაბეთის სახელმწიფოების შეერთება.

ამ მიზნით თურქეთმა შექმნა დაძაბული მდგომარეობა თურქეთ-სირიის საზღვარზე. მაგრამ სირია არ შეუშინდა თურქეთის მუქარას.

არ გაუმართლდა თურქეთს ამერიკიდან 300 მილიონი დოლარის სესხად მიღების იმედი.

უშედეგო აღმოჩნდა თურქი დეპუტატებისა და გაზეთების ცდა, რომ მოეგონებინათ ამერიკელთათვის თურქეთის „დამსახურება“ კორეაში, ბაღდადის ბლოკის შექმნაში და სხვ. ამერიკის შეერთებული შტატების თვალში თურქეთმა დაკარგა ავტორიტეტი, ამერიკის ექსპორტიორები თავს არიდებდნენ თურქეთის ბაზარზე თავიანთი საქონლის გაყიდვას. თურქეთში დაიწყო საქონლის შიმშილი. პირველი მოხმარების საგნებზე ფასები დიდად გაიზარდა.

1955 წლის თებერვალში სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ ურთიერთგაცნობისა და სხვადასხვა ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაფართოების მიზნით მოწოდებით მიმართა მსოფლიოს ყველა პარლამენტს, მათ შორის თურქეთის მეჯლისსაც და მოიწვია მათი დელეგაციები საბჭოთა კავშირში. თურქეთის მეჯლისმა ვერ გამოიყენა ეს შესაძლებლობა. პირიქით, ანტისაბჭოთა და ანტიკომუნისტური ისტერია თურქეთში იმ ზომამდე იქნა აყვანილი, რომ თვით თურქულმა გაზეთმა „ჯუმჰურუტმა“ განგაში ატეხა თურქეთში მაკარტიზმის გავრცელების გამო.

თურქეთის პროგრესული ელემენტების და აზიისა და აფრიკის ყველა სხვა ქვეყნის საზოგადოებრიობის დიდი აღშფოთება გამოიწვია პროამერიკულმა პოზიციამ, რომელიც თურქეთის დელეგაციამ დაიკავა ბანდუნგის კონფერენციაზე. მშვიდობის მოგვარების მაგიერ თურქეთის დელეგატმა წინადადება შეიტანა გამართულიყო მსჯელობა იმის შესახებ, თუ რომელ ქვეყანაშია თავისუფლება და რომელში არ არის იგი.

1955 წლის 6 სექტემბერს, ღამით, სტამბოლში ადგილი ჰქონდა ბერძნების დარბევას, რის შედეგადაც დაზარალდა ბერძნების 4000 მაღაზია, ბერძნული გაზეთების შენობები, ბერძნული ეკლესიები და სხვ. იყო ადამიანის მსხვერპლიც. დარბევა გამოიწვია პროინგლისურმა პოზიციამ, რომელსაც თურქეთის პრემიერი მენდერესი ატარებდა კვიპროსის საკითხში. ამ დარბევათა შედეგად გამწვავდა თურქეთ-საბერძნეთის ურთიერთობა.

პარტია „ჯუმჰურიეთის“ დაარსება

დიდმა ეკონომიურმა სიძნელეებმა და თურქეთის მთავრობის მიერ ქვეყნის ეროვნული ინტერესებისადმი გულგრილობის გამოჩენამ მღელვარება გამოიწვიეს მმართველი დემოკრატიული პარტიის რიგებშიაც კი. მენდერესმა სცადა გასწორებოდა ოპოზიციას თავისი საკუთარი პარტიის შიგნით და ამ მიზნით გარიცხა პარტიიდან ოპოზიციის ლიდერები. 1955 წლის ოქტომბერში მეჯლისის დეპუტატთა ჯგუფი ცხრამეტი კაცის შემადგენლობით გავიდა დემოკრატიული პარტიიდან.

1955 წლის 29 ნოემბერს დაიწყო მთავრობის კრიზისი. დემოკრატიული პარტიის საპარლამენტო ფრაქციამ წინადადება მისცა საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელს ზორლს, ეკონომიკისა და ვაჭრობის მინისტრს ირჯალის და ფინანსთა მინისტრს პოლატკანს—გადამდგარიყვნენ პოსტებიდან. ამის გამო ყველა მინისტრმა შეიტანა განცხადება გადადგომის შესახებ. მენდერესის ცდა — შეენარჩუნებინა მთავრობა და ახალი შემადგენლობით შეეცვალა გადამდგარი მინისტრები — ჩაიფუშა. მეჯლისის დეპუტატებმა უარი განაცხადეს მათთვის შეთავაზებული პოსტების დაკავებაზე. პირველ დეკემბერს გადადგა თვით მენდერესიც.

მთავრობის კრიზისი 12 დღეს გაგრძელდა. ბოლოს, ისევ მენდერესმა ჩამოა-

ყალიბა ახალი მთავრობა. მაგრამ „19-ის ჯგუფმა“, რომელიც დემოკრატიულ პარტიიდან გავიდა, ახალი პარტია ჩამოაყალიბა „ჰურიეთის“ სახელწოდებით („თავისუფლების პარტია“). მესამე პარტიის დაარსება ორპარტიული ბურჟუაზიული სისტემის კრიზისს მოწმობდა.

თურქეთი და სსრ კავშირი

თურქეთის საზოგადოებრიობის პროგრესული ნაწილი განწყობილი იყო საბჭოთა კავშირთან კეთილმეზობლური ურთიერთობის სულისკვეთებით, ამასთან ლოზუნგი — „უკან ათათურქისაკენ“—სულ უფრო მეტ პოპულარობას პოულობდა. თურქეთის პროგრესული პრესა თავის ფურცლებზე ხშირად მსჯელობდა ამ საკითხებზე, იმაზე, თუ რა პირობებში შეიძლებოდა თურქეთ-საბჭოთა კავშირის კარგი ურთიერთობის აღდგენა. თურქეთის პრესის აზრით, დასავლეთის სახელმწიფოების ბლოკში თურქეთის მონაწილეობაც კი არ შეიძლება წარმოადგენდეს გადაულახავ დაბრკოლებას საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკების საქმეში.

თურქეთის საზოგადოებრიობის ეს ნაწილი დიდ იმედებს ამყარებდა საბჭოთა კავშირთან ფართო სავაჭრო შეთანხმებების დადების შესაძლებლობაზე. როგორც ცნობილია, მტკიცე ეკონომიური ურთიერთობა, რომელიც ათათურქის დროს სსრ კავშირსა და თურქეთს შორის არსებობდა, დიდად სასარგებლო იყო თურქეთის ეკონომიკისათვის. თურქეთის პროგრესული საზოგადოებრიობის აზრით, თურქეთისათვის დადებითი მნიშვნელობა ექნებოდა იმ ფართო ურთიერთობას, რომელსაც საბჭოთა კავშირი ამყარებს სხვადასხვა ქვეყნებთან ეკონომიურ, ტექნიკურ და კულტურულ დარგებში თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთსარგებლიანობის საფუძველზე.

თურქეთის საზოგადოებრიობამ დიდი ყურადღება მიაქცია დეპეშების გაცვლას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვსა და თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ ჯელალ ბაიარს შორის „მეგობრობასა და ძმობაზე“ თურქეთსა და საბჭოთა კავშირს შორის ხელმოწერილი ხელშეკრულების 35 წლის თავთან დაკავშირებით. თურქეთის ის პოლიტიკური მოღვაწეები, რომლებსაც შერჩათ უნარი ფხიზლად და ობიექტურად გაერკვიონ პოლიტიკურ ვითარებაში, ამჩნევდნენ საბჭოთა კავშირის მეგობრულ აქტებში თურქეთის უშიშროების გარანტიას და გულწრფელ სურვილებს—დაემყარებინათ მეგობრული ურთიერთობა თურქეთთან.

მაგრამ ამის დანახვა არ სურდათ თურქეთის იმ მოღვაწეებს, რომლებმაც ამერიკის იმპერიალიზმს დაუკავშირეს თავიანთი ქვეყნის ბედი. იმის შიშით, რომ შემდგომ არ გაფართოებულიყო საზოგადოებრივი მოძრაობა მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ და საბჭოთა კავშირთან მეგობრული ურთიერთობის ნორმალიზაციის სასარგებლოდ, თურქეთის მმართველმა წრეებმა მიმართეს „ხმის ჩაწყვეტინების“ პოლიტიკას. 1956 წლის თებერვალში მენდერესმა, კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ მეჯლისში გაატარა კანონი, რომელიც კრძალავდა ყოველგვარი კრებებისა და დემონსტრაციების ჩატარებას ხელისუფლების სპეციალური ნებართვის გარეშე, გარდა წინასაარჩევნო კამპანიებისა, რომლებიც განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში ტარდება. 1957 წლის ივნისში მენდერესის მთავრობა არ გამოეხმაურა საბჭოთა კავშირის მთავრობის მეგობრულ მიმართვას

ორივე ქვეყნის სახელმწიფო მოღვაწეთა შორის პირადი კონტაქტების დამყარების შესახებ მაღალ დონეზე საბჭოთა კავშირსა და თურქეთს შორის ნამდვილი გულწრფელი კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარების მიზნით.

იმპერიალისტური აგრესია ახლო და შუა აღმოსავლეთში 1957 წელს და თურქეთი

„ეიზენჰაუერის დოქტრინას", რომელიც ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების სუვერენიტეტის წინააღმდეგ იყო მიმართული, თურქეთმა დაუჭირა მხარი. 1957 წლის სექტემბერში თურქეთი აშშ-ის იარაღად გამოვიდა სირიის წინააღმდეგ მომზადებულ აგრესიაში და თავი მოუყარა სირიის საზღვარზე დიდ შეიარაღებულ ძალებს, რომლებიც ხატაის მოძრავი ჯარის ჯგუფის სახელწოდებითაა ცნობილი. იგი თავის რიგებში ითვლის 100 ათას მეომარს 700 ტანკითა და თვითმავალი საარტილერიო დანადგარებით. თურქეთის გენერალური შტაბის მიერ ამერიკელ მრჩეველებთან ერთად დამუშავებულ იქნა სირიის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედების ოპერატიული გეგმა.

შექმნილი მდგომარეობით შეშფოთებულმა და ახლო და შუა აღმოსავლეთში მშვიდობის შენარჩუნებით დაინტერესებულმა საბჭოთა კავშირმა 1957 წლის 10 სექტემბერს მიუთითა თურქეთს, რომელთანაც მას კარგი მეგობრული ურთიერთობის შენარჩუნების სურვილები ამოძრავებდა, რომ თურქეთი მხოლოდ დიდ უბედურებას მოუტანდა თავის თავს, თუ იგი იხელმძღვანელებდა იმ უცხო წრეების რჩევით, რომლებიც სრულებით არ არიან დაინტერესებული ახლო და შუა აღმოსავლეთში მშვიდობის შენარჩუნებით და რომლებიც მხოლოდ თავიანთი მოგებისათვის იღწვიან.

თურქეთის პოლიტიკამ იმდენად ავანტურისტული და ანტისახალხო ხასიათი მიიღო, რომ ადგილი ჰქონდა თურქეთის უმაღლესი სამხედრო ხელმძღვანელების ჯგუფურად გადადგომას სამსახურიდან — თურქეთის გენერალური შტაბის უფროსის ტუნაბოილუს მეთაურობით. თურქეთის პროგრესული პოლიტიკური წრეები, მოუწოდებდნენ მთავრობას უარი ეთქვათ ავანტიურაზე. ამასთანავე თურქეთის მთავრობას განზრახვა არ ჰქონდა ნებაყოფლობით ჩამოშორებოდა აგრესიის ძალებთან თანამშრომლობას. საბჭოთა მთავრობის წერილზე გამოგზავნილ პასუხში თურქეთის პრემიერ-მინისტრი მენდერესი ცდილობდა გაემართლებინა კოლონიურ სახელმწიფოთა პოლიტიკა ახლო და შუა აღმოსავლეთში, აგრეთვე დაწოლის მოხდენისა და მუქარის ის მეთოდები, რომლებსაც აშშ და თურქეთი იყენებდნენ სირიის მიმართ. ამ პასუხში მენდერესი საბჭოთა კავშირთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარების პირობად აყენებდა იმის მოთხოვნას, რომ საბჭოთა კავშირს ხელი აეღო მხარდაჭერისაგან იმ სამართლიანი ბრძოლის საქმეში, რასაც არაბი ხალხი ეწევა კოლონიზატორთა წინააღმდეგ თავისი დამოუკიდებლობისათვის.

საკითხი სირიის დამოუკიდებლობისადმი მუქარების შესახებ აშშ და თურქეთის სურვილის წინააღმდეგ დაისვა და მსჯელობის საგნად გახდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XII სესიაზე. სირიის წინააღმდეგ მომზადებული აგრესიის საწინააღმდეგოდ მობილიზებულ იქნა მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი. ცხადი იყო, რომ საბჭოთა კავშირი არ დარჩებოდა გულგრილი მაყურებელი მშვიდობის დამრღვევეთა მიმართ, ამიტომ აგრესორებმა ამჯობინეს დროებით უკან დაეხიათ.

არჩევნები თურქეთის პარლამენტში 1957 წლის ოქტომბერში. მენდერესის ახალი მთავრობა

1957 წლის 27 ოქტომბერს თურქეთში ჩატარდა პარლამენტის არჩევნები, რომელიც დაძაბულ ვითარებაში მიმდინარეობდა; ეს სირიის წინააღმდეგ მომზადებულ აგრესიაში თურქეთის მონაწილეობით იყო გამოწვეული. ოპოზიციურმა სახალხო-რესპუბლიკურმა პარტიამ მნიშვნელოვნად გაადიდა თავისი მანდატების რიცხვი.

არჩევნებზე გავლენა მოახდინა რესპუბლიკელთა საღმა საგარეოპოლიტიკურმა პოზიციამ, რომლებმაც დაგმეს თურქეთის ჯარების საშიში მანევრები სირიის საზღვარზე.

სახალხო-რესპუბლიკურმა პარტიამ ბრალი დასდო მმართველ პარტიას საარჩევნო კანონის დარღვევაში და მოითხოვა არჩევნების ხელახლა ჩატარება, მათ შორის სტამბოლშიც. ამის ნიადაგზე თურქეთის ბევრ რაიონში (სტამბოლი, მერსინა, გაზი-ანტეპი და სხვ.) მოხდა სისხლიანი შეტაკება სახალხო-რესპუბლიკური პარტიისა და დემოკრატიული პარტიის მომხრეებს შორის.

არჩევნების შემდეგ მენდერესმა დიდხანს ვერ შეძლო მთავრობის ჩამოყალიბება იმ უთანხმოების გამო, რომელიც წარმოიშვა დემოკრატიული პარტიის საპარლამენტო ჯგუფში. მმართველი პარტიის ზომიერი წევრები აშკარად გამოდიოდნენ მთავრობის ავანტურისტული პოლიტიკის წინააღმდეგ.

მენდერესის ახალი მთავრობა წინანდელ პოლიტიკას განაგრძობდა. 1957 წლის დეკემბერში თურქეთი მონაწილეობდა ჩრდილოატლანტიკური ბლოკის პარიზის სესიაში. მენდერესის მთავრობა, მიუხედავად საბჭოთა მთავრობის მხრივ მეგობრული გაფრთხილებისა, თავგამოდებით გამოვიდა იმის მომხრედ, რომ თურქეთის ტერიტორიაზე შექმნილიყო ბაზები ამერიკული რაკეტული იარაღისათვის.

1958 წლის ზაფხულში თურქეთი თანამონაწილე იყო ამერიკული ინტერვენციისა ლიბანის წინააღმდეგ და პროვოკაციებისა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წინააღმდეგ. თურქეთის ჯარი დიდი რაოდენობით დაბანაკდა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სირიის რაიონის საზღვარზე; თურქეთის ნავსადგურებსა და საჰაერო სადგურებს იყენებდა ამერიკელთა სარდლობა ლიბანის ტერიტორიაზე ჯარების გადასასროლად. მას შემდეგ, რაც რევოლუცია მოხდა ერაყში, თურქეთის მთავრობამ მტრული მიზნებით განალაგა თავისი ძალები ერაყის რესპუბლიკის საზღვრებზე და 1959 წლის დასაწყისში ხელი მოაწერა აშშ-თან ორმხრივ სამხედრო შეთანხმებას, რომელიც ანალოგიურია ირანთან დადებული შეთანხმებისა.

იმ მძიმე ეკონომიური მდგომარეობის გამო, რაც გამოწვეულია აგრესიულ ბლოკებსა და ახლო აღმოსავლეთის პროვოკაციებში თურქეთის მონაწილეობით, თურქეთის მთავრობა არაერთხელ სთხოვდა აშშ სესხს. 1958 წლის ნოემბერში აშშ-მა სესხად მიაწოდეს თურქეთს 359 მილიონი დოლარი. ამერიკული პრესა მიუთითებდა, რომ სესხი მისცეს თურქეთს იმ როლთან დაკავშირებით, რომელიც თურქეთმა უნდა შეასრულოს არაბულ აღმოსავლეთში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ დასავლეთის სახელმწიფოების ბრძოლაში. თურქულ გაზეთ „ულუსის" ცნობით, სესხის შესახებ შეთანხმებაში შეტანილი იყო სპეციალური პუნქტი, რომელიც „უფლებას აძლევდა" ვაშინგტონს „კონტროლი გაეწია სახსრების ხარჯვისათვის". გარდა ამისა, როგორც თურ-

ქული ჟურნალი „ასკისი" იტყობინებოდა, აშშ-მა მიაღწიეს იმას, რომ თურქეთმა უნდა შეამციროს თავისი კაპიტალდაბანდებანი ეროვნულ საწარმოთა მშენებლობაში. ამგვარად, სესხის საფასურით ვაშინგტონმა მიაღწია ამერიკის შეერთებული შტატებისაგან თურქეთის დამოკიდებულების გაძლიერებას.

მენდერესის პოლიტიკა სულ უფრო მეტ ოპოზიციას იწვევს თურქეთის საზოგადოებრიობის მხრივ.

ი ა პ ო ნ ი ა

იაპონია კაპიტულაციის შემდეგ

ანტიფაშისტური კოალიციის ერთობლივ ღონისძიებათა შედეგად 1945 წლის 2 სექტემბერს იაპონიამ კაპიტულაცია მოახდინა. მას ჩამოერთვა მის მიერ მიტაცებული ყველა კოლონია. იაპონიის ოკუპაცია მოახდინეს ამერიკის ჯარებმა.

იმ მიზნით, რომ არ ყოფილიყო დაშვებული აგრესიის გახმეორების შესაძლებლობა იაპონიის მხრივ, პოტსდამის დეკლარაცია ითვალისწინებდა იაპონიის გადაქცევას დამოუკიდებელ მშვიდობისმოყვარე დემოკრატიულ საბელმწიფოდ, რომელიც მშვიდობიანი სამეურნეო განვითარების და ყველა ქვეყანასთან ნორმალური სავაჭრო და პოლიტიკური ურთიერთობის გზას დაადგებოდა. იაპონიის მთელი ისტორიის მანძილზე მხოლოდ პირველად იქნა გამოცხადებული ხალხის დემოკრატიული უფლებები.

მაგრამ იაპონიის ოკუპაციის პირველივე დღეებიდან აშკარად დასანახი გახდა აშშ-ის მისწრაფება არ დაუშვას ქვეყნის დემოკრატიზაცია, ხელისუფლების სათავეში დაეტოვებია იაპონიის ბურჟუაზიის ყველაზე უფრო რეაქციული წრეები. ოკუპანტებმა ტახტზე დატოვეს იმპერატორი ხიროხიტო, ხოლო იაპონიის ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ოკუპანტთა კონტროლქვეშ ბატონობდნენ იაპონური მონოპოლიები.

მართალია, იაპონიის მონოპოლიების მხრივ კონკურენციის შესუსტების მიზნით აშშ-მა მოახდინეს იაპონიის მსხვილი ფირმების ერთგვარი დაქუცმაცება, მაგრამ მალე ასეთი ღონისძიებები ჩაშლილ იქნა იაპონიის მონოპოლისტების მიერ, რომლებმაც თავიანთი ამერიკელი პარტნიორები აიძულეს დათმობაზე წასულიყვნენ.

იაპონიის სახალხო მეურნეობა წინანდებურად ხასიათდებოდა წარმოების მაღალი კონცენტრაციით, განსაკუთრებით დამმუშავებელი მრეწველობის დარგებში, მაგალითად, ნავთობგადამმუშავებელ, მეტალურგიულ, ქიმიურ, ელექტროტექნიკურ, ქაღალდისა და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის დარგებში. ამასთან ერთად იაპონიაში, ისე როგორც ომამდელ წლებში, არსებობას განაგრძობდა ასეულები ათასობით წვრილი და უწვრილესი საწარმო.

იაპონიის ბანკებს არავითარი ცვლილებები არ განუცდიათ, ამ მდგომარეობის გამოყენებით იაპონელმა მონოპოლისტებმა ბანკები ქვეყნის ეკონომიკასა და პოლიტიკაზე თავიანთი კონტროლის ერთ-ერთ ბერკეტად გადააქციეს.

ქვეყნის ეკონომიკაში პოზიციების შენარჩუნებით და საკუთარი ინტერესებისათვის სახელმწიფო აპარატის გამოყენებით იაპონელი მილიტარისტები დიდ მოგებებს ნახულობდნენ მშრომელი ხალხის ექსპლოატაციისა და სამხედრო წარ-

მოების მოწყობასა და განვითარებისაგან. ასეთ პირობებში იაპონია კვლავ ადგებოდა გასაღების საგარეო ბაზრების, ნედლეულის წყაროებისა და კაპიტალის გამოყენების სფეროთა დაპყრობისათვის ბრძოლის გზას, საგარეო-ეკონომიური ექსპანსიის განახლების გზას.

მაკარტურის „რეფორმები"

კაპიტულაციის შემდეგ იაპონიის ფაქტიური ბატონ-პატრონი ამერიკის მოკუპირებელი ჯარების სარდალი გენერალი მაკარტური გახდა. მოკუპირებელი ხელისუფალნი შეეცადნენ პირველ რიგში განემტკიცებინათ იაპონიის სახელმწიფო აპარატი და ერთდროულად თვალის ასახვევად შეექმნათ შთაბეჭდილება, თითქოს ატარებდნენ დემოკრატიულ რეფორმებს. ამასთან დაკავშირებით, მაკარტურის მიერ იაპონიის მთავრობისადმი მიცემული ერთ-ერთი პირველი დავალება იყო დირექტივა მსხვილი მონოპოლიების „ლიკვიდაციის" შესახებ. მაგრამ კომისია, რომელიც შეიქმნა ამ დირექტივების ცხოვრებაში გასატარებლად, დაყენებული იყო იმ მონოპოლიათა მიერ, ვინც „ლიკვიდირებულ" უხდა ყოფილიყვნენ.

მაკარტურის მეორე დირექტივა ეხებოდა იაპონიის დაწესებულებებისა და საწარმოების გაწმენდას იმ პირებისაგან, რომლებიც წარსულში ფაშისტურ მილიტარისტულ საქმიანობას ეწეოდნენ. მაგრამ ეს საქმეც მიანდვეს ისეთ კომისიას, რომელიც სამხედრო დამნაშავეებისა და მათი ხელისშემწყობი პირებისაგან შედგებოდა.

ამერიკელ მოკუპირებელ ხელისუფალთა შემდგომ ღონისძიებებს შეადგენდა აგრარული რეფორმა, რომელიც იმით შემოიფარგლა, რომ დაწესა მიწათსარგებლობის „ზღვრული ნორმა". მემამულეთა და კულაკების ჭარბი მიწები სახელმწიფოს უნდა გამოესყიდა და მალალ ფასებში მიეყიდა გლეხობისათვის. აქაზე მემამულეებმა იმით უპასუხეს, რომ თაეიანთ ნათესავებს გადასცეს ნამეტი მიწები და, ამგვარად, რეფორმა ჰაერზე გამოკიდებული დარჩა. ამრიგად, იაპონიაში ყველაფერი ძველებურად რჩებოდა.

აშშ-ის მთავრობის უარი იაპონიის ოკუპაციაში საერთაშორისო თანამშრომლობაზე

.იაპონიის მიმართ მოკავშირე სახელმწიფოთა პოლიტიკა განსაზღვრული იყო 1945 წლის 26 ივლისს ხელმოწერილი პოტსდამის დეკლარაციით. ამ დეკლარაციით იაპონია უნდა განთავისუფლებულიყო იმათი ხელისუფლებისა და გავლენისაგან, რომლებმაც ქვეყანა აგრესიულ ომში ჩაითრიეს.

1945 წლის დეკემბერს სსრ კავშირის, აშშ-ისა და ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრების მოსკოვის თათბირზე გადაწყდა შეექმნათ შორეული აღმოსავლეთის კომისია ვაშინგტონში და იაპონიისათვის სამოკავშირეო საბჭო ტოკიოში. შორეული აღმოსავლეთის კომისიის შემადგენლობა განისაზღვრა 11 სახელმწიფოს წარმომადგენლით; იგი სადირექტივო ორგანო უნდა ყოფილიყო. სამოკავშირეო საბჭო კი შეიქმნა სსრ კავშირის, აშშ-ის, ინგლისისა და ჩინეთის წარმომადგენელთა შემადგენლობით დირექტივების შესრულების მეთვალყურეობის გასაწევად. შორეული აღმოსავლეთის კომისიას თავის დადგენილებათა გამოტანა შეეძლო სსრ კავშირის, აშშ-ის და ინგლისის წარმომადგენელთა ერთხმივობის პრინციპის დაცვით. ამერიკის მოკუპირებელ ხელისუფალთა განკარგულების შეჩერება შეეძლებოდა მომხდარიყო სამოკავშირეო საბჭოს

ყოველი წევრის მოთხოვნით; საკითხი კი გადასაწყვეტად უნდა გადაეცათ შორეული აღმოსავლეთის კომისიისათვის.

მაგრამ აშშ უარი განაცხადეს საერთაშორისო თანამშრომლობაზე, რომელიც მოსკოვის გადაწყვეტილებებით იყო გათვალისწინებული, და ერთპიროვნულად გამგებლობდნენ ოკუპირებულ იაპონიაში.

1946 წლის კონსტიტუცია

1946 წელს იაპონიაში მიღებულ იქნა კონსტიტუცია, რომელიც არაფრით განსხვავდებოდა 1889 წლის კონსტიტუციისაგან. ის ძალაში ტოვებდა მონარქიულ წყობილებას იმპერატორის მეთაურობით; მაგრამ იმპერატორის ძალაუფლება შეზღუდული იყო. იგი ახლა სახელმწიფოს მეთაური კი არ იყო, არამედ მხოლოდ „ერის ერთიანობის სიმბოლო". კონსტიტუცია მაკარტურის მიერ იყო ნაკარნახევი. მონარქია ყველა რეაქციულ ძალთა ცენტრად და იაპონიის მილიტარიზმის აღდგენის დროშად რჩებოდა იაპონიაში. რეაქციამ შესაძლებლობა მიიღო მომავალშიც გამოიყენოს მონარქია თავისი ძალების სამობილიზაციოდ.

მონარქიული წესწყობილება დაეხმარა იაპონიელ მონოპოლისტებს შეენარჩუნებინათ თავიანთი ძველი პოზიციები ქვეყნის ეკონომიკასა და პოლიტიკაში და საბოტაჟი გამოეცხადებინათ პოტსდამის გადაწყვეტილებებისათვის. იაპონიის არმია და ფლოტი მხოლოდ ფორმალურად იქნა დემობილიზებული. არმიის პირადი შემადგენლობა შენარჩუნებულ იქნა სხვადასხვაგვარი პოლიციების სახით (სატყეო, სასოფლო-სამეურნეო, საზღვაო და სხვ.), ოფიცერთა კორპუსმა უკეთესი დროის მოლოდინში თავშესაფარი ჰპოვა ამერიკის შტატის დაწესებულებებში. რეპარაციული გადასახდელებისათვის სამხედრო საწარმოთა დემონტაჟი შეწყვეტილ იქნა. 1948 წელს აღდგენილ იქნა იაპონიის სამხედრო-საზღვაო ბაზები და დაიწყო ახალი პაეროდრომების მშენებლობა. ამერიკელ ოკუპანტთა მფარველობით მიმდინარეობდა იაპონიის რემილიტარიზაციის სწრაფი პროცესი.

იაპონიის ძველი ბურჟუაზიულ-მემამულური რეაქციული პარტიები სეიუკაი და მინსეიტო ახალი დემოკრატიული იარლიკებით გამოეიდნენ. ასე, მაგალითად, ყოფილმა მინსეიტოველებმა და სეიუკაის პარტიის ყველაზე რეაქციულ მოღვაწეთა ნაწილმა შექმნეს ეგრეთწოდებული „პროგრესული პარტია" (სიმპოტო). პარტია სეიუკაის დანარჩენმა წევრებმა შექმნეს რეაქციული „ლიბერალური პარტია" (ძიიუტო).

სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყოფილმა წევრებმა პარტია „ნიხონ მუსანტოს" მემარცხენე წევრებთან ერთად შექმნეს პარტია „სიაკაიტო", რომელმაც წამოაყენა ლოზუნგი „სოციალიზმის აშენება იმპერატორის შენარჩუნებით".

მუშათა მოძრაობა იაპონიაში, იაპონიის კომუნისტური პარტია

მეორე მსოფლიო ომამდე მუშათა მოძრაობა იაპონიაში სუსტად იყო განვითარებული. განვითარების სტიმული მან იაპონიის იმპერიალიზმის დამარცხების შემდეგ მიიღო. 1946 წლის დასაწყისისათვის იაპონიის პროფკავშირები უკვე 4 მილიონამდე მუშას აერთიანებდნენ. არსებობდა პროფკავშირის ორი ცენტრი, რომელთაგან საწარმოო პროფკავშირთა კონგრესი 1,5 მილიონ წევრს ითვლიდა და კომუნისტური პარტიის გავლენაში იმყოფებოდა. პროფკავშირი — იაპო-

ნიის შრომის ფედერაცია — 900 ათას წევრს ითვლიდა და მემარჯვენე სოციალისტთა გავლენაში იმყოფებოდა.

იაპონიის დამარცხების შემდეგ კომუნისტური პარტია იატაკქვეშეთიდან გამოვიდა და პოტსდამის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად იბრძოდა. კომუნისტური პარტიის რიგები სწრაფად იზრდებოდა. 1947 წლისათვის ეს პარტია 100 ათას წევრს ითვლიდა, მაშინ როდესაც 1945 წლის ოქტომბრისათვის მასში მხოლოდ 300 წევრი იყო და 1946 წელს კი 25 ათასი.

კომუნისტურმა პარტიამ წამოაყენა პოტსდამის დეკლარაციის სრული რეალიზაციის, სამხედრო დამნაშავეთა დასჯის, მონარქიის ლიკვიდაციისა და რესპუბლიკური წყობილების შემოღების მოთხოვნა. მან გამოაქვეყნა სამხედრო დამნაშავეთა სია, რომლებიც ანტიხალხური, მილიტარისტული და ფაშისტური საქმიანობისათვის სასამართლოზე უნდა გადაცემულიყვნენ. პირველი ამ სიაში შეტანილი იყო იაპონიის იმპერატორი ხიროხიტო.

ამ პერიოდში აშშ-ის მაოკუპირებელი ხელისუფალნი ჯერ კიდევ ვერ ბედავდნენ აშკარად შეეშალათ ხელი კომუნისტთა პოლიტიკური მოღვაწეობისათვის, თუმცა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მუშათა კლასი იბრძოდა ამერიკელ დამპყრობთა და იაპონიის რეაქციის წინააღმდეგ. 1946 წლის 1 მაისს ტოკიოში გაიმართა დემონსტრაცია, რომელშიც 500 ათასმა კაცმა მიიღო მონაწილეობა. 19 მაისს ახალ დემონსტრაციას ჰქონდა ადგილი, რომელიც მოითხოვდა მშრომელთა სურსათით მომარაგების გაუმჯობესებას. მაკარტურმა სასწრაფოდ გამოაქვეყნა გამაფრთხილებელი განკარგულება სოციალური ბრძოლის აკრძალვის შესახებ.

მაგრამ, მაკარტურის გაფრთხილების მიუხედავად, 1946 წელს გაფიცვებში 3,5 მილიონი მუშა იღებდა მონაწილეობას. უმუშევართა და ნახევრად უმუშევართა რიცხვმა 8 მილიონს მიაღწია.

1947 წლის 1 თებერვალს საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადეს იაპონიის პროფკავშირებმა, რომლებსაც კომუნისტები ხელმძღვანელობდნენ. მუშები მოითხოვდნენ ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას და რეაქციული მთავრობის დამხობას. მაკარტურმა გაფიცვა აკრძალა.

1947 წელს შედგა კომუნისტური პარტიის VI ყრილობა, რომელმაც მიიღო დადგენილება ეროვნული ფრონტის შექმნის შესახებ, რომელიც გაერთიანებდა ხალხის ფართო მასებს — მუშებს, გლეხებს, აგრეთვე წვრილ და საშუალო მწარმოებლებს. ეროვნული ფრონტის წინაშე ისახებოდა ამოცანა — ებრძოლა იაპონიის დამოუკიდებლობისათვის, აშშ-ის კოლონიად მისი გადაქცევის წინააღმდეგ და ქვეყნის ეკონომიური აღდგენისათვის.

ამ დროისათვის პროფკავშირთა ორგანიზაციები უკვე 6 მილიონ წევრს ითვლიდნენ, გლეხთა გაერთიანებებში კი მთელი გლეხური მეურნეობების დაახლოებით ერთი მეოთხედი შედიოდა.

ამერიკელი ოკუპანტებისა და იაპონიის რეაქციის თარეში

1948 წლისათვის იაპონიის შინაპოლიტიკური მდგომარეობა გამწვავდა. იაპონიაში მიმდინარეობდა ფაშისტური და მილიტარისტული ორგანიზაციების აღდგენა, პირდაპირი კონტაქტი მყარდებოდა იაპონიისა და ამერიკის მონოპოლიებს შორის. 1948 წელს აშშ-ებმა გამოაცხადეს იაპონიისაგან სარეპარაციო გადასახადთა აღების შეწყვეტა.

სარგებლობდნენ რა მაოკუპირებელ ხელისუფალთა მფარველობით, იაპონელმა ფაშისტებმა მთელი რიგი თავდასხმები მოაწყვეს მუშათა მოძრაობის ხელმძღვანელობაზე. 1948 წლის ზაფხულში თავს დაესხნენ იაპონიის კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივანს ტოკუდას. კომუნისტური პარტიის ზოგიერთი ხელმძღვანელი სამართალში მისცეს. ამერიკის ჯარები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ მუშათა გამოსვლების დათრგუნვაში.

1948 წლის დეკემბერში გამოქვეყნდა აშშ-ის მთავრობის დირექტივა „იაპონიის ეკონომიური სტაბილიზაციის შესახებ"; იგი ითვალისწინებდა იაპონიის მრეწველობის იმ დარგების ლიკვიდაციას, რომლებიც ხელს უშლიდნენ იაპონიაში ამერიკის მონოპოლიების შეღწევას.

რეაქციის წინააღმდეგ კომუნისტური პარტიის მიერ წარმოებულმა თავგანწირულმა ბრძოლამ აამაღლა პარტიის ავტორიტეტი ხალხთა მასებში, რის შედეგადაც პარლამენტის არჩევნებში 1949 წელს კომუნისტურმა პარტიამ 36 მანდატი მიიღო, მაშინ როდესაც წინა წლებში შედარებით ბევრად ნაკლებ მანდატებს ღებულობდა (1947 წელს — 4 მანდატი, 1946 წელს — 5). მოოკუპირებელმა ხელისუფლებამ ახალი ლაშქრობა მოაწყვეს იაპონელი კომუნისტების წინააღმდეგ. 1950 წლის ივნისში მაკარტურმა წინადადება მისცა იაპონიის პრემიერს იოსიდას იაპონიის კომუნისტური პარტიის 24 ხელმძღვანელი მოღვაწისა და იაპონიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანოს გაზეთ „აკახატას" 17 პასუხისმგებელი მუშაკისათვის აეკრძალა პოლიტიკური მოღვაწეობა. პარლამენტის 7 დეპუტატს აეკრძალა პარლამენტის მუშაობაში მონაწილეობის მიღება.

გრძელდებოდა იაპონიის გაძლიერებული რემილიტარიზაცია, ბევრი ფაშისტი პატიმრობიდან გაათავისუფლეს. ხდებოდა იაპონიის არმიის ფორმირება „საპოლიციო კორპუსის" სახით.

აშშ-ს და იაპონიას შორის დადებული სეპარატიული ხელშეკრულება

1951 წლის სექტემბერში აშშ-ის მთავრობა, მიუხედავად საბჭოთა კავშირის, ჩინეთის, კორეისა და მონღოლეთის, აგრეთვე ინდოეთისა და ბირმის სასტიკი პროტესტებისა, დაადგა პოტსდამის გადაწყვეტილებებისა და საგარეო საქმეთა მინისტრების მოსკოვის თათბირის დეკემბრის დადგენილებების პირდაპირი დარღვევის გზას და სან-ფრანცისკოში მოიწვია კონფერენცია იაპონიასთან „საზავო" ხელშეკრულების დასადებად. კონფერენციაზე მოწვეულ იყვნენ ის სახელმწიფოებიც, რომლებიც იაპონიასთან ომში არ იღებდნენ მონაწილეობას. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა საერთოდ არ ყოფილა მოწვეული, ხოლო ინდოეთმა და ბირმამ არ გაგზავნეს თავიანთი წარმომადგენლები კონფერენციაზე.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა კონფერენციაზე გამოამჟღავნა აშშ-ის მოქმედების უკანონობა და „საზავო" ხელშეკრულების ამერიკული პროექტის იმპერიალისტური ხასიათი. ეს უკანასკნელი ითვალისწინებდა იაპონიის მილიტარიზმის აღორძინებას, ამერიკის მიერ იაპონიის ოკუპირებას და იაპონიის მონაწილეობას ამერიკის აგრესიულ სამხედრო კავშირში; ამასთან ეს პროექტი უგულებელყოფდა ჩინეთის ხალხის ხელშეუვალ უფლებებს ჩინეთის ნაწილზე — ტაივანზე, პესკადორისა და პარსელის კუნძულებზე და სხვა ტერიტორიებზე; პროექტი დუმილით უვლიდა გვერდს 1945 წლის იალტის შეთანხმებას იმის შესახებ, რომ სახალინისა და კურილის კუნძულები საბჭოთა კავშირის

საკუთრებას შეადგენდნენ; დაბოლოს, პროექტი ითვალისწინებდა ამერიკის მონოპოლიების ინტერესებისადმი იაპონიის ეკონომიკის დამორჩილებას.

საბჭოთა კავშირმა, პოლონეთმა და ჩეხოსლოვაკიამ უარი განაცხადეს იაპონიასთან „საზავო" ხელშეკრულების ხელისმოწერაზე. ამერიკის შეერთებული შტატებისაგან დამოკიდებულმა ქვეყნებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას.

სეპარატიული „საზავო" ხელშეკრულების დადებასთან ერთად ხელმოწერილ იქნა აშშ-სა და იაპონიას შორის „ხელშეკრულება უშიშროებაზე", რომელიც უფლებას ანიჭებდა ამერიკის შეერთებულ შტატებს განუსაზღვრელი ვადით ჰყოლოდათ თავიანთი შეიარაღებული ძალები იაპონიაში და მის ახლოს. ხელშეკრულების თანახმად ეს ჯარები შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო აგრეთვე იაპონიაში „შინაგან აჯანყებათა და უწესრიგობათა" ჩასახშობად.

იაპონიის პროგრესულმა საზოგადოებრიობამ სასტიკად დაგმო ამერიკის შეერთებულ შტატებთან დადებული კაბალური შეთანხმება.

იაპონიის კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამა

1951 წლის აგვისტოში მიღებულ იქნა იაპონიის კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამა, რომელიც იაპონიაში მთელ რიგ სერიოზულ რეფორმებს გულისხმობდა. პროგრამა ითვალისწინებდა იაპონიაში დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადებას, მსხვილი მიწათმფლობელობის გაუქმებას, გლეხთათვის მიწის გადაცემას, სოფლად შუასაუკუნეობრივი ურთიერთობის ლიკვიდაციას, მუშათა შრომის ნახევრად ფეოდალური ექსპლოატაციის გაუქმებას, 8-საათიანი სამუშაო დღის შემოღებას ყველა მუშისათვის და 6-საათიანისას — მიწისქვეშა მუშებისათვის, მუშებისა და მოსამსახურეთათვის ხელფასის მინიმუმის დაწესებას, თანაბარი შრომისათვის თანაბარი ანაზღაურების დაწესებას,— მიუხედავად სქესისა და ეროვნებისა, პროფესიულ კავშირთა თავისუფალი მოქმედების უზრუნველყოფას, კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადებას და სხვ.

საგარეო პოლიტიკის დარგში პროგრამა ითვალისწინებდა პოტსდამის გადაწყვეტილებათა საფუძველზე სამშვიდობო ხელშეკრულების დადებას და იაპონიის ეროვნული სუვერენიტეტისა და ეროვნული დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას.

პროგრამის დასკვნითი ნაწილი მიძღვნილი იყო იმ გზებისადმი, რომელთა საშუალებით უნდა ხორციელდებოდეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი და დემოკრატიული რევოლუცია იაპონიაში.

იაპონიის პროგრესული საზოგადოებრიობის ბრძოლა საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან ურთიერთობის ნორმალიზაციისათვის. საბჭოთა კავშირ-იაპონიის 1956 წლის 19 ოქტომბრის დეკლარაცია

უკანასკნელ წლებში იაპონიაში გაიზარდა და განმტკიცდა ის ძალები, რომლებიც იაპონიის პოლიტიკური იზოლაციის წინააღმდეგ და საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან მისი ურთიერთობის ნორმალიზაციისათვის გამოდიოდნენ. ამ მხრივ დიდი როლი შეასრულა სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თანმიმდევრულმა პოლიტიკამ, რომელიც იაპონიასთან ისეთი ურთიერთობის დამყარებისაკენ იყო წარმართული, რაც ორივე მხარის თანასწორობის აღიარებაზე იქნებოდა აგებული და სცნობდა იაპონიის სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას.

1955 წლის ბოლოს იაპონიაში ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერთაგანი იცირო ხატოიამა. ხატოიამა ამერიკის მონოპოლიების მიერ იაპონიის ეროვნული ბურჟუაზიის შებღალულ ინტერესებს გამოხატავდა და მან მტკიცე ნაბიჯები გადადგა ამერიკაზე დამოკიდებულებისაგან იაპონიის განთავისუფლებისა და საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან ურთიერთობის ნორმალიზაციის მიმართულებით. საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკების პროცესში ხატოიამას ოპოზიცია გადაეღობა იაპონიის რეაქციული წრეების მხრივ, რომლებმაც უსაფუძვლო ტერიტორიული პრეტენზიები წამოაყენეს მოლაპარაკებისას. მაგრამ ხატოიამას მხარი დაუჭირეს იაპონიის საზოგადოებრიობის ფართო წრეებმა, და მან წარმატებით დაამთავრა საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკება. 1956 წლის 19 დეკემბერს მოსკოვში ხელმოწერილ იქნა საბჭოთა კავშირ-იაპონიის ერთობლივი დეკლარაცია, რომელმაც ბოლო მოუღო სსრ კავშირსა და იაპონიას შორის ომის მდგომარეობას და ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობა აღადგინა მათ შორის. იაპონიის პარლამენტმა დაამტკიცა ეს დეკლარაცია.

1956 წლის დეკემბერში პრემიერის პოსტზე ხატოიამა შეცვალა ისიბასიმ, რომელმაც განაგრძო თავისი წინამორბედის პოლიტიკა და ამოცანად დაისახა ეკონომიური და სავაჭრო ურთიერთობის მოწესრიგება საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან. მაგრამ, შეხედა რა პროამერიკული წრეების მხრივ ძლიერ წინააღმდეგობას, ისიბასი ორი თვის შემდეგ იძულებული შექნა გადამდგარიყო და თავისი პოსტი კისისათვის დაეთმო.

კისის მთავრობის ანტიდემოკრატიული პოლიტიკა

მთავრობის სათავეში კისის ჩადგომა ნიშნავდა იმ პოლიტიკისაგან გადახვევას, რომელიც ხატოიამასა და ისიბასის მიერ იყო დასახული. ეს განსაკუთრებით ცხადი გახდა ვაშინგტონში კისის გამგზავრებისას 1957 წლის ივნისში.

ვაშინგტონში გამგზავრების წინ კისიმ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების დედაქალაქები შემოიარა და ეწვია ტაიბეის, რაც არ გაუკეთებია არც ერთ მის წინამორბედს. კისის პირველი ნაბიჯები სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ უხეშ გამოსვლებთან იყო დაკავშირებული. თუკი კისი პირველ ჩანებში იაპონიის სავაჭრო-სამრეწველო წრეთა დაჟინებითი მოთხოვნით იძულებულიც კი გახდა გაეუქმებინა ჩინეთთან ვაჭრობის შეზღუდვები, მან მალე დაბრკოლებები შეუქმნა ჩინეთ-იაპონიის სავაჭრო კავშირების განვითარებას და დისკრიმინაციული პირობები წამოაყენა იაპონიაში ჩინეთის სავაჭრო წარმომადგენლობისათვის. იაპონიასა და ჩინეთს შორის კულტურულ, სამეცნიერო, პროფკავშირულ და საზოგადოებრივ ურთიერთობათა მოწესრიგების საქმეს სასტიკი წინააღმდეგობა გადაეღობა კისის მთავრობის მხრივ.

ვაშინგტონში გაკეთებულ თავის საჯარო განცხადებებში კისი ხაზს უსვამდა იმას, რომ იაპონიას განზრახვა აქვს „მარადიულად" მიეხმაროს ეგრეთწოდებულ „თავისუფალ ქვეყნებს", რომელთაც სათავეში უდგას ამერიკის შეერთებული შტატები, და ილაშქრებდა მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკის წინააღმდეგ. იაპონიის მმართველი წრეების ნაწილის სურვილის საწინააღმდეგოდ, რომლებიც იმისაკენ ისწრაფოდნენ, რომ განევითარებინათ ყოველმხრივი კავშირი თავიანთ უახლოეს მეზობლებთან, კისიმ უპირატესობა იმას მია-

ნიჭა, რომ მას ამერიკის გავლენის გამტარებლის როლი ეკისრა სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში.

თავის მხრივ ამერიკის მთავრობამ კისის პრესტიჟის აწევის მიზნით გამოაცხადა თავისი მზადყოფნა — გადაეტანა ამერიკის მაოკუპირებელი ჯარების შტაბი ტოკიოდან სეულში და გაეყვანა იაპონიის ტერიტორიიდან ამერიკის სახმელეთო ჯარები. ამ წინადადებას არავითარი პრაქტიკული აზრი არ ჰქონდა, ვინაიდან იაპონიაში ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალები სპარბობდა, და ამერიკის სარდლობა თავის ხელში იტოვებდა კუნძულ ოკინავას.

ეიზენჰაუერთან კისის მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა განიზრახეს იაპონიის მომარაგება ახალი სახის საჯურველით. ამავე დროს აპირებდნენ თავიანთი შეიარაღებული ძალების აღჭურვას შორეულ აღმოსავლეთში ატომური იარაღით. ამასობაში ხიროსიმისა და ნაგასაკის დაუვიწყარმა საშინელებებმა და ატოლ ბიკინის რაიონში 1954 წელს ამერიკის ბომბების გამოცდის ტრაგიკულმა შედეგებმა იაპონიის საზოგადოებრიობაში სულ სხვა განწყობილებები წარმოშვეს. 35 მილიონმა იაპონელმა ხელი მოაწერა მოთხოვნას ატომგულისა და წყალბადის იარაღის აკრძალვაზე. იაპონიის 25 გამოჩენილმა მეცნიერ-ფიზიკოსმა, ატომგულის ენერგიის დარგის სპეციალისტებმა, საჯაროდ გამოაცხადეს, რომ ისინი მონაწილეობას არ მიიღებდნენ არავითარ გამოკვლევაში, რომლებიც შეეხებიან ატომური იარაღის წარმოებასა და გამოყენებას. ამის მიუხედავად კისის მთავრობამ უარი განაცხადა საბჭოთა მთავრობის წინადადებაზე — ერთობლივად მიემართათ აშშ-სა და ინგლისისათვის წინადადებით ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ. სიტყვებით გამოდიოდა რა ატომური იარაღის გამოცდის წინააღმდეგ, კისის მთავრობამ გვერდი აუარა საბჭოთა მთავრობის მიერ ამ საკითხზე წამოყენებული წინადადების მხარდაჭერას. პირიქით, 1957 წლის დეკემბერში იაპონიის მთავრობამ ნება დართო თავის ტერიტორიაზე აეგოთ რაკეტული ბაზები.

კისის პოლიტიკა ქვეყნის ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგოდ მიდიოდა და იაპონიის ფინანსური, სამრეწველო და სავაჭრო წრეების რიგმა გამოჩენილმა წარმომადგენლებმა, აგრეთვე სახელმწიფო და საზოგადოებრივმა მოღვაწეებმა დაჰგმერიკული პოლიტიკა და საბჭოთა კავშირსა და ჩინეთთან ვაჭრობის განვითარების მოთხოვნით გამოვიდნენ.

თავის მხრივ საბჭოთა კავშირი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა ისწრაფოდნენ იაპონიასთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებისაკენ.

კისის მეორედ გაემგზავრება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. ეკონომიური დაჭაბუქება იაპონიაში 1957 და 1958 წწ.

1957 წლის ნოემბერში კისი ხელახლა გაემგზავრა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. ეს გამგზავრება გამოწვეული იყო იმ სერიოზული სიძნელეებით, რასაც განიცდიდა იაპონიის ეკონომიკა.

იაპონიის ეკონომიკის განვითარების თავისებურებას უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში შეადგენდა მძიმე მრეწველობის, პირველ რიგში — მანქანათმშენებლობის სწრაფი ზრდა; ამ მრეწველობის პროდუქცია ინტენსიურად საღდებოდა შინაურ ბაზარზე, სანამ იაპონიის საწარმოები ეწეოდნენ თავიანთი ძირითადი კაპიტალის განახლებას, რომელიც ომიანობის წლებში მოძველდა. 1957 წლის მეორე ნახევარში იაპონიის საწარმოთა მოდერნიზაციის

პროცესი შენელდა, და იაპონიის საქმიანი წრეების წინაშე პირდაპირ დაისვა სამრეწველო მოწყობილობისა და საქონლის გასაღების პრობლემა. კრიზისის აჩრდილი თავს ადგებოდა იაპონიას.

სწორედ ამ გარემოებამ გამოიწვია კისის გამგზავრება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში საქონლის გასაღების ბაზრებისა და ნედლეულის წყაროების საძიებლად. იაპონიის პრემიერისათვის მეტად მნიშვნელოვანი იყო ახალი ბაზრების აღმოჩენით უარეყო ოპოზიციური წრეების მოთხოვნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან, საბჭოთა კავშირსა და სოციალისტური ბანაკის სხვა ქვეყნებთან ვაჭრობის ფართოდ განვითარების შესახებ.

სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის რიგ სახელმწიფოთა ლიდერებთან მოლაპარაკებისას ჯერ კიდევ პირველი მოგზაურობის დროს კისიმ წამოაყენა ამოცანა „სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის განვითარების ფონდის“ შექმნის შესახებ, საიდანაც ამ ქვეყნებს შეეძლოთ ვალუტის მიღება იაპონიის სამრეწველო მოწყობილობათა შესასყიდად. ამ „ფონდისათვის“ ფულადი სახსრების მიღების იმედი ამერიკის შეერთებულ შტატებზე იყო დამყარებული.

მაგრამ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში კისი უნდობლობას წააწყდა როგორც ამერიკული სესხების მიმართ, რაც ჩვეულებრივ სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევასთანაა დაკავშირებული, ისე იაპონიის შუამავლობის მიმართაც. მეორე მხრივ, აშშ-მა არ გამოთქვეს სურვილი, რომ შეეწირათ თავიანთი დოლარები იაპონიის სასარგებლოდ და იაპონიის წისქვილზე მიეშვათ წყალი. თვითონ აშშ-ს მეტად სჭირდებოდათ საკუთარი მოწყობილობის გასასაღებლად ბაზარი და იმ დროისათვის კონკურენცია აშშ-სა და იაპონიას შორის მნიშვნელოვნად გამწვავდა. ამიტომ აშშ-ის ინტერესებს არ შეესაბამებოდა, რომ იაპონიას თვალსაჩინო როლი შეესრულებინა ახალ „ფონდში“.

მეორედ გამგზავრებისას კისი იმედოვნებდა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში ინტერესი გამოეწვია „განვითარების ფონდის“ შექმნის შესაძლებლობისადმი მრავალმხრივ საფუძველზე: მასში მონაწილეობას მიიღებდნენ არა მარტო ამერიკის, არამედ იაპონიისა და დასავლეთ-გერმანიის კაპიტალიც კი. მაგრამ სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ქვეყნებმა უნდობლობის თვალით შეხედეს კისის ამ წინადადებასაც.

ვინაიდან იაპონიამ ვერ შეძლო ახალი ბაზრების აღმოჩენა თავისი პროდუქციის გასასაღებლად, იაპონიის ეკონომიური დაქვეითება გრძელდებოდა 1957 წლის მეორე ნახევარსა და 1958 წლის პირველ ნახევარში. 1957 წლის მეორე ნახევარში იაპონიის მთელი სამრეწველო სიმძლავრის მეოთხედი ნაწილი გამოუყენებელი დარჩა. 1958 წელს ეს მდგომარეობა გრძელდებოდა და მარტში მთლიანად უმუშევართა რიცხვმა სარეკორდო ციფრს მიაღწია და 850 ათასი შეადგინა იმათ ჩაუთვლელად, ვინც მუშაობდა კვირაში თუნდაც ნახევარ საათს. სულ იაპონიაში სავსებით უმუშევარ და ნაწილობრივ უმუშევარ ადამიანთა რაოდენობა 8 მილიონამდე აღწევს.

იაპონიის მდგომარეობაზე დიდ გავლენას ახდენდა იაპონიის ეკონომიკის დამოკიდებულება ამერიკის შეერთებული შტატებისაგან. აშშ-ზე მოდიოდა იაპონიის ექსპორტის მეოთხედი და იმპორტის მესამედი. ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიურმა დაცემამ შეაგულიანა ამერიკის საქმიანი წრეები, რომ ამერიკის მთავრობისაგან მოეთხოვათ შემოღებულიყო რიგი შეზღუდვები იაპონიის საქონლის იმპორტზე, ამასთან, ცხადია, იაპონიის ბაზარზე ამერიკის საქონლის სრულიად თავისუფლად გატანის პირობების დაცვით.

ამ საქმის შედეგმა მალე იჩინა თავი. ამერიკის შეერთებულ შტატებთან ვაჭრობისას იაპონიის დეფიციტმა 1957 წელს შეადგინა მეტად დიდი თანხა — 467 მილიარდი იენი. ასეთი დეფიციტი იაპონიას არ ახსოვს აშშ-თან სავაჭრო ურთიერთობის ისტორიის მთელ მანძილზე.

ამასთან დაკავშირებით იაპონიაში სულ უფრო ხმამაღლა გაისმოდა მოთხოვნა სოციალისტური ბანაკის ქვეყნებთან ურთიერთსასარგებლო ეკონომიური კავშირების ფართოდ განვითარების შესახებ. აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირთან ვაჭრობა 1957 წელს 7-ჯერ გაიზარდა 1956 წელთან შედარებით. იმავე დროს დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს კისის პოლიტიკას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიმართ, რომელთანაც იაპონიამ ფაქტიურად შეწყვიტა თავისი სავაჭრო ურთიერთობა. იაპონელი ხალხის ფართო მასები მოითხოვდნენ ვაჭრობის გაშლას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან და საზავო ხელშეკრულების დადებას საბჭოთა კავშირთან.

გლეხთა ორგანიზაციების გაერთიანება იაპონიაში

ეკონომიურმა დაცემამ, რასაც ადგილი ჰქონდა იაპონიაში, გლეხობის მდგომარეობაშიც იჩინა თავი. გლეხთა კავშირების სრულიად იაპონიის ფედერაციამ ამოცანად დაისახა მშრომელ გლეხთა ღონისძიებების გაერთიანება მათი საარსებო ინტერესებისათვის ბრძოლაში. 1958 წლის მარტში ტოკიოში შედგა იაპონიის სამი ნაციონალური გლეხთა ორგანიზაციის გამაერთიანებელი ყრილობა: იაპონიის გლეხთა კავშირების ფედერაციის, სრულიად იაპონიის გლეხთა კავშირისა და ახალი სოფლის აშენების ჯგუფისა.

ყრილობამ აზრი გამოსთქვა მშრომელ გლეხობას გადასცემოდა მემამულეთა საკუთრებაში მყოფი სატყეო და უამირი მიწის ნაკვეთები. გარდა ამისა, ყრილობამ მოითხოვა მკვეთრად შემცირებულიყო მონოპოლიური კომპანიების მიერ დაწესებული მაღალი ფასები სასუქებსა და სამანქანო მოწყობილობებზე, დაწესებულიყო მთავრობის მიერ გარანტირებული ფასები ბრინჯსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე.

ყრილობის პროგრამაში წამოყენებული იყო აგრეთვე მოთხოვნები, რომ მთავრობას შეემცირებინა სასოფლო-სამეურნეო საშემოსავლო გადასახადი და სხვა გამოსაღებები გლეხობისაგან, ამასთან გაეთვალისწინებინა სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნობანი აგროტექნიკის გასაუმჯობესებლად გლეხთა მეურნეობაში. ყრილობამ გადაწყვიტა აღკვეთილიყო ხელისუფლების ცდები მემამულეთათვის კომპენსაციის მიცემაზე იმ მიწებისათვის, რომლებიც გლეხობის ხელში გადავიდა ომისშემდგომი მიწის რეფორმის შედეგად, და მიწითა და სამუშაოთი უზრუნველეყოთ ის გლეხები, რომლებსაც თავიანთი მიწის ნაკვეთი არ გააჩნდათ.

იაპონიის კომუნისტური პარტია მოუწოდებს იაპონიის მშრომელებს წინააღმდეგობა გაუწიონ ყოველგვარ გამოხდომას, რეაქციულ ძალთა ყოველგვარ ცრუ მანევრებს; აქტიური ბრძოლა აწარმოოს მშვიდობისათვის, დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიისათვის; მიღწეულ იქნეს საარსებო ღონის ამაღლება და შეიქმნას დემოკრატიულ ძალთა ერთიანი ფრონტი.

კომუნისტური პარტია მხარს უჭერს სოციალისტებთან ერთიან მოქმედებას და ხაზს უსვამს, რომ კომუნისტების მოვალეობაა იმ ბრძოლის ავანგარდში დგომა, რომელიც მიმართულია ამერიკის შეერთებულ შტატებთან არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულების გაუქმებისაკენ და იაპონიაში სამხედრო ბაზე-

ბის ლიკვიდაციისაკენ. კომუნისტური პარტია იბრძვის იმისათვის, რომ აიკრძალოს იაპონიაში ატომური იარაღის შემოტანა, დამყარდეს დიპლომატიური ურთიერთობა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან.

პაკისტანის ისლამური რესპუბლიკა

პაკისტანის ეკონომიური მდგომარეობა

1947 წელს ინგლისი იძულებული შეიქნა თავისი უდიდესი კოლონია ინდოეთი გაეყო ორ დომინიონად ინდოეთად და პაკისტანად. ახალი სახელმწიფოს — პაკისტანის — დაარსება ეს იყო, ერთი მხრივ, ინდოეთში რევოლუციურ-განმათავისუფლებელი ბრძოლის საერთო აღმავლობის შედეგი, ხოლო, მეორე მხრივ, ინდუსებსა და მუსულმანებს შორის ინგლისის მიერ გატარებული რელიგიური ქიშპობისა და შუღლის გამომწვევი პოლიტიკის შედეგი.

ახალი სახელმწიფო ორი ნაწილისაგან შედგება — დასავლეთ პაკისტანისა და აღმოსავლეთ პაკისტანისაგან, რომლებიც 1500 კილომეტრით არიან ერთმანეთისაგან დაშორებული. ორივე ნაწილი ერთმანეთისაგან განსხვავდება როგორც ეკონომიური სტრუქტურით, ისე ეროვნული შემადგენლობით.

პაკისტანი ისეთი ქვეყანაა, რომელსაც მძიმე ტვირთად აწევს ინგლისელთა ორსაუკუნოვანი ბატონობის შედეგი. პაკისტანის მრეწველობა დღემდე ისეთი საწარმოებისაგან შედგება, რომლებიც ნედლეულის პირველადს გადამუშავებას ახდენენ და პირადი მოხმარების პროდუქტებს ამზადებენ. სოფლის მეურნეობაში, რომელსაც საგრძნობლად აქვს შემორჩენილი ფეოდალური გადანაშთები, უცხოეთის მონოპოლიები ბატონობენ. ეს მონოპოლიები ცალმხრივ ანვითარებენ სოფლის მეურნეობას. პაკისტანში მოჰყავთ ჯუთი და ბამბა, რომლებიც საზღვარგარეთ გაქვთ. გლეხები მემამულეთაგან იჯარით იღებენ მიწებს კაბალურ პირობებში. წარმოების პრიმიტიულ ტექნიკას თან სდევს ხშირი მოუსავლიანობა და მასობრივი შიმშილი.

ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეები (ნავთობი, რკინის მადანი, ქიმიური ნედლეული და სხვ.) ინგლისისა და ამერიკის მონოპოლიების ხელშია. უცხოეთის მონოპოლიების მოგება 40-50 და მეტ პროცენტს აღწევს. ლიაკატ ალი ხანის მთავრობა ცდილობდა წინააღმდეგობა გაეწია პაკისტანში უცხო კაპიტალის შემოჭრისათვის. ლიაკატ ალი ხანი მოკლულ იქნა. 1953 წელს მთავრობას სათავეში ჩაუდგა მოჰამედ ალი, რომელმაც დიდი შეღავათები მიანიჭა უცხოეთის კაპიტალს.

მოჰამედ ალის მთავრობის პრომამერიკული კურსი

პაკისტანის ეკონომიკაში გაბატონებული მდგომარეობა ინგლისის კაპიტალს ეკავა. მაგრამ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გადაწყვიტეს ესარგებლათ ახალი მთავრობის სუსტი მხარეებით, ჯერ ერთი, თავისი პოზიციების გასაძლიერებლად ინგლისთან კონკურენციაში, მეორეც, იმისათვის, რომ პაკისტანი გამოეყენებინათ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლის იარაღად. თავის მხრივ პაკისტანის რეაქციული წრეებიც დასაყრდენს ეძებდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში, ჯერ ერთი, თვით პაკისტანში (პირველ რიგში მის აღმოსავლეთ ნაწილში) ეროვ-

ნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თავიდან აცილების, მეორეც, ინდუსების წინააღმდეგ საბრძოლველად და, მესამე, თაეიანთ სასარგებლოდ „პუშტუნისტანის საკითხის“ გადასაჭრელად.

უკვე 1953 წლის დამლევისათვის საეს ებით გამოირკვა მოჰამედ ალის მთავრობის საგარეო პოლიტიკის პროამერიკული კურსი, რაც სასტიკად იქნა დაგმობილი პაკისტანის საზოგადოებრიობის მიერ, განსაკუთრებით აღმოსავლეთ პაკისტანში. 1954 წლის მარტში აღმოსავლეთ პაკისტანში ჩატარდა საკანონმდებლო კრების არჩევნები, რის შედეგადაც მმართველმა პარტიამ — მუსულმანურმა ლიგამ მხოლოდ 10 მანდატი მიიღო, ხოლო აღმოსავლეთ პაკისტანის გაერთიანებულმა ფრონტმა, რომელშიც შედიოდნენ მუშურ-გლეხური პარტია, აღმოსავლეთ-პაკისტანის სახალხო ლიგა, პროგრესული პარტია, ნიზამ-ე-ისლამის პარტია და ზოგიერთი სხვა, 223 მანდატი მიიღო. ჩამოყალიბებულ იქნა აღმოსავლეთ პაკისტანის მთავრობა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს გაერთიანებულ ფრონტში შემავალმა პარტიებმა.

ამასთან მოჰამედ ალის მთავრობამ ანგარიში არ გაუწია აღმოსავლეთ პაკისტანში ჩატარებული არჩევნების შედეგებს და თავისი საგარეო პოლიტიკური ხაზი განაგრძო. 1954 წლის 2 აპრილს ამერიკის შეერთებული შტატების კარნახით ხელმოწერილ იქნა თურქეთ-პაკისტანის ხელშეკრულება, რომელმაც დასავლეთი და აღმოსავლეთი საზღვარი დაუდო დაპროექტებულ ბაღდადის ბლოკს. 19 მაისს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და პაკისტანს შორის ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება „სამხედრო დახმარების“ გაწევის შესახებ. შეთანხმების პირობები ითვალისწინებდნენ, რომ პაკისტანს შეეძლო ამერიკული შეიარაღების გამოყენება მხოლოდ და მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების თანხმობით, პაკისტანი დაუშვებდა თავის ტერიტორიაზე ამერიკულ პერსონალს „დახმარების“ განხორციელების მიმდინარეობაზე „მეთვალყურეობის“ გასაწევად, იგი გადასცემდა ამერიკის შეერთებული შტატების განკარგულებაში საჭირო ნედლეულსა და ნახევარფაბრიკატებს, დაუთმობდა თავის ტერიტორიას ამერიკული სამხედრო ბაზების მშენებლობისა და ამერიკის ჯარების განლაგებისათვის. აიყვანდა თავისი ჯარების შემადგენლობას 900 ათას კაცამდე და ამერიკული არმიის უმაღლესი ოფიცრების კონტროლს დაუქვემდებარებდა არმიის რეორგანიზაციასა და წრთვნას.

თურქეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებთან შეთანხმებებზე ხელმოწერამ პაკისტანის საზოგადოებრიობის ახალი აღშფოთება გამოიწვია. აღმოსავლეთ პაკისტანში, სადაც ხელისუფლებას გაერთიანებული ფრონტის მთავრობა ედგა, ატმოსფერო განსაკუთრებით დაძაბული შეიქმნა. ამაზე მოჰამედ ალის მთავრობამ აღმოსავლეთ პაკისტანის კანონიერი მთავრობის დათხოვნითა და მისი წევრების დაპატიმრებით უპასუხა. ძალაუფლება აღმოსავლეთ პაკისტანში სამხედრო გუბერნატორს გადაეცა, რომლის პოსტზე გენერალი ისკანდერ მირზა დაინიშნა. კომუნისტური პარტია და სხვა დემოკრატიული ორგანიზაციები კანონს გარეშე გამოცხადდა. შემოღებულ იქნა სამხედრო ცენზურა.

1954 წელს ტაილანდთან და ფილიპინებთან ერთად პაკისტანი სეატოს აგრესიულ ბლოკში შეეიდა. სეატოში პაკისტანის მონაწილეობა ფართოდ გამოიყენეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ინდოეთსა და აეღანეთზე ზეგავლენის მოსახდენად. ინდოეთზე გავლენის მოხდენის მიზნით აშშ-მა ჩაშალეს პაკისტანსა და ინდოეთს შორის ნავარაუდეეი შეთანხმება ქაშმირის საკითხის

ირგვლივ. ავღანეთზე დაწოლის მოხდენის მიზნით აღძრულ იქნა „პუშტუნისტანის საკითხი“.

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სისტემაში პაკისტანის მონაწილეობამ სამხედრო ხარჯების დიდი ზრდა გამოიწვია, რამაც 1954—1955 წლის სამხედრო ბიუჯეტის 70 პროცენტზე მეტი შეადგინა. 1954 წელს ვალუტის რეზერვი 1949 წლის მხოლოდ 40 პროცენტს შეადგენდა. თუ მანამდე ჯუთისა და ბამბის ექსპორტისაგან შემოსული უცხოეთის ვალუტა საშომხმარებლო საქონლის შემოსატანად იხარჯებოდა, მოჰამედ ალის დროს იგი სამხედრო მიზნებს ხმარდებოდა. მილიტარიზაციამ ქვეყანა ეკონომიურ რღვევამდე, ხალხის მასები კი გაღატაკებამდე მიიყვანა.

მოჰამედ ალის მთავრობის პრესტიჟის დაცემამ განსაკუთრებით მკაფიოდ იჩინა თავი დამფუძნებელი კრების არჩევნებისას 1955 წლის 21 ივნისს. 80 მანდატიდან მუსულმანურმა ლიგამ მიიღო მხოლოდ 32 მანდატი, ესე იგი ორჯერ ნაკლები, ვიდრე პირველი მოწვევის დამფუძნებელ კრებაზე. დიდი გამარჯვება მოიპოვეს არჩევნებში აღმოსავლეთ პაკისტანის გაერთიანებულმა ფრონტმა (16 მანდატი) და სახალხო ლიგამ (12 მანდატი), რომლებიც 1953 წლიდან სამხედრო პაქტების წინააღმდეგ გამოდიოდნენ.

პაკისტანის პირველი კოალიციური მთავრობა

მაგრამ მოჰამედ ალი ჯიუტად განაგრძობდა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის კარნახით მოქმედებას. 1955 წლის 1 ივლისს პაკისტანი თურქეთ-ერაყის პაქტს შეუერთდა, რომელსაც უფრო ადრე ინგლისი მიემხრო. ამგვარად, პაკისტანი კიდევ ერთი აგრესიული სამხედრო დაჯგუფების — ბაღდადის ბლოკის მონაწილე გახდა.

დასავლეთის სახელმწიფოების მიერ ახლო და შორეული აღმოსავლეთის ხალხთა საწინააღმდეგოდ შექმნილ ბაღდადის ბლოკში პაკისტანის მონაწილეობამ მუსულმანური ლიგის ავტორიტეტი საბოლოოდ დასცა. ამ მდგომარეობიდან გამოსვლის მიზნით მუსულმანური ლიგის საპარლამენტო ფრაქციამ თავის 7 აგვისტოს სხდომაზე გადააყენა მოჰამედ ალი ფრაქციის ლიდერის პოსტიდან და ლიდერად ჩოუდრი მოჰამედ ალი აირჩია. მოჰამედ ალი იძულებული შეიქნა პრემიერ-მინისტრის პოსტიც დაეტოვებინა. ახალი მთავრობა ჩოუდრიმ შეადგინა. ეს იყო პაკისტანის პირველი კოალიციური მთავრობა. მთავრობაში მუსულმანური ლიგისა და აღმოსავლეთ პაკისტანის გაერთიანებული ფრონტის წარმომადგენლები შეიყვანენ.

მაგრამ მუსულმანური ლიგის მოთხოვნით ახალი მთავრობის დროსაც პაკისტანი აშშ-ის საგარეო პოლიტიკის გავლენის ქვეშ რჩებოდა და ანტისაბჭოთა პოზიციას ემხრობოდა.

პაკისტანის საზოგადოებრიობის ბრძოლა პოზიციური ნეიტრალური პოლიტიკისათვის

მთავრობის საგარეო პოლიტიკური კურსით გამოწვეული პაკისტანის საზოგადოებრიობის უკმაყოფილება სულ უფრო იზრდებოდა. მთავრობას აკრიტიკებდნენ არა მარტო ოპოზიციური პარტიები, არამედ თვით მუსულმანურ ლიგაშიც. ოპოზიცია მოითხოვდა მთავრობის საგარეო პოლიტიკის გადასინჯვას და-

საელეთზე ცალმხრივი ორიენტაციის უარყოფის თვალსაზრისით და აუენებდა ყველა ქვეყანასთან თანამშრომლობაზე გადასვლის წინადადებას.

შინაპოლიტიკურ კრიზისს ართულებდა ქვეყნის მძიმე ეკონომიური მდგომარეობა. სულ უფრო იზრდებოდა იმის შეგნება, რომ დასავლეთთან კავშირს პაკისტანისათვის, გარდა ზარალისა, არაფერი მოჰქონდა. აზიის დანარჩენი ქვეყნებისგან პაკისტანის იზოლირება სულ უფრო მეტად აღელვებდა მოსახლეობის პატრიოტულ წრეებს. მთავრობა იძულებული გახდა მიეღო ზომები, რომ ამით დაეწყნარებინა პაკისტანის საზოგადოებრიობა.

1955 წლის დეკემბრის დამლევს პაკისტანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჩოუდხურიმ განაცხადა. რომ სამხედრო პაქტებში პაკისტანის მონაწილეობის საკითხი განსახილველად გადაეცემა დამფუძნებელ კრებას და რომ პრემიერ-მინისტრმა მიიღო ჩინეთის დემოკრატიული მთავრობის მიწვევა ჩინეთში სტუმრად ჩასვლის შესახებ.

1956 წლის იანვარში პაკისტანის მიწვევით ოფიციალური ვიზიტით ყარაჩში ჩავიდა სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე სუნ ძინ-ლინი, რომელსაც პაკისტანის საზოგადოებამ საზეიმო და გულთბილი შეხვედრა მოუწყო.

იმავე დროს ერთგვარი გადახრა აღინიშნა პაკისტანის მთავრობის პოლიტიკაში საბჭოთა კავშირის მიმართ. დიდი კმაყოფილებით შეხვდა პაკისტანის საზოგადოებრიობა ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვას ქაშმირის პრემიერ-მინისტრ ბაქშისთან მიღებაზე 1955 წლის 10 დეკემბერს. „ჩვენ ძალიან გვინდოდა,— თქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა,— გვქონოდა ასეთივე მეგობრული ურთიერთობა პაკისტანთანაც, და ჩვენი მიზეზით არ არის ის, რომ ასეთი ურთიერთობა პაკისტანთან ჯერ კიდევ არ ეწყობა. მაგრამ დაბეჯითებით ვეცდებით მივაღწიოთ ასეთ ურთიერთობას მშვიდობის საქმის ინტერესებისათვის“.

1956 წლის თებერვალში სსრ კავშირმა თავისი მზადყოფნა გამოსთქვა პაკისტანთან ეკონომიურ, ტექნიკურ, კულტურულ და სხვა დარგებში თანამშრომლობისათვის. პაკისტანის პრესამ აღნიშნა, რომ პაკისტანმა უნდა გადადგას ისეთი ნაბიჯები, რომლებიც მიმართულია „რუსეთსა და მის მეგობრებთან მეგობრული ურთიერთობის“ განვითარებისაკენ.

1956 წელს პაკისტანი შეუდგა ხუთწლიანი გეგმის (1956—1960 წწ.) განხორციელებას. ეს გეგმა, პაკისტანის პრემიერის განცხადებით, მიმართული იყო იქითკენ, რომ „პაკისტანი სუსტად განვითარებული, ჩამორჩენილი ქვეყნიდან გადაქცეულიყო მძლავრ ქვეყნად, რომელსაც მყარი სოფლის მეურნეობა და მრეწველობა ექნებოდა“. გეგმაში მთავარი ყურადღება სოფლის მეურნეობისა და მასთან მჭიდრო კავშირში მყოფი ეკონომიკის დარგების განვითარებას ეთმობოდა. გეგმა ითვალისწინებდა ნაციონალური შემოსავლის გადიდებას ხუთი წლის განმავლობაში 20 პროცენტით.

კონსტიტუციის მიღება

1956 წლის პირველ მარტს დამფუძნებელმა კრებამ მთავრობის კოალიციის ხმების უმრავლესობით მიიღო პაკისტანის კონსტიტუცია, რომლის შემუშავება მწვავე შინაპოლიტიკური ბრძოლის პირობებში მიმდინარეობდა. „მმართველი წრეების ცდებს — შეემცირებინათ პროვინციების უფლებები და წაერთმიათ მათთვის ნამდვილი ავტონომია, „მეორე ხარისხოვან“ მოქალაქეთა მდგომარეო-

ბაში ჩაეყენებინათ არამუსულმანები, მიენიჭებინათ მთავრობის მეთაურისათვის დამფუძნებელი კრების დათხოვნის უფლებები და დიდი რწმუნებით შეემოსათ პროვინციის გუბერნატორები — სერიოზული წინააღმდეგობა გაუწია ყველა პარტიამ, რომლებიც აღმოსავლეთ პაკისტანის გაერთიანებულ ფრონტში არიან შეკავშირებული.

მთავრობის მიერ წარდგენილი კონსტიტუციის პროექტი დამფუძნებელმა კრებამ დიდი ცვლილებებით მიიღო. მთავრობის მეთაურს აეკრძალა ეროვნული კრების დათხოვნა. შესაბამისად შეკვეცილ იქნა პროვინციის გუბერნატორთა უფლებებიც, ვიცე-პრეზიდენტის პოსტი ამოღებულ იქნა კონსტიტუციიდან, გაფართოდა უმაღლესი სასამართლოს უფლებები. მაგრამ კონსტიტუციის ირგვლივ ბრძოლამ ისეთი სერიოზული შეხლა-შემოხლა გამოიწვია მთავრობის კოალიციის შიგნით, რომ მან წინასწარ გადაწყვიტა კოალიციური მთავრობის დამხობა ახლო მომავალში.

1956 წლის 25 მარტს პაკისტანი გამოცხადდა ისლამურ რესპუბლიკად, რომელიც ერთა ბრიტანულ თანამეგობრობაში რჩებოდა. იმავე დღეს შედგა ეროვნული კრების პირველი სხდომა. რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩეულ იქნა ისკანდერ მირზა.

საბჭოთა კავშირ-პაკისტანის ურთიერთობა

მიაღწია რა ეროვნულ დამოუკიდებლობას, პაკისტანი დარწმუნდა იმის აუცილებლობაში, რომ ამ დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად უნდა დაძლეულ იქნას ქვეყნის ეკონომიური ჩამორჩენილობა. ეს მიზანი ორგანულად იწვევდა პაკისტანის დაინტერესებას საბჭოთა კავშირთან ეკონომიური ურთიერთობის დამყარებისათვის.

1957 წლის 1 — 27 ივნისამდე ყარაჩში მიმდინარეობდა მოლაპარაკება საბჭოთა კავშირსა და პაკისტანს შორის. ეს მოლაპარაკება დამთავრდა საავაჭრო შეთანხმებებზე ხელის მოწერით თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთსარგებლიანობის საფუძველზე. შეთანხმების პირობების თანახმად ორივე ქვეყანამ დააწესა ურთიერთ მეტსარგებლიანობის პრინციპი. ხელშეკრულება ითვალისწინებდა, რომ საბჭოთა კავშირსა და პაკისტანს შორის ყოველგვარი გადასახდელი, ეხებოდა ეს საქონლის იმპორტს თუ ექსპორტს, აგრეთვე კომერციული ხასიათის სხვა გადასახადებიც, პაკისტანის რუპიის საშუალებით უნდა მომხდარიყო. ხელშეკრულება სხვა სარგებლობასაც აძლევდა პაკისტანს და ითვალისწინებდა პაკისტანიდან საბჭოთა კავშირში შემდეგი სახის საქონლის გატანას: ჯუთი და ჯუთის ნაწარმი, ბამბა, მატყლი, ტყავეულის ნედლეული და მოთრიმლული ტყავი. ჩაი და სხვა საქონელი; საბჭოთა კავშირიდან კი შემოტანილი უნდა ყოფილიყო სხვადასხვა სახის სამრეწველო მოწყობილობა: ჩარხები და ინსტრუმენტები, ტრაქტორები და სასოფლო-სამეურნეო მანქანები, საკისარები, ლითონები, ქიმიური საქონელი, ნავთობი და ნავთობის პროდუქტები, ხე-ტყის მასალა და სხვა საქონელი. ყარაჩში უნდა გახსნილიყო სსრ კავშირის საავაჭრო წარმომადგენლობა.

20 ივნისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევით მოსკოვში ჩამოვიდა პაკისტანის ეროვნული კრების დელეგაცია.

1957 წლის ოქტომბერში დაიდო საბჭოთა კავშირ-პაკისტანის ახალი შეთანხმება გაჭრობის გაფართოების შესახებ. სკკპ XX ყრილობამ თავის რეზოლუ-

ციაში აღნიშნა, რომ სსრ კავშირსა და ირანს, თურქეთსა და პაკისტანს შორის ნორმალური ურთიერთობის დამყარება ამ ქვეყნების სასიცოცხლო ინტერესებისა და ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების გამომხატველი იქნებოდა.

სუპრავარდის მთავრობა

1956 წლის ოქტომბერში კოალიციური მთავრობა გადადგა. ხელისუფლებას ახალი მთავრობა ჩაუდგა სათავეში აღმოსავლეთ პაკისტანის სახალხო ლიგის ლიდერის ჰუსეინ შაჰიდ სუპრავარდის მეთაურობით. სანამ ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგებოდა, სახალხო ლიგა დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის გატარების დამცველად გამოდიოდა და მან დაგმო პაკისტანის მონაწილეობა სეატოსა და ბაღდადის პაქტში. ხელისუფლების სათავეში ჩადგომის შემდეგ კი სუპრავარდიმ სრული სოლიდარობა გამოუცხადა მისი წინამორბედი მთავრობის საგარეო პოლიტიკურ კურსს. ასე, მაგალითად, სუპრავარდის მთავრობამ მონაწილეობა მიიღო სუეცის არხის მოსარგებლეთა სეპარატიულ თათბირში ლონდონში, მიუხედავად მის მიერ დადებული პირობისა არ მიეღო მონაწილეობა ასეთ თათბირში. ამან გაიცხვა გამოიწვია პროგრესული საზოგადოებრიობის მხრივ.

1956 წლის ოქტომბერში სუპრავარდი ეწვია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას. ჩინეთ-პაკისტანის ერთობლივ განცხადებაში, რომელსაც 23 ოქტომბერს ხელი მოაწერეს ჯოუ ენ-ლაიმ და სუპრავარდიმ, ნათქვამი იყო, რომ ორივე პრემიერ-მინისტრმა დაადასტურა თავიანთი გადაწყვეტილება მიმართონ თავიანთი ძალ-ღონე მშვიდობისათვის ხელის შესაწყობად და ყოველივე მათგან დამოკიდებული გააკეთონ საერთაშორისო დაძაბულობის შესანელებლად. მათ აგრეთვე დაადასტურეს თავიანთი ერთგულება ბანდუნგის რეზოლუციის მიმართ და მზადყოფნა გამოთქვეს განაგრძონ ღონისძიებათა მიღება აზიისა და აფრიკის ქვეყნების მეგობრული თანამშრომლობის შემდგომი მოწესრიგებისათვის.

როგორც განცხადებაში იყო ნათქვამი, ორივე პრემიერ-მინისტრმა მიაღწია იმ პრობლემების ღრმად გაგებას, რაც მათი მსჯელობის საგანს შეადგენდა, და მზადყოფნა გამოსთქვა — ყველაფერი გააკეთონ სამართლიანობისა და მშვიდობის პრინციპების საფუძველზე ამ პრობლემების გადასაჭრელად. ორივე სახელმწიფოს შორის ურთიერთგაგებისა და მეგობრობის შემდგომი განმტკიცების მიზნით პრემიერ-მინისტრებმა საჭიროდ ცნეს განავითარონ სავაჭრო და კულტურული კავშირები, აგრეთვე მეგობრული კონტაქტები.

მაგრამ, სუპრავარდის ნამდვილი პოზიცია გაირკვა 1957 წლის ივლისში, მას შემდეგ, რაც იგი ვაშინგტონს ეწვია. აღმოსავლეთ პაკისტანის სახალხო ლიგა მწვავე კრიზისს განიცდიდა. პარტიის 400 გამოჩენილმა წევრმა, რომელთა შორის 121 ხელმძღვანელი საბჭოს შემადგენლობაში შედიოდა (მათ რიცხვში ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პოლიტიკური მოღვაწე — მაულანა ბჰასანი), მიატოვა პარტიის რიგები და მოლაპარაკება დაიწყო ახალი პროგრესული პარტიის შექმნის შესახებ. კრიზისის მიზეზი, ბჰასანის სიტყვით, ის იყო, რომ სუპრავარდის დაჯგუფება „ხალხის სურვილების უგულებელყოფის“ გზით წავიდა. დასავლეთ პაკისტანშიც აგრეთვე გაძლიერდა ოპოზიცია სუპრავარდის წინააღმდეგ, და შეიქმნა საკოორდინაციო კომიტეტი აღმოსავლეთ და დასავლეთ პაკისტანის რევოლუციურ ძალთა გაერთიანების მიზნით.

სახალხო ლიგის შიგნით მომხდარმა განხეთქილებამ შეასუსტა სუპრავარდის პოზიცია და ამან აიძულა იგი ვაშინგტონში დაეწყო დასაყრდენის ძებნა.

ამერიკა-პაკისტანის მოლაპარაკებათა ერთობლივ კომუნიკეში აღნიშნული იყო, რომ ამერიკა აღმოუჩენს პაკისტანს დახმარების „საჭირო მინიმუმს". ამ შემთხვევაში ლაპარაკი იყო პაკისტანისათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და სხვა ამერიკული ნამეტების მიწოდებაზე. პაკისტანის სურვილი კი — დახმარება მიეღო ამერიკიდან მეტალურგიული ქარხნის ასაგებად—უარყოფილ იქნა იმ საბაბით, რომ „პაკისტანის განვითარების მდგომარეობა მოითხოვს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დამხმარე დარგების შექმნას".

ერთდროულად აშშ-ის წარმომადგენლებმა სუპრავარდისაგან მოითხოვეს, რომ მას უფრო აქტიური მონაწილეობა მიეღო ამერიკის შეერთებული შტატების გეგმებში, რომლის თანახმად „ანტიკომუნისტური ფრონტი იქმნებოდა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში", აგრეთვე „ახლო და შუა აღმოსავლეთში ეიზენჰაუერის დოქტრინის წინ წაწევის" საქმეში. მოლაპარაკებაში ამერიკის მხარის მონაწილეებმა მოაგონეს სუპრავარდს იმის შესახებ, რომ პაკისტანი ამერიკის გეგმებში „ბაღდადის პაქტისა და სეატოს შორის შემაკავშირებელი რგოლის როლს ასრულებს, და მოითხოვეს პაკისტანისაგან შესაბამისი პოლიტიკის გატარება აღმოსავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის იმ ქვეყნებში, რომლებიც არ შეეიდნენ სამხედრო ბლოკებში.

აშშ-ის პრეზიდენტმა და პაკისტანის პრემიერ-მინისტრმა, როგორც კომუნიკეში იყო ნათქვამი, „გამოხატეს თავიანთი მზადყოფნა მხარი დაუჭირონ და განამტკიცონ" სეატო და ბაღდადის პაქტი. სუპრავარდმ ვალდებულება იკისრა, რომ იგი აქტიურ მონაწილეობას მიიღებდა აშშ-ის მიერ შეკოწიწებული სამხედრო ბლოკების აგრესიულ განზრახვათა განხორციელების საქმეში. შემთხვევითი არ არის ის მოვლენა, რომ ამერიკის კონგრესზე სუპრავარდის გამოსვლისას ომის მოტრფიალე კონგრესმენებმა მჭუხარე ტაშით დააჯილდოვეს იგი, ხოლო აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტმა ნიქსონმა მას „ამერიკის შეერთებული შტატების უახლოესი მეგობარი და მოკავშირე" უწოდა.

მაგრამ კომუნიკეში თავისი გამოხატულება ჰპოვა იმანაც, რომ პაკისტანის ეკონომიკა ვერ აიტანდა გამალებული შეიარაღების იმ მძიმე ტვირთს, რასაც პაკისტანის მთავრობა ატარებს ამერიკის შეერთებული შტატების ზეგავლენით. ამერიკული გაზეთი „უორლდ ტელეგრამ ენდ სანი" წერდა: „ოთხი უკანასკნელი წლის მანძილზე პაკისტანს ანადგურებს შიმშილი, ქვეყანა გაკოტრებამდეა მისული", ხოლო პაკისტანის მთავრობა „დანის წვერზე დგას".

1957 წლის დეკემბერში სუპრავარდის მთავრობა გადადგა. პრემიერის პოსტი დაიკავა მალიქ ფიროზხან ნუნმა, რომელსაც საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი ეკავა სუპრავარდის მთავრობაში. პრემიერის პოსტის დაკავებისას ნუნმა განაცხადა, რომ მის მთავრობას განზრახული არა აქვს შეცვალოს პაკისტანის საგარეო პოლიტიკის არსებული კურსი. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებით ნაკარნახევი პოლიტიკის წინააღმდეგ ოპოზიციამ ისეთი საშიში ხასიათი მიიღო, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ამჯობინეს 1958 წლის დამლევს მოეხდინათ სახელმწიფო გადატრიალების ინსპირირება პაკისტანში, დაემყარებინათ იქ სამხედრო დიქტატურის რეჟიმი, დაეთხოვათ პარლამენტი და აეკრძალათ პოლიტიკური პარტიების საქმიანობა. სწორედ ასეთ პირობებში მოაწერეს ხელი 1959 წლის დასაწყისში პაკისტანსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ორმხრივ სამხედრო შეთანხმებას, რაც ანალოგიურია

აშშ მიერ ირანსა და თურქეთთან დადებული შეთანხმებებისა. ამის შედეგად გახშირდა სასაზღვრო კონფლიქტები პაკისტანსა და ინდოეთს შორის.

პაკისტანი კვლავ რჩება ვაშინგტონის იარაღად სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების დამოუკიდებლობის წინააღმდეგ.

ტ ა ი ლ ა ნ დ ი

ტაილანდის ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა

ტაილანდი სუსტად განვითარებული აგრარული ქვეყანაა. გლეხთა თითქმის 80 პროცენტს მიწა არ გააჩნია და მეტად მძიმე პირობებში იღებს მას იჯარით მსხვილ მიწათმფლობელთაგან. საიჯარო ქირა მოზიარე გლეხთა მოსავლის 50 პროცენტზე მეტს შეადგენს.

დამმუშავებელ მრეწველობაში წვრილი საწარმოები შედის (ხე-ტყის სახერხი, შაქრის, ზეთსახდელი ქარხნები, ასანთისა და თამბაქოს ფაბრიკები, წვრილი საფეიქრო საწარმოები და სხვ.). განვითარებულია სამთო-მომპოვებელი მრეწველობა — პირველ რიგში კალის კონცენტრაციის წარმოებისა და ვოლფრამის მოპოვების დარგში. სამთო-მომპოვებელი მრეწველობა ინგლისისა და ამერიკის კაპიტალის ხელშია.

მშრომელთა მდგომარეობა მეტად მძიმეა. სამუშაო დღის ხანგრძლივობა თამბაქოსა და შაქრის საწარმოებში 16—18 საათამდე აღწევს. ფართოდაა გამოყენებული ბავშვთა შრომა. არ არსებობს შრომის კანონმდებლობა.

1932 წლიდან ტაილანდი კონსტიტუციურ მონარქიას წარმოადგენს. მთავრობა მსხვილ მიწათმფლობელთა და მწარმოებელთა ინტერესებს იცავს.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უცხოეთის კაპიტალის გავლენა ტაილანდში მნიშვნელოვნად გაძლიერდა. ჯერ კიდევ 1945 წელს ტაილანდის მთავრობამ ხელშეკრულება დადო ინგლისის „შელ ოილ კომპანის“ ნავთობის კომპანიასთან და ამერიკის „სტანდარტ ოილ კომპანის“ ნავთობის კომპანიასთან მათთვის საექსპლოატაციოდ 30 წლის ვადით ტაილანდის ნავთობის გადაცემის შესახებ. ამ შეთანხმებით ტაილანდის მთავრობა უარს აცხადებდა თავის უფლებებზე მონაწილეობა მიეღო ნავთობის პროდუქტების გასაღებაში ან ხელი შეეწყო მოსახლეობისათვის ნავთობის პროდუქტების მიმწოდებელი ეროვნული კომპანიების შექმნისათვის. დაიკავეს რა მონოპოლიური მდგომარეობა. ორივე კომპანია შეუდგა სისტემატურად ნავთობის ფასების ხელოვნურად აწევას. ამის შედეგად კომპანიის შემოსავალმა ექვსჯერ გადააჭარბა უკანასკნელი წლების იმ კაპიტალს, რაც დაბანდებული იყო მათ მიერ ტაილანდში.

1950 წელს ტაილანდსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დაიდო შეთანხმება ეკონომიური და სამხედრო „დახმარების“ შესახებ, რამაც ამერიკის შეერთებული შტატების კონტროლის ქვეშ დააყენა ტაილანდი. ამერიკის შეერთებული შტატების მოთხოვნის თანახმად ტაილანდმა შეწყვიტა ვაჭრობა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან და 1954 წელს სეატოს აგრესიულ ბლოკში შევიდა.

სეატოში ყოფნა უდიდეს ხარჯებთან იყო დაკავშირებული, რასაც ტაილანდის მილიტარიზაცია იწვევდა. სახელმწიფო ბიუჯეტის ნახევარი სამხედრო ხარჯებმა შთანთქეს. სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტმა 1956 წელს 6-ჯერ გადა-

აჭარბა 1950 წლის დეფიციტს და შეადგინა მისი გასავლის ნაწილის 20 პროცენტი. შემცირდა ის ხარჯები, რომლებიც საჭირო იყო სოფლის მეურნეობისათვის. მრეწველობისა და ვაჭრობისათვის, რომლებმაც მთელი ბიუჯეტის სულ რაღაც 40 პროცენტი შეადგინეს. შემცირდა უმნიშვნელოვანესი სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოება.

ამერიკული „დახმარების" უდიდესი ნაწილი სამხედრო ბაზების მშენებლობაზე მიდიოდა. 1956 წელს ტაილანდისათვის „დასახმარებლად" გამიზნული 34,5 მილიონი დოლარიდან მხოლოდ 5 მილიონი იქნა გამოყენებული ეკონომიური საჭიროებისათვის. დანარჩენი თანხა მოახმარეს ამერიკის აგრესიული გეგმის შესაბამისად 3 საავიაციო ბაზის მშენებლობას ჩრდილო-აღმოსავლეთის საზღვარზე, სამხედრო-საზღვაო ბაზის მშენებლობას სატახიაში, სამხედრო-საზღვაო ბაზების რეკონსტრუქციას სურატანში, სონგკლაში და კუნძულ პუკეტში, სამხედრო-საჰაერო ბაზების მოდერნიზაციას კორატსა და ტაკლში, სტრატეგიული გზების მშენებლობას ბირმის, კამბოჯისა და ლაოსის მიმართულებით და ხმარებიდან გამოსული დაძველებული ამერიკული შეიარაღებისა და მოწყობილობის შესყიდვას. პირდაპირმა და არაპირდაპირმა სამხედრო ხარჯებმა კი, რაც ტაილანდს თავისი საკუთარი სახსრებიდან უნდა გაეღო, 7-ჯერ გადააჭარბეს ინ სახსრებს, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატებიდან იქნა მიღებული.

ტაილანდის ეკონომიკაზე მეტად მძიმედ იმოქმედა იმ გარემოებამ, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა აუკრძალეს ტაილანდს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისათვის კაუჩუკისა და ბრინჯის მიყიდვა. ამ აკრძალვით ტაილანდმა 150 მილიონი დოლარი დაკარგა. ამერიკის კონკურენციის გამო შემცირდა ტაილანდიდან ბრინჯის გატანა სხვა ბაზრებზეც. პირველი მოხმარების საგნებზე ფასები გაიზარდა.

მოსახლეობა ფეოდალებისა და იმპერიალისტების მონობაში იტანჯებოდა.

ანტიიმპერიალისტური გაფიცვები ტაილანდში

მძიმე ეკონომიურმა მდგომარეობამ ხალხის ყრუ უკმაყოფილება გამოიწვია პიბუნსანგრამის მთავრობის მიმართ, რომელიც ათი წლის განმავლობაში ედგა ხელისუფლებას სათავეში და ხალხის თვალში ყოველად არაპოპულარულ პროამერიკულ პოლიტიკას ატარებდა. ტაილანდში გაიშალა მოძრაობა სამხედრო ბლოკებში მონაწილეობის წინააღმდეგ, აგრეთვე მოძრაობა სამხედრო ვალდებულებათაგან განთავისუფლებისათვის, დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებისა და სეატოდან გამოსვლისათვის. ოთხმა ოპოზიციურმა პარტიამ მკვეთრი პროტესტი განაცხადა ტაილანდის ტერიტორიაზე სეატოს ბლოკის შეიარაღებული ძალების მანევრების ჩატარების წინააღმდეგ და ეს მანევრები დაახასიათა როგორც „პროვოკაციული". ამერიკის შეერთებული შტატების მოთხოვნით ტაილანდის მთავრობამ ამაზე პროგრესულ მოღვაწეთა დაპატიმრებით უპასუხა.

მაგრამ ტაილანდის საზოგადოებრივ ძალთა დაწოლით ტაილანდის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვან ვაიდხაიაკონმა პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ტაილანდს შორის ხელმოწერილი შეთანხმებები ცალმხრივი ხასიათისაა, იგი არათანასწორუფლებიანია და ვერ უზრუნველყოფს ტაილანდის ინტერესებს. მინისტრმა განაცხადა, რომ ტაილანდს ძალიან სურდა ამ შეთანხმებათა გადასინჯვა. იმავე დროს მთავრობამ

განაცხადა საბჭოთა კავშირ-ტაილანდის ურთიერთობის გაუმჯობესების შესაძლებლობა. ტაილანდის მისია მოსკოვში და საბჭოთა მისია ბანგკოკში საელჩოებად გარდაიქმნა.

1957 წლის თებერვალში ტაილანდში შედგა პარლამენტის არჩევნები. პიბუნსონგრამის მთავრობამ ძლივს შეინარჩუნა ხელისუფლების სათაეში თავისი ადგილი. პარლამენტის არჩევნების ჩატარებისთანავე ამერიკის აგენტებმა შეადგინეს ყალბი საბუთები ტაილანდის მთავრობის წინააღმდეგ „შეთქმულების“ მოწყობის შესახებ. ამ ყალბ საბუთის საშუალებით ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მიაღწიეს ტაილანდში საგანგებო მდგომარეობის შემოღებას. გაძლიერდა რეპრესიები პატრიოტული მოძრაობის მოღვაწეთა წინააღმდეგ.

პიბუნსონგრამის მთავრობის დაცემა. ტანარატის სამხედრო დიქტატურა

პიბუნსონგრამის მთავრობის მდგომარეობა თანდათანობით მძიმდებოდა. მთავრობის მისამართით კრიტიკა სულ უფრო მკაცრ ხასიათს ღებულობდა. მეორე მხრივ, თვით ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტიც უკმაყოფილებას გამოთქვამდა პიბუნსონგრამის მთავრობის მიერ აღებულ კურსის გამო, რომელიც, დეპარტამენტის აზრით, არასაკმაოდ მტკიცე იყო. 1957 წლის აგვისტოს დაიწყო მთავრობის კრიზისი, რაც გამოიწვია თავდაცვის მინისტრ ფელდმარშალ სარიტ ტანარატის და მასთან დაახლოებული მთავრობის რამდენიმე წევრის გადადგომამ. ღამით, 17 სექტემბერს სარიტ ტანარატამ, რომელსაც აგრეთვე სახმელეთო ჯარების სარდლის პოსტიც ეკავა, მოახდინა სახელმწიფო გადატრიალება. პიბუნსონგრამი გაიქცა ტაილანდიდან და ძალაუფლება სამხედრო ჯგუფის ხელში აღმოჩნდა. ინდოეთის გაზეთები მიუთითებდნენ, რომ აჯანყებას ამერიკასთან ჰქონდა ძაფები გაბმული. ამის ყველაზე თვალსაჩინო დამამტკიცებელი ის იყო, რომ პრემიერის პოსტი დაიკავა პოტი სარასინმა — ყოფილმა ელჩმა ამერიკის შეერთებულ შტატებში და სეატოს გენერალურმა მდივანმა. გადატრიალება სწორედ მაშინ მოხდა, როდესაც ბანგკოკში ამ აგრესიული ბლოკის სამხედრო მრჩეველთა კონფერენცია მიმდინარეობდა. საგარეო საქმეთა მინისტრად დარჩა ვან ეიატხაიკონი, რომელმაც აშშ-ის განსაკუთრებული ნდობა დაიმსახურა: ამერიკის შეერთებული შტატების მიერ 1957 წლის სექტემბერში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საგანგებო სესიაზე მისი კანდიდატურა წამოყენებულ იქნა „კომისრის“ პოსტზე „უნგრეთის საკითხში“.

გადატრიალების შემდეგ მეფემ დაითხოვა ეროვნული კრება და შეადგინა დროებითი პარლამენტი, რომლის წევრებად დაინიშნა 109 სამხედრო და 14 სამოქალაქო პირი. თავის გამოსვლაში პოტ სარასინმა განაცხადა, რომ ტაილანდის საშინაო და საგარეო პოლიტიკა უცვლელი რჩება, რომ მისი მთავრობა მომავალშიც მიიღებს ამერიკის დახმარებას და დარჩება სეატოს წევრად. მან განაცხადა აგრეთვე, რომ ტაილანდს არავითარი განზრახვა არა აქვს ცნოს ჩინეთი და რომ ტაილანდი მომავალშიც მტკიცედ გაატარებს ემბარგოს პოლიტიკას ჩინეთთან ვაჭრობის საკითხში.

მაგრამ ანტინაციონალური პოლიტიკის გატარება მზარდ წინააღმდეგობებს აწყდებოდა ოპოზიციური წრეების მხრივ. ეს გარემოება მიზეზი გახდა ახალი სახელმწიფო გადატრიალებისა, რომელიც ტაილანდში მოხდა 1958 წლის და-

სასრულს ვაშინგტონის მითითებით. ტანარატმა გამოაცხადა სამხედრო დიქტატურის რეჟიმი, დაითხოვა პარლამენტი და აკრძალა პოლიტიკური პარტიების საქმიანობა.

ფ ი ლ ი პ ი ნ ე ბ ი

ფილიპინების ხალხის ბრძოლა ამერიკის იმპერიალიზმის წინააღმდეგ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ

ფილიპინები ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანაა. სახნავი მიწის 55 პროცენტი მემამულეებს ეკუთვნის. უმიწაწყლო მოიჯარადრენი გლეხთა მეურნეობის 40 პროცენტს შეადგენენ, ნახევრად მოიჯარადრენი—10 პროცენტს. ფილიპინებში გაბატონებულია იჯარისა და მოზიარეობის სისტემა (ეგრეთ წოდებული „კასამა"). რომლის საფუძველზე გლეხი შემოსავლის ნახევარზე მეტს აძლევს მემამულეს.

მრეწველობაში სჭარბობენ წვრილი, ტექნიკურად აღუჭურველი საწარმოები. განვითარებულია მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის პირველადი დამუშავება. მოხმარების საგნების ძირითადი მასა ფილიპინებში სხვა სახელმწიფოებიდან შემოაქვთ.

მეორე მსოფლიო ომის დროს იაპონელებმა დაიპყრეს ფილიპინები. 1942 წლის თებერვალ-მარტში ფილიპინებიდან ამერიკის ჯარების უკან დახევის მომენტში კომუნისტების ინიციატივითა და ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა ანტიიაპონური პარტიზანული არმია „ხუკბალახაპი", რომელიც სათავეში ჩაუდგა ფილიპინების მუშებისა და გლეხების ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის. .

იაპონიის კაპიტულაციის შემდეგ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სცადეს თავიანთი ბატონობის აღდგენა ყოფილ კოლონიაში. მაგრამ ფილიპინების ხალხმა კოლონიზატორების წინააღმდეგ გაილაშქრა. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელობა „ერთიანი ფრონტის" ხელში იყო, რომელშიც შევიდნენ კომუნისტური პარტია, სოციალისტური პარტია, სამოქალაქო თავისუფლებათა კავშირი, ჩინელების კომუნისტური ასოციაცია, ახალგაზრდობისა და სხვა ორგანიზაციები.

პირველ ხანებში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სცადეს ფილიპინებში ომამდე არსებული ოსმენიის მთავრობის აღდგენა, მაგრამ ამგვარ ცდას გადაჭრით აღუდგა წინ ხალხთა მასა. ამერიკელებმა მაინც მოახერხეს ძალაუფლება გადაეცათ ფილიპინების ბურჟუაზიის ყველაზე რეაქციული ნაწილისათვის, რომელიც მსხვილ ფეოდალებთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული. ფილიპინებზე ტერორისტული რეჟიმი დამყარდა. პრეზიდენტის პოსტი კოლაბორაციონისტმა როხასმა დაიკავა, რომელიც ომის დროს იაპონელ ოკუპანტებთან თანამშრომლობდა.

1946 წელს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გამოაცხადეს ფილიპინებისათვის „დამოუკიდებლობის" მინიჭება. 1947 წელს აშშ და ფილიპინებს შორის ხელმოწერილ იქნა შეთანხმება იმის შესახებ, რომ მიწის ის ნაკვეთები, რომლებიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა იჯარით აიღეს ფილიპინების ტერიტორიაზე ბაზების ასაგებად, 99 წლის განმავლობაში ფაქტიურად გადასულიყო ამერიკის სარდლობის საკუთრებად. ფილიპინების არმია და სახელმწიფო აპარატი ამერიკელი ექსპერტებისა და მრჩევლების კონტროლს დაუქვემდებარ-

და. ეკონომიკაში ამერიკის მონოპოლიები გაბატონდნენ. 1954 წელს აშშ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის აგრესიულ სამხედრო ბლოკში — სეატოში ჩაითრიეს ფილიპინები.

ამერიკის პოლიტიკის ფარვატერში ყოფნამ და აუტანელმა სამხედრო ხარჯებმა საბოლოოდ დასცეს ფილიპინების ეკონომიური მდგომარეობა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შორეული აღმოსავლეთისათვის არსებული ეკონომიური კომისიის მონაცემებით, ცხოვრების ღირებულების ინდექსმა ფილიპინებში 1956 წელს უმაღლეს დონეს მიაღწია.

მძიმე ეკონომიური მდგომარეობა ბიძგს აძლევდა ფილიპინების საქმიან წრეებს სოციალისტური ბანაკის ქვეყნებთან საგარეო სავაჭრო ურთიერთობის დამყარებისათვის. 1957 წლის თებერვალში ფილიპინების სავაჭრო პალატამ მოიწონა სავაჭრო დარგში ფილიპინების პოლიტიკის გადასინჯვა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ქვეყნების მიმართ. ფილიპინების სავაჭრო პალატის თავმჯდომარემ ლორენსომ ქვედა პალატაში გამოსვლისას განაცხადა, რომ ფილიპინები ბევრს დაკარგავენ საგარეო ვაჭრობაში, თუ „ისინი არ იეაჭრებენ კომუნისტურ ქვეყნებთან".

კოლონიური მდგომარეობა ფილიპინელი საზოგადოებრიობის ეროვნული გრძნობის შემბღალავი იყო. „ფილიპინებზე ამერიკელთა საქმიანობის კრიტიკა, რომელსაც ახლა აქვს ადგილი, შეწყდება — ჩვენ ამაში დარწმუნებული ვართ — მხოლოდ მაშინ, როდესაც ამერიკის შეერთებული შტატები უკვე ისე აღარ ოპოპაყრობიან ფილიპინებს, როგორც კოლონიას",—წერდა 1956 წლის აპრილში გაზეთი „მანილა ქრონიკლი".

1956 წლის აპრილში მთავრობის მიმართ ოპოზიციაში მდგომმა ჯგუფებმა ფილიპინების კონგრესის ქვედა პალატაში გაატარეს რეზოლუცია ფილიპინ-ამერიკელების ურთიერთობის გადასინჯვის შესახებ. რეზოლუციაში ნათქვამი იყო, რომ საჭიროა გადაისინჯოს შეთანხმების პირობები, რომელიც თავის დროზე დადებული იყო ყოფილ პრეზიდენტ კორონსოა და აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტს შორის, ფილიპინებისათვის ამერიკის ეკონომიური „დახმარების" აღმოჩენის შესახებ; უნდა გადაისინჯოს აგრეთვე ამერიკა-ფილიპინების შეთანხმება ფილიპინების ტერიტორიაზე ამერიკული სამხედრო ბაზების აგების შესახებ. რეზოლუცია ყურადღებას მიაპყრობდა ამერიკელი ეკონომიური და სამხედრო მრჩეველების საქციელს, რომლებიც ფილიპინების საშინაო საქმეებში ერეოდნენ. რეზოლუცია მოითხოვდა ფილიპინებისათვის სრული სუვერენიტეტის მინიჭებას: გარდა ამისა, რეზოლუცია მოითხოვდა ფილიპინების ტერიტორიაზე არსებულ სამხედრო ბაზებისა და სარეზერვო ობიექტებზე ომის შემთხვევაში ერთობლივი ფილიპინ-ამერიკული სარდლობის დაწესებას, ბაზებზე ფილიპინების ალშის ცნობას, ბაზების მიერ დაკავებული ტერიტორიის შემცირებას, ბაზების საოჯახო ვადის შემცირებას, ბაზების სამოქალაქო პირთა დამორჩილებას ფილიპინების ხელისუფალთა ბრძანებისადმი, ბაზების ტერიტორიაზე ფილიპინების იურისდიქციის გავრცელებას, ამერიკელ სამხედრო მოსამსახურეთა მიერ ფილიპინების კანონებისადმი პატივისცემას.

1956 წლის აგვისტოში მანილაში დაიწყო ამერიკა-ფილიპინების მოლაპარაკება. მაგრამ იგი ჩაიფუშა იმის გამო, რომ ამერიკამ უარი განაცხადა ფილიპინებ-სათვის იურისდიქციის უფლების მინიჭებაზე იმ ტერიტორიებზე, რომლებზეც ამერიკული სამხედრო ბაზებია განლაგებული.

რამდენიმე ხნის შემდეგ განახლდა მოლაპარაკება, მაგრამ 1956 წლის დეკემბერში კვლავ შეწყდა „განუსაზღვრელი დროით“. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა „გადაჭარბებულად“ ცნეს ფილიპინების მოთხოვნები და უარი განაცხადეს მათ დაკმაყოფილებაზე.

ტაივანის კუნძულზე მომხდარმა ანტიამერიკულმა გამოსვლებმა გამოძახილი ჰპოვა ფილიპინებში. განმარტება გაუკეთა რა ამ ამბებს, ჭ. მანილის მერმა არსენიო ლაკსონმა აღნიშნა, რომ მიზეზი მდგომარეობდა ამერიკის მტაცებლური პოლიტიკით ტაივანის ხალხის უკმაყოფილებაში. „ახლა მთელ აზიაში სძულთ ამერიკელები“, — ხაზი გაუსვა მან. უცხოეთის პრესამ დაადასტურა, რომ ტაივანის ამბებმა გააძლიერეს ფილიპინების მისწრაფება მიეღწიათ ამერიკულ-ბაზების შესახებ შეთანხმების გადასინჯვისათვის.

მაგრამ ამერიკის შეერთებულ შტატებს ფილიპინების რეაქციულ ძალებზე დაყრდნობით კვლავ თავიანთი აგრესიული პოლიტიკის კალაპოტში ჰყავთ მომწყვდეული ფილიპინების მთავრობა. ინდონეზიაში ამბოხების დროს ფილიპინები მეამბოხეთა მომარაგების ბაზას წარმოადგენდა. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და წყნარი ოკეანის აუზში აშშ-ის პოზიციების შესუსტების პირობებში ამერიკის სამხედრო წრეები ფილიპინებს უყურებდნენ როგორც ერთ-ერთ დასაყრდენ პუნქტს ამ რაიონში ანტიიმპერიალისტურ მოძრაობათა წინააღმდეგ საბრძოლველად.

სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის აგრესიული სამხედრო ბლოკი — სეატო

ანზიუს-ის ბლოკის შექმნა

მას შემდეგ, რაც შეიქმნა აგრესიული ჩრდილოატლანტიკის ბლოკი (ნატო), ამერიკის აგრესიულმა წრეებმა თავიანთ წინაშე ამოცანად დასახეს შეექმნათ აგრესიული ბლოკი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში; ეს ბლოკი მიმართული იქნებოდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და აღმოსავლეთ აზიაში სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ. გათვალისწინებული იყო, რომ ამ ბლოკში კოლონიურ სახელმწიფოებთან ერთად ჩაეთრიათ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მთავარი ქვეყნები — ინდოეთი, ინდონეზია, ბირმა, ცეილონი და სხვა. დაპროექტებული ბლოკი ისე იყო წარმოდგენილი აზიის ქვეყნების საზოგადოებრივი აზრის წინაშე, თითქოს ეს ბლოკი იქნებოდა „თავდაცვითი“, მიმართული მოჩვენებითი მუქარის წინააღმდეგ, რომელიც ვითომც მომდინარეობდა საბჭოთა კავშირიდან და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკიდან.

მაგრამ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის უმთავრესმა სახელმწიფოებმა უარყოფითი პოზიცია დაიკავეს ნავარაუდევი ბლოკის მიმართ. ამგვარად, ბლოკის შექმნა რამდენიმე ხნით გადაიდო. იმ ეტაპზე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ამჯობინეს დაკმაყოფილებულიყვნენ სამხედრო კავშირით, რომელშიც მონაწილეობას მიიღებდნენ აშშ, ახალი ზელანდია და ავსტრალია.

ასე შეიქმნა სამხედრო კავშირი — ანზიუსი (ავსტრალია, ახალი ზელანდია, ამერიკის შეერთებული შტატები).

ჟენევის კონფერენციაზე ინდო-ჩინეთის საკითხის განხილვისას ამერიკელ-გეგმის ჩაშლის შემდეგ ამერიკელი კოლონიზატორები აჩქარდნენ. როგორც ცნობილია, ჟენევის კონფერენციაზე ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციის საწინააღმდეგოდ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ინდო-ჩინეთში საომარ მოქმედებათა შეწყვეტისა და ვიეტნამში, კამბოჯასა და ლაოსში დემოკრატიული არჩევნების ჩატარების შესახებ. ამერიკის შეერთებული შტატების ინიციატივით 1954 წელს მანილაში მოწვეულ იქნა კონფერენცია აშშ-ის, ინგლისის, საფრანგეთის, ახალი ზელანდიისა და ავსტრალიის მონაწილეობით; ამ კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე აზიის სამმა სახელმწიფომ — პაკისტანმა, ტაილანდმა და ფილიპინებმა. ამგვარად, კონფერენციის მონაწილე რვა სახელმწიფოს მიერ ხელმოწერილ იქნა ეგრეთწოდებული „კოლექტიური თავდაცვის“ ხელშეკრულება (სეატო).

ამრიგად, სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ყველა ქვეყნიდან მხოლოდ სამი სახელმწიფო, რომლებიც მანამდე დაკავშირებული იყვნენ აშშ-თან სამხედრო და ეკონომიური „დახმარების“ მიღებაზე შეთანხმებებით, დათანხმდა შეერთებოდა სეატოს აგრესიულ ბლოკს. აზიის ძირითადმა სახელმწიფოებმა კი ბლოკში შესვლას თავი აარიდეს. პირიქით, სეატოს შექმნამ გააუარესა ურთიერთობა. ერთი მხრივ, აშშ-სა და, მეორეს მხრივ, ინდოეთსა, ინდონეზიასა და ბირმას შორის.

მანილის ხელშეკრულება არსებითად სხვა არა იყო რა, თუ არა სუსტად განვითარებული ქვეყნების თავისი ხასიათით კოლონიური ექსპლოატაციის ერთ-ერთი ფორმა. ხელშეკრულება ითვალისწინებდა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების გათიშვას. დაიქვემდებარეს რა აზიის სამი სახელმწიფო, კოლონიზატორებმა დაუპირისპირეს ისინი აზიის სხვა ქვეყნებს, რომლებიც დასავლეთის სახელმწიფოების მიერ შექმნილ სამხედრო ბლოკებში მონაწილეობის წინააღმდეგ გამოდიოდნენ.

მანილის ხელშეკრულების მეოთხე მუხლი ითვალისწინებდა, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რაიონში „საშიშარი“ სიტუაციის შექმნის შემთხვევაში ხელშეკრულების მონაწილენი ერთობლივად იმოქმედებდნენ. თუ რა იგულისხმებოდა ამაში, ჩანს იქიდან, რომ ხელშეკრულება ბლოკის მთავარ მიზნად ითვალისწინებდა „ხელი შეეშალა ძირგამომთხრელი საქმიანობისათვის, რომელიც გარედან მომდინარეობდა და რომელიც მიმართული იყო ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური სტაბილურობის წინააღმდეგ“ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში. „ძირგამომთხრელ საქმიანობაში“, ეჭვს გარეშეა, იგულისხმებოდა ანტიიმპერიალისტური საქმიანობა ამ რაიონში.

ხელშეკრულების მერვე მუხლი ითვალისწინებდა ერთობლივი მოქმედების შესაძლო გავრცელებას ყოველ ტერიტორიაზე, როგორც ეს მოესურვებოდათ ხელშეკრულების მონაწილეებს. თუ გავიხსენებთ, რომ სეატოს ბლოკის შექმნა დაკავშირებული იყო 1954 წლის ჟენევის კონფერენციაზე ინდო-ჩინეთის საკითხში აშშ-ის მარცხთან, მაშინ არ შეიძლება არ მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ მანილის ხელშეკრულებას მხედველობაში ჰქონდა ინდო-ჩინეთში კონფლიქტის გაღრმავება და ამ რაიონში სამხედრო მოქმედებების განახლება. მთლიანად უგულებელყვეს რა ჟენევის შეთანხმებები სამხედრო ბლოკებში მონაწილეობაზე კამბოჯასა და ლაოსის მიერ უარის თქმის შესახებ, ამერიკის შეერ-

თებულმა შტატებმა მანილის ხელშეკრულების დანართ ოქმში აღნიშნეს, რომ ხელშეკრულების ეკონომიური და სამხედრო ღონისძიებები შეიძლება გამოყენებულ ყოფილიყო სამხრეთ ვიეტნამის, კამბოჯისა და ლაოსის მიმართ.

საბჭოთა მთავრობამ მანილის ხელშეკრულება შეაფასა, როგორც მოვლენა, რომელიც ეწინააღმდეგება მშვიდობის ინტერესებს.

„მარშალის ეკონომიური გეგმა აზიისათვის სეატოს ფარგლებში"

ოავის წარუმატებელ ცდებს—ჩაეთრიათ აზიის ძირითადი სახელმწიფოები სეატოს აგრესიულ ბლოკში—ამერიკის შეერთებული შტატები განაგრძობდნენ მანილის კონფერენციის შემდეგაც. მაგრამ, წააწყდნენ რა ამ შემთხვევაშიც აზიის სახელმწიფოების უარს, აშშ ამჯობინეს ემოქმედათ შემოსავლელი გზით: წამოაყენებულ იქნა იდეა —„მარშალის ეკონომიური გეგმისა აზიისათვის სეატოს ფარგლებში". სახელმწიფო დეპარტამენტის აზრით, ამ გეგმის განსახორციელებლად უკვე არსებობდა მზამზარეული დოკუმენტი — ინგლისური ვარიანტის „კოლომბოს გეგმის" სახით, რომელიც 1950 წლიდან მოქმედებდა. „კოლომბოს გეგმა" მოიცავდა ისეთ სახელმწიფოებს, როგორიცაა ინდოეთი, ინდონეზია, ბირმა, ცეილონი, აგრეთვე პაკისტანი, კამბოჯა, ლაოსი, სამხრეთ ვიეტნამი, ნეპალი, ავსტრალია, ახალი ზელანდია, კანადა, ინგლისი, ხოლო 1953 წლიდან აშშ. მიაკერეს რა „კოლომბოს გეგმა" სეატოს ბლოკს, ამერიკის შეერთებული შტატები ვარაუდობდნენ გაეფართოებიათ სეატოს ბლოკი აღმოსავლეთი აზიის ძირითადი სახელმწიფოების ანგარიშზე, რომლებმაც „კოლომბოს გეგმა" მიიღეს, მაგრამ სეატოში შესვლაზე კი უარი განაცხადეს.

ინგლისის მიერ წამოყენებული „კოლომბოს გეგმა" პირველად ითვალისწინებდა სახელმწიფო სახსრების დაბანდებას სამხედრო ბაზებისა და სტრატეგიული გზების მშენებლობაზე და თავისი ერთი ბოლოთი მიმართული იყო აღმოსავლეთ აზიაში ინგლისის პოზიციებზე ამერიკის კაპიტალის შეტევის, ხოლო მეორეთი — ამ რაიონის ქვეყნებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ. მაგრამ სულ მალე „კოლომბოს გეგმის" შედგენის შემდეგ ინგლისს ძალა აღარ აღმოაჩნდა აეტანა ამ გეგმის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები. რის გამოც იგი 1953 წელს დათანხმდა ამ გეგმაში აშშ-ს მონაწილეობას.

ამერიკის მანევრი არ გამართლდა. ჯერ ერთი ამას წინ აღუდგა ინგლისი, რომელსაც არ გამოუჩენია მიდრეკილება, რომ ხელმძღვანელი მდგომარეობა „კოლომბოს გეგმაში" ამერიკისათვის დაეთმო; ამასთან ინგლისი მეტად შიშობდა, რათა მას სახელი არ გასტეხოდა აღმოსავლეთ აზიის ხალხების თვალში. მეორე, მეტად მცირე იმედი იყო იმისა, რომ ინდოეთი, ინდონეზია, ბირმა და ცეილონი დაიჯერებდნენ ამერიკის შეერთებული შტატებისაგან ეკონომიური „დახმარების" მიღებას, შეიწყნარებდნენ „კოლომბოს გეგმის" დამორჩილებას სეატოს აგრესიული პაქტისადმი. ამერიკული გაზეთი „სანდი ტაიმსი" ამ საკითხის გამო წერდა, რომ ინგლისის მთავრობას „არ სურს „დაასნებოვნოს" კოლომბოს მთელი გეგმა აზიის მცხოვრებთა თვალში სეატოსთან მისი დაკავშირებით, რომელსაც მტრულად ეპყრობა აზიის საზოგადოებრივი აზრი".

ერთადერთი, რასაც მიაღწიეს აშშ, ესაა — იაპონიის, ტაილანდისა და ფილიპინების შეყვანა „კოლომბოს გეგმაში".

ახალი გზების გამოსანახავად და სეატოს ბლოკის გასაფართოებლად ჰოწვეულ იქნა ამ ბლოკის მონაწილე ქვეყნების კონფერენცია ბანგკოკში 1955 წლის 23—25 თებერვალს. კონფერენციის დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში საერთო მდგომარეობა: სეატოს ადგილსამყოფელისა და მთავარი ბინის შესახებ; სამხედრო და ეკონომიური საკითხები; „ტექნიკური დახმარების“ საკითხები.

კონფერენციის პირველ დღესვე დალესმა იმ მიზნით, რომ დაეშინებინა ის ქვეყნები, რომლებიც არ შეეიდნენ სეატოში, განაცხადა, რომ აშშ-ს წყნარ ოკეანეში ჰყავს 400 სამხედრო გემი, 350 ათასი ქვეითი ჯარი და 30 აეიაესკადრილია, რომლებიც მზად არიან დაარტყან „სადაც ეს საჭირო იქნება“. დალესმა არა მარტო მოუწოდა სეატოს დანარჩენ წევრებს, დაუმატონ ამ ძალებს თავიანთი ჯარები, არამედ მოითხოვა, რათა მათ შეაფასონ „აშშ ღონისძიებები კორეაში, იაპონიასა და ფორმოზაზე როგორც თავიანთი საკუთარი თავდაცვის ღონისძიებები“.

ამგვარად, ამერიკის შეერთებული შტატები ამჯერად არ დასჯერდნენ მოთხოვნას გაევრცელებინათ სეატოს კომპეტენციები სამხრეთ ეიეტნამზე, ლაოსსა და კამბოჯაზე, არამედ პირდაპირ დასვეს საკითხი სეატოს ბლოკში სამხრეთ კორეის, იაპონიის, ტაივანისა და კუნძულ ციმინდაოსა (კუზმოი) და მაცდუშანის შეყვანის შესახებ.

ინგლისს სურდა სეატოში ეპოვნა, პირველ ყოვლისა, საშუალება თავისი პოზიციების განსამტკიცებლად აზიის სამფლობელოებში. ამიტომაც იდენი სეატოში დალესის წინადადების წინააღმდეგ გამოვიდა სამხრეთ კორეის, იაპონიისა და ტაივანის შეყვანის საკითხში, ხაზი გაუსვა რა იმ გარემოებას, რომ ასეთ ნაბიჯს შეეძლო ომში ჩაეთრია ინგლისი ტაივანის გულისათვის და საშიშროება შეექმნა მისი კოლონიური სამფლობელოებისათვის აზიაში.

დიდად გაუცრუვდათ იმედი ბანგკოკში პაკისტანისა და ტაილანდის წარმომადგენლებს, რომლებიც მოელოდნენ ამერიკული დახმარების მიღებას. უცხოეთის ოპერაციების ამერიკელმა ხელმძღვანელმა სტასენმა აშკარად მიუთითა ასეთი იმედების უნიადაგობაზე.

თავისი გულგატეხილობა არ დაუმალავს არც საფრანგეთის წარმომადგენელს ბონეს, რომელმაც გამოთქვა თავისი მთავრობის უკმაყოფილება აშშ-ის ცდასთან დაკავშირებით — განედევნათ საფრანგეთი თავისი პოზიციებიდან სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

ბანგკოკის კონფერენციის მონაწილეებს არ შეეძლოთ გვერდი აეცილოთ აზიისა და აფრიკის ქვეყნების მომავალი კონფერენციისათვის, რომელიც დანიშნული იყო 1955 წლის აპრილისათვის ბანდუნგში. იმპერიალისტური სახელმწიფოების წარმომადგენლებმა აზრი გამოთქვეს, რომ სეატოს წევრ აზიის სახელმწიფოებს მონაწილეობა მიეღოთ ამ კონფერენციაში. მათ მხედველობაში ჰქონდათ ამ სახელმწიფოების დახმარებით ძირი გამოეთხარათ აზიისა და აფრიკის ქვეყნების ერთიანობისათვის კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. მეორე მხრივ, თუ პაკისტანი, ტაილანდი და ფილიპინები უარს იტყოდნენ ბანდუნგის კონფერენციაში მონაწილეობაზე, მოსალოდნელი იყო ამ ქვეყნების შინაპოლიტიკური გართულებები და მათი საგარეო-პოლიტიკური იზოლაცია.

ბანგკოკის კონფერენციის დამთავრების შემდეგ დალესმა იმოგზაურა შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებში. იგი ცდილობდა ბანგკოკის კონფერენციაზე წარუმატებლობა გამოესწორებინა პირადი მოლაპარაკებებით ბირმაში, ლაოსში, კამბოჯაში, სამხრეთ ვიეტნამში, ფილიპინებსა და ტაილანდში. მთავარი მიზანი, რომელიც დალესმა დაისახა მისივე სიტყვებით, იმაში მდგომარეობდა, რომ „ბოლო მოღებოდა აზიაში უკან დახევას". უკან დახევად მას მიაჩნდა ჟენევის კონფერენციის გადაწყვეტილებები ინდო-ჩინეთის საკითხში. დალესი შემდეგ მიზნებს ისახავდა: ჩაეშალა არჩევნები ვიეტნამში, არ დაეშვა ჟენევის გადაწყვეტილებათა განხორციელება, აღეგავა ყოველივე ის, რაც ხელს უშლიდა მანილის ხელშეკრულების გავრცელებას ინდო-ჩინეთზე.

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩად საიგონში დანიშნულ იქნა გენერალი კოლინსი, რომელსაც მითითება მიეცა არ დაეშვა დემოკრატიული არჩევნების ჩატარება ვიეტნამში. ეწვია რა ბანგკოკის შემდეგ საიგონს, დალესმა თავი ვერ შეიკავა, რომ არ გამოეთქვა თავისი უკიდურესი უკმაყოფილება საფრანგეთის კოლონიურ ხელისუფალთა მოქმედებით, რაც ჟენევის დადგენილებათა განხორციელებისაკენ იყო მიმართული. როგორც ცნობილია, შემდგომ სამხრეთ ვიეტნამში საფრანგეთის მიერ დაყენებული იმპერატორი ბაო დაი გადაყენებულ იქნა თავისი პოსტიდან, პრეზიდენტის პოსტი კი დაიკავა ამერიკის აგენტმა ნგო დინ დიემმა. სამხრეთ ვიეტნამიდან გაყვანილ იქნა საფრანგეთის ჯარები და ბოლო მოეღო საფრანგეთის გავლენას საიგონში.

ჩავიდა რა საიგონიდან, ტაიბეიში, დალესმა რატიფიცირებული სიგელების კაცვლა მოახდინა საგარეო საქმეთა გომინდანელ მინისტრთან. ეს სიგელები ეხებოდნენ სამოკავშირო ხელშეკრულებას „ურთიერთ თავდაცვაზე", რაც დადებული იყო აშშ და ჩანკაიშელებს შორის 1954 წელს და მიმართული იყო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ.

ვერ ჰპოვა რა ინგლისის მხრივ მხარდაჭერა სეატოს ბლოკში სამხრეთ კორეის, ტაივანისა და იაპონიის შეყვანის საკითხში, დალესმა გადაწყვიტა სხვა გზებით მიეღწია აღმოსავლეთ აზიაში სამხედრო კავშირების სისტემის გაფართოებისათვის.

ამ დროისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებს აღმოსაელეთ აზიაში შემდეგი სამხედრო კავშირები ჰქონდათ: 1) „ხელშეკრულება უშიშროებაზე" იაპონიასთან, 2) ანზიუსი; 3) სეატო და 4) აშშ-ის და სამხრეთ ვიეტნამის სამხედრო კავშირი. სამხედრო კავშირი ჩან კაი-შისთან, ანგარიშით მეხუთე, გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" გამოთქმით, ჩამკეტი იყო „უკანასკნელი ხერელისა წყნარი ოკეანის თავდაცვის მრავალმხრივ სისტემაში".

მაგრამ დალესი ამით არ დაკმაყოფილდა. იმ მიზნით, რომ სრულ გარეშოცვაში ჰყოლოდა მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკი აღმოსავლეთიდან, დალესმა წამოაყენა პროექტი „ხელშეკრულებისა კოლექტიური უშიშროების შესახებ", რომელიც უნდა დაედოთ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში სამხრეთ კორეის, იაპონიისა და ტაივანის მონაწილეობით (ნეატო); მაგრამ ამ შემთხვევაში დალესი წააწყდა წინააღმდეგობას იაპონიის მხრივ.

შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებში დალესის მოგზაურობის შემდეგ ბანგოიში (ფილიპინები) აპრილის დამლევს შედგა მანილის პაქტის მონაწილეთა საიდუმლო თათბირი. ეს თათბირი მიეძღვნა სამხედრო გეგმების დამუშავებას. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: გაერთიანებული შეიარაღებული ძალებისა და ერთიანი დაზვერვის შექმნა; სეატოსა და ჩრდილოატლანტიკური ბლოკის საქმიანობათა კოორდინაცია და სეატოს შეიარაღებულ ძალთა გადიდება. მთავარ საკითხად იდგა ამერიკის სარდლობაში პაკისტანის, ტაილანდისა და ფილიპინების შეიარაღებული ძალების გაერთიანება ჩრდილოატლანტიკური ბლოკის ტიპის მიხედვით. ამასთან დალესი იმედს არ კარგავდა, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ცენტრალიზებულ სამხედრო სისტემაში შემდგომ შეეყვანა ლი სინ მანის, ჩან კაიშისა და ნგო დინ დიემის შეიარაღებული ძალები.

იმავე წლის ივლისში შედგა აგრეთვე სამხედრო ექსპერტების ორი საიდუმლო სხდომა, რომლებშიც მონაწილეობას იღებდნენ სეატოს შეიარაღებული ძალების უმაღლესი წარმომადგენლები. ეს თათბირები შედგა: ბანგკოკში და სინგაპურში. ორივე თათბირი მიეძღვნა ზემოხსენებული სამხედრო გეგმების დაზუსტებას. ბანგკოკში ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციას მეთაურობდა წყნარ ოკეანეში ამერიკული ფლოტის სარდალი ადმირალი სტამპი. ინგლისის დელეგაციას მეთაურობდა შორეულ აღმოსავლეთში ინგლისის სახმელეთო ძალთა სარდალი გენერალი დოუენი. ავსტრალიის დელეგაციის სათავეში იდგა ავსტრალიის გენერალური შტაბის უფროსი და ა. შ.

სამხედრო ექსპერტების თათბირზე ტაილანდის წარმომადგენელმა მზადყოფნა გამოთქვა ერთი წლის განმავლობაში ორმაგად გაედიდებია შეიარაღებული ძალები და გაეგზავნა ისინი ბლოკში შემავალი რაიონის ნებისმიერ მხარეში; მაშინ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სეატოს მოქმედების ზონაში სამხრეთ ვიეტნამის, ლაოსისა და კამბოჯას შეყვანის შესახებ. მსჯელობის საგნად იდგა საკითხი ლაოსის მეფის ჯარებისადმი დახმარების აღმოჩენის შესახებ, რომლებიც პატეტ-ლაოს პატრიოტულ ძალებს ებრძოდნენ. ფრანს პრესის სააგენტოს ცნობით თათბირს ფარულად ესწრებოდა ნგო დინ დიემის მთავრობის ხუთი წარმომადგენელი.

ექსპერტების ყურადღება მიპყრობილი იყო მთავარი საკითხისადმი — ეზად ყოფილიყვნენ, რათა „თავი გაერთვათ საგანგებო მდგომარეობისათვის", რომელიც შეიძლება წარმოშობილიყო სამხრეთ ვიეტნამში.

1955 წლის ნოემბერში კვლავ შედგა სეატოს სამხედრო მრჩეველების ახალი თათბირი. თათბირი მიმდინარეობდა ამერიკის სამხედრო-საზღვაო ბაზაში — პირლ-ჰარბორში.

თათბირი მიეძღვნა სამხედრო გეგმების შედგენასა და დამტკიცებას, რომელთაც ამ შემთხვევაში საფუძველად დაედო აშშ-ის „ატომური ძალის" ესე იგი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში პენტაგონის ატომური სტრატეგიის გავრცელება.

1956 წლის 17-დან 21 იანვრამდე მელბურნში (ავსტრალია) მიმდინარეობდა სეატოს უმაღლესი სამხედრო მრჩეველების თათბირი. თათბირის მიზანი იმაში მდგომარეობდა, რომ განეხილათ სამხედრო გეგმები, რომლებიც პირლ-ჰარბორის სამხედრო ექსპერტთა თათბირზე იქნა მიღებული და გადაეცათ ეს გეგმები სეატოს საბჭოს მომავალი მეორე სესიისათვის, რომელიც 1956 წლის მარტში უნდა შემდგარიყო ყარაჩში (პაკისტანი) საგარეო საქმეთა მინისტრების მონაწილეობით. საქმე ეხებოდა ატომური იარაღისათვის ბაზების მოშზადებას.

1956 წლის 6 მარტს პაკისტანის სატახტო ქალაქ ყარაჩში გაიხსნა სეატოს საბჭოს მეორე სესია. სესიის გახსნის წინადღეს კამბოჯის მთავრობამ აცნობა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სეატოსთან დაკავშირებულ სხვა ქვეყნებს, რომ მას უკვე აღარ სურდა ესარგებლა სეატოს მფარველობით და, რომ კამბოჯის ახლანდელი პოლიტიკა „მტკიცე ნეიტრალიტეტის პოლიტიკაა".

ყარაჩში დალესმა, როგორც ეს მან ვაშინგტონში დაბრუნებისას თვითონვე აღიარა თავის გამოსვლაში, გამოააშკარავა სეატოს წევრ-აზიელთა მისწრაფება „შვიდობისაკენ". დალესი დარწმუნდა, რომ აზიის ქვეყნებს არ სჯეროდათ ამერიკული პროპაგანდისა იმ საშიშროების შესახებ, რომელიც თითქოს „საერთაშორისო კომუნიზმისაგან" მომდინარეობს. პირიქით, აზიის ქვეყნებმა ღრმა უნდობლობა გამოამჟღავნეს დასავლეთის პოლიტიკის მიმართ.

ამიტომაც ყარაჩის თათბირზე დალესმა უმჯობესად მიიჩნია პირველ რიგში წამოეყენებინა სუსტად განვითარებული ქვეყნებისადმი „ეკონომიური დახმარების" საკითხები. ამ მიზნით მან სცადა ერთხელ კიდევ ესარგებლა „კოლომბოს გეგმით". რაც შეეხება სამხედრო საკითხებს, რაც ყარაჩის თათბირის მთავარ მიზანს შეადგენდა, აქ დალესი უკვე აღარ ახდენდა ზეგავლენას პაკისტანის, ტაილანდისა და ფილიპინების შეიარაღებულ ძალთა გაერთიანებაზე ჩან კაი-შის, ლი სინ მანისა და ნგო დინ დიემის მუდმივ ჯართან ჩრდილოატლანტიკური ბლოკის ტიპის მიხედვით. იგი დაკმაყოფილდა მოთხოვნით — შექმნილიყო სეატოსთან სამხედრო დაგეგმვისა და კოორდინირების ჯგუფები აზიის ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან ბრძოლის მიზნით. მან მოითხოვა აგრეთვე გოასა და დასავლეთ ირიანში კოლონიური რეჟიმისათვის მხარდაჭერა, ბლოკის მონაწილე შეიარაღებულ ძალთა გადიდება და სპეციალური სამხედრო ფორმირებების შექმნა სეატოს მოძრავი ჯარების სახით, რომლის დანიშნულება იქნებოდა აზიის ხალხთა ანტიკოლონიური მოძრაობის ჩაქრობა.

დალესის დაპირება „ეკონომიური დახმარების" აღმოჩენის შესახებ, როგორც ეს ყარაჩის თათბირის დასკვნითი კომუნიკედან ჩანს, „საკითხის შესწავლის" ფარგლებს არ გასცილებია. ამასთან ერთად დალესმა გააკეთა ყველაფერი, რაც მასზე იყო დამოკიდებული, იმისათვის, რომ ერთმანეთისათვის გადაეკიდებინა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ცალკეული ქვეყნები, გაეღვივებინა მათ შორის მტრობა და ნეიტრალური ქვეყნების (ინდოეთი, ბირმა, ინდონეზია) ჯგუფისათვის დაეპირისპირებინა პაკისტანი, ტაილანდი და ფილიპინები. ამ ამოცანების შუქზე უნდა იქნეს განხილული სესიის გადაწყვეტილება სეატოს მოქმედების სფეროს „დიფერენციალურ ზონამდე", ესე იგი პუშტუნისტანზე განცხადების შესახებ და პროვოკაციულად დაყენება „სადაო პრობლემის" სახით ქაშმირის საკითხისა, რაც უკვე გადაწყვეტილი იყო ინდოეთის რესპუბლიკის სასარგებლოდ.

ყარაჩში მოწვეულ სესიაზე სერიოზული უთანხმოებები გამოვლინდა მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი საკითხების ირგვლივ. ასე, მაგალითად, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი პინო, მიუთითებდა რა იმ გაზრდილ როლზე, რასაც აზიის კონტინენტი ასრულებს საერთაშორისო ეკონომიურ და პოლიტიკურ საქმეებში, მოითხოვდა ნამდვილ ეკონომიურ დახმარებას სუსტად განვითარებული ქვეყნების მიმართ. მან განაცხადა, რომ საფრანგეთი თანახმაა „შეი-

ტანოს საჭირო წვლილი ხალხთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისა და საყოველთაო სოლიდარობის საქმეში". იმავე დროს პინო არ მალავდა თავის გაღიზიანებას ინდო-ჩინეთიდან საფრანგეთის საბოლოოდ გამოძევებისა და ამერიკის გავლენით მისი შეცვლის გამო.

ინგლისი გადაჭრით ილაშქრებდა სეატოს ბლოკის სისტემაში „კოლომბოს გეგმის" გამოყენების წინააღმდეგ და იმავე დროს მიაჩნდა, რომ სეატო არ უნდა გადაქცეულიყო ეკონომიურ ორგანიზაციად, რომელიც კონკურენციას გაუწევდა „კოლომბოს გეგმას".

აზიის ქვეყნების წარმომადგენლები (პაკისტანი, ფილიპინები და ტაილანდი) თავის მხრივ მოითხოვდნენ, რომ სეატოს ბლოკის მონაწილე ქვეყნებს ყურადღების ცენტრში დაეყენებინათ ეკონომიური პრობლემები. აზიის ქვეყნების ეს მოთხოვნა ამით იყო გამოწვეული, რომ სეატოს წევრობამ უკიდურესად უარყოფითად იმოქმედა მათს ეკონომიკაზე. სეატოში ერთი წლის მონაწილეობამ პაკისტანში უშუალო საომარი მზადებისათვის ხარჯები გაზარდა 601 მილიონი რუპიიდან 1953—1954 წელს 711 მილიონ რუპიამდე 1955—1956 წელს. ასეთივე მდგომარეობას ჰქონდა ადგილი ტაილანდსა და ფილიპინებშიც.

დალესის მეორე მოგზაურობა აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში

ყარაჩში სესიის დამთავრების შემდეგ, 8 მარტს, დალესმა ორი კვირით იმოგზაურა აღმოსავლეთ-აზიის ქვეყნებში და ეწვია ინდოეთს, ცეილონს, ინდონეზიას, ტაილანდს, სამხრეთ ვიეტნამს, ფილიპინებს, ტაივანს, სამხრეთ კორეასა და იაპონიას. თავის საჯარო გამოსვლებში დალესი შეეცადა დაეხატა ამერიკის შეერთებული შტატები, როგორც „ნამდვილი მეგობარი" აზიის ხალხებისა, ხოლო სეატოს ბლოკი როგორც კოლონიალიზმის ნიმუში. ანგარიში გაუწია რა იმ დიდ შთაბეჭდილებას, რაც აზიის ხალხებზე მოახდინა ინდოეთში, ბირმასა და ავღანეთში საბჭოთა ხელმძღვანელების მოგზაურობამ, დალესი ბევრს ლაპარაკობდა სუსტად განვითარებული ქვეყნების მიმართ აშშ-ის „ეკონომიურ დახმარებაზე", დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის კულტურულ და სოციალურ კავშირებზე და ირწმუნებოდა, რომ აშშ-ს სრულებით არა აქვთ განზრახვა ჩაითრიონ სეატოში სამხრეთი კორეა, იაპონია, ტაივანი, სამხრეთი ვიეტნამი და მოითხოვდა ინდოეთის, ბირმისა და ინდონეზიის დაუყოვნებლივ შეყვანას სეატოში.

პაკისტანში, ტაილანდსა და ფილიპინებში ყოფნისას დალესი წააწყდა ამ ქვეყნების საზოგადოებრიობის მზარდ უკმაყოფილებას. პაკისტანის გაზეთი „ნიუ ნეიშნი" ყარაჩში მოწვეული სესიის შესახებ წერდა: „სეატოსა და ბაღდადის პაქტთან შეერთებით ჩვენ ავამხედრეთ ჩვენს წინააღმდეგ ყველა ჩვენი მეგობარი და მეზობელი შუა აღმოსავლეთში. ამ პაქტებმა სხვადასხვა ვალდებულებები დაგვაკისრა და არავითარი სარგებლობა მათ არ მოუტანიათ ჩვენთვის".

ამგვარმა განწყობილებებმა, რასაც ადგილი ჰქონდა წინათაც, გააბედვინეს პაკისტანის მთავრობას გამოსულიყო ომის დროს ბანდუნგის კონფერენციის ერთ-ერთ ინიციატორად და უარი განეცხადებინა სეატოს ბლოკის თებერვლის მანევრებში მონაწილეობაზე. ამას თან მოჰყვა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან დაახლოებისაკენ მიმართული ზოგიერთი ნაბიჯი და თანაგრძნობა საბჭოთა მთავრობის იმ ღონისძიებებისადმი, რომლებიც პაკისტანთან ურთიერთობის გაუმჯობესებისაკენ იყო მიმართული.

1956 წლის თებერვალში ტაილანდის „კეთილი ნების“ მისიის გამგზავრება პეკინში მოწმობდა პროამერიკული პოლიტიკისადმი სერიოზული ოპოზიციის არსებობას ტაილანდში. ტაილანდის საზოგადოებრიობა არ მალავდა ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკით გამოწვეულ უკმაყოფილებას, ვინაიდან სწორედ აშშ-მა ჩაითრიეს ტაილანდი კოლონიურ სახელმწიფოთა სამხედრო დაჯგუფებაში და მოითხოვდნენ ტაილანდისაგან შეიარაღებულ ძალთა გადიდებას.

აშშ-ის პოლიტიკის წინააღმდეგ მოძრაობამ ფილიპინებშიც სერიოზული ხასიათი მიიღო. ფილიპინების გათანაბრება ისეთ ქვეყნებთან, როგორიც არიან სამხრეთ ვიეტნამი, ტაივანი და სამხრეთ კორეა, ღრმა უკმაყოფილება გამოიწვია ფილიპინების საზოგადოებრიობაში. დემოკრატიულ ქვეყნებთან ურთიერთსასარგებლო ვაჭრობაზე უარის თქმამ და ამერიკულ ულუფაზე არსებობამ გამოიწვია საგარეო ვაჭრობის დეფიციტის გადიდება ორმაგად და ქვეყნის ეკონომიური და ფინანსური მდგომარეობის მკვეთრად გაუარესება. ფილიპინების საზოგადოებრიობისათვის ამაში დარწმუნება განსაკუთრებით საეალალო იყო ინდოეთის, ბირმისა და ავღანეთის ეკონომიკის ზრდის ფონზე.

ეწვია რა ინდოეთს, დალესმა სცადა რევანშის აღება და იმ შთაბეჭდილებათა შენელება, რაც იქ დატოვა საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელების მოგზაურობამ. იგი სიტყვებს არ იშურებდა იმისათვის, რათა დაერწმუნებინა ინდოეთის მთავრობა იმაში, რომ სამხედრო ბლოკები, კერძოდ სეატო, საშიშროებას არ წარმოადგენენ ინდოეთისათვის, ვინაიდან ეს ბლოკები მხოლოდ და მხოლოდ „კომუნისტური საშიშროების“ წინააღმდეგ არიან მიმართული.

მაგრამ ინდოეთის საზოგადოებრიობა სხვა აზრისა იყო. „ცივი ომი უკვე ინდოეთის საზღვრებამდეა გადმოტანილი“,—ასეთი დასკვნა გაუკეთა ყარაჩში ჩატარებულ თათბირს ინდოეთის პრესამ.

„კუპერსა[1] და დალესს, როგორც ჩანს, სულელებად მივაჩნივართ, თუ ისინი მართლაც ფიქრობენ ამერიკული ლაქლაქით გაგვაბრიყვონ“,— წერდა ინდოეთის გაზეთი „ბლიტეი“.

მეორე გაზეთი „ინდიან ექსპრესი“ წერდა: „ძნელია დაიჯერო ისეთი ქვეყნები, როგორიც ინდოეთია, იმაში, რომ სეატო მხოლოდ თავდაცვითი ხასიათისაა. ეს ქვეყნები სულ საწინააღმდეგოში არიან დარწმუნებულნი. ამ რაიონში მშვიდობის განმტკიცების ნაცვლად სეატომ მხოლოდ გაამწვავა დაძაბულობა (მაგალითად, ინდოეთსა და პაკისტანს შორის) და მოუახლოვა ცივი ომი მთელ ამ რაიონს“

„ყარაჩში სეატოს საბჭოს საქმიანობის შედეგად ამერიკული იმპერიალიზმი უდიდეს საშიშროებად გადაიქცა თავისუფალი ინდოეთისათვის“,— დაასკვნიდა გაზეთი „ფრი პრეს ჟორნალი“.

ინდონეზიის დედაქალაქი ჯაკარტა უკიდურესად მტრულად შეხვდა დალესს. ინდონეზიამ მოითხოვა სეატოს ბლოკის ლიკვიდაცია.

იაპონიაში დალესმა სცადა რეაქციის ძალების მობილიზაცია გამალებული შეიარაღების გასაძლიერებლად და იაპონიის დიდი არმიის შესაქმნელად. ამ მიზნით დალესი ცდილობდა გადასინჯულიყო კონსტიტუცია, რომელიც კრძალავდა იაპონიის მონაწილეობას ომებში. ამავე ამოცანას მიეძღვნა თათბირი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში, რომელიც დალესმა გახსნა ტოკიოში 19 მარტს.

---

[1] კუპერი—აშშ ელჩი დელში.

მაგრამ ტოკიოში დალესი სხვა განწყობილებებს წააწყდა. გაზეთ „ჩიკაგო სან ენდ ტაიმსში“ გამოქვეყნებულ წერილში ჩიკაგოს უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა პროფესორი ჰანს მორგენ ტაუ წერდა, რომ იაპონელთა შეტად დიდ რაოდენობას „არ სურს მილიტარიზმი, რასაც აშშ აშკარად ცდილობენ მოახვიონ მათ თავზე“, და რომ საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკა აზიის ხალხთა სანუკვარ ოცნებებსა და მისწრაფებებს უპასუხებს.

„ყველა აზიელს, — წერდა მორგენტაუ, — ისე როგორც ყველა ადამიანს, ეშინია ატომური ომისა. და ამ შემთხვევაში საბჭოთა კავშირი გამოდის როგორც მშვიდობიანობის დამცველი. ყველა აზიელი გამოდის კოლონიალიზმის წინააღმდეგ. განათლებული ადამიანები მთელ აზიაში ტექნიკური პროგრესისაკენ მიიწევენ და აქაც საბჭოთა კავშირი გამოდის როგორც ამ მისწრაფებათა დამცველი“.

იაპონიის პროგრესული საზოგადოებრიობა მოითხოვდა აშშ-საგან სამხედრო ბაზების ლიკვიდაციას და წყალბადის ბომბების გამოცდაზე უარის თქმას. ამასთან იაპონია მოითხოვდა საბჭოთა კავშირსა და ჩინეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციას.

საიგონში დალესმა დაიყოლია ნგო-დინ დიემი, რომ ეს უკანასკნელი საბოტაჟს გამოუცხადებდა ინდო-ჩინეთის საკითხის ირგვლივ 1954 წ. ჟენევის გადაწყვეტილებათა შესრულებას. გადაწყდა გაგრძელებულიყო ორივე ქვეყნის ცდა სეატოში სამხრეთ ვიეტნამის შეყვანის თაობაზე.

ტაივანში დალესი მოლაპარაკებას აწარმოებდა ჩან კაი შისთან 1954 წელს ხელმოწერილ „ურთიერთ თავდაცვის“ ხელშეკრულების ცხოვრებაში გატარების შესახებ.

სამხრეთ კორეაში ჩასვლისას დალესმა ფარისეველური „წერილით“ მიმართა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობას. ამ წერილში იგი იუწყებოდა, რომ აშშ მიზნადა აქვს ჩრდილოეთ კორეის „მშვიდობიანი განთავისუფლება“. იმავე დროს დალესმა მხარი დაუჭირა ლი სინ მანის თხოვნას დამატებითი აღჭურვილობის მიწოდების შესახებ 600-ათასიანი არმიისათვის, რომლის დანიშნულებას შეადგენს „ჩრდილოეთში ლაშქრობა“.

ყარაჩში ჩატარებულმა თათბირმა და აზიის ქვეყნებში დალესის მოგზაურობის შედეგებმა კიდევ უფრო ნათელი გახადეს აგრესიული ხასიათი სეატოს ბლოკისა, რომელიც მხოლოდ იარაღს წარმოადგენს სუსტად განვითარებული ქვეყნების დასამონებლად.

სეატოს მესამე სესია კანბერაში

1957 წლის მარტში კანბერაში შედგა სეატოს მესამე სესია, რომელზედაც „კომუნისტთა ძირგამომთხრელი საქმიანობის“ აბრით ირჩეოდა ამ რაიონში მზარდი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობის გეგმები. აშშ-ის აგრესიულმა წრეებმა განსაკუთრებული უკმაყოფილება გამოხატეს ინდოეთის, ინდონეზიის, ბირმისა და ცეილონის მთავრობების მიმართ, რომლებმაც არ დაუშვეს უცხოეთის ჩარევა თავიანთი ქვეყნების საშინაო საქმეებში. შემთხვევითი არ იყო ის გარემოება, რომ კანბერაში სესიის გახსნის წინადღეს ამერიკის კონგრესის კომისიებში დახურულ კარებში იხილავდნენ სამხრეთ-აღმოსავლეთ

აზიის მთელ რიგ ქვეყნებში ისეთი რეჟიმების შექმნის გეგმებს, როგორიც სამხრეთ ვიეტნამში, სამხრეთ კორეაში და ტაივანშია.

იმ მიზნით, რომ გაეღვივებიათ ქაშმირში ახალი კონფლიქტი და ამ ჩოჩქოლში ხელში ჩაეგდოთ ეს მეტად მნიშვნელოვანი სტრატეგიული რაიონი, აშშ-ია კვლავ დასვეს კანბერას სესიაზე ქაშმირის საკითხი. სესიაზე ირჩეოდა აგრეთვე ვიეტნამში არჩევნების ჩაშლისაკენ მიმართული ღონისძიებები; საკითხი იმის შესახებ, რომ კონფლიქტი ლაოსის მეფის მთავრობასა და პატეტ-ლაოს მებრძოლი ნაწილების სარდლობას შორის არ მოწესრიგებულიყო მშვიდობიანი გზით; აგრეთვე წამოჭრილ იქნა საკითხი სეატოს ზონაში გოასა და დასავლეთ ირიანის შეყვანის შესახებ.

სესიის დახურვისთანავე ჩატარებულ იქნა წყნარი ოკეანის დასავლეთ ნაწილში განლაგებული მე-7 ამერიკული ფლოტის კომბინირებული მანეერები, რაც უდიდეს სამხედრო ოპერაციებს წარმოადგენდა კორეაში ომის შემდეგ.

თათბირი ბანდუნგში

1957 წლის დეკემბერს ბაგიოში (ფილიპინები) ჩატარდა სეატოს ხელმძღვანელი ორგანოს თათბირი, რომელზედაც ირჩეოდა სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიიდან ფრანგებისა და ინგლისელების გასვლისა და ამ რაიონის „თავდაცვის ძირითადი ტვირთის“ ამერიკის შეერთებულ შტატებზე გადატანის საკითხი. მეორე საკითხად იდგა ბრძოლა ლაოსსა და ინდონეზიაში „ძირგამომთხრელი საქმიანობის“ წინააღმდეგ. როგორც ცნობილია, ამ დროისათვის ლაოსში ჩატარდა რაიონების გაერთიანება მეფის მთავრობასა და პატეტ-ლაოს მებრძოლი ნაწილების ხელმძღვანელობის შეთანხმების გზით. ამან განამტკიცა მშვიდობა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში და უდავოდ გამოიწვია ლაოსის დამოუკიდებლობის განმტკიცება, რამაც შესაძლებლობა მისცა ლაოსის ხალხს თავისი ქვეყნის მშვიდობიანი მშენებლობის განვითარების და ნეიტრალიტეტის პოლიტიკის განხორციელებისა. ყოველივე ეს არ მოსწონდათ ამერიკის კოლონიზატორებს, ვინაიდან მათ ესაჭიროებოდათ არა ლაოსის დამოუკიდებლობა, არამედ მისი ტერიტორია, რომელსაც ისინი თავისუფლად გაუწევდნენ ექსპლოატაციას და გამოიყენებდნენ სეატოს სამხედრო ბაზების განსალაგებლად.

კიდევ უფრო მეტი გულისწყრომა გამოიწვია ვაშინგტონში ინდონეზიის ამბებმა; ინდონეზიის ხალხის მოთხოვნას ინდონეზიასთან დასავლეთი ირიანის შეერთების შესახებ წონასწორობიდან გამოჰყავს ამერიკის შეერთებული შტატები, რომლებმაც სეატოს სამხედრო ბაზებისათვის აირჩიეს ეს ადგილები; ამ მდგომარეობაში მყოფი აშშ ყველაზე ვერაგულ გზას ადგანან კოლონიური გეგმების განხორციელების საკითხში.

სეატოს სესია მანილაში

1958 წლის მარტში მანილაში შედგა სეატოს სესია, რომელშიც მონაწილეობას იღებდა დალესი. სესიის წინ გაძლიერებით დაირხა ხმები, თითქოს ავსტრალია „სერიოზულად შეშფოთებულია“ იმით, რომ კუნძულ იავას მოელის საშიშროება — შესაძლოა იგი გადავიდეს „კომუნისტების“ ხელში და, რომ, ამასთან დაკავშირებით, ავსტრალიის უშიშროება „მუქარის ქვეშ“ იქნება მოქცეული. სინამდვილეში კი ამ ამბებზე ერთი კვირით ადრე ავსტრალიამ საიდუმ-

ლო ხელშეკრულება დადო ჰოლანდიასთან იმ მიზნით, რათა მას დახმარება აღმოეჩინა დასავლეთ ირიანის შენარჩუნებაში.

როგორც ცნობილია, ინდონეზიაში იმ დროს რეაქციულ ამბოხებებს ჰქონდა ადგილი. ცხადია, რომ ფანდებს ინდონეზიაში „კომუნისტური საშიშროების" მუქარის შესახებ მხოლოდ ის აზრი ჰქონდა, რომ გაეადვილებიათ სეატოს მონაწილე ქვეყნებისათვის ინდონეზიის საშინაო საქმეებში ჩარევა მეამბოხეთა სასარგებლოდ.

აშშ-ის ცდა — გამოეყენებინა სეატო ინდონეზიის ხალხის წინააღმდეგ — ჩაიშალა. ამბოხება ინდონეზიაში ჩაქრობილ იქნა.

სეატოს სამხედრო მრჩეველთა თათბირი ბანგკოკში

1958 წლის ზაფხულის ბოლოს განახლდა გომინდანელთა შეიარაღებული ძალების პროვოკაციული თავდასხმები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ნაპირებზე. კუნძულ ციხმინდაოსა და მაცუდაოზე მოკალათებულ გომინდანელთა 200-ათასიანი შეიარაღებული ჯარი ამერიკის ეე-7 ფლოტის დახმარებით ცეცხლს უშენდა კონტინენტალური ჩინეთის ნაპირებს და ახდენდა საჰაერო თავდასხმებს. ჩინეთის სახალხო-დემოკრატიული არმია საკადრის პასუხს აძლევდა აგრესორებს.

ამასთან დაკავშირებით აშშ-მა გადაწყვიტეს სეატოს ბლოკის აზიელი წევრები ჩაებათ ტაივანის სრუტეში მოწყობილ პროვოკაციებში. 1958 წლის სექტემბრის დასაწყისში დალესის ინიციატივით ვაშინგტონში შედგა სეატოს მონაწილე ქვეყნების ელჩთა თათბირი, ხოლო 16-დან 18 სექტემბრამდე მოწვეული იყო სამხედრო ექსპერტების თათბირი ბანგკოკში. მასში მონაწილეობას იღებდა სეატოს ყველა წევრი სახელმწიფოს 92 მაღალი თანამდებობის ოფიცერი; ტაივანის სრუტე სეატოს პაქტის მოქმედების სფეროში უნდა ყოფილიყო მოქცეული. სხვანაირად რომ ვთქვათ, საკითხი ეხებოდა სეატოს პაქტში შემავალი ქვეყნების ჩათრევას იმ ავანტიურაში, რაც წამოწყებული იყო ვაშინგტონის მიერ შორეულ აღმოსავლეთში.

აშშ შეეცადნენ გამოეყენებინათ ამ საქმისათვის ფილიპინების წარმომადგენლები. ეს უკანასკნელნი თავგამოდებით გამოდიოდნენ საომარი გეგმების შემუშავების მომხრეებად ჩინეთზე თავდასხმის მოხდენის მიზნით, მაგრამ ტაივანის სრუტეზე სეატოს საზღვრების გაფართოების საკითხს მაინც არ შეხებიან. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ ტაილანდსა და პაკისტანს არ ჰქონდათ მიდრეკილება ჩარეულიყვნენ ჩინეთის საქმეებში და აგრესორების მხარეზე გამოსულიყვნენ.

ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ინდონეზიისა და ჩინეთის წინააღმდეგ სეატოს პაქტის გამოყენების ცდებმა ერთხელ კიდევ დაადასტურეს თუ რა იმალება ვაშინგტონის მიერ აღმოსაელეთში შექმნილი აგრესიული პაქტების იქით.

„სეატო, ბაღდადის პაქტი, —ლაპარაკობდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ნ. ს. ხრუშჩოვი, — წარმოადგენენ არა მარტო აგრესიულ სამხედრო და პოლიტიკურ დაჯგუფებებს, არამედ აგრეთვე სუსტად განვითარებული ქვეყნების დამონების ინსტრუმენტს, თავისი ხასიათით კოლონიური ექსპლოატაციის ახალ ფორმას. ხომ ყველასათვის ცხადია, რომ არა პაკისტანი და ტაილანდი სეა-

ტოში და არა ერაყი, ირანი და თურქეთი ბაღდადის პაქტში წარმართავენ პოლიტიკას.

ასეთი ბლოკების შექმნა და ერთი ქვეყნების დაპირისპირება მეორე ქვეყნებისათვის არის აგრეთვე ეკონომიურად სუსტად განვითარებული ქვეყნების გათიშვის საშუალება, იმის ერთ-ერთი საშუალება, რომ გაგრძელდეს კოლონიზატორთა დიდი ხნის ცნობილი პოლიტიკა „გასთიშე და იბატონე". ბაღდადის პაქტის საშუალებით ისინი ცდილობენ გათიშონ არაბთა აღმოსავლეთის ქვეყნები. სეატოს საშუალებით — ისინი ცდილობენ გათიშონ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები"[1].

ბაღდადის პაქტი

ახლო აღმოსავლეთში აგრესიული ბლოკის შექმნის ამერიკული გეგმები

„შუა აღმოსავლეთის სარდლობის" შექმნის ამერიკული პროექტის ჩაშლის შემდეგ წარმოიშვა ახალი „დალესის გეგმა", რომელიც მან წამოაყენა 1953 წელს — შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში თავისი მოგზაურობის დროს. ახალი გეგმა ითვალისწინებდა ორმხრივი სამხედრო ხელშეკრულებების დადებას ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის დასავლეთის სახელმწიფოების მონაწილეობის გარეშე, მაგრამ მათი კონტროლით. გათვალისწინებული იყო, რომ ორმხრივი სამხედრო ხელშეკრულებების დადების შემდეგ ხელმოწერილი იქნებოდა შეთანხმება სამხედრო კავშირების მონაწილეთა და დასავლეთის სახელმწიფოებს შორის უკანასკნელთა მიერ პირველთათვის სამხედრო დახმარების აღმოჩენის შესახებ.

აღნიშნულის საფუძველზე 1954 წლის 2 აპრილს ხელმოწერილ იქნა თურქეთ-პაკისტანის პაქტი, რომელმაც დააწესა კარდახშული რაიონის დასავლეთისა და აღმოსავლეთის საზღვრები; ამ რაიონის დანიშნულება იყო შეექმნა ეგრეთწოდებული „თავდაცვის ჩრდილოეთის იარუსი".

იმავე 1954 წელს ამერიკის შეერთებული შტატების მფარველობით შეიქმნა სეატოს ბლოკი და ამერიკის დიპლომატიამ ამოცანად დაისახა შეექმნა ხიდი, რომელიც შეაკავშირებდა ორ აგრესიულ სამხედრო დაჯგუფებას—ჩრდილოატლანტიკურ ბლოკსა და სეატოს ბლოკს. ამგვარ ხიდად უნდა ყოფილიყო ბაღდადის ბლოკი, რომელიც წარმოადგენდა შუა აღმოსავლეთის ქვეყნების სამხედრო დაჯგუფებებს საბჭოთა კავშირის სამხრეთ საზღვრებზე.

შუა აღმოსავლეთის სამხედრო ორგანიზაციის კონტურები განისაზღვრებოდნენ დასავლეთით—თურქეთით, რომელიც ჩრდილოატლანტიკურ ბლოკში შედიოდა და სამხედრო შეთანხმებებით დაკავშირებული იყო ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ხოლო აღმოსავლეთით—პაკისტანით, რომელიც სეატოს ბლოკში შედიოდა და აგრეთვე სამხედრო შეთანხმებით იყო დაკავშირებული ამერიკის შეერთებულ შტატებთან. სწორედ მაშინ გამოჩნდა ამერიკის პრესაში სტატიები შუა აღმოსავლეთის ვაკუუმის შევსების აუცილებლობის შესახებ —

---

[1] ნ. ს. ხრუშჩოვი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სანგარიშო მოხსენება პარტიის XX ყრილობას. სახელგამი, 1956 წ., გვ. 32.

პირველ რიგში სამხედრო დაჯგუფებებში არაბულ სახელმწიფოთა შეყვანის გზით. მაგრამ, როგორც ლიბანის გაზეთი „ასარხა“ წერდა, „ამერიკის შეერთებული შტატების მიერ თურქეთსა და პაკისტანზე თავსმოხვეულმა აგრესიულმა სამხედრო კავშირმა დიდი შეშფოთება და ამერიკისადმი სიძულვილის ახალი ტალღა გამოიწვია არაბულ ქვეყნებში და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში“. სირიამ, საუდის არაბეთმა და ეგვიპტემ უარყვეს წინადადება თურქეთ-პაკისტანის პაქტთან შეერთების შესახებ.

„დალესის გეგმამ“ მარცხი განიცადა. ამერიკის შეერთებული შტატების ანკესზე წამოეგო მხოლოდ ერაყის მთავრობა, რომელიც დათანხმდა, რომ 1954 წლის აპრილში ხელს მოაწერდა ამერიკის შეერთებულ შტატებთან შეთანხმებას სამხედრო „დახმარების“ მიღების შესახებ. ერაყში გაგზავნილ იქნა ამერიკის სამხედრო მისია.

1954 წლის დეკემბერში დამასკოში ამერიკის დიპლომატთა თათბირზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება — მიეღწიათ არაბული ქვეყნების შესვლა სამხედრო ბლოკებში და, თუ შეუძლებელი აღმოჩნდებოდა პირდაპირი შესვლა ბლოკებში, მაშინ, ყოველ შემთხვევაში, მიეღოთ მათი თანხმობა იმაზე, რათა ამერიკის შეერთებული შტატების მიერ გაწეულ სამხედრო და ეკონომიური „დახმარების“ სანაცვლოდ დაეთმოთ ამერიკისათვის თავიანთი ტერიტორიები სტრატეგიული ბაზების ასაგებად. მაგრამ იმავე წლის დეკემბერს კაიროში შემდგარი არაბული ქვეყნების ლიგის პოლიტიკურ კომიტეტის სესიაზე ამ უკანასკნელებმა განაცხადეს სურვილი დასავლეთის სახელმწიფოებთან „თანამშრომლობაზე მხოლოდ არაბულ სახელმწიფოთა კოლექტიური უშიშროების პაქტის“ საფუძველზე, რასაც ხელი მოაწერეს ჯერ კიდევ 1951 წელს ეგვიპტემ, სირიამ, ლიბანმა, საუდის არაბეთმა, ერაყმა, იორდანიამ და იემენმა იმ დაძაბულ მდგომარეობასთან დაკავშირებით, რომელიც შეიქმნა მაშინ ისრაელთან ურთიერთობაში. მაგრამ ეს გარემოება სრულებით არ აკმაყოფილებდა ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომლებიც ისწრაფოდნენ მიეღწიათ არაბული სახელმწიფოების დაქსაქსულობისათვის.

მაშინ გაჩნდა ახალი ამერიკული პროექტი: წაქეზებინათ არაბული სახელმწიფოები, რათა დაედოთ თურქეთთან ორმხრივი შეთანხმება და თურქეთის საშუალებით დაკავშირებოდნენ თურქეთ-პაკისტანის პაქტს. ამ მიზნით თურქეთის პრემიერი მენდერესი გაემგზავრა ერაყსა და სხვა არაბულ სახელმწიფოებში. თურქეთის პრესაში იწყეს წერა „თურქეთ-არაბეთის დაახლოების“ შესახებ. არაბთა მიმართ თურქების „სიყვარულის“ შესახებ და სხვ. თურქეთსა და არაბულ აღმოსავლეთში პროამერიკული წრეები ცდილობდნენ გაეფანტათ უნდობლობის ატმოსფერო, რომელიც არსებობდა არაბთა ხალხებში თურქეთის მიმართ.

თურქეთ-ერაყის ხელშეკრულება

არაბულ ქვეყნებში მოგზაურობა მენდერესმა დაიწყო ერაყით, სადაც ძალაუფლებას სათავეში ედგა ნური საიდის მთავრობა; ნური საიდმა 1954 წლის ოქტომბერში ანკარაში ყოფნისას თავისი პრინციპული თანხმობა მისცა მენდერესს, რომ თურქეთ-პაკისტანის პაქტს შეუერთდებოდა. მაგრამ თავის ქვეყანა-

ში დაბრუნებისას ნური საიდი წააწყდა ერაყის ხალხის ძლიერ წინააღმდეგობას. მაშინ მან კომუნიზმთან ბრძოლის საბაბით თავის სახელმწიფოში დაამყარა ტერორისტული რეჟიმი. გაწყვიტა რა დიპლომატიური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან, შური იძია ოპოზიციაზე და 1955 წლის 24 თებერვალს ბაღდადში ხელი მოაწერა თურქეთთან სამხედრო ხელშეკრულებას (ბაღდადის ხელშეკრულება), რომელიც დიდი აჩქარებით რატიფიცირებულ იქნა ორივე მხარის მიერ.

ხელშეკრულების მონაწილეები ცდილობდნენ დაემალათ მისი აგრესიული და მილიტარისტული ხასიათი. ხელშეკრულებაში დემაგოგიურად იყო დამოწმებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 51-ე მუხლი. ხელშეკრულება ითვალისწინებდა მისდამი აღმოსავლეთისა და დასავლეთის სხვა სახელმწიფოების შეერთების შესაძლებლობას.

თურქეთთან სამხედრო კავშირში ერაყის შესვლამ უღრმესი აღშფოთება გამოიწვია არაბულ ქვეყნებში, მათ შორის თვით ერაყის საზოგადოებრიობაშიც. ოპოზიციის ლიდერებმა მეფე ფეისალისაგან მოითხოვეს ნური საიდის მთავრობის გადაყენება, თურქეთთან ხელშეკრულების გაუქმება და დემოკრატიული თავისუფლების აღდგენა. მთავრობამ ამაზე რეპრესიებით გასცა პასუხი და საომარ მზადყოფნაში მოიყვანა პოლიციის ძალები და შერჩეული ჯარები. ბაღდადის მარტო ერთ ციხეში პატიმართა რაოდენობამ 7 ათას კაცს გადააჭარბა.

ინგლის-ამერიკის ბრძოლა აღმოსავლეთში

თურქეთ-ერაყის ხელშეკრულების დადების შემდეგ დაისვა საკითხი მისი გაფართოების შესახებ. ეს ამოცანა ინგლისს დაეკისრა.

ამერიკის შეერთებული შტატები, დგამდნენ რა პირველ ნაბიჯებს ჯერ „შუა აღმოსავლეთის სარდლობის", ხოლო შემდეგ „დალესის გეგმის" განსახორციელებლად, წააწყდნენ არაბთა სახელმწიფოების წინააღმდეგობას. ეს გარემოება მოასწავებდა ურთიერთობის დიდად გაუარესებას ამერიკის შეერთებულ შტატებსა და არაბულ ქვეყნებს შორის. მთელი რიგი მიზეზების გამო ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ვერ გადაწყვიტეს დადგომოდნენ არაბულ სახელმწიფოებთან ურთიერთობის გამწვავების გზას და ამჯობინეს პირველობა ამ საკითხში დაეთმოთ ინგლისის დიპლომატიისათვის.

რაში მდგომარეობდა უმთავრესი და ძირითადი მიზეზი იმისა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ინგლისი პირველ პლანზე წამოაყენეს ბაღდადის ბლოკის შექმნის საკითხში?

ამის მიზეზი პირველ ყოვლისა ის იყო, რომ ახლო და შუა აღმოსავლეთში ნავთობის უმდიდრესი საბადოები იყო. ამ რაიონზე კაპიტალისტური ქვეყნების ნავთობის რესურსების 60 პროცენტზე მეტი მოდიოდა. 1954 წელს ამ რაიონში მოპოვებულ იქნა 134 მილიონი ტონა ნავთობი, 1955 წელს — 150 მილიონ ტონამდე. ნავთობის მოპოვება 1955 წელს მონოპოლისტებს დაუჯდათ 250 მილიონ დოლარამდე, ხოლო მოგებამ შეადგინა 2 მილიარდი დოლარი. ამგვარად, მონოპოლისტებმა მარტო ერთი წლის განმავლობაში გამოისყიდეს თავიანთი კაპიტალდაბანდებანი. ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომამდე ამერიკის შეერთებული შტატების წილი შუა აღმოსავლეთში ნავთობის მოპოვებაში შეადგენდა მხოლოდ 13 პროცენტს, ინგლისის წილად კი მოდიოდა 80 პროცენტი. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების წილი გაიზარდა 62 პროცენტამდე, ინგლისის კი შემცირდა 30 პროცენტით.

განამტკიცებდა რა თავის გაბატონებულ მდგომარეობას ახლო აღმოსავლეთში. ამერიკის შეერთებული შტატები დაინტერესებული იყვნენ იმით, რომ არაბი ხალხების გაბოროტება არ გამოეწვიათ. ამიტომ ამერიკის დიპლომატიამ ამჯობინა ინგლისისათვის დაეკისრებინა მთავარი როლი ბაღდადის პაქტის შექმნაში. სახელმწიფო დეპარტამენტის ვარაუდი მეტად მარტივი იყო: თუკი ბაღდადის ბლოკის შექმნა ინგლისის მონაწილეობით ჩაიფუშებოდა, მაშინ არაბი ხალხის თვალში პოლიტიკური მარცხი მხოლოდ ინგლისს დაატყდებოდა. თუ ინგლისი მოახერხებდა არაბულ სახელმწიფოთა შეყვანას სამხედრო ბლოკში, მაშინ, სულ ერთია, ინგლისს არ ეყოფოდა სახსრები ასეთი ვეებერთელა სამხედრო ორგანიზაციის შესანახად და ბაღდადის ბლოკი ამერიკის შეერთებული შტატების ხელში გადავიდოდა.

ინგლისის შეერთება ბაღდადის პაქტთან

1955 წლის 4 აპრილს ინგლისსა და ერაყს შორის ხელმოწერილ იქნა „ურთიერთ თანამშრომლობის" ხელშეკრულება. ერთდროულად ინგლისი შეუერთდა თურქეთ-ერაყის ხელშეკრულებას.

1955 წლის ინგლის-ერაყის ხელშეკრულებამ ძირითადად ინგლისს კოლონიური პრივილეგიები შეუნარჩუნა. თუმცა ახალ ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო ერაყისათვის შაიბესა და ხაბანიაში ინგლისის სამხედრო ბაზების გადაცემა, მაგრამ ორივე ბაზის მოწყობილობა ინგლისის საკუთრებაში რჩებოდა და მათ ინგლისის პერსონალი უწევდა მომსახურებას. ერაყის არმიაში რჩებოდნენ ინგლისის მრჩეველები და ინსტრუქტორები. ინგლისს შეეძლო ჰქონოდა ერაყში სარემონტო სახელოსნოები და საწყობები, დაეცვა იქ სამხედრო ქონება და მოწყობილობა და გამოეყენებინა ისინი ომის შემთხვევაში. ხელშეკრულებით ინგლისს შეეძლო საჭირო შემთხვევაში ერაყში შეეყვანა თავისი ჯარები და შაიბესა და ხაბანში კვლავ დაეკავებინა ბაზები.

ინგლის-ერაყის ხელშეკრულების დადება ინგლისის დიპლომატიამ შეაფასა როგორც თავისი დიდი გამარჯვება. მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ იყო. ზეიმობას ამერიკის შეერთებული შტატები აპირებდნენ.

პაკისტანისა და ირანის შეერთება ბაღდადის პაქტთან

1955 წლის 1 ივლისს პაკისტანი თურქეთ-ერაყის ხელშეკრულებას შეუერთდა. როგორც ცნობილია, პაკისტანი დაკავშირებული იყო ამერიკის შეერთებულ შტატებთან 1954 წლის ორმხრივი შეთანხმებით. იგი მონაწილე იყო სეატოსი და თურქეთ-პაკისტანის პაქტისა. თურქეთ-ერაყის ხელშეკრულებასთან თავის შეერთებას მოჰამედ ალის მთავრობა განაპირობებდა ახალი დეკლარაციით — „დახმარებით", ესე იგი ვაშინგტონისაგან დამოკიდებულების ახალი ძაფებით. ინგლისის დიპლომატია ვაშინგტონისათვის მუშაობდა.

შუა აღმოსავლეთის ვაკუუმი ივსებოდა. ჯერი მიმდგარი იყო ირანზე, რომელმაც ამ დროისათვის უკან დაიხია ნავთობის საერთაშორისო კონსორციუმის მოთხოვნილების წინაშე ირანის ნავთობის ნაციონალიზაციის საკითხში. ირანის მთავრობას სათაეში ედგა ჰოსეინ ალა — ირანის ყოფილი ელჩი ვაშინგტონში, იგი მომხრე იყო იმისა, რომ ირანი შეერთებოდა ახალ სამხედრო დაჯგუფებას.

1955 წლის 11 ოქტომბერს ირანის პრემიერმა ჰოსეინ ალამ ოფიციალურად გამოაცხადა ირანის მთავრობის გადაწყვეტილება — შეერთებოდა სამხედრო კავშირს თურქეთის, ერაყის, ინგლისისა და პაკისტანის მონაწილეობით. ეს გა-

დაწყვეტილება 19 ოქტომბერს დამტკიცა ირანის სენატმა, ხოლო 23 ოქტომბერს — მეჯლისმა. ასეთი ინიციატივა აიხსნებოდა ირანის მთავრობის სურვილით — შეერთებოდა ბაღდადის ხელშეკრულებას საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირამდე, რომლის მოწვევის ვადა დანიშნული იყო 1955 წლის 27 ოქტომბრისათვის. ასე დამთავრდა სამხედრო დაჯგუფების შექმნა, რომელიც ბაღდადის პაქტის სახელწოდებითაა ცნობილი.

უცხოეთის პრესის ცნობით, ბაღდადის პაქტს თან ერთოდა საიდუმლო ოქმი, რომლითაც პაქტის მონაწილე თითოეული მხარე ვალდებულებას კისრულობდა განსაკუთრებულ პირობებში დაეთმო თავისი ტერიტორია, აეროდრომები და სამხედრო აღჭურვილობა პაქტის მონაწილე სხვა ქვეყნების ჯარებისათვის.

ჰოსეინ ალას მთავრობის შეერთება ბაღდადის პაქტთან ეწინააღმდეგებოდ: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას და ირანის ეროვნულ ინტერესებს. მეორე მხრივ, ახალ სამხედრო ხელშეკრულებასთან ირანის შეერთება ეწინააღმდეგებოდა იმ კეთილმეზობლური და მეგობრული ურთიერთობის პრინციპებს, რომლებიც საფუძვლად დაედო 1921 და 1927 წლებში ირანსა და საბჭოთა კავშირს შორის ხელმოწერილ ხელშეკრულებებს.

საბჭოთა მთავრობის მიერ ირანის მთავრობისათვის 1955 წლის 26 ნოემბერს გაგზავნილ ნოტაში დასმული იყო საკითხი ბაღდადის სამხედრო ბლოკის აგრესიული ხასიათისა და შუა და ახლო აღმოსავლეთის რაიონებში მშვიდობიანობის დაცვისა და უშიშროების ინტერესებისადმი და, მაშასადამე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებთან მისი შეუთავსებლობის შესახებ. საბჭოთა მთავრობის ნოტა ირანის მთავრობის ყურადღებას მიაქცევდა იმ გარემოებას, რომ დასავლეთის სახელმწიფოები იყენებდნენ ბაღდადის პაქტს როგორც იარაღს ეკონომიურად სუსტად განვითარებული ქვეყნების კოლონიური დამონებისათვის ამ რაიონში და აგრეთვე იმასაც, რომ ამ პაქტში ირანის მთავრობის მონაწილეობა ეწინააღმდეგება საბჭოთა კავშირ-ირანის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებს.

ირანის მთავრობამ საპასუხო ნოტაში გვერდი აუარა საბჭოთა მთავრობის მიერ დასმულ ძირითად კითხვებს. იგი ამართლებდა სამხედრო ბლოკების შეკოწიწების პოლიტიკას და აგრეთვე ირანის შესვლას ბაღდადის სამხედრო პაქტში. ამიტომ საბჭოთა მთავრობამ თავის 1956 წლის 4 თებერვლის ნოტაში კვლავ განაცხადა, რომ ბაღდადის სამხედრო ბლოკში ირანის შესვლა გზას უხსნის აგრესიულ ძალებს — გამოიყენონ ირანის ტერიტორია საბჭოთა კავშირზე თავდასხმის გეგმების განსახორციელებლად. ამგვარი მდგომარეობა, ნათქვამი იყო ნოტაში, საშიშროებას წარმოადგენს საბჭოთა კავშირის საზღვრებისათვის, რის გამოც საბჭოთა მთავრობას არ შეუძლია არ გააკეთოს სათანადო დასკვნები.

თუ ირანის განსაზღვრული პოლიტიკური წრეები თანაუგრძნობდნენ ირანის შეერთებას ბაღდადის პაქტთან და უგულებელყოფდნენ ირანის ვალდებულებებს საბჭოთა კავშირის მიმართ, სამაგიეროდ ირანის პატრიოტული ძალები იმ კურსის წინააღმდეგ გამოდიოდნენ, რაც ირანის ეროვნულ ინტერესებს უგულებელყოფდა, და ჰოსეინ ალას მთავრობისაგან მოითხოვდნენ დაეცვა ნაკისრი ვალდებულებები. ამაზე ირანის მთავრობამ რეპრესიების გაძლიერებით უპასუხა. ეს რეპრესიები პირველ რიგში სახალხო პარტიის (ტუდეს) წევრთა წინააღმდეგ იყო მიმართული.

ბაღდადის პაქტთან ირანის შეერთებამ მკაცრი პროტესტი გამოიწვია სამ-

ხრეთ-აღმოსავლეთ აზიისა და არაბული აღმოსავლეთის მხრივ. ინდოეთის გაზეთმა „ჰინდუსტან სტანდარდმა“ ირანის ნაბიჯი შეაფასა „როგორც ბანდუნგის შეთანხმების საწინააღმდეგო. ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ნერუმ ბაღდადის პაქტი შეაფასა „როგორც საქციელი, რომელიც სინანულის ღირსია მშვიდობისა და უშიშროების თვალსაზრისით“. ეგვიპტის პრემიერ-მინისტრმა გამალ აბდელ ნასერმა ბაღდადის პაქტს ყველა „არაბი ხალხის საპყრობილე“ უწოდა.

წინააღმდეგობის გაწევაევა იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის ბაღდადის პაქტზე ხელისმოწერასთან დაკავშირებით

ამგვარად, ხუთი სახელმწიფოს შემადგენლობით ბაღდადის სამხედრო ბლოკის შექმნა დამთავრებულ იქნა ინგლისის დიპლომატიის მიერ ამერიკის შეერთებული შტატების ხელშეწყობით, მაგრამ ამ უკანასკნელის მონაწილეობის გარეშე. საფრანგეთმა ბაღდადის პაქტის შექმნის შესახებ მხოლოდ გაზეთებიდან გაიგო და ძალიან თავშეკავებით მოეპყრო ამ ფაქტს. საფრანგეთის მმართველი წრეები ჯერ კიდევ გონს არ იყენენ მოსული იმ დანაკარგის გამო, რაც მათ განიცადეს ინდო-ჩინეთში. მეორე, გი მოლეს მთავრობა, რომელიც შეეჯახა მძლავრ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ჩრდილოეთ აფრიკის საფრანგეთის კოლონიებში, საფუძვლიანად შიშობდა იმაზე, რომ კოლონიურ სახელმწიფოებს განზრახვა ჰქონდათ ხელები მოეთბოთ საფრანგეთის დასუსტების ხარჯზე. მესამე, საფრანგეთის ოფიციალური წრეები შიშობდნენ, რომ ახლო და შუა აღმოსავლეთში ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის კოლონიური გეგმების განხორციელება გი მოლეს მთავრობას შეუქმნიდა დამატებით შინაპოლიტიკური სიძნელეებს. ასეთ პირობებში შეერთებული შტატები და ინგლისიც ამა თუ იმ ნაბიჯის გადადგმისას, თავის მხრივ, ნაკლებად უწევდნენ ანგარიშს საფრანგეთის პრესტიჟს.

მაგრამ ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობაშიც ყველაფერი რიგზე არ იყო. მიუხედავად ამისა, ორივე იმპერიალისტურმა სახელმწიფომ ამჯობინა უკანა რიგზე გადაეწია წინააღმდეგობანი იმ საშიშროების წინაშე, რასაც წარმოადგენდა მათთვის არაბი ხალხის ეროვნული შეგნების გაღვიძება. ახლა ორივე სახელმწიფო იმის ცდაში იყო, რომ ერთობლივი ძალღონით უზრუნველეყო თავისი კოლონიური ინტერესები არაბულ აღმოსავლეთში. ამასთან დაკავშირებით 1956 წლის იანვრის ბოლოს ვაშინგტონში შედგა თათბირი ეიზენჰაუერისა და იდენის მონაწილეობით, რომლის დროსაც მსჯელობის საგანს წარმოადგენდა ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების მიმართ ინგლისისა და ამერიკის პოლიტიკის „კოორდინირების“ საკითხები.

ამგვარი თათბირის მოწვევის თვით ფაქტმაც კი, რაც ამ რაიონის ქვეყნების ზურგს უკან ჩატარდა, არაბი ხალხების კანონიერი აღშფოთება გამოიწვია. ამის გამო მოლაპარაკება ჩატარდა ლიბანის საგარეო საქმეთა მინისტრსა და ეგვიპტის, საუდის არაბეთის, ერაყის, იორდანიისა და იემენის დიპლომატიურ წარმომადგენლებს შორის. ლიბანის მთავრობამ წინადადება შეიტანა, რომ არაბული ქვეყნების ლიგის წევრ სახელმწიფოებს ვაშინგტონში თავიანთი დიპლომატიური წარმომადგენლების მეშვეობით სამახსოვრო ბარათი გაეგზავნათ ეიზენჰაუერისა და იდენისათვის, რომელშიც ხაზგასმული იქნებოდა, რომ არაბული ქვეყნების ლიგის წევრი-სახელმწიფოები არ ცნობდნენ არავითარ გადაწყვეტილებებს არაბთა რაიმე პრობლემის შესახებ, რაც მიღებული იქნებოდა მა-

თი მონაწილეობისა და თანხმობის გარეშე. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სირიის წარმომადგენელმა შუქეირიმ, თავის მხრივ, 20 იანვარს გააკეთა განცხადება. რომელშიც, შეეხო რა იდენსა და ეიზენჰაუერს შორის მომავალ შოლაპარაკებას, მიუთითა, რომ „ახლო აღმოსაელეთის ყველა საკითხი უნდა გადაიჭრას თვით ახლო აღმოსავლეთის ხალხების მიერვე“.

ეგვიპტის გაზეთი „ალ-ჰუმჰურია“ ვაშინგტონის მოლაპარაკებათა შესახებ წერდა: „უკვე წავიდა ის დრო, როდესაც შუა აღმოსავლეთის ქვეყნების[1] საქმეებს არჩევდნენ ლონდონში, პარიზში და ვაშინგტონში და როდესაც დასავლეთის პოლიტიკის ნებისამებრ იცვლებოდა შუა აღმოსავლეთის პოლიტიკა. ამჟამად შუა აღმოსავლეთის საქმეებს განაგებენ თვით ის ხალხები, რომლებმაც თავიანთი სისხლის ფასად მოიპოვეს თავისუფლება და იციან თავიანთი უფლებები“.

იდენსა და ეიზენჰაუერს შორის მოლაპარაკება დაძაბულ ვითარებაში მიმდინარეობდა. ინგლისის დიპლომატია ამერიკის შეერთებული შტატებისაგან ველოდა. რომ ეს უკანასკნელი მხარს დაუჭერდა მის გეგმებს ახლო და შუა აღმოსავლეთში. თავის მხრივ ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობდნენ გამოეყენებინათ ინგლისის მძიმე მდგომარეობა და მიეღწიათ, რომ მას უფრო მეტი ენერგიული მონაწილეობა მიეღო დასავლეთ ევროპაში ამერიკის გეგმების განხორციელების საქმეში. ასეთ ვითარებაში მეტად ძნელი იყო ინგლის-ამერიკის ერთიანობის მიღწევა. ორივე ლიდერის მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში ნათქვამი იყო: „ჩვენ ვიმსჯელეთ არაბეთისა და სპარსეთის ყურეში მდგომარეობის შესახებ, განსაკუთრებით მხედველობაში მივიღეთ ის დაავა და უთანხმოება, რასაც ადგილი აქვს ამჟამად ამ რაიონში“.

ინგლის-ამერიკის „ერთიანობა“ გამომჟღავნდა მხოლოდ მათსაევ გადაწყვეტილებაში მოახდინონ ერთობლივი ზემოქმედება არაბულ ქვეყნებზე და ამ მიზნით გამოიყენონ ისრაელსა და არაბულ სახელმწიფოებს შორის წამოჭრილი კონფლიქტი, რომელიც პალესტინის ომიდანვე მომდინარეობდა. ამასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ, რომ პალესტინის ომი პროვოცირებულ იქნა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის იმპერიალისტური წრეების მიერ იმ მიზნით, რომ სისხლისაგან დაეცალათ არაბი და ებრაელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და განემტკიცებინათ ამერიკისა და ინგლისის ნავთობის მონოპოლიები არაბულ აღმოსავლეთში. ყოველმხრივ უშლიდნენ რა ხელს არაბულ ქვეყნებსა და ისრაელს შორის სადავო საკითხების ნებისმიერ გადაწყვეტას, ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი ცდილობდნენ უზრუნველეყოთ თავიანთთვის „არბიტრის“ როლი და საჭირო მომენტში საბაბი ჰქონოდათ ამ ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევისათვის.

1950 წლის 25 მაისს ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობების მიერ გამოქვეყნებულ იქნა დეკლარაცია „ისრაელსა და მის არაბ მეზობლებს შორის სადავო საკითხების მოწესრიგების შესახებ“. სამი მთავრობა ერთობლივი აქტით ითვისებდა „არბიტრის“ ფუნქციებს ყველა კონფლიქტში, რომლებიც შეიძლება წამოჭრილიყო ამ რაიონში, აგრეთვე უფლებებს — ემოქმედა თავისი შეხედულებისამებრ „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჩარჩოებს გარეშე“. ამასთან ერთად დეკლარაცია აცხადებდა ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობათა მონოპოლი-

[1] მხედველობაშია არაბული აღმოსავლეთი.

ზაციის შესახებ არაბული აღმოსავლეთისათვის საჭიროველის მიწოდების საკითხში. ცხადია, რომ კაპიტალისტურ პარტნიორთა ამ შეთქმულებას ახლო და შუა აღმოსავლეთში არაფერი საერთო არ ჰქონდა ამ რაიონში მშვიდობისა და უშიშროების დაცვის საქმესთან, თუმცა დეკლარაციის მიზნად ფარისეველურად ეს ინტერესები იყო აღიარებული.

ზემოაღნიშნულის შუქზე განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ეიზენჰაუერისა და იდენის განცხადებაში განყოფილება „შუა აღმოსავლეთი"[1]. ამ განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ სანამ არაბულ სახელმწიფოებსა და ისრაელს შორის წამოჭრილი სადავო საკითხები არ არის მოწესრიგებული, ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი იხელმძღვანელებენ 1950 წლის 25 მაისის სამმხრივი დეკლარაციით, რომელიც ითვალისწინებს მოქმედებას როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჩარჩოებში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. ამ ფრაზის აზრი გაშიფრული იქნა დალესის მიერ, რომელმაც განაცხადა პრესკონფერენციაზე, რომ დეკლარაციის მონაწილეები „სათანადო ზომებს მიიღებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებების გარეშე". ამ განცხადებით სახელმწიფო მდივანი დაეშუქრა შუა აღმოსავლეთის ქვეყნებს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის ჩარევით მათ საქმეებში.

ყოველივე ეს მიზნად ისახავდა იმას, რომ ამ რაიონში სადავო საერთაშორისო საკითხები გადაწყვეტილიყო თვით შუა აღმოსავლეთის ქვეყნების მონაწილეობის მიუღებლად და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარეშე.

ინგლისელ-ისრაელი „ომიანობისაკენ"

ვაშინგტონის შეხვედრის დამთავრებისთანავე ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი სასწრაფოდ შეუდგნენ თავიანთი მუქარის სისრულეში მოყვანას. ისრაელში განახლდა არაბთა შევიწროება. 5 თებერვალს ისრაელის მთავრობამ გამოაქვეყნა ბრძანებულება, რომლის ძალით 200 ათასი დუნამი[2] ტერიტორია გამოცხადებული იყო დახურულ რაიონად განუსაზღვრელი ვადით, სამხედრო მანევრების ჩასატარებლად; ამ ბრძანებულებით არაბ-ფელახებსა და ბედუინებს ეკრძალებოდათ აღნიშნულ რაიონში მიმოსვლა სამხედრო ხელისუფალთა განსაკუთრებული ნებართვის გარეშე.

ამის შემდეგ გაზეთი „ნიუ იორკ ჰერალდ ტრიბუნა" გამოაქვეყნა თავისი ვაშინგტონელი კორესპონდენტის რობერტის ცნობა იმის შესახებ, რომ აშშ შტაბების უფროსთა გაერთიანებული ჯგუფი ამზადებს „ზომებს ამერიკის ქვეითი ჯარების გამოსაყენებლად შუა აღმოსავლეთში". შემდეგ მოცემული იყო ცნობა, რომ გათვალისწინებულია აგრეთვე სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალთა გამოყენება. ამერიკისა და ინგლისის სამხედრო ფლოტებმა მიიღეს ინსტრუქცია ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთის ნაპირების გაძლიერებული პატრულირების შესახებ. ამერიკის მე-6 ფლოტმა გაუხშირა თავისი დაუპატიჟებელი ვიზიტები არაბული ქვეყნებისა და ისრაელის ნავსადგურებში, დაიწყო ინგლისისა და საფრანგეთის შეიარაღებულ ძალთა გადასროლა კუნძულ კვიპროსზე.

ახლო აღმოსავლეთში მდგომარეობა გამწვავდა. სუეცის არხის ნაციონალიზაციის შემდეგ ინგლისი და საფრანგეთი, რომლებმაც მოაწყვეს ეგვიპტეზე ის-

---

[1] ცნებაში „შუა აღმოსავლეთი" შეტანილი იყო არაბული აღმოსავლეთის ქვეყნები.

[2] დუნამი უდრის 919.8 კ. მ.

რაელის ჯარების თაედასხმის პროვოკაცია, მშეიდობის დაცვის ყალბი ლოზუნგით შეიჭრნენ ეგვიპტის ტერიტორიაში. ეგვიპტის წინააღმდეგ წარმოებულმა არაპროვოცირებულმა აგრესიამ დიდი აღშფოთება გამოიწვია მთელ მსოფლიოში: ამ აღშფოთებამ აიძულა ბაღდადის ბლოკის ოთხი წევრი გამოსულიყო მეხუთე წევრის — ინგლისის აგრესიის დაგმობით. თუმცა ერაყისა და თურქეთის მთავრობები მოქმედებდნენ დიდი ფარისევლობით, მაგრამ ეს ფაქტიც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ შექმნილ ვითარებაში შეუძლებელი იყო სხვანაირ პოზიციაზე დადგომა.

ბაღდადის ბლოკის კრიზისი

ეგვიპტეში ინგლის-საფრანგეთის აგრესიის ჩაშლამ ძლიერი დარტყმა მიაყენა ბაღდადის ბლოკს. ბაღდადის ბლოკის მორიგ სხდომაზე ინგლისის წარმომადგენელი არც კი იქნა მოწვეული. ამერიკის შეერთებული შტატებისადმი ინგლისის მთავრობის მიმართვას — შეერთებოდა ბაღდადის ბლოკს — წარმატება არ მოჰყოლია. დალესი გადაჭრით უარზე იდგა ეკისრა იმ ორგანიზაციის მბსნელის როლი, რომელმაც დიდად გაიტეხა სახელი. 1957 წლის იანვარში წარმომადგენელთა პალატის კომისიაზე ახლო აღმოსავლეთში ამერიკის ბატონობის კოლონიური პროგრამის განხილვისას დალესმა შეკითხვაზე — „ხომ არ აპირებენ ამერიკის შეერთებული შტატები იმოქმედონ ბაღდადის პაქტის კაეშირთან ერთად“ — უპასუხა, რომ „ამ საკითხის ხანგრძლივი და ღრმა შესწავლის შედეგად მთავრობას უმჯობესად მიაჩნია ამერიკის შეერთებულმა შტატებმა იმოქმედონ დამოუკიდებლად“. ამ პოზიციას დალესმა ფარისევლურად ის მოტივები დაუდო საფუძვლად, რომ ბაღდადის პაქტი ახლო აღმოსავლეთში კოლონიალიზმთანაა გაიგივებული. ზოგ არაბულ ქვეყანას, აღიარა მან, არ მოსწონს ბაღდადის პაქტი და მას სძულს კოლონიალიზმი.

ეგვიპტეში დამარცხების შემდეგ ინგლისი და საფრანგეთი, როგორც პარტნიორები ახლო აღმოსავლეთში, მნიშვნელოვნად კარგავდნენ ღირებულებას ვაშინგტონისათვის. „პირველი მსოფლიო ომის დამთავრებიდან ამ ბოლო დრომდე ბრიტანეთი აბსოლუტურად ბატონობდა ახლო აღმოსავლეთში, — წერდა ამერიკული გაზეთი „ნიუ იორკ ტაიმსი“ 1956 წლის 30 დეკემბერს, — მაგრამ უკანასკნელ დროს მას არ აღმოაჩნდა უნარი შეენარჩუნებინა თავისი პოზიციები ჩრდილო აფრიკაში. პალესტინიდან და სუეცის არხის ზონიდან გასვლის შემდეგ, ინგლის-ერაყის ხელშეკრულების გაუქმების შემდეგ, იორდანიიდან გლაბ-ფაშას განდევნისა და ეგვიპტის ტერიტორიაზე შეჭრის ცდის მარცხის შემდეგ რა დარჩა ბრიტანეთს ახლო აღმოსავლეთში? მხოლოდ კონტროლი წვრილ სამთავროებზე სპარსეთის ყურეში, ბაღდადის პაქტის წევრობა, რაც მხოლოდ ქაღალდზე არსებობს, მეგობრული დამოკიდებულება სიბერეში შესულ პრემიერ ნური საიდთან, ხელშეკრულება იორდანიასთან ურთიერთდახმარების შესახებ, რასაც იორდანიელები გაუქმებას უპირებენ, და საეჭვო ღირებულების სამხედრო ბაზები აჯანყებულ კვიპროსზე“[1].

„ეროვნებაშორის დოქტრინა“

ინგლისისა და საფრანგეთის მიერ ახლო აღმოსავლეთში პოზიციების მნიშვნელოვანი ნაწილის დაკარგვამ მაცდუნებელი პერსპექტივა გადაშალა ვაშინ-

[1] „პრავდა“, 9 იანვარი, 1957 წელი.

ვტონის თვალწინ. მან მოისურვა საბოლოოდ მოესპო ინგლისისა და საფრანგეთის გავლენის ნაშთები ამ რაიონში და სცადა გამხდარიყო მისი სრულუფლებიანი ბატონ-პატრონი. ამ ამოცანის გადაჭრა დაეკისრა „ეიზენჰაუერის დოქტრინას", რომელიც გამოცხადებულ იქნა აშშ პრეზიდენტის 1957 წლის 5 იანვრის წერილში კონგრესის ორივე პალატის გაერთიანებული სხდომისადმი.

„ეიზენჰაუერის დოქტრინას" საფუძვლად ედო „ვაკუუმი" (სივრცე, რომელიც არაფრით არ არის შევსებული), რომელიც ამერიკის პროპაგანდის სიტყვით, წარმოიშვა ახლო აღმოსავლეთში ხსენებული რაიონიდან ინგლისის გასვლასთან დაკავშირებით. ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიული მისია კი, — ასე მსჯელობდნენ იმპერიალისტური წრეები, — სწორედ იმაში მდგომარეობს, რათა დაუყოვნებლივ შეივსოს ეს სიცარიელე, „ვაკუუმი", ესე იგი დაიპყროს ახლო აღმოსავლეთის ბუნებრივი სიმდიდრე და დაიმონოს მისი ხალხები.

რა ფორმით შემოსა ამერიკის იმპერიალიზმმა თავისი „დოქტრინა"?

„უღმერთო მატერიალიზმისაგან წმინდა ადგილების დაცვისა" და „კომუნისტური საშიშროებისაგან" ახლო აღმოსავლეთის დაცვის შირმით ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გამოაცხადეს თავიანთი შეიარაღებული „მეურვეობა" ამ რაიონის სუვერენულ სახელმწიფოებზე და ისიც კი არ ცნეს საჭიროდ, რომ თუნდაც ფორმალური თანხმობა ეთხოვათ ამ სახელმწიფოების მთავრობებისაგან. ამ მიზნით ეიზენჰაუერი კონგრესისადმი თავის წერილში ნებართვას თხოულობდა მიეცათ რწმუნება ახლო აღმოსავლეთში საომარი მოქმედებისათვის ამერიკის შეიარაღებული ძალების გამოსაყენებლად თავისი შეხედულებისამებრ, კონგრესისაგან განსაკუთრებული ნებართვის მიუღებლად. ამასთან ერთად პრეზიდენტმა წამოაყენა ამ რაიონის ქვეყნებისათვის „სამხედრო დახმარებისა და თანამშრომლობის პროგრამა" და კონგრესისაგან ამ მიზნისათვის მოითხოვა 200 მილიონი დოლარი. როგორც ამერიკის პრესა იუწყებოდა, „დახმარება" გაეწეოდა იმ მთავრობებს, რომლებიც დათანხმდებოდნენ თავიანთი ქვეყნების აშშ-ის „მეურვეობაში" მოქცევას. 1957 წლის იანვარში შემდგარმა ბაღდადის პაქტის წევრთა თათბირმა თურქეთის, ირანის, ერაყისა და პაკისტანის მონაწილეობით მხარი დაუჭირა „ეიზენჰაუერის დოქტრინას".

ჩამოიცილეს რა ახლო და შუა აღმოსავლეთში თავისი პარტნიორები და აშკარად გამოაცხადეს რა თავისი კოლონიური ზრახვები რაიონის გეოგრაფიული მიჯნების განუსაზღვრელად, რომელთა ფარგლებში ერცელდებოდა ახალი წესდება, აშშ-მა არ დააყოვნეს მიეკერებინათ თავის „დოქტრინაზე" აგრესიული ბაღდადის პაქტიც. თუ მანამდე აშშ მხოლოდ „ძირგამომთხრელი საქმიანობის წინააღმდეგ მებრძოლ" ბაღდადის პაქტის კომისიაში შედიოდნენ, ახლა, „ეიზენჰაუერის დოქტრინის" გამოცხადების შემდეგ, ისინი ბაღდადის პაქტის ეკონომიურ და სამხედრო კომისიაში, ესე იგი არსებითად ბაღდადის პაქტში შევიდნენ. სწორედ ამით ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ყველასათვის დასანახი გახადეს, რომ „ეიზენჰაუერის დოქტრინა" და ბაღდადის პაქტი — ეს ამერიკის იმპერიალიზმის კოლონიური პოლიტიკის ერთიანი ხაზია.

ბაღდადის პაქტის საბჭოს ანგორის სესია

1958 წლის 27 იანვარს ანგორაში გაიხსნა ბაღდადის პაქტის საბჭოს სესია, რომელსაც ესწრებოდა დალესი ამერიკელ „მეთვალყურეთა" მეთაურის სახით. საშინაო არეულობა პაქტის მონაწილეთა შორის, აზიისა და აფრიკის ქვეყნების

კონფერენცია კაიროში, სირიის წინააღმდეგ ამერიკის პროვოკაციის ჩაფუშვა და სხვ.— ყოველივე ეს იმაზე მეტყველებდა, რომ ბაღდადის ბლოკის მესვეურთ საკმაო საფუძველი ჰქონდათ შეშფოთებისათვის.

ამასთან დაკავშირებით დალესმა უპირველეს ყოვლისა წამოაყენა სამი ბლოკის გაერთიანების იდეა: ნატოსი, სეატოსი და ბაღდადის პაქტისა. ამით აშშ-მა გამოააშკარავეს თავიანთი განზრახვა საბოლოოდ და ყოველგვარი პირობების გარეშე დაემორჩილებიათ ბაღდადის პაქტი გადაექციათ იგი „ატლანტიკური" პოლიტიკის ერთ-ერთ ინსტრუმენტად.

როგორც კომუნიკედან ჩანს, ამ საკითხში დალესმა მიაღწია სესიის მონაწილეთაგან პრინციპულად იმის აღიარებას, რომ საჭიროა თანამშრომლობა ბაღდადის პაქტის ორგანიზაციასა და სხვა „რეგიონალურ ორგანიზაციებს შორის".

მეორე, რის მიღწევაც ეწადა დალესს ანგორაში, — ესაა ბაღდადის ქვეყნების გადაქცევა ამერიკის ატომური და რაკეტული იარაღის ზონად. იმ მიზნით, რომ ამით დაეყოლიებინა ბაღდადის პაქტის მონაწილენი, დალესმა არ დაიშურა დაპირებები ბაღდადის პაქტის მონაწილეთათვის ეკონომიური დახმარების აღმოჩენის შესახებ. სესიაზე მოწონებულ იქნა ბაღდადის პაქტის უწყებაში შემავალი რაიონების ეკონომიური განვითარების შვიდი პროექტი. ამ სამუშაოთა ღირებულება 350 მილიონი დოლარით იქნა განსაზღვრული. სამუშაოები ამერიკის სტრატეგიულ საჭიროებებისადმი იქნა დაქვემდებარებული. სესიის მონაწილეებში სრული იმედის გაცრუება გამოიწვია ცნობამ იმის შესახებ, რომ ამ საქმეში ამერიკის წილი 13 მილიონს შეადგენდა, ხოლო ინგლისისა — 5 მილიონს. დანარჩენი ხარჯები (332 მილიონი) უნდა გაეღოთ თვით იმ ქვეყნებს, რომელთა ტერიტორიაზე აგებული იქნებოდა ამერიკული ბაზები (სტრატეგიული ობიექტები და კომუნიკაციის საშუალებები).

ბაღდადის პაქტი უბაღდადოდ

1958 წლის 14 ივლისისათვის სტამბოლში დანიშნული იყო ბაღდადის პაქტის მონაწილე მუსულმანური ქვეყნების მეთაურთა თათბირი, რომელზეც უნდა განხილულიყო საკითხი ლიბანის მთავრობისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ ლიბანის ხალხის საწინააღმდეგოდ. ამ დღეს ერაყში მოხდა რევოლუციერაყი რესპუბლიკად გამოცხადდა. ერაყის რესპუბლიკა გამოვიდა ბაღდადის პაქტის მონაწილე ქვეყნების რიგებიდან.

დალესის მიერ ლონდონში მოწვეული ბაღდადის პაქტის საბჭოს სესიამ, რომელზედაც დალესი ვარაუდობდა აემხედრებინა პაქტის მონაწილენი ერაყის რესპუბლიკის წინააღმდეგ, ვერ გაამართლა ამერიკის დიპლომატიის ანგარიშები. შეიქმნა ისეთი გარემოებები, რომ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტიც კი იძულებული გახდა ეცნო ერაყის რესპუბლიკა.

ბაღდადის პაქტი დარჩა უბაღდადოდ.

1959 წლის დასაწყისში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ხელი მოაწერეს ბაღდადის პაქტის მონაწილე ქვეყნებთან — ირანთან, თურქეთსა და პაკისტანთან ორმხრივ სამხედრო შეთანხმებებს, რომლებიც ითვალისწინებენ ამერიკის შეერთებული შტატების უფლებას იქონიოს აღნიშნული ქვეყნების ტერიტორიაზე სამხედრო ბაზები და „დახმარება" აღმოუჩინოს ამ ქვეყნებს „ყოველგვარი აგრესიის" შემთხვევაში (ამ უკანასკნელში იგულისხმება აშშ-ის მხრივ დახმარების აღმოჩენა რევოლუციური მოძრაობის ჩაქრობაში). ახალ ორმხრივ შეთანხმებებს არავითარ შემთხვევაში არ ძალუძთ აგრესიული ბაღდადის ბლოკის ჩაფუშვის კომპენსირება იმპერიალისტებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. ტ. 6, 18, 19, 20, 22, 23, 31, 32, 33.
ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. ტ. 2, 8, 9, 10.
ნ. ს. ხ რ უ შ ჩ ო ვ ი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება პარტიის XX ყრილობას, სახელგამი, თბილისი, 1956.
საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის რეზოლუცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო, სახელგამი, თბილისი, 1956.
ნ. ს. ხ რ უ შ ჩ ო ვ ი, სიტყვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე მოწვევის მეოთხე სესიაზე, სახელგამი, თბილისი, 1956.
ნ. ს. ხ რ უ შ ჩ ო ვ ი, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959—1965 წლების საკონტროლო ციფრების შესახებ,— მოხსენება სკკპ რიგგარეშე XXI ყრილობაზე, საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, თბილისი, 1959.
რეზოლუცია სკკპ XXI ყრილობისა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959—1961 წლების საკონტროლო ციფრების შესახებ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების გამო, საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, თბილისი, 1959.
А Л А Е В Л. Б., Б А Р А Н О В И. Л., К У Л А Н Д А В. Р., Из истории образования Республики Индии, «Вопросы истории» ,1956, № 6.
Б Е К Л Е Ш Е В Д. В., Индонезия, Экономика и внешняя торговля, М., 1956.
Б Е Р К О В А. ,О чем говорят события в Египте Коммунист», М, 1956, № 6.
Б У Т Е Н К О А. П., Китайская революция и ее особенности, «Советское Востоковедение», изд. АН СССР, 1956, № 3.
В А С И Л Ь Е В В., У З Я Н О В А., Современная Бирма, М, 1956.
В А Т О Л И Н А Л. Н., Борьба народов Ближнего Востока за мир, М., 1952.
В А Т О Л И Н А Л., Египет и кризис британской колониальной политики., Сборник статей — Империалистическая борьба за Африку и освободительное движение народов. Изд. АН СССР, 1953.
«Вопросы экономики», за 1955, 1956, 1957 и 1958 гг.
Г А Н Ш И Н Г., Китайская Народная Республика на пути индустриализации, М., 1956.
Г Р И Г О Р Ь Е В Х., За развитие добрососедских отношений между Турцией и Советским Союзом, «Международная жизнь», 1956, № 4.
Г Р И Г О Р Ь Е В Х., Внутренние интересы Ирана и международная безопасность, «Международная жизнь», 1955, № 12.
Г У Б Е Р А. А., Глубоко и всесторонне изучать кризис и распад колониальной системы империализма, «Советское Востоковедение», изд. АН СССР, 1956, № 3.
Г У Б Е Р А. А., Вьетнам во время и после мировой войны, М., 1950.
Д А Н Ц И Г Б., Турция, М, 1949.
Д А Н Ц И Г Б. М., Турецкая республика, М., 1956.
Д Ь Я К О В А. М., Индия в период общего кризиса капитализма, М, 1955.
Д Ь Я К О В А. М., Победа социализма в СССР и борьба Индии против империализма, «Советское Востоковедение», 1957, № 5.
Е Р Ш О В П., Индонезийский народ в борьбе за мир и укрепление национальной независимости, «Международная жизнь», 1956, № 9.
Е Ф А Н О В И., С Т А Х Г., Национально-освободительное движение народов Малайи, М, 1956.
Ж У К О В Е. А., Япония в период второй мировой войны. Борьба японского народа за независимость после войны, М., 1954.
Ж У К О В Ю., П Л Ы Ш Е В С К И Й И., Что показало Женевское совещание. «Международная жизнь», 1954, № 1.
И В А Н О В М. С., Очерки из истории Ирана, М, 1952.

ИВАНОВ К. и ВАСИЛЬЕВ А., На скользком и опасном пути, «Международная жизнь», 1956, № 2.
КИМ В. А., Государственный строй Корейской Народно-Демократической Республики, М. 1955.
Корейская Народно-Демократическая Республика, Изд. АН СССР, 1954.
КОРОБЕЙНИКОВ И. И., Иран, «Экономика и внешняя торговля», М., 1954.
ЛАВРОВ Н. М., Турция в 1918—1956 гг., М. 1956.
ЛХАМСУРЖА Б., Современная Монголия, «Новое время», 1956, № 47.
МАО ЦЗЭ-ДУН, Избранные произведения, т. 1, 2, 3, 4, М., 1952 и 1953 гг.
МАО ЦЗЭ-ДУН, О диктатуре народной демократии, М, 1949.
МАО ЦЗЭ-ДУН, Биографический очерк.
МАСЛЕННИКОВ В. А., Великие исторические события в странах Востока, «Советское Востоковедение», 1956, № 1.
МАСЛЕННИКОВ. В., Монгольская Народная Республика, М., 1955.
Материалы Восьмого Всекитайского съезда Коммунистической партии Китая.
Материалы первой сессии Всекитайского собрания народных представителей.
Материалы второй сессии Всекитайского собрания народных представителей.
Материалы третей сессии Всекитайского собрания народных представителей.
Материалы четвертой сессии Всекитайского собрания народных представителей
МАХНЕНКО А. Х., Государственный строй Монгольской Народной Республики, М.,1955.
«Международная жизнь», за 1956, 1957 и 1958 гг.
МИЛЛЕР А., Краткая история Турции, М., 1948.
МИЛЛЕР А., Из истории советско-турецких отношений, «Международная жизнь», 1956, № 2.
МОИСЕЕВ П. П., Земельные отношения в Турции, «Советское Востоковедение», 1956, № 1.
МИНЬ ЧАНЬ, Революционное движение во Вьетнаме, «Советское Востоковедение», 1956, № 1.
Монгольская Народная Республика, Сборник статей, М, 1952.
МХИТАРЯН С., Десять лет Демократической Республики Вьетнам, «Вопросы экономики», 1955, № 9.
НЕРУ Дж., Открытие Индии, М., 1955.
НЕРУ Дж., Автобиография, М., 1955.
«Новое время», за 1955, 1956, 1957 и 1958 гг.
Общая программа политического консультативного совета Китая, М., 1950.
ПАВЛОВ В. И. и РЯБЧИКОВА А. М. Индия, М., 1956.
ПАСТУХОВ Н., Воля народов Азии и Африки к миру и единству, «Коммунист», М., 1956, № 5.
ПИДОТА—Новая Бирма, Доклад правительства Бирманского Союза о перспективной программе экономического и социального развития, М., 1956.
Развитие экономики стран народной демократии Азии, Научно-исследовательский конъюнктурный институт МВТ СССР, М., за 1956 и 1957 гг.
РУДНЕВ В. С., Провал английской политики «разделяй и властвуй» в Малайе, «Краткие сообщения Института Востоковедения», VIII, 1953.
РУДНЕВ В. С., Роль рабочего класса в национально-освободительном движении в Малайе, «Краткие сообщения Института Востоковедения», XX, 1956.
Сборник законов и основных постановлений правительства МНР.
СЕМЕНОВ В., Распад колониальной системы империализма, «Коммунист», М., 1956, № 16.
«Советское Востоковедение» за 1957 и 1958 гг.
«Современная Монголия».
Современник, Остановить агрессию против Египта, «Новое время», 1956, № 46.
СУКАРНО, Индонезия обвиняет, сборник статей и речей, М., 1956.
ТАВРОВ Г., Корейский вопрос, «Международная жизнь», 1956, № 2.
30 лет Монгольской народной революции, 1921-1951, Улан-Батор, 1951.
Углубление кризиса колониальной системы империализма, АН СССР, 1953.
УЛЬЯНОВСКИЙ Р. Я., Индия в борьбе за экономическую независимость, «Советское Востоковедение», 1957, № 4.

შ ი ნ ა ა რ ს ი

ავტორისაგან — 3

შ ე ს ა ვ ა ლ ი

იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის დაშლა — 5

ნაწილი პირველი

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა

ჩინეთის კომუნისტური პარტია ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობის სათავეში. პირველი და მეორე სამოქალაქო რევოლუციური ომები. ომი იაპონელ დამპყრობთა წინააღმდეგ — 14. მესამე სამოქალაქო რევოლუციური ომი ჩინეთში. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადება — 20. სახალხო დემოკრატიის დიქტატურა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში — 23. აღდგენითი პერიოდის სახალხო-დემოკრატიული გარდაქმნები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში — 24. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საერთაშორისო მდგომარეობა. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და საბჭოთა კავშირი — 28. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუცია. სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების პირველი სესია — 30. საბჭოთა კავშირი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა — შვიდობის ბურჯი შორეულ აღმოსავლეთსა და მთელ მსოფლიოში. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკა — 31. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმა (1953—1957 წწ.). სოციალიზმის შენებლობის გზაზე გადამწყვეტი გამარჯვებები ჩინეთში — 35. მეშაობის სტილის მოწესრიგება და ბრძოლა მემარჯვენე ელემენტების წინააღმდეგ — 41. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ნაციონალური რაიონები — 43. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების მეორე ხუთწლიანი გეგმა (1958—1962 წწ.) — 46. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სოციალისტური ბანაკის სხვა ქვეყნების ერთიანობის შემდგომი განმტკიცება — 47. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დამოკიდებულება სხვა ქვეყნებთან — 48. „შაი პარასე�ტაივანზე — 49. მაო ძე-დუნის ჩამოსვლა საბჭოთა კავშირში — 49. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა 1958 წელს — 50.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა

კორეის საკითხების შესახებ მოსკოვის გადაწყვეტილებები. გადაწყვეტილებათა საბოტაჟი აშშ მხრივ — 55. სეპარატული არჩევნები სამხრეთ კორეაში. სამხრეთ კორეის რესპუბლიკის შექმნა — 56. დემოკრატიული გარდაქმნები ჩრდილო კორეაში — 58. კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა — 60. აშშ და სამხრეთ კორეა — 61. კორეის ერთიანი დემოკრატიული სამამული ფრონტის შექმნა — 62. ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ აგრესიის მომზადება — 63. კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის აღდგენა და განვითარება — 63. იმპერიალისტური აგრესია კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ — 64. შვიდობისმოყვარე ხალხთა ბრძოლა კორეაში აგრესიის შესაწყვეტად — 66. მოლაპარაკება დაბაკებაზე. ამერიკის შეერთებული შტატების ორპირობა — 67. კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების საბჭლიანი გეგმა (1953—1956 წწ) — 69. კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საერთაშორისო ურთიერთობა — 71. კორეელი ხალხისა და შვიდობისმოყვარე ქვეყნების ბრძოლა დემოკრატიულ საწყისებზე კორეის გაერთიანებისათვის. აშშ და სამხრეთ კორეის ხაზი დაბაკების ჩასაშლელად — 73.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა 1940 წლამდე — 77. კონსტიტუციის მიღება. პირველი და მეორე ხუთწლიანი გეგმები — 81. მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა და საბჭოთა კავშირი — 84. მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საერთაშორისო ურთიერთობა — 87.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა

ინდო-ჩინეთი მეორე მსოფლიო ომამდე —88. ვიეტნამის ხალხის ბრძოლა იაპონელ მტაცებელთა წინააღმდეგ. ვიეტ-მინის შექმნა —89. 1945 წლის აგვისტოს რევოლუცია. ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა —91. ხანოის შეთანხმება —92. კონსტიტუციის მიღება. პირველი დემოკრატიული გარდაქმნები —92. საფრანგეთის ჯარების ვიეტნაგელი თავდასხმა ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაზე —93. ბაო დაის „იმპერია"—94. მდგომარეობა სამხრეთ ვიეტნამში. საფრანგეთისა და ბაო დაის ჯარების მარცხი ფრონტზე —95. ჟენევის თათბირი ინდო-ჩინეთის საკითხის შესახებ და მისი გადაწყვეტილებები —96. აგრარული რეფორმის გატარება ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში —98. მრეწველობის აღდგენა და სოციალისტური გარდაქმნები —100. ტრანსპორტი, მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობა. განათლება ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში —101. საბჭოთა კავშირისა და სოციალ.სტური ბანაკის ქვეყნების დახმარება ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისადმი —101. ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მონაწილეობა ბანდუნგის კონფერენციაში —102. სამშენელო ფრონტის შექმნა და მისი პროგრამა. ვიეტნამის ხალხის ბრძოლა ქვეყნის გაერთიანებისათვის —103. სამხრეთ ვიეტნამის გადაქცევა ამერიკის სამეკვიდრეო მამულად —104. ტერორი სამხრეთ ვიეტნამში. ჟენევის შეთანხმების ჩაშლა —105. არჩევნები სამხრეთ ვიეტნამში. კონსტიტუცია —106. ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა ქვეყნის შშვიდობიანი დემოკრატიული გაერთიანებისათვის ბრძოლაში —107. ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საქალაქო საბალო საბჭოების პირველი საყოველთაო არჩევნები —108.

ნაწილი მეორე

ინდოეთის რესპუბლიკა

ინდოეთი 1917—1945 წ.წ.—110. ინდოეთისათვის დომინიონის უფლების მინიჭება. ინდოეთი და პაკისტანი —112. ნერუს მთავრობის პირველი ღონისძიებები ინდოეთის ეკონომიკაში კოლონიური მემკვიდრეობის აღმოსაფხვრელად —114. ქაშმირის საკითხი —116. ინდოეთი — სუეცრენული დემოკრატიული რესპუბლიკა — 118. პირველი ხუთწლიანი გეგმა (1950/51 — 1955/56 წწ.) — 123. მეორე ხუთწლიანი გეგმა (1956—1961 წწ.) — 125. ინდოეთის მთავრობის შშვიდობიანი საგარეო პოლიტიკა —129.

ინდონეზიის რესპუბლიკა

ინდონეზიის ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის წარსულიდან —132. აგვისტოს რევოლუცია. ინდონეზიის რესპუბლიკის შექმნა —133. ინტერვენციის დასაწყისი. ლინგჯათის შეთანხმება —134. საომარ მოქმედებათა განახლება. რენვილის შეთანხმება —135. დემოკრატიულ ორგანიზაციებთან ანგარიშის გასწორება სისხლიანი გზით —136. საგის შეთანხმებანი —136. ინდონეზიის გამოცხადება უნიტარულ რესპუბლიკად —137. ინდონეზიის ეკონომიური მდგომარეობა და უცხოეთის კაპიტალის როლი —138. ინდონეზიის მთავრობის ღონისძიებანი სახალხო მეურნეობის კოლონიური ნაშთების აღმოფხვრისათვის —138. ამერიკის შეერთებული შტატების ძირგამომთხრელი საქმიანობა ინდონეზიის მთავრობის წინააღმდეგ —139. ხარახაპის მთავრობა — 141. ინდონეზიის პარლამენტის საყოველთაო არჩევნები. ინდონეზიის კომუნისტური პარტიის პროგრამა —141. სრულიად ინდონეზიის სახალხო კონგრესის შექმნა. ხარახაპის გადადგომა. სასტროამიჯოიოს მთავრობა —143. ეკონომიური განვითარების ხუთწლიანი გეგმა (1956—1960 წწ.)—114. სასტროამიჯოიოს მთავრობის საგარეო პოლიტიკა. ინდონეზია და სსრ კავშირი —145. „საქმიანი კაბინეტისა" და ეროვნული საბჭოს შექმნა —147. ინდონეზია კოლონიალიზმის ნაშთების ლიკვიდაციის გზაზე —148. იმპერიალისტური შეთქმულება ინდონეზიის წინააღმდეგ 1958 წელს —149.

ავღანეთი

ავღანეთის ეკონომიური განვითარება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. საბჭოთა კავშირის დახმარება —150. ხუთწლიანი გეგმა (1956—1961 წწ.)—152. ავღანეთის საგარეო პოლიტიკა. ავღანეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა — 153. მუსაჰედ ზაჰირ შაჰის ვიზიტი საბჭოთა კავშირში —156.

ბირმის კავშირი

ბირმის ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან —156. ბირმა მეორე მსოფლიო ომის დროს —158. აუნგ სანის ეროვნული მთავრობის შექმნა —159. ბირმის კავშირის შექმნა —160. პირველი დემოკრატიული გარდაქმნები ბირმაში —160. „პიდოტის გეგმა"—162. ბირმის კავშირის საგარეო პოლიტიკა. ბირმა და საბჭოთა კავშირი —164.

მალაიის ფედერაცია

მალაიის ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის —167. სახალხო ორგანიზაციების ერთიანი ფრონტის შექმნა —168. მალაიის ხალხის შეიარაღებული ბრძოლა კოლონიზატორთა

ფინალამდე —169. მოლაპარაკებანი საომარ მოქმედებათა შეწყვეტის შესახებ —170. მოლაპარაკება ლონდონში. მალაიის ფედერაციის გამოცხადება —171.

ცეილონი

ცეილონის მიერ დომინიონის სტატუსის მოპოვება. კოტალავალას მთავრობა — 173. სახალხო ფრონტის გამარჯვება. ბანდარანაიკეს მთავრობა —174.

კამბოჯა

კამბოჯა — დამოუკიდებელი სახელმწიფო —175. ნოროდომ სიანუკის მთავრობა —176. კამბოჯა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა —177. ამერიკის შეერთებული შტატების ინტერვენცია და სიანუკის გადადგომა —178. სიანუკის გამგზავრება მოსკოვს —179. ეროვნული კონგრესის შექმნა. კანონი ნეიტრალიტეტის შესახებ —179.

ლაოსი

ჟენევის გადაწყვეტილებათა დარღვევა —180. სუვანა ფუმას მთავრობა. ლაოსის საკითხის მშვიდობიანი მოგვარება. აშშ-ის ინტერვენცია —181.

ნეპალი

კოლონიური უღლისაგან განთავისუფლება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ —183. ტანკა პრასად აჩარიას მთავრობა —183. ნეპალი 1957 და 1958 წლებში —184.

არაბული ქვეყნები —186

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა
(ეგვიპტის რაიონი)

ეგვიპტელი ბალბის ბრძოლა 1936 წლის ხელშეკრულების გასაუქმებლად —186. ეგვიპტის მიერ 1936 წლის ხელშეკრულების დენონსაცია. ინგლის-ეგვიპტის კონფლიქტი —187. 1952 წლის 23 იულისის რევოლუცია. ეგვიპტის გამოცხადება რესპუბლიკად —189. პირველი ნაბიჯები ეროვნული აღორძინების გზაზე —189. უცხოეთის ოკუპაციისაგან განთავისუფლება. კონსტიტუციის მიღება —191. სუეცის არხის კომპანიის ნაციონალიზაცია —192. ლონდონის კონფერენცია სუეცის არხის საკითხებზე —192. მშვიდობისმოყვარე ქვეყნების მიერ ეგვიპტისათვის მხარდაჭერა —195. 18 ქვეყნის სუპარატიული თათბირი ლონდონში —196. სუეცის საკითხი უშიშროების საბჭოში. სსრ კავშირი ეგვიპტის სუვერენულ უფლებათა სადარაჯოზე —197. ინგლის-საფრანგეთ-ისრაელის აგრესია ეგვიპტის წინააღმდეგ — 198. აგრესიის დაგმობა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოების მიერ —199. საბჭოთა კავშირისა და მშვიდობისმოყვარე ქვეყნების ბრძოლა ეგვიპტეში აგრესიის შესაწყვეტად —200. აგრესორთა მიერ ეგვიპტიდან ჯარების გაყვანის გაჭიანურება —202. აგრესიის შედეგები აგრესორთათვის —203; ინგლის-საფრანგეთის აგრესორთა ჯარების გაყვანა ეგვიპტიდან —204. ეგვიპტიდან ისრაელის ჯარების გაყვანის დაყოვნება —205. ეგვიპტის მთავრობის დეკლარაცია სუეცის არხის თაობაზე —206. ეგვიპტის ეკონომიური მდგომარეობა აგრესიის ჩაშლის შემდეგ —207. ხუთწლიანი გეგმა —209. პირველი საყოველთაო არჩევნები ეგვიპტეში. გადაწყვეტილება სირია-ეგვიპტის ფედერაციის შექმნის შესახებ — 209. ეგვიპტის დელეგაციის ჩამოსვლა საბჭოთა კავშირში — 210. არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის შექმნა —211.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა
(სირიის რაიონი)

ლევანტის ქვეყნის ოკუპაცია ინგლის-საფრანგეთის ჯარების მიერ —212. მაოკუპირებელი ჯარების გაყვანა სირიიდან და ლიბანიდან —213. შიშეკლის დიქტატურა და მისი დამხობა. ეროვნული კავშირის გამარჯვება —213. ასალის მთავრობის უარი ბაღდადის პაქტში შესვლაზე —214. ექვსწლიანი გეგმა (1955—1960 წწ.)—215. ეროვნული ჯარიის გამოკვეყნება —215. შუქრი კუატლის გამგზავრება საბჭოთა კავშირში —215. იმპერიალისტური შეთქმულება სირიის წინააღმდეგ 1956 წლის ნოემბერში —216. სირიის მთავრობის დელეგაცია საბჭოთა კავშირში —217. იმპერიალისტების შეთქმულება სირიის წინააღმდეგ 1957 წლის აგვისტოში —217. სირიის წინააღმდეგ იმპერიალისტური ინტერვენციის მოშზადება და მისი ჩაშლა —218. შეთანხმება სსრ კავშირსა და სირიას შორის ეკონომიურ და ტექნიკურ თანაშრომლობაზე —219.

ლიბანი

„ეიზენჰაუერის დოქტრინის“ ცნობა —220. ოპოზიციური მოძრაობა ლიბანში —221. ამერიკის შეერთებული შტატების ინტერვენცია ლიბანში —222.

ერაყის რესპუბლიკა

ერაყი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ —224. ბაღდადის პაქტზე ხელის მოწერა —224. ერაყი და აგრესია ეგვიპტის წინააღმდეგ —225. ერაყი და აშშ —226. ერაყისა და იორდანიის ფედერალური კავშირი —226. 14 იულისის რევოლუცია. ერაყის რესპუბლიკის გამოცხადება —227.

იორდანია

იორდანია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ინგლის-იორდანიის 1948 წლის კაბალური ხელშეკრულება —228. ინგლის-ამერიკის ბრძოლა იორდანიისათვის —229. ეროვნული ფრონტის შექმნა. იმპერიალისტების ცდები ბაღდადის პაქტში იორდანიის ჩაბმისათვის —230. არჩევნები იორდანიაში. პროგრესული ძალების გაძარცვება —232. 1958 წლის ინგლის-იორდანიის სამხედრო ხელშეკრულების გაუქმება —233. ნაბულსის მთავრობამ უარყო „ეიზენჰაუერის დოქტრინა"— 233. იმპერიალისტური გადატრიალება იორდანიაში —234. ინგლისის ყარების ინტერვენცია იორდანიაში —234.

იემენი

იემენელი ხალხის წარსულიდან —235. იემენის ხალხის საშშიდობო პოლიტიკა. იემენი დასს კავშირი —236. ინგლისის აგრესია იემენის წინააღმდეგ —238.

საუდის არაბეთი

ეუსოეთის კაპიტალი საუდის არაბეთში —238. საუდის ხალხი იცავს თავის დამოუკიდებლობას —238.

ომანი

ინამატის გამოცხადება დამოუკიდებელ სახელმწიფოდ —239. ინგლისელთა ახალი შეკრა ომანში —240. 1957 წლის აჯანყება —240. ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების გაერთიანებული ფრონტი ომანის წინააღმდეგ —241.

სუდანის რესპუბლიკა

სუდანის დამოუკიდებლობის გამოცხადება —241. სუდანის საგარეო პოლიტიკა —242.

ლიბია

დამოუკიდებლობის გამოცხადება —242. ლიბიის მიერ „ეიზენჰაუერის დოქტრინის" ცნობა —243.

ალჟირის რესპუბლიკა

ალჟირი — საფრანგეთის კოლონია —244. ეროვნული განთავისუფლების ფრონტის შექმნა. სახალხო ბრძოლა კოლონიზატორთა წინააღმდეგ —245. მაროკო-ტუნისის კონფედერაცია ალჟირის მონაწილეობით —245. საუოველთაო გაფიცვა ალჟირში 1957 წლის იანვარში. ამერიკის შეერთებული შტატები და ალჟირის საკითხი —246. ფრანგ კოლონიზატორთა მხეცობა ალჟირში —247. საფრანგეთის მთავრობის მანევრები —247. ალჟირის რესპუბლიკის გამოცხადება —248.

ტუნისის რესპუბლიკა

ტუნისის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა —249. ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა ტუნისში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ —250. კოლონიურ ხელისუფალთა რეპრესიები —251. ტუნისის საკითხი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში —252. ტუნისის დამოუკიდებლობის ცნობა — 252. ამერიკის კოლონიზატორთა ხრიკები ტუნისში— 253.

მაროკო

მაროკოს სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა —254. ერთიანი ეროვნული ანტიიმპერიალისტური ფრონტის შექმნა —254. მაროკოს სულთანის ბენ-იუსეფის გადაყენება —255. მაროკოს საკითხი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში —255. მოლაპარაკება ეკს-ლებენში —256. მაროკოს დამოუკიდებლობის ცნობა —256.

აღმოსავლეთ, ცენტრალურ და სამხრეთ-აფრიკის ხალხთა ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის

იმპერიალისტების მისწრაფება აფრიკის ბუნებრივ სიმდიდრეთა ხელში ჩასაგდებად —257. იმპერიალისტთა ექსპანსია აფრიკაში —257. რასობრივი დისკრიმინაცია —259. სოციალურ-

პოლიტიკური ცელლებები აფრიკის კოლონიებში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ —260. შაუი აფრიკის ხალხთა ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის —261.

აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის კონფერენცია ბანდუნგსა და კაიროში

ხუთი ქვეყნის პრემიერ-მინისტრების თათბირი კოლომბოსა და ბოგორში —263. იმპერიალისტური სახელმწიფოების დამოკიდებულება ბანდუნგის კონფერენციის მოწვევის საკითხისადმი —264. ბანდუნგის კონფერენციის გახსნა და მისი მუშაობა —264. ბანდუნგის კონფერენციის გადწყვეტილებები —266. აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის კონფერენცია კაიროში —267.

ნაწილი მესამე

ირანი

ირანი მეორე მსოფლიო ომის დროს. აშშ-ის შეკრა ირანში —270. დემოკრატიული მოძრაობა ირანის აზერბაიჯანში. მეჯლისის არჩევნები და ეროვნული მთავრობის შექმნა —271. ირანის აზერბაიჯანის დემოკრატიულ ძალთა განადგურება —272. კავამ ეს-სალტანეს პროამერიკული პოლიტიკა —273. ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ირანის მომარაგება იარაღით —273. ირანის განეითარების შეიდწლიანი გეგმა —274. ირანის ნავთობის ნაციონალიზაცია —274. ნავთობის საერთაშორისო კონსორციუმის შექმნა —275. ირანის მონაწილეობა ბაღდადის პაქტში—276. ირანი და სსრ კავშირი —277. ირანის დიპლომატია სახიფათო გზაზე —278.

თურქეთი

თურქეთის სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა მეორე მსოფლიო ომის დროს და ომის შემდეგ —279. დემოკრატიული პარტიის დაარსება —280. თურქეთის დაახლოება ამერიკის შეერთებულ შტატებთან —281. „მარშალის გეგმის" მიღება თურქეთის მიერ —282. პანთურქისტთა საქმიანობა —282. დემოკრატიული პარტიის გამარჯვება 1950 წლის არჩევნებში —283. თურქეთის შესვლა ჩრდილოატლანტიკურ ბლოკში —284. თურქეთი ამერიკის იმპერიალიზმის სამსახურში —284. შრომელთა მდგომარეობის გაუარესება —286. მენდერესის მთავრობის საგარეო პოლიტიკა 1953—1955 წლებში —287. პარტია „პეიროეთის" დაარსება—288. თურქეთი და სსრ კავშირი —289. იმპერიალისტური აგრესია ახლო და შუა აღმოსავლეთში 1957 წელს და თურქეთი —290. არჩევნები თურქეთის მეჯლისში 1957 წლის ოქტომბერში. მენდერესის ახალი მთავრობა —291.

იაპონია

იაპონია კაპიტულაციის შემდეგ —292. მაკარტურის „რეფორმები"—293. აშშ-ის მთავრობის უარი იაპონიის ოკუპაციაში საერთაშორისო თანამშრომლობაზე —293. 1946 წლის კონსტიტუცია —294. მუშათა მოძრაობა იაპონიაში, იაპონიის კომუნისტური პარტია —294. ამერიკელ ოკუპანტებისა და იაპონიის რეაქციის თარეში —295. აშშ-სა და იაპონიას შორის დადებული სეპარატული ხელშეკრულება — 296. იაპონიის კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამა — 297. იაპონიის პროგრესული საზოგადოებრიობის ბრძოლა საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან ურთიერთობის ნორმალიზაციისათვის. საბჭოთა კავშირ-იაპონიის 1956 წლის 19 ოქტომბრის დეკლარაცია —297. კისის მთავრობის ანტიდემოკრატიული პოლიტიკა —298. კისის მეორედ გამგზავრება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. ეკონომიური დაქვეითება იაპონიაში 1957 და 1958 წწ.—299. გლეხთა ორგანიზაციების გაერთიანება იაპონიაში —301.

პაკისტანის ისლამური რესპუბლიკა

პაკისტანის ეკონომიური მდგომარეობა —302. მოპამედ ალის მთავრობის პროამერიკული კურსი —302. პაკისტანის პირველი კოალიციური მთავრობა —304. პაკისტანის საზოგადოებრიობის ბრძოლა პოზიტიური ნეიტრალური პოლიტიკისათვის —304. კონსტიტუციის მიღება —305. საბჭოთა კავშირ-პაკისტანის ურთიერთობა —306.

ტაილანდი

ტაილანდის ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა —309. ანტიიმპერიალისტური გამოსვლები ტაილანდში —310. პიგუნსონგრამის მთავრობის დამხობა. ტარანატის სამხედრო დიქტატურა —311.

ფილიპინები

ფილიპინების ხალხის ბრძოლა ამერიკის იმპერიალიზმის წინააღმდეგ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ —312.

საბრძოლო-აღმოსავლეთ აზიის აგრესიული სამხედრო ბლოკი — სეატო

ანზიუსის ბლოკის შექმნა — 314. სეატოს შექმნა — 315. „მარშალის ეკონომიური გეგმა აზიისათვის სეატოს ფარგლებში“—316. სეატოს ბლოკის მონაწილე ქვეყნების პირველი სესია ბანგკოკში —317. დალესის პირველი გამგზავრება აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში —318. სეატოს მონაწილე ქვეყნების სამხედრო თათბირები —319. სეატოს მონაწილე ქვეყნების მეორე სესია ყარაჩში —320. დალესის მეორე გამგზავრება აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში —321. სეატოს მესამე სესია კანბერაში —323. თათბირი ბაგიოში —324. სეატოს სესია მანილაში —324. სეატოს სამხედრო მრჩეველთა თათბირი ბანგკოკში —325.

ბაღდადის პაქტი

ახლო აღმოსავლეთში აგრესიული ბლოკის შექმნის ამერიკული გეგმები —326. თურქეთ-ერაყის ხელშეკრულება —327. ინგლის-ამერიკის ბრძოლა აღმოსავლეთში —328. ინგლისის მეერთება ბაღდადის პაქტთან — 329. პაკისტანისა და ირანის შეერთება ბაღდადის პაქტთან — 329. წინააღმდეგობის გაძლეევება იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის ბაღდადის პაქტზე ხელმოწერასთან დაკავშირებით —331. იმპერიალისტების „მშვიდობისმყოფელობა“ ახლოს აღმოსავლეთში —333. ბაღდადის ბლოკის კრიზისი—334. „ეიზენჰაუერის დოქტრინა“—334. ბაღდადის პაქტის საბჭოს ანგორის სესია —335. ბაღდადის პაქტი უბაღდადოდ —336.

გამოყენებული ლიტერატურა —337.

რედაქტორი პროფ. დ. ინუჯაძე
რეცენზენტი დოც. ვ. დონაძე

გამომც. რედ. ელ. ბახუტაშვილი — კორექტორი მ. გვირამია
ტექრედაქტორი მ. ახალაია — გამომშვები ნ. ბიბილეიშვილი

გადაეცა წარმოებას 22/IX-59 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/V-60 წ. ანაწყობის ზომა 7 × 12. ქაღალდის ზომა 70×108. ნაბეჭდი თაბახი 21,5. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი. 25,75.

ფასი 6 მან. 15 კაპ.

1001 წლის 1-ლი იანვრიდან ფასი 62 კაპ.

შეკვეთა № 1021 — ფუ 03808 — ტირაჟი 2.000

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის ა. ფ. მიასნიკოვის სახ. სტამბა „ბარია ვოსტოკა“, თბილისი, რუსთაველის გამზ., 42.